ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა

ხელნაწერის უფლებით

კახაბერ ყალიჩავა

კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი: თანამედროვე კონფლიქტების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი

ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები:
ისტორიის დოქტორი, პროფ. **თეიმურაზ პაპასქირი**
ისტორიის დოქტორი, პროფ. **პშემისლავ ჟურავსკი ველ გრაევსკი**

თბილისი
2019

შინაარსი

შესავალი 4

თავი I. კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე: კონფლიქტური რეგიონების ისტორიული განვითარების საერთო და განმასხვავებელი ტენდენციები 34

§1. კოსოვო უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე 34

§2. აფხაზეთი უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე 46

§3. ცხინვალის რეგიონი უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე 58

§4. კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი: კონფლიქტური რეგიონების ისტორიული განვითარების საერთო და განმასხვავებელი ტენდენციები უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე 67

თავი II. კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი XIX ს. დამდეგიდან XX ს. 10-იანი წლების ჩათვლით: კონფლიქტური რეგიონების ისტორიული განვითარების საერთო და განმასხვავებელი ტენდენციები 75

§1. კოსოვო XIX საუკუნის დასაწყისიდან 1918 წლამდე 75

§2. აფხაზეთი XIX საუკუნის დასაწყისიდან 1921 წლამდე 83

§3. ცხინვალის რეგიონი XIX საუკუნის დასაწყისიდან 1922 წლამდე 94

§4. კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი: კონფლიქტური რეგიონების ისტორიული განვითარების საერთო და განმასხვავებელი ტენდენციები XIX საუკუნის დასაწყისიდან XX საუკუნის პირველი მეხუთედის ჩათვლით 103

თავი III. კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი XX საუკუნის 20-80-იან წლებში: კონფლიქტური რეგიონების ისტორიული განვითარების საერთო და განმასხვავებელი ტენდენციები 109

§1. კოსოვო 1918-1991 წლებში 109

1.1. იუგოსლავიის სამეფოდან ფედერაციამდე (1918-1945) 109

1.2. კოსოვო იუგოსლავიის ფედერაციაში (1945-1992) 115

§2. აფხაზეთი 1921-1991 წლებში 124

2.1. XX ს. 20-30-იანი წლების კონსტიტუციური და სამართლებრივი საკითხები 124

2.2. XX საუკუნის 40-იანი წლებიდან სსრკ-ს დაშლამდე..... 129

§3. ცხინვალის რეგიონი (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) 1922-1991 წლებში 138

§4. კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი: კონფლიქტური რეგიონების ისტორიული განვითარების საერთო და განმასხვავებელი ტენდენციები XX საუკუნის 20-80-იან წლებში 146

თავი IV. კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი XX საუკუნის 90-იან – XXI საუკუნის 10-იან წლებში: საერთო და განმასხვავებელი ტენდენციები 156

§1. კოსოვო XX ს. 90-იან – XXI ს. 10-იან წლებში 156

1.1. კოსოვო XX ს. 90-იან წლებში: სამხედრო-პოლიტიკური არეულობიდან სამშვიდობო ძალების განთავსებამდე 156

1.2. კოსოვო 1999 წლის შემდეგ 167

§2. აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი XX ს. 90-იან – XXI ს. 10-იან წლებში 174

2.1. აფხაზეთი XX ს. 90-იან წლებში 174

2.2. ცხინვალის რეგიონი XX ს. 90-იან წლებში..... 185

2.3. აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი XXI ს. დასაწყისში. 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები 189

2.4. აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი XXI ს. 10-იან წლებში 210

§3. კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი: საერთო და განმასხვავებელი ტენდენციები XX საუკუნის 90-იან – XXI საუკუნის 10-იან წლებში 213

დასკვნა 228

გამოყენებული ლიტერატურის სია 252

შესავალი

XX საუკუნის დასასრული მსოფლიო პოლიტიკის არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლა, რომელსაც მოჰყვა თხუთმეტი ახალი სახელმწიფოს გაჩენა მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე და მმართველი რეჟიმების ცვლილება აღმოსავლეთ ევროპის „სახალხო დემოკრატიის“ ქვეყნებში.

მიუხედავად საბჭოთა იმპერიის არსებობის დასასრულისა, მისი სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციისთვის პოსტსაბჭოთა სივრცეში საკუთარი გავლენის შენარჩუნება საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს ვექტორად იქცა. აღნიშნული მიზნის შესასრულებლად კრემლი დღემდე განაგრძობს უკვე კარგად მოძველებული იმპერიული მეთოდების გამოყენებას. ამ მეთოდების ერთ-ერთ ყველაზე მკაფიო და თვალსაჩინო გამოვლინებას წარმოადგენს საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში – აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში – საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული და ორგანიზებული მოვლენები, რაც ჩვენი ქვეყნისთვის 1991 წელს გამოცხადებული დამოუკიდებლობისა და შემდგომში დასავლური ორიენტაციის აღების ერთგვარ პოლიტიკურ საფასურს წარმოადგენს.

სსრკ-ს მსგავსად, 1991 წელს არსებობა შეწყვიტა ექვსი ქვეყნისგან (ხორვატია, სლოვენია, სერბეთი, მაკედონია, მონტენეგრო და ბოსნია-ჰერცოგოვინა) შემდგარმა იუგოსლავიის ფედერაციამაც, რომლის ტერიტორიაც, ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიის მსგავსად, არაერთი კონფლიქტის ასპარეზად იქცა. მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კოსოვოს კონფლიქტი სერბებსა და ალბანელებს შორის.

2008 წლის 17 თებერვალს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ, უშიშროების საბჭოს დასტურის გარეშე, გამოცხადდა კოსოვოს დამოუკიდებლობა. აღნიშნული ფაქტი მორიგ „განხეთქილების ვაშლად“ იქცა რუსეთსა და დასავლეთს შორის. ბალკანური ქრისტიანობის ისტორიული „მფარველის“ – კრემლისთვის კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება პირდაპირ უკავშირდებოდა საკუთარი გავლენის შესუსტებას და, შესაბამისად, დასავლური პოლიტიკური გავლენის ზრდას ბალკანეთის რეგიონში. მოსკოვში დაიწყო დასავლეთისთვის კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საპასუხო გეგმების შემუშავება, რაშიც კრემლმა წარმატებით გამოიყენა აფხა-

ზეთსა და ცხინვალის რეგიონში შექმნილი ვითარება.

ამერიკელი დიპლომატისა და პოლიტიკური ანალიტიკოსის რონალდ ასმუსის მიხედვით, კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მხოლოდ ოთხი დღის შემდეგ ვლადიმირ პუტინისა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრისას, პუტინმა ფაქტობრივად პირდაპირ განაცხადა რუსული გეგმების შესახებ საქართველოში. იგი საქართველოს პრეზიდენტს შემდეგნაირად დაემუქრა: *„აუცილებელია რეაგირება იმაზე, რაც ევროპამ კოსოვოში მოიმოქმედა; ჩვენ მუდმივად ვფიქრობთ, როგორ მივუდგეთ ამ საკითხს და თქვენც გაითვალისწინეთ, რა წნეხს განვიცდით ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მხრიდან – როგორღაც ხომ უნდა გამოვეხმაუროთ მათ მხარდაჭერას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის მიმართ... არ გვესმის, რატომ წამოიწყო ამერიკამ ევროპის ისლამიზაციის კამპანია – მას მერე, რაც ალბანელებმა თავისი გაიტანეს, მეტსაც მოინდომებენ და ახლა მაკედონიასაც მისდგებიან! ხომ გესმით, რომ კოსოვოს შემდეგ, დასავლეთს უპასუხოდ ვერ დავტოვებთ – მართალია, ვწუხვარ, მაგრამ თქვენც ამ პასუხის ნაწილად მოიაზრებით...“*.[1] ამ სიტყვებიდან ექვსი თვის შემდეგ, 2008 წლის აგვისტოში საქართველოში ომი დაიწყო.

პუტინის თქმით, კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით დასავლეთმა „პანდორას ყუთი“ გახსნა: „რა უნდა ვუპასუხოთ კავკასიის ხალხებს? რატომ არის შესაძლებელი კოსოვოსთვის დამოუკიდებლობის მოპოვება და რატომ არ არის შესაძლებელი ეს აქ?“.[2] ამგვარად, დასავლეთისთვის პასუხის გაცემის მიზნით, რუსეთმა სერბეთის ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის „დაცვა“ ქართული სახელმწიფოს იმავე პრინციპების შელახვის ხარჯზე სცადა.[3]

აღნიშნული ფაქტებისა და იმის გათვალისწინებით, რომ „მუდამ არსებობს რუსული შეხედულება ვითარებაზე“,[4] ცხადი ხდება, თუ რამდენად „მოხერხებულად“ გამოიყენა რუსეთმა კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ფაქტი პოსტსაბჭო-

---

[1] **რონალდ დ. ასმუსი.** მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა. საქართველო, რუსეთი და დასავლური სამყაროს მომავალი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010, გვ. 115.

[2] В. Путин: Почему Косово можно получить независимость, а Абхазии и Осетии нельзя? http://www.nedelia.lt/world/4996-v.putin-pochemu-kosovo-mozhno-poluchit.html. უკანასკნელად ნანახია 01.02.2019.

[3] აღსანიშნავია, რომ რუსეთი იმავე რიტორიკას მიმართავდა უკრაინის კრიზისის დროსაც. იხ.: Если можно Косово, почему нельзя Донбассу? http://www.politnavigator.net/esli-mozhno-kosovo-pochemu-nelzya-donbassu.html. უკანასკნელად ნანახია 01.02.2019.

[4] “There’s always a Russian way to look at a situation.” **Peter Pomerantsev.** Yes, Russia Matters: Putin’s Guerilla Strategy. / *World Affairs*, Vol. 177, Issue 3, September-October 2014, გვ. 16.

თა სივრცეში საკუთარი გავლენის გაფართოებისთვის.

საკვლევი თემის მიზანი. საკვლევი თემის მიზანია სხვადასხვა სახის დოკუმენ-ტური წყაროებისა და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე წარმოვა-ჩინოთ კოსოვოს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ისტორიული წარსულის შე-დარებითი ანალიზი. კვლევა იმისა, თუ როგორ იცვლებოდა ისტორიული ვითარება ბალკანეთსა და კავკასიაში და რა პოლიტიკური და გეოპოლიტიკური ფაქტორები განაპირობებდნენ ამ ცვლილებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის მიზანია ჩვენება იმისა, თუ რამდენად განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე, როდესაც ვსაუბრობთ კოსოვოსა და საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში შექმნილ ვითარებაზე დღეს. პარალელურად, ნაშრომის მთავარ მიზნად რჩება რუსუ-ლი ნარატივის საწყისების კვლევა აღნიშნულ კონფლიქტებთან მიმართებაში და ჩვე-ნება იმისა, თუ რამდენად დაშორებულია ეს ნარატივი ჭეშმარიტ მეცნიერულ ხედვას.

ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოები. კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქ-ტური რეგიონების ისტორიულ-შედარებითი ანალიზის კვლევა მთელ რიგ ქრონო-ლოგიურ თავისებურებებთან არის დაკავშირებული. ცხადია, აღნიშნულმა საკითხმა აქტუალობა სწორედ 2008 წელს კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ შეიძინა და, შესაბამისად, საკვლევ საკითხთან მიმართებაში ყველაზე აქტუალური პოსტსაბჭოთა და თანამედროვე პოლიტიკური კონტექსტია, თუმცა საკითხის სიღრ-მისეული კვლევა წარმოუდგენელია ისტორიული წიაღსვლების გარეშე მთელ რიგ საკვანძო ისტორიულ საკითხებთან მიმართებაში. ამგვარად, საკითხის ისტორიულ-შედარებითი ანალიზის ჭრილში გაშუქების მიზნით, ნაშრომში კოსოვოსა და საქართ-ველოს თანამედროვე კონფლიქტური რეგიონების ისტორია უძველესი დროიდან დღემდე იყოფა რამდენიმე ძირითად პერიოდად.

ნაშრომის მეთოდოლოგიური ბაზა. გამომდინარე კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩოებიდან, სადისერტაციო ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძვლის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია ისტორიზმის პრინციპი, რომელიც საშუალებას გვაძლევს საკითხი შევისწავლოთ სხვადასხვა ისტორიული მოვლენების დინამიკაში.

საკითხის კვლევის გამოყენებულ იქნა ისტორიული შემეცნების მეთოდი, რეტ-როსპექტული, კომპლექსური და შედარებითი (კომპარატივისტული) ანალიზი. წყარო-

ებსა და დოკუმენტებთან მუშაობისას, გამოყენებულია ზოგადად აღიარებული მეთოდიკა: მათი გამოვლენა, შერჩევა და მოცემული ფაქტების ნამდვილობის დადგენა და გადამოწმება სხვა წყაროებით.

კვლევის ფარგლებში, განსაკუთრებით ახალსა და უახლეს პერიოდებზე მუშაობისას, ნაშრომში გამოყენებულია პოლიტიკურ მეცნიერებაში პოპულარული მეთოდები: კონტენტ-ანალიზი, ინტენტ-ანალიზი, ივენთ-ანალიზი, კოგნიტური კარტირების მეთოდი.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს პირველ მონოგრაფიულ გამოკვლევას ისტორიოგრაფიაში, რომელშიც, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენაზე არსებულ საისტორიო მასალებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, მოცემულია კოსოვოსა და საქართველოს სეპარატისტული რეგიონების (აფხაზეთი, ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“) ისტორიულ-შედარებითი ანალიზი და წარმოჩენილია მათი საერთო და განმასხვავებელი ისტორიული მახასიათებლები. ესაა ნაშრომის მთავარი სიახლე. გარდა ამისა, ნაჩვენებია აღნიშნული კონფლიქტების მიმართ თანამედროვე რუსული პოლიტიკური შეხედულების უსაფუძვლობა.

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავალი ნაწილის, ოთხი თავის (პირველი, მეორე და მესამე თავები იყოფა ოთხ პარაგრაფად, ხოლო მეოთხე თავი იყოფა სამ პარაგრაფად) და დასკვნისგან. მას თან ერთვის გამოყენებული წყაროების, დოკუმენტური მასალისა და ლიტერატურის ჩამონათვალი.

ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა. სადისერტაციო ნაშრომის წყაროთმცოდნეობით ბაზას წარმოადგენს კოსოვოს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების ისტორიის შესახებ დღეისათვის ხელმისაწვდომი ისტორიული წყაროები და დოკუმენტები და პოლიტიკური მოღვაწეების მემუარები თუ დღიურები.

კოსოვოს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების ისტორიული წარსულის აღდგენის მიზნით, ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი ისტორიული წყაროები: ქართლის ცხოვრება,[1] ფლავიუს არიანეს „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“,[2]

---

[1] *ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, 1955; ტ. II. თბილისი, 1959.

[2] **ფლავიუს არიანე.** მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. წიგნში: უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ. წიგნი II. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეჭაღმაძისა. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1961. ელექტრონული ვერსია იხ.: http://dspace.gela.org.ge/ bitstream/123456789/5120/1/mogzauroba%20shavi%20zgvis%20garshemo.pdf.

ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“,[1] „გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში“,[2] ჯოვანი და ლუკას „რელიგია და ეკლესია აფხაზეთში“,[3] არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“,[4] მიქაელ ატალიატეს „ისტორია“,[5] დიონ კასიუსის „რომის ისტორია“,[6] ანა კომნენეს „ალექსიადა“[7] და ა.შ.

კოსოვოს ისტორიის შესახებ დღეისათვის ხელმისაწვდომი ისტორიული წყაროებისა და დოკუმენტების ვრცელი არქივი მოცემულია ბრიგემ იანგის უნივერსიტეტის (იუტას შტატი, აშშ) ელექტრონულ გვერდზე: https://eudocs.lib.byu.edu/index.php/History_of_Kosovo:_Primary_Documents. აღნიშნული დოკუმენტების დიდი ნაწილი სწორედ წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში შემოდის ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში.

აფხაზეთისა და შიდა ქართლის რეგიონის, ისევე, როგორც მთელი კავკასიის კვლევის მიმართულებით, უაღრესად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები“.[8]

საყურადღებოა მკვლევარ აპოლონ თაბუაშვილის ნაშრომი „ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი)“,[9] რომელიც საარქივო მასალებზეა აგებული და მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ამ პერიოდში, ცხინვალის რეგიონში არსებული დემოგრაფიული სურათის შესახებ.

საინტერესოა ასევე ა. განინის ნაშრომი: „საბჭოთა სამხედრო დაზვერვა საქართველოში 1920-1921 წლებში. პაველ სიტინის მისია“,[10] რომელიც მთლიანად საარქივო

---

[1] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბილისი, 1973.

[2] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. II. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბილისი, 1964.

[3] **ჯოვანი და ლუკა.** რელიგია და ეკლესია აფხაზეთში. წიგნში: ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში. ტ. III. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987.

[4] **დონ არქანჯელო ლამბერტი.** სამეგრელოს აღწერა. თარგმანი იტალიურიდან ა. ჭყონიასი. მეორე გამოცემა. ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით. თბილისი, 1938.

[5] **Michael Attaleiates.** The History. Translated by Anthony Kaldellis and Dimitris Krallis. Cambridge, MA: Harvard University Press, 2012.

[6] **Cassius Dio.** Roman History. Epitome of Book LXIX. იხ.: http://penelope.uchicago.edu/Thayer/e/roman/texts/cassius_dio/69*.html.

[7] **Anna Comnena.** The Alexiade. Book II. Translated by Elizabeth A.S. Dawes. Byzantine Series. Cambridge, Ontario, 2000. ელექტრონული ვერსია იხ.: https://www.yorku.ca/inpar/alexiad_dawes.pdf.

[8] *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссіею.* В 12 томах. Тифлис, 1866-1904.

[9] **აპოლონ თაბუაშვილი.** ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდინარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი). თბილისი: „მერიდიანი“, 2013.

[10] **А. В. Ганин.** Советская военная разведка в Грузии в 1920-1921 годах. Миссия Павла Ситина. / *Государственное управление.* Электронный вестник. Выпуск №43, Апрель 2014, გვ. 207-251.

მასალებზეა აგებული და უძვირფასეს ცნობებს გვაწვდის საქართველოს რესპუბლიკის მიმართ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკური მიზნების შესახებ.

იუგოსლავიის მასშტაბით, ალბანური ფაქტორის კვლევის მიმართულებით მნიშვნელოვანია 2006 წელს გამოცემული რუსულენოვანი დოკუმენტების კრებული: „ალბანური ფაქტორი ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე კრიზისის განვითარებაში. დოკუმენტები (1878-1997)“.[1] XX საუკუნის შუა ხანებში ბალკანეთში მიმდინარე მოვლენების კვლევის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია 1998 წელს გამოცემული კიდევ ერთი რუსულენოვანი დოკუმენტების კრებული: „აღმოსავლეთ ევროპა რუსულ საარქივო დოკუმენტებში“.[2] ორივე კრებულში მოცემულია მნიშვნელოვანი მასალა კოსოვოს ისტორიული წარსულის კვლევის თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ ამ დოკუმენტების უმეტესობა წინამდებარე დისერტაციის ფარგლებში, ასევე პირველად შემოდის ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში.

აღნიშვნის ღირსია ასევე რეგიონალიზმის კვლევის ცენტრის მიერ 2002-2004 წლებში შედგენილი დოკუმენტების კრებულები, რომელიც თამაზ დიასამიძის რედაქტორობით გამოიცა და ძვირფას წყაროს წარმოადგენს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის ყველა მკვლევარისთვის. პირველ კრებულში თავმოყრილია 1917-1988 წლების პერიოდში ხელმისაწვდომი დოკუმენტები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტებთან დაკავშირებით,[3] ხოლო მეორე კრებული აერთიანებს 1989-დან 2011 წლამდე გამოცემულ დოკუმენტებს.[4]

მეორე მსოფლიო ომის დასრულების პერიოდში, საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის არსებულ ურთიერთობებსა და პოლიტიკურ გეგმებს ეხება იუგოსლავი კომუნისტი მილოვან ჯილასი თავის მემუარული ტიპის ნაშრომში: „საუბრები სტალინთან“.[5] ნაშრომში საუბარია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ალბანეთის იუგოს-

---

[1] Албанский фактор в развитии кризиса на территории бывшей Югославии. Документы. Т. 1 (1878-1997). Москва: Индрик, 2006.

[2] *Восточная Европа в документах Росиийских архивов. 1944-1953.* Т. 2. Москва–Новосибирск, 1998.

[3] აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. შემდგენელი და მთავარი რედაქტორი ***თამაზ დიასამიძე.*** თბილისი, 2004.

[4] რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2001). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი ***თამაზ დიასამიძე***. რეგიონალიზმი კვლევის ცენტრი. თბილისი, 2002.

[5] **Milovan Djilas.** Conversations with Stalin. New York: Harcourt Brace and Company, 1990.

ლავიის ფედერაციაში გაწევრიანების გეგმებზე და ასევე 1948 წლის იუგოსლავიასა და საბჭოთა კავშირს შორის მომხდარი განხეთქილების მიზეზებზე.

1990-2000-იან წლებში კოსოვოს გარშემო შექმნილი ვითარების პოლიტიკური შეფასების კუთხით უაღრესად მნიშვნელოვანია აშშ-ს ორი სახელმწიფო მდივნის – მადლენ ოლბრაითისა (1997-2001) და კონდოლიზა რაისის (2005-2009) მემუარები.[1] ორივე ნაშრომი უძვირფასეს წყაროს წარმოადგენს საკითხით დაინტერესებული მკითხველისთვის, ვინაიდან მათში მეტნაკლებად ზუსტად არის აღწერილი აშშ-ს ადმინისტრაციის მკაფიო პოლიტიკური დამოკიდებულება კოსოვოს გარშემო შექმნილი კრიზისის მიმართ.

სამეცნიერო ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა. კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტური რეგიონების ისტორიული წარსულის შესახებ არაერთი სტატია თუ წიგნი მომზადებულა. საკითხის შესწავლა განსაკუთრებით აქტუალური გახდა 2008 წელს კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ.

კოსოვოს ისტორიული წარსულის კვლევის თვალსაზრისით აღსანიშნავია ისეთი რუსულენოვანი ნაშრომები, როგორიც არის ელენა გუსკოვას წიგნი: „იუგოსლავიის კრიზისის ისტორია (1990-2000)“,[2] ასევე ა. მანაჩინსკისა და დ. დენისოვის წიგნი: „კოსოვო და მეტოხია: ავტონომიასა და სეპარატიზმს შორის. ისტორია და თანამედროვეობა“.[3] აღნიშნული ნაშრომები საკმაოდ მაღალ პოლიტიკურ მუხტს ატარებენ, რაც წარმოდგენას გვიქმნის ზოგადად რუსული პოლიტიკური აზრის შესახებ კოსოვოს კონფლიქტისა და ისტორიული წარსულის მიმართ.

საყურადღებოა ასევე ოქსანა ანტონენკოს ჯერ კიდევ 2007 წელს გამოცემული ნაშრომი: „კოსოვოს დამოუკიდებლობა. რატომ არის რუსეთი წინააღმდეგი?“.[4] ავტორი ფართოდ მიმოიხილავს და აანალიზებს რუსეთის დამოკიდებულებას კოსოვოში მიმდინარე მოვლენებისადმი ჯერ კიდევ დასავლეთის მიერ კოსოვოსთვის დამოუკიდებლობის მინიჭებამდე.

---

[1] **Madeleine Albright.** Madam Secretary: A Memoir. New York: Harper Perennial, 2003; **Condoleezza Rice.** No Higher Honor. A Memoir of My Years in Washington. New York: Crown Publishers, 2011.

[2] **Е. Гуськова.** История югославского кризиса (1990-2000). Москва: «Алгоритм», 2001.

[3] **А. Я. Маначинский, Д. О. Денисов.** Косово и Метохия: Между автономией и сепаратизмом. История и современность. Москва–Пушкино: Центр стратегической конъюнктуры, 2014.

[4] **О. Антоненко.** Независимость Косово. Почему Россия против? / *Russie.Nei. Visions*, № 21, 2007.

ანტონენკოს თქმით, სერბეთის დამარცხება რუსეთში თავად რუსეთის დამარცხებად აღიქმებოდა, რადგან მოსკოვი სიმპათიებით იყო განწყობილი სლობოდან მილოშევიჩის მიმართ.[1] ავტორი დასძენს, რომ რუსული მხარე, სერბეთთან ისტორიული მეგობრობის ფონზე, კოსოვოს კონფლიქტში სერბეთის სახელმწიფოს პასუხისმგებლობას ვერ ხედავდა. კრემლის გადმოსახედიდან, კონფლიქტის ესკალაცია სწორედ NATO-ს სამხედრო მოქმედებებმა განაპირობა.[2]

კრემლის აღნიშნულ პოზიციას, ავტორის თქმით, განაპირობებდა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული ტერიტორიული მთლიანობის ხელუხლებლობის პრინციპი,[3] ხოლო საკითხისადმი რუსული მმართველი წრეების აღნიშნული დამოკიდებულების მთავარ მიზეზად ავტორი ასახელებს NATO-ს სამხედრო მოქმედებებს ბალკანეთში, რომელიც მიმდინარეობდა ალიანსის გავლენის ტერიტორიის მიღმა, გაერო-ს მანდატის გარეშე.[4]

კოსოვოს ისტორიის შესახებ ინგლისურენოვანი ნაშრომებიდან საყურადღებოა სიუზან ვუდუორდის „ბალკანური ტრაგედია: ქაოსი და ნგრევა ცივი ომის შემდგომ“,[5] მირანდა ვიკერსის „სერბებსა და ალბანელებს შორის: კოსოვოს ისტორია“,[6] ასევე ტიმ ჯუდას წიგნები: „სერბები: ისტორია, მითი და იუგოსლავიის განადგურება“[7] და „კოსოვო: ის, რაც ყველამ უნდა იცოდეს“.[8] ჯუდას წიგნები საკმაოდ მნიშვნელოვანია საკვლევი საკითხით დაინტერესებული მკითხველისთვის, როგორც ინფორმაციული, ასევე ანალიტიკური თვალსაზრისით.

კოსოვოს ისტორიის შესახებ ქართულენოვანი ნაშრომებიდან აღსანიშნავია გურამ ჩიქოვანის ნაშრომი: „კოსოვოს პრობლემა და მუსლიმური სამყარო“,[9] რომელშიც, კოსოვოში კონფლიქტის ისტორიული წინაპირობების მოკლე ანალიზის შემდეგ, ავ-

---

[1] **О. Антоненко.** Независимость Косово. Почему Россия против, გვ. 8.
[2] **О. Антоненко.** Независимость Косово. Почему Россия против, გვ. 12.
[3] **О. Антоненко.** Независимость Косово. Почему Россия против, გვ. 16.
[4] **О. Антоненко.** Независимость Косово. Почему Россия против, გვ. 10.
[5] **Susan L. Woodward.** Balkan Tragedy: Chaos and Dissolution after the Cold War. Washington, DC: Brookings Institution Press, 1995.
[6] **Miranda Vickers.** Between Serb and Albanian. A History of Kosovo. New York: Columbia University Press, 1998.
[7] **Tim Judah.** The Serbs: History, Myth and the Destruction of Yugoslavia. 2nd ed. New Haven, CT: Yale University Press, 2000.
[8] **Tim Judah.** Kosovo. What everyone needs to know. Oxford University Press, 2008.
[9] **გურამ ჩიქოვანი.** კოსოვოს პრობლემა და მუსლიმური სამყარო. / *პერსპექტივა XXI.* ტ. 2. ისტორია, პოლიტოლოგია, კულტუროლოგია. თბილისი, 1999.

ტორი მიმოიხილავდა იმ პერიოდისთვის ახლო აღმოსავლეთის მუსლიმური ქვეყნების დამოკიდებულებას ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე NATO-ს საჰაერო მოქმედებებისადმი.

კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებას გამოეხმაურა მკვლევარ ფატი შეყლაშვილის 2008 წელს გამოქვეყნებული სტატია: „კოსოვო – გადაჭრილი პრობლემა თუ ახალი კრიზისის დასაწყისი“.[1] ავტორი ეხმაურება კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ფაქტს და გვთავაზობს კოსოვოს კონფლიქტის ისტორიული წარსულის მოკლე მიმოხილვას. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია კოსოვოს პრეცედენტის მნიშვნელობაზე თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკისთვის და კონკრეტულად საქართველოსთვის.

ფატი შეყლაშვილის შრომებზე საუბრისას, ზოგადად უნდა აღინიშნოს თავად ავტორის კვლევის სფერო და ინტერესი, რომელსაც ბალკანეთის რეგიონამდე მივყავართ. 2009 წელს გამოიცა ფატი შეყლაშვილის მონოგრაფია: „გერმანიის ექსპანსია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში XX ს-ის 30-იან წლებში და მეორე მსოფლიო ომის პერიოდში“.[2] ამასთან ერთად, ჯერ კიდევ 2008 წელს კრებულში: „საისტორიო ვერტიკალები“ გამოქვეყნდა მისი სტატია: „სერბების, ხორვატებისა და სლოვენების სამეფოს შექმნის საკითხისათვის“.[3] ამ ნაშრომში ავტორი კონკრეტულად კოსოვოს კონფლიქტის ისტორიას არ ეხება, თუმცა მისი კვლევის სფეროს წარმოადგენს იუგოსლავიის სამეფოს შექმნის პოლიტიკური და გეოპოლიტიკური ფაქტორები პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ევროპაში, რაც, თავის მხრივ, კოსოვოს კონფლიქტის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისთვის საინტერესო ნაშრომს წარმოადგენს ინფორმაციული თვალსაზრისით.

2015 წელს გამოქვეყნდა ფატი შეყლაშვილის კიდევ ერთი ნაშრომი: „კოსოვოს სერბების საკითხი მეორე მსოფლიო ომის დროს“.[4] აღნიშნული ნაშრომი მეტად საინ-

---

[1] **ფატი შეყლაშვილი.** კოსოვო – გადაჭრილი პრობლემა თუ ახალი კრიზისის დასაწყისი. / *საისტორიო ვერტიკალები*, № 16. თბილისი, 2008.

[2] **ფატი შეყლაშვილი.** გერმანიის ექსპანსია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში XX ს-ის 30-იან წლებში და მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. თბილისი: „უნივერსალი“, 2009.

[3] **ფატი შეყლაშვილი.** სერბების, ხორვატებისა და სლოვენების სამეფოს შექმნის საკითხისათვის. / *საისტორიო ვერტიკალები*, № 14. თბილისი, 2008.

[4] **ფატი შეყლაშვილი.** კოსოვოს სერბების საკითხი მეორე მსოფლიო ომის დროს. / *საისტორიო ძიებანი*, წელიწდეული. XII. თბილისი, 2013-2015.

ტერესო ხასიათს ატარებს უშუალოდ კოსოვოს კონფლიქტის ისტორიის კვლევის მიმართულებით ქართულ საისტორიო მეცნიერებაში. ავტორის ყურადღების ცენტრში ექცევა 1930-40-იან წლებში ბალკანეთში განვითარებული პოლიტიკური მოვლენები, რომელთაც კოსოვოელი ალბანელების დაწინაურებას შეუწყო ხელი კონფლიქტურ რეგიონში. ქართულსა და რუსულენოვან სამეცნიერო ლიტერატურასთან ერთად, ნაშრომში გამოყენებულია გერმანულენოვანი ლიტერატურა, რაც სტატიას ინფორმაციულ ღირებულებას ჰმატებს.

აფხაზეთის ისტორიის შესახებ უნდა აღინიშნოს 2003-2007 წლებში გამოცემული პროფ. ზურაბ პაპასქირის ორტომეული „ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან“.[1] ნაშრომში ავტორი გვთავაზობს აფხაზეთის ისტორიის საკვანძო საკითხების ფუნდამენტურ კვლევას, რაც, თავის მხრივ, ნათელს ჰფენს თანამედროვე ქართული და აფხაზური სეპარატისტული ისტორიოგრაფიის რიგ სადაოსადისკუსიო საკითხებს. ყურადღებას იმსახურებს პროფ. ზურაბ პაპასქირის ნაშრომი: „აფხაზეთი. ისტორია ფალსიფიკაციის გარეშე“.[2]

საყურადღებოა ასევე ჯემალ გამახარიასა და ბადრი გოგიას მიერ ჯერ კიდევ 1997 წელს გამოცემული წიგნი: „აფხაზეთი – საქართველოს ისტორიული მხარე. (ისტორიოგრაფია, დოკუმენტები და მასალები, კომენტარები). უძველესი დროიდან XX საუკუნის 30-იან წლებამდე“.[3] ამ ფუნდამენტურ ნაშრომში ავტორები დიდძალ დოკუმენტურ მასალას უყრიან თავს საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ისტორიული წარსულის შესახებ. წიგნი უაღრესად ინფორმაციულია და მაღალი სამეცნიერო ღირებულება გააჩნია საკითხით დაინტერესებული მკითხველისთვის.

აფხაზეთის ისტორიის შუა საუკუნეებისა და გვიანი შუა საუკუნეების საკითხებს საინტერესოდ ეხება ბეჟან ხორავა ნაშრომში „აფხაზეთის სამთავროს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების საკითხისათვის გვიან შუა საუკუნეებში“.[4] ამასთან

---

[1] **ზურაბ პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I. უძველესი დროიდან 1917 წლამდე. თბილისი: „მერიდიანი“, 2003; **ზურაბ პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. II. 1917-1993. თბილისი: „მერიდიანი“, 2007.

[2] **З. В. Папаскири.** Абхазия. История без фальсификации. Тбилиси, 2010.

[3] **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – Историческая область Грузии (Историография, документы и материалы, комментарии). С древнейших времён до 30-х годов XX века. Тбилиси, 1997.

[4] **ბეჟან ხორავა.** აფხაზეთის სამთავროს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების საკითხისათვის გვიან შუა საუკუნეებში. / „არტანუჯი“, №10. თბილისი, 2000, გვ. 25-32.

ერთად აღსანიშნავია ამავე პერიოდში აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხების მიმოხილვა აკაკი ჩიქობავას ნაშრომში „ოდიშ-აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიის რამდენიმე საკითხი ჯაკომო კანტელის 1689 წ. იტალიური რუკის მიხედვით“[1] და კახა კვაშილავას ნაშრომი: „კიდევ ერთხელ იმის შესახებ თუ როდის გახდა ენგური სასაზღვრო მდინარე“.[2]

საინტერესოა ზურაბ ანჩაბაძის ნაშრომი: „შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიიდან (VI-XVII)“,[3], ასევე დავით მუსხელიშვილის „აფხაზეთის ისტორიული სტატუსი ქართულ სახელმწიფოებრიობაში“[4] და გ. ლეჟავას „აფხაზეთი: ეროვნებათაშორისი დაძაბულობის ანატომია“.[5]

XX საუკუნის აფხაზეთის ისტორიის საკითხების კვლევის მიმართულებით აღსანიშნავია მკვლევარ დავით ჩიტაიას ნაშრომი: „აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. აფხაზეთის სახალხო საბჭო 1917-1921 წლებში“.[6] მასში ავტორი, საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით, გვთავაზობს საკმაოდ საინტერესო ანალიზს იმ მოვლენებისა, რომელთაც ადგილი ჰქონდა საქართველოს პირველ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიასთან მიმართებით.

საყურადღებოა ასევე დაზმირ ჯოჯუას კვლევა: „აფხაზეთი 1938-2006 წლებში: რეგიონალური ისტორიული პროცესის ასპექტები“,[7] რომელშიც ავტორი გვთავაზობს აფხაზეთის XX საუკუნის საკვანძო ისტორიული ასპექტების მიმოხილვას.

საინტერესოა ასევე ქართველ მეცნიერ-მკვლევართა მიერ გამოცემული ინგლისურენოვანი ნაშრომები, რომელთაგან საყურადღებოა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მიერ გამოცემული კრებული: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აფხაზეთი. უძველესი დროიდან დღემდე“ – ჯემალ

---

[1] **აკაკი ჩიქობავა.** ოდიშ-აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიის რამდენიმე საკითხი ჯაკომო კანტელის 1689 წ. იტალიური რუკის მიხედვით. / *საისტორიო ძიებანი,* წელიწდეული, VIII-IX, თბილისი, 2006, გვ. 150-162.

[2] **Каха Квашилава.** Ещё раз о том, когда стала река Энгури «пограничной» рекой. / *საისტორიო ძიებანი,* წელიწდეული, XII. თბილისი, 2013-2015, გვ. 120-157.

[3] **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.). Сухуми, 1959.

[4] **Д. Л. Мусхелишвили.** Исторический статус Абхазии в Грузинской государственности. წიგნში: *«Разыскания по истории Абхазии/Грузия».* Тбилиси, 1999, გვ. 115-154.

[5] **Г. Лежава.** Абхазия: Анатомия межнациональной напряжённости. Москва, 1999.

[6] **დავით ჩიტაია.** აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. აფხაზეთის სახალხო საბჭო 1917-1921 წლებში. თბილისი, 2006.

[7] **დაზმირ ჯოჯუა.** აფხაზეთი 1938-2006 წლებში: რეგიონალური ისტორიული პროცესის ასპექტები. თბილისი, 2009.

გამახარიას, თამაზ ბერაძისა და თეიმურაზ გვანცელაძის რედაქტორობით.[1] კრებული ეხება აფხაზეთის ისტორიული წარსულის საკვანძო საკითხებს, რომელთა შესახებაც ინგლისურენოვანი მკითხველი, ჩვეულებრივ ნაკლებად არის ინფორმირებული. სწორედ ამიტომ, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ქართული მხრიდან გაშუქების თვალსაზრისით, კრებულს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. აღსანიშნავია, ასევე 2015 წელს გამოცემული კრებული: „საერთაშორისო საზოგადოების ვერდიქტი აფხაზეთის ტრაგედიის შესახებ",[2] რომლის მთავარი რედაქტორი ასევე ჯემალ გამახარიაა.

აფხაზი სეპარატისტი ისტორიკოსების შრომებიდან აღსანიშნავია სტანისლავ ლაკობასა და ოლეგ ბღაჟბას ნაშრომი „აფხაზეთის ისტორია. უძველესი დროიდან დღემდე",[3] ასლან ავიძბას „აფხაზეთი და საქართველო: ხვალ იყო ომი (აფხაზურ-ქართული ურთიერთობების შესახებ 1988-1992 წლებში)",[4] იგორ მარიხუბას „აბაზგური (აფხაზური) დამწერლობის შესახებ".[5]

ამ მხრივ ცალკე აღნიშვნის ღირსია ბრიტანელი მკვლევრის, ჯორჯ ჰიუიტის რედაქტორობით ჯერ კიდევ 1999 წელს გამოცემული სტატიათა კრებული: „აფხაზები. ცნობარი",[6] რომელშიც წარმოდგენილია ისეთ ავტორთა სტატიები, როგორებიც არიან: რომან დბარი, ვიაჩესლავ ჩირიკბა, გიორგი შამბა, ოლეგ ბღაჟბა, სტანისლავ ლაკობა, ვიქტორ პოპკოვი, იური ანჩაბაძე, ვასილი ავიძბა და ა.შ. კრებული გაჟღენთილია ანტიქართული სულისკვეთებით და ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს მკვეთრად სეპარატისტულ-აფხაზური კუთხით წარმოგვიდგენს.

ცხინვალის კონფლიქტური რეგიონის ისტორიის საკითხების მიმოხილვისას საყურადღებოა ოსთა საქართველოს ტერიტორიაზე განსახლების ისტორიულ-ეთნოლოგიური კვლევა, რომელსაც პროფ. როლანდ თოფჩიშვილი გვთავაზობს საკუთარ ნაშრომებში: „ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი"[7] და

---

[1] *Assays from the History of Georgia.* From Ancient Times till the Present Days. Edited by **J. Gamakharia. T. Beradze. T. Gvantseladze.** Tbilisi, 2011.

[2] *International Society to bring a Verdict on the Tragedy of Abkhazia/Georgia.* Edited by Jemal Gamakharia. Tbilisi, 2015.

[3] **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии. С древнейших времён до наших дней. Сухуми, 2015.

[4] **А. Авидзба.** Абхазия и Грузия: Завтра была война (О Абхазо-Грузинских отношениях в 1988-1992 годы). Сухуми, 2012.

[5] **И. Марыхуба.** Об Абазгской (Абхазской) письменности. Сухуми, 2016.

[6] *The Abkhazians.* A Handbook. Edited by **G. Hewitt.** Palgrave MacMillan, 1999.

[7] **როლანდ თოფჩიშვილი.** ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი. თბილისი, 2008. იხ.: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/4801/1/Tofchishvili_Roland.pdf.

„საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები“.[1] ამ კუთხით, ასევე აღსანიშნავია ანზორ თოთაძის ნაშრომი: „ოსები საქართველოში. მითი და რეალობა“.[2]

აღსანიშნავია თემო ჯოჯუას „ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთი) ისტორიოგრაფია“,[3] მარიამ ლორთქიფანიძის რედაქტორობით გამოცემული კრებული „შიდა ქართლი (ისტორიული ექსკურსი). ოსები საქართველოში“.[4]

XIX საუკუნის ქართულ-ოსურ ურთიერთობებსა და რუსეთის კოლონიალურ პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებაში ეხება მკვლევარი ალექსანდრე მღებრიშვილი ნაშრომში „რუსულ-ქართული ურთიერთობები და ქართველთა და ოსთა ერთობლივი ბრძოლა რუსული კოლონიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ კავკასიაში“.[5] ავტორის მიერ მოცემული საკითხის ისტორიული კვლევა ნათელს ჰფენს ქართველთა და ოსთა თანაცხოვრებისა და კონფლიქტის მთელ რიგ ასპექტებს XIX საუკუნის მანძილზე და გამოკვეთს იმ ტენდენციებს, რომელთაც ამ ორი ხალხის ურთიერთობაში ჰქონდა ადგილი.

ტერმინ „სამხრეთ ოსეთთან“ დაკავშირებული ისტორიული საკითხების მიმოხილვის თვალსაზრისით საინტერესოა სოლომონ ლეკიშვილის კვლევა: „როდის გაჩნდა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი?“,[6] რომელშიც ავტორი საკმაოდ საინტერესოდ წარმოაჩენს ავტონომიური ერთეულის ხელოვნურად შექმნის წინაპირობებს.

ამ კუთხით, უაღრესად საინტერესო და ღირებულია მკვლევარ ლევან თოიძის ნაშრომი: „როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“,[7] რომელშიც ავტორი

---

[1] **როლანდ თოფჩიშვილი.** საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები. თბილისი: „ლომისი“, 1997.

[2] **ანზორ თოთაძე.** ოსები საქართველოში. მითი და რეალობა. თბილისი: „უნივერსალი“, 2006.

[3] **Т. Джоджуа.** Историография Цхинвальксого региона (Южная Осетия). წიგნში: Историографический диалог вокруг непризнанных государств. Приднестровье, Нагорный Карабах, Армения, Южная Осетия и Грузия. Slavic Research Centre. Hokkaido University, 2007, გვ. 84-112.

[4] *Шида Картли (Исторический экскурс).* კრებულში: *Осетины в Грузии.* Сборник. Ред. **М. Лорткипанидзе**. Тбилиси: «Универсал», 2015.

[5] **ალექსანდრე მღებრიშვილი.** რუსულ-ქართული ურთიერთობები და ქართველთა და ოსთა ერთობლივი ბრძოლა რუსული კოლონიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ კავკასიაში. კრებულში: II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები: „ნართების ეპოსის კვლევის თანამედროვე პრინციპები და მეთოდოლოგია“. 13-15 ოქტომბერი. შრომების კრებული. თბილისი: „უნივერსალი“, 2016.

[6] **სოლომონ ლეკიშვილი.** როდის გაჩნდა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი?“ კრებულში: *ოსთა საკითხი.* კრებული. რედ. აკაკი ბაქრაძე და ომარ ჩუბინიძე. გორი: პითაგორა, 1996.

[7] **ლევან თოიძე.** როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. თბილისი, 1991.

საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით აღადგენს ავტონომიური ერთეულის შექმნის ისტორიულ სურათს და მკაფიოდ წარმოაჩენს საბჭოთა რუსეთის როლს ამ საქმეში.

აღნიშვნის ღირსია ასევე მკვლევარ შოთა ვადაჭკორიას წიგნი: „ოსური სეპარატიზმი და ქართული სინამდვილე (1917-1925)“.[1] ავტორი, საარქივო მასალებზე დაყრდნობით, გვთავაზობს 1917-1925 წლებში ცხინვალის რეგიონში განვითარებული მოვლენების სურათს და ანალიტიკურად მიმოიხილავს იმ პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც რეგიონში იმ დროისთვის საბჭოთა რუსეთის გამოისობით შეიქმნა. ნაშრომს ერთვის ავტორის მიერ შედგენილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რუკები.

საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ასევე ბორის კვარაცხელიას ნაშრომი: „რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი) და საერთაშორისო თანამეგობრობა“.[2]

საქართველოს ტერიტორიაზე ოსების განსახლებისა და ზოგადად თანამედროვე ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ რუსი ავტორების შრომებიდან აღსანიშნავია ვ. ზახაროვის, ა. არეშევის და ე. სემერიკოვას „აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი აღიარების შემდგომ: ისტორიული და თანამედროვე კონტექსტი“,[3] მიხაილ ლეონტიევისა და დიმიტრი ჟუკოვის „დამოუკიდებელი საქართველო: ბანდიტი ვეფხვის ტყავში“.[4]

სეპარატისტი ოსი ისტორიკოსების რუსულენოვანი შრომებიდან საყურადღებოა მარკ ბლიევის წიგნები: „ოსეთი XIX საუკუნის პირველ მესამედში“[5] და „სამხრეთ ოსეთი რუსულ-ქართული ურთიერთობების კოლიზიებში“,[6] ასევე კოსტა ძუგაევის „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა: ისტორია და თანამედროვეობა“.[7]

კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტური რეგიონების ისტორიულ-შედარებითი ანალიზის თვალსაზრისით აღსანიშნავია ალექსანდრე ორახელაშვილის ნაშრო-

---

[1] **შოთა ვადაჭკორია.** ოსური სეპარატიზმი და ქართული სინამდვილე (1917-1925). თბილისი, 2017.

[2] **ბორის კვარაცხელია.** რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი) და საერთაშორისო თანამეგობრობა. თბილისი, 2015.

[3] **В. А. Захаров, А. Г. Арешев, Е. Г. Семерикова.** Абхазия и Южная Осетия после признания: исторический и современный контекст. Москва, 2010.

[4] **М. Леонтьев, Д. Жуков.** «Независимая» Грузия: Бандит в тигровой шкуре. Москва, 2008.

[5] **М. Блиев.** Осетия в первой трети XIX века. Орджоникидзе, 1964.

[6] **М. Блиев.** Южная Осетия в коллизиях Российско-Грузинских отношений. Москва: «Европа», 2006.

[7] **К. Дзугаев.** Республика Южная Осетия: История и современность. წიგნში: Историографический диалог вокруг непризнанных государств. Приднестровье, Нагорный Карабах, Армения, Южная Осетия и Грузия. Slavic Research Centre. Hokkaido University, 2007, გვ. 61-83.

მი: „აფხაზეთის კონფლიქტი კოსოვოს კონფლიქტის ფონზე“.[1] ნაშრომი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის კონტექსტში, კოსოვოსა და აფხაზეთის კონფლიქტების შედარებითი ანალიზის კვლევის ერთ-ერთ პირველ მცდელობას. ავტორი ფართოდ მიმოიხილავს აღნიშნულ კონფლიქტების საერთაშორისო სამართლებრივ ასპექტებს და ხაზს უსვამდა ამ კონფლიქტების როლს საერთაშორისო პოლიტიკურ კონტექსტში. ამ კუთხით, მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს დასავლეთისა და რუსეთის ინტერესებზე კოსოვოსა და აფხაზეთის კონფლიქტებში და ნაშრომის დასაწყისშივე უსვამს ხაზს კოსოვოს კონფლიქტისადმი საერთაშორისო საზოგადოების უფრო ფართო ჩართულობას აფხაზეთის კონფლიქტთან შედარებით.[2]

ნაშრომი მიმოიხილავს სეცესიის შესაძლებლობასა და ლეგიტიმურობას იმ ეთნიკური ჯგუფების მიერ, რომლებიც ადამიანის უფლებათა მასიური დარღვევების მსხვერპლს წარმოადგენენ საერთაშორისო სამართლის მიხედვით. ამასთან ერთად, აანალიზებდა რა NATO-სა და დასავლეთის პოლიტიკას კოსოვოს მიმართ, ავტორი ასკვნიდა, რომ იმ დროისთვის ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის არცერთი დოკუმენტი არ იძლეოდა საფუძველს დასავლეთის მიერ კოსოვოსთვის დამოუკიდებლობის მინიჭების გადაწყვეტილების განსაჭვრეტად.[3] კონკრეტული ნაშრომის გამოქვეყნებიდან 17 წლის შემდეგ, აღნიშნული დასკვნა დიდ მნიშვნელობას იძენს კოსოვოს გარშემო იმდროინდელი პერსპექტივების ანალიზის კუთხით.

ამასთან ერთად, ავტორი საინტერესოდ აანალიზებს იმდროინდელი ქართული სახელმწიფოს პოზიციას იუგოსლავიაში NATO-ს სამხედრო ინტერვენციის მიმართ. ავტორის თქმით, NATO-ს სამხედრო ინტერვენციის გამართლება საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური წრეების მიერ მოხდა გარკვეულ ფაქტორებზე დაყრდნობით, როგორიცაა, მაგალითად, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვა, რაც გარკვეულ წრეებში მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნეოდა აფხაზეთიდან დევნილი ქართველი მოსახლეობის უფლებების აღდგენის თვალსაზრისით. ამასთან ერთად, ალექსანდრე ორახელაშვილი ორი კონკრეტული კუთხით აკრიტიკებს საქართველოს მაშინდელი მმართველი წრეების ამ გადაწყვეტილებას: 1. „საქართველოს

[1] **ალექსანდრე ორახელაშვილი.** აფხაზეთის კონფლიქტი კოსოვოს კონფლიქტის ფონზე. წიგნში: საქართველო და საერთაშორისო სამართალი (სტატიათა კრებული). თბილისი, 2001.
[2] **ალექსანდრე ორახელაშვილი.** აფხაზეთის კონფლიქტი კოსოვოს კონფლიქტის ფონზე, გვ. 82.
[3] **ალექსანდრე ორახელაშვილი.** აფხაზეთის კონფლიქტი კოსოვოს კონფლიქტის ფონზე, გვ. 92-93.

პოლიტიკურ წრეებს გამორჩათ, რომ დიდი მასშტაბის სამხედრო აქციების წამოწყება ხდება უპირატესად პოლიტიკური დაინტერესების გამო და არა ჰუმანიტარული მოსაზრებებით, თუმცა ადამიანის უფლებები შეიძლება ასეთი სანქციების საბაბად იქცეს"; და 2. „აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაზე ნატო-ს იუგოსლავიის წინააღმდეგ აქციის მეშვეობით, შესაძლო პრეცედენტის შექმნის თვალსაზრისით, მოხდა იმ გარემოებების იგნორირება, რომ ამა თუ იმ პოლიტიკური გადაწყვეტილების პრეცედენტული ღირებულება განისაზღვრება არა იმით, თუ ვინ ახორციელებს მას და ვინ სარგებლობს ამით, არამედ, უპირველესად, იმით, თუ რა პრინციპის შესაბამისად ხორციელდება ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება და რა ახალი პრინციპების დამკვიდრებას თუ არსებული პრინციპების რა წესითა და მოცულობით შეცვლას შეიძლება ხელი შეუწყოს ამ პოლიტიკურმა გადაწყვეტილებამ. იმის არგანჭვრეტა, თუ რა მოცულობით დააზიანებდა ნატო-ს აქცია იუგოსლავიის ტერიტორიულ მთლიანობას, უტოლდება იმის შეუფასებლობას, თუ რა ადგილი შეიძლება დაიკავოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევამ შეერთებული შტატებისა და ნატო-ს საგარეო-პოლიტიკურ ტრადიციაში, რომელიც სხვა მსგავსი ანალოგიური შემთხვევების გადაწყვეტისას უცილობლად თავს იჩენს. სამწუხაროდ, სწორედ ამის იგნორირებას ჰქონდა ადგილი საქართველოს პოლიტიკური წრეების მიერ".[1]

კოსოვოსა და აფხაზეთის კონფლიქტებს შორის, იმდროინდელი მოცემულობის მიხედვით, შედარებითი ანალიზისას ავტორი უფრო პერსპექტიულად მიიჩნევდა იუგოსლავიის პოზიციას კოსოვოსთან მიმართებაში, ვიდრე საქართველოს პოზიციას აფხაზეთთან მიმართებაში შემდეგი ფაქტორების გამო: 1. კოსოვოში ალბანური მოსახლეობა ითვლებოდა კონფლიქტის მსხვერპლად, მაშინ როდესაც აფხაზეთის ომის მსხვერპლი იყო ქართული მოსახლეობა; 2. იუგოსლავიის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება კოსოვოში დარჩენილ სერბებს თავისუფლად მიეცათ, მაშინ, როდესაც აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს საარჩევნო უბნების გახსნის საკითხს ავტორი მხოლოდ და მხოლოდ „ოცნების სფეროდ" მოიხსენიებდა; 3. კოსოვოში მდებარე სერბული ეკლესია-მონასტრების დაცვის გარანტად იმ დროს KFOR-ის ჯარები (NATO-ს კონტინგენტი) გვევლინებოდნენ, სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესია კოსოვოში მოქმედებდა და პატრიარქსაც ნებისმიერ დროს შეეძლო ამ მხარის

[1] **ალექსანდრე ორახელაშვილი.** აფხაზეთის კონფლიქტი კოსოვოს კონფლიქტის ფონზე, გვ. 93-94.

მონახულება, მაშინ როდესაც აფხაზეთში მდებარე ქართული ეკლესია-მონასტრების უსაფრთხოების გარანტიები არ არსებობდა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ვერანაირად ახორციელებდა თავის საქმიანობას აფხაზეთში.[1]

ამგვარად, ალექსანდრე ორახელაშვილის ნაშრომი, ჩვენი საკვლევი თემის მიმართულებით, ფაქტობრივად პირველ მეტნაკლებად ფუნდამენტურ სამეცნიერო ნაშრომად გვევლინება. ნაშრომში ავტორი იყენებს სოლიდური რაოდენობით ინგლისურენოვან ლიტერატურას, რაც კოსოვოს კონფლიქტის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტების გამოკვეთის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება.

2006 წელს, კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ორი წლით ადრე გამოქვეყნდა მკვლევარ დაზმირ ჯოჯუას ნაშრომი: „კოსოვოს პრეცედენტი“,[2] რომელშიც ავტორი ხაზს უსვამს კოსოვოს შესაძლო დამოუკიდებლობის გამოცხადების შედეგებს მთელ მსოფლიოში სეცესიონისტური მოძრაობების სტიმულირების კუთხით.[3] ავტორი მკაფიოდ აღნიშნავს კოსოვოს კონფლიქტის მნიშვნელობას საქართველოსთვის პოლიტიკური თვალსაზრისით.

ზოგადად, აღნიშნულ ნაშრომზე საუბრისას უნდა ითქვას, რომ იგი წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ მცდელობას კოსოვოს კონფლიქტის ისტორიის მიმოხილვისა ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში. ავტორი მოკლედ, თუმცა კონკრეტული აქცენტების დასმით, მიმოიხილავს კოსოვოს კონფლიქტის ისტორიის საკვანძო საკითხებს უძველესი პერიოდიდან დღემდე და გამოკვეთს იმ ძირითად ფაქტორებსა და ეტაპებს, რამაც XX საუკუნის ბოლო ათწლეულში მსოფლიო კოსოვოს კრიზისამდე მიიყვანა. ავტორი მკაფიოდ აფიქსირებს საკუთარ პოზიციას კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შესაძლებლობასთან დაკავშირებით და ამბობს, რომ „კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება არის საერთაშორისო სამართლის ძირითადი ნორმების დარღვევა და, ამდენად, არაკანონიერი, მართლსაწინააღმდეგო აქცია“.[4]

დასასრულს, ავტორი ადგილს უთმობს კოსოვოსა და აფხაზეთის კონფლიქტებს შორის პოლიტიკური მსგავსებების ძიების რუსულ მცდელობას. ამ კუთხით, საკუთა-

---

[1] **ალექსანდრე ორახელაშვილი.** აფხაზეთის კონფლიქტი კოსოვოს კონფლიქტის ფონზე, გვ. 99.

[2] **დაზმირ ჯოჯუა.** კოსოვოს პრეცედენტი. / *საისტორიო ძიებანი*, წელიწდეული. VIII-IX. თბილისი, 2006 გვ. 471-498.

[3] **დაზმირ ჯოჯუა.** კოსოვოს პრეცედენტი, გვ. 471.

[4] **დაზმირ ჯოჯუა.** კოსოვოს პრეცედენტი, გვ. 493.

რი მსჯელობა ავტორს მიჰყავს სამი მიმართულებით: 1. *ისტორიულ-სიტუაციური ფორმატით*, რომლის მიხედვითაც დაზმირ ჯოჯუას თქმით, აფხაზეთი და შიდა ქართლი ისტორიულად მუდამ საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა, მაშინ როდესაც კოსოვოში სერბები XII საუკუნის დამლევს გამოჩნდნენ; 2. *ეთნო და ეთნო-გეოგრაფიული ფორმატით*, რომლის მიხედვითაც, კოსოვო ალბანელთა ილირიული ეთნოსის ეთნოგენეზის ერთ-ერთი არეალი იყო, ამიტომ იქ ალბანური მოსახლეობა არ არის მიგრაციის შედეგი, მაშინ, როდესაც აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ქართველი ხალხის ეთნოგენეზის კერებსა და ქართული კულტურულ-ცივილიზაციური სივრცის განუყოფელ ნაწილებს წარმოადგენს; 3. *პოლიტიკურ-სიტუაციური ფორმატი,* რომლის მიხედვითაც, კოსოვოში ეთნიკური წმენდა ალბანელი მოსახლეობის მიმართ განახორციელა სერბეთის ხელისუფლებამ, მაშინ, როდესაც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში ეთნიკური წმენდის მსხვერპლი ქართული მოსახლეობაა.[1]

ამგვარად, დაზმირ ჯოჯუას ნაშრომი უდავოდ საინტერესოა ანალიტიკური თვალსაზრისით. იგი ფაქტობრივად კოსოვოსა და ქართული კონფლიქტური რეგიონების ისტორიულ-შედარებითი ანალიზის ერთ-ერთ პირველ მცდელობას წარმოადგენს.

2008 წელს, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდგომ, ერთ-ერთი პირველი საყურადღებო მოხსენება წარმოდგენილ იქნა იმავე წლის 15 მაისს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე: „კოსოვოს პრეცედენტი და საქართველო“.[2] ახალგაზრდა მკვლევარი, ილია გუჩმანიძე საკმაოდ საინტერესოდ სვამდა საკითხს კოსოვოს დამოუკიდებლობასა და ამ მოვლენის კავშირზე საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან.

მოხსენების ამოსავალ წერტილს წარმოადგენს შეკითხვა: „გახდება თუ არა კოსოვოს პრეცედენტი სხვა კონფლიქტების ანალოგიური გზით გადაწყვეტისა?“ ამ კუთხით, ავტორის მსჯელობა აგებულია ხალხთა თვითგამორკვევის უფლების მიმართებაზე კოსოვოსა და აფხაზეთის კონფლიქტებთან. აფხაზეთისა და კოსოვოს

---

[1] **დაზმირ ჯოჯუა.** კოსოვოს პრეცედენტი, 495-496.

[2] **ილია გუჩმანიძე.** კოსოვოს პრეცედენტი და საქართველო. იხ.: https://sites.google.com/site/geopolitologia/home/kosovospretsedentidasakartvelo.

კონფლიქტების ურთიერთშედარების საკითხს ავტორი განიხილავს სამ ასპექტად: 1. თვითგამორკვევის წინაპირობები; 2. თვითგამორკვევის სუბიექტი; და 3. თვითგამორკვევის განხორციელების გზები.

თვითგამორკვევის წინაპირობებზე საუბრისას, ავტორი ხაზს უსვამს აფხაზი სეპარატისტების ქმედებების შემთხვევაში მათ სრულ არქონას. 1991 წლის 9 ივლისის უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონის მაგალითით, ილია გუჩმანიძე ნათლად გვაჩვენებს, რომ თვითგამორკვევის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი – ხელისუფლებაში მოსახლეობის ჯგუფების პოლიტიკური წარმომადგენლობის არქონა – სრულიად დარღვეული იყო აფხაზი სეპარატისტების შემთხვევაში, რადგან მათ არათუ ჰქონდათ წარმომადგენლობა აფხაზეთის ასსრ-ს უზენაეს საბჭოში, არამედ უმრავლესობასაც კი ფლობდნენ აქ: „აფხაზური მხარე არათუ მონაწილეობას იღებდა ხელისუფლების განხორციელებაში, არამედ თავის რიცხოვნებასთან შედარებით, დომინირებული ადგილიც კი ეკავა“.[1]

თვითგამორკვევის სუბიექტზე საუბრისას, ავტორი გამოჰყოფს განსხვავებას შიდა და გარე თვითგამორკვევის უფლებას შორის და მართებულად ასკვნის, რომ აფხაზებს მხოლოდ და მხოლოდ შიდა თვითგამორკვევის უფლებით შეეძლოთ ესარგებლათ. რაც შეეხება თვითგამორკვევის განხორციელების გზებს, ავტორი ყურადღებას ამახვილებს ერთი ხალხის ხარჯზე მეორე ხალხის მიერ თვითგამორკვევის განხორციელების მიუღებლობაზე, რასაც ადგილი აქვს ქართულ აფხაზური კონფლიქტის შემთხვევაში.[2]

ავტორი ნათლად იაზრებს კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მნიშვნელობას და მოსალოდნელ შედეგებს მსოფლიო პოლიტიკისთვის და საქართველოსთვის. მოხსენების დასასრულს ილია გუჩმანიძე გამოყოფს ორ ფაქტს, რომელიც კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ დააყენა დღის წესრიგში: 1. თვითგამორკვევის უფლების კონკრეტიზაციისა და სწორედ ზემოაღნიშნული „საშინაო თვითგამორკვევის“ საერთო სტანდარტების შემუშავების აუცილებლობა; 2. კოსოვოს სახელმწიფოდ აღიარების ფაქტის ლოკალიზაციისა და დაბალანსების აუცილებლობა, რომ მან არ მიიღოს საშიში პრეცედენტული დინამიკა. ამისთვის მიზანშეწონილია შეიქ-

[1] **ილია გუჩმანიძე.** კოსოვოს პრეცედენტი და საქართველო.
[2] **ილია გუჩმანიძე.** კოსოვოს პრეცედენტი და საქართველო.

მნას მეორე პრეცედენტი, რომელიც საპირწონედ დაუდგება მას, თუმცა პრეცედენტი არა სეცესიის, არამედ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის სასარგებლოდ. [1]

2011 წელს გამოქვეყნდა შოთა მალაშხიას სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომი: „კონფლიქტების ანატომია“,[2] რომელშიც ავტორი საკმაოდ ვრცლად მიმოიხილავს მსოფლიოს სხვადასხვა კონფლიქტებს და მათ მიმართებას საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან. მალაშხიას ყურადღების მიღმა, ბუნებრივია, არ რჩება კოსოვოს კონფლიქტი და მისი მიმართება საქართველოსთან. ავტორი გვთავაზობს კოსოვოს კონფლიქტის ისტორიის მოკლე მიმოხილვას და ამ კონფლიქტისა და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების ისტორიულ-პოლიტიკურ ანალიზს. ის გამოჰყოფს მთელ რიგ საკვანძო და პრინციპულ განსხვავებებს აღნიშნულ კონფლიქტებს შორის.

ავტორის მიდგომა კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების მიმართ ცალსახაა. მისი თქმით, „კოსოვოს დამოუკიდებლობისადმი სოლიდარობა ნიშნავს ეთნოწმენდის მსხვერპლთა (მათი უსაფრთხოების) მხარდაჭერას“.[3] აქედან გამომდინარე, ავტორს გააჩნია მოცემული კონფლიქტების საკუთარი, მკაფიო ხედვა, რომელსაც ფართოდ წარმოგვიდგენს ნაშრომში და რომელიც შესაძლოა ფართო დისკუსიის საგანს წარმოადგენდეს, რასაც წინამდებარე კვლევაში ცალკე ადგილი დაეთმობა. მთლიანობაში, შოთა მალაშხიას ნაშრომი საინტერესოა საკითხით დაინტერესებული მკითხველისთვის.

2012 წელს გამოქვეყნდა პროფესორ ლევან ალექსიძის სტატია: „დააკნინა თუ არა „კოსოვოს პრეცედენტმა“ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის ერთგულება გაეროს წევრ სახელმწიფოთა, საქართველოს ჩათვლით, ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობისადმი“.[4] ნაშრომში ავტორი მიმოიხილავს კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტური რეგიონების სხვადასხვა ასპექტებს და სამართლებრივ ჭრილში გვთავაზობს აღნიშნული კონფლიქტების შედარებით ანალიზს საერთაშორისო სამართლის კუთხით.

---

[1] **ილია გუჩმანიძე.** კოსოვოს პრეცედენტი და საქართველო.

[2] **შოთა მალაშხია.** კონფლიქტების ანატომია. თბილისი: „ფორმა“, 2011.

[3] **შოთა მალაშხია.** კონფლიქტების ანატომია, გვ. 358.

[4] **ლევან ალექსიძე.** „დააკნინა თუ არა „კოსოვოს პრეცედენტმა“ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის ერთგულება გაეროს წევრ სახელმწიფოთა, საქართველოს ჩათვლით, ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობისადმი?“ წიგნში: ლევან ალექსიძე. საერთაშორისო სამართალი და საქართველო (ანტიკური ხანიდან დღემდე): 1957-2012 წლებში გამოქვეყნებული რჩეული ნაშრომები. რედ. ქეთევან ხუციშვილი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, გვ. 680-712.

ლევან ალექსიძის ნაშრომში, კოსოვოში განვითარებული მოვლენების შეფასებასთან ერთად, ვხვდებით 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საერთაშორისო სამართლებრივ შეფასებას. ამასთან ავტორი ისტორიულ კონტექსტში მიმოიხილავს ამ ორ აღნიშნულ კონფლიქტურ რეგიონს შორის მსგავსებებსა და განსხვავებებს. ნაშრომში ვხვდებით ისეთი სამართლებრივი ასპექტების მიმოხილვას, როგორიც არის: „ჩაიდინა თუ არა საქართველომ გენოციდის დანაშაული?“.[1] მასში ასევე მოცემულია ხალხთა თვითგამორკვევის უფლებების სამართლებრივი განხილვა საერთაშორისო სამართლებრივი კუთხით.[2]

მთლიანობაში, ლევან ალექსიძის ნაშრომს გამორჩეული ადგილი უკავია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, საკვლევი საკითხის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტების განხილვის კუთხით და მნიშვნელოვან ანალიტიკურ წყაროს წარმოადგენს კოსოვოსა და ქართული კონფლიქტური რეგიონების საერთო და განმასხვავებელი საკითხების კვლევით დაინტერესებული მკითხველისთვის.

ცალკე ყურადღების ღირსია კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტური რეგიონების შესახებ დღეისათვის არსებული რუსული სამეცნიერო ლიტერატურა. 2011 წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაცული დიმიტრი ნიკოლაევის დისერტაცია – „აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების პოლიტიკური საფუძვლები და წინაპირობები“[3] – აღნიშნულ კონფლიქტებს პრაქტიკულად ერთ სიბრტყეში განიხილავს. თავდაპირველად ავტორი აღნიშნავს, რომ აფხაზეთში, ე.წ. „სამხრეთ ოსეთსა“ და კოსოვოში დღეისათვის შექმნილი ვითარება მთელი რიგი ისტორიული, პოლიტიკური და სხვა ასპექტებით იყო განპირობებული.[4]

კოსოვოს კონფლიქტზე საუბრისას ავტორის ნაშრომში, ჩვენთვის საყურადღებო ორი ტენდენცია იკვეთება. ნიკოლაევი ხაზს უსვამს სერბებსა და ალბანელებს შორის „შერიგების“ სურვილის აბსოლუტურ არარსებობას[5] და დასძენს, რომ შექმნილი ვითარების ფონზე საერთაშორისო საზოგადოებამ კოსოვოს კონფლიქტში, ფაქტობრი-

---

[1] **ლევან ალექსიძე.** „დააკნინა თუ არა „კოსოვოს პრეცედენტმა“.., გვ. 689.
[2] **ლევან ალექსიძე.** „დააკნინა თუ არა „კოსოვოს პრეცედენტმა“.., გვ. 698.
[3] **Д. Г. Николаев.** Политические основания и условия признания независимости Абхазии, Южной Осетии и Косово. Автореферат диссертации по политологии. Москва, 2011.
[4] **Д. Г. Николаев.** Политические основания.., გვ. 11.
[5] **Д. Г. Николаев.** Политические основания.., გვ. 15.

ვად კონფლიქტის მხარის პოზიცია დაიჭირა.[1] აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებზე საუბრისას, ნიკოლაევი პარალელს ავლებს კოსოვოს კონფლიქტთან და ამბობს, რომ იუგოსლავიის მსგავსად, საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებშიც, ქართველებსა და აფხაზებსა თუ ოსებს შორის ადგილი არ ჰქონდა კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების მცდელობას. არცერთი მხარე არ იყო მზად კომპრომისისთვის და ა.შ. ნიკოლაევის თქმით, ზემოაღნიშნულ კონფლიქტებში მონაწილე ვერცერთმა მხარემ ვერ შეძლო აღნიშნული კონფლიქტის მოგვარება მესამე მხარის ჩარევის გარეშე.[2] ავტორი ერთი სიტყვითაც არსად ახსენებს მოსკოვის როლს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შექმნილი კონფლიქტური ვითარების შექმნაში.

ამ კონტექსტში საინტერესოა ყაზანის ფედერალური უნივერსიტეტის შრომების კრებულში დაბეჭდილი ა. დონცოვას სტატია „სახელმწიფოთა საერთაშორისო-სამართლებრივი აღიარების აქტუალური პრობლემები კოსოვოს, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და სამხრეთ სუდანის მაგალითებზე“.[3] ნაშრომში მოცემულია დასავლეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების ცალსახა კრიტიკა და რუსეთის როლის განდიდება, როგორც საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი მთავარი დამცველისა თანამედროვე მსოფლიოში.[4]

უფრო შორს მიდის ყუბანის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი აიკუშ ავანესიანი თავის ნაშრომში „კოსოვოს პრეცედენტის გავლენა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე“.[5] ავტორი ცალსახად ნეგატიურ კონტექსტში განიხილავს დასავლეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებას 2008 წლის თებერვალში და ამასთან ერთად, ხაზს უსვამს რუსეთის მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განხორციელებული სამხედრო-პოლიტიკური ნაბიჯების მართებულობას.

ავანესიანი უფრო შორსაც მიდის და რუსეთის ყოფილი პრეზიდენტის დიმიტრი

---

[1] **Д. Г. Николаев.** Политические основания.., გვ. 17.

[2] **Д. Г. Николаев.** Политические основания.., გვ. 19.

[3] **А. Донцова.** Актуальные проблемы международного-правового признания государств (на примере Косово, Абхазии, Южной Осетии, Южного Судана). კრებულში: Правовое регулирование в условиях модернизации государственности: национальный и международный правовые аспекты. Материалы VI Международной научно-практической конференции студентов и аспирантов. Казань, 25-27 Ноября, 2011, გვ. 480-481.

[4] **А. Донцова.** Актуальные проблемы.., გვ. 481.

[5] **А. А. Аванесян.** Влияние Косовского прецедента на судьбу Абхазии и Южной Осетии. / Теория и практика общественного развития: научный журнал [Электронный ресурс]. 2013, №9, გვ. 216-218.

მედვედევის გამოსვლაზე დაყრდნობით „აანალიზებს“ 1990-იან წლებში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შექმნილ ვითარებას და ზოგადად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს ამ პერიოდში. ის იზიარებს დ. მედვედევის განცხადებას, რომ, მიუხედავად ქართული მხარის მიერ ჩადენილი გენოციდის ფაქტებისა აფხაზებისა და ოსების მიმართ, რუსეთი თითქოს მთელი 90-იანი წლების მანძილზე მზად იყო ქართულ მხარესთან კონსტრუქციული დიალოგისთვის.[1]

ა. ავანესიანის თქმით, კოსოვოს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებს შორის უდავოდ არსებობს პირდაპირი ანალოგიები. ავტორს მოჰყავს რუსი პოლიტოლოგის პეტრე ისკანდეროვის მოსაზრება იმის შესახებ, რომ 2008 წლის ომი განაპირობა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის შიშმა, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ აფხაზეთსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთშიც“ გაჩნდებოდა მსგავსი ამბიციები და სწორედ ამ მისწრაფებების პრევენციისთვის მოხდა ქართული მხარის მიერ სამხედრო მოქმედებების წამოწყება 7 აგვისტოს.[2] ამასთან ერთად, ავტორი ასევე ხაზს უსვამს აფხაზებისა და ოსების „საუკუნოვან“ ბრძოლას დამოუკიდებლობისთვის და დასძენს, რომ სწორედ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებამ გახადა შესაძლებელი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის“ ცნობა 2008 წელს.[3]

მსგავსი ცალსახა პოზიციაა დაფიქსირებული დ. კალაჩოვის ნაშრომში „კოსოვო, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, ყირიმი: რუსეთისა და NATO-ს აზრთა სხვადასხვაობა ტერიტორიების სტატუსის შესახებ“.[4] ავტორი განიხილავს ჩრდილოატლანიკური ალიანსისა და რუსეთის ურთიერთობებს 90-იანი წლებიდან მოყოლებული და საკმაოდ ძლიერი სუბიექტური, პოლიტიკური კონტექსტის ფონზე, მიდის დასკვნამდე, რომ ამ დაპირისპირებაში რუსულ მხარეს საერთაშორისო წესრიგის დამცველის მკვეთრად გამოხატული პოზიცია უკავია.[5]

კოსოვოსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ შესახებ უაღრესად საინტერესო სტატია გამოქვეყნდა პოლიტიკური ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ჟურნალ «Полития»-ში 2014 წელს ილია ფომინის ავტორობით: „სამხრეთ ოსეთისა და კოსოვოს სახეები რუ-

[1] **А. А. Аванесян.** Влияние Косовского прецедента на судьбу Абхазии и Южной Осетии, გვ. 217.
[2] **А. А. Аванесян.** Влияние Косовского прецедента на судьбу Абхазии и Южной Осетии, გვ. 217.
[3] **А. А. Аванесян.** Влияние Косовского прецедента на судьбу Абхазии и Южной Осетии, გვ. 218.
[4] **Д. Н. Калачев.** Косово, Абхазия, Южная Осетия, Крым: Разногласия России и НАТО по статусу территорий. / *Вестник МГОУ.* Серия: История и политические науки. №5, 2014, გვ. 202-208.
[5] **Д. Н. Калачев.** Косово, Абхазия, Южная Осетия, Крым, 234.

სეთის საგარეო-პოლიტიკურ დისკურსში“.[1]

ნაშრომი უფრო მეტად თეორიულ ხასიათს ატარებს. პოლიტიკური ფილოსოფიისა და სოციოლოგიური მეთოდოლოგიის გამოყენებით, ავტორი გვთავაზობს კოსოვოსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ რეპრეზენტაციის სურათს რუსულ საგარეო პოლიტიკაში. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად საკვლევი საკითხის მაღალი პოლიტიკური დატვირთვის მიუხედავად, ი. ფომინი ახერხებს მეტნაკლებად ზომიერი, სამეცნიერო პოზიციის შენარჩუნებას და, დიდძალი ტექსტობრივი მასალის დამუშავების საფუძველზე, გვთავაზობს პოლიტიკური საკითხის თეორიულ ანალიზს, რაც საკმაოდ საინტერესო და სასარგებლოა საკითხის მეცნიერული შესწავლის კუთხით.

ვრცელი თეორიული ანალიზის შემდეგ, ი. ფომინი საკითხის შესახებ წარმოგვიდგენს დასკვნას, რომელშიც ორი, ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი ტენდენციაა დაფიქსირებული. მისი თქმით:

1. „სამხრეთ ოსეთი“ რუსეთის საგარეო-პოლიტიკურ რიტორიკაში წარმოდგენილია „სამხრეთ ოსი ხალხის“ ჭრილში,[2] რაც თავის მხრივ, პირდაპირ კავშირშია რუსულ პოლიტიკურ ინტერესებთან ამ რეგიონში და იმ მეთოდებთან, რომელიც ამ „ხალხის“ (როგორც რუსეთის მოქალაქეების) დასაცავად გამოიყენა მოსკოვმა 2008 წლის აგვისტოში.

   რაც შეეხება კოსოვოს, იგი ჩვეულებრივ წარმოდგენილია არა, როგორც საერთაშორისო აქტორი, არამედ როგორც შემთხვევა, ან პრეცედენტი. ამასთან ერთად, როგორც ი. ფომინი აღნიშნავს, „სამხრეთ ოსეთის“ პოლიტიკური სახიდან ჩვეულებრივ გამოირიცხება ყველაფერი, რაც კი ამ ტერიტორიული ერთეულის ქართულ მოსახლეობაზე (ხალხზე) მიანიშნებს.[3]

2. ავტორი ასკვნის, რომ „სამხრეთ ოსეთი“ რუსულ საგარეო-პოლიტიკურ დისკურსში ჩვეულებრივ განიხილება, როგორც „სახელმწიფოებრივი“ სტატუსის მქონე ტერიტორიული ერთეული, მაშინ, როდესაც კოსოვო არასოდეს მოიხსენიება იმავე კონტექსტში. ამასთან ერთად, ი. ფომინის თქმით, ორივე რეგიონი რუსეთის მიერ თავისთავად პასიური აქტორის როლში მოიხსენიება საერთა-

[1] **И. В. Фомин.** Образы Южной Осетии и Косова в Российском внешнеполитическом дискурсе. / *«Полития»*, №1 (72), 2014, გვ. 128-143.
[2] **И. В. Фомин.** Образы Южной Осетии и Косова.., გვ. 142.
[3] **И. В. Фомин.** Образы Южной Осетии и Косова.., გვ. 142.

შორისო პოლიტიკურ ასპარეზზე, თუმცა კოსოვოს „პასიურობას“ ნეგატიური კონტექსტი გასდევს, მაშინ, როდესაც „სამხრეთ ოსეთის“ შემთხვევაში ხდება ამ ტერიტორიული ერთეულის „პასიური მსხვერპლის“ კონტექსტში გააზრება.[1]

ამგვარად, ი. ფომინის ნაშრომი საკმაოდ საჭირო და სასარგებლოა ორი ფაქტორის გამო: 1. თავად ავტორი რუსია და საკმაოდ კარგად იცნობს ზოგადად რუსულ პოლიტიკურ დამოკიდებულებას საკვლევი საკითხის მიმართ; 2. ავტორი ცდილობს დაიცვას ნაშრომის სამეცნიერო ხაზი და გარკვეული, მკაცრი მეთოდოლოგიური ჩარჩოს ფარგლებში შემოგვთავაზოს რუსული საგარეოპოლიტიკური აზრის ანალიზი კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში.

აღსანიშნავია ავსტრიელი მკვლევრის ბენედიქტ ჰარცლის ნაშრომები კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტური რეგიონების კვლევის თვალსაზრისით. ავტორმა 2008-2011 წლებში ორი სტატია გამოაქვეყნა სამეცნიერო ჟურნალში “Review of Central and East European Law” აღნიშნული თემატიკის შესახებ. მის პირველ ნაშრომში: „წინააღმდეგობრივი აღქმა: რუსეთი, დასავლეთი და კოსოვო“,[2] ავტორი გვთავაზობს რუსული და დასავლური პოლიტიკური შეხედულებების ანალიზს კოსოვოს კონფლიქტთან მიმართებაში. მისი თქმით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთმა სწრაფად დაკარგა გავლენა აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკურ სივრცეზე. დასავლეთმა კი, ბ. ჰარცლის თქმით, გორბაჩოვის ნაბიჯები აღმოსავლეთ ევროპასთან მიმართებით სათანადოდ „ვერ დააფასა“.[3]

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისში ჩაფლულმა რუსეთმა დასავლეთისთვის ჯეროვანი პასუხის გაცემა ვერ მოახერხა კოსოვოს კრიზისის პროცესში, ამან კი, თავის მხრივ, ხელი შეუწყო საგარეოპოლიტიკური პრესტიჟის აღდგენის მოთხოვნილების გაჩენას რუსეთში. ბ. ჰარცლის აზრით, პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის ერთ-ერთ მიზეზად შეგვიძლია კოსოვოში მიმდინარე მოვლენებიც ჩავთვალოთ.[4]

ავტორი კოსოვოს საკითხის შესახებ რუსული და დასავლური შეხედულებების

---

[1] **И. В. Фомин.** Образы Южной Осетии и Косова.., გვ. 142.
[2] **Benedikt C. Harzl.** Conflicting Perceptions: Russia, the West and Kosovo. / *Review of Central and East European Law*. Vol. 33. Issue 4. October 2008, გვ. 491-518.
[3] **Benedikt C. Harzl.** Conflicting Perceptions, გვ. 494.
[4] **Benedikt C. Harzl.** Conflicting Perceptions, გვ. 492.

საინტერესო ანალიზს გვთავაზობს და ხაზს უსვამს დასავლეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების პოლიტიკურ კავშირს რუსეთის მიერ 2008 წელს საქართველოში განხორციელებულ პოლიტიკასთან.[1]

ბ. ჰარცლის შემდეგი ნაშრომი: „ნაციონალიზმი და წარსულის პოლიტიკა: კოსოვოსა და აფხაზეთის შემთხვევები“,[2] – წარმოადგენს ამ ორ კონფლიქტურ რეგიონში ნაციონალისტური თუ სეპარატისტული ტენდენციების გაღვივების თავისებურებების შესწავლის მცდელობას. ავტორი გვთავაზობს რიგ საინტერესო დაკვირვებებს, თუმცა აფხაზეთის კონფლიქტზე საუბრისას აშკარად შეიმჩნევა საკითხის შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაზე წვდომის ნაკლებობა, რაც კარგად გამოიხატა სტატიის ერთ-ერთ მონაკვეთში, როდესაც ბ. ჰარცლი ერთსა და იმავე კონტექსტში განიხილავს ზვიად გამსახურდიასა და სლობოდან მილოშევიჩის პოლიტიკას. ავტორის თქმით, ორივე ლიდერი წარმატებით ახერხებდა საკუთარი ნაციონალისტური შეხედულებების შენიღბვას დემოკრატიულობით.[3]

მსგავსი ტენდენცია გვხვდება ასევე დანიელი მკვლევრის ქრისტიან ნილსენის ნაშრომში „კოსოვოს პრეცედენტი და ყოფილი იუგოსლავიის ანალოგიების რიტორიკული განლაგება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში“,[4] რომელიც კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტების ურთიერთმიმართების საკმაოდ წარმატებულ მცდელობას წარმოადგენს და ამ საკითხებს ანალიტიკური კუთხით აშუქებს. ნაშრომიდან ვიგებთ, რომ რუსეთი საკუთარი პოლიტიკური ინტერესების ფარგლებში არამხოლოდ „კოსოვოს კარტს“ იყენებდა, არამედ ზოგადად იუგოსლავიის მოვლენებზე აპელირებდა დასავლეთისთვის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში საკუთარი ნამოქმედარის „გასამართლებლად“.[5]

საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებზე საუბრისას ნილსენის ნაშრომში ვხვდებით ქართული ლიტერატურის სიმწირეს. საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციაში საქართველოსა და სერბეთის რესპუბლიკების როლების შედარები-

---

[1] **Benedikt C. Harzl.** Conflicting Perceptions, გვ. 513.

[2] **Benedikt C. Harzl.** Nationalism and Politics of the Past: The Cases of Kosovo and Abkhazia. / *Review of Central and East European Law*. Vol. 36. Issue 1. April, 2011, გვ. 53-77.

[3] **Benedikt C. Harzl.** Nationalism and Politics of the Past, გვ. 66-67.

[4] **Christian Axboe Nielsen.** The Kosovo precedent and the rhetorical deployment of former Yugoslav analogies in the cases of Abkhazia and South Ossetia. / *Southeast European and Black Sea Studies.* Vol. 9, No. 1-2, 2009, გვ. 171-189.

[5] **Christian Axboe Nielsen.** The Kosovo precedent , გვ. 187.

სას, მკვლევარი საკითხს ცალსახად აშუქებს, როდესაც აღნიშნავს, რომ, როგორც სერბების, ასევე ქართველების უმრავლესობა საბჭოთა და იუგოსლავიის იმპერიების შემადგენლობაში თავს დაჩაგრულად მიიჩნევდნენ. ავტორის თქმით, გამსახურდიას არჩევანი, მილოშევიჩის არჩევანის მსგავსად, ტრაგედიად იქცა ქართველი და სერბი ხალხისთვის.[1] ავტორი ამ მსჯელობაზე შორს არ მიდის და არ გამოკვეთს იმ ძირითადად განსხვავებებს, რაც ქართულ და სერბულ სახელმწიფოებს განასხვავებდა, როგორც საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის შემადგენლობაში, ასევე სოციალისტური სისტემის დაშლის შემდგომ.

კოსოვოს კრიზისის გარშემო რუსეთისა და დასავლეთის პოლიტიკური განხეთქილების მიმოხილვას გვთავაზობს ასევე ბირმინგემის უნივერსიტეტის მკვლევარი დერეკ ავერე, თავის ნაშრომში: „პრიშტინადან ცხინვალამდე: ოპერაცია „მოკავშირეთა ძალის“ შედეგები რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობებში“.[2] ავტორის თქმით, NATO-ს მიერ სერბეთის წინააღმდეგ მიმართულმა სამხედრო მოქმედებებმა იმდროინდელი მსოფლიო პოლიტიკური წესრიგი ძირითადად ორი მიმართულებით შეცვალა: 1. საბოლოოდ გამოეცალა საფუძველი გორბაჩოვისეული „საერთო ევროპული სახლის“ იდეას; 2. დასავლეთის მიერ კოსოვოში განხორციელებულმა მოვლენებმა მოსკოვი პოლიტიკურად დამცირებული პოზიციიდან წარმოაჩინა. თავად რუსეთში, ამ მოვლენებმა განაპირობა საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით უფრო მტკიცე და კონსოლიდირებული პოზიციისა და პოლიტიკის გაჩენა, რამაც რუსეთის თანამედროვე პოლიტიკამდე მოგვიყვანა.[3]

საინტერესო, თუმცა მიკერძოებულია ამერიკელი მკვლევრის ტიმოთი ჯორჯ მაკლელანის ნაშრომი: „კოსოვო, აფხაზეთი და სახელმწიფოთა აღიარების შედეგები“.[4] ავტორი მიმოიხილავს კოსოვოსა და აფხაზეთის „აღიარებათა“ საერთაშორისო-სამართლებრივ ასპექტებს და ასკვნის, რომ კოსოვოც და აფხაზეთიც აკმაყოფილებენ სახელმწიფოებრიობის ძირითად მოთხოვნებს რემედიული სეცესიის თვალსაზრისით.[5]

---

[1] **Christian Axboe Nielsen.** The Kosovo precedent , გვ. 187.
[2] **Derek Averre.** From Pristina to Tskhinvali: the legacy of Operation Allied Force in Russia's relations with the West. / *International Affairs*. Vol. 85. Issue 3. 2009, გვ. 575-591.
[3] **Derek Averre.** From Pristina to Tskhinvali, გვ. 585.
[4] **Timothy George McLellan.** Kosovo, Abkhazia, and the Consequences of State Recognition. / *Camrbidge Student Law Review*, №5 (1), 2009, გვ. 1-18.
[5] **Timothy George McLellan.** Kosovo, Abkhazia, and the Consequences of State Recognition, გვ. 6.

ავტორი კოსოვოსა და აფხაზეთის კონფლიქტებს პოლიტიკურ ჭრილშიც მიმოიხილავს და ასკვნის, რომ დასავლეთი კოსოვოს დამოუკიდებლობაზე საუბრისას ძირითადად აპელირებს რუსეთის, როგორც ტირანის სახის შექმნაზე და საქართველოს დემოკრატიის დაცვის საბურველში ცდილობს გაახვიოს NATO-ს „ორმაგი სტანდარტების“ პოლიტიკა.[1] პასუხად კი, მაკლელანის თქმით, დასავლეთი რუსეთისგან იღებს აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარებას, რომელსაც, მისი აზრით, ადგილი ჰქონდა სწორედ 2008 წელს და არა მანამდე, რადგან რუსეთი მოთმინებით ელოდა კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას დასავლეთის მიერ.[2]

ზოგადად, მაკლელანის ნაშრომზე საუბრისას, უნდა აღვნიშნოთ ავტორის ნაკლები ინფორმირებულობა ქართულენოვანი მასალების თვალსაზრისით, რაც მკაფიოდ შეიმჩნევა სხვადასხვა ისტორიული თუ სამართლებრივი საკითხების მიმოხილვისას, ასევე ავტორის შეხედულებათა ზუსტი თანხვედრა რუსულ პოლიტიკურ ნარატივთან.

უაღრესად საინტერესოა მასარიკის უნივერსიტეტის ჩეხი მკვლევრის ვლადიმირ ჯორჯევიჩის ნაშრომი: „დასავლეთ ბალკანეთისა და კავკასიის რეგიონული კონფლიქტები: კოსოვოს შედარება სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან“.[3] ავტორი საკუთარ ანალიზს ორ ნაწილად ჰყოფს – მსგავსებებად და განსხვავებებად, რომელსაც ზემოაღნიშნული კონფლიქტების ისტორიის მიმოხილვა გვაჩვენებს. იგი გამოკვეთს ოთხ მსგავსებასა და შვიდ განსხვავებას მოცემულ კონფლიქტებს შორის.

კოსოვოს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების საერთო ასპექტების ჩამონათვალი ჯორჯევიჩის მიხედვით ასე გამოიყურება:

1. ორივე, კოსოვოსა და ოსურ/აფხაზური კონფლიქტები წარმოადგენდა ეთნოტერიტორიულ კონფლიქტებს.

2. კოსოვოს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები მთელი რიგი დემოგრაფიული ცვლილებებით იყო განპირობებული და ამ მიმართულებით ახალ ცვლილებებს უყრიდა საფუძველს.

3. ორი ფედერალური სახელმწიფოს დაშლამ ხელი შეუწყო კონფლიქტების დაწ-

---

[1] **Timothy George McLellan.** Kosovo, Abkhazia, and the Consequences of State Recognition, გვ. 9.
[2] **Timothy George McLellan.** Kosovo, Abkhazia, and the Consequences of State Recognition, გვ. 10.
[3] **Vladimir Đorđević.** Regional Conflicts in the Western Balkans and the Caucasus Revisited: Comparison of Kosovo to South Ossetia and Abkhazia. / *Central European Political Studies Review*, №1, 2010, გვ. 22-44.

ყებას, როგორც კოსოვოში, ასევე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

4. კონფლიქტების ესკალაცია როგორც კოსოვოში, ასევე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში ხდებოდა ეროვნულ მოძრაობათა აღმავლობის პერიოდში და მათ ფონზე.[1]

ჩვენი საკვლევი კონფლიქტების განმასხვავებელი ასპექტები მკვლევარს შემდეგნაირად აქვს დალაგებული:

1. დასავლეთის მიერ კოსოვოში ძალის გამოყენების მექანიზმი მკვეთრად განსხვავდებოდა რუსეთის მიერ საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში გამოყენებული მექანიზმისგან.

2. განსხვავება გეოპოლიტიკური მოქმედებების ბუნებაში კოსოვოსა და ქართულ კონფლიქტურ რეგიონებს შორის. ბალკანეთის რეგიონი აღმოჩნდა აშშ-ს გეოპოლიტიკური პრიორიტეტების ნუსხაში, მაშინ როდესაც კავკასიის რეგიონი რუსულ საგარეოპოლიტიკურ ინტერესებში ექცეოდა.

3. განსხვავება დასავლელი მოკავშირეებისა და რუსეთის იდეურ მიზნებს შორის კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში.

4. დასავლეთისა და რუსეთის მიერ ტერიტორიული სუვერენიტეტისა და ინტეგრაციის სხვადასხვაგვარი გაგება.

5. განსხვავება კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებს შორის ამ ერთეულების *დე ფაქტო დამოუკიდებლობის* კუთხით.

6. განსხვავება მოვლენათა ქრონოლოგიასა და მათ ბუნებას შორის, რამაც კონფლიქტებამდე მიგვიყვანა კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტური რეგიონების მაგალითებს შორის.

7. განსხვავება სამშვიდობო მისიების ბუნებას შორის კოსოვოსა და ქართულ კონფლიქტურ რეგიონებში.[2]

ვლადიმირ ჯორჯევიჩის შედარებით ანალიზი ზომიერ ხასიათს ატარებს და თან ახლავს ავტორის მიერ ხაზგასმა კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტური რეგიონების როლის შესახებ თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე, რაც ამ ნაშრომს მეტ ანალიტიკურ დატვირთვას სძენს.

---

[1] **V. Đorđević.** Regional Conflicts in the Western Balkans and the Caucasus Revisited, გვ. 23-28.
[2] **V. Đorđević.** Regional Conflicts in the Western Balkans and the Caucasus Revisited, გვ. 29-39.

კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტური რეგიონების შედარებითი ანალიზის კვლევის მიმართულებით ასევე საყურადღებოა შემდეგი ნაშრომები: სედრიკ რინგერტისა და სვენ სობრის „სახელმწიფოთა აღიარება: საერთაშორისო სამართალი თუ რეალპოლიტიკა? აღიარების პრაქტიკა კოსოვოს, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ფონზე“[1] და რონალდ თომასის „კოსოვოსა და სამხრეთ ოსეთის განსხვავებული შემთხვევები“.[2]

2008 წელს კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასა და მის მნიშვნელობას მსოფლიო პოლიტიკისათვის და კონკრეტულად საქართველოსთვის ვრცლად ეხება საკუთარ წიგნში ამერიკელი ანალიტიკოსი რონალდ დიტრიხ ასმუსი: „მცირე ომი რომელმაც მსოფლიო შეძრა. საქართველო, რუსეთი და დასავლეთის მომავალი“.[3] ავტორი ცალკე თავს უძღვნის კოსოვოს მოვლენებს და აღნიშნავს, რომ კოსოვოს საკითხის გარშემო აშშ-მ და ევროპის ქვეყნებმა მნიშვნელოვანი შეცდომები დაუშვეს. სჯეროდათ რა, რომ თითოეულ კონფლიქტს სხვადასხვა პოლიტიკური მიდგომით დაარეგულირებდნენ, მათ ვერ განჭვრიტეს ბალკანეთის მოვლენების შესაძლო გამოძახილი კავკასიის რეგიონში.[4]

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და შედეგები წარმოადგენს, რომლებიც დახმარებას გაუწევს საკითხით დაინტერესებულ მკვლევრებს. ასევე შესაძლებელია მისი გამოყენება დამატებითი ლიტერატურის სახით სასწავლო პროგრამებში.

ნაშრომის აპრობაცია. ნაშრომის ცალკეული ნაწილები წარმოდგენილია სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებზე, სტატიების სახით გამოქვეყნებულია სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში. გარდა ამისა, ნაშრომის გარკვეული ნაწილები წარმოდგენილია დოქტორანტის კოლოკვიუმებზე.

---

[1] **Cedric Ryngaert and Sven Sobrie.** Recognition of States: International Law or Realpolitik? The Practice of Recognition in the wake of Kosovo, South Ossetia, and Abkhazia. / *Leiden Journal of International Law*. Vol. 24. Issue 2. June 2011, გვ. 467-490.

[2] **Ronald Thomas.** The Distinct Cases of Kosovo and South Ossetia: Deciding the Question of Independence on the Merits and International Law. / *Fordham International Law Journal*, Vol. 32, Issue 6, 2008, გვ. 1990-2045.

[3] **Ronald Dietrich Asmus.** A Little War that Shook the World. Georgia, Russia and the Future and of the West. New York: Palgrave Macmillan, 2010, გვ. 87-109.

[4] **Ronald Dietrich Asmus.** A Little War that Shook the World, გვ. 88.

თავი I. კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე: კონფლიქტური რეგიონების ისტორიული განვითარების საერთო და განმასხვავებელი ტენდენციები

§1. კოსოვო უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე

2008 წლის 17 თებერვალს, სერბეთის ყოფილმა სამხრეთ რეგიონმა კოსოვომ სახელმწიფოს სტატუსი მიიღო.[1] 2019 წლის მონაცემებით კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა გაეროს 113-მა წევრმა ქვეყანამ,[2] თუმცა, ამის მიუხედავად, კოსოვო დღემდე რჩება გაერო-ს წევრი ქვეყნის სტატუსის გარეშე, ოფიციალური ბელგრადის მიერ კოსოვოს არაღიარების გამო.

საუკუნეების განმავლობაში კოსოვოს რეგიონში ცხოვრობდა როგორც ეთნიკურად სერბი, ასევე ალბანელი მოსახლეობა, რომელთა ურთიერთობასაც ამ ორი ხალხის ისტორიის ლაბირინთებში მივყავართ.

კოსოვოს მიწის ძირძველი მოსახლეობის საკითხის გარშემო არსებობს ძირითადად ორი – ალბანური და სერბული – თეორია. ალბანური თეორიის მიხედვით, ისინი იმ ხალხის შთამომავლები არიან, რომელთაც ბერძნები და რომაელები ილირიელებად მოიხსენიებდნენ. პირველად ილირიელ ხალხს მოიხსენიებს ფსევდოსკილაქსის სახელით ცნობილი ძვ.წ. IV საუკუნის ბერძენი ავტორი.[3] ამ ხალხის განსახლების არეალი მოცემულია ახ.წ. II საუკუნის ავტორის, აპიანე ალექსანდრიელის „რომის ისტორიის“ მეათე წიგნში. აპიანეს მიხედვით, ილირიელები ცხოვრობდნენ მაკედონიისა და თრაკიის ზემოთ, დასავლეთ ეპირის სანაპირო ზოლიდან მდინარე ისტრამდე.[4] აღნიშნული ტერიტორია მოიცავდა თანამედროვე ხორვატიის, ბოსნია-ჰერცეგოვინის,

---

[1] კოსოვოს ფართობია 10 980 კმ². იხ.: Kosovo. The World Factbook. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/kv.html; კოსოვოს მო–სახლეობის რაოდენობა 2017 წლის აღწერის მიხედვით შეადგენს 1 807 965 ადამიანს. Kosovo Population. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://countrymeters.info/en/Kosovo.

[2] Countries that have recognized Kosovo as an independent state. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.beinkosovo.com/countries-that-have-recognized-kosovo-as-an-independent-state/.

[3] **John Wilkes.** The Illyrians. Oxford: Blackwell, 1995, გვ. 94.

[4] **Аппиан.** Римские войны. Санкт-Петербург: «Алетейя», 1994. Книга X: «События в Иллирии». იხ.: http://www.ancientrome.ru/antlitr/appian/hist-f09.htm.

სლოვენიის, მონტენეგროს, სერბეთის მცირე და ალბანეთის დიდ ნაწილს.[1] ისტორიის მანძილზე ილირიელებმა განიცადეს კელტიზაცია,[2] ელინიზაცია,[3] რომანიზაცია,[4] ხოლო მოგვიანებით – VI საუკუნიდან ისინი უკვე სლავიზაციის ტალღაში მოჰყვნენ.

ილირიელთა სასაუბრო ენის შესახებ დღეისათვის დაზუსტებით რაიმეს მტკიცება მეტად რთულია. ცნობილია, რომ ეს ხალხი საუბრობდა ინდო-ევროპულ ენათა ოჯახში შემავალ ერთ-ერთ ენაზე. მკვლევარ ჯონ უილკსის აზრით, ეს შესაძლოა ვენეტური ენა ყოფილიყო.[5] ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, ილირიელები შესაძლოა თრაკიულადაც საუბრობდნენ.[6] რაც შეეხება თანამედროვე ალბანურ ენას, იგი ეკუთვნის ინდოევროპულ ენათა ოჯახს. დღეისათვის მიიჩნევა, რომ ალბანური ენა უნდა მომდინარეობდეს ილირიულ ენის სხვადასხვა დიალექტისაგან, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, მეტად რთულია თავად ილირიული ენის წარმომავლობის განსაზღვრა.[7]

ამგვარად, თანამედროვე ალბანელები საკუთარ თავს ილირიელთა პირდაპირ შთამომავლებად, და შესაბამისად, კოსოვოს ტერიტორიის პირველმოსახლეებად მიიჩნევენ. ისტორიულად თანამედროვე ალბანელი ხალხის ორი ჯგუფი განირჩევა. მდინარე შკუმბის ჩრდილოეთით, მთის რეგიონებში მოსახლე ალბანელთა ნაწილი, რომელშიც მოიაზრებიან კოსოვოელი ალბანელები, საკუთარ თავს გეგებს უწოდებს, ხოლო მდინარე შკუმბის სამხრეთით, ვაკეში მოსახლე ალბანელებს ტოსკები ეწოდებათ. თანამედროვე ალბანური ენა ეფუძნება სამხრეთულ, ტოსკურ დიალექტს.[8]

თავად ალბანელთა პირველი მოხსენიება საისტორიო წყაროებში გვხვდება XI საუკუნის ბიზანტიელ ავტორთან მიქაელ ატალიატესთან, რომელიც ალბანელებს „ალბანოი“-ს სახელით მოიხსენიებს და აღნიშნავს, რომ ეს ხალხი მონაწილეობდა 1078 წლის ანტიბიზანტიურ ამბოხებაში. მათი განსახლების არეალს, ატალიატეს მიხედ-

---

[1] **John Wilkes**, The Illyrians, გვ. 6, 92; **John Boardman, Geoffrey N. Lempriere**. The Cambridge Ancient History. The expansion of the Greek world. Eighth to six centuries. Cambridge University Press, 1982, გვ. 261.

[2] **Matthew Bunson.** A Dictionary of the Roman Empire. Oxford University Press, 1995, გვ. 202.

[3] **Sarah B. Pomeroy, Stanley M. Burstein, Walter Donlan, Jennifer Tolbert Roberts.** A Brief History of Ancient Greece: Politics, Society and Culture. Oxford University Press, 2008, გვ. 255.

[4] **William Bowden.** Epirus Vetus: The Archaeology of a late Antique Province. London: Duckworth, 2003, გვ. 211.

[5] **John Wilkes.** The Illyrians, გვ. 183.

[6] Eastern Michigan University Linguist List: The Illyrian Language. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://multitree.org/codes/xil.

[7] Sociolinguistics. An International Handbook of the Science of Language and Society. Edited by **Ulrich Ammon, Norbert Dittmar, Klaus J. Mattheier, Peter Trudgill.** De Gruyter Mouton, 2006, გვ. 1874.

[8] **Miranda Vickers.** Between Serb and Albanian, გვ. XVI.

ვით, წარმოადგენდა თანამედროვე ალბანური დურესის ტერიტორია, რომელიც კოსოვოდან სამხრეთ-დასავლეთით, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა.[1]

ალბანელთა პირველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი არბერის სამთავრო, დედაქალაქით კრუაში დაფუძნდა 1190 წელს.[2] აღნიშნული ტერიტორიული ერთეული ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. სამთავროს უკიდურესი ჩრდილოეთ საზღვარი გადიოდა მდ. დრინზე, ხოლო უკიდურესი დასავლეთ საზღვარი კი – ოჰრიდის ტბაზე, რაც მიგვანიშნებს, რომ კოსოვოს ტერიტორია (ან თუნდაც მისი ნაწილი) არ შედიოდა პირველი ალბანური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შემადგენლობაში.

ალბანელთა ილირიული წარმომავლობის გათვალისწინებით, ეს ხალხი ისტორიულად ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთ პირველ აღმსარებლად მიიჩნევა ევროპაში. როგორც ცნობილია, ალბანეთის ტერიტორიაზე ქრისტიანობის გავრცელება დაკავშირებულია პავლე მოციქულის სახელთან, რომელიც გადმოცემის მიხედვით ქადაგებდა რომის პროვინციის – ილირიის მიწაზე.[3] ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად თანამედროვე ალბანეთის ტერიტორიაზე გამოცხადდა IV საუკუნის 20-იან წლებში.[4] 1054 წლის საეკლესიო განხეთქილების – „დიდი სქიზმის“ შემდეგ, ალბანეთის ტერიტორია რელიგიურად ორ ნაწილად – კათოლიკურ ჩრდილოეთად და მართლმადიდებლურ სამხრეთად გაიყო.[5]

სერბული თეორიის მიხედვით, ალბანელი ხალხის წინაპრებად უნდა ჩაითვალონ დასავლეთ ბალკანეთში ანტიკურ და შუა საუკუნეებში მცხოვრები ხალხები და მათ შორის ილირიელებიც, თუმცა სერბული სამეცნიერო და პოლიტიკური შეხედულების მიხედვით, სლავების ბალკანეთში გამოჩენის შემდეგ (VI საუკუნე), სწორედ სამხრეთ-სლავები დომინირებდნენ კოსოვოს რეგიონში, ხოლო თანამედროვე ალბა-

---

[1] **Michael Attaleiates.** The History. Translated by ***Anthony Kaldellis*** and ***Dimitris Krallis.*** Cambridge, MA: Harvard University Press, 2012, გვ. 29-37; 327-333.

[2] **Alan Ducellier.** 'Albania, Serbia and Bulgaria'. In: The New Cambridge Medieval History. Vol. 5. C. 1198–c. 1300. Cambridge University Press, 1995, გვ. 779-795.

[3] St. Paul. The Oxford dictionary of the Christian church. Edited by **F. L. Cross.** Oxford University Press, 2005, გვ. 228.

[4] Albania – The Ancient Illyrians. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://www.thoughtco.com/albania-the-ancient-illyrians-4070684.

[5] **Sabrina Ramet.** Nihil obstat: religion, politics, and social change in East-Central Europe and Russia. Durham, NC: Duke University Press, 1998, გვ. 202.

ნელები აქ მხოლოდ და მხოლოდ XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწ-ყისში ჩამოსახლდნენ.[1]

ზოგადად სლავები თანამედროვე ევროპაში ხალხთა ყველაზე მრავალრიცხოვა-ნი ჯგუფია. ისინი იყოფიან სამხრეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ჯგუფებად. სერბები სლავების სამხრეთ ჯგუფში ერთიანდებიან – ბულგარელებთან, სლოვენე-ლებთან, მაკედონელებთან, მონტენეგროელებთან, ბოშნიაკებთან და ხორვატებთან ერთად.

ევროპის ტერიტორიაზე სლავები პირველად ჩნდებიან ახ.წ. V-VI საუკუნეებში. მათ მოიხსენიებენ ბიზანტიელი ავტორები. პროკოპი კესარიელთან (VI ს.) სლავები *სკლავენების* სახელით გვხვდებიან[2] და მოსახლეობენ თრაკიის ზემოთ, თანამედროვე კოსოვოსა და სერბეთის ტერიტორიის ჩრდილოეთით. სერბების გაქრისტიანება VII საუკუნის დასაწყისში, ჰერაკლე კეისრის (610-641) მმართველობის პერიოდში მოხდა. კონსტანტინე პორფიროგენეტის (X ს.) ცნობის მიხედვით, იმპერატორს „რომაელი უხ-უცესები“ გაუგზავნია სერბებით დასახლებულ მიწაზე და სწორედ ამ დროს მომხდა-რა სერბების მოქცევა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე.[3]

თავად სახელი „კოსოვო“, როგორც ცნობილია, მომდინარეობს სერბული სიტ-ყვიდან „კოს“ და ითარგმნება, როგორც „შავი შაშვი“.[4] სერბები ყოფილ სერბულ რეგი-ონს „კოსოვოსა და მეტოხიის“ სახელით მოიხსენიებდნენ. სიტყვა „მეტოხია“, თავის მხრივ, ბერძნული ენიდან მომდინარეობს (metochion) და საეკლესიო, სამონასტრო მი-წებს აღნიშნავს.[5] ალბანელები რეგიონს დარდანიის სახელითაც მოიხსენიებენ. მოი-აზრება, რომ dardha/dardā – პროტოალბანურად ნიშნავს „მსხალს“.[6]

ანტიკურ ხანაში კოსოვოს ტერიტორია სხვადასხვა ხალხებით იყო დასახლებუ-ლი. მათ შორის გამოირჩევიან დარდანები, რომელთა ეთნოლინგვისტური კუთვნი-ლება დღეისათვის ფართო სადისკუსიო საგანს წარმოადგენს. ისინი აღნიშნულ რეგი-

---

[1] **Miranda Vickers.** Between Serb and Albanian, გვ. 1-2.

[2] **Edward James.** Europe's Barbarians AD 200-600. Routledge, 2014, გვ. 96; **Procopius.** In Seven Volumes, with an English translation by H. B. Dewing. Vol. 4. History of the Wars, Books VI (continued) and VII. London: William Heinemann LTD–Cambridge MA: Harvard University Press, 1924, pp. 269-273.

[3] **Constantine Porphyrogenitus.** De Administrando Imperio & All of its Slavs. Part II. ელექტრონული ვერსია იხ.: http://www.jassa.org/?p=4918.

[4] **Tim Judah.** Kosovo. What everyone needs to know, 2008, გვ. 31.

[5] **Dusan Batakovic.** Serbia's Kosovo Drama. A Historical perspective. Belgrade, 2012, გვ. 16.

[6] **Vladimir Orel.** Albanian Etymological Dictionary. Leiden: Brill, 1998, გვ. 56.

ონში მოსახლეობდნენ გვიანელინისტურ და ადრერომაულ პერიოდებში.[1] ძვ.წ. II საუკუნის შუა ხანებში რეგიონი რომის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა და ერთი საუკუნის შემდეგ უკვე იმპერიის ილირიის პროვინციის ნაწილად მოიხსენიებოდა. ახ.წ. 87 წლიდან კოსოვო ზემო მეზიის [2] შემადგენლობაშია. V საუკუნიდან მოყოლებული, კოსოვოს რეგიონი სხვადასხვა „ბარბაროს“ ტომთა თარეშების ასპარეზად იქცა, რომელთა კულმინაციას წარმოადგენდა სლავთა შემოჭრა აღნიშნულ ტერიტორიაზე VI-VII საუკუნეებში.[3]

სლავების გამოჩენის შემდეგ, VII საუკუნის განმავლობაში ბალკანეთის ტერიტორია სლავთა სხვადასხვა ტომების განსახლების არეალად იქცა. რეგიონი ამ პერიოდში ძირითადად ბიზანტიის იმპერიიდან იმართებოდა. IX საუკუნის შუა ხანებში კოსოვოს რეგიონი ბულგარეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა, ხოლო მოგვიანებით 1018 წელს კვლავ ბიზანტიელებმა დაიკავეს. ამჯერად კოსოვო იმპერიის ბულგარეთის თემის ნაწილი გახდა. ამ პერიოდის კოსოვოს რეგიონის ეთნოდემოგრაფიულ ვითარებაზე მეტად მწირი ცნობები მოგვეპოვება. ამ მხრივ, ძალიან საინტერესო წყაროს წარმოადგენს ბიზანტიის იმპერიის დედოფლის, ერთ-ერთი პირველი ისტორიკოსი ქალის, ანა კომნენეს ცნობები, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ XI საუკუნის დასაწყისში კოსოვოს ტერიტორია ძირითადად სერბებით ყოფილა დასახლებული.[4]

ამგვარად, როგორც ირკვევა, XI საუკუნისთვის კოსოვოს ტერიტორია ფაქტობრივად სლავიზებულია. კოსოვოს რეგიონი, რომელიც ამ ტერიტორიაზე სლავების გამოჩენის შემდგომ კოსოვოსა და მეტოხიის სახელით იყო ცნობილი, სერბული სამთავროების – დიოკლეას, ზეტას, მოგვიანებით კი რაშკასა და შემდგომში სერბეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა.[5] კოსოვოსა და მეტოხიის რეგიონის სერბეთის სამეფოში ინტეგრირება ეტაპობრივად ხდებოდა XII-XV სს.-ში. 1217-1346 წლებში კოსოვო-მე-

---

[1] **John Wilkes.** The Illyrians, გვ. 85.

[2] მეზია რომის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი, მდ. დუნაის სამხრეთ ნაპირზე მდებარე პროვინცია იყო, რომელიც ორ ნაწილად – ზემო და ქვემო მეზიად იყოფოდა. ზემო მეზია (Moesia Superior) მოიცავდა თანამედროვე სერბეთის ცენტრალურ ნაწილს, კოსოვოს, მაკედონიის ჩრდილოეთ ნაწილებს. ქვემო მეზია (Moesia Inferior) კი, თავის მხრივ, აერთიანებდა თანამედროვე ჩრდილოეთ ბულგარეთის და რუმინული დობრუჯას ტერიტორიებს.

[3] **Curta Florin.** The Making of Slavs: History and Archaeology of the Lower Danube Region, c. 500-700. Cambridge University Press, 2001, გვ. 189.

[4] **Anna Comnena.** The Alexiade. Book II, გვ. 47.

[5] **Dusan Batakovic.** Serbia's Kosovo Drama, გვ. 23.

ტოხიის რეგიონი სერბეთის სამეფოს, 1346-1371 წლებში – სერბეთის იმპერიის, ხოლო 1371-1459 წლებში – სხვადასხვა სერბული სამთავროების შემადგენლობაში იყო.[1]

XIII საუკუნის დასაწყისში, პირველი სერბი არქიეპისკოპოსის სავა ნემანიჩის (წმ. სავა) მიერ კოსოვოსა და მეტოხიის მიწაზე დაარსდა სერბული მართლმადიდებლური ეკლესიის სამი საეპისკოპოსო – ჰვოსნოს, პრიზრენისა და ლიპლიანის. მკვლევარ ჯონ ფაინ-უმცროსის თანახმად, არქიეპისკოპოსის უმთავრესი მიზანი იყო სერბეთის სამეფოს მთელი ტერიტორიის გაერთიანება ერთი საარქიეპისკოპოსოს ქვეშ.[2]

კოსოვოსა და მეტოხიის ტერიტორიაზე 1300-მდე ეკლესია-მონასტერი მდებარეობს, რომელთა დიდი ნაწილი XIII-XVII საუკუნეებში სერბების მიერ არის აგებული. აღნიშნული ძეგლებიდან სამი – დეჩანის, პეჩისა და ლიევიშკას ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია შეტანილია UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში.[3] როგორც სერბი ავტორები აღნიშნავენ, ალბანური პროპაგანდა ადრეული სერბულ ქრისტიანულ ეკლესია-მონასტრებს „ილირიულ ეკლესიებად“ მოიხსენიებს, თუმცა სერბი მკვლევრის გოიკო სუბოტიჩის თანახმად, ეს ძეგლები არა ილირიულ-ალბანური, არამედ ბიზანტიური ეპოქისა და არქიტექტურისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს ატარებენ.[4]

სერბეთის სამეფოს აღმავლობა დაკავშირებულია ნემანიჩების სერბულ დინასტიასთან (1166-1371). ნემანიჩების დინასტიის ყველაზე სახელოვან წარმომადგენლად ითვლება სერბეთის მეფე სტეფან დუშანი (1331-1355), რომელმაც 1343 წელს წამოიწყო სამხედრო კამპანია თანამედროვე ალბანეთის ტერიტორიაზე. მისი მმართველობის დროს 1346 წელს სერბეთის საპატრიარქოს ცენტრი გახდა ქალაქი პეჩი. იმავე წელს ეპირისა და თესალიის შემოერთების შემდეგ, დუშანი აკურთხეს სერბების, ბერძნების, ბულგარელებისა და ალბანელების მეფედ. სამეფოს ცენტრად იქცა ქალაქი პრიზრენი.[5]

სტეფან დუშანის გარდაცვალების შემდეგ (1355) დაიწყო ნემანიჩების დინასტი-

---

[1] **Barisa Krekic.** “Medieval Serbia: The Nemanyids and Byzantium.” წიგნში: *Byzantine Studies. Essays on the Slavic World and the eleventh century.* Edited by ***Speros Vryonis, Jr***. New Rochelle, NY: Aristide D. Caratzas Publisher, 1985, გვ. 43-52.

[2] **John V. A. Fine Jr.** The late Medieval Balkans. A Critical Survey from the Late Twelfth to the Ottoman Conquest. Ann Arbor, MI: The University of Michigan Press, 1985, გვ. 117.

[3] Medieval Monuments in Kosovo. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://whc.unesco.org/en/list/724/.

[4] **Gojko Subotic.** Art of Kosovo: The Sacred Land. New York: Monacelli Press, 1998.

[5] **Pellumb Xhufi.** The Albanians in the Serbian Nemanja Kingdom. */ Kosova Historical Review*, № 4, 1994, გვ. 18.

ის დასუსტება, რაც დაემთხვა ოსმალური გავლენის გაძლიერებას ბალკანეთში. ამ პროცესმა სერბი ხალხი მიიყვანა კოსოვოს ველის ბრძოლამდე, რომელიც გაიმართა 1389 წლის 28 ივნისს, წმინდა ვიტის ხსენების სერბულ დღესასწაულზე.[1] მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ბრძოლიდან გამოკვეთილ და უპირობო გამარჯვებულად არცერთი მხარე არ გამოსულა, სწორედ კოსოვოს ველზე გამართული ბრძოლა ითვლება კოსოვოსა და იმდროინდელი სერბეთის სამეფოს დიდი ნაწილის ოსმალეთის იმპერიის დაქვემდებარებაში შესვლის თარიღად. კოსოვოში ოსმალური მმართველობა ოფიციალურად 1455 წელს დაიწყო.[2]

კოსოვოს ველზე ბრძოლამდე მხოლოდ ოთხი წლით ადრე 1385 წლის 18 სექტემბერს, სავრას ბრძოლაში ალბანელების დამარცხების შემდეგ, ოსმალური მმართველობის პერიოდი დაიწყო ალბანელი ხალხის ისტორიაშიც. აღსანიშნავია, რომ ალბანელები საკმაოდ აქტიურად იბრძოდნენ ოსმალთა წინააღმდეგ. ოსმალთა ექსპანსიამდე თანამედროვე ალბანეთის ტერიტორია ძირითადად სამი – დუკაგინების (ჩრდილოეთით), კასტრიოტების (ცენტრალური ნაწილი) და ალბანეთის (სამხრეთ-დასავლეთით) სამთავროსგან შედგებოდა. სწორედ კასტრიოტების სახლი, კერძოდ, გიონ (იოანე) კასტრიოტი გვევლინება ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლ ალბანელ მთავრად სავრას ბრძოლის შემდეგ. გიონის შვილი გეორგ კასტრიოტი, სკანდერბეგად წოდებული, რომელიც მოგვიანებით ალბანელთა ეროვნული გმირი გახდა, ამავე დროს საკმაოდ ორაზროვან ფიგურას წარმოადგენს ალბანეთის ისტორიაში.[3]

გიონ კასტრიოტი იძულებული გახდა მისი ოთხი შვილი მძევლად გაეგზავნა კონსტანტინოპოლში. ერთ-ერთი მათგანი იყო სკანდერბეგი, რომელიც ისლამის მიღების შემდგომ სულთნის მხარდამხარ იბრძოდა. 1443 წელს, ნიშის (თანამედროვე სერბეთის ტერიტორია, იმდროინდელი ალბანეთი) ბრძოლაში სკანდერბეგის თაოსნობით გამოგზავნილი ოსმალური ლაშქარი მარცხდება ალბანელებთან ბრძოლაში.[4] ამის შემდეგ, სკანდერბეგი უბრუნდება ქრისტიანულ რწმენას და იწყებს ბრძოლას

---

[1] **Thomas A. Emmert.** Serbian Golgotha: Kosovo 1389. New York: Columbia University Press, 1990, გვ. 129.
[2] **Dusan Batakovic.** The Kosovo Chronicles. Belgrade, 1992, გვ. 40.
[3] **Fatos Lubonja.** "Between the Glory of a Virtual World and the Misery of a Real World." წიგნში: *Albanian Identities: Myth and History.* Edited by Stephanie Schwandner-Sievens and Bernd J. Fischer. London: Hurst, 2002, გვ. 92.
[4] The Ottoman Conquest of Albania. ob.: http://countrystudies.us/albania/17.htm.

ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. მან იმდროინდელი ალბანეთის ნაწილის განთავისუფლებაც კი მოახერხა ოსმალური გავლენისგან. როგორც მკვლევარი ტიმ ჯუდა აღნიშნავს, ლეგენდა სკანდერბეგის შესახებ ბურუსით არის მოცული. მით უფრო გასაკვირია ის ფაქტი, რომ სკანდერბეგი ალბანელთა ეროვნულ გმირად XIX საუკუნეში იქცა, მაშინ როდესაც ალბანელთა უმეტესობა უკვე მუსლიმი იყო. თანამედროვე ალბანეთის დროშაზე გამოსახული ორთავიანი არწივი, რომელიც, პირველ რიგში, ბიზანტიურ არწივთან ასოცირდება, ალბანელთათვის ლეგენდარული სკანდერბეგის ბეჭედზე გამოსახულ არწივთან ჰპოვებს მსგავსებას.[1] ალბანელი მეცნიერის, პირო მიშას თქმით, სკანდერბეგის ფიგურა მითებისა და ისტორიული ფაქტების ნაზავისგან არის შექმნილი და ალბანელთათვის მას რელიგიურზე მეტად, სამშობლოსათვის „მარადჟამს მებრძოლი“ გმირის სიმბოლური დატვირთვა აქვს.[2]

ამგვარად, როგორც ვხედავთ, XIV საუკუნის ბოლოს, როგორც ალბანელებს, ისევე სერბებს, ოსმალეთის იმპერია დამპყრობლად ევლინება. ამ პერიოდისთვის ეს ორი ხალხი ქრისტიანული რელიგიის აღმსარებელი იყო და ბუნებრივია, ისლამურ იმპერიასთან ბრძოლა მათთვის საერთო მიზანს წარმოადგენდა.

1660 წელს კოსოვოს ტერიტორიაზე მოგზაურობის საინტერესო ჩანაწერები მოიპოვება თურქი მოგზაურის ევლია ჩელების (1611-1682) ნაშრომში. კოსოვოს ჩრდილოეთით მდებარე მიტროვიცას ციხესიმაგრეზე საუბრისას ჩელები აღნიშნავს, რომ ეს ციხე სერბი მეფეების მიერ ყოფილა აგებული. მათვე უკავშირებს ჩელები კოსოვოს სამხრეთით ქალაქ ვუშტრიის გამაგრებული ქალაქის მშენებლობას. საკუთარი მოგზაურობა ჩელების პრიშტინაში დაუსრულებია. ეს ქალაქი, ზემოაღნიშნული ქალაქების მსგავსად, ავტორის თქმით, სერბ მეფეებს აუშენებიათ.[3]

სერბული შეხედულების მიხედვით, ოსმალური მმართველობის განმავლობაში კოსოვოში რეგიონში დემოგრაფიული მდგომარეობა ალბანელთა სასარგებლოდ იცვლებოდა. ოსმალური საკადასტრო აღწერების მიხედვით, 1455 წელს აღნიშნულ რე-

---

[1] **Tim Judah.** Kosovo, გვ. 25-26.

[2] **Piro Misha.** “Invention of a Nationalism: Myth and Amnesia.” /*Albanian Identities: Myth and History.* Edited by Stephanie Schwandner-Sievens and Bernd J. Fischer. London: Hurst, 2002, გვ. 43.

[3] Evliya Çelebi in Albania and Adjacent Regions (Kosovo, Montenegro, Ohrid). Translated from the Ottoman Turkish by ***Robert Elsie*** and ***Robert Dankoff.*** Leiden, 2000, გვ. 11-25. ელექტრონული ვერსია იხ.: http://www.albanianhistory.net/1660_Chelebi/index.html.

გიონში 13 000 სერბული და მხოლოდ 46 ალბანური დასახლება იყო აღრიცხული.[1] XVII საუკუნის ბოლოს ავსტრიისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის ომის პერიოდში, კოსოვოში დემოგრაფიული ვითარება მკვეთრად შეიცვალა ალბანელთა სასარგებლოდ. 1690 წელს ავსტრიულმა ჯარებმა სერბეთის გავლით, თანამედროვე მაკედონიის დედაქალაქ სკოპიემდეც კი მიაღწიეს, სადაც საბოლოოდ ოსმალებთან დამარცხდნენ. ოსმალეთის იმპერიისგან საპასუხო ზომების გატარების შიშით, ქრისტიანი სერბების დიდმა ნაწილმა, ავსტრიის იმპერატორ ლეოპოლდ I-ის მიერ ჰაბსბურგთა იმპერიაში თავშესაფრის მიღების გარანტიების შემდგომ, დატოვა საკუთარი სამშობლო. 37 000 ოჯახი გადასახლდა ამ პერიოდში კოსოვოს რეგიონიდან უნგრეთის ტერიტორიაზე პატრიარქ არსენიუს ცრნოიევიჩ III-ის მეთაურობით. [2]

აღნიშნული შეხედულების საპირისპიროდ, ბრიტანელი ისტორიკოსი ნოელ მალკოლმი საკუთარი წიგნის: „კოსოვო: მოკლე ისტორია“ – მერვე თავში გამოთქვამს ვარაუდს იმის შესახებ, რომ ამ პერიოდში სერბული მოსახლეობის მასობრივი გადინება მოხდა არა კოსოვოს, არამედ იმდროინდელი სერბეთის სამეფოს ცენტრალური ნაწილიდან. მალკოლმის თქმით, ევროპის სხვადასხვა ქვეყნის არქივებში მუშაობამ იგი მთელ რიგ დასკვნებამდე მიიყვანა, რომელთა მიხედვითაც, პატრიარქ არსენიუსს არანაირი გარანტიები არ ჰქონია ავსტრიის იმპერატორისგან თავშესაფრის მიღების თაობაზე. ამასთან ერთად, ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში იმდროინდელი სერბული მოსახლეობა ერთსულოვანი არ ყოფილა. როგორც მალკოლმი დასძენს, მრავალი სერბი იბრძოდა ოსმალთა ჯარში, ისევე როგორც მრავალი მუსლიმი ალბანელი იყო ავსტრიის სამხედრო ნაწილებში. გარდა ამისა, მალკოლმი აღნიშნავს, რომ კოსოვოს რეგიონის ქალაქი პრიზრენი, სადაც იმ დროისთვის მთავარი მოქმედებები ვითარდებოდა, უკვე მთლიანად ალბანური – მუსლიმური იყო.[3]

XVII საუკუნის დამდეგის კოსოვოს მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ბარის არქიეპისკოპოსი

---

[1] **А. Я. Маначинский**, **Д. О. Денисов.** Косово и Метохия: Между автономией и сепаратизмом. История и современность, გვ. 18; 1972 წელს სარაევოში ოსმალური საკადასტრო აღწერის ტექსტი ითარგმნა და გამოქვეყნდა. იხ.: **E. Kovačević, A. Handžić, H. Hadžibegović**. Oblast Brankovića – Opširni katastarski popis iz 1455. Orijentalni institut. Sarajevo, 1972.

[2] Kosovo and Metohija. Living in the Enclave. Ed. by **Dusan T. Batakovic**, Belgrade, 2007, გვ. 26-27.

[3] **Noel Malcolm.** Kosovo: A Short History. New York: New York University Press, 1998, გვ. 492.

მარინო ბიძი, რომლის მიხედვითაც ამ პერიოდში კოსოვოს მოსახლეობა ძირითადად „სქიზმატებისგან“ (იგულისხმებიან სერბი მართლმადიდებლები) შედგებოდა.[1]

ჰაბსბურგთა და ოსმალთა დიდი ომის (1683-1699) შესახებ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ვენის სამხედრო არქივში დაცული გერმანულენოვანი დოკუმენტი – „შენიშვნები და მოსაზრებები 1689 წელს საიმპერატორო ძალების სამხედრო შესაძლებლობების შესახებ“, რომელიც, თავის მხრივ, ნაწილია უფრო ვრცელი იტალიური დოკუმენტისა – „Origine della guerra fra l'Imperatore dei Christiani, e quello de Turchi l'anno 1682“. დოკუმენტში საუბარია ავსტრიელთა ნაწილების ზემოაღნიშნულ შეტევაზე ოსმალური ნაწილების წინააღმდეგ კოსოვოს, მაკედონიისა და ჩრდილოეთ ალბანეთის ტერიტორიის გავლით.[2]

სხვა დეტალებთან ერთად, დოკუმენტი საყურადღებოა იმ პერიოდის კოსოვოს ტერიტორიაზე ალბანური მოსახლეობისა და სამხედრო ნაწილების ორგანიზებულობის თვალსაზრისით. ალბანელები დოკუმენტში „ალბანეზეებად“ (Albanese) და „არნაუტებად“ (Arnauts) არიან მოხსენიებული, ხოლო სერბები კი – რაშიანების (იტალ. Rasciani) სახელით. წყაროში ასევე საუბარია ალბანელი არქიეპისკოპოსის, პრიზრენის მკვიდრი პეტერ ბოგდანის (1630-1689) გარდაცვალების შესახებ. როგორც ირკვევა, ამ პერიოდში მუსლიმი ალბანელები (არნაუტები) ოსმალთა რიგებში დაქირავებული მეომრების სახით იბრძოდნენ. ჰაბსბურგთა ნაწილების კოსოვოში გამოჩენასთან ერთად, პრიზრენში მცხოვრები 6000 ალბანეზე (ქრისტიანი ალბანელები) იმპერატორის მხარეს გადასულა. ამის მიუხედავად, ავტორი საგანგებოდ უსვამს ხაზს ალბანელთა არასანდო ბუნებას და ამბობს, რომ საიმპერატორო არმიის რიგებში მებრძოლი 20 000-მდე ალბანელიდან მხოლოდ 300 დარჩა იმპერატორის ერთგული. დანარჩენი ნაწილი ხშირად იცვლიდა მხარეს კათოლიკურ ჰაბსბურგთა იმპერიასა და პორტას შორის.[3]

---

[1] **Franjo Rački**: "Izveštaj barskog nadbiskupa Marina Bizzia o svojem putovanju god. 1610 po Arbanaškoj i Staroj Srbiji." Starine JAZU XX. Zagreb: Jugoslavenska akademija znanosti i umjetnosti, 1980, გვ. 50-156. იხ.: **Dusan Batakovich.** "Kosovo and Metohija: History, Memory, Identity." In: The Christian Heritage of Kosovo and Metohija. The Historical and Spiritual Heartland of the Serbian People. Ed. Bishop Maxim (Vasilevic). Los Angeles: Sebastian Press, 2015, გვ. 580.

[2] Annotationes und Reflexiones der gloriosen kayserlichen Waffen im Jahr 1689. In: Austrian State Archives (Österreichisches Staatsarchiv), Military Archives (Kriegsarchiv), Vienna, AFA, Carton 195, 1689-13-1, fol. 32r-49r. Translated from the German by ***Robert Elsie***. იხ.: http://www.albanianhistory.net/1689_Kosovo-Turkish-War/index.html.

[3] Annotationes und Reflexiones der gloriosen kayserlichen Waffen im Jahr 1689.

აღნიშნული 6000 პრიზრენელი ალბანელის ავსტრიელთა მხარეს გადასვლა დაკავშირებულია არქიეპისკოპოს პეტერ ბოგდანის სახელთან, რომელიც ომის პერიოდში ენერგიულად ეწეოდა ანტოსმალურ მოღვაწეობას კოსოვოს ტერიტორიაზე. აღნიშნული დოკუმენტი საგანგებო მწუხარებითა და პატივისცემით ეხება ბოგდანის გარდაცვალების საკითხს და ხაზს უსვამს მის დიდ წვლილს ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.[1]

ამასთან ერთად, წყარო საუბრობს პრიშტინას მკვიდრი 5000 არნაუტის (მუსლიმი ალბანელის) ანტიოსმალური აჯანყების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონია საიმპერატორო ძალების რეგიონში გამოჩენის ხანებში.[2] ეს მონაკვეთი მეტად მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის პრიშტინას ოლქში იმ პერიოდში მცხოვრები ალბანელების რაოდენობის შესახებ.

ამ პერიოდისთვის, როგორც ცნობილია, ალბანეთის ჩრდილოეთ ნაწილი, სადაც XI საუკუნის საეკლესიო განხეთქილების შემდეგ ძირითადად ქრისტიანობის კათოლიკური მიმდინარეობა იყო გავრცელებული, ძლიერ ისლამურ გავლენას განიცდის. აღნიშნული პროცესი ამ მხარეში XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისიდან იწყება, მაშინ როდესაც სამხრეთით ალბანეთის მართლმადიდებლური ნაწილის ისლამიზაცია მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ხდება.[3] მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში სერბ და ალბანელ ხალხს შორის ტერიტორიულ უთანხმოებას ადგილი ჯერ არ ჰქონია, პორტას ამგვარი რელიგიური პოლიტიკა ჩრდილოეთ და სამხრეთ ალბანეთის მიმართ გვაფიქრებინებს, რომ ოსმალეთის იმპერია სერბებსა და ალბანელებს შორის დაპირისპირების ინსპირირებაზე იყო ორიენტირებული, ამის მისაღწევად კი აღნიშნული რელიგიური პოლიტიკა მეტად „მოსახერხებელი“ წინაპირობა უნდა ყოფილიყო. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს *Divide et Impera*-ს პოლიტიკის კლასიკურ ნიმუშთან.

სერბების მეორე მასიური გადასახლება კოსოვოს რეგიონიდან მოხდა 1739 წელს, როდესაც ოსმალეთმა კიდევ ერთხელ დაამარცხა ავსტრიის ჰაბსბურგთა იმპერია. ათასობით სერბი კვლავ მოექცა ისლამიზაციის საფრთხის ქვეშ. ამჯერად სერბებისა მარ-

[1] Annotationes und Reflexiones der gloriosen kayserlichen Waffen im Jahr 1689.
[2] Annotationes und Reflexiones der gloriosen kayserlichen Waffen im Jahr 1689.
[3] **Sabrina Ramet.** Nihil obstat, გვ. 203-204; **Gyorgy Lederer.** “Islam in Albania.” / *Central Asian Survey,* Vol. 13, № 3, 1994, გვ. 331-359.

თლმადიდებელი ალბანელების კოსოვოდან უნგრეთის სამხრეთ ნაწილში გადასახლებას პატრიარქი არსენიუს IV საკაბენტა ხელმძღვანელობდა.[1] აღნიშნულ მოვლენაზე საუბრისას ძველი სერბული საისტორიო ქრონიკა პარალელს ავლებს დიოკლეტიანეს ანტიქრისტიანულ პოლიტიკასთან რომის იმპერიაში.[2] რელიგიური და დემოგრაფიული მდგომარეობის შედარებით გაუმჯობესება კოსოვოს სერბი მოსახლეობისთვის იწყება 1774 წელს რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიების ომის დამასრულებელი ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ, როდესაც რუსეთის იმპერიამ იტვირთა ბალკანური ქრისტიანობის „მცველის“ როლი.[3]

სერბების გადასახლებასთან ერთად, ალბანელების რაოდენობა კოსოვოში იზრდებოდა. ჯერ კიდევ XIV საუკუნეში ალბანელთა დასახლებები მოხსენიებულია „ოქროს ბულად“ წოდებულ სერბეთის მმართველთა ორ დოკუმენტში. 1330 წლის დოკუმენტის მიხედვით, ალბანური მოსახლეობა აღირიცხებოდა კოსოვოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ვლახების მეზობლად, მდ. თეთრ დრინსა და ლიმს შორის. 1348 წლის დოკუმენტში კი ალბანური დასახლებები მოიხსენიება პრიზრენის მიმდებარედ, ასევე კოსოვოს სამხრეთით.[4] XVII საუკუნის შემდეგ, ოსმალეთის იმპერიის ძალისხმევით, ჩრდილოელ ალბანელთა დიდი ნაწილი ისლამურ რელიგიაზე ექცევა და იწყება მათი ჩასახლება კოსოვოს სხვადასხვა რაიონებში.[5] განსაკუთრებული ინტენსივობით ალბანელთა ჩასახლება კოსოვოს მხარეში ხდება XVIII ს.-ის შუა ხანებიდან მოყოლებული XIX ს.-ის 40-იანი წლების ჩათვლით.[6]

ამგვარად, XIX საუკუნის დამდეგს კოსოვოს რეგიონში ცხოვრობდა როგორც სერბული, ასევე ალბანური მოსახლეობა. მართალია, ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობას მთელი შუა საუკუნეების მანძილზე სერბები შეადგენდნენ, თუმცა ოსმალური მმართველობის განმტკიცებასთან ერთად, ქრისტიანი სერბული მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა ოსმალეთის იმპერიის მი-

---

[1] **Dusan Batakovic.** Kosovo and Metohija. Living in the Enclave, გვ. 28.
[2] **Ljub Stojanovic.** Stari srpski zapisi I natpisi. T. V. Belgrade & Novi Sad, 1987, გვ. 7734, 7737.
[3] **Miranda Vickers.** Between Serb and Albanian, გვ. 29.
[4] **Noel Malcolm.** Kosovo, გვ. 54; **H. R. Wilkinson.** "Jugoslav Kosmet: The evolution of a frontier province and its landscape." / *Transactions and Papers (Institute of British Geographers),* vol. 21, 1955, გვ. 183.
[5] **Noel Malcolm.** Kosovo, გვ. 155.
[6] **Karl Kaser.** Household and Family in the Balkans: Two Decades of Historical Family Research at University of Graz. Munster: LIT Verlag, 2012, გვ. 124.

ზანმიმართული რელიგიური პოლიტიკის გამო, რომელიც ბალკანეთის ხალხების ერთმანეთისაგან რელიგიურად გაყოფასა და ამ გზით მათ შორის უთანხმოების ჩამოგდებას ითვალისწინებდა.

§2. აფხაზეთი უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე

საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ რეგიონის, აფხაზეთის საერთო ფართობია 8 670კმ². სეპარატისტების მიერ 2017 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით, აფხაზეთის ტერიტორიაზე 243 564 ადამიანი ცხოვრობს.[1] ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსით ცხოვრობს 273 411 ადამიანი.[2]

რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთი „დამოუკიდებელ" სახელმწიფოდ იქნა აღიარებული 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ. დღეისათვის აფხაზეთის „დამოუკიდებლობას" დე იურე სცნობს გაერო-ს მხოლოდ ხუთი წევრი სახელმწიფო – რუსეთის, ნიკარაგუის,[3] ვენესუელის,[4] ნაურუსა[5] და სირიის[6] მიერ არის აღიარებული. ვანუატუსა და ტუვალუს სახელმწიფოებმა 2011 წელს ჯერ აღიარეს აფხაზეთის დე-ფაქტო დამოუკიდებლობა, ხოლო 2013-2014 წლებში უარყვეს აღნიშნული აღიარება.[7] აფხაზეთის „სახელმწიფოებრივ სტატუსს" მხარს უჭერს ასევე სამი არაღიარებული, გაერო-ს არაწევრი ტერიტორიული ერთეული – ე.წ. „სამხრეთ ოსეთი",

---

[1] Georgia. Republic of Georgia. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://www.citypopulation.de/Georgia-Cities.html.

[2] დევნილთა სტატისტიკა. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.mra.gov.ge/geo/static/55.

[3] Russia welcomes Nicaragua's recognition of South Ossetia, Abkhazia. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://unpo.org/content/view/8624/236/?id=8624

[4] Венесуэла признает независимость Абхазии и Южной Осетии. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.interfax.ru/russia/99801.

[5] Abkhazia Is Recognized by Nauru. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.nytimes.com/2009/12/16/world/europe/16georgia.html.

[6] Syria formally recognizes Abkhazia and South Ossetia. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://eurasianet.org/syria-formally-recognizes-abkhazia-and-south-ossetia.

[7] Georgia Says Vanuatu Has Withdrawn Recognition of Abkhazia. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://www.bloomberg.com/news/articles/2013-05-20/georgia-says-vanuatu-has-withdrawn-recognition-of-abkhazia; Tuvalu withdraws recognition of breakaway Georgia regions. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://dfwatch.net/tuvalu-withdraws-recognition-of-georgian-breakaway-regions-20875-27597.

დნესტრისპირეთი[1] და მთიანი ყარაბაღის ე.წ. სომხური არცახის რესპუბლიკა.[2]

თანამედროვე აფხაზი ხალხის წარმომავლობასთან დაკავშირებით არსებობს ორი თეორია. პირველი თეორიის თანახმად, რომელსაც ქართველ ისტორიკოსთა უმეტესი ნაწილი იზიარებს, თანამედროვე აფსუები არიან შთამომავლები იმ ხალხისა, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე XVII საუკუნისთვის ჩამოსახლდა და მოახდინა ასიმილაცია ძველი აფხაზური მოსახლეობისა, რომელიც, თავის მხრივ, აფხაზურ მიწაზე ახ.წ. I საუკუნიდან ცხოვრობდა და აბაზგებად და აფშილებად იწოდებოდა. აფსუა სეპარატისტების თეორიის მიხედვით, ისინი სწორედ ზემოაღნიშნული აბაზგებისა და აფშილების შთამომავლები და, ამგვარად, აფხაზეთის ტერიტორიის ძირძველი მოსახლეები მხოლოდ ისინი არიან.[3]

თანამედროვე ენათმეცნიერებისთვის მეტად რთულია იმის განსაზღვრა, თუ რა ენაზე მეტყველებდნენ უძველეს დროში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომები. კავკასიურ ენათა ერთიანი ოჯახის შესახებ თეორია ჯერ კიდევ XIX საუკუნეში წამოაყენა რუსმა მეცნიერმა პეტრე უსლარმა.[4] კავკასიური ენების საერთო წარმომავლობის თეორიას უჭერდა მხარს ასევე ივანე ჯავახიშვილი მის კვლევაში: „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“.[5] თუმცა მკვლევართა ნაწილი (გ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, ს. ნიკოლაევი, ს. სტაროსტინი) უარყოფს ქართული ენის გენეტიკურ ერთობას ჩრდილოკავკასიურ ენებთან.[6]

როგორც ცნობილია, ძვ.წ. VI-I საუკუნეების მანძილზე თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია დასავლურქართული კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. გვიან ბრინჯაოს ხანაში აღნიშნული სამეფოს ტერიტორიაზე გავრცელებას იწყებს ერთიანი კულტურა, რომელიც „კოლხური კულტურის“ სახელითაა ცნობილი. აღნიშნუ-

---

[1] Абхазия, Южная Осетия и Приднестровье признали независимость друг друга и призвали всех к этому же. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.newsru.com/russia/17nov2006 /aup.html.

[2] Страны, признавшие независимость Республики Абхазия. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://web.archive.org/web/20130218144841/http://www.abjasia.org:80/recognition.html.

[3] **მარიამ ლორთქიფანიძე.** აფხაზები და აფხაზეთი. თბილისი: „განათლება“, 1990, გვ. 2-3.

[4] **П. К. Услар.** Этнография Этнография Кавказа. Языкознание. Абхазский язык. Тифлис, 1887.

[5] **ივანე ჯავახიშვილი.** თხზულებანი 12 ტომად. ტ. X. თბილისი, 1992.

[6] **Т. В. Гамкрелидзе.** Современная диахроническая лингвистика и Картвельские языки. / *«Вопросы Языкознания»*, № 3. Москва, 1971; **Г. И. Мачавариани.** Обшекартвельская консонантная система. Тбилиси, 1965; **С. Н. Николаев, С. А. Старостин.** Северо-кавказские языки и их место среди других языковых семей Передней Азии. კრებულში: Лингвистическая реконструкция и древнейшая история Востока. Тезисы докладов. Ч. 3. Майкоп, 1984.

ლი კულტურის ძეგლები აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ეშერაში, მუგუ-ძირხვაში, ბომბორაში, კულანურხვაში, გაგრაში, ბიჭვინთაში, ლიხნში და სხვ.[1] ამგვარად, არქეოლოგიურ ლიტერატურაში (ა. იესენი, მ. ტრაპში) მიღებული დასკვნის მიხედვით, დასავლეთ კავკასიის მასშტაბით ერთიანი მატერიალური კულტურის გავრცელების ფაქტი უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამ პერიოდში ცხოვრობდნენ ეთნიკურად მონათესავე საერთო კავკასიური წარმოშობის ტომები.[2]

უძველესი ინფორმაცია კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომების შესახებ გვხვდება ძველ ბერძნულ წყაროებში. პირველი ავტორი, რომელიც მეტნაკლებად სრულად მიმოიხილავს ძველი კოლხეთის სამეფოს ეთნიკურ სურათს არის ბერძენი ლოგოგრაფოსი ჰეკატეოს მილეტელი (ძვ.წ. VI ს). იგი კოლებისა და კორაქსების ტომებს, რომლებიც კავკასიონის ქედის სამხრეთით, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლეობდნენ – „კოლხურ ტომებს“ უწოდებს.[3] ძვ.წ. IV საუკუნის ავტორის სქილაკს კარიანდელის ცნობით, კორაქსებისა და კოლების სამხრეთით, დიოსკურიიდან (დღევანდელი სოხუმი) მდ. აფსაროსამდე (მდ. ჭოროხი) მოცემულ პერიოდში საკუთრივ კოლხები ცხოვრობდნენ.[4]

ახ.წ. I-II სს. წერილობით წყაროებში ჩნდება ცნობები „აფსილებისა“ (პლინიუსი,[5] არიანე) და „აბაზგების“ (არიანე[6]) შესახებ. აღნიშნული ტომების განსახლების არეალად ივარაუდება მდ. ღალიძგასა და მდ. კელასურს შორის ტერიტორია.

ახ.წ. II-VI საუკუნეებში აფხაზეთის ტერიტორია უკვე კოლხეთის სამეფოს უშუა-

---

[1] **О. М. Джапаридзе.** Позднебронзовая культура. Западногрузинская культура. წიგნში: *«Очерки истории Грузии»*. Т. I. Тбилиси, 1989, გვ. 130.

[2] **А. А. Иессен.** Прикубаньский очаг металургии и металообработки в конце медно-бронзового века. / *«Материалы и исследования по археологии СССР»,* №23. Москва, 1951; **М. М. Трапш.** Первобытнообщинный строй и рабовладельческие отношения на территории Абхазии. Труды. Т. 1. Сухуми, 1970; **Д. Л. Мусхелишвили.** Исторический статус Абхазии в Грузинской государственности. წიგნში: *«Разыскания по истории Абхазии/Грузия»*. Тбилиси, 1999, გვ. 119.

[3] **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – Историческая область Грузии (Историография, документы и материалы, комментарии). С древнейших времён до 30-х годов XX века. Тбилиси, 1997, გვ. 161.

[4] **ზურაბ პაპასქირი.** ნარკვევები.., ნაკვ. I, გვ. 24; **М. П. Инадзе.** Вопросы этнополитической истории древней Абхазии. წიგნში: *«Разыскания по истории Абхазии/Грузия»*. Тбилиси, 1999, გვ. 61.

[5] **Плиний Старший.** Естественная история. Книга шестая. ელექტრონული ვერსია იხ.: http://annales.info/ant_lit/plinius/06.htm.

[6] **ფლავიუს არიანე.** მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა *ნათელა კეჭაღმაძისა.* თბილისი, 1961, გვ. 11-18. ელექტრონული ვერსია იხ.: http://dspace.gela.org.ge/bitstream/123456789/5120/1/mogzauroba%20shavi%20zgvis%20garshemo.pdf.

ლო მემკვიდრის – ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს შემადგენლობაშია. ამას ადასტურებს VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის ცნობა: „კოლხიდა, რომელსაც ახლა ლაზიკა ეწოდება“.[1] ამ პერიოდის მანძილზე თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია რჩებოდა ლაზიკა-ეგრისის სახელმწიფოს ორგანულ ნაწილად, თუმცა აბაზგია-აფხაზეთის (ამ დროს მოიცავდა მდ. გუმისთასა და ბზიფს შორის ტერიტორიას) მმართველები გარკვეული სუვერენიტეტით სარგებლობდნენ და ფაქტობრივად მხოლოდ ნომინალურად ცნობდნენ ლაზიკის მეფეთა უზენაესობას. აფსილია-აფშილეთი ადმინისტრაციულად უშუალოდ ლაზიკა-ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა და მას ლაზიკის სამეფო ხელისუფლების მიერ დანიშნული მოხელე მართავდა.[2]

V-VI საუკუნეებში, ლაზიკის სამეფოს გავლენის შესუსტების მიზნით, ბიზანტიის იმპერია ცდილობდა აბაზგია-აფხაზეთის მმართველების დაპირისპირებას ლაზიკა-ეგრისის მეფეებთან. შედეგად, VI საუკუნის ბოლოს, აბაზგია ფაქტობრივად გამოყვანილ იქნა ლაზიკის იურისდიქციიდან და უშუალოდ ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლების დაქვემდებარებაში გადავიდა. აბაზგიის მთავრებს არქონტები ეწოდებოდათ.[3]

VIII საუკუნის შუა ხანებში განვითარებულმა მოვლენებმა და არაბთა შემოსევამ მნიშვნელოვნად შეცვალა ვითარება. VIII ს.-ის 30-იან წლებში, ქართული სამეფო-სამთავროები არაბი სარდლის მარვან იბნ-მუჰამედის (მურვან ყრუ) ლაშქრობების არენად გადაიქცნენ. როგორც ჯუანშერი მოგვითხრობს: „შევლო ყრუმან კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა, შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი და მოადგა ციხესა ანაკოფისასა“.[4] ამ დროისთვის ბიზანტიის იმპერია ახერხებს აბაზგია-აფხაზეთის ჩამოცილებას ლაზიკა-ეგრისის დაქვემდებარებიდან და აქ უშუალო იმპერიულ მმართველობას ამყარებს, რომელსაც „ერისთავი კეისრისა“ ასახიერებდა. ტერიტორიულად იმ დროს აფხაზეთის საერისთავო მხოლოდ ანაკოფია-ახალი ათონის ჩრდილოეთ მხარეს მოიცავდა, ხოლო ანაკოფიის ციხე „აფხაზე-

---

[1] **პროკოპი კესარიელი.** De Bello Persico. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. მეორე შევსებული გამოცემა. ტ. II. თბილისი, 1965, გვ. 47. ელექტრონული ვერსია იხ.: http://dspace.nplg.go v.ge/bitstream/1234/3326/1/Georgika_1965_tomi_II.pdf.

[2] **ზურაბ პაპასქირი.** ნარკვევები.., ნაკვ. I, გვ. 34; **მარიამ ლორთქიფანიძე.** აფხაზები და აფხაზეთი, გვ. 3-4; **Д. Л. Мусхелишвили.** Историческая география Грузии IV-X вв. Очерки истории Грузии. Т. II. Тбилиси, 1988, გვ. 383-386.

[3] **ზურაბ პაპასქირი.** ნარკვევები.., ნაკვ. I, გვ. 35; **მარიამ ლორთქიფანიძე.** აფხაზები და აფხაზეთი, გვ. 4.

[4] **ჯუანშერი.** ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, 1955, გვ. 235.

თის ერისთავის“ ლეონის რეზიდენცია იყო, რომელსაც თავი შეაფარეს ქართლიდან გამოქცეულმა ერისმთავრებმა მირმა და არჩილმა. აღნიშნულ ლაშქრობაზე საუბრისას პროფ. ზურაბ პაპასქირი მართებულად უსვამს ხაზს არაბთა წინააღმდეგ ქართველთა და აფხაზთა ერთობლივი ბრძოლის ფაქტს.[1]

ამ პერიოდში საერთო ქართული პოლიტიკური სამყაროს მეთაურად ბიზანტიის იმპერატორი აღიარებს ქართლის ერისმთავრებს მირს და არჩილს. როგორც ჯუანშერი მოგვითხრობს, იმპერატორმა „წარმოსცა ორი გვირგვინი მირსა და არჩილს“,[2] ლეონს კი იმპერატორმა აფხაზეთი მემკვიდრეობით მფლობელობაში გადასცა და ამასთან უბრძანა მას: „კეთილად პატივს სცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა, და ამიერითგან ნუღარამცა ხელგეწიფების ვნება მათდა და საზღვართა. მათთა ეგრისათა, ვიდრემდის იყვნენ მანდა ანუ განვიდენ მანდით“.[3] ბიზანტიის იმპერატორის აღნიშნული ბრძანება მოგვიანებით განმტკიცდა ლეონისა და მირის ასულის გურანდუხტის ქორწინებით, რითაც ლეონმა მემკვიდრეობით მიიღო ეგრისი. ეს ფაქტი კი, სიმბოლურად ეგრის-აფხაზეთის სამეფოების გაერთიანებას ნიშნავდა.[4] მირის გარდაცვალების შემდეგ კი ლეონი იღებს „სამეფო გვირგვინს“ და, ფაქტობრივად, არჩილ „მეფის“ შემდეგ მეორე პირი ხდება გაერთიანებულ ქართლ-ეგრისში.

VIII საუკუნის ბოლოს ლეონ I-ის ძმისწულმა ლეონ II-მ მოახერხა ბიზანტიის გავლენისაგან თავის დაღწევა, ისარგებლა ქართლის მმართველ სახლში შექმნილი კრიზისით და, „მატიანე ქართლისას“ ცნობით, „...დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე“.[5] ასე შეიქმნა ახალი დასავლურქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანება „აფხაზთა სამეფო“, რომლის შესახებაც მეტად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი: „ქუეყანისა ამის სახელნი არიან საერთოდ სამნი: პირველად ეგრისი, მეორედ აფხაზეთი, მესამედ იმერეთი. რამეთუ ეგრისი ეწოდების ეგროსის გამო, ძისა თარგამოსისა... ხოლო აფხაზეთი – ლევანის გამო, რომელი, შემდგომად პირველის ლეონისა, მეორე ლევან ერისთაობდა აფხაზეთს... ესე ლეონ, შემდგომად ხოსროვანთ გარდაცვალებისა, გამეფდა

[1] **ზურაბ პაპასქირი.** ნარკვევები.., ნაკვ. I, გვ. 44.
[2] **ჯუანშერი.** ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, გვ. 239.
[3] **ჯუანშერი.** ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, გვ. 240.
[4] **მარიამ ლორთქიფანიძე.** აფხაზები და აფხაზეთი, გვ. 5.
[5] **მატიანე ქართლისა.** ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, 1955, გვ. 251.

და დაიპყრა სრულიად ეგრისი, და ამან უწოდა აფხაზეთი სამეფოსა თვისსა, და მოიღო საერისთოსა თვისსა სახელი ეგრისსა ზედა“.[1]

ლეონ II-ის მიერ ფაქტობრივად მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანების და საკუთარი თავის „აფხაზთა“ მეფედ მოხსენიების ფაქტს სეპარატისტი მკვლევრები განიხილავენ ახალი აფსუა-აფხაზთა სახელმწიფოს დაბადებად, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა ქართულ სახელმწიფოებრიობასთან.[2] აღნიშნული შეხედულება მეცნიერულ კრიტიკას ვერ უძლებს თუნდაც იმის გამო, რომ ყველა ის ღონისძიება, რასაც მოგვიანებით „აფხაზთა“ მეფეები ატარებენ, მხოლოდ და მხოლოდ ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაზეა მიმართული. ამის მკაფიო მაგალითია „აფხაზთა“ მეფეების მოწადინება კონსტანტინოპოლისგან ეკლესიური დამოუკიდებლობის მოპოვებისა და მცხეთის საკათალიკოსო ტახტთან შეერთების მიზნით IX-X საუკუნეებში. საინტერესოა, რომ ამ პერიოდში საეკლესიო ღვთისმსახურების ენა მთელი დასავლეთ საქართველოს სამეფოს ტერიტორიაზე ბერძნულიდან ქართულით იცვლება.[3]

X საუკუნის მიწურულისა და XI საუკუნის დამდეგისთვის დასრულდა ქართული მიწების გაერთიანების პროცესი, რომელსაც „აფხაზთა“ მეფეები ედგნენ სათავეში. 978 წელს, ქუთაისში გვირგვინკურთხევის შემდეგ, ერთიანი საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ III-მ მიიღო „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფის ტიტული. როგორც ცნობილია, საქართველოს გაერთიანება, პირველ რიგში, ნიშნავდა ორი სამეფო ტახტის – აფხაზთა (დასავლურქართული) და ქართველთა (ტაო-კლარჯეთი) შერწყმას, რაც დე ფაქტო განხორციელდა 1008 წელს ბაგრატ III-ის მამის, მეფეთ-მეფე გურგენის სიკვდილის შემდეგ.[4]

როგორც ცნობილია, „აფხაზთა“ სამეფო ლეონ II-ის დროიდან მოყოლებული დაყოფილი იყო ადმინისტრაციულ ერთეულებად საერისთავოებად: აფხაზეთის საერისთავო – ანაკოფიიდან ნიკოფსიამდე (თანამედროვე ტუაფსეს ჩრდილოეთით);

---

[1] **ვახუშტი ბატონიშვილი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი აღდგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***სიმონ ყაუხჩიშვილის*** მიერ. ტ. IV. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1973, გვ. 742.

[2] **М. М. Гунба.** Абхазия в первом тысячелетии н.э. (Социально-экономические и политические отношения). Сухуми, 1989, გვ. 234-244.

[3] **ანანია ჯაფარიძე.** საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ტ. II. თბილისი, 1998, გვ. 483-490; **ზურაბ პაპასქირი.** „აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსების თარიღის საკითხისათვის“. წიგნში: და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბილისი: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, გვ. 171-183.

[4] **ზურაბ პაპასქირი.** ნარკვევები.., ნაკვ. I, გვ. 56.

ცხუმის საერისთავო – თანამედროვე სოხუმისა და გულრიფშის რაიონები და გუდაუთის რაიონის ნაწილი ანაკოფიამდე; და ბედიის საერისთავო – გალის და ოჩამჩირის რაიონები.[1] აფხაზეთის, ცხუმისა და ბედიის ერისთავთა შესახებ ისტორიული წყაროები მეტად ფრაგმენტულ ცნობებს გვაწვდიან, თუმცა ცნობილია, რომ XIII საუკუნიდან მოყოლებული აფხაზეთის საერისთავოს სათავეში ედგა შარვაშის-ძეთა წარჩინებული საგვარეულო.

ისტორიოგრაფიაში ერთიანი აზრი შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმომავლობის შესახებ არ არსებობს. მკვლევართა ნაწილის მიხედვით, ისინი დავით აღმაშენებლის მიერ ანისის საქართველოსთან შემოერთების (1124) შემდეგ აფხაზეთში გადაყვანილი შარვანშაჰთა სახლის ერთ-ერთი წარმომადგენლის შთამომავლები უნდა იყვნენ.[2] ნიკო ბერძენიშვილის აზრით, შარვაშიძეთა გვარი აქტიურ როლს თამაშობდა აფხაზეთის საერისთავოს ფარგლებში ჯერ კიდევ XI ს.-ის შუა ხანებში.[3]

ამგვარად, მიუხედავად ზოგიერთი სეპარატისტი ისტორიკოსის (ი. ვორონოვი) მტკიცებისა,[4] საერთოქართული სახელმწიფოს შიგნით XI-XII საუკუნეებში აფხაზეთს არანაირი ავტონომიის სახით არ უარსებია.

იგივე ვითარებას ვხვდებით XIII საუკუნეშიც. ჟამთააღმწერლის მიხედვით, აფხაზები მონაწილეობდნენ ლაშა-გიორგის (1207-1222) ლაშქრობაში განძაზე.[5] ისინი აქტიურობდნენ ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში რუსუდანის დროსაც (1222-1245). როგორც ცნობილია, ჯალალ ედ-დინის წინააღმდეგ საბრძოლველად რუსუდანმა მოუწოდა: „სპათა თვისთა, იმერთა და ამერთა.., ჰერ-კახთა, სომხითართა, ჯავახთა, მესხთა, ტაოელთა.., აფხაზთა, ჯიქთა და ყოველსა იმერსა სამეფოსა...“.[6] XIII საუკუნის 40-იან წლებში, როგორც ცნობილია მონღოლებმა საქართველო რვა სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულად – დუმენად დაჰყვეს. აფხაზეთი შედიოდა დუმენში, რომელსაც მართავდა ცოტნე დადიანი.

მონღოლთა შემოსევების (XIII-XIVსს.) შედეგად ერთიანი ქართული სამეფო მე-

---

[1] **Зураб В. Анчабадзе.** Из истории.., გვ. 177.

[2] **მ. ბროსე.** საქართველოს ისტორია. ნაწ. I. ტფილისი, 1895, გვ. 154; **Д. Гулия.** История Абхазии. Т. I. Тифлис, 1925, გვ. 138, 208; **З. В. Анчабадзе.** Из истории.., გვ. 192.

[3] **ნიკო ბერძენიშვილი.** წერილი რედაქტორს. //გაზ. *„ლიტერატურული გაზეთი“*, №6, 8.2.1957, გვ. 7.

[4] **Ю. Н. Воронов.** Абхазы – Кто они? Гагра, 1993, გვ. 8.

[5] **ჟამთააღმწერელი.** ასწლოვანი მატიანე. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 152-153.

[6] **ჟამთააღმწერელი.** ასწლოვანი მატიანე, გვ. 82.

ტად დასუსტდა და დაუძლურდა. 1453 წელს კონსტანტინოპოლის დაცემისა და ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ოსმალეთის იმპერიის გაბატონების შემდეგ, საქართველოს სამეფო ახალ პოლიტიკურ რეალობაში აღმოჩნდა. უკვე 1454 წელს ოსმალებმა პირველი სამხედრო მარბიელი ექსპედიცია მოაწყვეს სოხუმის რაიონში. ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი VIII (1446-1466) შეეცადა წინააღმდეგობის გაწევას, თუმცა უშედეგოდ.[1] საგარეო ფაქტორს ემატებოდა შიდაპოლიტიკური კრიზისიც, რამაც საქართველოს სამეფოს დაშლა განაპირობა ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის საათაბაგოდ. იმერეთის სამეფოში, თავის მხრივ, შედიოდა გურიისა და ოდიშის სამთავრო, ამ უკანასკნელში კი, შედიოდა აფხაზეთის სამთავრო. ვენეციელი დიპლომატის – ჯოსაფატ (იოსაფატ) ბარბაროს (იმოგზაურა აღმოსავლეთში 1436-1451 წლებში) თქმით, სამეგრელოს საზღვარი იმ დროისათვის ვრცელდებოდა ჩერქეზეთამდე,[2] რაც, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ მთელი აფხაზეთი ოდიშის საზღვრებში იყო მოქცეული. ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ XIV საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის პირველ ნახევარში ოდიშის სამთავროს საზღვრები ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ვრცელდებოდა მდ. ფსოუმდე.[3]

საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, თანდათანობით შეიცვალა აფხაზეთის ეთნიკური შემადგენლობა. დასავლეთ კავკასიიდან აბაზა-ადიღეური ტომების საქართველოს ტერიტორიაზე ინტენსიური ჩამოსახლების შედეგად აფხაზეთში ეთნოდემოგრაფიული ვითარება შეიცვალა.[4] აღნიშნული ცვლილებების შესახებ მოგვითხრობენ თანადროული წერილობითი წყაროები. იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც XVII საუკუნის შუა ხანებში გარკვეული პერიოდის მანძილზე ცხოვრობდა დასავლეთ საქართველოში, წერდა, რომ აფხაზები, ისევე, როგორც ალანები, ჩერქეზები, ჯიქები და ყარაჩაელები, „მხოლოდ სახელით არიან ქრისტიანები, თორემ არც სარწმუნოებით და არც მოქმედებით მათ ქრისტიანობა სრულებით არ ეტყობოდათ“.[5] აღნიშნულ მსგავსებებს ხაზს უსვამენ ვახუშტი ბატონიშვი-

---

[1] **ზურაბ პაპასქირი.** ნარკვევები.., ნაკვ. I, გვ. 82-83.

[2] XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები დაურთო ***ელდარ მამისთვალიშვილმა.*** თბილისი, 1981, გვ. 55.

[3] **ზურაბ პაპასქირი.** ნარკვევები.., ნაკვ. I, გვ. 77.

[4] **ბეჟან ხორავა.** აფხაზეთის სამთავროს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების საკითხისათვის გვიან შუა საუკუნეებში. / *„არტანუჯი“*, №10. თბილისი, 2000.

[5] **დონ არქანჯელო ლამბერტი.** სამეგრელოს აღწერა, გვ. 116.

ლი[1] და ასევე ისეთი უცხოელი მოგზაურები, როგორებიც არიან იოჰან გიულდენ-შტედტი[2] (XVIII ს. მიწურული) და ჯოვანი და ლუკა.[3]

სწორედ აღნიშნულ ეთნოდემოგრაფიულ ცვლილებებსა და მის თანამდევ კულ-ტურულ და ყოფით ცვლილებებზე საუბრისას აღნიშნავდა პავლე ინგოროყვა, რომ გვიან შუა საუკუნეებში აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩამოსახლებული აფხაზები არ შე-იძლებოდა ყოფილიყვნენ ადრეული შუა საუკუნეების „აბაზგ“-„აფსილთა“ შთამომავ-ლები.[4] აფხაზურ-ადიღეური მოდგმის ტომების ჩამოსახლებას ამ პერიოდში არ უარ-ყოფს სეპარატისტული ისტორიოგრაფიის მამამთავარი შ. ინალ-იფაც.[5]

ამგვარი ცვლილებების ფონზე, აფხაზეთის სამთავროს მმართველობის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ბერი ეგნატაშვილი: „დადიანს ეპყრა ცხენისწყალს ჩაღ-მართი, ლეჩხუმს ქუემოთი, სვენთის მთის გარდმოღმართი, აფხაზეთის ზემოთი და აფხაზეთი ჯიქეთამდის შარვაშიძეს ეპყრა, და ესე შარვაშიძე მორჩილებდა არაყოველ-სა ბრძანებასა დადიანისასა“.[6] როგორც ვხედავთ, აფხაზეთის სამთავროს ნაწილი ამ პერიოდში ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში და მორჩილებაში ყოფილა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები, როგორც ცნო-ბილია, თავიანთ ბრძოლაში ოდიშის მთავართა წინააღმდეგ იყენებდნენ ჯიქ-აფხა-ზებს და თვითონ გამოდიოდნენ ამ უკანასკნელთა აფხაზეთში დამკვიდრების ინიცი-ატივით.[7] ცნობილია 1533 წლის საზღვაო ექსპედიცია ჯიქ-აფხაზთა წინააღმდეგ, რო-მელშიც მონაწილეობას იღებდნენ ოდიშის მთავარი მამია III დადიანი, გურიის მთა-ვარი მამია I გურიელი და იმერეთის მეფე ბაგრატ III. ეს ბრძოლა დასავლეთ საქარ-თველოს მეფე-მთავართა მარცხით დასრულდა.[8]

XVII საუკუნის 30-იან წლებში, ჯიქ-აფხაზთა წინააღმდეგ არაერთი სამხედრო

---

[1] **ვახუშტი ბატონიშვილი.** აღწერა.., გვ. 787.

[2] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, გვ. 51;

[3] **ჯოვანი და ლუკა.** რელიგია და ეკლესია აფხაზეთში. წიგნში: **ილია ტაბაღუა.** საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში. ტ. III. თბილისი: „მეცნიერება“, 1987, გვ. 170.

[4] **პავლე ინგოროყვა.** გიორგი მერჩულე: ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქარ-თველოს ლიტერატურულ-კულტურულ და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან. თხზულე-ბათა კრებული. ტ. 3. თბილისი: „საბჭოთა მწერალი“, 1954, გვ. 140-145.

[5] **Ш. Д. Инал-ипа.** Страницы исторической этнографии абхазов, Сухуми, 1971, გვ. 141.

[6] **ბერი ეგნატაშვილი.** ახალი ქართლის ცხოვრება. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძი-რითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ. ტ. II. თბილისი, 1959, გვ. 349.

[7] **ზურაბ პაპასქირი.** ნარკვევები.., ნაკვ. I, გვ. 89.

[8] **თამაზ ბერაძე.** სამხედრო-საზღვაო საქმის ისტორიიდან. *მეომრის ბიბლიოთეკა*, №12. თბილისი, 2008, გვ. 15. იხ.: https://ijhei.files.wordpress.com/2010/03/samxedro-sazgva.pdf.

ზომა გაატარა სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა, თუმცა ამით მაინც ვერ შეძლო „აფხაზთა მოწოლის“ შეჩერება. ამიტომ ოდიშის მთავარმა გადაწყვიტა საფორტიფიკაციო კედლის აგება „აფხაზთა გამოუსვლელობისათვის“. ე.წ. „კელასურის კედლის“ აგება რომ ლევან დადიანის მიერ სწორედ აფხაზთა თარეშების შესაკავებლად მოხდა, დასტურდება როგორც ქართველი ისტორიკოსების (ვახუშტი ბატონიშვილი, ნიკო დადიანი),[1] ისე XVII ს. მისიონერებისა და მოგზაურების (არქანჯელო ლამბერტი, ჟან შარდენი) ცნობებით.[2] მაშასადამე, ეს ღონისძიებები გვაფიქრებინებს, რომ ამ პერიოდში ოდიშის სამთავრო ჯიქ-აფხაზთა საკმაოდ ძლიერი „მოწოლის“ ქვეშ ყოფილა. ჯიქთა ეს თავდასხმები გრძელდებოდა XVII საუკუნის 60-70-იანი წლების მანძილზეც, რასაც ნათლად ადასტურებს პავლე ალეპოელი.[3]

ამგვარ ვითარებაში, ოდიშისა და აფხაზეთის მთავართა გაუთავებელ ბრძოლაში, რომელშიც აფხაზეთის მთავრებს ჯიქი-აფხაზებიც ეხმარებოდნენ, XVIII საუკუნის დამდეგისთვის სამეგრელო-აფხაზეთის საზღვარმა მდ. ენგურზე გადმოინაცვლა.[4] მიუხედავად ამისა, ეს პროცესი მთლიანად ჯდებოდა საერთო ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მიმდინარე შიდაფეოდალური დაპირისპირების ფარგლებში. აფხაზეთის მთავრების ბრძოლა მეზობელი ოდიშის წინააღმდეგ მიმართული იყო სამფლობელოების გაფართოებისა და ზოგადქართულ არენაზე დაწინაურებისაკენ და არა მისგან გამოყოფისაკენ. ანუ ეს ბრძოლა არაფრით არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც თანამედროვე აფხაზური სეპარატიზმის ისტორიული წანამძღვარი. აფხაზეთის სამ-

---

[1] **ვახუშტი ბატონიშვილი.** აღწერა.., გვ. 782; **ნიკო დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები დაურთო ***შ. ბურჯანაძემ***. თბილისი, 1962, გვ. 151.

[2] **დონ არქანჯელო ლამბერტი.** სამეგრელოს აღწერა, გვ. 192; ***ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში.*** ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა. თბილისი, 1975, გვ. 107.

[3] პავლე ალეპოელმა საქართველოში მამასთან ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოსთან ერთად იმოგზაურა 1664-1666 წლებში. მისი ჩანაწერის მიხედვით: „აფხაზანა (აფხაზეთი – კ.ყ.) ორი სახელმწიფოა; ერთი მათგანის მცხოვრებნი დადიანის ქვეშევრდომები, ქრისტიანებად იწოდებიან, თუმცა არ არიან მონათლულნი. ისინი ეთაყვანებიან წმინდა ხატებს და პატივს სცემენ ეკლესიებს. მოუნათლავნი კი იმიტომ არიან, რომ არ ჰყავთ მღვდელმთავარი და მღვდელმსახურნი. მეორე სახელმწიფოს მცხოვრებნი ურწმუნონი არიან. მათ მახლობლად ცხოვრობენ ალანები, აბაზგები, ზიხები, ჩერქეზები... ისინი სამეგრელოს დაუძინებელი მტრები არიან, იტაცებენ და ატყვევებენ მეგრელებს“ (იხ.: *მასალები მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის.* საქართველოს აღწერილობა შედგენილი პავლე ალეპოელის მიერ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ***ნოდარ ასათიანმა.*** თბილისი, 1973, გვ. 75).

[4] **Каха Квашилава.** Ещё раз о том, когда стала река Энгури «пограничной» рекой. / *საისტორიო ძიებანი,* წელიწდეული. XII. თბილისი, 2013-2015, გვ. 120-157.

თავრო მაინც იმერეთის სამეფოს ნაწილს შეადგენდა. იგი ყოველთვის მოიხსენიებოდა ქართული სამეფოების საზღვრებში. ამას შემდეგი ევროპელი გეოგრაფების რუკები და ჩანაწერებიც ადასტურებს: პორტუგალიელი დიეგო ომემას 1563 წლის შავი ზღვის რუკა, ჯაკომო მაჯიოლის რუკა (1563), იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის რუკა (1635-1653), საფრანგეთის სამეფო გეოგრაფების ნიკოლას და გიიომ სანსონების რუკა „აზია“ (1674), ვინჩენცო კორონელის მსოფლიო გლობუსი (1688-1693) და ასევე პეტრე I-ის (1682-1725) დავალებით შექმნილი რუსეთის იმპერიის რუკა.[1] საყურადღებოა ასევე 1689 წლის ჯაკომო კანტელის იტალიური რუკა, რომლის მიხედვითაც, როგორც მკვლევარი აკაკი ჩიქობავა აღნიშნავს: „ნათლად ჩანს აღნიშნული რეგიონის (აფხაზეთის – კ.ყ.) ცალკეული პუნქტების ოდიშის სამთავროსადმი კუთვნილება“.[2]

XVIII ს.-ის 30-იანი წლებიდან აფხაზეთში ძლიერდება ოსმალური გავლენა. ნიშანდობლივია, რომ შექმნილ ვითარებაში აფხაზი მთავარი ხუტუნია შარვაშიძე იმერეთის მეფის სოლომონ I-ის მხარდამხარ იბრძვის ოსმალთა წინააღმდეგ ხრესილის ბრძოლაში 1757 წელს.[3]

XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის მიჯნაზე საქართველოს გარშემო გეოპოლიტიკური ვითარება არსებითად შეიცვალა. ოსმალეთისა და სპარსეთის იმპერიებთან ერთად, კავკასიაში გამოჩნდა რუსეთის იმპერია, რომელიც ცდილობდა ისლამური იმპერიების გავლენის შესუსტებასა და შესაბამისად საკუთარი გავლენის გაძლიერებას რეგიონში. 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს, ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის ინიციატივით, საქართველოში შემოყვანილ იქნა რუსული საექსპედიციო კორპუსი და პირველად განხორციელდა საომარი მოქმედებები თურქული საოკუპაციო ძალების წინააღმდეგ. ამგვარ ვითარებაში, როგორც პროფესორი გიორგი ძიძარია აღნიშნავდა, აფხაზეთის ფეოდალური არისტოკრატიის პროგრესული ელემენტები მხარს უჭერდნენ ქართველ მეფეთა რუსეთთან დაახლოების პოლიტიკას.[4]

რუსეთის რეგიონში გამოჩენა ყურადღების მიღმა არ დარჩენია ოსმალეთის იმპერიას, რომელიც, ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ცდილობდა საკუთარი გავლენის მაქ-

---

[1] **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия.., გვ. 831-843.
[2] **აკაკი ჩიქობავა.** ოდიშ-აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიის რამდენიმე საკითხი, გვ. 150-163.
[3] **ნიკო დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 178.
[4] **Г. А. Дзидзария.** Присоединение Абхазии к России. წიგნში: *«Очерки истории Абхазской АССР»*. Т. I. Сухуми, 1960, გვ. 130.

სიმალურად შენარჩუნებას ქართული სამეფო-სამთავროების ტერიტორიაზე. ამ მიზნით პორტა არ ერიდებოდა სამთავროთა შიგნით პოლიტიკური დაპირისპირების გაღვივებას. შექმნილ ვითარებაში, 1808 წლის 2 მაისს ანტიოსმალურად განწყობილი აფხაზთა მთავარი ქელეშ-ბეი შარვაშიძე მოკლა ოსმალთა მიერ წაქეზებულმა, საკუთარმა შვილმა ასლან-ბეიმ, რომელმაც დაიკავა სოხუმის ციხე და თავი მთავრად გამოაცხადა. ასლან-ბეის წინააღმდეგ გამოვიდა მისივე ძმა გიორგი, რომელიც მამამისს თავის მემკვიდრედ ჰყავდა გამოცხადებული.[1]

სოხუმის ციხის დაუფლების უშედეგო ცდამ დაარწმუნა გიორგი შარვაშიძე, რომ რუსეთის დახმარების გარეშე აფხაზთა სამთავროს თურქული გავლენისგან განთავისუფლება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა. სწორედ ამიტომ, გიორგიმ ე.წ. „სათხოვარი პუნქტებით“ მიმართა რუსეთს. 1810 წლის 17 თებერვალს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა დაამტკიცა გიორგი შარვაშიძის „სათხოვარი პუნქტები“ და სპეციალური სიგელით დაადასტურა აფხაზეთის სამთავროს სახლის მიღება რუსეთის მფარველობის ქვეშ.[2] მოგვიანებით, 1810 წლის 10 ივლისს რუსული დესანტის (რომელსაც ხელმძღვანელობდა გენ. დიმიტრი ორბელიანი) დახმარებით განთავისუფლებულ იქნა სოხუმის ციხე. ოქტომბერში გენ. ორბელიანმა გიორგი შარვაშიძეს გადასცა „უზენაესი სიგელი“ («Высочайшая грамота») და სამთავრო ხელისუფლება და ნიშნები და ოფიციალურად გამოაცხადა ის აფხაზეთის მთავრად.[3]

ამგვარად, XIX საუკუნის დამდეგს აფხაზეთი, სხვა ქართულ პოლიტიკურ ერთეულებთან: ქართლ-კახეთის სამეფოს, იმერეთის სამეფოს და სამეგრელოს სამთავროსთან ერთად, მოექცა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. ეს იყო ახალი პოლიტიკური რეალობის დასაწყისი როგორც აფხაზეთის, ისევე ყველა ქართული სამეფო-სამთავროს ისტორიაში.

---

[1] **ზურაბ პაპასქირი.** ნარკვევები.., ნაკვ. I, გვ. 122.

[2] **Г. А. Дзидзария.** Присоединение Абхазии к России, გვ. 138.

[3] **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები.., ნაკვ. I, გვ. 124; **Г. Г. Паичадзе.** Абхазия в составе Российской империи. 1810-1917гг. წიგნში: «Разыскания по истории Абхазии/Грузия», Тбилиси, 1999, გვ. 219.

§3. ცხინვალის რეგიონი უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე

ცხინვალის რეგიონი მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში. რეგიონის ფართობია 3 900 კმ². სეპარატისტების მიერ 2017 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით, ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე ცხოვრობს 53 000 ადამიანი.[1] ამასთან ერთად, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის რიცხვი 26 000 აღწევს.[2]

რუსეთის მიერ 2008 წლის აგვისტოში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობის გამოცხადებას მხარი დაუჭირა გაერო-ს წევრმა ოთხმა ქვეყანამ: ნიკარაგუამ,[3] ნაურუმ,[4] ვენესუელამ[5] და სირიამ.[6] გარდა ამისა, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა აღიარა აფხაზეთის, დნესტრისპირეთის, მთიანი ყარაბახის ე.წ. სომხური არცახის რესპუბლიკისა[7] და საჰარის არაბთა დემოკრატიული რესპუბლიკის[8] არაღიარებული, ოფიციალური სახელმწიფოებრივი სტატუსის არმქონე ქვეყნებმა. ტუვალუს კუნძულებმა 2011 წელს აღიარა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა,[9] ხოლო 2014 წელს უარყო აღიარება და მხარი დაუჭირა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.[10]

თანამედროვე ცხინვალის რეგიონის ტერიტორია ისტორიულად შიდა ქართლის

---

[1] Georgia. Republic of Georgia. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://www.citypopulation.de/Georgia-Cities.html.

[2] ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://smr.gov.ge/Detailspage.aspx?ID=42.

[3] Nicaragua recognizes South Ossetia and Abkhazia. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://sputniknews.com/world/20080904116538071/.

[4] Островенное признание: Науру признало Южную Осетию. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://graniru.org/Politics/World/Europe/Georgia/m.172210.html.

[5] Chavez Recognizes South Ossetia, Abkhazia As Independent. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.rferl.org/a/Chavez_Visits_ Russia_20To_Discuss_Arms_Energy_Deals/1819273. html.

[6] Syria formally recognizes Abkhazia and South Ossetia. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://eurasianet.org/syria-formally-recognizes-abkhazia-and-south-ossetia.

[7] Абхазия, Южная Осетия и Приднестровье признали независимость друг друга и призвали всех к этому же. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.newsru.com/russia/17nov20 06/aup.html.

[8] Semi-Recognized Western Sahara to Recognize South Ossetia. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://web.archive.org/web/20122002032003 3932/http:/georgiandaily.com/index.php?option=com_content&task=view&id=20044&Itemid=65.

[9] Острова Тувалу признали Южную Осетию. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://lenta.ru/news/2011/09/23/tuvalu1/.

[10] Tuvalu takes back recognition of independence of Abkhazia and so-called South Ossetia. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://www.georgianjournal.ge/politics/26780-tuvalu-takes-back-recognition-of-independence-of-abkhazia-and-so-called-south-ossetia.html.

ტერიტორიას წარმოადგენდა და ძირითადად ქართველებით იყო დასახლებული. ეს ფაქტი დადასტურებულია როგორც ისტორიული წყაროებით, ასევე ამ ტერიტორიაზე მდებარე ისტორიულ-რელიგიური მონუმენტებითა და გავრცელებული ტოპონიმებით. შიდა ქართლის რეგიონი აღმოსავლეთით, დასავლეთითა და სამხრეთით გარშემორტყმულია ქართული რეგიონებით. ჩრდილოეთიდან მას კავკასიონის ქედი ესაზღვრება. ისტორიულ წარსულში ცხინვალის რეგიონი არასოდეს წარმოადგენდა სადავო ტერიტორიას.[1] ამის მიუხედავად, ცხინვალის კონფლიქტური რეგიონის ტერიტორიის ისტორიული კუთვნილების გარშემო (ისევე, როგორც აფხაზეთისა და კოსოვოს შემთხვევაში) არსებობს ორი პოზიცია. სეპარატისტი ოსი და მათი მხარდამჭერი რუსი ავტორების (ზ. ვანეევი,[2] ე. პჩელინა,[3] ბ. ტეხოვი,[4] ა. ჩოჩიევი,[5] ლ. ჩიბიროვი[6]) მიხედვით, ოს ხალხს საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან უცხოვრია. შესაბამისად, შიდა ქართლის ის ტერიტორია, რომელიც დღეს ე.წ. „სამხრეთ ოსეთად“ იწოდება, ოსების „ისტორიული სამშობლო“ ყოფილა. საყოველთაოდ მიღებული და ისტორიულად დასაბუთებული შეხედულების მიხედვით (ზ. ჭიჭინაძე,[7] ნ. ბერძენიშვილი,[8] რ. თოფჩიშვილი,[9] ვ. ითონიშვილი[10]) კი ოსთა საქართველოს ტერიტორიაზე დასახლების პროცესი მხოლოდ და მხოლოდ XVI-XVII საუკუნიდან იწყება.

როგორც ისტორიული წყაროებით ირკვევა, თანამედროვე ოსი ხალხი, ირანულენოვანი ალანების შთამომავლები არიან. კატალონიელი მეცნიერის, აგუსტი ალემანის მიხედვით, რომელმაც ალანებზე დღეისათვის ხელმისაწვდომ ყველა წყაროს მოუყარა თავი საკუთარ კაპიტალურ ნაშრომში „წყაროები ალანებზე. წყაროების კრებული“, „ალანები წარმოადგენდნენ მომთაბარე ხალხთა დიდ ჯგუფს, რომლებიც პირვე-

---

[1] **შოთა მალაშხია.** კონფლიქტების ანატომია. თბილისი: „ფორმა“, 2011, გვ. 134.

[2] **З. Н. Ванеев.** Избранные работы по истории Осетинского народа. Т. I. Цхинвали: «Ирыстон», 1989.

[3] **Е. Г. Пчелина.** Ossetica. Избранные труды по истории, этнографии и археологии Осетинского народа. Владикавказ, 2013.

[4] **Б. В. Техов.** Центральный Кавказ в XVI-X вв. до н.э. Москва: «Наука», 1977; **Б. В. Техов.** Скифы и центральный Кавказ в VII-VI вв. до н.э. Москва: «Наука», 1980.

[5] **А. Р. Чочиев.** Нарты-арии и арийская идеология. Кн. 1. Москва: Акалис, 1996; Кн. 2. Москва: Акалис, 2000.

[6] **Л. Чибиров.** Древнейшие пласты духовной культуры осетин. Цхинвали, 1984; **Л. Чибиров.** Еще раз о появлении алан в Закавказье. // Газ. *«Советская Осетия»*, 16 марта 1990 г.

[7] **ზაქარია ჭიჭინაძე.** ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ამაგი და ღვაწლი მათზედ. ტფილისი, 1916.

[8] **ნიკო ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. III. თბილისი: „მეცნიერება“, 1966.

[9] **როლანდ თოფჩიშვილი.** ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი.

[10] **ვახტანგ ითონიშვილი.** კავკასია და კავკასიელები. თბილისი, 2007.

ლად იხსენიებიან ძვ.წ. II საუკუნის ხანის დინასტიის ჩინურ ანალებში და ახ.წ. I საუკუნის კლასიკურ ავტორებთან, როგორც ბარბაროსები, რომლებიც რომის იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციებს ესაზღვრებიან".[1] პროფ. როლანდ თოფჩიშვილის მართებული აღნიშვნით: „ჩინურ წყაროებში ალანების მოხსენიება იმაზე მიუთითებს, რომ თავიანთი განსახლების არეალით ისინი ჩინელთა თვალსაწიერში შედიოდნენ. ჩინური დასახელებული წყარო კი კავკასიის არცერთ ხალხს არ იხსენიებს; მისი თვალსაწიერის უკიდურესი დასავლეთი წერტილი კასპიის ზღვის აღმოსავლეთი მხარეა".[2] ზემოაღნიშნული წყარო იმთავითვე აცლის საფუძველს ე.წ. „სამხრეთ ოსური ისტორიული მეცნიერების ფუძემდებლის" – ზახარ ვანეევის შეხედულებას, რომელიც, თავის მხრივ, იზიარებს XIX საუკუნის რუსი ეთნოგრაფის ვლადიმირ პფაფის თეორიას ოსთა სამხრეთ კავკასიაში ძვ.წ. III საუკუნეში შემოსვლის შესახებ.[3]

საინტერესოა, რომ ვანეევზე შორს მიდის სეპარატისტი „მეცნიერი" ალან ჩოჩიევი, რომელმაც ალანების „არიული წარმომავლობის" თეორია შექმნა. აღნიშნული თეორიის მიხედვით, ცხინვალი წარმოადგენს არიელების უძველეს საკულტო ქალაქს და, ზოგადად, უძველესი რელიგიური პროცესების ცენტრს. ჩოჩიევის მიხედვით სწორედ ოსეთის მთებში იყო განმარტოებული იესო ქრისტე. ოსების სამშობლოდ ავტორი მოიაზრებს საქართველოს და ხაზს უსვამს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება უამრავი „არიული" სახელწოდება, ხოლო თანამედროვე საქართველოს ტერიტორიის „გაქართველება" მისი თქმით, მხოლოდ IV-XIII საუკუნეებში მოხდა.[4]

საისტორიო წყაროების მიხედვით, ალანთა ტომების დასავლეთისკენ მოძრაობა იწყება ახ.წ. I-II საუკუნეებში. პირველად დასავლურ წყაროებში, ალანები მოიხსენიებიან I საუკუნის რომაელ ფილოსოფოს სენეკასთან, რომელიც ალანების განსახლების არეალად მდ. დუნაის ასახელებს.[5] დუნაის ჩრდილოეთით მოსახლე ხალხის აღწერისას ალანებზე საუბრობს ასევე IV საუკუნის რომაელი პოეტი რუფუს ფესტუს ავიენ-

---

[1] "The Alans were a large group of nomadic tribes, which is first mentioned far in the east in 2nd century B.C. in the Chinese Annals of the Han Dynasty and in classical authors of the 1st century A.D. as belonging to the barbarians neighboring the north-eastern parts of the Roman Empire." მოყვანილია წიგნიდან: **Agusti Alemany.** Sources on the Alans. A Critical Compilation. Leiden–Boston–Köln: Brill, 2000, გვ. XIII.

[2] **როლანდ თოფჩიშვილი.** ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი, გვ. 9.

[3] **З. Н. Ванеев.** К вопросу времени заселения Юго-Осетии. НИИ АН Грузии. Вып. 3. Тбилиси, 1936, გვ. 270-278; **В. Б. Пфаф.** Материалы для древней истории Осетин. Тифлис, 1871, გვ. 28-29.

[4] **А. Р. Чочиев.** Нарты-арии и арийская идеология. Кн. 1, გვ. 496-497.

[5] **Agusti Alemany.** Sources on the Alans, გვ. 21-22.

უსი.[1] მიდიისა და სომხეთის წინააღმდეგ ახ.წ. 72 წელს ალანების ლაშქრობაზე საუბრობს ჰეგესიპუსის სახელით ცნობილი IV საუკუნის ავტორი. ის ხაზს უსვამს ალანთა მიერ ბრძოლისას ქამანდის მარჯვედ გამოყენების ტექნიკას.[2]

განსაკუთრებით საყურადღებოა II-III სს. რომაელი ისტორიკოსის, დიონ კასიუსის ცნობები ალანების შესახებ, რომლის მიხედვითაც 135 წელს ალანები შეჭრილან ალბანეთსა და მიდიაში, მიუღწევიათ სომხეთსა და კაპადოკიამდე. წყაროს ცნობით, იბერიის მეფე ფარსმან II-მ გაუხსნა ალანებს კასპიის კარი აღნიშნული თავდასხმების მოსაწყობად.[3]

პოიტინგერის ტაბულის სახელით ცნობილ IV საუკუნის რუკაზე ალანები კავკასიიდან ჩრდილოეთით, რუსეთის სტეპებში არიან მოხსენიებული.[4]

ამგვარად, IV საუკუნისთვის ალანების განსახლების არეალის უკიდურეს დასავლეთ პუნქტს წარმოადგენს მდ. დუნაი. ამავე დროს, როგორც ზემოაღნიშნული საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, ალანთა ნაწილი მოიხსენიება კავკასიის ჩრდილოეთით, რუსეთის სტეპებში.

ალანთა დასავლეთით მოძრაობის შემდგომი პერიოდი უკავშირდება „ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქას“, როდესაც ჰუნთა ტომების დასავლეთით მოძრაობას მოჰყვა ალანთა ახალი მიგრაციული პროცესები. IV საუკუნის ავტორი ამიანე მარცელინე ალანებს მოიხსენიებს უკვე ყირიმის ჩრდილოეთ ნაწილში.[5] როგორც ცნობილია, 428 წელს ალანებმა, ვანდალთა ტომებთან ერთად, გადაკვეთეს გიბრალტარის სრუტე და აფრიკის ჩრდილოეთ ნაწილში შეჭრის შემდგომ აქ დააარსეს ძლიერი ვანდალთა სამეფო, რომელმაც VI საუკუნემდე იარსება.[6] V საუკუნის რომაელი ავტორი ჰიდატიუსი საუბრობს 447 წელს ესპანეთის ტერიტორიაზე შემოჭრილ ალანებზე, ვანდალებსა და სვებებზე.[7]

ამგვარად, V საუკუნიდან მოყოლებული, ხალხთა დიდი მიგრაციის პერიოდში, ალანების განსახლების არეალში გარკვეული ცვლილებები მოხდა, რის შემდეგაც მა-

---

[1] **Agusti Alemany.** Sources on the Alans, გვ. 11.
[2] **Agusti Alemany.** Sources on the Alans, გვ. 12.
[3] **Cassius Dio.** Roman History. Epitome of Book LXIX. ელექტრონული ვერსია იხ.: http://penelope. uchicago. edu/Thayer/e/roman/texts/cassius_dio/69*.html.
[4] **Agusti Alemany.** Sources on the Alans, გვ. 23.
[5] **Agusti Alemany.** Sources on the Alans, გვ. 33.
[6] Vandal. Germanic People. იხ.: https://global.britannica.com/topic/Vandal-Germanic-people.
[7] **Agusti Alemany.** Sources on the Alans, გვ. 53.

თი ნაწილი რომის იმპერიის უკიდურეს დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ პროვინციებში გადასახლდა.

ალანების დასავლეთით მოძრაობის აღნიშნულ ეტაპზე ამ ხალხის გარკვეული ნაწილის დამკვიდრება ხდება ასევე ჩრდილოეთ კავკასიის ბარში, სადაც მათ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი შექმნეს. VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის მიხედვით, ივერთა ქვეყნის საზღვარი იმ პერიოდში კავკასიონზე გადიოდა, რომლის იქითაც მკვიდრობდნენ ალანები.[1]

ქართული საისტორიო წყაროები ასევე ადასტურებენ, რომ ოსების განსახლების არეალს ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთი წარმოადგენდა. ლეონტი მროველის მიხედვით, აზოს წინააღმდეგ ბრძოლაში ფარნავაზმა ოსებისა და ლეკების სამხედრო ნაწილები გამოიყენა.[2] იმავე ავტორის ქრონიკის მიხედვით, იბერიის მეფე ასპაგურმა (III ს-ის 30-40-იანი წლები): „განუხუნის კარნი კავკასიანთანი, და გამოიყვანნის ოვსნი, ლეკნი და ხაზარნი“.[3] იბერიის პირველმა ქრისტიანმა მეფემ მირიანმა ილაშქრა ოსების წინააღმდეგ და ქართლში დაბრუნდა დვალეთის გზით: „ხოლო მირიან გარესგარ გარდავიდა ოვსეთს, მოტყუენა ოვსეთი და მიიწია ხაზარეთამდე, რამეთუ გარდამოვლო გზაი დვალეთისაჲ და მოვიდა შინა“.[4]

ოსების შემოსევა იბერიის სამეფოს ტერიტორიაზე ფიქსირდება ვახტანგ გორგასლის დროს (V ს.). პასუხად, ჯუანშერის მიხედვით: „მოტყუენა ვახტანგ პაჭანიგეთი და ჯიქეთი, და შემოიქცა და მოადგა ოვსეთსავე, და მეფენი ოვსთანი შევლტოლვილ

---

[1] **Agusti Alemany.** Sources on the Alans, გვ. 194-199.

[2] **ლეონტი მროველი.** ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, 1955, გვ. 22-23.

[3] **ლეონტი მროველი.** ცხოვრება ქართველთა მეფეთა, გვ. 73.

[4] **ლეონტი მროველი.** ცხოვრება ქართველთა მეფეთა, გვ. 81-82. უკანასკნელ ხანებში გამოითქვა ვარაუდი, რომ ოსები ახ.წ. პირველი საუკუნეებიდან განსახლებული იყვნენ არა ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში, არამედ მხოლოდ ბარში (იხ.: **როლანდ თოფჩიშვილი.** ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი, გვ. 25). ამ შემთხვევაში აშკარად ადგილი აქვს სპარსი მოგზაურის იბნ რუსტას ცნობის, რომელიც დაცულია აგუსტი ალემანის კრებულში (იხ.: **Agusti Alemany.** Sources on the Alans, გვ. 260), არასწორ გაგებას. იბნ რუსტას თანახმად, „დაღესტნელ ავართა სამეფოდან მარცხნივ (დასავლეთით), მთებისა და ხევების გავლით სამი დღის გზაზეა ალანთა სამეფო („მულქ ალ-ლან“)... შემდეგ 10 დღის განმავლობაში უნდა იმოგზაურო მდინარეებსა და ტყეებში, სანამ მიაღწევ ციხე-სიმაგრეს სახელად „ალანთა კარი“ („ბაბ ალ-ლან“). ის დგას მთის წვერზე, რომლის ძირშიც გადის გზა. მაღალი მთები გარს არტყია მას და ათასი ადგილობრივი მაცხოვრებელი დღისით და ღამით იცავს მის კედლებს. ალანები შედგება ოთხი ტომისაგან...“ (იხ.: **Agusti Alemany.** Sources on the Alans, გვ. 260). რასაკვირველია, აქ მოყვანილი „ალანთა კარი“ არის დარიალი, ხოლო ის, რომ იბნ რუსტა დარიალის ადგილობრივ დამცველებზე საუბრის შემდეგ ეგრევე ახსენებს ალანების ოთხ ტომს, ნათელს ხდის, რომ იქ სწორედ ალანები სახლობდნენ. შესაბამისად, არ არსებობს არანაირი საფუძველი ვამტკიცოთ, რომ X საუკუნეში ოსები სახლობდნენ მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის ბარში.

იყვნენ სიმაგრეთა კავკასიისათა“.[1] სპარსეთის წინააღმდეგ, ქართლის პირველი ერისმთავრის გუარამის სამხედრო მოკავშირეებად გვევლინებიან ოსთა სამხედრო ნაწილები VI საუკუნის 70-80-იან წლებში: „ხოლო გუარამ ყო ეგრე, გამოიყვანნა ოვსნი, დურძუკნი და დიდონი და წარუძღუანა წინა ერისთავნი ქართლისანი, შევიდეს ადარბადაგანს და უწყეს ტყუენვად. და ესევითარი ჭირნი და უცალოებანი მოიწინეს სპარსთა ზედა“.[2]

„მატიანე ქართლისას“ ცნობით, 853 წელს ბუღა თურქს ოსები დაუსახლებია ქვემო ქართლში, დმანისის ტერიტორიაზე: „დარიალანით გამოიყვანა ოვსნი, ვითარ სახლი ასი და დასხნა იგინი დმანისს“.[3] აღსანიშნავია, რომ ეს არის პირველი ცნობა ოსთა საქართველოში დამკვიდრების შესახებ.

მოგვიანებით, განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ, მეფე ბაგრატ IV-ის (1027-1072) მოკავშირედ გვევლინება მისი ცოლისძმა, ოსთა მეფე დორღოლელი, რომელსაც „მატიანე ქართლისა“ „დიდის“ ეპითეტით მოიხსენიებს: „და გამოიყვანა დორღოლელი, ოვსთა მეფე, ორმოცი ათასითა კაცითა ოვსითა...“.[4]

საისტორიო წყაროების ცნობით, ქართველი ერის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს ბრძოლაში დიდგორის ველზე, დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) ლაშქარში იბრძოდა 500 ოსი.[5]

XIII საუკუნეში, მონღოლთა გამოჩენასთან ერთად, როგორც აღინიშნა იცვლება ოსთა განსახლების არეალი ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე. ოსთა დასახლებები ჩრდილოეთ კავკასიის ბარიდან მთებში ინაცვლებს. შექმნილ ვითარებაში, ქართველი მეფეები დამპყრობელთა წინააღმდეგ, სხვა მეზობლებთან ერთად, ოსების გამოყენებასაც ცდილობდნენ. ამის მაგალითია რუსუდან მეფის მიერ ოსთა მოხმობა 1228 წელს ჯალალ-ედ-დინის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჟამთააღმწერლის მიხედვით: „განუხუნა კარნი დარიალისანი და გარდამოიყვანა ოვსნი, დურძუკნი ... და წარავლინა მეფემან ბრძოლად ხუარაზმელთა“.[6]

გარდა სამხედრო მოკავშირეობისა, ქართულ-ოსური ურთიერთობების პოლი-

---

[1] **ჯუანშერი.** ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, გვ. 157.
[2] **ჯუანშერი.** ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, გვ. 226-227.
[3] **მატიანე ქართლისა,** გვ. 256-257.
[4] **მატიანე ქართლისა,** გვ. 295.
[5] **შოთა მესხია.** ძლევაჲ საკვირველი. თბილისი: „მეხსიერება“, 1972, გვ. 66.
[6] **ჟამთააღმწერელი.** ასწლოვანი მატიანე, გვ. 83.

ტიკური ქორწინებებით გამყარების არაერთი მაგალითი გვაქვს საქართველოს ისტორიაში. როგორც ცნობილია, ფარნავაზმა საკუთარი და მიათხოვა ოვსთა მეფეს. ოს მეფეთა ასულები იყვნენ საქართველოს მეფეების გიორგი I-ის (1014-1027), ბაგრატ IV-ის (1027-1072), გიორგი III-ის (1156-1184) და დავით VII-ის (1247-1270) ცოლები. თამარ მეფის მეუღლე იყო ბაგრატიონთა სამეფო გვარის მონათესავე, ოსური წარმომავლობის დავით სოსლანი.[1] ამის მიუხედავად, XIII-XIV საუკუნეებში მონღოლთა სამსახურში ჩამდგარი ოსთა ჯგუფები ცდილობენ ქართლში სამოსახლო ტერიტორიების მოპოვებას. ამ პერიოდში, როგორც ცნობილია, ოსები ქალაქ გორამდეც კი აღწევენ. ჟამთააღმწერლის მიხედვით: „იწყეს ოვსთა ოხრებად, ხოცად და რბევად და ტყუენვად ქართლისა, და ქალაქი გორი წარტყუენეს და თჳსად დაიჭირეს ოვსთა“.[2] XIV საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს მეფის გიორგი V ბრწყინვალის (1318-1346) მეთაურობით ოსთა ქართლიდან სრულიად განდევნას 3 წელი დასჭირვებია. ჟამთააღმწერლის სიტყვებით, გიორგიმ „განასხნა და აღფხურნა“ ოსნი.[3] ამ მოვლენების შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა არცერთი დასახლება არ დარჩენილა.

ვითარება შეიცვალა XV-XVI საუკუნეებში, როდესაც ერთიანი ქართული სამეფოს დაშლის შემდეგ, საქართველო ოსმალეთისა და სპარსეთის ისლამური იმპერიების გავლენის სფეროებად იქცა. ქართველ მეცნიერთა აზრით, პირველი ოსური დასახლებები საქართველოს ტერიტორიაზე უნდა გაჩენილიყო XV საუკუნისა და XVI საუკუნის დასაწყისში დვალეთის მხარეში, სადაც, თავის მხრივ, ოსები ჩრდილოეთ კავკასიის ალაგირის ხეობიდან უნდა გადმოსახლებულიყვნენ.[4]

1604-1615 წლებში, ქართლისა და კახეთის სამეფოში რუსული საკონსულოს ხელმძღვანელის, მიხაილ ტატიშჩევის მიხედვით, ამ პერიოდში ჩერქეზეთსა და საქართველოს ტერიტორიას შორის სახლობდა „მთის ხალხი – ოსები“ («горские люди, словут Осинцы») 200 კაცის რაოდენობით.[5]

---

[1] Шида Картли (Исторический экскурс), გვ. 25-26.

[2] **ჟამთააღმწერელი.** ასწლოვანი მატიანე, გვ. 296.

[3] **ჟამთააღმწერელი.** ასწლოვანი მატიანე, გვ. 296.

[4] **ბახვა გამყრელიძე.** ოსთა დემოგრაფიული და ეთნოსოციალური პროცესები ჩრდილოეთ კავკასიაში. / *კავკასიის ეთნოლოგიური კრებული*, №18. თბილისი, 2017, გვ. 67-156; **ვახტანგ ითონიშვილი.** დვალეთისა და დვალეთის საკითხისათვის. თბილისი, 2008; **როლანდ თოფჩიშვილი.** ოსთა წინაპარი ალანეთის.., გვ. 51-54.

[5] Сношения России с Кавказом. Материалы извлечённые из Московского главного архива Министерства Иностранных Дел. **Сергеем Белокуровым**. Выпуск 1-й. 1578-1613. Москва, 1889, გვ. 508.

ვახუშტი ბატონიშვილის რუკების მიხედვით, XVIII საუკუნის 20-იანი წლებისთვის ოსები ცხოვრობდნენ დიდი და პატარა ლიახვის, მეჯუდას, ლეხურასა და ქსნის მიდამოებში.[1] ამგვარად, აკად. მარიამ ლორთქიფანიძის მართებული შენიშვნით, ამ დროისათვის ოსთა დასახლებები მომავალში ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიურ ოლქად წოდებული ტერიტორიის მხოლოდ მთიან ნაწილს მოიცავდა.[2]

საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა დასახლებების რაოდენობის ზრდა შეიმჩნევა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. 1770 წლის დემოგრაფიული ნუსხის მიხედვით, შიდა ქართლში ცხოვრობდა 2860 ოსური ოჯახი.[3] გერმანელი მოგზაურისა და მეცნიერის გიულდენშტედტის მიხედვით, 1772 წლისათვის ჯავის რაიონში, მთიან მხარეში ცხოვრობდა ათასი ოსური ოჯახი. ამასთან ერთად, ავტორი დასძენს, რომ ზოგადად შიდა ქართლის ტერიტორია ძირითადად ქართველებით იყო დასახლებული.[4] ამ მიმართულებით საინტერესოა მკვლევარ აპოლონ თაბუაშვილის ნაშრომი: „ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი)“.[5] ნაშრომი მიმოიხილავს იმ პერიოდის ცხინვალის მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას და, ამასთან ერთად, საარქივო მასალაზე დაყრდნობით გვაწვდის რეგიონის მოსახლეობის ეთნიკურ სურათსაც, რომლის მიხედვითაც XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ცხინვალსა და მიმდებარე სოფლებში ძირითადად ეთნიკურად ქართული მოსახლეობა ცხოვრობდა მცირე რაოდენობით სომხებსა და ებრაელებთან ერთად.[6]

ოსური მოსახლეობის რაოდენობის ზრდა საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნულ პერიოდში ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე შექმნილი მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობით უნდა აიხსნებოდეს. სწორედ შექმნილი ვითარების გამო ხდებოდა ოსების ჩამოსახლება შიდა ქართლის ტერიტორიაზე ქართველ მეფეთა მიერ. ამის მაგალითია როსტომ მეფის (1633-1658) საბუთი, რომლის მიხედვითაც მეფე მოხელეებს

---

[1] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 71.

[2] Шида Картли (Исторический экскурс), გვ. 33-34.

[3] **ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი.** 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა. / *„მაცნე“*, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნებათმცოდნეობის სერია, №1. თბილისი, 1973.

[4] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, გვ. 51.

[5] **აპოლონ თაბუაშვილი.** ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი). კრებულში: შრომათა კრებული, №5. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი. გორი, 2015, გვ. 112-126.

[6] **აპოლონ თაბუაშვილი.** ქალაქ ცხინვალისა.., შრომათა კრებული, №5, გვ. 121.

უბრძანებს, რომ ოსეთიდან აყრილ და ჯავას ზემოთ დასახლებულ ვინმე ხონთქარსა და მის შვილს ხაჩის არაფერი დაუშავდეს.[1] 1794 წელს ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II-მ ვინმე თუჯუკო ხუდუკაშვილი გაათავისუფლა გადასახადებისაგან და მას აზნაურის წოდებაც კი უბოძა ოსების ქართულ მიწაზე დასახლებისთვის.[2]

ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე არანაირი ოსური „სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული“ ერთეული ამ პერიოდში არ ფიქსირდება რუსულ წყაროებშიც. ამის ნათელი მაგალითია 1801 წლის კავკასიის რუკა, რომლის მიხედვითაც საქართველოს ტერიტორიაზე არანაირი „ოსეთი“ ნახსენები არ არის და შიდა ქართლის რეგიონი «Карталиния»-ს სახელით არის მოხსენიებული.[3] ამგვარად, თანამედროვე ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორია მთლიანად შიდა ქართლის სახელით მოიხსენიებოდა 1801 წლისთვის, როდესაც ქართლ-კახეთის სამეფომ არსებობა შეწყვიტა და რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა.

ამრიგად, როგორც ზემოაღნიშნულმა ისტორიულმა მიმოხილვამ ცხადყო, ქართველ და ოს ხალხს შორის ურთიერთობა ხასიათდებოდა როგორც მოკავშირეობითა და დანათესავებით, ისევე სამხედრო ურთიერთდაპირისპირებით, რომელსაც სხვადასხვა პერიოდში, როგორც ვნახეთ, განსხვავებული ფაქტორები განაპირობებდა. თუმცა მთელი ისტორიის მანძილზე ოსებს საქართველოს ტერიტორიაზე ფაქტობრივად არ უცხოვრიათ. მათი პირველი დასახლებები ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე მხოლოდ და მხოლოდ გვიანი შუა საუკუნეებიდან ჩნდება და XVIII საუკუნისთვის ოსი ხალხის გარკვეული რაოდენობა აღირიცხება შიდა ქართლის ჩრდილოეთ მთიან მხარეში. ეს ხალხი, როგორც ქართველი საზოგადო მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავდა, ძირითადად ხიზანი გლეხის სტატუსს ატარებდა საქართველოს ტერიტორიაზე.[4]

ამგვარი იყო ოსების განსახლების სურათი შიდა ქართლის ტერიტორიაზე XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დასაწყისისთვის, მანამ, სანამ საქართველო რუსული იმპერიის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში მოექცეოდა.

---

[1] **როლანდ თოფჩიშვილი.** საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა, გვ. 139.
[2] Шида Картли (Исторический экскурс), გვ. 33.
[3] Карта Кавказа с показанием политического его состояния до 1801 г. იხ.: https://mus-col.com/collection/printed-products/map/7646/.
[4] **ზაქარია ჭიჭინაძე.** ოსების ჩამოსახლება ქართლში.., გვ. 5.

§4. კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი: კონფლიქტური რეგიონების ისტორიული განვითარების საერთო და განმასხვავებელი ტენდენციები უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე

კოსოვოს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ისტორიის ზემოთ მოცემული მიმოხილვა იმ ტენდენციებისა და თავისებურებების დადგენის საშუალებას გვაძლევს, რომელთაც ადგილი ჰქონდა ამ რეგიონებისა და მათი მოსახლეობის ცხოვრებაში უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე.

I. ანტიკურ პერიოდში, როგორც ვნახეთ, კოსოვოს ტერიტორიაზე, თანამედროვე სერბულ-ალბანურ კონფლიქტში მონაწილე მხოლოდ ერთი ხალხის – ალბანელების სავარაუდო წინაპრები ცხოვრობდნენ ილირიელებისა და დარდანების სახით, რომლებიც ბერძნულ-რომაული ცივილიზაციების თვალსაწიერში ექცეოდნენ. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ ამ ხალხებს იხსენიებენ ანტიკური ავტორები – ფსევდოსქილაკსი და აპიანე ალექსანდრიელი. ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე, როგორც ვნახეთ, კოსოვოს რეგიონი ოფიციალურად შედის რომის იმპერიის შემადგენლობაში. ამ პერიოდში, არც ალბანურ და მითუმეტეს არც სერბულ სახელმწიფოებრიობაზე საუბარი ამ ეტაპზე, როგორც ვხედავთ, უბრალოდ არ არის. ისტორიული წყაროების მიხედვით, მსგავსი სახელწიფო წარმონაქმნები ამ პერიოდში კოსოვოს მიწაზე არ ფიქსირდება.

სრულიად განსხვავებული რეალობა გვაქვს ამ პერიოდში აფხაზეთის ტერიტორიაზე, სადაც ძვ.წ. VI-I სს. არსებობს ერთიანი დასავლურ-ქართული სახელმწიფო გაერთიანება – კოლხეთის სამეფო. მასში ცხოვრობდნენ ქართველთა წინაპრები, რომელთა შესახებ ცნობებს გვაწვდიან ბერძენი ავტორები (ჰეკატეოს მილეტელი, სქილაკს კარიანდელი). ისტორიული წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ვასკვნით, რომ კოლხეთის სამეფოს მაღალგანვითარებულობაზე მიუთითებს მთელი კულტურა, რომელიც ისტორიაში „კოლხური კულტურის“ სახელით არის ცნობილი.

ახ.წ. II საუკუნიდან აფხაზეთის ტერიტორია მეორე დასავლურქართული სამეფოს ლაზიკა-ეგრისის შემადგენლობაშია, რომელიც, თავის მხრივ, კოლხეთის სამეფოს უშუალო მემკვიდრეს წარმოადგენს. ამ ფაქტს, როგორც ვნახეთ, გვიდასტურებს

VI ს.-ის საკმაოდ ავტორიტეტული ბიზანტიელი ავტორი – პროკოპი კესარიელი.

როგორც კოსოვოსგან, ისე აფხაზეთისაგან სრულიად განსხვავებული ვითარება გვაქვს ამ პერიოდში თანამედროვე შიდა ქართლის რეგიონში, სადაც არცერთი ისტორიული წყაროთი არ დასტურდება თანამედროვე ოსების წინაპარი ალანების მოსახლეობა. როგორც ვნახეთ, ჩინური წყაროები ალანებს ძვ.წ. II საუკუნეში მოიხსენიებენ ზოგადად კავკასიიდან საკმაოდ შორს – შუა აზიის სტეპებში, ხოლო მათი განსახლების უკიდურეს დასავლეთ წერტილად ამ პერიოდში მოიაზრება კასპიის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირი.

ახ.წ. I-II სს. ალანების ნაწილის დასახლება ხდება ჩრდილოეთ კავკასიაში. რომაელი ისტორიკოსის დიონ კასიუსის ცნობით, II საუკუნეში იბერიის ქართული სამეფოს მეფე ფარსმან II სპარსეთის წინააღმდეგ გასალაშქრებლად ოსთა სამხედრო რაზმებს იყენებს.

ამგვარად, ანტიკურ პერიოდში, თანამედროვე ოსთა წინაპრების იმდროინდელი იბერიის სამეფოს ტერიტორიაზე ცხოვრების შესახებ საუბარი არ არის. ალან-ოსები ამ პერიოდში წარმოადგენენ უზარმაზარი ეთნიკური ჯგუფის მხოლოდ ნაწილს, რომელთაც ჩრდილოეთ-კავკასიის ბარი აირჩიეს საცხოვრებლად და ამგვარად გაუმეზობლდნენ კავკასიის სამხრეთით მდებარე ქართულ სამეფოებს.

იბერიის მეფეებისა და ალან-ოსების ურთიერთობას ანტიკური ხანის დასასრულსა და ადრეული შუა საუკუნეების დასაწყისში ცვალებადი ხასიათი აქვს, თუკი ფარსმან II-ისთვის ალან-ოსები სამხედრო მოკავშირეებად ითვლებოდნენ, სამი საუკუნის შემდეგ ისინი ვახტანგ გორგასლის წინააღმდეგ მებრძოლ ძალად გვევლინებიან, რომელთანაც, ჯუანშერის ცნობით, ვახტანგი საბოლოოდ წარმატებით ახერხებს გამკლავებას.

II. ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული კოსოვოს ტერიტორია ხალხთა სხვადასხვა მასების მიგრაციების ასპარეზს წარმოადგენდა. VI-VII სს ამ ტერიტორიაზე იწყება სლავების დასახლება, რომელთაც პროკოპი *სკლავენების* სახელით მოიხსენიებს. ამ დროისთვის, კოსოვოს ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ილირიელები უკვე ქრისტიანული რელიგიის აღმსარებლები არიან, მაშინ, როდესაც ახალმოსულ სლავებში (სერბებში) ქრისტიანობა, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობის თანახმად,

მხოლოდ და მხოლოდ VII საუკუნის დასაწყისში ვრცელდება. **ამგვარად, თანამედროვე სერბების წინაპრები კოსოვოს რეგიონში მხოლოდ და მხოლოდ VI-VII საუკუნიდან სახლდებიან** (ხაზგასმა ჩვენია – **კ.ყ.**)

VII-XI საუკუნეებში კოსოვოს რეგიონი ბიზანტიის იმპერიიდან იმართება და, ამასთან ერთად, რეგიონში ეთნიკურად სერბი მოსახლეობის ხვედრითი წილი მკვეთრად იმატებს. ანა კომნენეს ცნობის მიხედვით, XI საუკუნის დასაწყისში კოსოვოს მოსახლეობის უმრავლესობა უკვე სერბია.

უშუალოდ სერბული სამეფოების შემადგენლობაში კოსოვოს რეგიონი ექცევა მხოლოდ და მხოლოდ XII-XV საუკუნეებში. სერბეთის სამეფოს განსაკუთრებული აღმავლობა დაკავშირებულია ნემანიჩების დინასტიასთან (1166-1371) სწორედ ამ პერიოდში ხდება სერბული საეკლესიო-ადმინისტრაციული ცენტრის დაფუძნება კოსოვოს მიწაზე.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში უკვე ცალ-ცალკე არსებობს ალბანელთა და სერბთა სახელმწიფოები რეგიონში. საერთო რელიგიის მიუხედავად, ეს ორი ხალხი პრაქტიკულად ორ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენს ორი სხვადასხვა სახელმწიფოებრივი ერთეულით. კოსოვოს რეგიონში ამ დროს უკვე მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სერბი იყო, თუმცა, როგორც სერბ მეფეთა „ოქროს ბულეგიდან“ (1330, 1348) ირკვევა, ალბანელთა დასახლებები კოსოვოს სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ე.ი. ალბანეთის ჩრდილოეთ საზღვართან ახლოს, მაინც ფიქსირდებოდა.

XIV ს-ის ბოლოს სავრასა (1385) და კოსოვოს ველის (1389) ბრძოლებში ოსმალეთის იმპერიასთან დამარცხების შემდეგ, ალბანელებსა და სერბების საერთო მტრად გვევლინება „ბრწყინვალე პორტა“. ოსმალეთის იმპერიის ბალკანეთში გამოჩენის შემდეგ, სრულიად ახალი ეტაპი იწყება, როგორც ალბანელების, ისე სერბების და, შესაბამისად, კოსოვოს რეგიონის ისტორიაში.

კოსოვოსგან განსხვავებით, ანტიკური ხანიდან მოყოლებული, როგორც ვხედავთ, აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ საერთოქართულ პოლიტიკურ სივრცეში მცხოვრები ხალხები, რომლებიც ჯერ კიდევ ახ.წ. I საუკუნიდან ეზიარნენ ქრისტიანულ რელიგიას. მოგვიანებით, IV საუკუნეში, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან ერთად, აფხაზეთი პოლიტიკურ და კულტურულთან ერთად,

ქართული სასულიერო ყოფის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრად იქცა.

V-VI საუკუნეებში ბიზანტიის ჩარევით ხდება აბაზგ-აფხაზთა მმართველების დაპირისპირებას ეგრისის მეფეებთან. ბიზანტიის იმპერიის ეს პოლიტიკა მიმართული იყო ეგრისის სამეფოს დასუსტებისკენ, თუმცა, მიუხედავად აღნიშნული მძიმე პოლიტიკური ვითარებისა, აფხაზთა მმართველები VIII საუკუნეში მაინც ახერხებენ საერთო ქართული პოლიტიკური ორიენტაციის დაცვას და ქართლის ერისმთავრების მხარდამხარ იბრძვიან არაბების წინააღმდეგ. აფხაზ მეფე-მთავართა მეოხებით, VIII ს. ბოლოს მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება ხდება „აფხაზთა სამეფოში“.

სწორედ ეს აფხაზთა სამეფო შეიძლება მივიჩნიოთ X-XI საუკუნეებში საქართველოს ერთიანი სამეფოს შექმნის სულის ჩამდგმელად. ამ პროცესს წინ უძღოდა დასავლეთ საქართველოს ეკლესიური გამოყოფა კონსტანტინოპოლისაგან და შეერთება მცხეთის საკათალიკოსო ტახტთან, რისი შემოქმედებიც, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ „აფხაზთა“ მეფეები იყვნენ.

ქართული სამეფოს ლაშქრის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ აფხაზნი ერთიანი ქართული სამეფოს მიერ თურქ-სელჩუკთა და მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლებში XI-XIII საუკუნეებში, რაც ქართული საისტორიო წყაროებით, როგორც ვნახეთ, ნათლად დასტურდება.

ამგვარად, თუკი სერბების შემთხვევაში, საქმე გვაქვს ხალხთან, რომელთაც მხოლოდ შუა საუკუნეებში აითვისეს კოსოვოს რეგიონის ტერიტორია და შემდგომ სამეფოს საეკლესიო და ერთ-ერთ პოლიტიკურ ცენტრად აქციეს იგი,[1] ხოლო ალბანელების შემთხვევაში კი ხალხთან, რომელთა პირველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი (არბერის სამთავრო, XII ს.) კოსოვოს არ მოიცავდა, აფხაზეთზე საუბრისას ჩვენს წინაშე კარდინალურად განსხვავებული სურათი იშლება. ამ შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვაქვს ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ სულისჩამდგმელ სამეფოსთან, რომელიც მთელი ანტიკური პერიოდისა და შუა საუკუნეების მანძილზე ქართული სულიერებისა და სახელმწიფოებრიობის სინონიმად მიიჩნევა.[2] აფხაზეთის სამეფო და აფხაზთა მეფეები გვევლინებიან არაერთი საერთო ქართული პოლიტიკურ-კულტურული ღო-

[1] აღნიშნული განსხვავება შენიშნული აქვს მკვლევარ **დაზმირ ჯოჯუას** თავის ნაშრომში „კოსოვოს პრეცედენტი“ (იხ.: **დაზმირ ჯოჯუა.** კოსოვოს პრეცედენტი, გვ. 471-499).

[2] აღნიშნულ განსხვავებას საკუთარ მსჯელობაში გამოკვეთს მკვლევარი დაზმირ ჯოჯუა (იხ.: **დაზმირ ჯოჯუა.** კოსოვოს პრეცედენტი, გვ. 495).

ნისძიების სულისჩამდგმელებად. კოსოვოს შემთხვევაში ვითარება სხვაგვარია – ეს რეგიონი არც ალბანელთათვის და არც სერბთათვის არ ასრულებდა იმ როლს, რაც აფხაზთა სამეფოსა და სამთავროს ჰქონდა ქართულ სახელმწიფოებრიობაში.

XV საუკუნის ბოლოსთვის, მონღოლთა და შემდგომში თურქმანთა შემოსევებით დაუძლურებულ, ერთიან ქართულ სამეფოში მეტად მძიმე პოლიტიკური კრიზისი ისადგურებს, ერთიანი ქართული სამეფო იშლება სამეფო სამეფო-სამთავროებად, რითაც სარგებლობენ მეზობელი ჩრდილოკავკასიური მოდგმის სხვადასხვა ხალხები და სახლდებიან საქართველოს ტერიტორიაზე. ამ პერიოდში აფხაზეთის ტერიტორიაზე ადგილი აქვს აბაზა-ადიღეური ტომების ჩამოსახლებას ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან, რომლებიც, საისტორიო წყაროების (არქანჯელო ლამბერტი, ვახუშტი ბატონიშვილი, იოჰან გიულდენშტედტი, ჯოვანი და ლუკა) თანახმად, ყოფით კულტურულ დონეზე, მკვეთრად განსხვავდებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობისგან.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, კოსოვოსგან განსხვავებით, სადაც საქმე გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ ალბანურ და სერბულ ეთნიკურ მოსახლეობასთან, აფხაზეთის ტერიტორიაზე XV-XVI საუკუნეებში უკვე შეიმჩნევა ხალხთა ახალი ჯგუფების ჩამოსახლება, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებიან მანამდე აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ქართველთა და აფხაზთა წინაპრებისაგან.

კოსოვოსა და აფხაზეთისაგან სრულიად განსხვავებულად ვითარდება მოქმედება თანამედროვე შიდა ქართლის ტერიტორიაზე, სადაც მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ფაქტობრივად არცერთი ოსური დასახლება არ ფიქსირდება.

ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ქართველ და ოს ხალხს შორის ურთიერთობა ზემოაღნიშნულის მსგავსი, ცვალებადი ბუნებით ხასიათდებოდა. ორ მეზობელ ხალხს შორის ხდებოდა ნათესაური კავშირების გამყარება. როგორც ვნახეთ, საქართველოს არაერთ მეფეს ჰქონდა ნათესაური კავშირი ოს მეფე-მთავრებთან. ქართველი მეფეები ხშირად იყენებდნენ ოსურ სამხედრო ძალას ბრძოლებში, რისი ყველაზე ნათელი მაგალითიც არის დიდგორის ბრძოლა, სადაც მათე ურჰაელის ცნობის მიხედვით 500 ოსი იბრძოდა.

მიუხედავად ამგვარი ურთიერთობებისა, XIII საუკუნის შუა ხანებამდე ქართული სამეფოს ტერიტორიაზე ოსთა არცერთი დასახლება არ აღირიცხებოდა. მხოლოდ

მონღოლთა შემოსევის შემდეგ ისარგებლეს ოსებმა ქართული სამეფოს სისუსტით და, საისტორიო წყაროების მიხედვით, ქალაქი გორიც კი დაიკავეს, თუმცა XIV საუკუნის 20-იან წლებში გიორგი ბრწყინვალემ მოახერხა ოსთა განდევნა საქართველოს ტერიტორიიდან.

ვითარება იცვლება XV-XVI საუკუნეებში, როდესაც დაქუცმაცებული და დასუსტებული ქართული სამეფოს დაუძლურებით სარგებლობენ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები. სწორედ ამ პერიოდში, ქართველ მკვლევართა (ვ. ითონიშვილი, ბ. გამყრელიძე, რ. თოფჩიშვილი) მიხედვით უნდა მომხდარიყო ოსთა ნაწილის შემოსვლა დვალეთის ტერიტორიაზე ჩრდილოეთ კავკასიის ალაგირის ხეობიდან.

ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ რეგიონის კონფლიქტის ისტორიის, კოსოვოსა და აფხაზეთის კონფლიქტური რეგიონების ისტორიასთან შედარებისას, მეტად თვალსაჩინოა ერთი დიდი განსხვავება – თუკი კოსოვოში ალბანელებს, სერბებს და მათ წინაპრებს სხვადასხვა დროში უცხოვრიათ, ისევე, როგორც აფხაზეთში ქართველებსა და ადიღეური მოდგმის აფხაზებს, ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში საუბარია ხალხზე, რომელთა განსახლების არეალიც შიდა ქართლის რეგიონი არასდროს არ იყო და მათი პირველი დასახლებები შიდა ქართლის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში ჩნდება მხოლოდ და მხოლოდ XV-XVI საუკუნეებში, როდესაც ოსთა ცალკეული ჯგუფები ახერხებენ შიდა ქართლის მთიან ნაწილში დამკვიდრებას.

III. XVII საუკუნიდან მოყოლებული, როგორც ვნახეთ, კოსოვოს ტერიტორიაზე ხდება მოვლენა, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სერბების დემოგრაფიულ მდგომარეობაზე. საუბარია XVII-XVIII საუკუნეებში სერბთა იძულებით გადასახლებაზე კოსოვოს ტერიტორიიდან. აღნიშნული მოვლენის სტიმულირებას, ბუნებრივია, ხელს უწყობდა ოსმალეთის იმპერიის მიერ კოსოვოში გამუსლიმებული ალბანელების ჩასახლების (ძირითადად ჩრდილოეთ ალბანეთის ტერიტორიიდან) მიზანმიმართული პოლიტიკა. შედეგად, XIX საუკუნის დამდეგისთვის, კოსოვოს ტერიტორიაზე სერბული მოსახლეობის ხელოვნურად შემცირების ხარჯზე ალბანური მოსახლეობის ხვედრითი წილის ასევე ხელოვნურად ზრდა შეინიშნება.

გარკვეულწილად განსხვავებულ პროცესთან გვაქვს საქმე ამ პერიოდში აფხაზეთის ტერიტორიაზე. ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებული და აფხაზეთის ტე-

რიტორიაზე დასახლებული ადიღეური მოდგმის ტომები ერთვებიან აფხაზეთისა და ოდიშის სამთავროებს შორის ბრძოლაში. როგორც დავინახეთ, აფხაზი მთავრები შარვაშიძეები აღნიშნულ ტომებს იყენებენ ოდიშის მეფეთა წინააღმდეგ გამოსვლებში. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ყველანაირი ტერიტორიული ცვლილება (იგულისხმება აფხაზეთის სამთავროს საზღვრის მდინარე ენგურზე გადმონაცვლება) ოდიშისა და აფხაზეთის სამეფო-სამთავროებს შორის ხდება სწორედ აღნიშნული შიდაპოლიტიკური ბრძოლების ფარგლებში.

ამგვარად, **განსხვავებით კოსოვოსგან, აფხაზეთის ტერიტორიაზე ახლად-ჩამოსახლებულ ხალხთა ჯგუფები ერთვებიან ქართულ სამეფოთა შიდაპოლიტიკურ ბრძოლებში, მაშინ, როდესაც კოსოვოს ტერიტორიაზე არანაირ „ახალ ხალხთა“ ჩამოსახლებას არ აქვს ადგილი და რეგიონში ძირითადად მოსახლეობს ეთნიკურად სერბი და ალბანელი ხალხი. აფხაზეთის ტერიტორიაზე დემოგრაფიული ცვლილებების მაპროვოცირებელ ფაქტორად მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს გარშემო და ქვეყნის შიგნით შექმნილი მძიმე ვითარება გვევლინება, მაშინ, როდესაც კოსოვოს ტერიტორიაზე, როგორც ვნახეთ, დემოგრაფიულ პოლიტიკას საკუთარი იმპერიული ინტერესებიდან გამომდინარე აწარმოებს ოსმალეთის იმპერია.**

ცხინვალის რეგიონში განვითარებული მოვლენები ამ პერიოდში საერთოს პოულობს აფხაზეთში მიმდინარე პროცესებთან, საქართველოს ტერიტორიაზე ჩრდილოეთ კავკასიიდან ხალხთა ჯგუფების მიგრაციის კუთხით. XV-XVI საუკუნეში დვალეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიაზე ჩნდება ოსთა პირველი დასახლებები. მოგვიანებით, XVII-XVIII საუკუნეებში, ქართულ სამეფოებში შექმნილი მძიმე დემოგრაფიული და სოციალური ვითარების გათვალისწინებით, თავად ქართველი მეფეები გვევლინებიან ოსთა საქართველოს მიწაზე დასახლების ინიციატორებად, თუმცა, კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ XVIII საუკუნის მიწურულს და XIX საუკუნის დამდეგს ოსური დასახლებები გვხვდება მხოლოდ და მხოლოდ შიდა ქართლის მთიან მხარეში – ე.ი. მომავალი ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ რეგიონის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში.

ამგვარად, კოსოვოს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ისტორიის მიმოხილვა უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე გვაჩვენებს, რომ: **ა) ამ პერიოდში აღნიშ-**

ნულ რეგიონებში თანამედროვე კონფლიქტების ნიშნები ჯერ კიდევ არ არის შესამჩნევი; ბ) სამივე რეგიონი აღნიშნულ ისტორიულ პერიოდში, როგორც ვხედავთ, განსხვავდება ერთმანეთისგან ეთნო-კულტურული და დემოგრაფიული ისტორიული პროცესების დინამიკით.

შესაბამისად, უნდა დავასკვნათ, რომ უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე კოსოვოს, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონებში მიმდინარე მოვლენებისა და ტენდენციების სახით საქმე გვაქვს სამ სხვადასხვა რეგიონთან განსხვავებული ისტორიული განვითარების თავისებურებებით. მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ისტორიის მიმოხილვა არაერთ განსხვავებას გვაჩვენებს არა მხოლოდ კოსოვოს რეგიონის, არამედ თავად ერთმანეთთან მიმართებაშიც, რაც ცხადყო ზემოაღნიშნულმა ისტორიულმა მიმოხილვამ.

თავი II. კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი XIX ს. დამდეგიდან XX ს. 10-იანი წლების ჩათვლით: კონფლიქტური რეგიონების ისტორიული განვითარების საერთო და განმასხვავებელი ტენდენციები

§1. კოსოვო XIX საუკუნის დასაწყისიდან 1918 წლამდე

XIX საუკუნის დასაწყისში ბალკანეთის ნახევარკუნძული ოსმალეთის იმპერიის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომელსაც აღნიშნულ ტერიტორიაზე ამ პერიოდში ჰქონდა ადგილი, იყო ორი სერბული რევოლუცია – 1804-1813 და 1814-1815 წლებში,[1] რომელთა შედეგად სერბებმა ოსმალეთის იმპერიაში საკუთარი წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნის უფლება მოიპოვეს. ამიერიდან სერბები თავად განკარგავდნენ საგადასახადო და სხვა შიდაპოლიტიკურ საკითხებს. ამ მოვლენებმა საფუძველი ჩაუყარა სერბეთის ავტონომიური სამთავროს შექმნას 1833 წელს ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში.[2] აღსანიშნავია, რომ კოსოვოს რეგიონი ამ პერიოდში არ შედიოდა სერბეთის ავტონომიური სამთავროს შემადგენლობაში, იგი კოსოვოს ვილაიეთის სახელით იმართებოდა ოსმალურ ადმინისტრაციიდან ალბანელი ბეგების მიერ.[3]

ოსმალთა მმართველობის წინააღმდეგ იბრძოდა ამ პერიოდში ასევე ალბანელი ხალხი. 1836 წლიდან მოყოლებული, მიუხედავად მასობრივი წინააღმდეგობისა, ოსმალეთის იმპერიის მმართველობა მაინც ცდილობდა ფართომასშტაბიანი ადმინისტრაციული რეფორმების გატარებას ალბანელებით დასახლებულ რეგიონებში. ამ პერიოდში ოსმალეთის იმპერიაში შედიოდა იანინის, ბიტოლას და რუმელიის ალბანური ვილაიეთები. 1865 წელს შეიქმნა შკოდერის ვილაიეთი.[4] რაც შეეხება მოსახლეობას, აღსანიშნავია, რომ კოსოვოს რეგიონში მოსახლეობის უმეტესობას სერბები შეადგენდნენ, როგორც საუკუნის დასაწყისში, ასევე 60-70-იან წლებში, როდესაც უკვე ალ-

---

[1] **Barbara Jelavich.** History of the Balkans. Eighteenth and Nineteenth Centuries. Vol. II. Cambridge University Press: 1995, გვ. 193-204.
[2] **Miranda Vickers.** Between Serb and Albanian, გვ. 30.
[3] **Tim Judah.** Kosovo, გვ. 35; **А. Я, Маначинский, Д. О. Денисов.** Косово и Метохия.., გვ. 25.
[4] **Barbara Jelavich.** History of the Balkans, vol. I, გვ. 363.

ბანური ეროვნული მოძრაობა იკრებს ძალას ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. XIX საუკუნის სერბი გეოგრაფის მილოშ მილოევიჩის მიერ შედგენილი რუკების მიხედვით ვადგენთ, რომ 60-70-იან წლებში კოსოვოს რეგიონში 483 სერბული და მხოლოდ 92 ალბანური დასახლება ყოფილა.[1] სერბი მეცნიერის მირჩეტა ვემიჩის მიხედვით, ამ პერიოდში ადგილობრივ ფაშებს, სერბეთის სამთავროს გავლენისგან თავის დასაღწევად დაუწყიათ კოსოვოს რეგიონის ხელოვნური კოლონიზაცია ეთნიკურად ალბანელი მოსახლეობის ჩამოსახლებისა და სერბთა საკუთარი სახლებიდან განდევნის ხარჯზე.[2]

უფრო ზუსტი ციფრები კოსოვოს ვილაიეთის მოსახლეობის შესახებ მოცემულია ავსტრიელი პოლკოვნიკის პიტერ კუკულის ნაშრომში, რომელიც მან 1871 წელს ავსტრია-უნგრეთის არმიისთვის მოამზადა. პოლკოვნიკ კუკულის კვლევა მოიცავს პრიზრენის რაიონს, სადაც ამ დროისთვის 500 000 ადამიანი ცხოვრობდა. მათგან სერბები წარმოადგენდნენ მოსახლეობის 64%-ს (318 000 ადამიანს), ალბანელები – 32%-ს (161 000), რუმინელი ბოშები და ჩერქეზები – 10 000 ადამიანს, ხოლო თურქები კი – 2000 ადამიანს.[3]

XIX საუკუნის დასასრულს, ოსმალური ადმინისტრაციის მიერ ალბანური ეთნიკური ელემენტის დაწინაურების კუთხით, უდავოდ საინტერესო ცნობებს გვაწვდის იმ პერიოდის გეოგრაფი იოვან ცვიიჩი, რომელმაც კოსოვოსა და მეტოხიის რეგიონში იმოგზაურა. ავტორის მიხედვით, ოსმალური მმართველობის ქვეშ, ალბანური ელემენტი იმდენად იყო დაწინაურებული, რომ თუკი მეტოხიელ სერბს უცნობი სტუმარი ეწვევა, იგი მას ალბანურად დაუწყებს საუბარს საკუთარი წარმომავლობის დასაფარად, თუმცა გამოცდილი თვალი უმალ შეამჩნევს განსხვავებას სერბული და ალბანური ტიპის საცხოვრებელ სახლებს შორის.[4]

1876-1878 წლების სერბეთ-ოსმალეთის ომის პერიოდში 30 000-70 000 ალბანური წარმოშობის მუსლიმი იქნა გადასახლებული ნიშის სანჯაყიდან კოსოვოს ვილაიეთში

---

[1] **Mirceta Vemic.** Serbs in Kosovo and Metohija in the Second Half of the 19th Century According to an Ethnic Map of a part of Old Serbia. / *Forum Geographic.* Vol. 10, Issue 2. The Geographical Institute of the Serbian Academy of Sciences and Arts. December 2011, გვ. 257.

[2] **Mirceta Vemic.** Serbs in Kosovo and Metohija, გვ. 256.

[3] Kosovo population data-points. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.fact-index.com/k/ko/kosovo_population_data_points.html.

[4] **Jovan Cvijic.** Osnove za geografiku Makedonije i Stare Srbije. Vol. III. Belgrade: Serbian Royal Academy, 1911, გვ. 1162-1165. იხ.: **Dusan Batakovich.** Kosovo and Metohija, გვ. 583.

სერბული არმიის შეტევის შემდგომ.[1] ამას მოჰყვა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი, რომელშიც ჩაერთვნენ სერბეთისა და მონტენეგროს სამთავროებიც. ომის დასრულების შემდგომ, სან-სტეფანოს ზავის პირობების მიხედვით, ისინი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადდნენ, თუმცა უშუალოდ კოსოვოს ვილაიეთის ტერიტორიის დაკავება ვერ მოახერხეს. სან-სტეფანოს ზავის მესამე მუხლის მიხედვით, სერბეთის სამთავრო იკავებდა ქალაქებს ნიშსა და ლესკოვაჩს.[2] ქალაქი ლესკოვაჩი, თავის მხრივ, შედიოდა მორავული სერბეთის სამთავროს შემადგენლობაში. აღნიშნული სამთავრო სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრებოდა კოსოვოს ვილაიეთს, რომელიც, სან-სტეფანოს ზავის პირობების მიხედვით, სერბეთის ახლად ჩამოყალიბებული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შემადგენლობაში არ შედიოდა.

ალბანელები, თავის მხრივ, აცხადებდნენ, რომ ომის შემდგომმა დიპლომატიამ ალბანური მიწები სერბეთისა და მონტენეგროს შემადგენლობაში მოაქცია. მონტენეგროს ტერიტორია, სან-სტეფანოს ზავის მიხედვით, თითქმის გაორმაგდა ქალაქების ნიკშიჩის, პოდგორიცას და ბარის შეერთებით.[3] გარდა ლოკალური (ბალკანური) მასშტაბებისა, სან-სტეფანოს ზავს ასევე საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის დაპირისპირებაში. აღნიშნული ზავის შედეგები კი აშკარად სერბებისა და ზოგადად ბალკანეთის ქრიტიანული ქვეყნების მფარველისა და მოკავშირის რუსეთის იმპერიის წისქვილზე ასხამდა წყალს. გარდა ამისა, ზავით რუსეთი არღვევდა ომამდელ შეთანხმებებს, რის გამოც, ვითარების მოსაწესრიგებლად, გადაწყდა ბერლინის კონგრესის მოწვევა.

ამ პერიოდში კოსოვოს ვილაიეთი ალბანური ეროვნული მოძრაობის კერად გვევლინება. ბერლინის კონგრესის მოწვევამდე სამი დღით ადრე, 1878 წლის 10 ივნისს, კოსოვოს ქალაქ პრიზრენში შეიქმნა ალბანური ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაცია „პრიზრენის ლიგა“,[4] რომელიც თავიდან პორტას მხარდაჭერით სარგებლობდა და მიზნად ისახავდა სან-სტეფანოს ზავის მიხედვით ოსმალთა იმპერიისათვის ჩამოშორებული ტერიტორიების დაბრუნების მცდელობას. მოგვიანებით, ალბანე-

[1] **Djordje Stefanović.** “Seeing the Albanians through Serbian eyes: The Inventors of the Tradition of Intolerance and their Critics, 1804–1939.” / *European History Quarterly*, № 35 (3), 2005, გვ. 470.

[2] Сан-Стефанский прелиминарный мирный договор. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.hist.msu.ru/ER/Etext/FOREIGN/stefano.htm.

[3] Сан-Стефанский прелиминарный мирный договор.

[4] **Г. Л. Арш, И. Г. Сенкевич, Н. Д. Смирнова.** Краткая история Албании. Москва, 1965, გვ. 104-116.

ლებმა აღნიშნული ლიგა საკუთარი ეროვნული ინტერესების დასაცავ ორგანიზაციად აქციეს, რომლის მთავარი იდეაც ალბანური მიწების გაერთიანებასა და ალბანური სახელმწიფოს შექმნაში მდგომარეობდა. ამ მიზნით, ლიგა ითხოვდა იანინას, ბიტოლას, შკოდერისა და კოსოვოს ტერიტორიის გაერთიანებას.[1]

თავისი არსებობის სამი წლის მანძილზე „პრიზრენის ლიგამ“ მოახერხა ალბანური ვილაეთის ტერიტორიული ერთეულისა და ჯარის შექმნა. ალბანელები აქტიურად იბრძოდნენ ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. 1881 წელს შეიქმნა ალბანელთა დროებითი მთავრობა „პრიზრენის ლიგის“ მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის – იმერ პრიზრენის (1826-1887) მეთაურობით. მიუხედავად ამისა, ოსმალეთის იმპერიის ძალისხმევით, 1881 წელი ალბანური სახელმწიფოებრიობრივი მისწრაფებებისა და თავად „პრიზრენის ლიგის“ დამარცხების თარიღი აღმოჩნდა.[2]

„პრიზრენის ლიგის“ გარდა, კოსოვოს რეგიონი XIX საუკუნეში სხვა ალბანური ეროვნული ორგანიზაციების კერადაც გვევლინება. მათგან აღნიშვნის ღირსია 1899 წელს კოსოვოს ქალაქ პეიაში დაარსებული „პეიას ლიგა“, რომელსაც მეთაურობდა „პრიზრენის ლიგის“ ერთ-ერთი აქტივისტი ჰაჯი ზეკა.

ალბანელი ავტორის, ჰუსნი მუზურის მიხედვით, „პეიას ლიგის“ მთავარი მიზანი, ისევე როგორც, მისი წინამორბედი „პრიზრენის ლიგისა“, იყო ავტონომიური ალბანური ვილაიეთის შექმნა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. როგორც ცნობილია, აღნიშნული მიზნის მისაღწევად ალბანელები არ ერიდებოდნენ ძალის გამოყენებას კოსოვოს რეგიონის სერბი მოსახლეობის წინააღმდეგ. ზოგიერთი მონაცემით, 1876-1912 წლებში ალბანელი ნაციონალისტების მიერ კოსოვოს ვილაიეთიდან 400 000-მდე სერბის გადასახლება მოხდა.[3] საბოლოოდ, საკუთარ მიზანს ვერც „პეიას ლიგამ“ მიაღწია. ოსმალეთის არმიამ 1900 წელს დაამარცხა ლიგის ჯარები, ხოლო მოგვიანებით 1902 წელს, ოსმალეთის იმპერიის დაკვეთით, სერბი აგენტის მიერ მოკლულ იქნა თავად ჰაჯი ზეკა.[4]

ალბანური ნაციონალიზმის მომძლავრებასთან ერთად, XIX საუკუნის დასასრუ-

---

[1] **Barbara Jelavich.** History of the Balkans. Vol. II. Twentieth Century. Cambridge University Press, 2006, გვ. 84.
[2] **Г. Л. Арш, И. Г. Сенкевич, Н. Д. Смирнова.** Краткая история Албании, გვ. 110.
[3] **Петр Искендеров.** История Косово: правда и вымысел. Опубликовано на сайте 19/02/2008. იხ.: http://www.perspektivy.info/osobaya_tema/kosovo/istorija_kosovo_pravda_i_vymysel_2008-02-19.htm.
[4] **Hysni Myzyri.** Kreu VIII: Lidhja Shqiptare e Prizrenit (1878–1881). Historia e popullit shqiptar: për shkollat e mesme. Prishtinë: Libri Shkollor, 2002, გვ. 182-185.

ლი და XX საუკუნის დასაწყისი სერბული ნაციონალისტური პროპაგანდის გააქტიურების პერიოდია. 1903 წელს სერბეთის მეფის ალექსანდრ ობრენოვიჩის მკვლელობის შემდეგ, სერბეთის სამეფო ტახტს პეტრე კარაჯორჯევიჩი (კარაგეორგევიჩი) იკავებს.[1] პეტრეს საგარეო პოლიტიკა სერბეთის სამეფოს საზღვრების გაფართოებაზე იყო ორიენტირებული, რაშიც მეფე მთავარ მფარველად და მოკავშირედ რუსეთის იმპერიას მოიაზრებდა.

ამ პერიოდში ალბანელები მოითხოვდნენ ალბანური ენისათვის ოფიციალური სტატუსის მინიჭებას ალბანური ვილაიეთების ტერიტორიაზე.[2] 1908 წელს კოსოვოს ქალაქ ურუშევაჩში 20 000 შეიარაღებული ალბანელი გლეხი გამოვიდა პროტესტით ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. აღნიშნული მოძრაობის მეთაურებმა ბაჰრამ გურიმ და ისა ბოლეტინმა სულთანს დეპეშა გაუგზავნეს ალბანური პარლამენტისა და კონსტიტუციის დამტკიცების თხოვნით, თუმცა უშედეგოდ. 1909 წელს კოსოვოს ტერიტორიაზე ალბანელთა მასობრივ ანტიოსმალურ საპროტესტო გამოსვლებს ჰქონდა ადგილი.[3]

ალბანელთა და სერბთა დაპირისპირების შემდგომი ეტაპი დაკავშირებულია ბალკანური ომების პერიოდთან 1912-1913 წლებში,[4] რომელმაც მეტად შეავიწროვა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი ბალკანური ტერიტორიები. ამ ომების შედეგად, კოსოვოს ვილაიეთი სერბებისა და მონტენეგროელების მიერ იქნა დაკავებული. მთლიანად ვილაიეთი გაიყო ოთხ ტერიტორიულ ერთეულად: ზვეჩანის, კოსოვოსა და სამხრეთ მეტოხიის რეგიონები სერბეთის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა, ხოლო ჩრდილოეთ მეტოხია კი მონტენეგროს სამეფოს ნაწილი გახდა.[5]

სერბი ისტორიკოსის, დუშან ბატაკოვიჩის მიხედვით, ბალკანეთის პირველი ომის დაწყებამდე სერბეთის პრემიერ მინისტრმა ნიკოლა პაშიჩმა ალბანელთა ლიდერებს შესთავაზა კოსოვოს ვილაიეთში სერბებისა და ალბანელების თანაცხოვრების

---

[1] **Miranda Vickers.** Between Serb and Albanian, გვ. 60.

[2] **Г. Л. Арш, И. Г. Сенкевич, Н. Д. Смирнова.** Краткая история Албании, გვ. 140-160.

[3] **Hysni Myzyri.** Kreu VIII, გვ. 195-198.

[4] აღნიშნულ ომში ოსმალთა იმპერიის წინააღმდეგ იბრძოდა სერბების, მონტენეგროელების, ბულგარელებისა და ბერძნების კოალიცია, რომელმაც 1912 წელს პორტას დამარცხება შეძლო. 1913 წელს მეორე ბალკანური ომი წამოიწყო პირველი ომის შემდგომი ტერიტორიული მოწყობით უკმაყოფილო ბულგარეთმა ყოფილი მოკავშირეების წინააღმდეგ. შედეგად, ეს ომი ბულგარეთის დამარცხებით დასრულდა.

[5] **Tim Judah.** Kosovo, გვ. 38.

პოლიტიკური გეგმა. ამ გეგმის მიხედვით, ალბანელებს სერბეთის სამეფოს შემადგენლობაში ეძლეოდათ რელიგიის, ენისა და კანონმდებლობის თავისუფლება. ამასთან ერთად, პაშიჩის გეგმის მიხედვით, უნდა შექმნილიყო ალბანელთა საკანონმდებლო ორგანო, რომელიც განაგებდა ალბანელთა რელიგიურ, სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებს.[1]

გარდა ამისა, სერბი მკვლევრის ჯორჯე მიკიჩის თქმით, სერბები ალბანელებს იარაღითაც ამარაგებდნენ ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მიუხედავად ამისა, ალბანელებმა სერბების იარაღი თავად სერბების წინააღმდეგ გამოიყენეს ბალკანურ ომებში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სახით.[2] პარალელურად, კოსოვოელი ალბანელები იარაღით მარაგდებოდნენ ოსმალეთისგან. კონკრეტულად საუბარია 63 000 შაშხანაზე, რომელიც პორტამ ალბანელებს მიაწოდა სერბების წინააღმდეგ საომრად.[3] ამგვარად, ალბანელები არ აპირებდნენ კოსოვოს ტერიტორიის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური მმართველობის გაზიარებას სერბეთის სამეფოსთან.

საბოლოოდ, ალბანელებმა მიაღწიეს საკუთარ მიზანს, როდესაც ბალკანური ომების დასრულების შემდგომ – 1912 წლის 28 ნოემბერს შეიქმნა დამოუკიდებელი ალბანური სახელმწიფო. ამ პროცესს, თავის მხრივ ხელს უწყობდა ავსტრია-უნგრეთის იმპერია, რომელიც ამ დროისათვის უკვე „სამთა კავშირის“ (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, იტალიის სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი, შეიქმნა 1879-1882 წლებში) წევრი იყო და ალიანსის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა იმდროინდელი მსოფლიოს მეორე დიდი ბანაკის – ანტანტის (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი, შეიქმნა 1894-1907 წლებში) წინააღმდეგ. ალბანეთის სახელმწიფოს შექმნით, ავსტრია-უნგრეთი წარმატებით ახერხებდა რუსეთის მოკავშირე სერბებისათვის ადრიატიკის ზღვაზე გასასვლელის ჩაკეტვას და ამით, ბუნებრივია, ზღუდავდა რუსეთის გავლენას ადრიატიკის რეგიონში.[4] ამგვარად, ალბანელთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის წარმატებით იქნა გამოყენებული

---

[1] **Dusan Batakovic.** Serbia's Kosovo Drama, გვ. 76.

[2] **Djordje Mikić.** "The Albanians and Serbia during the Balkan Wars." In: *East Central European Society and the Balkan Wars, War and Society in East Central Europe.* Edited by ***Bela Kiraly, D. Djordjevic.*** Vol. XVIII. Boulder, CO: Social Science Monographs, 1987, გვ. 165-196.

[3] **John D. Treadway.** The Falcon and the Eagle. Montenegro and Austria-Hungary 1908-1914. West Lafayette: Purdue University Press, 1983, გვ. 121.

[4] **Tim Judah.** Kosovo, გვ. 39; **Barbara Jelavich.** History of the Balkans, vol. II, გვ. 99.

იმდროინდელი მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების მიერ, რომლებიც, თავის მხრივ, საკუთარი გლობალური პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ.

1912 წელს გამოცხადებული პირველი ალბანური სახელმწიფოს ტერიტორია მოიცავდა კოსოვოს ნაწილს – მონასტირის, შკოდერისა და იანინას ვილაიეთებს.[1] ვითარება შეიცვალა 1913 წლის 30 მაისის ლონდონის კონფერენციის შემდეგ,[2] რომელიც პირველი ბალკანური ომის ერთგვარ დასკვნით დიპლომატიურ აკორდად გვევლინება. აღნიშნულ კონფერენციაზე, რუსეთის იმპერიის ინიციატივით, კოსოვო მთლიანად სერბეთის შემადგენლობაში იქნა მოქცეული.[3] ამგვარად, ბალკანურ ომებს კოსოვოს რეგიონისა და ასევე სერბი და ალბანელი ხალხის ისტორიაში ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოჰყვა: 1. ალბანური სახელმწიფოს შექმნა, რომელიც, როგორც ვნახეთ, ბალკანეთში დიდი სახელმწიფოების პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენდა; 2. კოსოვოს რეგიონის ჩართვა თავიდან ახლადშექმნილი ალბანური სახელმწიფოს, ხოლო მოგვიანებით კი – სერბეთის სამეფოს შემადგენლობაში.

როგორც ვხედავთ, პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისთვის ყოფილი კოსოვოს ვილაიეთის ტერიტორია უკვე სერბეთის სამეფოს ნაწილს წარმოადგენდა. თავად პირველი მსოფლიო ომი და კონკრეტულად 1915 წელი კოსოვოელი სერბებისთვის, ისევე როგორც თავად სერბული არმიისთვის, მეტად ტრაგიკულ მოვლენებთან არის დაკავშირებული. ამ დროს სერბული არმია ავსტრიული და ბულგარული შეტევების ქვეშ მოექცა ორი ფრონტიდან, სერბებისთვის გადარჩენის ერთადერთ შანსს წარმოადგენდა უკანდახევა კოსოვოსა და ალბანეთის მთიანი მასივების გავლით. სერბულ არმიას თავად სერბული მოსახლეობაც მიჰყვებოდა სხვადასხვა რეგიონებიდან, მათ შორის კოსოვოდანაც. აღნიშნული სერბული ტრაგედიის დეტალები აღწერილი აქვს ფორტიერ ჯონსს – ამერიკული დამხმარე ორგანიზაციის წევრს, რომელიც მთელი ამ მოქმედების მანძილზე თან ახლდა სერბულ არმიას. მისი ცნობით, 100 000-მდე სერბი დაიღუპა კოსოვოსა და ალბანეთის ველებზე.[4]

---

[1] **Piotr Eberhardt.** Ethnic groups and population changes in twentieth-century Central-Eastern Europe: history, data and analysis. Routledge, 2002, გვ. 356.

[2] Лондонский мирный договор 1913. Дипломатический словарь. Том II. Под ред. А. А. Громыко, И. Н. Земсков, В. М. Хвостов. Москва: Изд. Политической литературы, 1971, გვ. 223-224.

[3] **Teresa Rakowska-Harmstone, Piotr Dutkiewicz, Agnieszka Orzelska.** New Europe: the impact of the first decade. Vol. 1. Trends and Prospects. Warsaw: Institute of Political Studies, 2006, გვ. 37.

[4] **Fortier Jones.** With Serbia into Exile. An American's Adventures with the Army that cannot die. The Century CO. New York, 1916.

ამ მოვლენების შემდგომ კოსოვოს რეგიონზე კონტროლი დაამყარა ჰაბსბურგთა იმპერიამ. კიდევ ერთხელ მოხდა რეგიონის დაყოფა ზონებად: მეტოხია შევიდა მონტენეგროს სახელმწიფოს შემადგენლობაში, ხოლო პრიშტინის, პრიზრენის, გნილანეს, ურუშევაჩის და ორაჰოვაჩის ტერიტორიები შევიდა მაკედონიის სახელმწიფოს ბულგარულ სამხედრო რეგიონში. 1916-1918 წლებში ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ადმინისტრაციის ხელშეწყობით კოსოვოს რეგიონში გაიხსნა 300-ზე მეტი ალბანურენოვანი სკოლა.[1] ბუნებრივია, ამ ღონისძიებების მიზანს რეგიონში ალბანური გავლენის მომძლავრება და, შესაბამისად, სერბული ეთნიკური ელემენტის შესუსტება წარმოადგენდა.

პირველ მსოფლიო ომში გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის იმპერიების დამარცხების მოახლოებასთან ერთად, სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენდა ჰაბსბურგთა იმპერიაში შემავალი სლავური მიწების გაერთიანების იდეა. 1917 წლის 30 მაისს ავსტრია-უნგრეთის რაიხსრატში სლოვენიის სახალხო პარტიის წარმომადგენლის ანტონ კოროშეცის მიერ პირველად იქნა გაჟღერებული დეკლარაცია ჰაბსბურგთა იმპერიაში შემავალი სერბული, ხორვატული და სლოვენური მიწების გაერთიანების შესახებ,[2] თუმცა იგი უარყოფილ იქნა რაიხსრატის მიერ.

პირველი მსოფლიო ომის დასასრულის მოახლოებასთან ერთად, სულ უფრო აშკარა ხდებოდა ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დამარცხების პერსპექტივები, რაც პირდაპირ კავშირს ჰპოულობდა ზემოაღნიშნული სამხრეთ-სლავური მიწების გაერთიანებასთან. მნიშვნელოვან ნაბიჯს, ამ მიმართულებით წარმოადგენდა 1917 წლის 20 ივლისის კორფუს დეკლარაცია სერბების, ხორვატებისა და სლოვენების დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოწყობის პრინციპების შესახებ.[3] ამ დოკუმენტმა პრაქტიკულად საფუძველი ჩაუყარა მომავალი იუგოსლავიის სამეფოს შექმნას.

საბოლოოდ, 1918 წლის 1 დეკემბერს შეიქმნა სერბთა, ხორვატთა და სლოვენთა სამეფო, რომლის მოსახლეობაც მთლიანად შეადგენდა 12 017 323 ადამიანს. ახალ სამეფოში 441 740 ალბანელი (3.68%) და 4 665 851 (38.83 %) სერბი ცხოვრობდა. კოსოვოს რეგიონი კვლავ სერბეთის შემადგენლობაში მოექცა.[4]

---

[1] **Miranda Vickers.** Between Serb and Albanian, გვ. 92

[2] Майская декларация, 30 мая 1917 года. ob.: http://www.doc20vek.ru/node/3932.

[3] Корфская декларация 1917 года. Дипломатический словарь, том II, გვ. 135.

[4] **Ivo Banac.** The National Question in Yugoslavia: Origins, History, Politics. Cornell University Press, 1988, გვ. 49-53.

§2. აფხაზეთი XIX საუკუნის დასაწყისიდან 1921 წლამდე

XIX საუკუნის დასაწყისი საქართველოს ისტორიაში დაკავშირებულია ისეთ ტრაგიკულ მოვლენასთან, როგორიც არის რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების გაუქმება და მათი ინტეგრირება ცარისტული იმპერიის ადმინისტრაციულ აპარატში. ეს პროცესი დაიწყო 1801 წელს, როდესაც ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, რუსეთის იმპერია შეუდგა საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციას, რასაც დღემდე წარმატებით ახორციელებს.

როგორც მკვლევარი ზურაბ პაპასქირი აღნიშნავს, XIX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთის სამთავრო ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ნაწილს წარმოადგენდა.[1] მთელი XIX საუკუნის მანძილზე აფხაზი მთავრები სხვა ქართველ მთავართა მსგავსად, ერთის მხრივ, რუსული ადმინისტრაციის წინააღმდეგ ბრძოლასა და, მეორეს მხრივ, ოსმალეთის იმპერიის გავლენის შესუსტებისათვის ბრძოლაში იყვნენ ჩაბმულები.

1813 წელს ოსმალური არმია შეიჭრა აფხაზეთის ტერიტორიაზე. აფხაზეთის მთავარმა გიორგი შარვაშიძემ, გურიისა და სამეგრელოს მთავრებთან ერთად, წინააღმდეგობა გაუწია ოსმალებს. გარდა ამისა, დასავლეთ-საქართველოში 1819-1820 წლების ანტირუსული გამოსვლებისას, 1832 წლის შეთქმულებისას და ასევე 1840-იანი წლების გურიის ანტირუსული გამოსვლებისას, აფხაზთა მთავრები და აფხაზი ხალხი მხოლოდ და მხოლოდ საერთოქართული ინტერესების დასაცავად მოქმედებდნენ.[2]

ამასთან ერთად, გრძელდებოდა აფხაზეთისა და სამეგრელოს სამთავროებს შორის პოლიტიკური დაპირისპირება, რომელმაც მეტად თავისებური სახე მიიღო რუსეთსა და ოსმალეთს შორის ყირიმის ომის (1853-1855) პერიოდში. აფხაზეთი ამ ომში ოსმალეთის იმპერიის მიერ დასავლეთ საქართველოს სიღრმეში შესაჭრელ პლაცდარმად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ომის დაწყების პირველ ეტაპზე თურქები გამოჩნდნენ აფხაზეთის ნაპირებთან, სადაც ისინი წააწყდნენ წინააღმდეგობას.[3] ამის მიუხედავად, ყირიმის ომის განმავლობაში, აფხაზეთი საქართველოს სხვა კუთხეებისაგან

---

[1] **ზურაბ პაპასქირი.** ნარკვევები.., ნაკვ. I, გვ. 131.
[2] **ზურაბ პაპასქირი.** ნარკვევები.., ნაკვ. I, გვ. 131-154.
[3] **ზურაბ პაპასქირი.** ნარკვევები.., ნაკვ. I, გვ. 156.

განსხვავებით პრაქტიკულად ამოვარდნილი იყო საერთო-ოსმალური ფრონტიდან.

ამ მოვლენის განმაპირობებელი მთავარი მიზეზი გახლდათ აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის პოლიტიკა, რომელიც ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიებს შორის ლავირების პრინციპზე და ამ გზით, საკუთარი პოლიტიკური სარგებლის მიღებაზე იყო კონცენტრირებული. ზურაბ პაპასქირის მართებული აღნიშვნით, მიხეილ შარვაშიძემ მარჯვედ გამოიყენა ოსმალეთის ჯარების მიერ აფხაზეთის ოკუპაცია და მოინდომა სამურზაყანოს შემომტკიცება,[1] რომელიც მას ომერ-ფაშას შუამდგომლობის საფუძველზე თურქეთის სულთანმა უწყალობა.

ბუნებრივია, აფხაზეთის მთავრის ამგვარი პოლიტიკა მთლიანად წინააღმდეგობაში მოდიოდა მეფის რუსეთის ინტერესებთან. რუსული მხარისთვის მიხეილ შარვაშიძე მოღალატედ აღიქმებოდა და კავკასიის რუსული ადმინისტრაციაც განიხილავდა მისი აფხაზეთის სამთავრო ტახტიდან გადაყენების საკითხს. თუმცა აქ მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორის როლი შეასრულა ყირიმის ომის დამასრულებელი პარიზის ზავის მეხუთე მუხლმა, რომლის მიხედვითაც, ინგლისის დედოფალი, საფრანგეთისა და რუსეთის იმპერატორები, სარდინიის მეფე და ოსმალეთის სულთანი იღებდნენ ვალდებულებას, შეეწყალებინათ მათ დაქვემდებარებაში მყოფი მმართველები, რომლებიც ომის განმავლობაში მტრულ მხარესთან ნებისმიერი სახის თანამშრომლობაში იყვნენ ეჭვმიტანილნი.[2] საერთაშორისო არენაზე შემდგომი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ ამ ეტაპზე თავი შეიკავა მიხეილ შარვაშიძის დასჯისაგან.[3]

ვითარება შეიცვალა რუსეთის იმპერიის მიერ 1859 წელს აულ გუნიბის აღებისა და შამილის დატყვევების შემდეგ, როდესაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აფხაზეთის საბოლოო დამორჩილებისა. რუსეთის იმპერიამ აფხაზთა სამთავრო გააუქმა 1864 წელს. სამთავროს ჯერ სოხუმის სამხედრო დეპარტამენტი, ხოლო 1883 წლიდან სოხუმის ოკრუგი ეწოდა ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში. ვითარების მთელი ტრაგიკულობის გააზრების შემდეგ, აფხაზეთის ბოლო მთავარმა მიხეილ შარვაშიძემ თხოვნით მიმართა რუსულ ადმინისტრაციას, მისთვის აფხაზეთში ცხოვრების ნება

[1] **ზურაბ პაპასქირი.** ნარკვევები.., ნაკვ. I, გვ. 170.
[2] Treaty of Paris. Paris, March 30, 1856. იხ.: https://content.ecf.org.il/files/M00934_TreatyOfParis1856English.pdf.
[3] **შალვა ჩხეტია.** აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის (1853-1856წწ.). / *საისტორიო მოამბე,* №15-16. თბილისი, 1963, გვ. 247-249.

დაერთოთ, ხოლო თუ ეს „შეუძლებელი“ იქნებოდა, მიხეილ შარვაშიძე ითხოვდა ზამთრობით ქუთაისში, ხოლო ზაფხულობით რაჭაში ცხოვრების ნებართვას.[1] ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს აფხაზ მთავართა მხოლოდ და მხოლოდ საერთოქართული სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული სამყაროსადმი კუთვნილებას.

მეტად საინტერესოა რუსეთის იმპერიის მიერ აფხაზეთში გატარებული სამიწათმოქმედო რეფორმა, რომელიც 1871 წელს დაიწყო. ერთი წლით ადრე, 1870 წელს სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრებმა წერილობითი თხოვნით მიმართეს მეფის რუსეთის კავკასიის არმიის გენერალ სვიატოპოლკ-მირსკის, რომელშიც მთავრები ცარისტული ადმინისტრაციისგან ითხოვდნენ მიწის რეფორმის იმავე წესითა და თანმიმდევრობით გატარებას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა სხვა ქართულ სამეფო-სამთავროებში, რადგან აფხაზეთის სამთავრო მუდამ ქართული ფეოდალური სისტემის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა.[2]

აღნიშნული თხოვნის უგულებელყოფა და რუსიფიკატორული პოლიტიკის გამკაცრება გახდა ორი ანტირუსული აჯანყების მიზეზი აფხაზეთის ტერიტორიაზე 1866 და 1877 წლებში, რომელიც ცარისტულმა რეჟიმმა სისხლში ჩაახშო. სწორედ აღნიშნული გამოსვლების შემდეგ მოხდა აფხაზი ხალხის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მოვლენა, აფხაზთა გადასახლება ოსმალეთის იმპერიის მიწებზე, რომელიც ისტორიაში „მუჰაჯირობის“ სახელითაა ცნობილი. ზოგიერთი მონაცემების მიხედვით, გადასახლებული აფხაზების რაოდენობა 30 000 აღწევდა.[3]

სეპარატისტულ ისტორიოგრაფიაში ხშირად არის გამოყენებული რუსეთის იმპერიის 1886 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემები და მითითებულია, რომ აფხაზეთის (სოხუმის ოლქის) მოსახლეობა შეადგენდა 69 230 ადამიანს, საიდანაც ეთნიკური აფხაზების რაოდენობა იყო 85.2%, კერძოდ 58 963 ადამიანი.[4] უნდა ითქვას, რომ ეს ცალსახა გაყალბებაა, რადგანაც წყაროს ამ გვერდის (რომელზეც ქუთაისის გუბერ-

---

[1] **Г. А. Дзидзария.** Абхазия в годы Крымской войны, Упразднение владетельного княжества. წიგნში: *Очерки истории Абхазской АССР».* Т. I. Сухуми, 1960, გვ. 200.

[2] **Автандил Ментешашвили.** Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии. Тбилиси, 1998, გვ. 28-30.

[3] **ზურაბ პაპასქირი.** ნარკვევები.., ნაკვ. I, გვ. 209.

[4] Свод статистических данных о населении Закавказского края, извлечённых из посемейных списков 1886 года. Тифлис, 1893. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://dlib.rsl.ru/viewer/01005403186 #?page=164.

ნიის საერთო სურათია მოცემული) პატიოსნად წამკითხველი ადამიანი ეგრევე შეამჩნევს, რომ აფხაზებზე მიწერილია სამურზაყანოს მოსახლეობა, რომელიც, როგორც ჩანს, ცალკე გრაფად უბრალოდ ვერ დაეტია ტიპოგრაფიული პრობლემების გამო. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ აფხაზების და სამურზაყანოელების რაოდენობა ჯერ ცალ-ცალკე წერია და მათი რიცხვი მხოლოდ შემდეგ არის დაჯამებული. სხვათა შორის, იგივე ვითარება გვაქვს გვერდითა გრაფაში, სადაც ესტონელებისა და ლატვიელების მონაცემებია ჯერ ცალ-ცალკე მოცემული, შემდეგ კი დაჯამებული და ესტონელებზე მიწერილი,[1] ცოტათი ადრე კი ანალოგიური მეთოდით რუსებისა და მალოროსიელების მონაცემებია გაერთიანებული.[2] ამავე დროს, იმავე კრებულში მოცემულია სოხუმის ოლქის დეტალური აღწერა ქ. სოხუმის გარეშე (ეს ფაქტობრივად არ ცვლის სურათს, რადგანაც ამავე წყაროს მიხედვით უშუალოდ ქალაქ სოხუმში იმ დროს ცხოვრობდა მხოლოდ 3 აფხაზი[3]), სადაც სამურზაყანოს მოსახლეობა ცალსახად გამიჯნულია ეთნიკური აფხაზებისგან და ცალკე გრაფაში წერია. ამ რიცხვების მიხედვით მშვენივრად ჩანს, სამურზაყანოს მოსახლეობა 30 640 ადამიანს შეადგენს, ხოლო ეთნიკური აფხაზების რაოდენობა კი 28 323 ადამიანია, რაც სოხუმის ოლქის მთლიანი მოსახლეობის (68 773) 41.2% შეადგენდა, ხოლო მთლიანი აფხაზეთის მოსახლეობის 41%-ს.[4] ამგვარად, 1886 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, ეთნიკური აფხაზების რაოდენობა აფხაზეთის ტერიტორიაზე 28 363 ადამიანს, ანუ აფხაზეთის მთლიანი მოსახლეობის 41%-ს არ აღემატებოდა და სეპარატისტული ისტორიოგრაფიის ყველა მცდელობა ამ რაოდენობისა და პროცენტული მაჩვენებლის გაზრდის, უბრალოდ ისტორიის გაყალბებაა და მეტი არაფერი.

ამგვარ მძიმე ვითარებაში, აფხაზმა ხალხმა 1877-1878 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომში აშკარა პროოსმალური მხარე დაიჭირა, რის გამოც ცარისტულმა იმპერიამ მათ „დამნაშავე ხალხის“ სტატუსი მიანიჭა. აღნიშნული სტატუსი მხოლოდ და მხოლოდ 1907 წელს, პეტრე სტოლიპინის ინიციატივითა და ნიკოლოზ II-ის ბრძანებით იქნა გაუქმებული.

აღნიშნული სასტიკი ზომების გარდა, ცარისტული იმპერიის რუსიფიკატორუ-

[1] Свод статистических данных.., https://dlib.rsl.ru/viewer/01005403186#?page=164.
[2] Свод статистических данных.., https://dlib.rsl.ru/viewer/01005403186#?page=163.
[3] Свод статистических данных.., https://dlib.rsl.ru/viewer/01005403186#?page=164.
[4] Свод статистических данных.., https://dlib.rsl.ru/viewer/01005403186#?page=162.

ლი პოლიტიკა გამოვლინებას ჰპოვებდა კულტურულ და საგანმანათლებლო ასპარეზზე. როგორც ცნობილია, აფხაზური დამწერლობა შეიქმნა რუსი მეცნიერის პეტრე უსლარის მიერ 1862 წელს, რუსული კირილიცის გრაფიკის საფუძველზე. პირველი აფხაზური ანბანი გამოქვეყნდა 1865 წელს,[1] ხოლო პირველი აფხაზურენოვანი წიგნი – დიმიტრი გულიას ლექსების კრებული – დაიბეჭდა 1912 წელს, თბილისში.[2]

მიუხედავად ამისა, რიგი სეპარატისტი და მათი მხარდამჭერი, რუსი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ აფხაზ ხალხს დამწერლობა უძველესი დროიდან ჰქონდა. რუსი მკვლევარი გ. ტურჩანინოვი, არქეოლოგიური მასალის „შესწავლის“ შედეგად მიიჩევდა, რომ აფხაზს ხალხს დამწერლობა ძვ.წ. XIII-XII საუკუნეებშიც კი უნდა ჰქონოდა.[3] მსგავს თეორიას ავითარებს აფხაზი ავტორი იგორ მარიხუბა, აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ ასომთავრულ წარწერებს „ძველაბაზგური“ დამწერლობის ძეგლებად აცხადებს და ამით „ადასტურებს“ ე.წ. აფხაზური დამწერლობის არსებობას შუა საუკუნეების აფხაზთა სამეფოს ტერიტორიაზე.[4]

მეტად საინტერესოა ქართული ინტელიგენციის დამოკიდებულება პეტრე უსლარის მიერ აფხაზთათვის დამწერლობის შექმნის მოვლენასთან დაკავშირებით. იაკობ გოგებაშვილი თავის წერილში აღნიშნავდა, რომ აფხაზური სამწერლობო ენის შექმნას დიდი სიხარულით შეხვდა ქართული საზოგადოება, რადგან სალიტერატურო ენის შექმნა და გამდიდრება მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა ნებისმიერი ხალხისთვის.[5] იაკობ გოგებაშვილის წერილი მკაფიოდ ასახავს მაშინდელი ინტელიგენციის პოზიციას აფხაზური დამწერლობის შექმნასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზური ანბანი რუსული კირილიცის საფუძველზე შეიქმნა.

რუსი გეოგრაფისა და ისტორიკოსის ევგენი ვეიდენბაუმის (1845-1918) მიხედვით, აფხაზური დამწერლობის რუსული გრაფიკის საფუძველზე შექმნა, პირველ რიგში, აფხაზეთში ქართული ენის შემასუსტებელ ბერკეტს წარმოადგენდა. სხვაგვარად, ვეიდენბაუმის თქმით, ქართულ და სხვა ავტონომიებთან ერთად, მოხდებოდა

---

[1] **ზურაბ პაპასქირი,** ნარკვევები.., ნაკვ. I, გვ. 225.
[2] **Дмитрий Гулия.** Стихотворения и частушки. Тифлис, 1912.
[3] **Г. Ф. Турчанинов.** Открытие и дешифровка древнейшей письменности Кавказа (Середина III тыс. до н.э. – IV-V вв. н.э.). Москва, 1999, გვ. 56.
[4] **Игорь Марыхуба.** Об Абазгской (Абхазской) письменности, გვ. 8-27.
[5] **იაკობ გოგებაშვილი.** რჩეული თხზულებები. ტ. III. თბილისი, 1990, გვ. 134.

აფხაზური ავტონომიის ხელშეწყობაც, რაც ცარისტული იმპერიის პოლიტიკურ მიზნებში არ შედიოდა.[1]

მიუხედავად ვეიდენბაუმის ამგვარი, „გულწრფელი“ ცნობისა ცარისტული ადმინისტრაციის მიერ აფხაზური დამწერლობის შექმნის მიზნის შესახებ, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი, ჯორჯ ჰიუიტი აფხაზური ენის შევიწროებაში გულმოდგინედ სდებს ბრალს ქართულ მხარეს[2]და საკუთარ მოხსენებაში ერთი სიტყვითაც არსად ახსენებს აფხაზური დამწერლობის რუსული გრაფიკის საფუძველზე შექმნის პარადოქსულ ფაქტს. ავტორი იმავე წარმატებით უვლის გვერდს მაშინდელი ქართული ინტელიგენციის დამოკიდებულებას აფხაზური დამწერლობის შექმნასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ჰიუიტი არც პეტრე უსლარის ცნობას ეხება, სადაც თავად აფხაზური დამწერლობის შემქმნელი ამბობდა, რომ აფხაზური დამწერლობის ქართული გრაფიკის საფუძველზე შექმნის შემთხვევაში, რუსული ადმინისტრაცია მხოლოდ და მხოლოდ გაართულებდა მთელს კავკასიაში რუსული დამწერლობის გავრცელების პროცესს.[3] ბუნებრივია, ჯორჯ ჰიუიტის შეხედულებები მკვეთრად სუბიექტურ ხასიათს ატარებს და მეტად შორს დგას მეცნიერულად არგუმენტირებული მსჯელობისგან.

XIX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოდან მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკა გამკაცრდა. ამ პერიოდში, აფხაზეთის მიწაზე რუსული ადმინისტრაციის მიერ ხდებოდა გერმანელების, ესტონელების, რუსებისა თუ ბერძნების დასახლება და ამ გზით ადგილობრივი ქართული და აფხაზური ეთნიკური ელემენტის შევიწროება. ქართული ენა იდევნებოდა ეკლესიებიდან და სკოლებიდან. საქართველოს ცენტრალურმა არქივმა შემოინახა დოკუმენტი, რომელშიც მთავარმართებელი გოლიცინი და ეგზარქოსი ალექსი სწერდნენ სინოდის ობერ-პროკურორს, რომ „სოხუმის ეპარქია მისი ჭარბი აბხაზ და რუს მოსახლეობით სასურველი იქნება გავაცალკეოთ უკიდურ-

---

[1] **ზურაბ პაპასქირი.** აფხაზეთი საქართველოა. თბილისი, 1998, გვ. 53; ამ მხრივ საინტერესოა ვეიდენბაუმის ნაშრომები: **Е. Вейденбаум.** Путеводитель по Кавказу. По поручению генерал-адьютанта Дондуков-Корсакова, главноначальствующего гражданскою частью на Кавказе. Тифлис, 1888; **Е. Вейденбаум.** Кавказские этюды. Исследования и заметки. Тифлис, 1901.

[2] **George Hewitt.** The role of scholars in the Abkhazians' loss of trust in the Georgians and how to remedy the situation. Harlem Conference-talk. 1st June 1997. http://www.georgehewitt.net/articles/abkhazia-georgia/128-the-role-of-scholars-in-the-abkhazians-loss-of-trust-in-the-georgians.

[3] **П. К. Услар.** Этнография Кавказа. Языкознание. Абхазский язык. Тифлись, 1887, გვ. 1-30; **Гиоргий Жоржолиани.** Исторические и политические корни конфликта в Абхазии. Тбилиси, 2000, გვ. 36.

ესად არა სასურველ ქართულ გავლენისაგან და ამ მიზნისთვის... პატარა და მრავალენიან სოხუმის ეპარქიისთვის მისი ყუბანის მხარისათვის შეერთება მეტად სასარგებლო იქნებაო. ყუბანის მხარე ითვლის 1.716.245 სულს წმინდა რუსულ მართლმადიდებლურ მოსახლეობას. ამ მასაში ადვილად გაითქვიფება შავი ზღვის სანაპიროს 100.000 მრავალენიანი მოსახლეობაო".[1]

აღნიშნული წერილი ნათელს ჰფენს მეფის რუსეთის ადმინისტრაციის პოლიტიკურ გეგმებს აფხაზეთის ტერიტორიაზე. სწორედ ამ გეგმის მიხედვით, როგორც ცნობილია, 1904 წელს გაგრის ზონა სოხუმის ოლქს ჩამოაჭრეს და შავი ზღვის გუბერნიას მიაკუთვნეს. თუმცა სოციალური უკმაყოფილებების ზრდის ფონზე, მეფის რუსეთის მოხელეები ერიდებოდნენ ამგვარი რადიკალური ექსპანსიონისტური პოლიტიკის გაგრძელებას ცარისტული ადმინისტრაციის მმართველობით ისედაც უკმაყოფილო მოსახლეობაში.

1905 წლის რევოლუციის შემდგომ, გარკვეული პოლიტიკურ-იდეოლოგიური ცვლილებები იკვეთება მეფის რუსეთის პოლიტიკაში აფხაზეთის მიმართ. 1907 წელს, მოსკოვში, რუსულ ენაზე გამოიცა ლ. ვორონოვის ბროშურა „აფხაზეთი საქართველო არ არის",[2] რომელიც აფხაზეთში სეპარატისტული განწყობების გაღვივების ერთ-ერთ მთავარ იდეოლოგიურ საყრდენად იქცა. ვორონოვის მიხედვით, შუა საუკუნეებიდან მოყოლებული აფხაზეთის სამთავრო ქართული სახელმწიფოს ნაწილი არასოდეს ყოფილა არც პოლიტიკურად და არც ეკლესიურად.[3] ამგვარად, თუკი XIX საუკუნის 60-70-იან წლებში რუსეთის ადმინისტრაციის ღონისძიებები აფხაზი ხალხის განადგურებაზე იყო მიმართული, რისი ნათელი მაგალითიც ზემოაღნიშნული „მუჰაჯირობა" და აფხაზეთის ტერიტორიაზე განხორციელებული შემდგომი ადმინისტრაციული ღონისძიებები იყო, ამჯერად რუსული ადმინისტრაცია კარდინალურად ცვლის პოლიტიკას აფხაზეთში სეპარატისტული „იდეოლოგიურ-მეცნიერული" საფუძვლების შემზადებით და ამ გზით აფხაზებსა და ქართველებს შორის მტრული დამოკიდებულების გაღვივების მცდელობით.

აფხაზეთში მეფის რუსეთის პოლიტიკის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება

---

[1] დოკუმენტი გამოქვეყნებულია კრებულში: **თედო სახოკია.** კრებული. რედ. *ა. აფაქიძე, შ. მესხია, გ. ჩიტაია, მ. ჩიქოვანი, ლ. ჯანაშია.* თბილისი, 1969, გვ. 65.

[2] **Л. Воронов.** Абхазия не Грузия. Книгоиздательство „Верность". №89. Москва, 1907.

[3] **Л. Воронов.** Абхазия не Грузия, გვ. 12-13.

1917-1918 წლების რევოლუციის შემდგომი საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა, რომელიც უფრო მეტად აღრმავებდა ცარისტული რუსეთის მიერ „კულტურულ-საგანმანათლებლო“ ასპარეზზე მიღწეულ შედეგებს.

1917 წლის 10 მარტს შეიქმნა „აფხაზეთის ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტი“ სეპარატისტი ლიდერის ალექსანდრე შარვაშიძის მეთაურობით. იმავე წლის 8 ნოემბერს სეპარატისტთა იმავე ჯგუფმა შექმნა „აფხაზთა სახალხო საბჭო“. ორივე ორგანიზაცია, პროფ. ზურაბ პაპასქირის მართებული შენიშვნით, წარმოადგენდა აფხაზეთის მოსახლეობის მხოლოდ და მხოლოდ სეპარატისტულად განწყობილი ნაწილის მიერ შექმნილ ერთეულს. აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე სხვა ეთნიკური ჯგუფებისა და სხვა შეხედულებების მქონე ხალხის ნება-სურვილი აბსოლუტურად უგულებელყოფილი იყო ამ ორგანიზაციების მიერ.[1] აფხაზთა სახალხო საბჭოს მთავარი მიზანი, სეპარატისტი მეცნიერის სტანისლავ ლაკობას მიხედვით, იმ დროისთვის იყო აფხაზეთის ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკასთან შეერთება.[2]

ამგვარი ვითარების მიუხედავად, ქართულსა და აფხაზურ მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევა მაინც მოხერხდა 1918 წლის 9 თებერვალს. შეთანხმების მიხედვით, აფხაზეთის მომავალი პოლიტიკური მოწყობის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო აფხაზეთის დამფუძნებელი კრების მიერ დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით. ამასთან ერთად, შეთანხმების მიხედვით, ნებისმიერ ქვეყანასთან ურთიერთობების დამყარებისას ქართულ თუ აფხაზურ მხარეს ეს ნაბიჯი ჯერ ერთმანეთთან უნდა შეეთანხმებინა. მკვლევრების, ავთანდილ მენთეშაშვილისა და ზურაბ პაპასქირის მართებული შეკითხვით, თუკი აფხაზეთი, როგორც სეპარატისტი ავტორი სტანისლავ ლაკობა ამტკიცებს, აღნიშნული შეთანხმებით „დამოუკიდებელი“ სახელმწიფო ხდებოდა,[3] მაშინ რა პოლიტიკური პრინციპის საფუძველზე უნდა მოეხდინა მას საკუთარი საგარეოპოლიტიკური კურსის შეთანხმება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ?[4]

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1918 წლის 26

---

[1] **ზურაბ პაპასქირი.** ნარკვევები.., ნაკვ. II, გვ. 6.
[2] **Stanislav Lakoba.** History: 1917-1989. The Abkhazians. A Handbook. Edited by *George Hewitt.* Palgrave MacMillan, 1999, გვ. 90.
[3] **Stanislav Lakoba.** History: 1917-1989, გვ . 90.
[4] **ზურაბ პაპასქირი.** ნარკვევები.., ნაკვ. II, გვ. 11; **Автандил Ментешашвили.** Исторические.., გვ. 75.

მაისი), აფხაზი სეპარატისტების მტკიცებით, აფხაზეთი საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობიდან გამოვიდა, რათა კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის წევრი გამ-ხდარიყო.[1] ამ შემთხვევაში სეპარატისტ მკვლევრებს მხედველობის მიღმა რჩებათ კი-დევ ერთი ქართულ-აფხაზური ხელშეკრულება, რომელიც 1918 წლის 11 ივნისს გა-ფორმდა და რომლის მიხედვითაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში არსებობდა აფხაზეთის საქმეთა მინისტრი. აფხაზეთის შიდა საქმეებს უნდა გასძღოლოდა აფხაზთა სახალხო კრება, რომელიც საქართველოს დემოკრატიუ-ლი რესპუბლიკიდან ფინანსდებოდა. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, საქარ-თველოს ეროვნულ გვარდიას უნდა ეზრუნა აფხაზეთის უსაფრთხოებაზე.[2]

ზემოაღნიშნული შეთანხმება, რა თქმა უნდა ბოლშევიკების ინტერესებში არ შე-დიოდა. ამიტომაც, მათი წაქეზებით, 1918 წლის ივნისში აფხაზეთის ტერიტორიაზე ეწყობოდა სხვადასხვა სამხედრო პროვოკაციები. შექმნილ ვითარებაში, 11 ივნისის ქართულ-აფხაზური შეთანხმების საფუძველზე, აფხაზთა სახალხო საბჭომ სამხედრო დახმარება სთხოვა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. პასუხად, 19 ივნისს ქართველი გენერალი გიორგი მაზნიაშვილი დაინიშნა აფხაზეთის გენერალ-გუბერნა-ტორად. ქართველი გენერალი 300-კაციან აფხაზურ ქვედანაყოფთან ერთად იბრძოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ აფხაზეთში. 28 ივნისისთვის მათ ერთობლივად გაათავ-ისუფლეს აფხაზეთის ჩრდილოეთით ქალაქი გაგრა ბოლშევიკებისგან.[3]

როგორც სეპარატისტი ავტორი სტანისლავ ლაკობა აღნიშნავს, 1918 წლის ივნი-სის მოვლენები წარმოადგენდა სხვას არაფერს თუ არა აფხაზეთის ტერიტორიის პირ-დაპირ და ღია ოკუპაციას ქართული ეროვნული გვარდიის მიერ. ავტორი არცერთი სიტყვით არ ახსენებს ზემოაღნიშნულ 11 ივნისის შეთანხმებას, ბოლშევიკურ საფრ-თხეს აფხაზეთში და ასევე აფხაზთა სახალხო საბჭოს თანხმობასა და თხოვნას ქარ-თული ეროვნული გვარდიის მიერ აფხაზეთის ტერიტორიიდან ბოლშევიკების გან-დევნის შესახებ. მთელი ამ პერიოდის მოვლენები ლაკობას ნაშრომში წარმოჩენილია, როგორც „ქართული იმპერიალიზმის“ გამოვლინება აფხაზი ხალხის მიმართ.[4]

იმავე კონტექსტს იყენებს ლაკობა აფხაზთა სახალხო საბჭოს რეორგანიზებაზე

---

[1] **StanislavLakoba.** History 1917-1989, გვ . 90.
[2] **ზურაბ პაპასქირი.** ნარკვევები.., ნაკვ. II, გვ. 16; **Автандил Ментешашвили.** Исторические.., გვ. 22.
[3] **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия.., გვ. 753-766; **ზურაბ პაპასქირი.** ნარკვევები.., ნაკვ. II, გვ. 18.
[4] **Stanislav Lakoba.** History 1917-1989, გვ . 90.

საუბრისას, რომელიც 1918 წლის აგვისტოში საქართველოს დემოკრატიული რესპუბ-ლიკის მიერ განხორციელდა.[1] როგორც დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაშია ცნობილი, იმ დროისთვის თავად აფხაზთა სახალხო საბჭო იყო ორად გაყოფილი – აფხაზეთის ტერიტორიაზე თურქული სამხედრო კონტინგენტის ყოფნის მომხრეებსა[2] და საქართველოსთან ალიანსის მომხრე ჯგუფებს შორის. ამ პერიოდში თავად აფხაზ-თა სახალხო საბჭოს მოთხოვნით მოხდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლი-კის მთავრობის მიერ საბჭოს დათხოვნა და პროთურქულად განწყობილ დეპუტატთა გაძევება აფხაზეთის ტერიტორიიდან.[3] საბჭოს უმეტესობამ მხარი დაუჭირა აღნიშნუ-ლი ორგანოს რეორგანიზებას და, როგორც ცნობილია, სახალხო საბჭოს წინააღმდეგ არანაირ ძალისმიერ მოქმედებას არ ჰქონია ადგილი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან.

მეორე შემთხვევა აფხაზთა სახალხო საბჭოს დათხოვნისა საქართველოს დემოკ-რატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ, დაკავშირებულია 1918 წლის ოქტომბერ-ში ალექსანდრე შარვაშიძისა და მისი მომხრეების მიერ, აფხაზეთის ტერიტორიიდან საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის გაძევების მიზნით, ალექსეევისა და დენიკინის ანტიბოლშევიკური მოხალისეთა არმიისათვის დახმარების თხოვნას-თან. მოხალისეთა არმიამ თანხმობა განაცხადა აფხაზთა დახმარებაზე.[4] აღნიშნულ ვითარებაში, 10 ოქტომბერს აფხაზთა სახალხო საბჭოს რამდენიმე წევრის ხელმოწე-რით, თბილისში გამოიგზავნა დეკრეტი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას აფრთხილებდა მოახლოებული საფრთხის შესახებ და სთხოვდა აფხაზთა სახალხო საბჭოს დროებით დაშლას და, ამასთან ერთად, საბჭოს არჩევნებამდე საქარ-თველოს მთავრობის მიერ აფხაზეთის ტერიტორიის ეფექტური კონტროლის განხორ-ციელებას.[5]

---

[1] **Stanislav Lakoba.** History 1917-1989, გვ . 90.

[2] დღეისათვის აზრთა სხვადასხვაობაა იმ დროისათვის თურქული ნაწილების აფხაზეთის ტერიტო-რიაზე ყოფნის შესახებ. ქართული ისტორიოგრაფიის მიხედვით, თურქული სამხედრო ნაწილები აფ-ხაზეთის ტერიტორიაზე თავად აფხაზთა სახალხო საბჭოს ზოგიერთი წევრის თანხმობით იქნა განლა-გებული. სწორედ აღნიშნულ წევრთა წინააღმდეგ აიმაღლეს ხმა სახალხო საბჭოს სხვა წევრებმა და შემდგომ საქართველოს მთავრობამ, რომელმაც, თავის მხრივ, მკაცრი ზომები გაატარა აფხაზთა სა-ხალხო საბჭოს პროთურქული ფრთის მიმართ, მათი დაკავებით. ლაკობა არც კი ახსენებს აღნიშნულ ფაქტს. იხ.: **ზურაბ პაპასქირი.** ნარკვევები.., ნაკვ. II, გვ. 19-26.

[3] **დავით ჩიტაია.** აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში, გვ. 221.

[4] **Автандил Ментешашвили.** Исторические.., გვ. 27.

[5] **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия.., გვ. 85-86.

სახალხო საბჭოს არჩევნები დაგეგმილი იყო 1919 წლის 13 თებერვლისთვის. მანამდე აფხაზეთი იმართებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სპეციალური კომისრის ბენიამინ ჩხიკვიშვილის მიერ.[1] აღნიშნული პერიოდი – 1918 წლის ოქტომბრიდან 1919 წლის თებერვლამდე, სტანისლავ ლაკობას თქმით, წარმოადგენდა საქართველოს მიერ აფხაზეთის დაუფარავი ოკუპაციის პერიოდს.[2] აღსანიშნავია ასევე, რომ არჩევნები ფინანსდებოდა საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან, რისთვისაც 10 მლნ-ზე მეტი რუბლი იყო გამოყოფილი.[3]

13 თებერვლის არჩევნების შედეგების მიხედვით, აფხაზეთის სახალხო საბჭო შედგებოდა 12 ეთნიკურად აფხაზი, 10 ქართველი და 5 სხვა ეროვნების წარმომადგენლისგან.[4] აღნიშნული არჩევნების პარალელურად ტარდებოდა ასევე საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომლის შედეგადაც საქართველოს პარლამენტში 5 დეპუტატი იკავებდა ადგილს აფხაზეთიდან, მათგან 3 აფხაზი, ერთი რუსი და ერთი ბერძენი, რაც შოთა მალაშხიას მართებული შენიშვნით, „ერთმნიშვნელოვნად ამხელს „კრემლის ისტორიკოსების“ მიერ გავრცელებულ სიყალბეს დამოუკიდებელი საქართველოს მაშინდელი მთავრობის „შოვინისტურ-ნაციონალისტური“ პოლიტიკის შესახებ“.[5]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებამდე, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელშიც აფხაზეთი საქართველოს ნაწილად მოიხსენიება, არის რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1920 წლის 7 მაისს გაფორმებული მოსკოვის სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლის მესამე მუხლშიც პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის საზღვარი გადიოდა მდინარე ფსოუზე.[6] შესაბამისად, ამ ხელშეკრულების მიხედვით, საბჭოთა რუსეთი ოფიციალურად ადასტურებდა აფხაზეთის არსებობას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში.

---

[1] **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия.., გვ. 424-425.
[2] **Stanislav Lakoba.** History 1917-1989, გვ. 90.
[3] **Автандил Ментешашвили.** Исторические.., გვ. 33.
[4] **დავით ჩიტაია.** აფხაზეთის საკითხი.., გვ. 470-471.
[5] **შოთა მალაშხია.** კონფლიქტების ანატომია, გვ. 79-80.
[6] Мирный договор между Россией и Грузией. Москва: Типография «Продпуть», 1920.

აღნიშნული დოკუმენტი ვერ იქცა დაბრკოლებად საბჭოთა რუსეთის იმპერიისთვის 1921 წლის 25 თებერვალს, როდესაც მე-11 წითელი არმიის დახმარებით მოხდა საქართველოს ძალით გასაბჭოება. ამ მოვლენამდე მხოლოდ 4 დღით ადრე იქნა მიღებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომლის 107-ე მუხლის მიხედვით, აფხაზეთს ენიჭებოდა ავტონომიური მმართველობის უფლება საქართველოს შემადგენლობაში.[1] მოგვიანებით, მარტის დასაწყისში მე-9 წითელი არმია უკვე აფხაზეთის მიმართულებიდან შემოიჭრა საქართველოში და 4 მარტს დაიკავა სოხუმი. მარტის დასასრულს საბჭოთა წითელი არმია უკვე ფაქტობრივად მთელს საქართველოს ტერიტორიას აკონტროლებდა.

§3. ცხინვალის რეგიონი XIX საუკუნის დასაწყისიდან 1922 წლამდე

ცარისტული იმპერიის მიერ 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, საქართველოს ტერიტორია რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ სისტემაში ორ ნაწილად – თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად გაიყო. ცხინვალის რეგიონი, რომელიც ამ დროისთვის შიდა ქართლის შემადგენლობაში შედიოდა, თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში მოექცა.

კავკასიის რუსული არქეოგრაფიული კომისიის ცნობების თანახმად, 1802 წელს ქალაქ ცხინვალში და მის მიმდებარედ ცხოვრობდა მხოლოდ და მხოლოდ ეთნიკურად ქართველი, ებრაელი და სომეხი მოსახლეობა.[2] ებრაელებისა და სომხების დიდი რაოდენობით ცხოვრებას ცხინვალში, მკვლევარ ანზორ თოთაძის მართებული აღნიშვნით, განაპირობებდა ამ ქალაქის მდებარეობა ჩრდილოეთ კავკასიის, ქართლისა და ზემო რაჭის სავაჭრო გზებზე.[3] ოსური დასახლებები, როგორც აღვნიშნეთ, ამ პერიოდში არსებობდა ცხინვალის ჩრდილოეთით, კავკასიონის მთისწინეთში. იმავე კავკასიის არქეოგრაფიული კომისია, XIX საუკუნის დასაწყისში საუბრობს ოსთა 20 ათასიან დასახლებაზე მდ. პაცსა და დიდი ლიახვს შორის. ასევე 15 ათას ეთნიკურად ოსზე, რომლებიც მდ. არაგვსა და პატარა ლიახვს შორის სახლობდნენ.[4]

---

[1] საქართველოს კონსტიტუცია. იხ.: http://constitution.parliament.ge/uploads/masalebi/1921-konstitucia. pdf.
[2] *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссіею.* Том I. Тифлис, 1866, გვ. 467.
[3] **ანზორ თოთაძე.** ოსები საქართველოში, გვ. 30.
[4] *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссіею*, том I, გვ. 586.

XIX საუკუნეში საქართველოს ტერიტორიაზე ოსებსა და ქართველებს შორის ურთიერთობა ხასიათდება მათი ერთად ბრძოლით ცარისტული ადმინისტრაციის წინააღმდეგ. ამ მხრივ საგულისხმოა მკვლევარ ალექსანდრე მღებრიშვილის ნაშრომი „რუსულ-ქართული ურთიერთობები და ქართველთა და ოსთა ერთობლივი ბრძოლა რუსული კოლონიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ კავკასიაში“,[1] რომელშიც ავტორი მეტად საინტერესოდ მიმოიხილავს ოსთა და ქართველთა ანტირუსულ გამოსვლებს XIX საუკუნეში და იმ გამოხმაურებებს, რომელთაც ეს გამოსვლები ჰპოვებდა თანადროულ რუსულ წყაროებში.

მღებრიშვილის ნაშრომიდან ვიგებთ, რომ ოსები მტკიცე მხარდაჭერას გამოხატავდნენ ქართველი ბატონიშვილების მიერ 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ ქვეყანაში გაშლილ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი. ოსთა რაზმები თავს ესხმოდნენ რუსულ სამხედრო შენაერთებს, საგუშაგოებს და მნიშვნელოვან ზიანს აყენებდნენ მათ.[2] ამ კუთხით, მკვლევარს მოჰყავს რუსი ავტორის ა. სოკოლოვის მეტად საინტერესო წყარო, რომლის მიხედვითაც ბაგრატიონებს მოუსყიდავთ ოსები მეფის რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად.[3]

ქართული სახელმწიფოებრიობისა და ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენისაკენ იყო მიმართული ოსთა 1810-1811 წლის აჯანყებები, რომელიც დაიწყო ცხინვალის ჩრდილოეთიდან და რომელსაც ხელმძღვანელობდა სოლომონ II-ის მიერ ახალციხის საათაბაგოდან ჩამოყვანილი ლეონ (ლევან) იულონის ძე ბაგრატიონი. აღნიშნული აჯანყება საბოლოოდ მარცხით დასრულდა. რუსეთის რეგულარული სამხედრო არმიის მიერ ჩატარებული ოპერაციის შედეგად ჯერ დააკავეს, ხოლო შემდეგ უკვე ლიკვიდირება მოახდინეს 80-მდე აჯანყებულისა ოსთა რაზმიდან.[4]

---

[1] **ალექსანდრე მღებრიშვილი.** რუსულ-ქართული ურთიერთობები და ქართველთა და ოსთა ერთობლივი ბრძოლა რუსული კოლონიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ კავკასიაში. კრებულში: II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები: „ნართების ეპოსის კვლევის თანამედროვე პრინციპები და მეთოდოლოგია“. 13-15 ოქტომბერი. შრომების კრებული. თბილისი: „უნივერსალი“, 2016, გვ. 155-165.

[2] **ალექსანდრე მღებრიშვილი.** რუსულ-ქართული ურთიერთობები.., გვ. 158.

[3] «Осетинцы, в горах живущие, по дороге из России в Грузию, были подкуплены Багратионами, с тем, чтобы они препятствовали проходу войск из России в Грузию». იხ.: **ალექსანდრე მღებრიშვილი.** რუსულ-ქართული ურთიერთობები.., გვ. 158; **А. Соколов.** Путешествие моё в Имеретию с линии Кавказской. Москва, 1874, გვ. 123.

[4] **მზია ტყავაშვილი.** ოსების ბრძოლა ქართული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად 1810-1811 წლებში. / *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, II (4). თბილისი: „უნივერსალი“, 2008, გვ. 86.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, მეფის ადმინისტრაცია, აფხაზების მსგავსად, არც ოსების მიმართ იშურებდა სადამსჯელო სამხედრო-პოლიტიკურ ზომებს. XIX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული ოსები ქართველებთან ერთად, მეფის რუსეთის ადმინისტრაციისთვის „დამნაშავე“ (ხაზგასმა ჩვენია – კ.ყ.) ხალხია. ამ მხრივ საინტერესოა რუსი მეცნიერის დ. ლავროვის ნაშრომი «Заметки об Осетии и осетинах», რომელიც ზემოაღნიშნული მკვლევრის, ალექსანდრე მღებრიშვილის ნაშრომშია მოცემული. აღწერს რა ოსი ხალხის წეს-ჩვეულებებს და ყოფას, ლავროვი საუბრობს ქართველ ბატონიშვილთა მიმართ მათ ერთგულებაზე და ოსთა მიერ რუსეთის სამხედრო ნაწილებზე განხორციელებულ თავდასხმებზე, ამ ხალხს ის „მტაცებლებად“ («Хищники») მოიხსენიებს.[1]

აღნიშნულ მოვლენებზე საუბრობს სეპარატისტი მეცნიერი მარკ ბლიევი თავის ნაშრომში «Осетия в первой трети XIX века» – და ამბობს, რომ ქართველი ბატონიშვილები ამ პერიოდში ცდილობდნენ ოსთა მაღალი სოციალური წრეების მიმხრობას მეფის რუსეთის ადმინისტრაციის წინააღმდეგ.[2] იმავე კონტექსტში საუბრობს ბლიევი 1810 წლის აჯანყებაზეც ლევან ბატონიშვილის მეთაურობით. ავტორის მიხედვით, ლევანის ამოცანას წარმოადგენდა («стояла задача») ოსი ხალხის აჯანყება რუსული ადმინისტრაციის წინააღმდეგ.[3] ამგვარად, სეპარატისტი ავტორი ვერ უარყოფს მეფის რუსეთის წინააღმდეგ ქართველთა და ოსთა ერთობლივი ბრძოლის ფაქტს XIX საუკუნის დასაწყისში, თუმცა განსხვავებულ კონტექსტში წარმოგვიდგენს აღნიშნულ მოვლენებს, რადგან ცხადია, რომ ბატონიშვილის მიზანი გაცილებით უფრო ფართო, საერთოქართულ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ატარებდა, ვიდრე კონკრეტულად ოსი ხალხის რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლის მობილიზება იყო. ეს უკანასკნელი ფაქტი ბატონიშვილის საერთო სახელმწიფოებრივი გეგმის მხოლოდ ნაწილი შეიძლებოდა ყოფილიყო.

ამასთან ერთად, უთუოდ აღნიშვნის ღირსია ასევე ოსთა თარეშები საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც, ბუნებრივია ქართულ სახელმწიფოებრივ ინტერესებს ძლიერ აზიანებდა. ამის შესახებ საუბრობს XIX საუკუნის ქართველი საზოგადო

---

[1] **ალექსანდრე მღებრიშვილი.** რუსულ-ქართული.., გვ. 161; **Д. Лавров.** Заметки об Осетии и осетин. Тифлис, 1883.

[2] **Марк Блиев.** Осетия в первой трети XIX века, გვ. 60.

[3] **Марк Блиев.** Осетия в первой трети XIX века, გვ. 113.

მოღვაწე სოფრომ მგალობლიშვილი: „ლეკთა თარეში რა მოსატანია, ან რა შესადარებელია ოსთა თარეშობასთან. ოსები ყველა თავად მაჩაბლებისა და ერისთავების ყმები იყვნენ, შემდეგ და შემდეგ, როცა გამრავლდნენ, სხვადასხვა თავადთა და აზნაურთა მამულებში გაიხიზნენ და მოედვნენ თითქმის მთელს ქართლის მთა-ტყეებსა“.[1] ამ მხრივ საინტერესოა 1824 წლის, გენერალ ხონევის პატაკი გენერალ ერმოლოვის მიმართ, რომელიც მკვლევარ ანზორ თოთაძეს აქვს მოყვანილი საკუთარ ნაშრომში. პატაკში ხონევი აღნიშნავდა: „იმისათვის, რომ შეწყდეს ქართველებზე თავდასხმები და მათი ძარცვა-გლეჯა ოსების მხრიდან, ქართლის მცხოვრებთ უნდა მივცეთ საშუალება დაიცვან თავი მძარცველთაგან იარაღით ისე, როგორც კახეთის მცხოვრებნი იცავენ თავს ლეკებისაგან“.[2]

საფიქრებელია, რომ სწორედ ქართლის მაშინდელ მცხოვრებთა პასუხს ოსთა თარეშებზე, სეპარატისტული ლიტერატურის ზემოაღნიშნული წარმომადგენელი მ. ბლიევი უწოდებს ქართველ თავადთა მიერ ოსების მიმართ განხორციელებულ „გენოციდს“ XIX საუკუნის 30-50-იან წლებში.[3]

ამგვარად, XIX საუკუნის მანძილზე ქართულ-ოსურ ურთიერთობებში ორი მთავარი და თვისობრივად ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია იკვეთება: 1. საუკუნის დასაწყისში ოსებისა და ქართველების ერთობლივი ბრძოლა მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ; და 2. ოსთა გაუთავებელი თარეშები ყოფილი ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე, რის გამოც XIX საუკუნის შუა ხანებში თავად რუსული ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც კი საუბრობენ აღნიშნულ პრობლემაზე.

რაც შეეხება თავად ტერმინს „სამხრეთ ოსეთი“, მკვლევარ სოლომონ ლეკიშვილის მიხედვით, პირველად ეს ტერმინი გამოყენებულ იქნა 1830 წელს წერილების სერიაში, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ტიფლისკიე ვედომოსტიში“ (№ 72-86), თუმცა, ლეკიშვილის მართებული შენიშვნით, როგორც ჩანს, კორესპონდენტმა ეს ტერმინი საკუთარი ინიციატივით გამოიყენა, რადგან 1830 წელს გრაფ პასკევიჩის სამხედრო მინისტრ ჩერნიშევისადმი წარდგენილ ანგარიშში მოხსენიებულნი არიან „კავკასიის

---

[1] **სოფრომ მგალობლიშვილი.** მოგონებანი. ტფილისი, 1938, გვ. 22-23.

[2] *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссіею.* Том VI. Тифлис, 1874, გვ. 690; **ანზორ თოთაძე.** ოსები საქართველოში, გვ. 31.

[3] **Марк Блиев.** Южная Осетия в коллизиях Российско-Грузинских отношений. Москва: «Европа», 2006, გვ. 171.

მთიანეთის სამხრეთით მდებარე ჩრდილოეთ ქართლის ოსები“.[1] პასკევიჩი ერთი სიტყვითაც კი არ ახსენებს „სამხრეთ ოსეთს“.

1828-1915 წლებში რუსულ პერიოდულ გამოცემებში „სამხრეთ ოსეთი“ მხოლოდ 13-ჯერ იქნა გამოყენებული. 1825-1912 წლების ქართულ პერიოდულ გამოცემებში კი, ავტორის მიხედვით, ეს ტერმინი საერთოდ არ გამოიყენებოდა. ამ ტერმინს არ იყენებენ ასევე კავკასიის თემატიკაზე მომუშავე ცნობილი რუსი მეცნიერები – დუბროვინი, კოვალევსკი, მილერი, უვაროვა, ზაგურსკი და ა.შ.[2]

რაც შეეხება ოსურ დამწერლობას, საინტერესოა, რომ აფხაზური დამწერლობისგან განსხვავებით, ოსური ანბანი 1802 წელს ქართული გრაფიკის საფუძველზე შექმნა იოანე იალღუზიძემ (1770-1830), რომელიც 1821 წელს დაიბეჭდა თბილისის სტამბაში. მოგვიანებით ის შეცვალა რუსი მეცნიერის ანდრეი შეგრენის მიერ 1844 წელს შექმნილმა სლავურმა ანბანმა.[3]

ქართული სამეცნიერო-კულტურული წრეების დამოკიდებულება ოსთა ენისა და კულტურისადმი მეტად პოზიტიური იყო XIX-XX საუკუნეებში. დიდი ღვაწლი მიუძღვის ოსური ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრებაში ქართველ საზოგადო მოღვაწეს დანიელ ჭონქაძეს, რომელიც 1855 წლიდან თბილისის სასულიერო სემინარიაში ოსურ ენას ასწავლიდა. მის მიერ ჩაწერილი ოსური ხალხური შემოქმედების ნიმუშების ნაწილი გამოიცა 1868 წელს პეტერბურგში.[4] გარდა ამისა, დიდი წვლილი აქვს შეტანილი ოსური ენის შესწავლასა და განვითარებაში აკადემიკოს გიორგი ახვლედიანს. 1906 წელს თბილისში დაარსდა „ოსური გამომცემლობის საზოგადოება“, რომელმაც თბილისში მცხოვრები ოსი ახალგაზრდებისთვის გახსნა სკოლა, სადაც სწავლა ოსურ ენაზე მიმდინარეობდა. პირველი ოსური დრამატული თეატრი საქართველოში დაარსდა 1931 წელს, ხოლო 1932 წელს ცხინვალში გაიხსნა პედაგოგიური ინსტიტუტი.[5]

---

[1] **სოლომონ ლეკიშვილი.** როდის გაჩნდა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“? კრებულში: *ოსთა საკითხი.* კრებული. რედ. *აკაკი ბაქრაძე და ომარ ჩუბინიძე.* პითაგორა, გორი, 1996, გვ. 261.

[2] **Соломон Лекишвили.** Когда возник термин «Южная Осетия». კრებულში: *Осетины в Грузии.* Сборник. Тбилиси: «Универсал», 2015, გვ. 222-223.

[3] **ვახტანგ ითონიშვილი.** კავკასია და კავკასიელები, გვ. 79-80.

[4] Осетинские тексты собранные ***Д. Чонкадзе и В. Цороевым.*** Записки академии наук. Том XIV. Санк-Петербург, 1868.

[5] **ანზორ თოთაძე.** ოსები საქართველოში.., გვ. 101.

1843 წელს ზემოაღნიშნული თბილისის გუბერნიის ტერიტორიაზე, ცარისტული ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით შეიქმნა ოსეთის სამხედრო ოლქი (ოსეთის სამხედრო ოკრუგი). აღნიშნული ტერიტორია მომავალი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ მხოლოდ მესამედს იკავებდა. ამგვარმა ტერიტორიულ-ადმინისტრაციულმა მოწყობამ გასტანა 1922 წლამდე, როდესაც უკვე ბოლშევიკურმა მთავრობამ ხელოვნურად შექმნა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“.

ამ პერიოდში, ცხინვალის რეგიონში ეთნიკურად ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობა ნელ-ნელა რთულდებოდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური და სამიწათმოქმედო საკითხების გამო, რომელთა შესახებაც მკვლევარ ლევან თოიძეს საკუთარ ნაშრომში საკმაოდ ვრცელი და ინფორმაციული ისტორიული მიმოხილვა აქვს მოცემული:

„ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საქართველოს გლეხობა, ძირითადად, ორ კატეგორიად – დროებით ვალდებულ გლეხებად და ხიზნებად დაიყო. დროებით ვალდებულმა გლეხებმა მიწა მიიღეს. თითო კომლს 6 დესეტინა ერგო, მაგრამ მათს სრულ გამოსყიდვამდე ისინი ვალდებულნი იყვნენ მოსავლის ¼ მიწათმფლობელისათვის ეძლიათ. ამასთან, განსაკუთრებული კანონის გამოცემამდე ყოფილი მიწათმფლობელის ტყითა და საძოვრებით სარგებლობის წესები ძველებური დარჩა.

სულ სხვა ვითარებაში აღმოჩნდნენ ხიზნები, რომლებიც ფაქტობრივად არამკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენდნენ. დიდი ნაწილი თავისუფალი მიწებისა, რაც ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გაჩნდა, სწორედ მათ მიიღეს იჯარით. სახნავ მიწებს ხიზნები ტყის გაჩეხვის ხარჯზე აფართოებდნენ.

ქართლში ჩამოსახლდნენ კავკასიონის ქედზე მცხოვრები ოსები, რომლებმაც დაიკავეს გორისა და დუშეთის მაზრების საგრძნობი ტერიტორია, ადრე რომ უღრანი ტყეებით იყო დაფარული. მიწათმფლობელებიც ყოველ ზომას იღებდნენ ახალმოსახლეთა (მოიჯარეთა) მოსაზიდად. წახალისების მიზნით ტყით სარგებლობის უფლებას აძლევდნენ მათ, ეხმარებოდნენ საცხოვრისის მოწყობაშიც. პირველ ხანებში გართულებები არა ჰქონიათ ... გამოხდა ხანი და ბევრი რამ შეიცვალა. მოიჯარეთა მიერ ტყის გაჩეხვა წამგებიანი გახდა მიწათმფლობელისათვის. გამეჩხრებული ტყე თანდათან ძვირდებოდა. მოიჯარეს კი უკვე მძიმედ ეჩვენებოდა იჯარის პირობები. ამ ნიად-

აგზე ბევრი უთანხმოება წარმოიშვა. მთავრობა იძულებული გახდა ჩარეულიყო საქმეში და 1893 წელს გამოიცა სპეციალური დებულება, რომელიც ხიზნებს ეხებოდა... მეფის მთავრობამ განუმტკიცა ხიზნებს მიწით, ტყითა და საძოვრებით სარგებლობის უფლება. შეძლებული ხიზნები ეპატრონებოდნენ იმ მიწებსაც, რომლებიც იჯარით ჰქონდათ მიღებული ადგილობრივ, აბორიგენ დროებით ვალდებულ გლეხებს... გორის მაზრაში ხიზანთა აბსოლუტურ უმრავლესობას ოსები შეადგენდნენ".[1]

ამგვარად, აღნიშნული გარემოებები ერთგვარ საფუძველს უმზადებდა XX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგისთვის ქართველთა და ოსთა დაპირისპირებას ცხინვალის რეგიონში.

ზოგადად, კავკასიაში საბჭოთა პოლიტიკის ისტორიიდან ცნობილია, რომ ამა თუ იმ ტერიტორიაზე საკუთარი გავლენის დასამყარებლად საბჭოთა ადმინისტრაცია იყენებდა ე.წ. „რევოლუციურ კომიტეტებს", რომელთაც, თავის მხრივ, ევალებოდათ „ხალხთა აჯანყებების" ინსცენირება მომავალი იმპერიის სხვადასხვა კუთხეში. საბოლოოდ, წითელი არმია სწორედ ამგვარი ხალხთა აჯანყებების „ქომაგად" და „დამხმარედ" ევლინებოდა „ჩაგრულ" ხალხებს.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია 1917 წლის 2 ნოემბერს საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ მიღებული „რუსეთის ხალხთა უფლებათა დეკლარაცია", რომელშიც ნათქვამი იყო: „1. რუსეთის ხალხების თანასწორობა და სუვერენობა. 2. რუსეთის ხალხთა უფლება თავისუფალ თვითგამორკვევაზე სრულ გამოყოფამდე და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამდე".[2] ბუნებრივია, აღნიშნული დეკლარაციის შინაარსი სეპარატისტულად განწყობილმა ოსურმა წრეებმა თავისებურად გაიგეს.

1917 წლის 15-17 დეკემბერს, ქალაქ ცხინვალში გაიმართა „სამხრეთ ოსეთის" დელეგატთა მეორე ყრილობა, რომელმაც აირჩია „სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო".[3] აღნიშნულმა ერთეულმა 1918 წლის 4 იანვარს ოფიციალური ბარათით აცნობა საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომ იგი უკვე შეუდგა მუშაობას.[4] 10 იანვარს აღნიშნულმა საბჭომ ამიერკავკასიის კომისარიატს წარუდგინა პროექტი, რომლითაც ითხოვდა

---

[1] **ლევან თოიძე.** როგორ შეიქმნა.., გვ. 20-21.

[2] Декларация прав народов России. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.hist.msu.ru/ER/Etext/DEKRET/peoples.htm. დოკუმენტის ქართულენოვანი თარგმანი მოცემულია წიგნში: **შოთა ვადაჭკორია.** ოსური სეპარატიზმი და ქართული სინამდვილე, გვ. 17.

[3] დოკუმენტი გამოქვეყნებულია წიგნში: **ლევან თოიძე.** როგორ შეიქმნა.., გვ. 16.

[4] დოკუმენტი გამოქვეყნებულია წიგნში: **ლევან თოიძე.** როგორ შეიქმნა.., გვ. 16.

„სამხრეთ ოსეთში“ განსაკუთრებული, სამაზრო ორგანიზაციის შექმნას.[1]

ერთ-ერთი პირველი ანტიქართული აჯანყება ცხინვალისა და ჯავის რეგიონებში მცხოვრები ოსების მიერ მოხდა 1918 წლის 14 მარტს სოფელ ერედვში. 18 მარტს აჯანყებულებმა ცხინვალი აიღეს და აქ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. აჯანყებულთა მთავარ მიზანს წარმოადგენდა არარსებული „სამხრეთ ოსეთის“ საქართველოსგან გამოყოფა და საბჭოთა რუსეთთან შეერთება.[2] პასუხად ამიერკავკასიის სეიმმა გადაწყვიტა სასტიკად ჩაეხშო ეს აჯანყება. მენშევიკურმა მთავრობამ რეგიონში გადაისროლა ჯარისა და „სახალხო გვარდიელთა“ დიდი ნაწილები. საბოლოოდ აჯანყების ჩახშობა მოხერხდა 22-23 მარტს ვალიკო ჯუღელისა და გენერალ კონიაშვილის მეთაურობით რეგიონში გაგზავნილი შეიარაღებული ნაწილების მეშვეობით.[3]

1919 წლის 12 ივნისს ქალაქ ჯავაში იმ დროისთვის მოქმედმა ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ: „სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა“ გამართა პირველი არალეგალური კონფერენცია, რომელზეც საქართველოს ტერიტორიაზე ოს სეპარატისტთა შემდგომი აჯანყებების გეგმა განიხილებოდა.[4]

1920 წლის 28 მარტს სეპარატისტულმა ძალებმა ჩამოაყალიბეს „სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტი“. იმავე წლის მაისში, იმავე სამხედრო ჯგუფებმა დაიკავეს ქ. ჯავას მიმდებარე ტერიტორიები და გამოაცხადეს საბჭოთა მმართველობის შექმნის შესახებ ამ ტერიტორიაზე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა, ვალიკო ჯუღელის მეთაურობით, აღკვეთეს ოსთა გამოსვლები.[5] სწორედ აღნიშნული მომენტი მოიხსენიება ოსი სეპარატისტი ავტორების მიერ, როგორც „პირველი ომი საქართველოსა და ოსეთს შორის“.[6]

იმავე წლის 8 ივნისს რევოლუციური კომიტეტის მიერ გამოცემული დეკრეტის მიხედვით, „სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტის“ იურისდიქცია ვრცელდე-

---

[1] დოკუმენტი გამოქვეყნებულია წიგნში: **ლევან თოიძე.** როგორ შეიქმნა.., გვ. 16.

[2] **შოთა ვადაჭკორია.** ოსური სეპარატიზმი და ქართული სინამდვილე, გვ. 17-45. **ალექსანდრე მღებრიშვილი.** რუსულ-ქართული.., გვ. 162.

[3] **ვახტანგ ჯანჯღავა.** გლეხთა რევოლუციური მოძრაობა საქართველოში 1917-1921 წლებში. თბილისი, 1982, გვ. 108-109.

[4] **შოთა ვადაჭკორია.** ოსური სეპარატიზმი და ქართული სინამდვილე. გვ. 59; **ვახტანგ ჯანჯღავა.** გლეხთა რევოლუციური მოძრაობა.., გვ. 137; **უჩა ბახტაძე.** სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა და მისი სამართლებრივი მდგომარეობა. თბილისი, 1968, გვ. 68.

[5] **ალექსანდრე მღებრიშვილი.** რუსულ-ქართული.., გვ. 162.

[6] Из истории Южной Осетии. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://osetins.com/books_ist_osetia.

ბოდა ქ. ონიდან დუშეთამდე. ამ შემთხვევაში რევკომის მუშების მთავარი მოთხოვნას აღნიშნული ტერიტორიის რუსეთის შემადგენლობაში შესვლა წარმოადგენდა.[1] ამგვარად, როგორც ვხედავთ, ბოლშევიკების მთავარ მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიაზე დესტაბილიზაციის მოწყობა, რაც საქართველოს ტერიტორიის უფრო ეფექტურად კონტროლის საშუალებას მისცემდა.

1921 წლის 31 ოქტომბერს, საქართველოს ოკუპაციიდან თითქმის ნახევარი წლის შემდეგ, კავკასიის საბჭოთა ბიურომ დაამტკიცა შიდა ქართლის ტერიტორიაზე მოსახლე ოსებისთვის ავტონომიის მინიჭების საკითხი,[2] რომელსაც მოგვიანებით, 1922 წლის 20 აპრილს ეწოდა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“.[3] ამგვარად, საბჭოთა კავშირის იმპერიალისტური პოლიტიკის გამოისობით, ავტონომიური სტატუსი მიენიჭა ისეთ ტერიტორიულ ერთეულს, რომელსაც მანამდე არასოდეს უარსებია საქართველოს ტერიტორიაზე.[4]

აღნიშნული მოვლენის ტრაგიკულობა კიდევ უფრო ცხადი გახდება თუკი გადავხედავთ შიდა ქართლში მოსახლე ეთნიკურად ოსი მოსახლეობის დინამიკას XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისისთვის. 1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით, ცხინვალში ცხოვრობდა 3832 კაცი: 1135 ქართველი, 1953 ებრაელი და 744 სომეხი. ამ პერიოდში ცხინვალში, როგორც ვხედავთ, არცერთი ოსი არ ცხოვრობს.[5] 1922 წელს შექმნილ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში“ კი მხოლოდ და მხოლოდ 613 ეთნიკურად ოსი ცხოვრობდა.[6]

ამგვარად, როგორც ვნახეთ, ქართველ და აფხაზ, ისევე როგორც ქართველ და ოს ხალხებს შორის ურთიერთობის საკითხებზე მეტად აქტიურად „ზრუნავდა“ ჯერ მეფის რუსეთის, ხოლო მოგვიანებით საბჭოთა რუსეთის ადმინისტრაცია. მიუხედავად სხვადასხვაგვარი ისტორიული წინაპირობებისა, რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ისტორიულად ჩამოყალიბდა, რუსული იმპერია მაინც „წარმატე-

---

[1] **შოთა მალაშხია.** კონფლიქტების ანატომია.., გვ. 138.
[2] დოკუმენტი გამოქვეყნებულია წიგნში: **ლევან თოიძე.** როგორ შეიქმნა.., გვ. 67.
[3] **ლევან თოიძე.** როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. გვ. 80.
[4] ოლქის ზუსტი საზღვრების ამსახველი დოკუმენტი გამოქვეყნებულია წიგნში: **ლევან თოიძე.** როგორ შეიქმნა.., გვ. 81-84.
[5] Свод статистических данных о населении Закавказского края, излечённых из посемейных списков 1886 года. Тифлис, 1893, გვ. 67. ელექტრონული ვერსია იხ.: https://dlib.rsl.ru/viewer/01005403186 #?page=67.
[6] სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის 30 ნოემბრის აღწერის ჯამები. ნაწილი 1, ნაკვეთი 2. ტფილისი, 1923, გვ. 36.

ბით“ ახორციელებდა საკუთარ პოლიტიკას ორივე რეგიონში.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განხორციელებული ვერცერთი ნაბიჯი ვერ ჯდება ვერანაირ ლეგიტიმურ საკანონმდებლო ჩარჩოში, მათ მაინც შეძლეს მიეღწიათ ორი მთავარი მიზნისთვის ამ რეგიონებში: 1. მათ განახორციელეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის ოკუპაცია; 2. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში სეპარატისტული განწყობების კულტივირებითა და მათთვის პოლიტიკური სტატუსის მინიჭებით, საბჭოთა ადმინისტრაციამ მომავალში საქართველოს კონტროლისთვის ხელსაყრელი ბერკეტი შექმნა. Divide et Impera-ს პრინციპის გამოყენებით საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს მიერ მომავალში დამოუკიდებლობის სურვილისა და მისწრაფებების აღსაკვეთი მექანიზმი შეიმუშავა, რომლითაც დღემდე წარმატებით ახერხებს საქართველოს ქვეყნის სუვერენიტეტის შელახვას.

§4. კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი: კონფლიქტური რეგიონების ისტორიული განვითარების საერთო და განმასხვავებელი ტენდენციები XIX საუკუნის დასაწყისიდან XX საუკუნის პირველი მეხუთედის ჩათვლით

XIX საუკუნის მანძილზე კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტური რეგიონების ისტორიული განვითარება კარდინალურად განსხვავებულ სურათს გვაჩვენებს.

საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, კოსოვოს ვილაიეთი პორტას დაქვემდებარებული ალბანელი ბეგების მიერ იმართებოდა. ამასთან ერთად, როგორც ვნახეთ, კოსოვოს ტერიტორიაზე მოსახლეობის უმეტესობას ეთნიკური სერბები წარმოადგენდნენ. ამის გათვალისწინებით, ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკა კოსოვოს რეგიონის მიმართ წარმოადგენს Divide et Impera-ს იმპერიული პრინციპის მკვეთრ გამოხატულებას.

გარდა ამისა, სერბული მოსახლეობის სიჭარბის მიუხედავად, კოსოვოს რეგიონის ქალაქები პრიზრენი და პეია, 1870-იანი წლების ბოლოს ალბანური ეროვნული მოძრაობის კერებად გვევლინება. სწორედ ამ ქალაქებიდან დაიწყო ალბანელთა ბრძოლა სახელმწიფოებრიობისთვის, რასაც მათ საბოლოოდ 1912 წელს მიაღწიეს. სა-

ყურადღებოა ის ფაქტიც, რომ კოსოვოს ვილაიეთი ნაწილობრივ ექცეოდა ახლადშექმნილი ალბანური სახელმწიფოს შემადგენლობაში. მხოლოდ 1913 წლის ლონდონის კონფერენციის შემდეგ, რუსეთის იმპერიის დახმარებით მოხდა კოსოვოს სერბეთის სამეფოს შემადგენლობაში შეყვანა, მანამდე კი მთელი XIX საუკუნის მანძილზე და XX საუკუნის დასაწყისში, კოსოვოს რეგიონი მუდმივად ალბანელთა პოლიტიკურ-იდეოლოგიური პლატფორმის საყრდენად გამოიყენებოდა.

განსხვავებით კოსოვოსგან, არც აფხაზეთი და, მით უმეტეს, არც ცხინვალის რეგიონი, XIX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული არანაირი სხვა სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენდა გარდა ქართული სამეფო-სამთავროებისა, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით იქნა გაუქმებული 1801 წლის შემდგომ. ყოფილი ქართული სამეფო სამთავროები გაერთიანდა ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებში. ამ მოვლენის მთავარი მიზეზი აფხაზთა და ოსთა ცალკე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების არარსებობაა. სწორედ ეს მომენტი გვევლინება ერთ-ერთ მთავარ განმასხვავებელ ასპექტად კოსოვოსა და ქართული კონფლიქტური რეგიონების ისტორიულ განვითარებას შორის XIX საუკუნის დასაწყისში.

თუკი XIX საუკუნის დასაწყისში ბალკანეთში საქმე გვაქვს სერბი ხალხის ბრძოლასთან საუკუნოვანი დამპყრობლის წინააღმდეგ, ხოლო საუკუნის მიწურულს კი – უკვე ალბანელი ხალხის ეროვნულ მოძრაობასთან იმავე დამპყრობლისაგან თავის დასაღწევად, აფხაზეთის შემთხვევაში ჩვენ ვხვდებით ყოფილი ერთიანი ქართული სამეფოს ერთ-ერთ სულისჩამდგმელ სამეფო-სამთავროს, რომელიც ამ პერიოდისთვის მთლიანად ქართული სახელმწიფოებრივი სამყაროს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. სერბთა და ალბანელთაგან განსხვავებით, აფხაზი და ქართველი ხალხი დამპყრობლის – მეფის რუსეთის – წინააღმდეგ თანადროულად, მხარდამხარ იბრძოდა. აფხაზეთი, როგორც განსახლების არეალი, ამ პერიოდში ქართველთა და აფხაზთა შორის უთანხმოების საკითხს არ წარმოადგენდა, ეს ორი ხალხი რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მხოლოდ და მხოლოდ ზოგად-ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესების სასიკეთოდ იბრძვის.

მსგავსი ვითარება გვაქვს ამ დროს შიდა ქართლშიც. რეგიონის მთიანეთში მო-

სახლე ოსები ქართველთა მხარდამხარ გამოდიან მეფის რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ. თუმცა პარალელურად, როგორც ვნახეთ, ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა ოსთა მარბიელი რაზმების თარეშებს ყოფილი ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე.

განსხვავებით კოსოვოს ვილაიეთის ტერიტორიისგან, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიას, XIX საუკუნის მანძილზე არც აფხაზთა და არც ოსთათვის ეროვნული მოძრაობის კერის ფუნქცია არ ჰქონია. რაც შეეხება ქართულ ეროვნულ მოძრაობას, უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში საქმე ზოგად-ქართულ მოვლენასთან გვქონდა, რომელიც საკუთარი იდეების განხორციელების ასპარეზად საქართველოს მთელს ტერიტორიას მოიაზრებდა და არა რომელიმე კონკრეტულ რეგიონსა თუ მხარეს.

XX საუკუნის დასაწყისში, ბალკანეთში მიმდინარე მოვლენების გამო, კოსოვოს რეგიონის ნაწილი და ზოგადად სერბი და ალბანელი ხალხის დაპირისპირება სრულიად ახალ ისტორიულ ეტაპზე გადავიდა. 1908 წელს სულთნის ხელისუფლების დამხობისა და ოსმალეთის იმპერიის სათავეში „ახალგაზრდა თურქთა“ მოსვლის შემდგომ, გააქტიურდა ალბანელთა ეროვნული მოძრაობა, რომელიც 1912 წელს ალბანელთა პირველი სახელმწიფოს შექმნით დასრულდა.

ახლადშექმნილი ალბანეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შეყვანილ იქნა კოსოვოს რეგიონის ნაწილი, რომელიც, როგორც უკვე არაერთგზის აღინიშნა, უმეტესწილად სერბებით იყო დასახლებული. ამასთან ერთად, თავად ალბანეთის სახელმწიფოს შექმნის ფაქტი დაკავშირებულია იმდროინდელი გლობალური, მსოფლიო პოლიტიკის ორი დიდი ბანაკის – სამთა კავშირისა და ანტანტის – დაპირისპირებასთან. ამგვარად, უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში ყოფილი კოსოვოს ვილაიეთის ნაწილს ალბანეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში ჩართვა იმ დიდი პოლიტიკური გეგმის ნაწილი იყო, რითაც სამთა კავშირის ბლოკის ქვეყნები – გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია – მოქმედებდნენ ანტანტის ბლოკის ქვეყნების – საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და სერბეთის მოკავშირე რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ.

თანამედროვე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონები, როგორც აღვნიშნეთ, ამ დროს მეფის რუსეთის მიერ შექმნილი ახალი ადმინისტრაციული სისტემის

ნაწილებს წარმოადგენდნენ ყოფილი ერთიანი ქართული სამეფოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, განსხვავებით კოსოვოს ვილაიეთისგან, რომელიც XX საუკუნის პირველი დეკადის მიწურულს, მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენს დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე თანამედროვე ქართული კონფლიქტური რეგიონები იმ დროისთვის, ფაქტობრივად არანაირ პოლიტიკურ როლს არ ასრულებდნენ რეგიონალურ ან მითუმეტეს, მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე.

იმავე დიდი პოლიტიკური თამაშის ნაწილად გვევლინება 1913 წლის ლონდონის კონფერენციის შემდეგ, ყოფილი კოსოვოს ვილაიეთის გადაცემა სერბეთის სამეფოსთვის, სადაც ჯერ კიდევ 1903 წლიდან მოყოლებული, ტახტზე კარაჯორჯევიჩების მმართველი დინასტია გვევლინება. სერბეთის მეფე პეტრე კარაჯეორჯევიჩი საკუთარ საგარეო პოლიტიკაში მკვეთრ პრორუსულ კურსს ატარებდა, რისი პირდაპირი შედეგიც იყო მეფის რუსეთის ძალისხმევა ლონდონის კონფერენციაზე კოსოვოს სერბეთის სამეფოსათვის გადაცემის თაობაზე.

როგორც ვნახეთ, პირველი მსოფლიო ომის დასრულებისა და ოსმალთა იმპერიის დაშლის პროცესში, ბალკანეთში შეიქმნა სერბთა, ხორვატთა და სლოვენთა სამეფო. აღნიშნული სლავური სამეფოს ლიდერად მიიჩნეოდა სერბეთის სამეფო. ომის დასრულების შემდგომ შექმნილი ახალი პოლიტიკური რეალობის გამოისობით, რომლის მიხედვითაც სერბები გამარჯვებულთა ბანაკში მოხვდნენ, კოსოვოს რეგიონი ექცეოდა სერბეთის შემადგენლობაში.

საკითხავია, თუ როგორ შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო კოსოვოს ბედი იმ შემთხვევაში, თუ გერმანია და ავსტრია-უნგრეთი პირველი მსოფლიო ომიდან გამარჯვებულები გამოვიდოდნენ, რადგან, როგორც ამ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რეგიონის ბედს დიდწილად საერთაშორისო პოლიტიკური კონიუნქტურა განსაზღვრავდა. თუკი საერთაშორისო ასპარეზზე მოვლენები სერბეთისა და მისი დიდი მოკავშირის – რუსეთის იმპერიის სასიკეთოდ იცვლებოდა, კოსოვო ჩვეულებრივ სერბეთის შემადგენლობაში ექცეოდა, როგორც ეს მოხდა 1913 და 1918 წლებში, ხოლო თუკი ვითარება სერბების საზიანოდ შეიცვლებოდა, ეს კოსოვოს რეგიონზეც აისახებოდა აღნიშნული რეგიონის დაყოფითა თუ მისი ალბანელთათვის

გადაცემით, რასაც ადგილი ჰქონდა 1912 და 1916 წლებში.

ამგვარად, კოსოვოს რეგიონი პირველ მსოფლიო ომამდე, ისევე როგორც თავად ომის დროს და მისი დასრულების შემდეგ, მსოფლიო პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირების თავისებურ ეპიცენტრად გვევლინება. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ კოსოვოს რეგიონში მიმდინარე მოვლენები, გარკვეული თვალსაზრისით, ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ექცეოდა მსოფლიო პოლიტიკის ყურადღების ცენტრში, მაშინ როდესაც არც აფხაზეთში და, მით უმეტეს, არც ცხინვალის რეგიონში ამ პერიოდში მსგავსი ტიპისა და მასშტაბის კონფლიქტს უბრალოდ ადგილი არ აქვს. ამ რეგიონებში ჯერ მეფის რუსეთის, ხოლო მოგვიანებით საბჭოთა რუსეთის იმპერია მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი კოლონიური ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა.

აფხაზური და ოსური სეპარატიზმის საწყისებთან, როგორც ვხედავთ, მეფის რუსეთის და შემდგომში საბჭოთა რუსეთის იმპერია დგას. სწორედ რუსული ადმინისტრაციის პირობებში ხდებოდა როგორც აფხაზთა, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ოსთა იდეოლოგიური შემზადება საქართველოსა და ქართველთა წინააღმდეგ გამოსვლისთვის. ამის ნათელი მაგალითია 1862 წელს აფხაზთათვის რუსული გრაფიკის საფუძველზე შექმნილი დამწერლობა და 1907 წელს ლ. ვორონოვის ავტორობით გამოსული წიგნი „აფხაზეთი საქართველო არ არის“.

მსგავს პოლიტიკურ ქმედებებს ჰქონდა ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებული ოსების მიმართაც. 1843 წელს ოსეთის სამხედრო ოლქის შექმნით მეფის რუსეთის ადმინისტრაციამ მომავალში ოსთა განსახლების პოლიტიკური ატმოსფეროს მომწიფების წინაპირობა შექმნა.

აფხაზეთისა და შიდა ქართლის მიმართ კოლონიალურმა პოლიტიკამ უფრო მკვეთრი ფორმა მიიღო რუსეთის ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ. როგორც დავინახეთ, ე.წ. „რევოლუციური კომიტეტების“ შექმნით, საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა საკუთარი უკანონო ქმედებების „ლეგიტიმაციას“ საქართველოს ტერიტორიაზე და ამისათვის აქტიურად იყენებდა ამ დროისთვის უკვე საკმარისად გაღვივებულ სეპარატისტულ ტენდენციებს აფხაზებსა და ოსებში. ამ პოლიტიკამ ბოლშევიკებს ერთბაშად ორი მნიშვნელოვანი პოლიტიკური უპირატესობა მი-

ანიჭა საქართველოსთან მიმართებაში: 1. 1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა და საბჭოთა იმპერიის ნაწილი გახდა; 2. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ჩამოყალიბებულმა სეპარატისტულმა განწყობებმა რუსეთის ბოლშევიკურ ხელისუფლებას უდიდესი პოლიტიკური უპირატესობა და ბერკეტი ჩაუგდო ხელთ. ამიერიდან, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობისკენ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი ავტომატურად აამოქმედებდა იმ ნაღმებს, რომლებიც საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში იქნა „დამონტაჟებული“ XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში.

ამრიგად, დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის მანძილზე და XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში კოსოვოსა და ქართული რეგიონული კონფლიქტები ერთმანეთისაგან მკვეთრ თვისობრივ განსხვავებებს გვაჩვენებენ. მათ შორის მთავარ განსხვავებად უნდა მივიჩნიოთ აღნიშნულ ტერიტორიულ ერთეულებზე მიმდინარე მოვლენების პოლიტიკური მნიშვნელობა კოსოვოს შემთხვევაში ბალკანეთის, ხოლო აფხაზეთისა და შიდა ქართლის შემთხვევაში - კავკასიის რეგიონისთვის.

კოსოვოს ვილაიეთი მთელი XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის მანძილზე დაპირისპირების მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა ჯერ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში, ხოლო მოგვიანებით უკვე რეგიონულ და საერთაშორისო ასპარეზზე. მიუხედავად იმისა, რომ კოსოვოს საკითხი ნაკლებად ჩანს პირველ მსოფლიო ომამდელ, ომისდროინდელ და ომის შემდგომ დიპლომატიაში, აღნიშნული რეგიონი, როგორც ვნახეთ, მუდამ წარმოადგენდა ბალკანეთის რეგიონული პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს.

აფხაზეთისა და შიდა ქართლის რეგიონები მსგავს რეგიონულ მნიშვნელობას ნამდვილად მოკლებულია ჩვენს განსახილველ პერიოდში და უფრო ვიწრო – ქართული სახელმწიფო ინტერესების დონეზე განიხილება, რადგან როგორც აფხაზები, ისე ოსები თვალსაჩინო როლს ასრულებენ ჯერ მეფის, ხოლო მოგვიანებით საბჭოთა რუსეთის კოლონიალურ გეგმებში საქართველოს მიმართ, თუმცა ამ ეტაპზე ეს პოლიტიკა უფრო შეზღუდულ ხასიათს ატარებს.

თავი III. კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი XX საუკუნის 20-80-იან წლებში: კონფლიქტური რეგიონების ისტორიული განვითარების საერთო და განმასხვავებელი ტენდენციები

§1. კოსოვო 1918-1991 წლებში

1.1. იუგოსლავიის სამეფოდან ფედერაციამდე (1918-1945)

კოსოვოს ისტორია 1918-1945 წლებში შეიძლება დაიყოს ორ ძირითადად პერიოდად; პირველ პერიოდში – 1918-1939 წლები – რეგიონში სერბული, ხოლო მეორე პერიოდში – 1939-1944 წლები – რეგიონში უკვე ალბანური გავლენა დომინირებდა. აღნიშნული პერიოდში კოსოვოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზი მეტწილად ჯერ სერბების, ხორვატებისა და სლოვენების, ხოლო 1929 წლიდან იუგოსლავიის სამეფოს კონტექსტშია შესაძლებელი, რასაც ძირითადად კოსოვოს შესახებ დოკუმენტური ისტორიული მასალების სიმცირე განაპირობებს.

1918 წელს სერბების, ხორვატებისა და სლოვენების სამეფოს გამოცხადებამ კოსოვოს რეგიონში სერბული გავლენის ზრდა გამოიწვია. შექმნილ ვითარებაში, სერბული გავლენის ზრდის წინააღმდეგ იბრძვიან ალბანური პარტიზანული ჯგუფები, რომელთაც კაჩაკები ეწოდებოდათ.[1] 1918 წლის ნოემბერში, ჩრდილოეთ ალბანეთის ქალაქ შკოდერში შეიქმნა კოსოვოს ეროვნული თავდაცვის კომიტეტი ცნობილი ლიდერის ჰასან პრიშტინას ხელმძღვანელობით.[2]

ალბანელთა აქტიურობას სერბებმა იმდენად მკაცრი ზომებით უპასუხეს, რომ 1921 წლის ივლისისთვის კოსოვოელმა ალბანელებმა, ალბანურ სახელმწიფოსთან გაერთიანების მოთხოვნით, პეტიციითაც კი მიმართეს ერთა ლიგას. მკვლევარ მირანდა ვიკერსის მიხედვით, აღნიშნული დოკუმენტი შეიცავდა ყველა იმ საშინელების აღწე-

[1] კაჩაკების მოძრაობა შედგებოდა ძირითადად ემიგრანტი კოსოვოელი ალბანელებისგან. სერბები მათ უკანონო ორგანიზაციას უწოდებდნენ, ხოლო ალბანელებისთვის კი ამ მოძრაობას ეროვნულ-განმათავისუფლებელი დატვირთვა ჰქონდა. რეალურად, კაჩაკების მოძრაობა ზემოაღნიშნული ორივე შეხედულების ელემენტებს შეიცავდა. კაჩაკების შესახებ დაწვრილებით იხ.: **Hajredin Hoxha.** Proces nacionalne afirmacje albanske narodnosti u jugoslaviji. Casopisza kritiko zrianosti. Ljubljana, 1982, გვ. 51-52.

[2] **Tim Judah.** Kosovo, გვ. 42.

რას, რაც სერბებმა ჩაიდინეს 1918-1921 წლებში ალბანელთა მიმართ, თავად მსხვერ-პლთა სახელებისა და გვარების მითითებით. დოკუმენტის მიხედვით, ყოფილი კოსოვოს ვილაიეთის ტერიტორიაზე 12 371 ალბანელი იქნა მოკლული, ხოლო 22 000 – დაპატიმრებული.[1] 1921 წლის მონაცემებით კოსოვოს მოსახლეობა 436 929 ადამიანს შეადგენდა. ალბანელები შეადგენდნენ მოსახლეობის 64.1%-ს (280 440).[2]

პასუხად, ერთა ლიგამ დაადგინა, რომ როგორც სერბთა, ისევე ალბანელთა მხრიდან მოხდა სადემარკაციო ხაზის დარღვევა, რაც დიდწილად არასწორად შედგენილი რუკებითა და ასევე არასწორად ინტერპრეტირებული ბრძანებებით იყო განპირობებული. ერთა ლიგის მიერ შემოთავაზებული გეგმის მიხედვით, უნდა შექმნილიყო იუგოსლავურ-ალბანური სამხედრო კომისია, რომელიც განახორციელებდა ზემოაღნიშნული სადემარკაციო სასაზღვრო ხაზის კონტროლს. ლიგის ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა როგორც სერბების, ისევე ალბანელების მიერ.[3]

აღნიშნული შეთანხმების მიუხედავად, სერბების აქტიური ანტიალბანური პოლიტიკა მხოლოდ გრძელდებოდა. კაჩაკებისთვის სასჯელის სახით ჩამორთმეული მიწების დანაწილება ხდებოდა სერბებსა და მონტენეგროელებს შორის. მკვლევრები ტიმ ჯუდა და მირანდა ვიკერსი სერბთა აღნიშნულ ღონისძიებებს „სერბული კოლონიზაციის პროგრამის“ სახელით მოიხსენიებენ და ორ ნაწილად ყოფენ: პირველი ნაწილი – 1918-1928 წლებში სრულიად ემთხვეოდა კაჩაკების მოძრაობას, ხოლო მეორე ნაწილი – 1929-1941 წლებში გამოირჩეოდა სერბი ისტორიკოსის ვასო ჩუბრილოვიჩის (1897-1990)[4] იდეებით, რომელიც 1976 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადე-

---

[1] **Joseph Swire.** Albania: The Rise of a Kingdom. New York: Arno Press, 1971, გვ. 291.

[2] **Hivzi Isljami.** Demografska stvarnost Kosova. Sukob ili Dialog. Srpsko-albanski odnosi i integracija Balkana. Subotica. Otvoreni Univerzitet, 1994, გვ. 40. იხ.: **Dusan Batakovich.** Kosovo and Metohija: History, Memory, Identity, გვ. 593.

[3] **Miranda Vickers.** Between Serb and Albanian, გვ. 98.

[4] ვასო ჩუბრილოვიჩი იყო წარმოშობით ბოსნიელი სერბი მეცნიერი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე. ჯერ კიდევ სტუდენტობისას იგი „სამხრეთ სლავური სტუდენტური მოძრაობის“ ორგანიზაციის აქტიური წევრი იყო და ჩართული იყო 1914 წლის 28 ივნისს, ერცჰერცოგ ფრანც ფერდინანდის მკვლელობის საქმეში, რის გამოც, ავსტრია-უნგრეთის ხელისუფლების მიერ 16-წლიანი პატიმრობა მიესაჯა. ჩუბრილოვიჩი პატიმრობიდან პირველი მსოფლიო ომის დასასრულს გათავისუფლდა. სწავლობდა ისტორიას ზაგრებისა და ბელგრადის უნივერსიტეტებში. გამოირჩეოდა მკვეთრი ანტიალბანური განწყობებითა და იდეოლოგიით. ცნობილია 1937 წელს „სერბული კულტურული წრის“ წინაშე მისი წაკითხული ლექცია, რომელშიც იგი საუბრობდა ალბანელების კოსოვოდან ძალისმიერი განდევნის მეთოდებზე. ჩუბრილოვიჩის მიხედით, ალბანელების წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთი გზა იყო „სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული ხისტი ძალა“. მისი თქმით, „ალბანელი ქალის ნაყოფიერებამ საბოლოოდ დაამარცხა სერბთა კოლონიზატორული პოლიტიკა 1921-1931 წლებში. იხ.: **Tim Judah.** The Serbs, გვ. 149; **Н. Смирнова.** Косовары: Беженцы или изгнанники? / *«Новое Время»*. №16, 25 Апреля 1999 г., გვ. 109.

მიის უცხოელ საპატიო წევრადაც იყო არჩეული[1] და რომლის მიხედვითაც, „ალბანური საკითხის“ მოსაგვარებლად, სერბებს სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა მიემართათ ძალისმიერი მეთოდებისთვის. საინტერესოა, რომ 1931 წლის აღწერის მიხედვით, კოსოვოს მოსახლეობა შეადგენდა 552 064 ადამიანს, რომელთაგან 62.8% – 347 213 ადამიანს წარმოადგენდნენ ალბანელები.[2] ამგვარად, როგორც ვხედავთ, XX საუკუნის 20-იან წლებში კოსოვოს ტერიტორიაზე დემოგრაფიული მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა ალბანელთა სასარგებლოდ.

კოსოვოს რეგიონში ახალი პროცესები დაიწყო 1930-იან წლებში. ჰიტლერისა და მუსოლინისთვის იუგოსლავიის სამეფო ერთგვარ დაბრკოლებას წარმოადგენდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მიმართულებით გაფართოების გზაზე. იუგოსლავიის ხელისუფლების სათავეში, პრემიერ მინისტრის, მილან სტოიადინოვიჩის (1935-1939) მოსვლის შემდეგ, ბერლინისა და რომის გეგმები იუგოსლავიის სამეფოსთან დაკავშირებით უფრო რეალისტური გახდა.

1937 წლის 25 მარტს ფაშისტურ იტალიასა და იუგოსლავიის სამეფოს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, მესამე მხარესთან შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში, შეთანხმების მხარეებს ერთმანეთის მიმართ ნეიტრალიტეტი უნდა დაეცვათ. ამასთან ერთად, მხარეები იღებდნენ ვალდებულებას არ ჩარეულიყვნენ ერთმანეთის საშინაო საქმეებში.[3] ეს დოკუმენტი ხელს უწყობდა იტალიის ექსპანსიონისტურ გეგმებს საბერძნეთისა და თურქეთის მიმართ, ამასთან ერთად, გამორიცხავდა იუგოსლავიის მიერ ჩეხოსლოვაკიის მხარდაჭერას, გერმანიისა და იტალიის მიერ ამ უკანასკნელის წინააღმდეგ ერთობლივი სამხედრო კამპანიის შემთხვევაში.

1939 წლის 7 აპრილს, ფაშისტური იტალიის არმიამ დაიკავა ალბანეთი. „ღერძის ქვეყნები“ სულ უფრო მეტად მოიწევდნენ იუგოსლავიისკენ. 1940 წლის 27 სექტემბერს, გერმანიას, იტალიას და იაპონიას შორის გაფორმდა ე.წ. „ბერლინის პაქტი,“ რომლის მესამე მუხლში, მხარეები ერთმანეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებაზე თანხმდებოდნენ.[4]

---

[1] **გურამ ჩიქოვანი.** კოსოვოს პრობლემა და მუსლიმური სამყარო, გვ. 7.
[2] **Miranda Vickers.** Between Serb and Albanian, გვ. 116; **Tim Judah.** Kosovo, გვ. 46.
[3] Итало-югославский договор 1937 года, 25 марта. იხ.: Дипломатический словарь. В 3-х томах. Ред. А. А. Громыко, И. Н. Земсков, В. М. Хвостов. Том I. Москва: Изд. Политической литературы, 1971, გვ. 608.
[4] ***Documents on German Foreign Policy, 1918-1945.*** Series D (1937-1945). Vol. XI. The War Years: September 1, 1940 – January 31, 1941. Washington: United States Government Printing Office, 1960, გვ. 204-205.

მოგვიანებით, 1941 წლის 25 მარტს „ღერძის ქვეყნებსა“ და იუგოსლავიის სამეფოს შორის გაფორმდა ვენის შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, იუგოსლავიის სამეფო, ბერლინის პაქტს უერთდებოდა.[1] ამ შეთანხმების გაფორმებას დიდი უკმაყოფილება მოჰყვა იუგოსლავიის საზოგადოებაში, რასაც ორი დღის შემდეგ, 27 მარტს სახელმწიფო გადატრიალება მოჰყვა, რომელმაც დაამხო პრემიერ დრაგიშა ცვეტკოვიჩის (1939-1941) მთავრობა.

ნაცისტური გერმანიისთვის, იუგოსლავიის სამეფოზე კონტროლის დაკარგვის საფრთხე იზრდებოდა, სწორედ ამიტომ 6 აპრილს, ყოველგვარი საომარი მოქმედების გამოცხადების გარეშე, ნაცისტური ვერმახტის ნაწილები შეიჭრნენ იუგოსლავიის ტერიტორიაზე. სამეფომ არსებობა შეწყვიტა.

კოსოვოს რეგიონი, „ღერძის ქვეყნების“ მხარდაჭერით, ალბანელთა სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცა[2] და თავის მხრივ, სამ ნაწილად გაიყო: ბულგარელებს გადაეცათ რეგიონის აღმოსავლეთ ნაწილი, გერმანელებს – შედარებით მოზრდილი ნაწილი ჩრდილოეთით, კოსოვოს დანარჩენი ტერიტორია კი, დასავლეთ მაკედონიის ჩათვლით, შეუერთდა ე.წ. „ძველ ალბანეთს“.[3] ამგვარად, ფაშისტურმა და ნაცისტურმა რეჟიმებმა დიდწილად შეუწყვეს ხელი „დიდი ალბანეთის“ შექმნის იდეას, რომელსაც, ბუნებრივია, კოსოვარები მიესალმებოდნენ.

ოკუპაციის საწყის ეტაპზე, ნაცისტური გერმანიის მიერ შეიქმნა კოსოოელი ალბანელებისგან შემდგარი 1000-კაციანი შენაერთი, რომელსაც ვულნეტარა (ალბ. Vulnetara – მოხალისე) ეწოდებოდა. მისი მთავარი ფუნქცია იყო იუგოსლავიის ტერიტორიების განთავისუფლება სერბების, ებრაელების, ბოშებისა და სხვა არაალბანური ელემენტებისგან. ამავე პერიოდში შეიქმნა ალბანელთა ეროვნული ერთიანობის ორგანიზაცია (Balli Kombetar), რომლის მთავარი მიზანი იყო ეთნიკურად სუფთა კოსოვოს შექმნა და მისი მიერთება ალბანურ სახელმწიფოსთან.[4]

1944 წლის 17 აპრილს, უშუალოდ რაიხსფიურერ ჰაინრიხ ჰიმლერის ინიციატივით, შეიქმნა ალბანური დივიზია „სკანდერბეგი“, რომელიც 6 491 ალბანელისაგან

---

[1] ხელშეკრულების ტექსტი იხ.: Протокол о приступању Југославије Тројном пакту (1941). https://sr.wikisource.org/wiki/Протокол_о_приступању_Југославије_Тројном_пакту_(1941).

[2] **Barbara Jelavich.** History of the Balkans, vol. II, გვ. 273.

[3] **Bernd J. Fischer.** Albania at War, 1939-1945. London: Hurst, 1999, გვ. 86.

[4] Eyewitness to Genocide in Kosovo: Kosovo-Metohija and the Skenderbeg Division. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.kosovo.net/sk/rastko-kosovo/istorija/savic_skenderbey ss1.html.

შედგებოდა. აღსანიშნავია, რომ დივიზიის ორ მესამედს კოსოვოელი ალბანელები შეადგენდნენ. დივიზიის მთავარ მიზანს, კოსოვოსა და მეტოხიის რეგიონის არაალბანური ელემენტებისგან გაწმენდა წარმოადგენდა.[1]

ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, ადვილი გამოსაცნობი იყო სსრკ-ს ინტერესები ბალკანეთის რეგიონზე. სწორედ ამიტომ, ალბანური ელემენტის გაძლიერება იტალიისა და გერმანიისათვის, როგორც „ღერძის ქვეყნებისათვის", ბალკანეთის რეგიონში სერბული და რუსული პოზიციების შესუსტებას ნიშნავდა.

ზოგიერთი მონაცემების მიხედვით, 1941 წლის აპრილიდან 1942 წლის აგვისტომდე კოსოვოს ტერიტორიაზე ალბანელთა მიერ 10 000-მდე სერბი იქნა მოკლული.[2] ამასთან ერთად, იტალიური საოკუპაციო ძალების მიერ შემუშავებულ იქნა ე.წ. „დასახლების პროგრამები", რომელთა ფარგლებშიც, ალბანეთის სხვადასხვა რეგიონიდან 72 000 ალბანელი იქნა დასახლებული კოსოვოს რეგიონში.[3]

1943 წლისთვის ალბანურმა ნაციონალიზმმა პიკს მიაღწია, როდესაც ნაცისტური გერმანიის მხარდაჭერით 16 სექტემბერს შეიქმნა „მეორე პრიზრენის ლიგა".[4]

საინტერესოა, რომ 1943-1944 წლებში კოსოვოს ალბანეთთან შეერთების გეგმები განიხილებოდა იუგოსლავიის კომუნისტურ წრეებშიც. ამ გეგმების მიხედვით, სერბებისთვის ეს გაერთიანება მისაღები მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუკი ალბანეთი მოექცეოდა მომავალი იუგოსლავიის ფედერაციის რიგებში. სერბ კომუნისტებს აღნიშნულ საკითხზე თანხმობა თავად სტალინისგანაც მიუღიათ 1944 წლის აპრილში მოსკოვის შეხვედრაზე,[5] თუმცა იმ პერიოდში ამ გეგმის განხორციელება ვერ მოხერხდა.

კოსოვოს რეგიონის გარშემო პოლიტიკური ატმოსფეროს ცვლილებას კიდევ ერთხელ ჰქონდა ადგილი მეორე მსოფლიო ომის დასასრულის მოახლოებასთან ერთად.

---

[1] **Steve Kane.** The 21st SS Mountain Division. / *Siegrunen: The Waffen-SS in Historical Perspective.* No. 6. Issue 38. October-December 1984, გვ. 21-30.

[2] **Serge Krisman.** Maps of Yugoslavia at War. Massacre of the Innocent Serbian Population, Committed in Yugoslavia by the Axis and Its Sattelite from April 1941 to August 1942. Washington, 1943, გვ. ???.

[3] **Miranda Vickers.** Between Serb and Albanian, გვ. 123.

[4] **Маначинский А. Я, Денисов Д. О.** Косово и Метохия.., გვ. 32; კოსოვოელი ალბანელების მიმართ ნაცისტური გერმანიისა და ფაშისტური იტალიის პოლიტიკის შესახებ ქართულ ენაზე იხილეთ: **ფატი შეყლაშვილი.** კოსოვოს სერბების საკითხი.., გვ. 370-374.

[5] **Aleksandar Petrovich & ĐorĐe Stefanovich.** Kosovo, 1944-1981: Rise and the Fall of a Communist Nested Homeland. / *Europe-Asia Studies.* Vol, 62, No. 7, September 2010, გვ. 1084; Албанский фактор в развитии кризиса на территории бывшей Югославии, т. 1, გვ. 93.

1944 წლის ნოემბრისთვის რეგიონი პრაქტიკულად განთავისუფლდა პარტიზანი კომუნისტური ძალების მიერ, რომელთაც მომავალი იუგოსლავიის ფედერაციის ლიდერი – იოსიპ ბროზ ტიტო ხელმძღვანელობდა. ამის შემდეგ, „ღერძის ქვეყნებთან“ თანამშრომლობის გამო, კოსოვოელი ალბანელები „არასაიმედო ელემენტებად“ იქცნენ. როგორც ჩანს, ტიტო კარგად ხვდებოდა, რომ იუგოსლავიის ტერიტორიაზე კომუნისტური გავლენის შესანარჩუნებლად აუცილებელი იყო სრული კონტროლის დამყარება კოსოვოს ტერიტორიაზე.

კოსოვოელი ალბანელები, თავის მხრივ, დიდი წინააღმდეგობით შეხვდნენ კომუნისტ პარტიზანებს. ამ დროს კოსოვოში მოქმედებდა ალბანური ნაციონალური, ანტიკომუნისტური მოძრაობა – Besa Kombëtare – რომელსაც კოსოვოელი ალბანელი პედაგოგი, იმერ ბერიშა ხელმძღვანელობდა.[1] მათი ბრძოლა დაახლოებით ექვს თვეს გაგრძელდა. პარტიზანები უკიდურეს ზომებს მიმართავდნენ ალბანელთა მიმართ. ალბანელთა ეროვნული დემოგრაფიული კომიტეტის მონაცემების მიხედვით, პარტიზანებთან ბრძოლას 48 000-მდე ალბანელი შეეწირა. ამ პერიოდში, კოსოვოელი ალბანელების მიმართ ჩადენილ საშინელებათა შორის აღსანიშნავია მონტენეგროს რეგიონში – ტივარში – 1 670 ალბანელის გვირაბში შერეკვა პარტიზანების მიერ, რის შემდეგაც გვირაბი ჩახერგეს და ეს ადამიანები პრაქტიკულად გაგუდეს. 1945 წლის თებერვალში კოსოვოს რეგიონში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.[2]

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ჩამოყალიბებისას, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა კოსოვოს რეგიონის სტატუსის განსაზღვრას ამ ახალ გაერთიანებაში. ამ პერიოდში რეგიონი „კოსოვოსა და მეტოხიის“ სახელით მოიხსენიებოდა. 1945 წლის ივლისში პრიზრენში მოწვეულ იქნა კოსოვოს სახალხო წარმომადგენელთა კრება. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ კოსოვოსა და მეტოხიის რეგიონი უნდა გამხდარიყო ფედერაციული სერბეთის ნაწილი. ეს გადაწყვეტილება 1946 წელს დამტკიცებულ იქნა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის მეორე მუხლით, რომლის მიხედვითაც სერბეთის სახალხო რესპუბლიკა შედგებო-

[1] კოსოვოს რეგიონში კომუნისტი პარტიზანების გამოჩენის შემდეგ, იმერ ბერიშამ ოფიციალური დახმარების თხოვნით მიმართა ალბანეთში ბრიტანეთის მისიის გენერალ ჰოჯსონს, თუმცა ბრიტანელებმა ეს თხოვნა უპასუხოდ დატოვეს. **1945. Ymer Berisha.** Memorandum of Besa Kombëtare. ელ-ვერსია იხ.: http://www.albanianhistory.net/1945_Berisha/index.html.

[2] **Miranda Vickers.** Between Serb and Albanian, გვ. 143.

და ვოივოდინის ავტონომიური პროვინციისა და კოსოვოსა და მეტოხიის ავტონომიური რეგიონისგან.[1]

1.2. კოსოვო იუგოსლავიის ფედერაციაში (1945-1992)

საკუთარ ნაშრომში კოსოვოს ისტორიის შესახებ – ალექსანდრ პეტროვიჩი და ჯორჯე სტეფანოვიჩი 1944-1981 წლების პერიოდს კოსოვოს ისტორიაში, ჰყოფენ ოთხ ნაწილად: 1. ომის შემდგომი ფორმირების პერიოდი (1944-1948[2]); 2. სერბული დომინირების პერიოდი (1949-1965); 3. რანკოვიჩის შემდგომი ფორმირების პერიოდი (1966-1968); და 4. ალბანური დომინირების პერიოდი (1969-1981).[3] ჩვენი მსჯელობის 1990-იან წლებამდე ჩარჩოში მოსაქცევად, აღნიშნულ ავტორთა პერიოდიზაციას შესაძლოა დაემატოს კოსოვოს ისტორიის კიდევ ერთი განსახილველი პერიოდი – 1981-1991 წლები – ტიტოს გარდაცვალებიდან იუგოსლავური ფედერაციის დაშლამდე, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა კოსოვოსა და, ზოგადად, ბალკანეთის რეგიონზე XX საუკუნის 90-იან წლებსა და XXI საუკუნეში განვითარებულ მოვლენებში.

ალბანური სახელმწიფოს იუგოსლავიის ფედერაციაში შეყვანის კიდევ ერთ მცდელობას ჰქონდა ადგილი 1947 წელს. ეს თემა წამოწეულ იქნა იუგოსლავიის ოფიციალური დელეგაციის ვიზიტისას მოსკოვში. ამჯერად, ისევე როგორც 1943 წელს, სტალინმა თანხმობა განაცხადა ალბანეთის „ჩაყლაპვაზე“,[4] თუმცა ამ გეგმის განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა იუგოსლავიასა და საბჭოთა კავშირს შორის იმ პერიოდში შექმნილი უთანხმოებების გამო, რომელმაც პიკს მიაღწია 1948 წელს.

სსრკ-სა და იუგოსლავიის ფედერაციას შორის განხეთქილებით, ამ პერიოდში წარმატებით ისარგებლა ალბანეთის კომუნისტმა ლიდერმა ენვერ ჰოჯამ, რომელმაც სტალინის მხარე დაიჭირა. 1949 წელს ჰოჯა ორჯერ შეხვდა (მარტი-აპრილი – მოს-

---

[1] Constitution of the Federative People's Republic of Yugoslavia (1946). უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.worldstatesmen.org/Yugoslavia_1946.txt.

[2] როგორც ჩანს, ჯ. სტეფანოვიჩი ომისშემდგომი პერიოდს 1944 წლით იმის გამო იწყებს, რომ კოსოვოს ტერიტორია ამ დროისთვის უკვე მთლიანად იყო განთავისუფლებული და ბრძოლები იუგოსლავიის მხოლოდ ჩრდილოეთ ნაწილში მიმდინარეობდა – კ.ყ.

[3] **Aleksandar Petrovich & ĐorĐe Stefanovich.** Kosovo, გვ. 1081.

[4] მილოვან ჯილასის მიხედვით, სიტყვა „ჩაყლაპვის“ წარმოთქმისას, მოქმედებისათვის უფრო მეტი სიცხადის მისანიჭებლად, სტალინმა საკუთარი მარჯვენა ხელის ხუთი შეკრული თითი პირთან მიიტანა. იხ.: **Milovan Djilas.** Conversations with Stalin, გვ. 112-113.

კოვში, ხოლო ნოემბერში – სოხუმში) სტალინს. ამ შეხვედრებზე იგი საუბრობდა ალბანეთის პოზიციაზე საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიის ფედერაციის განხეთქილების შემდეგ. კოსოვოსა და მეტოხიის რეგიონზე საუბრისას, ჰოჯა აღნიშნავდა, რომ ეს რეგიონი ალბანეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში უნდა შედიოდეს და გამოთქვამდა იმედს, რომ „ტიტოს იმპერიული კლანჭებისგან" (სტილი დაცულია – **კ.ყ.**) იუგოსლავიის განთავისუფლების შემდეგ, აღნიშნული გაერთიანების მიღწევა სავსებით შესაძლებელი იქნებოდა.

ამასთან ერთად, ტიტოსგან განსხვავებით, ჰოჯა გაცილებით ზომიერ პოზიციას იჭერდა და აღნიშნავდა, რომ აღნიშნული საკითხის მიმართ ალბანელებს თავშეკავება ჰმართებდათ, ისინი ასევე ითვალისწინებდნენ სტალინის აზრს ამ საკითხთან დაკავშირებით.[1] ამის შემდეგ, პრაქტიკულად ნებისმიერი ღონისძიება თუ გეგმა ალბანეთის იუგოსლავიის შემადგენლობაში შესაყვანად პირდაპირ უკავშირდებოდა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის განხეთქილებას.

1940-იანი წლების ბოლოდან 1960-იანი წლების შუა ხანებამდე პერიოდი კოსოვოსა და მეტოხიის რეგიონის ისტორიაში დაკავშირებულია სერბული დომინირების სასტიკ პერიოდთან. ამ დროს იუგოსლავიის სახელმწიფო უშიშროების სამსახურს (სერბ. Uprava Drzavne Bezbednosti) ხელმძღვანელობდა ალექსანდრ რანკოვიჩი.[2] რანკოვიჩის უწყებამ დაიწყო ზრუნვა იდეოლოგიურ ასპექტებზე. ალბანური ენისა და ისტორიის მასწავლებლებს იბარებდნენ სპეციალურ შეხვედრებზე და აძლევდნენ ინსტრუქციებს სწავლების კუთხით.[3] შექმნილ ვითარებაში, 50-იანი წლების ბოლოსა და 60-იანი წლების დასაწყისში, კოსოვოს ტერიტორიაზე რამდენიმე ალბანური ნაციონალისტური ორგანიზაცია მოქმედებდა. ერთ-ერთი ასეთ ორგანიზაციას წარმოადგენდა „ალბანეთის გაერთიანების რევოლუციური კომიტეტი", რომელიც დაახლოებით 300 წევრისგან შედგებოდა. მათ მთავარ მიზანს წარმოადგენდა კოსოვოს ალბანეთთან

---

[1] **Энвер Ходжа.** Со Сталиным. Воспоминания. Тирана: «8 Нентори», 1984, გვ. 95-183. ელექტრონული ვერსია იხ.: http://www.enverhoxha.ru/Archive_of_books/enver_hoxha_with_stalin_pic_rus.pdf.

[2] წარმოშობით სერბი ალექსანდრ რანკოვიჩი (1909-1983) იუგოსლავიის ფედერაციის მაქსიმალური ცენტრალიზაციის მომხრე იყო. მისი შეხედულებით, ფედერაციის ცენტრალიზაცია სერბეთის ძალისხმევით უნდა მომხდარიყო. ფედერაციის დეცენტრალიზაციის ნებისმიერი მცდელობა რანკოვიჩისთვის სერბული ერთობისა სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. იხ.: **Mellisa Katherine Bokovoy, Jill A. Irvine, Carol S. Lilly.** State-society relations in Yugoslavia (1945-1992). Scranton, PA: Palgrave Macmillan, 1997, გვ. 295.

[3] **Aleksandar Petrovich & ĐorĐe Stefanovich.** Kosovo, გვ. 1087.

შეერთება.[1] აღნიშნულ ორგანიზაციებთან ბრძოლის პარალელურად, რანკოვიჩის სამსახურები ახორციელებდნენ ათასობით ალბანელის დევნასა და დაპატიმრებას „სტალინიზმის“ ბრალდებით.[2]

1963 წლის 7 აპრილს იუგოსლავიის ფედერაციის ახალი კონსტიტუცია იქნა მიღებული. ამჯერად, „იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკა“ შეცვალა „იუგოსლავიის სოციალისტურმა ფედერაციულმა რესპუბლიკამ“. კონსტიტუციის 111-ე მუხლის მიხედვით, ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებს ახალი ავტონომიური ერთეულების შექმნისა და ძველი ავტონომიების გაუქმების უფლება მიეცათ.[3] მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დოკუმენტი კონკრეტულად კოსოვოსა და ვოევოდინის ავტონომიების სტატუსის შესახებ არაფერს ამბობდა, მისით მაინც დიდ უკმაყოფილებას გამოხატავდნენ ალბანელები, რადგან ახალი კონსტიტუცია მხოლოდ და მხოლოდ ასუსტებდა ავტონომიური რეგიონების გარანტიებს.

იმავე 1963 წელს, იუგოსლავიის მთავრობის გადაწყვეტილებით, კოსოვოს სტატუსი ფედერაციის შემადგენლობაში ამაღლდა რეგიონიდან პროვინციამდე. მოგვიანებით, 1965 წელს ჩამოყალიბებულ იქნა ფედერალური ფონდი სუსტად განვითარებული რეგიონების დასახმარებლად. აღნიშნული ფონდიდან ფინანსური დახმარების 40% გამოიყო კოსოვოს რეგიონში ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.[4]

ალექსანდრ რანკოვიჩი 1966 წელს იქნა განთავისუფლებული თანამდებობიდან. კოსოვოელი ალბანელები დიდ იმედებს ამყარებდნენ რანკოვიჩის შემდგომ სერბული წნეხისგან თავის დაღწევაზე, თუმცა მათი იმედები იმედებად დარჩა. განახლდა ალბანელთა ანტისერბული გამოსვლები. 1968 წელს გეგურ ალბანურ დიალექტზე მოსაუბრე კოსოვარებმა მიიღეს ტოსკური დამწერლობა, რომელიც ალბანეთში გამოიყენებოდა.[5] კოსოვოელი ალბანელები ასევე ითხოვდნენ „კოსოვოსა და მეტოხიის“ პრო-

---

[1] **В. И. Косик.** Балканы: Порвалась цепь великая (середина XIX – начало XXI вв.). Москва: «ПРОБЕЛ-2000», 2014, გვ. 157.

[2] **Miranda Vickers.** Between Serb and Albanian, გვ. 155.

[3] Constitution of Socialist Federal Republic of Yugoslavia 1963. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.worldstatesmen.org/Yugoslavia_1963.doc.

[4] **Carole Rogel.** Kosovo: Where it all Began. / *International Journal of Politics, Culture and Society*, Vol, 17, No. 1, Fall 2003, გვ. 171.

[5] **Aleksandar Petrovich & ĐorĐe Stefanovich.** 1941-1981.., გვ. 1088.

ვინციის სახელის შეცვლას „კოსოვოთი“.[1] იმავე 1968 წელს მოეწყო ალბანელთა მანიფესტაციები, რომელთა მთავარი მოთხოვნაც იყო 1963 წლის კონსტიტუციური დადგენილებების ცვლილება კოსოვოს რეგიონთან მიმართებაში.

1969 წლის იანვარში სერბეთის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია კოსოვოსთვის. შეიქმნა კოსოვოს პროვინციის უზენაესი სასამართლო. ამასთან ერთად, ალბანურ, სერბულ-ხორვატულ და თურქულ ენებს მიენიჭათ თანაბარი სტატუსი.[2] მხარეს ეწოდა „კოსოვოს სოციალისტური ავტონომიური პროვინცია“.[3]

იმავე წელს მოხდა პრიშტინას დამოუკიდებელი უნივერსიტეტის შექმნა, რომელიც მანამდე ბელგრადის უნივერსიტეტის ფილიალი იყო. ამგვარად, 70-იანი წლების დასაწყისისთვის კოსოვო და მეტოხია ფორმით სერბეთის რესპუბლიკის ნაწილს, ხოლო არსით კი, პრაქტიკულად ალბანეთის რესპუბლიკის გაგრძელებას წარმოადგენდა.[4]

1974 წლის 21 თებერვალს მიღებულ იქნა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია. დოკუმენტის 281-ე მუხლის მიხედვით, ავტონომიურ პროვინციებს პრაქტიკულად ფედერალური ერთეულების უფლებები მიენიჭათ. ამასთან ერთად, მათ ენიჭებოდათ ვეტოს უფლებაც ყველა იმ საკანონმდებლო დადგენილების წინააღმდეგ, რომელიც მათ ინტერესებში ვერ მოექცეოდა.

ახალი კონსტიტუციით, კოსოვოსა და მეტოხიის ავტონომიურ პროვინციას საკუთარი საშინაო სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის განკარგვის თავისუფლება ენიჭებოდა. კოსოვოს ასამბლეა წარმოადგენდა პროვინციის თვითმმართველობის უმაღლეს ორგანოს. სერბეთის რესპუბლიკას ამა თუ იმ საკანომდებლო აქტის გამოცემა მხოლოდ და მხოლოდ პროვინციული ასამბლეების დასტურის შემთხვევაში შეეძლო, ხოლო მათი დასტურის გარეშე სერბეთის მთავრობის ყველა კანონს ძალა მხოლოდ სერბეთის ავტონომიური პროვინციების მიღმა ჰქონდა.[5] ამგვარად, სერბეთის შემადგენლობაში, 1974 წლის იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული

---

[1] **Маначинский А. Я, Денисов Д. О.** Косово и Метохия.., გვ. 41.

[2] **Sami Repishti.** "Human Rights and the Albanian Nationality in Yugoslavia". In: ***Human Rights in Yugoslavia.*** Edited by ***Oskar Gruenwald and Karen Rosenblum-Cale***. New York: Irvington Pub, 1986, გვ. 249.

[3] Албанский фактор в развитии кризиса на территории бывшей Югославии.., გვ. 22.

[4] **Aleksandar Petrovich & ĐorĐe Stefanovich.** Kosovo, გვ. 1099.

[5] **Robert M. Hayden.** Constitutional events in Yugoslavia, 1988-1990: From Federation to Confederation and paralysis? Final Report to National Council for Soviet and East European Research. University of Pittsburgh, 1990, გვ. 11; **Momčilo Pavlović.** Yugoslavia – The Constitution of 1974 and some political results. ელექტრონული ვერსია იხ.: http://www. transconflict.com/2013/04/yugoslavia-the-constitution-of-1974-and-some-political-results-19.

რესპუბლიკის კონსტიტუციით კოსოვოს სოციალისტური ავტონომიური პროვინციის უფლებები მეტად გაფართოვდა.

აღნიშნული კონსტიტუციური ცვლილებების გარდა, 70-იანი წლები ზოგადად კოსოვოს ავტონომიური პროვინციისთვის ერთგვარ ოქროს ხანად ითვლება. ტიმ ჯუდას მართებული შენიშვნით, პროვინციის მაცხოვრებლები სარგებლობდნენ მაქსიმალური თავისუფლებით, რაც კი მათ ოდესმე ჰქონიათ და ჰქონდათ საუკეთესო განათლებისა თუ ჯანდაცვის სისტემა, რითაც კი როდესმე უსარგებლიათ. ამ ფაქტორებმა განსაკუთრებით პოზიტიური გავლენა იქონია კოსოვოელ ალბანელებზე. თუკი 1948 წელს იუგოსლავიის ტერიტორიაზე მცხოვრები წერა-კითხვის უცოდინარი ალბანელების რაოდენობა 73% იყო, 1971 წლისთვის ეს მაჩვენებელი 31.5%-ზე ჩამოვიდა.[1]

ამასთან ერთად, ამ პერიოდში მკვეთრად გაუმჯობესდა ალბანელთა დემოგრაფიული მდგომარეობა. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, 1961 წელს კოსოვოში მაცხოვრებელი ალბანელები მოსახლეობის 67.2% – 646 605 ადამიანს წარმოადგენდნენ, როდესაც 1971 წელს მათი რაოდენობა უკვე 73.7% – 916 167 ადამიანს შეადგენდა.[2] ამავე პერიოდში ხდებოდა ეთნიკურად ალბანელთა დანიშვნა სხვადასხვა მნიშვნელოვან პოსტებზე, რისი ნათელი მაგალითიც იყო ფადილ ჰოჯას მიერ იუგოსლავიის პრეზიდიუმის ვიცე პრეზიდენტის პოსტის დაკავება 1978 წელს. 1981 წლის მოსახლეობის ოფიციალური აღწერის მიხედვით, კოსოვოელი ალბანელები უკვე კოსოვოს მთლიანი მოსახლეობის 77.42%-ს შეადგენდნენ, ხოლო სერბები კი – მხოლოდ და მხოლოდ 13.2%-ს.[3]

ალბანელთა ამგვარი დაწინაურება სერბების უკმაყოფილებას იწვევდა. 1975 წლის 16 იანვარს სერბეთის რესპუბლიკის წარმომადგენლობამ 1974 წლის კონსტიტუციის გადახედვა მოითხოვა. ეს მოთხოვნა მიმართული იყო სერბეთის მთავრობის გავლენის აღდგენაზე საკუთარი ავტონომიური პროვინციების მმართველობით ორგანოებში. სერბებმა შექმნეს ექსპერტთა ჯგუფი, რომელთაც 1977 წლისთვის გამოსცეს ე.წ. „ცისფერი წიგნი“. ამ დოკუმენტში ისინი 1974 წლის კონსტიტუციას აკრიტიკებდნენ. კონფლიქტი საბოლოოდ გადაწყდა „უზენაესი არბიტრის“ – იოსიპ ბროზ ტიტოს ჩარევით.

---

[1] **Tim Judah.** Kosovo. გვ. 55.
[2] The Population of Yugoslavia. Belgrade, 1974, გვ. 40; **Miranda Vickers.** Between Serb and Albanian, გვ. 171.
[3] **Miranda Vickers.** Between Serb and Albanian, გვ. 183.

სერბეთის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ტიტომ განაცხადა, რომ 1974 წლის კონსტიტუცია მიმართული იყო ფედერაციის მასშტაბით ეთნიკური ბალანსის დარეგულირებასა და ცენტრალიზაციის მასშტაბების შემცირებაზე, რაც, მისი აზრით, უმნიშვნელოვანეს ღირებულებებს წარმოადგენდა იუგოსლავიის ფედერაციისთვის.[1] ამგვარად, სერბების მიერ 1974 წლის კონსტიტუციის რევიზიის მცდელობამ იოსიპ ბროზ ტიტოს მხარდაჭერა ვერ ჰპოვა 70-იანი წლების დასასრულისთვის.

ტიტო გარდაიცვალა 1980 წლის 4 მაისს. ამ ფაქტმა ხელი შეუწყო იუგოსლავიის ისტორიაში სრულიად ახალი ეპოქის დაწყებას, რომელმაც, თავის მხრივ, 1990-იანი წლების დასაწყისში ფედერაცია დაშლამდე მიიყვანა. კოსოვოს რეგიონისთვის ტიტოს გარდაცვალება სერბული ნაციონალისტური ტენდენციების გაძლიერების მანიშნებელი იყო.

1981 წლის 11 მარტს პრიშტინას უნივერსიტეტის სტუდენტებმა უკმაყოფილება გამოთქვეს სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში შექმნილი პირობების გამო. აღსანიშნავია, რომ იუგოსლავიის ფედერაციის მასშტაბით სტუდენტების ყველაზე დიდი რაოდენობა სწორედ კოსოვოსა და მეტოხიის ავტონომიურ პროვინციაში იყო წარმოდგენილი.[2]

ასეთ პირობებში, პრიშტინას უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში სტუდენტების დიდი რაოდენობის გამო, ადგილები პრაქტიკულად არ დარჩა. სტუდენტების უკმაყოფილებები გადაიზარდა მანიფესტაციებში, რომელთა კონტროლიც მოგვიანებით შეუძლებელი გახდა. აღნიშნული გამოსვლების დროს დაფიქსირდა ძირითადად სერბი და მონტენეგროელი სტუდენტების ცემის ფაქტები. 1981 წლის 15 მარტს „მოულოდნელმა“ ხანძარმა გაანადგურა პეჩის საპატრიარქოს სასადილოს ნაწილი.[3]

ამ მოვლენებმა კოსოვოს და მთლიანად იუგოსლავიის სერბი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. 1985 წლის ოქტომბერში სხვადასხვა სერბული ჯგუფების მიერ შედგენილი პეტიცია გაიგზავნა როგორც ფედერალური, ასევე სერბული კომუნისტური ხელმძღვანელობის მისამართით, რომელშიც სერბები ითხოვდნენ კოსოვოს

[1] **Momčilo Pavlović.** Yugoslavia – The Constitution of 1974 and some political results.
[2] Studies on Kosova. East European Monographs, number 155. Ed. by **Arshi Pipa** and **Sami Repishti.** Boulder, CO: East European Monographs, 1984, გვ. 144.
[3] **Miranda Vickers.** Between Serb and Albanian, გვ. 197.

სერბული მოსახლეობის ჩაგვრისა და დისკრიმინაციის შეწყვეტას.[1]

კოსოვოსა და მეტოხიის სერბთა უკმაყოფილებას აძლიერებდა პროვინციაში შექმნილი დემოგრაფიული მდგომარეობა. სერბთა რაოდენობა 1960-იან წლებში 27.5% შეადგენდა, ხოლო 1980-იან წლებში კი შემცირდა 14.9%-მდე.[2] ამასთან ერთად, მათი რაოდენობა იკლებდა ფედერაციის მასშტაბითაც. პროფ. სიუზან ვუდუორდის მიხედვით, სერბთა რაოდენობა იუგოსლავიის მასშტაბით 1961-1991 წლებში 42%-დან 36.2%-მდე შემცირდა, მაშინ, როდესაც ალბანელთა რაოდენობა ფედერაციული მასშტაბით 5%-დან 9.3%-მდე გაიზარდა.[3] ამის გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ 70-იანი წლების ბოლო და 80-იანი წლების დასაწყისი სერბული ნაციონალისტური იდეოლოგიის აღზევების ხანად გვევლინება.

„სერბული საკითხი" ოფიციალურად გაჟღერდა 1986 წელს სერბეთის მეცნიერებათა აკადემიის მემორანდუმში.[4] დოკუმენტი შედგენილი იყო სერბეთის წამყვანი ინტელექტუალების მიერ, მწერალ დობრიჩა კოსიჩის მეთაურობით. მემორანდუმის მიხედვით, სერბი ხალხის დემოგრაფიული პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთ გზად, სერბულ სამეცნიერო წრეებს, სერბების ერთ სახელმწიფოში გაერთიანება ესახებოდათ. ასევე უნდა მომხდარიყო კოსოვოსა და მეტოხიის პროვინციის დეალბანიზაცია სერბებისა და მონტენეგროელების აქ დასახლებით.[5]

სერბთა 1986 წლის მემორანდუმი მკვეთრად გამოხატავდა სერბეთის ეროვნულ პოზიციას. რუსი მკვლევრის ელენა გუსკოვას თქმით, 80-იან წლებში იუგოსლავიის ფედერაციის აღსასრული უკვე საგრძნობი იყო და ფედერაციის მთავრობა – ძირითადად სერბი წარმომადგენლები – განიხილავდა ფედერაციის შენარჩუნების გეგმებს.[6]

სერბები იუგოსლავიის ფედერაციის გადარჩენისა და ამ ფედერაციაში სერბული ეთნიკური ელემენტის დაწინაურების ინიციატივით გამოდიოდნენ. სერბების ეს განწყობა დიდწილად განაპირობა იოსიპ ბროზ ტიტოს პოლიტიკამ. მამით ხორვატი და

---

[1] **Nebojsa Vladisavljevic.** Nationalism, Social Movement Theory and the Grass Roots Movement of Kosovo Serbs, 1985-1988. / *Europe-Asia Studies*, Vol. 54, No. 5. Glasgow: Carfax Publishing, 2002, გვ. 772.

[2] **Nebojsa Vladisavljevic.** Nationalism, გვ. 777.

[3] **Susan Woodward.** Balkan Tragedy, გვ. 32.

[4] Memorandum 1986 (the Greater Serbian Ideology) by Serbian Academy of Arts and Sciences. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.trepca.net/english/2006/serbian_memorandum_1986/serbia_memorandum_1986.html.

[5] **Denisa Kostovicova.** Parallel worlds: Response of Kosovo Albanians to loss of Autonomy in Sebia. 1986-1996. Keele: Keele Univerity European Research Centre, Keele University, 1997, გვ. 17-18; **Tim Judah.** Kosovo, გვ. 62-63.

[6] **Елена Гуськова.** История югославского кризиса (1990-2000), გვ. 97.

დედით სლოვენი ტიტოს მთავარ მიზანს იუგოსლავური – ანუ სამხრეთ სლავური ერთობის შენარჩუნება წარმოადგენდა და არა სერბული ნაციონალიზმის დაწინაურება ფედერაციაში. სწორედ ამ მიზეზით ხდებოდა ტიტოს საფლავის შეურაცხყოფა სერბი ნაციონალისტების მიერ, რომლებიც მას ხორვატ უსტაშად მოიხსენიებდნენ.[1]

1987 წლის აპრილში სერბეთის კომუნისტური პარტიის მეთაური სლობოდან მილოშევიჩი, სერბეთის პრეზიდენტის ივან სტამბოლიჩის (1986-1987) მითითებით ჩავიდა კოსოვოში. მილოშევიჩს შეეგება კოსოვოელი სერბების მანიფესტაცია შემახილებით: „ჩვენ გვსურს თავისუფლება!“ შექმნილ ვითარებაში დემონსტრანტების მიმართ ძალა იქნა გამოყენებული. მილოშევიჩი ხალხს წესრიგის დაცვისკენ, ხოლო პოლიციელებს კი ხალხის ცემის შეწყვეტისკენ მოუწოდებდა.[2]

1989 წლის 3 მარტს იუგოსლავიის ფედერაციულმა მთავრობამ კოსოვოს ავტონომიური პროვინციის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ამ პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა სერბეთის კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებზე, რომლის მიხედვითაც, კოსოვოს პროვინციის მმართველობაში უნდა გაზრდილიყო სერბეთის მთავრობის უფლებები. 23 მარტს კოსოვოს ასამბლეის შენობა გარშემორტყმულ იქნა პოლიციის ნაწილებითა და ტანკებით. სწორედ ამგვარ გარემოებაში „დაუჭირეს მხარი“ ასამბლეის დეპუტატებმა სერბების ინიცირებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომლებიც 28 მარტს დამტკიცდა.[3]

საინტერესოა, რომ კონკრეტულად კოსოვოსთან და მის სტატუსთან მიმართებაში ზემოაღნიშნულ საკონსტიტუციო ცვლილებებში საუბარი არ ყოფილა. 43-ე შესწორების მიხედვით, ხდებოდა 1974 წლის კონსტიტუციის 296-ე მუხლში მოცემული ნორმების ცვლილება, რომელთა მიხედვითაც, ნებისმიერი სახის გადაწყვეტილება ამა თუ იმ რესპუბლიკის წარმომადგენლებს უნდა მიეღოთ პროვინციულ წარმომადგენლობებთან შეთანხმებით.[4] ამჯერად, შესწორებების შემდეგ, გადაუდებელ შემთხვევებში, სერბეთის მთავრობას ენიჭებოდა უფლება მუნიციპალურ ავტორიტეტებთან პირდაპირ კონტაქტზე გასვლისა, პროვინციული ორგანოების გვერდის ავლით,

---

[1] **В. И. Косик.** Балканы.., გვ. 243.
[2] **Nebojsa Vladisavljevic.** Nationalism, გვ. 774.
[3] **Miranda Vickers.** Between Serb and Albanian, გვ. 234; **Tim Judah.** Kosovo, გვ. 67.
[4] The Constitution of the Socialist Federal Republic of Yugoslavia. Belgrade, 1974, გვ. 245. ელექტრონული ვერსია იხ.: http://www.worldstatesmen.org/Yugoslavia-Constitution1974.pdf.

როდესაც საქმე ეხებოდა სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებას.[1]

აღნიშნული კონსტიტუციური შესწორებების გარდა, სერბეთის პარლამენტმა გამოსცა ბრძანებები საკონსტიტუციო რეფორმების შესახებ საგანმანათლებლო სფეროში, რომლის მიხედვითაც კოსოვოს უნივერსიტეტებსა და სკოლებში სასწავლო საპროგრამო გეგმის შედგენა ბელგრადთან შეთანხმებით უნდა მომხდარიყო.[2] გარდა ამისა, შემოღებულ იქნა შეზღუდვები ალბანელთათვის სხვადასხვა სახის კერძო საკუთრების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით. ათასობით ალბანელი იქნა განთავისუფლებული სახელმწიფო სამსახურებიდან. ალბანელ სტუდენტებს აეკრძალათ სხვადასხვა უნივერსიტეტებში შესვლა და ა.შ.[3]

1989 წლის 28 ივნისს, კოსოვოს ბრძოლის 600 წლის იუბილეზე სლობოდან მილოშევიჩი უკვე სერბეთის პრეზიდენტის რანგში ეწვია კოსოვოს. ამ ვიზიტისას მან კოსოვოს სერბ მოსახლეობას მიმართა ცნობილი სიტყვებით: „მეტად ვეღარავინ გაბედავს თქვენს ცემას“.[4] მილოშევიჩი შეუდგა კოსოვოს პროვინციაში სერბული „მშვიდობის დამყარების“ გეგმის განხორციელებას. სერბები რადიკალურ ძალისმიერ ზომებს მიმართავდნენ ალბანელების წინააღმდეგ. ზოგიერთი მონაცემის თანახმად, 1990 წლის შემოდგომაზე კოსოვოს ალბანურენოვან სკოლებში მოწამლეს სასმელი წყალი, რასაც მოჰყვა ინტოქსიკაციის 7000-მდე შემთხვევა ბავშვებში.[5]

სერბების აღნიშნული ღონისძიებების საწინააღმდეგოდ, 1989 წლის 23 დეკემბერს შეიქმნა კოსოვოს დემოკრატიული ლიგა ალბანელი მწერლის – იბრაჰიმ რუგოვას ხელმძღვანელობით. მოგვიანებით, 90-იან წლებში, აღნიშნული ლიგა კოსოვოელი ალბანელების წინააღმდეგობის სიმბოლოდ იქცა სერბებთან ბრძოლაში.

1990 წლის 2 ივლისს კოსოვოს ასამბლეის 123-დან 114-მა წევრმა მხარი დაუჭირა კოსოვოს, როგორც იუგოსლავიის ფედერაციის მეშვიდე რესპუბლიკის რესპუბლიკის შექმნას. კოსოვოელი ალბანელების ეს ნაბიჯი, რა თქმა უნდა მიმართული იყო კოსო-

---

[1] Serbia's Constitutional Amendments and the Autonomous Provinces. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://yugoslavtruth.blogspot.com/2005/09/serbias-constitutional-amendments-and.html.

[2] **Julie A. Mertus.** Operation Allied Force: handmaiden of Independent Kosovo. / *International affairs.* Royal Institute of International affairs. Vol. 85, No. 3. 2009, გვ. 467.

[3] **Richard Caplan.** International Diplomacy and the crisis in Kosovo. / *International Affairs*, Vol. 74, No. 4. 1998, გვ. 751.

[4] **Tim Judah.** Kosovo, გვ. 65.

[5] From Autonomy to Colonisation: Human Rights in Kosovo 1989-1993. International Helsinki Federation for Human Rights. November 1993, გვ. 23-24.

ვოს სტატუსის ამაღლებისკენ და მისი უფლებრივად გათანაბრებისკენ სხვა რესპუბ-ლიკებთან მიმართებაში, რასაც კოსოვარები ე.წ. „დამოუკიდებლობას“ უწოდებდნენ. ეს ნაბიჯი სერბების მხრიდან კანონგარეშედ გამოცხადდა და კოსოვოს ე.წ. „დამოუკი-დებლობა“ ამჯერად მხოლოდ ალბანეთის მიერ იქნა აღიარებული.[1]

1992 წლის აპრილისთვის იუგოსლავიის ფედერაციამ პრაქტიკულად შეწყვიტა არსებობა. ამ მოვლენამ განაპირობა სრულიად ახალი პოლიტიკურ-ისტორიული ეპ-ოქის დაწყება ბალკანეთში.

§2. აფხაზეთი 1921-1991 წლებში

2.1. XX ს. 20-30-იანი წლების კონსტიტუციური და სამართლებრივი საკითხები

საქართველოს ოკუპაცია საბჭოთა კავშირის მიერ წარმოადგენდა კიდევ ერთ შანსს აფხაზი სეპარატისტებისთვის საქართველოსგან გამოსაყოფად. 20-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთი წარმოადგენდა რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალუ-რი კომიტეტის, კავკასიის ბიუროს დაქვემდებარებულ ტერიტორიულ ერთეულს. კავ-კასიის ბიუროს მეთაურობდა გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძე. აფხაზეთის მომავალი სტატუსი ამ პერიოდში არ განსაზღვრულა არც აფხაზეთის რევოლუციური კომიტე-ტისა და არც კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელობის მიერ.

1921 წლის 31 მარტს სეპარატისტების მიერ გამოცხადდა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, თუმცა აფხაზთა ამ „დამოუკიდებლობას“ ამ დროს თა-ვად მოსკოვიც კი არ აღიარებდა მისი ფიქტიური ხასიათის გამო.[2] ამავე დროს, აღსა-ნიშნავია ისიც, რომ ეს მოვლენა ნამდვილად ექცეოდა მოსკოვის პოლიტიკურ ინტე-რესებში. ამის ნათელი მაგალითია იმ დროს საქართველოში რუსეთის სამხედრო ატა-შეს – პაველ სიტინის მისია, რომელზეც დეტალურად მოგვითხრობს რუსი ავტორი ანდრეი განინი თავის ვრცელ სტატიაში: „საბჭოთა სამხედრო სადაზვერვო მისია სა-ქართველოში 1920-1921 წლებში“.[3] აღნიშნულ ნაშრომში ავტორს დოკუმენტების სა-ხით აქვს წარმოდგენილი სიტინის არქივი, საიდანაც აშკარად ჩანს ახლადშექმნილი

---

[1] **Tim Judah.** Kosovo, გვ. 69

[2] **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия.., გვ. 470-472.

[3] **Андрей В. Ганин.** Советская военная разведка в Грузии в 1920-1921 годах. Миссия Павла Ситина. Государственное управление. / *Электронный вестник.* Выпуск № 43. Апрель 2014, გვ. 207-251.

საბჭოთა რუსეთის დამოკიდებულება ახლადგასაბჭოებულ საქართველოსთან.

სიტინის თქმით, „ქართული შოვინიზმის“ ტერიტორიულად და მატერიალურად შემასუსტებელ ფაქტორად საქართველოსგან აფხაზეთის ჩამოშორება უნდა ჩათვლილიყო. ამასთან ერთად, ზოგადად საქართველოს ტერიტორიის ეფექტური კონტროლისთვის, სიტინი აუცილებლად მიიჩნევდა საქართველოს დანაწევრებას ავტონომიურ ერთეულებად, რაც ითვალისწინებდა საქართველოსთვის არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ სამეგრელოს ჩამოშორებასაც.[1] სიტინის ამ საბუთებიდან მხოლოდ და მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანაა შესაძლებელი, რომ საბჭოთა იმპერია, ისევე, როგორც მეფის რუსეთი, მიზნად ისახავდა საქართველოს დანაწევრებას ავტონომიურ ერთეულებად, შემდგომში მის „ეფექტურად“ სამართავად. აღნიშნული გეგმების სახით, საქმე გვაქვს ისევ და ისევ *Divide et Impera*-ს კარგად ნაცნობ პრინციპთან.[2]

აფხაზი სეპარატისტების მიერ გამოცხადებული „დამოუკიდებლობა“ რომ იმ დროისთვის მხოლოდ და მხოლოდ ფიქციას წარმოადგენდა, ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ აფხაზეთი არ იყო 1921 წლის აგვისტოში შექმნილი „კავკასიის ეკონომიკური გაერთიანების“ წევრი.[3] ამასთან ერთად, ზურაბ პაპასქირის მართებული აღნიშვნით, აფხაზეთი მოხსენიებულიც კი არ არის ლენინის კორესპონდენციაში საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, დაღესტნისა და მთიელთა რესპუბლიკებთან.[4] გარდა

---

[1] **Андрей В. Ганин.** Советская военная разведка в Грузии в 1920-1921 годах.., გვ. 238-239. დოკუმენტი თავდაპირველად გამოქვეყნდა კრებულში: **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия.., 1997, გვ. 470-472.

[2] პ. სიტინის გეგმის მიმოხილვის შემდეგ, ძნელია გვერდი ავუაროთ ზემოაღნიშნული ბრიტანელი მეცნიერის ჯორჯ ჰიუიტის შეხედულებათა თანხვედრას სიტინის მიერ 20-იანი წლების დასაწყისში შემუშავებულ გეგმებთან. ჯორჯ ჰიუიტის ზემოთ მოყვანილ, 1997 წლის 1 ივნისს, ჰარლემის კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების შესავალში, აფხაზთა მიმართ ქართველების დამოკიდებულების კრიტიკისას, ავტორი ახსენებს მეგრელებს, სვანებს, ლაზებს და აქვე აკრიტიკებს ქართველებს ამ ხალხების ქართველებად მოხსენიების გამო (იხ.: **George Hewitt.** The role of scholars in the Abkhazians' loss of trust in the Georgians and how to remedy the situation. Harlem Conference-talk. 1st June 1997. http://www.georgehewitt.net/articles/abkhazia-georgia/128-the-role-of-scholars-in-the-abkhazians-loss-of-trust-in-the-georgians.). მსგავსი შეხედულება აქვს დაფიქსირებული ჰიუიტს მის კიდევ ერთ, ამჯერად მთარგმნელობითი ტიპის ნაშრომის შესავალში, სადაც ლავრენტი ბერიაზე, კანდიდ ჩარკვიანსა და აკაკი მგელაძეზე საუბრისას იგი მათ შემდეგნაირად მოიხსენიებს: „მეგრელი ლავრენტი ბერია, სვანი კანდიდ ჩარკვიანი და ქართველი აკაკი მგელაძე“ (იხ.: Appendix to Documents from the KGB archive in Sukhum. Abkhazia in the Stalin years. Translation by ***B. G. Hewitt.*** / *Central Asian Survey*, Vol. 15, Issue 2, 1996, გვ. 259). ამგვარად, ჯორჯ ჰიუიტის შეხედულებები ზოგადად ქართულ სახელმწიფოებრიობასა და საქართველოს ეთნიკურ სურათზე, მკვეთრ მსგავსებას ჰპოვებს სიტინის ბოლშევიკურ გეგმებთან საქართველოს მიმართ, რასაც მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს.

[3] **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия.., გვ. 118.

[4] **ზურაბ პაპასქირი.** ნარკვევები.., ნაკვ. II, გვ. 87. ლენინის მიმართვის ტექსტი იხ.: *Документы внешней политики СССР.* Т. 4. 19 марта 1921 г. – 31 декабря 1921 г. Москва: Государственное издательство политической литературы, 1960, გვ. 65-67.

ამისა, აღსანიშნავია, რომ აფხაზეთი არ არის მოხსენიებული ასევე 1921 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს, თურქეთს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის გაფორმებულ ყარსის ხელშეკრულებაში.[1]

ამგვარად, ზემოაღნიშნულ დოკუმენტებსა და წერილებში აფხაზეთის, როგორც „დამოუკიდებელი ერთეულის" არმოხსენიება მხოლოდ და მხოლოდ იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ აფხაზეთი წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილს, ავტონომიური ერთეულის სახით.

1921 წლის 16 დეკემბერს აფხაზეთსა და საქართველოს რესპუბლიკას შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც აფხაზეთის სტატუსს განსაზღვრავდა საქართველოს შემადგენლობაში. ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოს გავლით ხდებოდა აფხაზეთი ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის წევრი. ამასთან ერთად, აფხაზეთს ენიჭებოდა 1/3 -ით განსაზღვრული წარმომადგენლობა საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში.[2]

ეს ფაქტი დასტურდებოდა ასევე საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციით, რომელიც 1922 წლის 2 მარტს იქნა მიღებული. დოკუმენტის პირველი თავის მიხედვით, საქართველო შედგებოდა სამი ავტონომიური ერთეულისგან – აჭარის ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკისგან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისგან და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისგან, რომელიც საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან სპეციალური შეთანხმების საფუძველზე იყო გაერთიანებული.[3]

ავტონომიის სახით იყო მოხსენიებული აფხაზეთი ასევე 1924 წლის საბჭოთა კონსტიტუციის მე-15 მუხლშიც, რომელიც აფხაზეთს ასახელებდა აჭარის, სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბაღის და ნახჭევანის ავტონომიური რეგიონების გვერდით.[4]

აფხაზეთი ცალკე ერთეულად არ მოიხსენიებოდა ასევე 1922 წლის 13 დეკემბრის ამიერკავკასიის ფედერაციის კონსტიტუციის მიხედვითაც.[5]

---

[1] **Zurab Papaskiri.** Another look at one of the False Historical Postulates of the Abkhazian Separatist Ideology: On the question of Abkhazia's Political-State Status in 1921-1931. / *The Caucasus and Globalization*, Vol. 6, Issue 2. CA&CC Press, Sweden, 2012, გვ. 173. ყარსის ხელშეკრულების ტექსტი იხ.: *Документы внешней политики СССР*, т. 4, გვ. 420-429.

[2] **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия.., გვ. 483-484.

[3] აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი.., გვ. 73-77.

[4] აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი.., გვ. 82-83.

[5] Assays from the History of Georgia, გვ. 425.

მიუხედავად ყველა ზემოაღნიშნული დოკუმენტის მიერ აფხაზეთის სტატუსის მკვეთრი განსაზღვრისა, აფხაზეთის საბჭოების მესამე ყრილობამ (1925 წლის 26 თებერვალი – 3 მარტი) შეიმუშავა ახალი დოკუმენტი, რომელსაც სეპარატისტი ავტორები (ო. ბღაჟბა, ს. ლაკობა, ი. მარიხუბა, მ. ხვარცქია) უწოდებენ „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციას“.[1]

აღსანიშნავია, რომ ეს დოკუმენტი წინააღმდეგობაში მოდიოდა არა მხოლოდ ყველა ზემოჩამოთვლილ დოკუმენტებთან, არამედ საკუთარ თავთანაც, რაც მკაფიოდ ჩანდა დოკუმენტის მეოთხე და მეხუთე მუხლებში. მეოთხე მუხლის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკასთან სპეციალური შეთანხმებით დაკავშირებული „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, საქართველოს გავლით, შედიოდა „ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკაში“ და ამ უკანასკნელის გავლით ხდებოდა „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის“ წევრი. დოკუმენტის მეხუთე მუხლი კი აღნიშნავდა, რომ აფხაზეთის სსრ საკუთარ საშინაო საქმეებს განაგებდა დამოუკიდებლად ყველა ძალისაგან. აფხაზეთის სსრ-ს სუვერენიტეტი განისაზღვრებოდა მისი ნებაყოფლობითი გაერთიანებით ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკასა და სსრკ-სთან ... აფხაზეთის სსრ იტოვებდა ასფსრ-სა და სსრკ-ს ნებაყოფლობით დატოვების უფლებას.[2]

აღნიშნული დოკუმენტი თავად აფხაზეთის სსრ-ს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის, ნესტორ ლაკობას კრიტიკის საგანიც კი გახდა. ლაკობას თქმით, კონსტიტუცია „სულელურად“ იყო შედგენილი.[3] როგორც ცნობილია, აღნიშნული დოკუმენტი არასოდეს შესულა ძალაში და არც კი გამოქვეყნებულა XX ს. 60-იან წლებამდე. შესაბამისად, მას არავითარი ლეგიტიმური ძალა არ ჰქონია.[4]

საინტერესოა, რომ 1926 წლის აღწერის მიხედვით, აფხაზეთის მოსახლეობის 33.6%-ს ეთნიკურად ქართველები წარმოადგენდნენ (67.494 ადამიანი), მაშინ როდესაც „სუვერენიტეტისთვის“ მებრძოლი ეთნიკური აფხაზების რაოდენობა 55.918 ადა-

---

[1] **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии, გვ. 356-357; **Игорь Марыхуба.** Московские архивные документы об Абхазии XX века. Сухуми, 2008, გვ. 20-23; **Меджит Хварцкия.** История фальсификации и фальсификация истории (Сборник статей). Сухуми, 1997, გვ. 12-13.

[2] **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия.., გვ. 489-491.

[3] Из доклада Н. Лакоба на VII конференции Абхазской областной организации КПГ. 26 Ноября 1925г. დოკუმენტი მოყვანილია წიგნიდან: **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия.., გვ. 489-491.

[4] Assays from the History of Georgia, გვ. 427.

მიანს, ანუ მოსახლეობის 27.8%-ს შეადგენდა.[1] კიდევ უფრო საინტერესოა ის გარემოება, რომ აღწერის ოფიციალურ დოკუმენტების უფრო ადრე გამოცემულ კრებულში აფხაზეთის სსრ ფორმალურადაც კი არ არის გამოყოფილი და ეროვნებების მიხედვით აფხაზები პრაქტიკულად მთლიანად მიწერილია საქართველოს სსრ-ზე.[2]

სწორედ ამგვარი დემოგრაფიული სურათის ფონზე, საბოლოოდ, 1927 წლის მარტში, აფხაზეთის საბჭოების მეოთხე ყრილობაზე მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია. დოკუმენტის მიხედვით, აფხაზეთი წარმოადგენდა მუშათა და გლეხთა სოციალისტურ რესპუბლიკას, რომელიც სპეციალური ხელშეკრულებით იყო დაკავშირებული საქართველოს სსრ-სთან და ამ უკანასკნელის გავლით ხდებოდა ასფსრ-ს წევრი. კონსტიტუციის მე-8 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო უწყებებში ოფიციალურ ენად დაშვებული იყო: აფხაზური, ქართული და რუსული. 92-ე მუხლის მიხედვით, აფხაზეთის სსრ-ს სახელმწიფო ბიუჯეტი საქართველოს სსრ-ს ბიუჯეტის ნაწილს წარმოადგენდა.[3]

ამგვარად, 1927 წლის კონსტიტუციით აფხაზეთის სსრ წარმოადგენდა საქართველოს სსრ-ში შემავალ ავტონომიურ ერთეულს და არა „სუვერენულ სახელმწიფოს“, როგორც ამას სეპარატისტული ნარატივი „ამტკიცებს“.

საბოლოოდ, აფხაზეთის სსრ-ს „ავტონომიური რესპუბლიკა“ ოფიციალურად ეწოდა 1931 წელს. ეს მოვლენა, პროფ. ზურაბ პაპასქირის მართებული შენიშვნით, ეს წარმოადგენდა 30-იან წლებში სტალინის მიერ ჩაფიქრებული ცენტრალიზაციის პროცესის ნაწილს მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, რაც 1936 წელს სსრკ-ს ახალი კონსტიტუციის მიღებით დასრულდა. ამ დოკუმენტით, ოფიციალურად გამოცხადდა „ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის“ დაშლა და საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკები პირდაპირ შევიდნენ სსრკ-ს შემადგენლობაში. 1936 წლის კონსტიტუციის 25-ე მუხლის მიხედვით საქართველოს სსრ შედგებოდა აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ს, აჭარის ავტონომიუ-

---

[1] Всесоюзная перепись населения. 17 декабря 1926 г. Краткие сводки. Вып. XIV. Закавказская СФСР. Издание ЦСУ СССР. Москва, 1929. ელექტრონული ვერსია იხ.: http://www.demoscope.ru/weekly/ssp/sng_nac_26.php?reg=2346.

[2] Всесоюзная перепись населения. 17 декабря 1926 г. Краткие сводки. Вып. IV. Народность и родной язык населения. Издание ЦСУ СССР. Москва, 1928, გვ. 124.

[3] **Zurab Papaskiri.** Another look, გვ. 178-179.

რი სსრ-სა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისგან.[1]

აღნიშნული ცვლილებების შემდეგ, დადგა საჭიროება საქართველოს სსრ-სა და აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ს კონსტიტუციებში შესწორებების შეტანისა. 1937 წლის 13 თებერვალს მოხდა საქართველოს სსრ-ს ახალი კონსტიტუციის რატიფიცირება, ხოლო იმავე წლის 2 აგვისტოს მოხდა აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ს კონსტიტუციის რატიფიცირება. ორივე დოკუმენტში აფხაზეთი მოიხსენიებოდა საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში შემავალ „ავტონომიურ რესპუბლიკად".[2]

2.2. XX საუკუნის 40-იანი წლებიდან სსრკ-ს დაშლამდე

სტალინური ცენტრალიზაციის პოლიტიკის კიდევ ერთ ნაბიჯს 30-იან წლებში წარმოადგენდა დამწერლობის, ანბანური გრაფიკის ცვლილებები სსრკ-ს მასშტაბით. რეფორმის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სსრკ-ს მასშტაბით კირილიცაზე გადასვლა. სწორედ ამ პერიოდში მოხდა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში რუსულის ნაცვლად, ქართული ანბანის შემოღება. ეს ფაქტი, ზურაბ პაპასქირის მართებული აღნიშვნით, განაპირობა არა სტალინის სურვილმა, რომ როგორმე ქართული ენა დაეწინაურებინა საკავშირო მასშტაბით, არამედ თავად სსრკ-ს მასშტაბით ცენტრალიზაციის რეფორმის საჭიროებამ და ამ რეფორმის ლოგიკამ, რადგან ყველა იმ საბჭოთა რესპუბლიკას შორის, რომელიც ავტონომიური ერთეულებისგან შედგებოდა (რუსეთის სფსრ, უზბეკეთის სსრ და აზერბაიჯანის სსრ), მხოლოდ საქართველოს ჰქონდა საკუთარი, ყველასგან განსხვავებული ანბანი.[3]

საბჭოთა კავშირი აგრძელებდა მეფის რუსეთის კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკას საქართველოსა და ზოგადად კავკასიასთან მიმართებით. სწორედ ამიტომ, როგორც მინიმუმ, გულუბრყვილობა იქნებოდა, აღნიშნულ რეფორმასთან დაკავშირებით, აფხაზური სეპარატისტული ლიტერატურის (და მათი შეხედულებების გამზიარებელი სხვა ავტორების[4]) შეხედულების გაზიარება და თქმა იმისა, რომ თავად საბ-

---

[1] Конституция (основной закон) Союза Советских Социалистических Республик. Издание ЦИК СССР. Москва–Кремль, 1937, გვ. 14.

[2] **Zurab Papaskiri.** Another look, გვ. 179; Assays from the History of Georgia, გვ. 436.

[3] **Зураб Папаскири.** Абхазия. История без фальсификации, გვ. 266.

[4] **Edward Mihalkanin.** "The Abkhazians: A National Minority in their own Homeland." In: The De-Facto States: Quest for Sovereignty. Edited By ***Tozun Bahcheli, Barry Bartmann, Henry Srebrnik.*** Routledge, 2004, გვ. 143-164.

ჭოთა ოკუპაციის ქვეშ მცხოვრებ საქართველოს სსრ-ს მესვეურებს, შეიძლებოდა საკუთარი „იმპერიული ამბიციებით“[1] ეხელმძღვანელა აფხაზი ხალხის მიმართ და სწორედ ამ მიზეზით გავრცელებულიყო აფხაზეთში ქართული ანბანი 1930-იან წლებში.

სსრკ კომუნისტური პარტიის ცკ-ს საორგანიზაციო ბიუროს 1938 წლის 24 იანვრის დეკრეტით, საბჭოთა კავშირის მასშტაბით დაიწყო სასკოლო-საგანმანათლებლო რეფორმა, რომლიც მთავარ მიზანს წარმოადგენდა სპეციალური ეროვნული სკოლების (ქართული, ესტონური, ბერძნული და ა.შ.) გადაყვანა ზოგადსაბჭოთა სასკოლო პროგრამებზე, რისთვისაც, ავტონომიური ერთეულების შემთხვევაში, საჭირო იყო სასწავლო პროგრამების გადაყვანა შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის ენაზე.

ბუნებრივია, აფხაზური სკოლები სწორედ ზემოაღნიშნული სპეციალური ეროვნული სკოლების რიცხვში შედიოდნენ. აღნიშნული რეფორმის მიხედვით, აფხაზეთის სკოლებში სასწავლო პროგრამების ენად რუსული ან ქართული უნდა გამოცხადებულიყო, თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ რუსულ ენას აფხაზურ სკოლებში ამ რეფორმამდე დომინანტი ადგილი ეჭირა, აფხაზურ ენაზე სწავლება ხდებოდა მხოლოდ პირველიდან მეოთხე კლასამდე, ამის შემდეგ, ყველაფერი რუსულ ენაზე ისწავლებოდა.

თავიდან, კომუნისტური საქართველოს კომპარტიის ცკ-ს მესვეურებს, აფხაზი მოსახლეობის უკმაყოფილების ასარიდებლად, თავშეკავება გამოუხატავთ ამ რეფორმის მიმართ, თუმცა, საბოლოოდ, იძულებული გამხდარან, დასთანხმებოდნენ ამ რეფორმის გატარებას აფხაზეთში. ამ რეფორმის მომხრედ თავად აფხაზი პედაგოგებიც გამოსულან. აფხაზი პედაგოგის, მოქვის საშუალო სკოლის დირექტორის ბ. კაციას მიერ საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის რეგიონული კომიტეტისთვის 1944 წლის 28 აგვისტოს მიწერილი წერილიდან ვიგებთ, რომ თავად კაციას აზრით, აფხაზურ სკოლებში ქართულ ენაზე სწავლება ნამდვილად დადებითი მოვლენა უნდა ყოფილიყო.[2]

ზემოაღნიშნულ რეფორმებთან ერთად, სეპარატისტულ ლიტერატურაში, ქართული მხარისადმი ერთ-ერთ მორიგ ბრალდებად ვხვდებით ქართველთა მიერ აფხაზეთის „კოლონიზაციის“ საკითხს, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა 1937-1953

[1] **О. Х. Бгажба. С. З. Лакоба.** История Абхазии.., გვ. 366-367.
[2] **Зураб Папаскири.** Абхазия. История без фальсификации, გვ. 271-276; Assays from the History of Georgia, გვ. 441-443; **დაზმირ ჯოჯუა.** აფხაზეთი 1938-2006 წლებში, გვ. 63-69.

წლებში.[1] რა თქმა უნდა, შეუძლებელია ქართველების მიერ აფხაზეთში მასობრივად ჩასახლების ტენდენციის უარყოფა ამ პერიოდში, ისევე როგორც შეუძლებელია უარვყოთ რუსებისა, სომხების და სხვა ეთნიკური ჯგუფების ჩასახლების ფაქტები აფხაზეთში. 1939 წლის აღწერის მიხედვით, ეთნიკური აფხაზები აფხაზეთის ასსრ-ს მოსახლეობის 18%-ს (56197 ადამიანს) შეადგენდნენ და მათ, ქართველებთან ერთად (29.5% – 91967 ადამიანი), აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსებიც სჭარბობდნენ – 19.3% (60201 ადამიანი).[2]

ერთ-ერთ ყველაზე ირონიულ მომენტს ამ საკითხთან მიმართებაში წარმოადგენს საკითხის მიმართ აფხაზური სეპარატისტული ლიტერატურის დამოკიდებულება, რომელიც გვერდს უვლის მეფის რუსეთის მიერ აფხაზი ხალხის მიმართ ჩადენილ დანაშაულს XIX საუკუნის 60-70-იან წლებში, ხოლო XX ს. 30-50-იან წლებში აფხაზეთში ქართველთა ჩასახლებას კი „კოლონიზაციას“ უწოდებს.[3]

მკვლევარ ზურაბ პაპასქირის მართებული შეკითხვით, მაშინ, როდესაც ეთნიკური რუსების რაოდენობა აფხაზეთში 1886-1989 წლებში 70-ჯერ გაიზარდა და თითქმის იგივე სტატისტიკა გვაქვს აფხაზეთში სომხური მოსახლეობის მიმართ,[4] რა განსაკუთრებული ზიანი მიაყენეს აფხაზებსა და აფხაზეთს ქართველებმა?[5] სამწუხაროდ, აღნიშნულ კითხვაზე არგუმენტირებული, მეცნიერული პასუხი სეპარატისტი მეცნიერების მხრიდან დღემდე არ არსებობს.

აფხაზეთში საბჭოთა გეგმებსა და რეფორმებზე საუბრისას, აღნიშვნის ღირსია 1945 წელს სსრკ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მიხაილ სუსლოვის მიერ გაჟღერებული გეგმა აფხაზეთის „საკურორტო რესპუბლიკად“ გა-

---

[1] **Bruno Coppieters.** In Defence of the Homeland: Intellectuals and the Georgian-Abkhazian Conflict. In: Secession, History and the Social Sciences. Ed. by B. Coppieters & M. Huysseune. VUB Brussels University Press, 2002, გვ. 92.

[2] ***Всесоюзная перепись населения 1939 года: Основные итоги.*** Под редакцией Ю. А. Полякова. Москва: «Наука», 1992, გვ. 72.

[3] **О. Х. Бгажба. С. З. Лакоба.** История Абхазии.., გვ. 370-372.

[4] 1886 წლის აღწერის მიხედვით, აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ეთნიკური რუსების რაოდენობა შეადგენდა 1096 ადამიანს (1.6%). პრაქტიკულად მათი იდენტურია ამ პერიოდში აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური სომხების რაოდენობის მაჩვენებელი – 1090 და 1.6% (იხ.: Свод статистических данных.., https://dlib.rsl.ru/viewer/01005403186#?page=163). რაც შეეხება 1989 წლის აღწერის მონაცემებს, ამ დროს აფხაზეთის ასსრ-ს ტერიტორიაზე უკვე 74914 (14.3%) ეთნიკურად რუსი, ხოლო 76541 (14.6%) ეთნიკური სომეხი მოსახლეობდა. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.ethno-kavkaz.narod.ru/rnabkhazia.html.

[5] **Зураб Папаскири.** Абхазия.., გვ. 278.

დაქცევის შესახებ.

აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის სოხუმის კომიტეტის მდივნის აკაკი მგელაძის (1943-1951) თანახმად, 1948 წლის შემოდგომაზე სტალინი აფხაზეთში ისვენებდა. ერთ-ერთ არაოფიციალურ ვახშამზე, რომელსაც საქართველოსა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები – კანდიდ ჩარკვიანი და აკაკი მგელაძე ესწრებოდნენ, სსრკ-ს კომუნისტური პარტიის სპეციალური დეპარტამენტის უფროსმა ალექსანდრ პოსკრებიშევმა დასვა შეკითხვა, თუ რას მოიმოქმედებდნენ ქართველი და აფხაზი ამხანაგები, თუკი სსრკ-ს კომპარტიის ცკ-ს გადაწყვეტილებით აფხაზეთი, ახალი ათონის, გუდაუთისა და გაგრის მონაკვეთების ჩათვლით, სოჭის ოლქს შეუერთდებოდა და ამგვარად შეიქმნებოდა ე.წ. „საკურორტო ზონა“? კანდიდ ჩარკვიანსა და აკაკი მგელაძეს უპასუხიათ, რომ ეს ნიშნავდა აფხაზეთის ავტონომიის გაუქმებასა და მის ჩამოშორებას საქართველოსგან.[1] ეს ფაქტი აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების რეალური გეგმების კარგი მაგალითია.

1950-იანი წლების შუა ხანები აფხაზური სეპარატისტული განწყობების განსაკუთრებული აღზევების პერიოდია. ამ დროს თითქმის ნებისმიერი პოლიტიკური თუ კულტურული მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში, სეპარატისტების მიერ საქართველოსგან ჩამოსაშორებელ არგუმენტად აღიქმებოდა.

1954 წელს ქართველმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ პავლე ინგოროყვამ გამოაქვეყნა წიგნი: „გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა“. ამ ნაშრომში ავტორი ისტორიული წყაროებისა და გეოგრაფიული სახელების ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე, ავითარებდა თეორიას, რომ თანამედროვე აფხაზთა წინაპრები საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლდნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან XVII საუკუნისთვის.[2] ამ მოვლენამ ბიძგი მისცა სეპარატისტი აფხაზების საპროტესტო გამოსვლებს. 1957 წლის აპრილში სეპარატისტმა ლიდერებმა წერილით მიმართეს მოსკოვს აფხაზეთის კომუნისტური რუსეთის შემადგენლობაში შეყვანის შესახებ. მოსკოვმა ეს მოთხოვნა არ შეასრულა.[3]

---

[1] **Акакий Мгеладзе.** Сталин, каким я его знал. Страницы недавнего прошлого. Тбилиси, 2001, გვ. 108.

[2] **პავლე ინგოროყვა.** ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა: ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან. თხზულებათა კრებული. ტ. 3. თბილისი, 1954.

[3] **Bruno Coppieters.** In Defence of the Homeland, გვ. 93.

ამგვარად, როგორ ვხედავთ, 1950-იან წლებში აფხაზი სეპარატისტები, რომლებიც მოითხოვდნენ საქართველოსაგან გამოყოფასა და სუვერენიტეტს, უკვე მზად იყვნენ ეს სუვერენიტეტი დაეთმოთ რუსეთის წინაშე „ქართული იმპერიალიზმისგან“ თავის დასაცავად.

1966 წელს აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის გარდაცვალების შემდეგ, გამოქვეყნდა მის მიერ მომზადებული „საქართველოს ისტორიის საკითხების“ მესამე წიგნი, რომელშიც მრავალ სხვა ნაშრომთან ერთად, დაიბეჭდა მისი ორი სტატია: „მცირე შენიშვნა დიდი საკითხის გამო“[1] და „აფხაზეთის შესახებ“,[2] სადაც პრაქტიკულად გაზიარებული იყო პავლე ინგოროყვას ზემოაღნიშნული სამეცნიერო შეხედულებები. ამ ნაშრომს კვლავ მოჰყვა მღელვარებათა სერია აფხაზეთში. კიდევ ერთხელ, საქართველოს სსრ-სგან გამოყოფისა და რუსეთის სსრ-სთან შეერთების თხოვნა იქნა გაგზავნილი მოსკოვში, რომელიც არც ამჯერად დაკმაყოფილდა.[3]

მორიგ მღელვარებას აფხაზ სეპარატისტებში ადგილი ჰქონდა 1977 წლის დეკემბერში. ამჯერად საპროტესტო გამოსვლები დაკავშირებული იყო ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღებასთან (1977 წლის 7 ოქტომბერი). იმავე წლის 13 ივნისს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ შეიქმნა კომისია, რომელსაც საქართველოს სსრ-სა მასში შემავალი ავტონომიებისთვის უნდა შეემუშავებინა საკონსტიტუციო პროექტი. მომავალი კონსტიტუციის 75-ე მუხლი (სხვა მუხლებთან ერთად), 1978 წლის 24 მარტს დაიბეჭდა რესპუბლიკურ გაზეთში «Заря Востока».[4] ამ მუხლის მიხედვით, ქართულ ენასთან ერთად, სახელმწიფო სტატუსი ენიჭებოდათ ყველა სხვა ენებს, რომლებიც გამოიყენებოდა საქართველოს ტერიტორიაზე.[5]

ქართული საზოგადოება პროტესტით შეხვდა ამ მოვლენას, საპროტესტო მანიფესტაციები გაიმართა თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში. საბოლოოდ, სა-

---

[1] **ნიკო ბერძენიშვილი.** მცირე შენიშვნა დიდი საკითხის გამო. წიგნში: **ნიკო ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი III. თბილისი, 1966, გვ. 277-286.

[2] **ნიკო ბერძენიშვილი.** აფხაზეთის შესახებ. – წიგნში: **ნიკო ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი III. თბილისი, 1966, გვ. 287-288.

[3] **B. Coppieters.** In Defence of the Homeland..,გვ. 94; **ლევან იზორია.** აფხაზ სეპარატისტთა ანტიქართული „ამბოხი“ 1967 წელს. / *ტიპოლოგიური ძიებანი.* №7. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2015, გვ. 248-252; **ა. სონღულაშვილი.** აფხაზი თუ აფსუა? თბილისი: „უნივერსალი“, 2007, გვ. 16-36.

[4] Конституция (Основной Закон) Грузинской Советской Социалистической Республики. // *«Заря Востока»*, №70 (16046), 24 Марта 1978 года, გვ. 1-3.

[5] საკითხთან დაკავშირებით იხ.: **Л. Алексеева.** История Инакомыслия в СССР. Москва: «Весть», 1992, გვ. 69-77.

ქართველოს პარტიულმა ნომენკლატურამ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ს პირველი მდივნის – ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით, მოახერხა შეთანხმება მოსკოვთან და ქართულ ენას სახელმწიფო სტატუსი შეუნარჩუნდა.

აფხაზი სეპარატისტები ამ გადაწყვეტილებას პროტესტით შეხვდნენ. 1977 წლის 10 დეკემბერს აფხაზეთის სეპარატისტული ელიტის 130 წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი თხოვნა გაიგზავნა მოსკოვში, სსრკ-ს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, პირადად ლეონიდ ბრეჟნევთან. წერილში საქართველო წარმოჩენილი იყო იმპერიული ზრახვების მქონე მხარედ, რომელიც აფხაზი ერის ასიმილაციას, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ჩაგვრას ეწეოდა. სეპარატისტები, კიდევ ერთხელ, ითხოვდნენ საქართველოსაგან ჩამოშორებასა და კრასნოდარის მხარესთან მიერთებას.[1]

ამგვარად, ქართული საზოგადოების ბრძოლა ქართული ენისთვის სახელმწიფო სტატუსის შესანარჩუნებლად, საქართველოს სსრ-ს კონსტიტუციურ ტერიტორიაზე, აფხაზი სეპარატისტების მიერ წარმოჩენილ იქნა, როგორც ქართული „ნაციონალისტური მისწრაფებები“. სეპარატისტები უკვე მესამედ (1957, 1967, 1977) ითხოვდნენ საქართველოსგან გამოყოფასა და რუსეთთან შეერთებას, თითქოს სწორედ რუსეთი ყოფილიყო მათი ერთადერთი ხსნა ქართველთა „ჩაგვრისგან“.

სსრკ-სა და საქართველოს სსრ-ს ახალი კონსტიტუციების მიღებას მოჰყვა აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ს კონსტიტუციის განახლებაც (1978 წლის 6 ივნისს), რომლის 70-ე მუხლის მიხედვით, აფხაზეთის ავტონომიურ სსრ-ში ოფიციალურ სტატუსი ჰქონდა აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებს.[2]

ამასთან ერთად, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის 24 მაისის გადაწყვეტილების მიხედვით, დაიგეგმა ღონისძიებები ეკონომიკის და კულტურის განვითარებისთვის აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ს მასშტაბით. სოხუმში გაიხსნა აფხაზეთის (ოფიციალურ დოკუმენტებში – სოხუმის – კ.ყ.) სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელსაც ჰქონდა აფხაზური, რუსული და ქართული განყოფილებები. აფხაზეთის ავტონომიურ სსრ-ს გაუჩნდა ასევე საკუთარი ტელევი-

---

[1] **Д. Стуруа.** Сепаратистское движение в Абхазии в шестидесятые и семидесятые годы нашего столетия. Тбилиси, 1995, გვ. 47.

[2] აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი.., გვ. 178-183.

ზია და რადიო.[1]

მიუხედავად აფხაზეთის მიმართ ქართული მხარის ზემოაღნიშნული პოლიტიკისა, 80-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, სეპარატისტული განწყობები მხოლოდ და მხოლოდ იზრდებოდა. ეს ფაქტი დიდწილად განპირობებული იყო ქართული ეროვნული მოძრაობის გაძლიერებით, რომელიც „ლეგალური“ გახდა ე.წ. „საჯაროობის“ პერიოდში. ამ მოვლენებმა მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა საქართველოს სწრაფვას დამოუკიდებლობისკენ.

ბუნებრივია, ქართული ეროვნული გრძნობების გამოცოცხლება მკვეთრად აისახებოდა სეპარატისტთა განწყობებზე. 1988 წლის 17 ივნისს აფხაზთა მეცნიერებისა და კულტურის 60-მა წარმომადგენელმა ე.წ. „სამოცის წერილი“ გამოაქვეყნა, რომელშიც ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას კვლავ საქართველოსგან განცალკევება წარმოადგენდა.[2]

1989 წლის 18 მარტს აფხაზი სეპარატისტები შეიკრიბნენ გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში და მიიღეს ე.წ. „ლიხნის წერილი“, რომლითაც მიმართავდნენ სსრკ-ს პარტიულ ელიტას მოსკოვში. საქართველოსგან გამოცალკევება და „საკავშირო რესპუბლიკის“ სახით სსრკ-სთან მიერთება იყო აღნიშნული წერილის მთავარი მიზანი.[3]

1989 წელს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა კიდევ ერთი ბრძოლის ველი ქართველებისა და სეპარატისტების დაპირისპირებაში აფხაზეთის ტერიტორიაზე. სწორედ ამ პერიოდში მოხდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან ქართული სექტორის გამოყოფა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი.[4]

1989 წლის 15 აგვისტოს საქართველოს სსრ-მ მიიღო კანონი ქართული ენის კონსტიტუციური უფლებების შესახებ, რომლის მიხედვითაც, კიდევ ერთხელ ხდებოდა ქართული ენისთვის ოფიციალური სტატუსის მინიჭება პარტიული, ადმინისტრაციული, სამეცნიერო, კულტურული და ეკონომიკური ინსტიტუტების დონეზე.[5]

---

[1] **Г. Лежава.** Абхазия: Анатомия межнациональной напряжённости. Москва, 1999, გვ. 155-159; **დ. ჯოჯუა.** აფხაზეთი 1938-2006 წლებში.., გვ. 111; **B. Coppieters.** In defence of the Homeland, გვ. 95-96.

[2] **Игорь Марыхуба.** Абхазия в советскую эпоху. Том. I. Абхазские письма (1947-1989). Сборник документов. Сухуми, 1994, გვ. 383-450. ელექტრონული ვერსია იხ.: http://apsnyteka.org/2909-abkhazia_v_sovetskuyu_epokhu _I_abkhazskie_pisma_1994.html.

[3] **Игорь Марыхуба.** Абхазия в советскую эпоху. გვ. 452-460.

[4] Assays from the History of Georgia, გვ. 457.

[5] რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 7.

ამ კანონმა სეპარატისტთა მორიგი უკმაყოფილება გამოიწვია. მათ 1989 წლის 10 ოქტომბერს მიიღეს მსგავსი ტიპის კანონი აფხაზური ენის შესახებ, რომლის მიხედვითაც ისინი „იცავდნენ“ აფხაზური ენის სტატუსს მომსახურების, საინფორმაციო და სატრანსპორტო ინსტიტუტების მასშტაბით.[1] ამგვარად, საკანონმდებლო კუთხით, იქმნებოდა მეტად უცნაური სურათი – ქართულ კანონს ენის შესახებ სეპარატისტები პასუხობდნენ კანონით აფხაზური ენის შესახებ და ამით ცდილობდნენ „დაეცვათ“ აფხაზური ენა ქართველთა შევიწროებისგან. და ეს მაშინ, როდესაც აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ს 1978 წლის კონსტიტუციის ზემოაღნიშნულ 70-ე მუხლში (რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე ოფიციალური ენების სტატუსს განსაზღვრავდა) ქართულ მხარეს არანაირი ცვლილების შეტანა არც უცდია.

1990 წლის 9 მარტს საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი გამოაცხადა. ეროვნული მოძრაობა სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენდა საზოგადოებაში. ამგვარი ტენდენციით შეშინებულმა სსრკ-ს უმაღლესმა საბჭომ 1990 წლის 3 აპრილს მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც სსრკ-ში შემავალი ნებისმიერი საკავშირო რესპუბლიკის მიერ ამ კავშირის დატოვების შემთხვევაში, ამ რესპუბლიკებში შემავალ ავტონომიურ ერთეულებს უფლება ეძლეოდათ რეფერენდუმის საფუძველზე, თავად გადაეწყვიტათ სსრკ-ში დარჩენისა თუ მისი დატოვების საკითხი.[2] ამ კანონმა ძლიერი ბიძგი მისცა ისედაც მწვავე სეპარატისტულ ტენდენციებს აფხაზეთში.

1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ს უმაღლესმა საბჭომ მიიღო საკანონმდებლო აქტი: „დეკლარაცია აფხაზეთის სსრ-ს სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ“. ზედმეტია საუბარი იმაზე, რომ ეს დოკუმენტი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს სსრ-ს და აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ს მიერ 1977-1978 წელს შემუშავებულ კონსტიტუციებს. მოგვიანებით გაირკვა, რომ სეპარატისტების მიერ ზემოაღნიშნული დადგენილება მიღებულ იქნა კვორუმის არარსებობის პირობებში, რადგან საბჭოს კრებას 138 დეპუტატიდან მხოლოდ 68 (ნახევარზე ნაკლები) დეპუტატი

[1] რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 10.

[2] О порядке решения вопросов, связанных с выходом союзной республики из СССР. Закон. Верховный Совет СССР. 3 апреля 1990 г. N 1409-I (ВВСС 90-15). უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://ru.wikisource.org/wiki/Закон_СССР_от_03.04.1990_№_1409-I.

ესწრებოდა.[1]

მეორე დღეს, 26 აგვისტოს, საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმ-ის დადგენილებით, ზემოაღნიშნული აქტი კანონგარეშედ იქნა გამოცხადებული.[2]

1991 წლის 17 მარტს გაიმართა საკავშირო რეფერენდუმში სსრკ-ს შენარჩუნების საკითხზე. საქართველომ მასში მონაწილეობა არ მიიღო, მაშინ როდესაც აფხაზეთის არაქართველი მოსახლეობა[3] მონაწილეობდა აღნიშნულ რეფერენდუმში და მხარს უჭ-ერდა საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას. ამის მთავარ მიზეზად სეპარატისტი ისტორი-კოსის, ასლან ავიძბას ნაშრომში დასახელებულია აფხაზთა უზენაესი საბჭოს სურვილი სსრკ-ს სახით ხალხთა „თანასწორუფლებიანი სახელმწიფოს“ შენარჩუნებისა და საქარ-თველოს საკანონმდებლო იურისდიქციის შეზღუდვისა აფხაზეთის ტერიტორიაზე.[4]

ორი კვირის შემდეგ, აფხაზმა სეპარატისტებმა მონაწილეობა არ მიიღეს საქარ-თველოს დამოუკიდებლობის რეფერენდუმში, რომელიც საქართველოს მოსახლეობ-ის უმრავლესობის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდაჭერით დასრულ-და. საბოლოოდ, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. იმავე წლის ბოლოს – 25 დეკემბერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავში-რი ოფიციალურად დაიშალა.

ამგვარად, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას თან სდევდა ძლიე-რი პოლიტიკური წნეხი სსრკ-ს მხრიდან, რომელიც მიმართული იყო საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფისა და დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესის შე-ფერხებისკენ. სიმბოლურია, რომ საბჭოთა იმპერიის უკანასკნელი ამოსუნთქვა, მსგავსად მისი პირველი ნაბიჯებისა, გასული საუკუნის 20-იან წლებში, თანაბრად დესტრუქციული აღმოჩნდა საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის.

---

[1] **Джемал Гамахария.** Очерки из истории Грузии. Абхазия с древнейших времён до наших дней. Тбилиси, 2009, გვ. 534.

[2] იხ.: რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 24-25.

[3] 1989 წლის მონაცემებით, აფხაზეთის მთლიანი მოსახლეობის 45.7%-ს (239 872 ადამიანი) წარმოადგ-ენდნენ ქართველები, ხოლო 17.8%-ს (93 267 ადამიანი) შეადგენდნენ აფხაზები. Абхазская АССР (1989 г.). უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.ethno-kavkaz.narod. ru/rnabkhazia.html.

[4] **Аслан Авидзба.** Абхазия и Грузия: Завтра была война, გვ. 175.

§3. ცხინვალის რეგიონი (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) 1922-1991 წლებში

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აჭარის ასსრ-ა და აფხაზეთის ასსრ-სთან ერთად, მოიხსენიებოდა საქართველოს სსრ-ს 1922 წლის კონსტიტუციაში.[1] ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ უკვე 20-იანი წლებიდან მოყოლებული, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ელიტის მიერ აფხაზთა და ოსთა უფლებები საქართველოს შემადგენლობაში დაკნინებულად მიიჩნეოდა. ამის ნათელი მაგალითია იმ დროისთვის ეროვნებათა საკითხებში სახალხო კომისრის, თავად იოსებ სტალინის დამოკიდებულება აღნიშნული საკითხის მიმართ.[2] ამ მომენტის ხაზგასმა მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ეს ფაქტორი განსაზღვრავს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში შექმნილ ვითარებას პრაქტიკულად მთელი XX საუკუნის მანძილზე. ამ საკითხზე საკუთარი წიგნის დასაწყისშივე ამახვილებს ყურადღებას მკვლევარი ლევან თოიძე,[3] რომლის ნაშრომი საბჭოთა იდეოლოგიური კლიშეებისგან განთავისუფლების ერთ-ერთ პირველ მცდელობას წარმოადგენს ამ მიმართულებით.

ლენინის მიხედვით, ყველა სახის ლიბერალურ-ბურჟუაზიული ნაციონალიზმი, იქნებოდა ეს ველიკორუსული, პოლონური, ებრაული, უკრაინული, ქართული, თუ ნებისმიერი სხვა, მხოლოდ და მხოლოდ მშრომელთა გახლეჩას და დემოკრატიის დაუძლურებას იწვევდა.[4] ამასთან ერთად, ლენინი ერთა თვითგამორკვევის პრინციპის გულითადი დამცველი იყო და მიიჩნევდა, რომ ყველა ერს ჰქონდა მჩაგვრელი ერისაგან გამოყოფის უფლება.[5]

იოსებ სტალინი, საკუთარ თხზულებათა მე-5 ტომში, ხაზს უსვამს რა კერძო საკუთრებასა და კლასობრივ უთანასწორობაზე დაფუძნებულ ახალ ნაციონალურ სახელმწიფოთა არსებობის ფაქტს, მიიჩნევს, რომ ამ ქვეყნებს არსებობის შანსი არ გააჩნიათ:

---

[1] აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი.., გვ. 73-77.

[2] **ჯემალ გამახარია.** ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან. თბილისი, 1991, გვ. 118-120.

[3] **ლევან თოიძე.** როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.., გვ. 3.

[4] **В. И. Ленин.** Критические заметки по национальному вопросу. წიგნში: **В. И. Ленин.** Полное собрание сочинений. Издание пятое. Т. 24. Москва: Издательство политической литературы, 1973, გვ. 118.

[5] **В. И. Ленин.** Социалистическая революция и право наций на самоопределение. წიგნში: **В. И. Ленин.** Полное собрание сочинений. Издание пятое. Т. 27. Москва: Издательство политической литературы, 1969, გვ. 255. 252-266

„ა) თუ თავიანთ ნაციონალურ უმცირესობებს არ დაჩაგრავენ (პოლონეთი, რომელიც ჩაგრავს ბელორუსებს, ებრაელებს, ლიტველებს, უკრაინელებს; საქართველო, რომელიც ჩაგრავს ოსებს, აფხაზებს, სომხებს; იუგოსლავია, რომელიც ჩაგრავს ხორვატებს, ბოსნიელებს და სხვ.);

ბ) თუ მეზობლების ხარჯზე თავიანთ ტერიტორიას არ გააფართოებენ, რაც იწვევს კონფლიქტებსა და ომებს (პოლონეთი ლიტვის, უკრაინის, რუსეთის წინააღმდეგ; იუგოსლავია – ბულგარეთის წინააღმდეგ; საქართველო – სომხეთის, თურქეთის წინააღმდეგ და სხვ.);

გ) თუ არ დაემორჩილებიან „დიდ“ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ფინანსურ, ეკონომიკურ და სამხედრო დარგებში“.[1]

ამგვარად, სტალინისა და ლენინის ზემოაღნიშნული „კონცეფციები“ საქართველოს კონფლიქტური რეგიონების მიმართ სსრკ-ს დამოკიდებულების მთავარ და ძირითად ხაზს წარმოადგენს. ამიტომაც, საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში სსრ კავშირის პოლიტიკაზე საუბრისას, უპრიანი იქნება აქცენტის სწორედ ამ შეხედულებებზე გაკეთება და იმის გამოკვეთა, რომ ლენინისეული „თვითგამორკვევის“ პრინციპი იმთავითვე პრობლემას წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის.

1925 წლის 31 მარტს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა საბჭოების მეხუთე ყრილობამ მოისმინა ჩრდილოეთ ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლის – ამხანაგ კარგიევის მოხსენება სამხრეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანების საკითხზე, ჩრდილოეთ ოსეთის პირველ ყრილობაზე მიღებული რეზოლუციის შესახებ. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ეს გაერთიანება უნდა მომხდარიყო საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში,[2] თუმცა, საბოლოოდ, ეს იდეა არ განხორციელებულა.

მკვლევარ შოთა ვადაჭკორიას ნაშრომში აღნიშნული საკითხის გარშემო დიდძა-

---

[1] **ი. ბ. სტალინი.** პარტიის მორიგ ამოცანებზე ნაციონალურ საკითხში. თეზისები რკპ(ბ) ყრილობისთვის, დამტკიცებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ. წიგნში: **ი. ბ. სტალინი.** თხზულებანი. ტ. 5. თბილისი, სახელგამი, 1955, გვ. 19; სტალინის ზემოაღნიშნული თეზისები დაიბეჭდა გაზეთ „პრავდას“ 1921 წლის 10 თებერვლის ნომერში. იხ.: «Тезисы тов. Сталина по докладу об очередных задачах партии в национальном вопросе, утверждённые Ц.К. Партии». // *«Правда»*, №29, 10 Февраля 1921 года, გვ. 2.

[2] აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988)., გვ. 90.

ლი საარქივო მასალაა თავმოყრილი. როგორც ამ მასალებით ირკვევა, ოსების ჩრდილოეთ და სამხრეთ საცხოვრისის გაერთიანების შესახებ თავად სტალინიც ყოფილა ინფორმირებული. ორჯონიკიძისადმი მიწერილ წერილში იგი ამბობდა: „პირადად მე ოსეთის გეგმის საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, მაგრამ იმის გამო, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთის საწინააღმდეგო მოსაზრებანი შემოვიდა, ძალზე ვყოყმანობ და ვერაფრის რჩევა ვერ გადამიწყვეტია“.[1]

საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო მუშათა, გლეხთა ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატების ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის 7 აგვისტოს სხდომაზე, რომელზეც აღნიშნული გაერთიანების პროექტის მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორად სომეხ ა. ნაზარეთიანს ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთს შორის სამიმოსვლო გზების არარსებობა დაუსახელებია.[2]

ამგვარად, გზების პრობლემას აღნიშნული გაერთიანების ვერმიღწევის მთავარ მიზეზად მოიაზრებს მკვლევარი ლევან თოიძე.[3] ამავე შეხედულებას იზიარებს მკვლევარი ბორის კვარაცხელია. მისი აზრით, ამის მიზეზი შეიძლებოდა ორი გარემოება ყოფილიყო: 1. შესაძლოა, კრემლი ვერ უშვებდა ჩრდილოეთ ოსეთის საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში მოქცევას; 2. გარდა ამისა, ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ სატრანსპორტო პრობლემებს პრობლემებს ჩრდილოეთ და „სამხრეთ ოსურ“ ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის დამაკავშირებელი გზების კუთხით.[4]

აფხაზეთისაგან განსხვავებით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს საქართველოს შემადგენლობაში არასოდეს ჰქონია საკუთარი კონსტიტუცია. შესაბამისად, ოსი სეპარატისტების სამოქმედო ტაქტიკა განსხვავდებოდა აფხაზი სეპარატისტების ტაქტიკისგან აღნიშნული ე.წ. „საკანონმდებლო საფუძვლის“ (ხაზგასმა ჩვენია – კ.ყ.) არარსებობით. ეს რეგიონი ფორმალურადაც მუდამ ჩართული იყო საქართველოს სსრ-ს ტერიტორიაში მოყოლებული 1922 წლიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე. თუმცა, მიუხედავად ამისა, ოსი სეპარატისტები მთელი XX საუკუნის მანძილზე აქტიურად იბრძოდნენ საქართველოს წინააღმდეგ.

---

[1] დოკუმენტი გამოქვეყნებულია წიგნში: **შოთა ვადაჭკორია.** ოსური სეპარატიზმი და ქართული სინამდვილე.., გვ. 271.
[2] **შოთა ვადაჭკორია.** ოსური სეპარატიზმი და ქართული სინამდვილე.., გვ. 271.
[3] **ლევან თოიძე.** როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.., გვ. 96.
[4] **ბორის კვარაცხელია.** რუსეთის გამოუცხადებელი ომი.., გვ. 92.

საინტერესოა, რომ 1926 წლის აღწერის მიხედვით, „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის“ მოსახლეობა 87379 ადამიანს შეადგენდა.[1] მათგან ეთნიკური ოსები, მთლიანი მოსახლეობის 72.5%-ს (59199 ადამიანი) შეადგენდნენ, ხოლო ქართველები კი 26.5%-ს (21 618 ადამიანს).[2]

1930-40-იან წლებში, სსრკ-ს მასშტაბით ჩატარებული დამწერლობათა რეფორმა შეეხო სამხრეთ ოსეთის ოლქსაც. თუმცა, აფხაზეთისგან განსხვავებით, აღნიშნული რეფორმის გატარებას ამ რეგიონში გაცილებით ირონიული ხასიათი ჰქონდა. ლათინური ანბანის ნაცვლად, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ოსები მანამდე გამოიყენებდნენ,[3] შემოღებულ იქნა ქართული ანბანი, მაშინ, როდესაც ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები ოსები რუსულ კირილიცაზე გადავიდნენ. ამგვარად, პროფ. ზურაბ პაპასქირის მართებული აღნიშვნით, ერთი ეთნოსის წარმომადგენელი ხალხი, რომელთაც ერთმანეთისგან კავკასიონის ქედი ჰყოფდა, აღმოჩნდა ორი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული დამწერლობის მატარებელი.[4] აღნიშნული მაგალითი საკმაოდ მკაფიო ილუსტრირებაა საბჭოთა პოლიტიკური მმართველობის დამოკიდებულებისა ოსი ხალხის „სუვერენიტეტისა“ და კულტურული ერთობის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი სულ სხვაგვარად განიხილება სეპარატისტულ ლიტერატურაში, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ქართველებისადმი განსაკუთრებული სიძულვილით გამორჩეული მარკ ბლიევი. იგი ამ რეფორმის სულისჩამდგმელად ქართულ მხარეს მიიჩნევდა და აღნიშნავდა, რომ ქართველები ოსი ხალხის მიმართ ისევე მოიქცნენ, როგორც თავის დროზე ოსმალები ექცეოდნენ ქართველებს. მათ „სამხრეთ ოსთა გაქართველება“ მოიწადინეს და 1944 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ ფაშიზმის წინააღმდეგ მძიმე ომში იყო ჩაბმული, სასკოლო განათლება გადაიყვანეს რუსულ და ქართულ ენებზე, რითაც ჩრდილოეთისა და სამხრეთის ოსები გაჰყვეს.[5] ამგვარად, როგორც ჩანს, ბლიევს სსრკ-ს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და დამტკიცების ცენტრად თბილისი

---

[1] Всесоюзная перепись населения. 17 Декабря 1926 г. Краткие сводки. Выпуск III. Население СССР. Центральное Статистическое Управление СССР отдела переписи. Издание ЦСУ союза ССР. Москва. 1927, გვ. 56.
[2] Всесоюзная перепись населения. 17 декабря 1926 г. Краткие сводки. Вып. XIV. Закавказская СФСР. АО Южной Осетии. ელექტრონული ვერსია იხ.: http://www.demoscope.ru/weekly/ssp/sng_nac_26.php?reg=2366.
[3] 1923-38 წლებში ოსურ დამწერლობას დროებით საფუძვლად ედო ლათინური ანბანი. იხ.: **ვახტანგ ითონიშვილი.** კავკასია და კავკასიელები.., გვ. 80.
[4] **Зураб Папаскири.** Абхазия.., გვ. 266.
[5] **Марк Блиев.** Южная Осетия в коллизиях Российско-Грузинских отношений.., გვ. 179.

ჰყავს წარმოდგენილი და არა მოსკოვი.

1940-1980-იანი წლების პერიოდში ცხინვალის რეგიონში, აფხაზეთისგან განსხვავებით, რაიმე მნიშვნელოვან პოლიტიკურ თუ სოციალურ ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია. ეთნიკურ-პოლიტიკური ვითარების გამწვავება ამ რეგიონში ძირითადად 1980-იანი წლებიდან იწყება. ეს პერიოდი, აფხაზეთის მსგავსად, ცხინვალის რეგიონშიც სეპარატისტული განწყობების გამწვავების ხანად გვევლინებოდა. ამის მთავარი საფუძველი ბუნებრივია, საქართველოში ეროვნული მოძრაობის გაძლიერება იყო, რომლის პოლიტიკაც პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდიოდა სეპარატისტების გეგმებთან საქართველოს ტერიტორიაზე. ქართულ ეროვნულ მოძრაობას, აფხაზების მსგავსად, ოსი სეპარატისტი ავტორებიც (კ. ძუგაევი) ფაშიზმს ადარებენ.[1]

1989 წლის 4 სექტემბერს საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის, სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გამოიცა დადგენილება ოსური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის თაობაზე.[2] აღნიშნული აქტი, ბუნებრივია, მიმართული იყო საქართველოს სსრ-ს მიერ იმავე წლის აგვისტოში, ქართული ენის უფლებებისა და ოფიციალური სტატუსის დაცვის შესახებ გამოცემული კანონის წინააღმდეგ.

1989 წლის 26 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მეთერთმეტე სესიამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სსრ-ს 1978 წლის კონსტიტუციის 75-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლის მიხედვითაც უნდა გამოცხადებულიყო, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სახელმწიფო ენად ცხადდებოდა ოსური ენა.[3]

---

[1] აკაკი ბაქრაძის და ომარ ჩუბინიძის მიერ 1996 წელს გამოქვეყნებულ კრებულს „ოსთა საკითხი“ კოსტა ძუგაევი პირდაპირ უწოდებს „მაინ კამპფის“ ანალოგს (იხ.: **Коста Дзугаев.** Республика Южная Осетия: История и современность. Историографический диалог вокруг непризнанных государств. Приднестровье, Нагорный Карабах, Армения, Южная Осетия и Грузия. Slavic Research Centre, Hokkaido University, 2007, გვ. 79). სეპარატისტი ავტორების (კ. ძუგაევი, მ. ბლიევი) ყურადღების ცენტრში ექცევა 1988 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული ქართველი მეცნიერის, ტარიელ კვანჭილაშვილის სტატია, სადაც ავტორი ქართველთათვის საქართველოში შექმნილ მძიმე დემოგრაფიულ მდგომარეობაზე საუბრობს და აღნიშნული ვითარებიდან თავის დასაღწევად მიიჩნევს სახელმწიფოს მიერ შობადობის საკითხების რეგულირებას ქვეყანაში. ავტორის აზრით, მართებული იქნებოდა სახელმწიფოს მიერ საქართველოს ტერიტორიაზე შობადობის მაჩვენებლების დაბალანსება სხვადასხვა ხალხებში (იხ.: **ტარიელ კვანჭილაშვილი.** „მერე რა იქნება?“. // გაზ. *„ლიტერატურული საქართველო“*, №40 (2664), 1988 წლის 30 სექტემბერი, გვ. 3-4).

[2] რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 9.

[3] რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 10.

ოს სეპარატისტთა მოთხოვნები გრძელდებოდა. 1989 წლის 10 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მე-12 საგანგებო სესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ სახელი შეიცვალა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის“ სახელით.[1] საქართველოს სსრ-ს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1989 წლის 16 ნოემბრის დადგენილებით, ოს სეპარატისტთა ზემოაღნიშნული მოთხოვნები კანონგარეშედ გამოცხადდა.[2]

1989 წლის 23 ნოემბერს ცხინვალის მიმართულებით საქართველოს ეროვნული მოძრაობის მიერ მშვიდობიანი მანიფესტაცია დაიგეგმა. იმდროინდელი ქართული პრესის მასალების მიხედვით, ცხინვალისკენ დაძრულ ქართველთა 400 ავტობუსს, რომელიც ოსი სეპარატისტების მოთხოვნების გასაპროტესტებლად ჩავიდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე, ცხინვალის მისადგომებთან ადგილობრივი სეპარატისტები ლენინის პორტრეტებით, საბჭოთა დროშებითა და სსრკ-ს სამხედრო ნაწილებით შეეგებნენ.[3]

საინტერესოა, რომ ამ ფაქტზე საუბრისას მარკ ბლიევი რუსულ შეიარაღებას ერთი სიტყვითაც არ ახსენებს, ხოლო მომიტინგე ქართველთა რაოდენობას კი 30 ათას ადამიანამდე ზრდის.[4] 50 ათას ქართველ მომიტინგეზე საუბრობს კოსტა ძუგაევი ზემოაღნიშნულ ნაშრომში და იქვე აღნიშნავს, რომ სწორედ მაშინ გამოვლინდა პირველად „სამხრეთ ოსთა“ სწრაფი რეაგირებისა და ორგანიზების უნარი.[5] ამასთან ერთად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, მომიტინგე ქართველთა რაოდენობისა და, ზოგადად, იმ დროს ადგილზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ საუბრისას არცერთი ავტორი არ იყენებს მითითებას რაიმე ცნობაზე, საბუთსა თუ წყაროზე.

„საკანონმდებლო ომი“ სეპარატისტებსა და საქართველოს სსრ-ს შორის გრძელდებოდა. სსრკ-ს უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 3 აპრილის კანონის მიღების შემდეგ დაძაბულობა გაიზარდა.

---

[1] რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 12.

[2] რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 13.

[3] „კრემლის მიერ შეთავაზებული სცენარები ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ანუ როგორ შეხვდნენ ოსები მშვიდობიან მომიტინგეებს“. // გაზ. *„საქართველო“*, №4, 15.XII.1989, გვ. 1; გაზ. *„ახალგაზრდა კომუნისტი“*, №141, 1989წ. 25 ნოემბერი, გვ. 3; „მიტინგი მშვიდობიანად დამთავრდა“. // გაზ. *„თბილისი“*, №270, 1989წ. 25 ნოემბერი, გვ. 8.

[4] **Марк Блиев.** Южная Осетия.., გვ. 184.

[5] **Коста Дзугаев.** Республика Южная Осетия.., გვ. 80.

1990 წლის 20 სექტემბერს ოსმა სეპარატისტებმა გამოაცხადეს „სამხრეთ ოსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტის“ შესახებ.[1] 22 ნოემბერს, ახლადარჩეულმა (28 ოქტომბერს) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც, ოსი სეპარატისტების მოთხოვნები უკანონოდ ცხადდებოდა.[2]

ექვსი დღის შემდგომ, უკვე „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის“ სახალხო დეპუტატთა საბჭოს მე-16 სესიამ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ტერიტორიული ერთეულის სახელის „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკად“ შეცვლის შესახებ.[3]

საბოლოოდ, 1990 წლის 11 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, რომლის მიხედვითაც, გაუქმდა სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭო, სხვა სეპარატისტულ, აღმასრულებელ ორგანოებთან ერთად.[4] 12 დეკემბერს, საქართველოს უზენაესმა საბჭოს ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

1990 წლის დეკემბრის მოვლენებს მოჰყვა სსრკ-ს პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკაში 1990 წელს მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის შესახებ. დოკუმენტი მწვავედ აკრიტიკებდა საქართველოსა და ოსი სეპარატისტების „საკანონმდებლო ომს“. გარდა ამისა, გორბაჩოვის მოთხოვნით, უნდა მომხდარიყო ყველა სამხედრო დანაყოფის გაყვანა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან. დეკრეტის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ხუთი დღის ვადაში უნდა მოეხსენებინა სსრკ-ს პრეზიდენტისთვის აღნიშნული დეკრეტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების შესახებ.[5]

---

[1] რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 26.
[2] რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 29.
[3] რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 30.
[4] რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 31-32. მარკ ბლიევის აღნიშვნით, ეს კანონი ოსი სეპარატისტების წისქვილზე ასხამდა წყალს, რადგან სწორედ მის საფუძველზე გამოდიოდა „სამხრეთ ოსეთის“ ყოფილი ავტონომიური ოლქი საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობიდან. ავტორი უფრო შორსაც წავიდა და განაცხადა, რომ სწორედ ეს დღე უნდა გამხდარიყო „სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის“ დღე (იხ.: **Марк Блиев.** Южная Осетия.., გვ. 191).
[5] რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 33-34.

1991 წლის 9 იანვარს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების შესახებ, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საქართველო, როგორც სუვერენული სახელმწიფო უფლებამოსილი იყო საკუთარი შიდა საქმეები თავად, სსრკ-სგან დამოუკიდებლად განეკარგა. დადგენილების მიხედვით: „ავტონომიური ოლქის გაუქმების ფაქტის დამტკიცების საკითხი არ დასმულა სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წინაშე, ვინაიდან ამგვარი წესი არ არის გათვალისწინებული არც სსრ კავშირის კონსტიტუციით და არც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით... ნიშანდობლივია, რომ ბრძანებულება, ერთი მხრივ, სადავოს ხდის საქართველოს რესპუბლიკის კანონს და მიუთითებს მთელი რიგი ღონისძიებების გატარებაზე, ხოლო მეორე მხრივ, დუმილით უვლის გვერდს ე.წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის სტრუქტურების ლიკვიდაციის აუცილებლობას“.[1]

1991 წლის 23 მარტს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ზვიად გამსახურდიასა და რსფსრ-ს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბორის ელცინს შორის დაბა ყაზბეგში შედგა შეხვედრა, რომლის დროს მიღწეული შეთანხმების ოქმის თანახმად, რუსულ და ქართულ მხარეებს 10 დღის განმავლობაში უნდა შეექმნათ ერთობლივი კომისია, რომელიც ადგილზე შეისწავლიდა რეგიონში შექმნილ ვითარებას. მხარეების საბოლოო ამოცანას წარმოადგენდა რეგიონში მშვიდობისა და სიმშვიდის აღდგენა. საინტერესოა, რომ აღნიშნულ ოქმში, რუსულ მხარეს არცერთი სიტყვით არ დაუფიქსირებია ნეგატიური პოზიცია ქართული მხარის მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების თაობაზე.[2]

რუსეთის, როგორც აღნიშნულ კონფლიქტში მონაწილე მხარის და არასაიმედო პარტნიორის პოზიცია მკაფიოდ გამოიკვეთა ზემოაღნიშნული შეთანხმებიდან ერთ კვირაში – 31 მარტს, რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დადგენილებაში „სამხრეთ ოსეთში“ შექმნილი მდგომარეობის შესახებ. დოკუმენტის პირველი პუნქტი საქართველოს უზენაეს საბჭოს მოუწოდებდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და მისი ყველა მმართველობითი ორგანოს აღდგენისაკენ.[3]

---

[1] რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 34-35.
[2] რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 42-43.
[3] რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 43.

ამგვარად, ცხადი ხდებოდა, რომ შექმნილ ვითარებაში რუსული მხარე მეტად არასაიმედო პარტნიორს და კონფლიქტის ესკალაციის უშუალო ხელშემწყობ მხარეს წარმოადგენდა. 1991 წლის აპრილიდან მოყოლებული ცხინვალის რეგიონში უკვე შეიარაღებულმა დაპირისპირებებმა იჩინა თავი. ზვიად გამსახურდია იძულებული გახდა, ახლად შექმნილი ეროვნული გვარდიის ნაწილები გაეგზავნა რეგიონში.

როგორც ვხედავთ, საქართველოს მიერ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების დროისთვის, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში დამონტაჟებული „ნაღმები“ უკვე ამოქმედებული იყო რუსული გეგმის მიხედვით.

§4. კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი: კონფლიქტური რეგიონების ისტორიული განვითარების საერთო და განმასხვავებელი ტენდენციები XX საუკუნის 20-80-იან წლებში

მეოცე საუკუნის მანძილზე კოსოვოს, აფხაზეთისა და ცხინვალის თანამედროვე კონფლიქტურ რეგიონების ისტორიული განვითარების თავისებურებებზე საუბრისას იკვეთება, როგორც განმასხვავებელი, ასევე საერთო შტრიხები. თუმცა აქაც, ისევე, როგორც უფრო ადრეულ პერიოდებში, საქმე გვაქვს უფრო მეტად განსხვავებული ბუნებისა და თავისებურებების მქონე ვითარებებთან, ვიდრე მსგავსებასთან.

ჩვენს მიერ განსახილველ პერიოდში, კოსოვოსა და ქართული თანამედროვე კონფლიქტური რეგიონების განვითარების თავისებურებათა შორის, პირველ რიგში, თვალში საცემია მათი რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობა საერთაშორისო პოლიტიკის თვალსაზრისით. აღნიშნულ განსხვავებაზე ჩვენ წინა თავშიც გვქონდა საუბარი, და, როგორც დავინახეთ, ეს განსხვავება უფრო თვალსაჩინო ხდება XX საუკუნეში.

ზემოთქმულის მკაფიო და ნათელი მაგალითია კოსოვოელი ალბანელების 1921 წლის პეტიცია ერთა ლიგის მიმართ, რომელშიც ისინი ალბანურ სახელმწიფოსთან გაერთიანების მოთხოვნით გამოდიან. თუკი შევხედავთ ამ დროს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას და შევადარებთ მას კოსო-

ვოს გარშემო შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას, დავინახავთ, რომ აფხაზი და ოსი სეპარატისტების ძალისხმევის მაქსიმუმს ამ პერიოდში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რევოლუციური-სეპარატისტული აქტივობა წარმოადგენს. ამ აქტივობის მასშტაბების გაფართოების არეალი კი, ბუნებრივია, ამ პერიოდში რუსეთისა და ახლად შექმნილი სსრ კავშირის სახელმწიფო ინტერესებს არ სცდება. ზედმეტია საუბარი ერთა ლიგის მასშტაბებზე.

ამ კუთხით, კოსოვოსთან მიმართებაში, აღსანიშნავია ასევე იმავე ტენდენციის გაგრძელება, რაზეც წინა თავში გვქონდა საუბარი. ისევე, როგორც XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, პრაქტიკულად მთელი XX საუკუნის მანძილზე, კოსოვოს გარშემო განვითარებულ მოვლენებზე პირდაპირ ასახვას ჰპოვებს ზოგადად ბალკანეთის რეგიონის გარშემო შექმნილი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება. ამის დასტურად, ზემოაღნიშნული ისტორიული მიმოხილვიდან შეგვიძლია გავიხსენოთ კოსოვოს ისტორიის ერთგვარი პერიოდიზაცია, რომელიც ძალზედ ზოგად და პირობით ხასიათს ატარებს, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც თვალშისაცემია. კოსოვოს ისტორია 1918-1945 წლებში, ფაქტობრივად ორ ნაწილად იყოფა: 1918-1941 – წლები, კოსოვოში სერბული გავლენის გაძლიერების პერიოდია, ხოლო 1941-1944 წლებში, საერთაშორისო პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით ეს უპირატესობა ალბანელთა მხარეს გადაინაცვლებს.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ბალკანეთში უკვე იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაცია იქმნება იოსიპ ბროზ ტიტოს მეთაურობით, რაც კიდევ ერთხელ, რადიკალურად ცვლის ვითარებას კოსოვოს რეგიონში. ამჯერად, სოციალისტური იუგოსლავიის ფარგლებში აქცენტი უფრო მეტად ფედერაციულ ერთობასა და ცენტრალიზაციაზე კეთდებოდა, ვიდრე კონკრეტულად სერბების, ალბანელების ან ბალკანეთის რომელიმე სხვა ხალხის ეროვნულ ინტერესებზე. ტიტო აქცენტს აკეთებდა ეთნიკურ ბალანსზე ფედერაციის მასშტაბით. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას მისი დამოკიდებულება კოსოვოს რეგიონთან მიმართებაში.

თავდაპირველად, ბალკანეთის რეგიონის „ღერძის ქვეყნებისგან“ განთავისუფლების პერიოდში პარტიზანები საკმაოდ მკაცრ ზომებს მიმართავდნენ ალბანელთა, როგორც „არასანდო ელემენტების“ მიმართ. ეს პროცესი 1960-იანი წლების შუა ხანებამ-

დე გაგრძელდა, ხოლო 1970-იან წლებში კი, პირიქით, თითქოს საქმე გვაქვს უკვე ალ-ბანელთა ეროვნული ინტერესების წინ წამოწევასთან ტიტოს მხრიდან, რაც მკაფიოდ გამოჩნდა მისივე პოზიციიდან 1974 წლის კონსტიტუციის გარშემო გამართულ დებატებში.

ამგვარად, კოსოვოში მიმდინარე მოვლენები XX საუკუნის მანძილზე დინამიურობით გამოირჩევა. საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობისა და ბალკანეთის გარშემო შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარების მიხედვით, რეგიონში პოლიტიკური ვითარება ელვის სისწრაფით იცვლება.

სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში. ეს ორი რეგიონი, ამ კუთხით, განსხვავებას ავლენს არა მხოლოდ კოსოვოს რეგიონის, არამედ თავად ერთმანეთის მიმართაც. 1920-იანი წლებიდან მოყოლებული, აფხაზეთში, ისევე, როგორც სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, სახეზე გვაქვს აშკარა ანტიქართული სეპარატისტული გამოსვლები, რომლებიც პირდაპირ შედიოდა მოსკოვის ინტერესებში და, შესაბამისად, პირდაპირ იმართებოდა მოსკოვიდან. ამის ნათელი მაგალითია ჩვენს მიერ ზემოთ ვრცლად მიმოხილული პაველ სიტინის სამხედრო მისია საქართველოში.

გარდა ამისა, დაკვირვებული მკითხველის თვალს არ გამოეპარება ის დემოგრაფიული ცვლილებები, რომელთაც ადგილი აქვს აფხაზეთის ტერიტორიაზე 1886-1926 წლებში, როდესაც ეთნიკური აფხაზების რაოდენობა 41%-დან 26%-მდე იკლებს. რა თქმა უნდა, დღეისათვის სეპარატისტულ კონტექსტში, აღნიშნულ დემოგრაფიულ ცვლილებებში ქართული მხარეა დადანაშაულებული, თუმცა მარტივი ისტორიული დაკვირვების საფუძველზე ცხადი ხდება, რომ ეს ცვლილებები ყოფილი რუსეთის იმპერიის მასშტაბით, ბოლშევიკების მოსვლის შემდგომ, მხოლოდ და მხოლოდ ცენტრიდან – მოსკოვიდან იგეგმებოდა და ხორციელდებოდა.

საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა რუსეთის იმპერიული გეგმების ნათელი მაგალითია პაველ სიტინის მისია. თუკი ამ პოლიტიკის მთავარ მიზანსა და სტალინის მიერ მის შრომათა მეხუთე ტომში გამოთქმულ აზრებს (ქართველების მიერ სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების „ჩაგვრის“ შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე) ერთმანეთს დავუკავშირებთ, შესაძლოა დავასკვნათ, რომ საბჭოთა

იმპერიის პირობებში ხელოვნურად ხდებოდა ეთნო-დემოგრაფიული ბალანსის ცვლილებები იმპერიის მასშტაბით. ამ პოლიტიკის სახით, საქმე გვაქვს *Divide et Impera*-ს საბჭოურ მოდელთან.

კრემლისა და სეპარატისტების ამ ძალისხმევის შედეგი იყო ის ე.წ. „საკანონმდებლო ომი“ აფხაზ სეპარატისტებსა და ქართულ მხარეს შორის, რომელსაც ადგილი ჰქონდა პრაქტიკულად მთელი 20-იანი წლების მანძილზე. ამ კუთხით, კოსოვოსთან შედარების თვალსაზრისით საინტერესოა, რომ თუკი იმავე პერიოდში კოსოვოელი ალბანელები ითხოვენ ალბანურ სახელმწიფოსთან კოსოვოს მიერთებას, აფხაზი სეპარატისტი ავტორები ხაზს უსვამენ აფხაზეთის მიერ „სუვერენიტეტისთვის“ ბრძოლას და ამის გარანტად 1925 წლის აფხაზეთის სსრ-ს კონსტიტუციას ასახელებენ. და ეს მაშინ, როდესაც 20-იან წლებში კოსოვოში მოსახლე ეთნიკური ალბანელების რაოდენობა უკვე 60%-ს აჭარბებს, ხოლო აფხაზეთში მოსახლე ეთნიკური აფხაზების რაოდენობა კი მხოლოდ და მხოლოდ 27%-ია.

ამ მონაცემებისა და ფაქტების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1920-იან წლებში საქართველოს ტერიტორიაზე სეპარატისტი აფხაზების მოთხოვნებისა და ღონისძიებების ფონზე, ალბანელთა მოთხოვნები და ღონისძიებები გაცილებით უფრო ზომიერად მოსჩანს. ეს შეხედულება კიდევ უფრო განმტკიცდება თუკი გადავხედავთ წინა თავებში მოცემულ ისტორიულ მიმოხილვას, საიდანაც აშკარაა, რომ კოსოვოს ისტორიაში იყო პერიოდი, როდესაც ეს რეგიონი სერბეთის შემადგენლობაში არ შედიოდა, მაშინ როდესაც საქართველოს ისტორიაში, ვერ ვიპოვით ეპოქას, როდესაც ქართული სახელმწიფო აფხაზეთის გარეშე არსებობდა და პირიქით.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემთხვევაში, 1920-იან წლებში ადგილი არ ჰქონია იმ მასშტაბის „საკანონმდებლო ომს“, რასაც აფხაზეთის შემთხვევაში ჰქონდა ადგილი. ამის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს საქართველოს შემადგენლობაში არასოდეს ჰქონია კონსტიტუცია.

ერთი შეხედვით, 1921 წელს კოსოვოელი ალბანელების მიერ წამოყენებული ალბანეთთან გაერთიანების მოთხოვნა თითქოს მსგავსია 1925 წელს ოსი ხალხის მიერ დაყენებული მოთხოვნისა „ორი ოსეთის“ გაერთიანების შესახებ. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, სახეზეა ძირეული განსხვავებები. პირველ რიგში კი ის მომენტი, რომ

ალბანელთა წარმომავლობის საკითხის ბუნდოვანების გათვალისწინებით, სავსებით შესაძლებელია კოსოვოს ტერიტორია ყოფილიყო მათი ისტორიული სამშობლო, განსხვავებით ალან-ოსებისგან, რომელთა წარმომავლობის ისტორიულმა ანალიზმა ნათლად გვაჩვენა, რომ მათ საქართველოს ტერიტორიაზე არასოდეს უცხოვრიათ.

გარდა ამისა, თუკი ალბანელები კოსოვოს რეგიონის შეერთებას მოითხოვდნენ ალბანურ სახელმწიფოსთან, ოსები ჩრდილოეთ და „სამხრეთ ოსეთის“ გაერთიანებას მოითხოვდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. ამასთან ერთად, უმნიშვნელოვანესი განმასხვავებელი ფაქტორია თავად ალბანეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის, როგორც „სახელმწიფოების“ (ჩრდილოეთ ოსეთის შემთხვევაში) შედარების საკითხი. თუკი ალბანური სახელმწიფო ოფიციალურად საერთაშორისო დონეზე იყო აღიარებული, ჩრდილოეთ ოსეთის შემთხვევაში საქმე გვაქვს დღემდე რუსეთის ფედერაციაში შემავალ ტერიტორიულ ერთეულზე, რაც, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ოსების პოლიტიკური მოთხოვნების ბუნებას, რომელიც პირდაპირ კავშირშია რუსულ პოლიტიკურ ინტერესებთან.

ამგვარად, თუკი აფხაზი სეპარატისტების მოთხოვნები კოსოვოელი ალბანელების მოთხოვნებზე რადიკალური მოსჩანს XX საუკუნის 20-იან წლებში, ოსი სეპარატისტების მოთხოვნები, ზემოთქმულის გათვალისწინებით, მაინც ყველაზე უფრო რადიკალურად წარმოგვიდგება, რადგან, როგორც წინა თავებში მოცემულმა ისტორიულმა მიმოხილვამ დაგვანახა, ეთნიკურ ოსების მიერ შიდა ქართლის ტერიტორიაზე განსახლების პერიოდს უფრო მოკლე ისტორია აქვს, ვიდრე აფხაზთა მიერ აფხაზეთის ტერიტორიაზე განსახლების ხანას.

ოსების განსახლება საქართველოში, როგორც დავინახეთ, განპირობებული იყო საქართველოს ყოფილი ერთიანი სამეფოს ტერიტორიაზე შექმნილი უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და დემოგრაფიული პრობლემებით. სწორედ ამ პრობლემების მოსაგვარებლად ხდებოდა ქართველ მეფეთა სურვილითა და თანხმობით ოსთა დასახლება საქართველოს მიწაზე. ეს ტენდენცია, როგორც ვნახეთ, XIX საუკუნეშიც გრძელდებოდა და საბოლოოდ, XX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებისთვის, ეთნიკური ოსები ახლად შექმნილი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ მთლიანი მოსახლეობის თითქმის 70% შეადგენდნენ.

კოსოვოში ალბანელი ხალხის განსახლებასა და „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში“ ოსების განსახლების საკითხებთან დაკავშირებით, ერთგვარი „საერთო“ სურათი იკვეთება, რადგან სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ორივე რეგიონში, ზემოაღნიშნული ხალხი დემოგრაფიულ უპირატესობას აღწევს. თუმცა ეს უპირატესობა რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური გზებით იქნა მიღწეული.

კოსოვოს შემთხვევაში, ალბანური ეთნიკური ელემენტის დაწინაურება XX საუკუნის 20-იან წლებში (ისევე, როგორც მანამდე), ძირითადად საგარეო პოლიტიკურმა ფაქტორმა განაპირობა, შიდა ქართლის შემთხვევაში, ოსური ელემენტის დაწინაურება, როგორც ვნახეთ, ძირითადად ქართული შიდაპოლიტიკური ფაქტორებით იყო განპირობებული გვიანი შუა საუკუნეების მანძილზე, ხოლო რუსეთის იმპერიის გამოჩენის შემდეგ კი, ამ ფაქტორებს ემატებოდა ჯერ მეფის რუსეთის, ხოლო მოგვიანებით – საბჭოთა რუსეთის იმპერიული ინტერესები.

საქართველოს თანამედროვე კონფლიქტური რეგიონების ტერიტორიებზე მიმდინარე მოვლენები, კოსოვოსთან შედარებით, უფრო ერთგვაროვანია, რადგან ამ რეგიონებში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას მთლიანად მართავს კრემლი.

სწორედ იმპერიული ცენტრიდან მიღებული დირექტივების თანახმად ტარდებოდა საბჭოთა იმპერიის მასშტაბით ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო რეფორმები 30-40-იან წლებში. ისევე, როგორც მოსკოვის თანხმობითა და დირექტივებით ხდებოდა აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველთა ჩასახლება, რასაც სეპარატისტი ავტორები ე.წ. „კოლონიზაციას“ უწოდებენ. ამიტომ, მიუხედავად აფხაზი და ოსი სეპარატისტი ავტორების (ო. ბღაჟბა და ს. ლაკობა, ა. ავიძბა, მ. ბლიევი, კ. ძუგაევი) მტკიცებისა, რომ ზემოაღნიშნული რეფორმების ინიციატორი ქართული მხარე იყო, დღესავით ნათელია, რომ სსრკ-ს მასშტაბით ვერცერთ, თუნდაც რეგიონალური მასშტაბის რეფორმას ვერ ექნებოდა ადგილი კრემლიდან თანხმობის გარეშე.

ამგვარად, კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში XX საუკუნეში განვითარებული მოვლენების გაანალიზებისას, იმთავითვე უნდა გავმიჯნოთ ამ მოვლენათა მთავარი თავისებურებები: კოსოვოს შემთხვევაში საქმე გვაქვს გაცილებით უფრო დინამიკურ პროცესთან, რაშიც მოიაზრება რეგიონის უფრო ღია და მკაფიო ჩართულობა ბალკანეთის გარშემო შექმნილ საერთაშორისო პოლიტიკურ ვითა-

რებაში. აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში საქმე გვაქვს საბჭოთა იმ-პერიის მარწუხებში მოქცეულ ორ ტერიტორიულ ერთეულთან, რომლებშიც მოვლე-ნები მხოლოდ და მხოლოდ ერთფეროვანი, სტატიკური, საბჭოთა იმპერიული სცენა-რით ვითარდება.

ჩვენს მიერ განსახილველ პერიოდში, ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო მონაკ-ვეთს XX საუკუნის 70-იანი წლები წარმოადგენს, როდესაც მთელ რიგ კონსტიტუცი-ურ და პოლიტიკურ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი, როგორც კოსოვოს, ასევე აფხაზე-თის რეგიონთან მიმართებაში.

1969 წელს სერბების მიერ შემუშავდა კონსტიტუცია კოსოვოს ავტონომიისათ-ვის, რის მიხედვითაც რეგიონის სტატუსი „პროვინციამდე“ ამაღლდა. 1974 წლის კი იუგოსლავიის სფრ-ს ახალი კონსტიტუცია, როგორც ვნახეთ, სერბეთის შემადგენლო-ბაში შემავალ ავტონომიურ ერთეულებს პრაქტიკულად ფედერალურ უფლებებს ან-იჭებდა, ვეტოს უფლებით მთელ რიგ საკანონმდებლო საკითხებზე. ამასთან ერთად, მოხდა ალბანელთა მდგომარეობის გაუმჯობესება ჯანდაცვის, სოციალური, საგანმა-ნათლებლო და სხვა მიმართულებებით.

დაახლოებით მსგავს ვითარებასთან გვაქვს საქმე ამ პერიოდში აფხაზეთში. სა-ქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში შემავალ აფხაზეთის ასსრ-სთვის 70-იანი წლები ნამდვილად მაქსიმალური თავისუფლებებისა და პრივილეგიების ხანად უნდა ჩაით-ვალოს. თუმცა, 1977-1978 წლების საკონსტიტუციო რეფორმების მიუხედავად, სეპა-რატისტები კვლავ უკმაყოფილებას გამოხატავდნენ საქართველოს სსრ-ს მიმართ და უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე, უკვე მესამედ ითხოვდნენ საქართველოს სსრ-ს შემადგენლობიდან გამოსვლას და კრასნოდარის მხარესთან შეერთებას.

ამგვარად, 70-იანი წლები კოსოვოსა და აფხაზეთის რეგიონებში შექმნილი ვითა-რების თვალსაზრისით გარკვეულ საერთო შტრიხებს ავლენს. აფხაზეთის მსგავსად, კოსოვოელი ალბანელებისთვისაც არ იყო საკმარისი ყველა ის დათმობა, რასაც ადგი-ლი ჰქონდა სერბული მხარისგან. ისინი უფრო მეტს ითხოვდნენ. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობდა სერბული ეროვნული იდეების აღმავლობას, რამაც განსაკუთრებით იჩინა თავი ტიტოს გარდაცვალების შემდეგ.

ამ საერთო შტრიხის ხაზგასმასთან ერთად, ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრ-

ჩეს ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ფაქტორი კოსოვოსა და საქართველოს კონ-ფლიქტური რეგიონების შედარებითი ანალიზის ფარგლებში. ამ შემთხვევაში, მკაფი-ოდ უნდა განვსაზღვროთ თავად სერბეთის როლი იუგოსლავურ ფედერაციასთან და კოსოვოსთან მიმართებით და საქართველოს როლი სსრკ-სა და აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიებთან მიმართებით.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, იუგოსლავური ფედერაცია ტიტოს პერიოდში მეტნაკლებად ეთნიკური ბალანსის პრინციპზე იყო აგებული და ამოსავალ წერტი-ლად კონკრეტულ ეროვნულ შეხედულებებზე მაღლა სწორედ ამ ბალანსს აყენებდა. ვითარება რადიკალურად შეიცვალა ტიტოს გარდაცვალების შემდეგ, როდესაც სერ-ბეთი უკვე იუგოსლავიის ფედერაციული ერთობის შენარჩუნების ინიციატორად გვევლინება. რაც ყველაზე მთავარია, ფედერაციული ერთობა სერბეთისთვის ამ ეტაპ-ზე უკვე პირდაპირ იყო დაკავშირებულ „დიდი სერბეთის“ შექმნის ეროვნულ იდეას-თან. სერბული შეხედულებით, იუგოსლავიის ერთობის ლიდერი სწორედ სერბეთის რესპუბლიკა უნდა ყოფილიყო.

ამ შემთხვევაში, მკაფიო განსხვავება გვხვდება თვალში სსრ კავშირის ფარგლებ-ში საქართველოს სსრ-ს როლსა და იუგოსლავიის ფედერაციაში სერბეთის როლს შო-რის. საქართველოს სსრ, 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, საკუთარი დამოუკიდ-ებლობისთვის, საბჭოთა იმპერიის მარწუხებისგან თავის დაღწევისთვის იბრძვის, და არა სსრ კავშირის შენარჩუნების ინიციატივით. ქართული მხარის სწორედ ამ ინიცი-ატივის ჩახშობისკენ იყო მიმართული კრემლის ყოველი პოლიტიკური ნაბიჯი 80-ია-ნი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში. ამის ნათელი მაგალითია სსრკ-ს მასშტაბით 1990 წლის 3 აპრილს ამოქმედებული კანონი, რომლის მიხედვითაც, სსრკ-ში შემავალი ნებისმიერი საკავშირო რესპუბლიკის მიერ ამ კავშირის დატოვების შემ-თხვევაში, ამ რესპუბლიკებში შემავალ ავტონომიურ ერთეულებს უფლება ეძლეოდ-ათ რეფერენდუმის საფუძველზე, თავად გადაეწყვიტათ სსრკ-ში დარჩენისა თუ მისი დატოვების საკითხი. სწორედ ამ კანონის გამოცემით ამოქმედდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე კრემლის მიერ დამონტაჟებული ნაღმები.

სწორედ ზემოაღნიშნული ფაქტორის გამო, XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწ-ყისიდან, სერბეთისა და საქართველოს პოლიტიკური პოზიციებისა და ქმედებების

ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ორი სხვადასხვა მისწრაფებისა და მიზნების მქონე ქვეყნებთან. სერბეთი, ამ კუთხით, უფრო მეტ მსგავსებას ავლენს სსრკ-ს სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციასთან, ვიდრე საქართველოსთან. სხვა ფაქტორებთან ერთად, სწორედ ეს ფაქტორი წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის მიერ სერბეთის უპირობო პოლიტიკური თუ სხვა სახის მხარდაჭერის ერთ-ერთ საფუძველს, რაც მკაფიოდ გამოიკვეთა ზემოთ მოყვანილი რუსი ავტორების (ე. გუსკოვა, ა. მანაჩინსკი და დ. დენისოვი) ნარატივებით.

80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში, კოსოვოელი ალბანელების სწრაფვა კოსოვოს დამოუკიდებლობისკენ ერთგვარ მსგავსებას ჰპოვებს აფხაზი და ოსი სეპარატისტების ანტიქართულ გამოსვლებთან. ამ მხრივ აღსანიშნავია 1990 წლის 2 ივლისს კოსოვოს ასამბლეის მიერ კოსოვოს რესპუბლიკის შექმნის მხარდაჭერა, რასაც 1991 წლის 21 სექტემბერს იმავე ასამბლეის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება მოჰყვა. რა თქმა უნდა, ეს ქმედებები კანონგარეშედ გამოცხადდა სერბული მხარის მიერ.

მსგავსი ნაბიჯი გადადგეს 1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზმა სეპარატისტებმა „აფხაზეთის სსრ-ს სახელმწიფო სუვერენიტეტის“ შესახებ დეკლარაციის მიღებით, ხოლო ოსმა სეპარატისტებმა კი იმავე წლის 20 სექტემბერს. თუმცა აქ ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ფაქტორი ამოდის ზედაპირზე კოსოვოსა და აფხაზეთის მაგალითებს შორის. კოსოვოს შემთხვევაში ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილება, როგორც მინიმუმ, კვორუმის ფარგლებში იქნა მიღებული – ასამბლეის სხდომას ესწრებოდა 114 წევრი 123-დან, ხოლო აფხაზეთის შემთხვევაში კი დეკლარაციის მიღება კვორუმის არარსებობის პირობებში მოხდა – უზენაესი საბჭოს სხდომას 138 დეპუტატიდან მხოლოდ 68 ესწრებოდა.

ამგვარად, XX საუკუნის 80-90-იანი წლებისთვის კოსოვოში, ისევე როგორც საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში, ვითარება უფრო და უფრო იძაბებოდა, რაც დიდწილად იუგოსლავიისა და სსრკ-ს დაშლით იყო განპირობებული. შექმნილ ვითარებაში, ბალკანეთსა და კავკასიაში მთავარ განმასხვავებელ ფაქტორებად, პირველ რიგში, სერბული და ქართული სახელმწიფოს პოლიტიკა გვევლინება. თუკი ამ პერიოდში სერბეთი, ფედერალური მასშტაბითაც კი ახერხებდა კოსოვოს რეგიონზე ზე-

მოქმედებას, საქართველოს შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს იმპერიის ნაწილთან, რომელიც თავად განიცდის ზემოქმედებას ცენტრიდან, ხოლო ეს უკანასკნელი კი თავად წარმოადგენს დირიჟორს საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში მიმდინარე მოვლენების განვითარებაში.

სწორედ ამიტომ, დასკვნის სახით უნდა ვთქვათ, რომ ამ პერიოდში სხვადასხვა გარემოებებში სხვადასხვა ტიპის კონფლიქტების განვითარებას აქვს ადგილი სერბებსა და ალბანელებს შორის კოსოვოში და საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში.

კოსოვოს შემთხვევაში, სერბულ მხარეს კოსოვოელ ალბანელებზე ზემოქმედების გაცილებით მეტი ბერკეტი (როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო) გააჩნდა, რადგან სერბეთი თავად წარმოადგენდა ფედერაციული იუგოსლავიის ერთიანობის მთავარ გამწევ ძალას. არ არსებობდა არანაირი მესამე ძალა, რომელიც სერბეთის ტერიტორიაზე განათავსებდა სამხედრო ნაწილებს და სერბ და ალბანელ ხალხს შორის კონფლიქტის ისეთივე გამჩაღებლის როლს შეასრულებდა, როგორც კრემლმა შეასრულა აფხაზებს, ოსებსა და ქართველებს შორის.

ამგვარად, XX საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის დასაწყისში, ბალკანეთსა და კავკასიაში კონფლიქტები სრულიად განსხვავებულ გარემოებებში მწიფდებოდა.

თავი IV. კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი XX საუკუნის 90-იან – XXI საუკუნის 10-იან წლებში: საერთო და განმასხვავებელი ტენდენციები

§1. კოსოვო XX ს. 90-იან – XXI ს. 10-იან წლებში

1.1. კოსოვო XX ს. 90-იან წლებში: სამხედრო-პოლიტიკური არეულობიდან სამშვიდობო ძალების განთავსებამდე

XX საუკუნის ბოლო ათწლეულის დასაწყისში, ბალკანეთის რეგიონი სამხედრო-პოლიტიკურ კრიზისში ჩაეფლო, რომელიც პირდაპირ იყო დაკავშირებული იუგოსლავიის ფედერაციის დაშლის პროცესთან. პირველ სამხედრო კონფრონტაციას ამ ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა 1991 წლის ივნის-ივლისში სლოვენიისა და იუგოსლავიის ფედერაციულ ძალებს შორის გამართულ ე.წ. „ათდღიან ომში“.[1]

1992 წლის იანვარში ხორვატიისა და სლოვენიის დამოუკიდებლობა საერთაშორისო დონეზე იქნა აღიარებული. ამ მოვლენებმა მეტად გაამწვავა ვითარება ბოსნია-ჰერცეგოვინაში. სერბეთი ყველა ძალით ცდილობდა იუგოსლავური ფედერაციის ერთიანობის შენარჩუნებას. მათი ეს მიზანი, თავის მხრივ, პირდაპირ იყო დაკავშირებული „დიდი სერბეთის“ შექმნის იდეასთან. ამასთან ერთად, სერბები კოსოვოს ტერიტორიის მტკიცე კონტროლსაც ახორციელებდნენ, სადაც 1992 წლის 24 მაისს გამართულ „საპრეზიდენტო არჩევნებში“, „კოსოვოს დემოკრატიული ლიგის“ მეთაურმა – იბრაჰიმ რუგოვამ გაიმარჯვა. ჩამოყალიბდა თვითგამოცხადებული კოსოვოს რესპუბლიკა, რომლის პრემიერ მინისტრიც გახდა ბუიარ ბუკოში.

მიუხედავად იმისა, რომ სერბეთი არ სცნობდა აღნიშნულ არჩევნებს, ალბანელები გულმოდგინედ განაგრძობდნენ ბრძოლას კოსოვოში ალბანური სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად. ამ დროისთვის კდლ (კოსოვოს დემოკრატიული ლიგა) 700 ათას წევრს ითვლიდა, ხოლო ორგანიზაციის წარმომადგენლობითი ცენტრები კი გახსნილი იყო ციურიხში, შტუტგარტსა და ბრიუსელში.[2]

---

[1] **Reneo Lukic and Allen Lynch.** Europe from the Balkans to the Urals: The Disintegration of Yugoslavia and the Soviet Union. New York: Oxford University Press, 1996, გვ. 29-30.
[2] **Miranda Vickers.** Between Serb and Albanian, გვ. 250.

იბრაჰიმ რუგოვა პრაქტიკულად კოსოვოს არაოფიციალური მთავრობის მეთაური გახდა. იგი ცდილობდა მოეგვარებინა კოსოვოელ ალბანელთა ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიც იყო უმუშევრობა, რის მიზეზსაც დიდწილად წარმოადგენდა სერბების მიერ ინიცირებული 1989 წლის საკანონმდებლო ცვლილებები.

აღნიშნული ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად, კოსოვოელი ალბანელების ძალისხმევით, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყველა ალბანელს საკუთარი შემოსავლის 3 პროცენტი უნდა ჩაერიცხა კოსოვოს ახლადშექმნილი „მთავრობისთვის".[1] იბრაჰიმ რუგოვას მთავარ პოლიტიკურ მიზანს წარმოადგენდა ძალადობის თავიდან აცილება და კოსოვოს საკითხის ინტერნაციონალიზაცია, რათა ეს საკითხები გაერო-ში განხილულიყო.[2] ეს გეგმა მეტად რთულად განსახორციელებელი აღმოჩნდა სერბული ფაქტორის გამო. ამ პერიოდისთვის სერბული არმია წარმოდგენილი იყო არა მხოლოდ კოსოვოში, არამედ ასევე ბოსნია-ჰერცეგოვინასა და ხორვატიაში. მიუხედავად ამგვარი ვითარებისა, რუგოვა ამჯობინებდა ე.წ. „უმოქმედობისა და გადარჩენის პოლიტიკას".[3] თავდაპირველად ე.წ. კოსოვოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი ბუიარ ბუკოშიც იზიარებდა რუგოვას ამ შეხედულებას.

შექმნილ ვითარებაში, აშშ-ს მიერ სერბეთი აღიქმებოდა, როგორც აგრესორი და სამხედრო-პოლიტიკური არეულობის ინიციატორი იუგოსლავიის ტერიტორიაზე. თუმცა, ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ დასავლურ პოლიტიკურ სივრცეში, ამ დროისთვის კოსოვო მაინც სერბეთის შემადგენელ ნაწილად რჩებოდა და არა პოტენციურ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, როგორც იმ დროისთვის ხორვატიისა და სლოვენიის სახელმწიფოები.

აშშ-სა და ზოგადად დასავლეთის ბალკანეთისადმი ორაზროვანი პოლიტიკური მიდგომის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია 1992 წლის დეკემბერში, აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ჰერბერტ უოკერ ბუშის ე.წ. „საშობაო გაფრთხილება" ("Christmas Warning"), რომ კოსოვოს რეგიონში სერბების ინიციატივით დაწყებული კონფლიქტის შემთხვევაში, აშშ მზად იყო გადასულიყო სამხედრო მოქმედებაზე სერბეთის წინააღმდეგ.[4]

---

[1] **Tim Judah.** Kosovo, გვ. 73.
[2] **Peter Ronayne.** Genocide in Kosovo. / *Human Rights Review*, Vol. 5, Issue 4. Jul-Sep 2004, გვ. 60.
[3] **Tim Judah.** Kosovo, გვ. 71.
[4] **Ivo H. Daalder and Michael E. O'Hanlon.** Winning Ugly: NATO's war to save Kosovo. Brookings Institution Press, Washington, DC, 2001, გვ. 9.

აღნიშნულ „გაფრთხილებამდე“ ჯერ კიდევ ერთი თვით ადრე, გაზეთ “The New York Times”-ში დაიბეჭდა სტატია შემდეგი სათაურით: „ოპერაცია ბალკანური ქარიშხალი: გეგმა“. ეს სტატია პრაქტიკულად წარმოადგენდა ბალკანეთში აშშ-ს ინტერვენციის სტრატეგიულ სამოქმედო გეგმას სერბეთის წინააღმდეგ.[1]

აშშ-ს გარდა, ამ პერიოდში ბალკანეთში საკუთარი ინტერესები ჰქონდა სსრკ-ს მემკვიდრეს – რუსეთის ფედერაციასაც. თუმცა, აშშ-სგან განსხვავებით, რუსეთი, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ღრმა პოლიტიკურ-ეკონომიკურ კრიზისში იყო ჩაფლული, რაც ბალკანეთის მოვლენებში მოსკოვის პირდაპირი სამხედრო-პოლიტიკური ინტერვენციისთვის მეტად არახელსაყრელ პირობებს ქმნიდა.

საკუთარი მშვიდობიანი პოლიტიკის გათვალისწინებით, 1995 წლის ნოემბერში, ბოსნიის ომის დამასრულებელი დეიტონის საერთაშორისო კონფერენციისგან იბრაჰიმ რუგოვას დიდი მოლოდინები ჰქონდა. კოსოვარების ლიდერის რწმენით, ამ კონფერენციაზე კოსოვოს საკითხი დღის წესრიგში უნდა დამდგარიყო. თუმცა რუგოვას იმედებს ასრულება არ ეწერა. დეიტონის კონფერენცია მთლიანად ბოსნია-ჰერცეგოვინაში ომის შეწყვეტაზე იყო ფოკუსირებული.

დეიტონში კოსოვოს საკითხის არდაყენების მიზეზებზე საუბრისას მკვლევარი რიჩარდ კაპლანი ხაზს უსვამს, რომ კოსოვოში ამ დროს ომი არ იყო.[2]ავტორის აზრით, სწორედ ეს უნდა ყოფილიყო კოსოვოს საკითხის დღის წესრიგში არდაყენების მიზეზი ამ კონფერენციაზე, რომელიც მთლიანობაში რუგოვას მშვიდობიანი პოლიტიკის არაეფექტურობის მაჩვენებლად იქცა, პირველ რიგში, თავად კოსოვოელი ალბანელებისთვის.

იმავე 1995 წელს რუგოვას მშვიდობიან პოლიტიკას გაემიჯნა ბუიარ ბუკოში, რომელმაც შექმნა ე.წ. „კოსოვოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები“. იმავდროულად, უფრო და უფრო პოპულარული ხდებოდა 1991 წელს შექმნილი კოსოვოს განმათავისუფლებელი არმია (კგა),[3] რომლის მთავარ სამოქმედო გეგმას კოსოვოსა და ალბანეთის ძალისმიერი მეთოდებით გაერთიანება წარმოადგენდა. 1998 წელს მოხდა

---

[1] **George Kenney and Michael J. Dugan.** Operation Balkan Storm: Here's a Plan. // *The New York Times.* November 29, 1992, გვ. 15. ელექტრონული ვერსია იხ.: http://www.nytimes.com/1992/11/29/opinion/operation-balkan-storm-here-s-a-plan.html.

[2] **Richard Caplan.** International Diplomacy and the crisis in Kosovo, გვ. 751.

[3] **Benjamin S. Lambeth.** NATO's Air War for Kosovo: A Strategic and Operational Assessment. RAND, 2001, გვ. 53.

ბუკოშის ნაწილებისა და კგა-ს გაერთიანება. 1997-98 წლებში კგა-სა და სერბულ ნაწილებს შორის შეტაკებებმა სისტემატური ხასიათი მიიღო. სერბები მკაცრად პასუხობდნენ კოსოვოელ ალბანელთა მოქმედებებს. კოსოვოს ომის დაწყების პერიოდად ითვლება 1998 წლის თებერვალი და მან 1999 წლის ივნისამდე გასტანა.[1]

ამგვარად, 1998 წლისთვის კოსოვოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ასპარეზზე გამოიკვეთა სამი ანგარიშგასაწევი მიმართულება: პირველი – პოლიტიკური მიმართულება, რომელსაც წარმოადგენდა იბრაჰიმ რუგოვა და კოსოვოს დემოკრატიული ლიგა; მეორე – ბუიარ ბუკოშის შედარებით უფრო რადიკალური მიმართულება „კოსოვოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები", ხოლო მესამე – ნაციონალისტურ-ექსტრემისტული მიმართულება „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმია".[2]

1998 წლის მარტში სერბული სამხედრო ნაწილების მიერ დრენიცაში (კოსოვოს ცენტრალური ნაწილი) 70 მშვიდობიანი ალბანელი (ძირითადად ქალები და ბავშვები) იქნა დახოცილი. ამ ინციდენტმა კოსოვოელი ალბანელები უფრო მტკიცედ დარაზმა სერბების წინააღმდეგ საბრძოლველად.[3] 1998 წლის ივლისისთვის კოსოვოს ტერიტორიის თითქმის 30% მოექცა კგა-ს კონტროლის ქვეშ.[4] ეს პერიოდი მიიჩნევა სამხედრო მოქმედებების რეალურ დასაწყისად კოსოვოს ტერიტორიაზე.

1998 წლის 31 მარტს გაერო-ს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 1160, რომლის მიხედვითაც სერბულ და ალბანურ მხარეებს ბრალი ედებოდათ სამხედრო მოქმედებების გაჩაღებაში კოსოვოს რეგიონში. ამასთან ერთად, რეზოლუციაში ხაზგასმული იყო კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების აუცილებლობა.[5] აღნიშნულ რეზოლუციას არანაირი რეალური შედეგი არ მოჰყოლია. სერბები და ალბანელები გულმოდგინედ განაგრძობდნენ სამხედრო მოქმედებებს.

გაერო-ს უშიშროების საბჭოს შემდგომი – 1199-ე რეზოლუცია მიღებულ იქნა 1998 წლის 23 სექტემბერს. წინა რეზოლუციის მსგავსად, ეს დოკუმენტიც, პირველ

---

[1] The Kosovo Report: Conflict, International Response, Lessons Learned. The Independent International Commission on Kosovo. Oxford: Oxford University Press, 2000, გვ. 2. ელექტრონული ვერსია იხ.: https://reliefweb.int/sites/reliefweb.int/files/resources/6D26FF88119644CFC1256989005CD392-thekosovoreport.pdf.

[2] **დაზმირ ჯოჯუა.** კოსოვოს პრეცედენტი.., გვ. 483-484.

[3] **Julie A. Mertus.** Operation Allied Force, გვ. 469.

[4] **Michael MccGwire.** Why did We Bomb Belgrade? / *International Affairs*, Vol. 76, No, 1. January 2000, გვ. 4.

[5] Resolution 1160 (1998). Adopted by the Security Council at its 3868th meeting, on 31 March 1998. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.nato.int/kosovo/docu/u980331a.htm.

რიგში, მოითხოვდა ცეცხლის შეწყვეტას და კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით დარეგულირებას. რეზოლუციის მიხედვით, სერბებისა და ალბანელების სამხედრო შეტაკებების შედეგად, იმ დროისთვის უკვე 230 ათასი კოსოვოელი ალბანელი იყო განდევნილი საკუთარი სახლიდან.[1]

რა თქმა უნდა, ვერც ეს რეზოლუცია იქცა კოსოვოში შექმნილი სიტუაციის განმუხტვის მთავარ მექანიზმად. დოკუმენტის მიღებიდან სამ დღეში – 26 სექტემბერს, მორიგ სერბულ შეტევას კოსოვოს ერთ-ერთ სოფელზე 18 მშვიდობიანი ალბანელის (ძირითადად კვლავ ქალების, ბავშვებისა და მოხუცების) სიცოცხლე ემსხვერპლა.

აშშ-ს დიპლომატია ცდილობდა, თავისი როლი ეთამაშა კოსოვოში შექმნილი ვითარების განმუხტვაში, რაც გამოიხატებოდა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მადლენ ოლბრაითის იმდროინდელ გამოსვლაში: „ჩვენ მკაფიოდ დავაფიქსირეთ მილოშევიჩთან და კოსოვარებთან, რომ ჩვენ არ ვუჭერთ მხარს კოსოვოს დამოუკიდებლობას, რომ ჩვენ გვსურს სერბეთის „გამოსვლა“ კოსოვოდან და არა კოსოვოს გამოსვლა სერბეთიდან“.[2] თუმცა კოსოვოელი ალბანელები მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ, სამხედრო შეტაკებები გრძელდებოდა.

1998 წლის 13 ოქტომბერს ჩრდილო ატლანტიკური ორგანიზაციის მიერ ბელგრადში გაიგზავნა გაფრთხილება, რომლის მიხედვითაც, სერბეთის სამხედრო ნაწილებს ეძლეოდათ 96 საათი კოსოვოს ტერიტორიის დასატოვებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში NATO დაიწყებდა სამხედრო-საჰაერო მოქმედებებს სერბეთის ტერიტორიაზე.[3]

მხოლოდ აღნიშნული მუქარის შემდეგ მოხდა მილოშევიჩის დათანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად. 1998 წლის 24 ოქტომბერს მიღებულ იქნა გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1203-ე რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც კოსოვოს რეგიონში ეუთო-ს სპეციალური კომისია უნდა გაგზავნილიყო, რომელიც, თავის მხრივ, გააკონტროლებდა რეგიონში არსებული მდგომარეობის 1160-ე და 1199-ე რეზოლუციებთან შესაბამისობას. აღნიშნულ კომისიასთან ერთად, დამატებითი უსაფრთხოების ზომების დაცვის მიზნით, რეგიონში უნდა გაგზავნი-

---

[1] Resolution 1199 (1998).Adopted by the Security Council at its 3930th meeting on 23 September 1998. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.nato.int/kosovo/docu/u980923a.htm

[2] **James Ker-Lindsay.** From Autonomy to independence: the evolution of international thinking on Kosovo, 1998–2005. / *Journal of Balkan and Near Eastern Studies.*Volume 11, Number 2, June 2009, გვ. 145 (სტილი დაცულია – **კ.ყ.**).

[3] **Julie A. Mertus.** Operation Allied Force, გვ. 469.

ლიყო NATO-ს საჰაერო მისიაც.[1]

ზემოაღნიშნულ ღონისძიებებთან ერთად, 1998 წლის ოქტომბერში იუგოსლავიის არმიის (ძირითადად შედგებოდა სერბული სამხედრო ნაწილებისგან) შემადგენლობა შემცირებულ იქნა 18 000-დან 12 500-მდე. სპეციალური საპოლიციო ძალები კი 6 500-მდე. თუმცა, მალე კგა-ს ნაწილები კვლავ გადავიდნენ მოქმედებაზე სერბების მიერ უკანდახევისას დატოვებული ტერიტორიების დასაკავებლად. ნოემბრისთვის სერბებმა კვლავ გაგზავნეს რეგიონში საკუთარი სამხედრო ნაწილები.[2]ამგვარად, ზემოაღნიშნული დიპლომატიური ძალისხმევის მიუხედავად, 1998 წლის მიწურულისთვის კოსოვოში შექმნილი ვითარება კონტროლს არ ექვემდებარებოდა.

1999 წლის 8-10 იანვარს კგა-ს ნაწილებმა კოსოვოს ქალაქ შტიმესთან ახლოს ოთხი სერბი პოლიციელი მოკლეს. სერბებმა ალბანელებს 45 მშვიდობიანი ალბანელის (მოკლულთა შორის იყო 12 წლის ბავშვი) დახოცვით უპასუხეს სოფელ რაჩაკთან. ამის შემდეგ, მილოშევიჩის ბრძანებით, კოსოვოს ტერიტორიაზე მუშაობა აეკრძალათ საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს.[3]

„საინტერესო“ ბალკანეთის საკითხებში რუსი ექსპერტის – ელენა გუსკოვას შეხედულება „რაჩაკის მკვლელობებზე“. მისი მტკიცებით, რაჩაკის მოვლენები ეუთო-ს მისიის მიერ იყო დადგმული და 45 ცხედარი რაჩაკში მოტანილი იყო სხვა ადგილიდან იმისთვის, რომ შემდგომში, აღნიშნული ბოროტმოქმედება სერბებსა და მილოშევიჩს დაბრალებოდათ.[4] ე. გუსკოვას ეს პოზიცია ხაზს უსვამს კოსოვოს მიმართ კრემლის პოლიტიკურ დამოკიდებულებას და სრულ წინააღმდეგობაში მოდის Human Rights Watch-ისა[5] და ეუთო-ს ანგარიშებთან[6] რაჩაკის მოვლენებთან დაკავშირებით.

იანვრის მოვლენების შემდეგ, დიპლომატებმა კიდევ ერთხელ გადაწყვიტეს კოსოვოში შექმნილი ვითარების მშვიდობიანი მეთოდებით დარეგულირება. ამისთვის

---

[1] Resolution 1203 (1998).Adopted by the Security Council at its 3937th meeting, on 24 October 1998. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.nato.int/kosovo/docu/u981024a.htm

[2] **Benedikt C. Harzl.** Conflicting Perceptions: Russia, the West and Kosovo, გვ. 501.

[3] **Julie A. Mertus.** Operation Allied force, გვ. 469; **Peter Ronayne.** Genocide in Kosovo, გვ. 62.

[4] **Елена Гуськова.** История югославского кризиса, გვ. 669-670.

[5] "Yugoslav Government War Crimes in Racak." In: *A Human Rights Watch Report*, January 1999. ელექტრონული ვერსია იხ.: http://pantheon.hrw.org/legacy/campaigns/kosovo98/racak.shtml.

[6] Kosovo/Kosova: As Seen, As Told. An analysis of the human rights findings of the OSCE Kosovo Verification Mission. October 1998 to June 1999. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.osce.org/odihr/17772?download=true.

გადაწყდა კონფერენციის მოწვევა პარიზის მახლობლად – რამბუიეში, სადაც ალბანურ და სერბულ მხარეებს, NATO-ს საკონტაქტო ჯგუფის შუამავლობით უნდა გაემართათ მოლაპარაკებები კოსოვოს რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად. კონფერენცია მიმდინარეობდა 6-დან 23 თებერვლამდე.[1]

კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებების თანახმად, შეთანხმება ძალაში უნდა დარჩენილიყო სამი წლის განმავლობაში. სერბული და ალბანური სამხედრო კონტინგენტების ნაწილს კოსოვოს სასაზღვრო ტერიტორიებზე დარჩენის უფლება ენიჭებოდათ. თავად კოსოვო უნდა ყოფილიყო სერბეთის ავტონომიური ნაწილი, რომლის უსაფრთხოების გარანტიას NATO-ს სამხედრო ძალები წარმოადგენდნენ. ასევე უნდა მომხდარიყო კგა-ს განიარაღება.[2]

სამწუხაროდ, ამ პუნქტებმა მხოლოდ და მხოლოდ გააღრმავა სერბულ და ალბანურ მხარეებს შორის არსებული უთანხმოება. კონფერენციის ბოლოსთვის, პრაქტიკულად ორივე მხარემ უარყო ეს პირობები. კოსოვოელი ალბანელების მთავარ მოთხოვნად დამოუკიდებლობა რჩებოდა და ისინი საკუთარი მოთხოვნების საბოლოოდ ჩამოსაყალიბებლად კიდევ ორ კვირას ითხოვდნენ. რაც შეეხება სერბულ მხარეს, მილოშევიჩმა არათუ არ გაიზიარა ზემოაღნიშნული პირობები, არამედ კონფერენციის მსვლელობის პერიოდში გაზარდა სერბული არმიის რაოდენობა კოსოვოს ტერიტორიაზე.[3]

15 მარტს მოლაპარაკებები კვლავ განახლდა პარიზში. კოსოვოელმა ალბანელებმა სრული მზაობა გამოხატეს შეთანხმების ხელმოსაწერად, მაშინ, როდესაც სერბები კონფერენციაზე დაბრუნდნენ პრაქტიკულად ახალი პირობებითა და შეთავაზებებით კოსოვოს მომავალი ადმინისტრაციის მოწყობასთან დაკავშირებით.[4] აღნიშნული მოვლენების შესახებ კარდინალურად განსხვავებულ შეხედულებას ვხვდებით რუს ავ-

---

[1] კონფერენციაზე შექმნილი დაძაბული ვითარების საილუსტრაციოდ, საინტერესოა აღინიშნოს, რომ რამბუიეში ალბანელებისა და სერბების სასადილო ოთახებიც კი ცალ-ცალკე მდებარეობდა. ამიტომაც საკონტაქტო ჯგუფის წარმომადგენლებს სადილის დროს ოთახიდან ოთახში გადაადგილება უწევდათ ორ დაპირისპირებულ მხარესთან მოსალაპარაკებლად. იხ.: **Marc Weller.** The Rambouillet Conference on Kosovo. / *International Affairs*, Vol. 75, No 2. April 1999, გვ. 227-228.

[2] Rambouillet Accords. Interim Agreement for Peace and Self-Government in Kosovo. იხ.: http://peacemaker.un.org/sites/peacemaker.un.org/files/990123_RambouilletAccord.pdf.

[3] **Marc Weller.** The Rambouillet Conference on Kosovo, გვ. 236.

[4] **Marc Weller.** The Crisis in Kosovo 1989-1999: From the Dissolution of Yugoslavia to Rambouillet and the Outbreak of Hostilities. Cambridge, 1999, გვ. 469.

ტორებთან (ე. გუსკოვა, ა. მანაჩინსკი და დ. დენისოვი), რომელთა მტკიცებით, სერბულ მხარეს კონფერენციის ბოლო დღემდე არ უნახავს საბოლოოდ მომზადებული ტექსტის 69%, განსაკუთრებით ის ნაწილები, რომლებიც ითვალისწინებდა NATO-ს ძალების განლაგებას რეგიონში. რუსული შეხედულების მიხედვით, ამ ნაბიჯებით ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაცია პრაქტიკულად კოსოვოს ოკუპაციას ახდენდა.[1]

სერბულ მხარესთან დიპლომატიური მოლაპარაკების კიდევ ერთ მცდელობას ჰქონდა ადგილი 1999 წლის 22 მარტს, როდესაც აშშ-ს სპეციალურმა წარმომადგენელმა რიჩარდ ჰოლბრუკმა სცადა, მილოშევიჩი დაეყოლიებინა რამბუიეს პირობების მიღებაზე. მოლაპარაკების მცდელობამ ამჯერადაც უშედეგოდ ჩაიარა. ჰოლბრუკი დაბრუნდა ბრიუსელში, სადაც NATO-ს წარმომადგენლობამ, მის ანგარიშზე დაყრდნობით გამართა ბრიფინგი, რომელზეც სერბეთის წინააღმდეგ საჰაერო ოპერაციის დაწყების გადაწყვეტილება იქნა მიღებული.[2]

NATO-ს სამხედრო მოქმედებები დაიწყო 1999 წლის 24 მარტს. კრემლის დამოკიდებულება ამ მოქმედებების მიმართ მკაფიოდ გამოიხატა რუსეთის პრემიერ მინისტრის ევგენი პრიმაკოვის ქმედებაში. ალიანსის საჰაერო მოქმედებების დაწყებისას პრიმაკოვი თვითმფრინავით მიემართებოდა ვაშინგტონში საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან რუსეთისთვის 4.8 მლრდ დოლარის ოდენობის სესხის მისაღებად. როდესაც მას NATO-ს გადაწყვეტილების შესახებ შეატყობინეს, პრიმაკოვმა პილოტებს მოსკოვში დაბრუნების ბრძანება მისცა. ამით, რუსეთის პრემიერ მინისტრმა, მისივე თქმით, რუსეთის პოლიტიკური პრინციპები „დაიცვა“. თუმცა, როგორც დღეისთვის ცნობილია, პრიმაკოვის ვიზიტი ვაშინგტონში მხოლოდ და მხოლოდ მეორე დღისთვის გადაიდო.[3]

NATO-ს საჰაერო კამპანია 78 დღე გრძელდებოდა და 1999 წლის 10 ივნისს დასრულდა. აღსანიშნავია, რომ იგი განხორციელდა გაერო-ს ოფიციალური მანდატის გარეშე. აშშ-ს თავდაცვის მდივნის მოადგილის უოლტერ სლოკომბის (1994-2001) მიხედვით, NATO-ს არ სჭირდებოდა გაერო-ს მანდატი. მისი თქმით, რა თქმა უნდა, ეს

---

[1] **Елена Гуськова.** История югославского кризиса, გვ. 671; **А. Я. Маначинский, Д. О. Денисов.** Косово и Метохия.., გვ. 86.

[2] **Marc Weller.** The Rambouillet Conference on Kosovo, გვ. 236.

[3] **Regina Heller.** Russia's quest for respect in the international conflict management in Kosovo. / *Communist and Post-Communist studies*, Vol. 47, Issues 3-4, September-December 2014, გვ. 338-339.

დოკუმენტი სასურველი იქნებოდა, მაგრამ გაერო-ს წესდების 51-ე მუხლი უფლებას აძლევს ამა თუ იმ სახელმწიფოს, მსოფლიოში უსაფრთხოებისა და მშვიდობის დაცვის მიზნით, აღნიშნული მანდატის გარეშე დაიწყოს სამხედრო მოქმედება.[1]

გაერო-ს წესდების 51-ე მუხლის მიხედვით, ორგანიზაციის წევრ ნებისმიერ სახელმწიფოს უფლება აქვს, მიმართოს ინდივიდუალური ან კოლექტიური უსაფრთხოების ზომებს, თუკი შეიარაღებული თავდასხმა მოხდება გაერო-ს რომელიმე წევრ სახელმწიფოზე, მანამ, სანამ უშიშროების საბჭო მიიღებს საერთაშორისო მშვიდობის დაცვის ზომებს.[2] ამგვარად, აღნიშნული მუხლის ინტერპრეტირება არ გვაძლევს სლოკომბის სიტყვების გაზიარების საფუძველს, რადგან კოსოვო არც 1999 წელს და არც დღეს არ წარმოადგენს გაერო-ს წევრ ქვეყანას და, შესაბამისად, ამ ორგანიზაციის წესდების ვერცერთი მუხლი მასზე ვერ გავრცელდებოდა. თუმცა აღნიშნულ შეხედულებასთან ერთად, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ სამხედრო ჩარევის გარდა, მილოშევიჩის მშვიდობაზე დაყოლიების სხვა ყველა დიპლომატიურმა მცდელობამ, ამ დროისთვის უშედეგოდ ჩაიარა.

როგორც ზემოთ დავინახეთ, შექმნილი ვითარების მიმართ მოსკოვს მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდა. ამ პერიოდში, რუსეთი საკმაოდ ღრმა ფინანსურ კრიზისში იყო ჩაფლული და ძალა არ შესწევდა, წინააღმდეგობა გაეწია დასავლეთის სახელმწიფოებისათვის ბალკანეთში გავლენის შესანარჩუნებლად. კრემლისთვის მეტად მძიმე იყო იმის გაცნობიერება, რომ ევროპის ქვეყნები, აშშ-სთან ერთად, ბალკანეთში საკუთარი პოლიტიკური გავლენის ზრდას მიელტვოდნენ. რუსეთის აღნიშნული პოზიცია მკაფიოდ გამოიხატებოდა პრიმაკოვის სიტყვებში, რომლითაც მან მადლენ ოლბრაითს მიმართა 1998 წელს: „რუსეთი 200 წლის მანძილზე იყო წარმოდგენილი ბალკანეთში. ჩვენთვის გაუგებარია ამერიკის პოზიცია, რომელსაც დღეს, ჩვენთან კონსულტაციის გარეშე, სურს საკუთარი რეკომენდაციები უკარნახოს რეგიონს შექმნილი პრობლემების დასარეგულირებლად“.[3]

ამგვარად, რუსული პოზიციის მიმოხილვის შემდეგ, შეგვიძლია ერთგვარად შევაჯეროთ NATO-ს საჰაერო ოპერაციისთვის გაერო-ს მანდატის არმინიჭების მიზეზე-

---

[1] **Bill Hayton.** Today Kosovo, tomorrow the world. // "*New Statesman",* 2 April 1999, გვ. 11.

[2] Charter of the United Nations and Statute of the International Court of Justice, გვ. 10-11. იხ.: https://treaties.un.org/doc/Publication/CTC/uncharter.pdf.

[3] **Benedikt C. Harzl.** Conflicting Perceptions: Russia, the West and Kosovo, გვ. 495.

ბი და დავასკვნათ, რომ რუსეთი, როგორც გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრი სახელმწიფო არაფრით დასთანხმდებოდა იუგოსლავიის ტერიტორიაზე NATO-ს სამხედრო მოქმედებებისთვის მანდატის მინიჭებას არა იმიტომ, რომ ის მართლაც ზრუნავდა რეგიონში მშვიდობის შენარჩუნებასა და სამხედრო მოქმედებების თავიდან აცილებაზე, არამედ იმიტომ, რომ, აღნიშნული მანდატის მინიჭებით, ძალაუნებურად შეუწყობდა ხელს ბალკანეთში დასავლური გავლენის გაძლიერებას, ეს კი კრემლის ინტერესებს პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა.

1999 წლის მაისისთვის რუსეთი მეტად შეშფოთებული იყო NATO-ს სამხედრო ოპერაციებით. ამის ფონზე სლობოდან მილოშევიჩი კვლავ წინააღმდეგი იყო დასავლეთთან მოლაპარაკებისა. შექმნილ ვითარებაში, იმის გააზრებით, რომ სამხედრო კუთხით NATO-ს წინააღმდეგ რუსული არმია და ტექნიკა ვერაფერს გახდებოდა, რუსი დიპლომატის ვიქტორ ჩერნომირდინის ინიციატივით, აშშ-ს დიპლომატებთან ერთად გადაწყდა კოსოვოს კრიზისის მშვიდობიანი გზით დარეგულირება.

6 მაისს პეტერსბერგში, ბონის მახლობლად, „დიდი რვიანის“ საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე გადაწყდა კოსოვოს საკითხის გაეროს უშიშროების საბჭოს ფორმატის დღის წესრიგში დაბრუნება. ამასთან ერთად, გადაწყდა თავად კოსოვოს სტატუსის განსაზღვრის სამუშაო პროცესის დაწყება, რომელსაც კოსოვოს თვითმმართველობის საკითხი უნდა განესაზღვრა რამბუიეს დადგენილებებისა და ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნების ტერიტორიული სუვერენიტეტის პრინციპების გათვალისწინებით.[1]

14 მაისს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 1239, რომელმაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი პეტერსბერგის შეხვედრაზე მიღებული პირობებისა და სამშვიდობო მექანიზმების განხორციელების აუცილებლობას.[2] 1999 წლის 1 ივნისს იუგოსლავიის წარმომადგენლობამ ოფიციალურად შეატყობინა გერმანიას, რომ იგი მზად იყო „დიდი რვიანის“ მიერ შემუშავებული პრინციპების მისაღებად, რის სანაცვლოდაც NATO-ს საჰაერო ოპერაციის სასწრაფოდ შეწყვეტას მოითხოვდა. ევროკავშირის ახლად დანიშნული წარმომადგენელი კოსოვოს საკითხებში, ფინეთის პრეზი-

[1] **James Hughes.** Russia and the Secession of Kosovo: Power, Norms and the failure of Multilateralism. / *Europe-Asia Studies*, Vol. 65, No. 5, July 2013, გვ. 1003.

[2] ***Resolution 1239 (1999).*** Adopted by the Security Council at its 4003rd meeting on 14 May 1999. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.nato.int/kosovo/docu/u990514a.htm.

დენტი მარტი აჰტისაარი, რუსეთის წარმომადგენელთან, ვიქტორ ჩერნომირდინთან ერთად გაემგზავრა ბელგრადში ზემოაღნიშნული შეთანხმების საბოლოოდ გასაფორმებლად.[1] 9 ივნისს გაფორმებული, ე.წ. „კუმანოვოს შეთანხმების" მიხედვით, KFOR-ის ძალები, ყოფილი იუგოსლავიის ფედერაციის ერთეულები და სერბეთის რესპუბლიკა ვალდებულებას იღებდნენ კოსოვოში შექმნილი ვითარება მშვიდობიანი გზებით გადაწყვეტილიყო.[2]

საბოლოოდ, 10 ივნისს NATO-ს საჰაერო-სამხედრო ოპერაცია დასრულდა. იმავე დღეს გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ იქნა 1244-ე რეზოლუცია,[3] რომლის მიხედვითაც, კოსოვოს აღორძინება უნდა მომხდარიყო 4 ნაწილად: 1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიას კოსოვოში (UNMIK – United Nations Mission in Kosovo) უნდა ეზრუნა კოსოვოს ადმინისტრაციულ მოწყობაზე. 2. გაერო-ს უმაღლეს წარმომადგენლობას ლტოლვილთა საკითხებში (UNHR – United Nations High Commissioner for Refugees) უნდა ეზრუნა იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხებზე. 3. ეუთო-ს საკუთარ თავზე უნდა აეღო რეგიონში დემოკრატიზაციის პროცესზე ზრუნვა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სხვა მიმართულებებით. ამასთან ერთად, ევროკავშირს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა კოსოვოს ეკონომიკურ რეაბილიტაციაზე. 4. კოსოვოს სტაბილურობის ძალები (KFOR – Kosovo Stabilization Forces) წარმოადგენდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ შექმნილ ორგანიზაციას, რომელსაც ევალებოდა კოსოვოს უსაფრთხოების დაცვა რამბუიეს კონფერენციის შეთანხმების მიხედვით.[4]

KFOR-ის პირველი კონტინგენტი კოსოვოს ტერიტორიაზე ჩავიდა 12 ივნისს. 2001 წლამდე მათმა საერთო რაოდენობამ 50 000 ადამიანი შეადგინა. თავდაპირველად ეს ძალები ხუთ ნაწილად იყვნენ დაყოფილი: ცენტრალური სამეთაურო კონტინგენტი განლაგებული იყო პრიშტინაში; ფრანგული და იტალიური ნაწილები განთავსდნენ კოსოვოს ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით; ბრიტანული ნაწილები – ცენტ-

---

[1] **James Hughes.** Russia and the Secession of Kosovo, გვ. 1004.

[2] ***Military Technical Agreement.*** უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://www.nato.int/kosovo/docu/a990609a.htm.

[3] ***Resolution 1244 (1999).*** Adopted by the Security Council at its 4011th meeting, on 10 June 1999. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.nato.int/kosovo/docu/u990610a.htm.

[4] **Edina Lilla Mészáros.** United Nations Interventionism: Peacekeeping Operations in Kosovo. / Eurolimes, Vol. 18, Autumn 2014. Oradea University Press, გვ. 136.

რში, გერმანული ნაწილები – სამხრეთ-დასავლეთით, ხოლო ამერიკული ნაწილები კი – კოსოვოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებში.[1]

რუსეთს, თავის მხრივ, სურდა საკუთარი სამხედრო ნაწილების გაგზავნა კოსოვოში, თუმცა ეს ნაწილები KFOR-ის შემადგენლობაში არ უნდა მოქცეულიყო. მათთვის ცალკე საკონტროლო ზონა უნდა ყოფილიყო გამოყოფილი კოსოვოს ტერიტორიაზე. ამ მოთხოვნით, მოსკოვის მიერ პარაშუტისტების მთელი ბატალიონი იქნა გაგზავნილი პრიშტინის აეროდრომზე 1999 წლის 11 ივნისს, KFOR-ის ნაწილების ჩამოსვლამდე ერთი დღით ადრე, მათი ბლოკირების მიზნით.

ეს იყო მომენტი, როდესაც NATO და რუსეთი აღმოჩნდნენ რეალური ომის ზღვარზე. NATO-ს მოკავშირეების უმაღლესმა მთავარსარდალმა უესლი კლარკმა პრიშტინის აეროდრომის ტერიტორიის ბლოკირების და, ამ გზით, რუსული ნაწილების მომარაგების გარეშე დატოვების ბრძანება გასცა, თუმცა ბრიტანული სახმელეთო ნაწილების მეთაურმა მაიკ ჯეკსონმა ეს ბრძანება არ შეასრულა.[2] საბოლოოდ, სამი დღის შემდეგ მოხდა რუსული ნაწილების ჩართვა კოსოვოს მშვიდობისმყოფელთა რიგებში, ოღონდ მათთვის ცალკე საკონტროლო ზონის გამოყოფის გარეშე.

1.2. კოსოვო 1999 წლის შემდეგ

2003 წლის ივნისში, სალონიკში გამართულ სამიტზე, UNMIK-ის მისიის ხელმძღვანელმა მიხაელ შტაინერმა წარმოადგინა კოსოვოს შემდგომი განვითარების გეგმა: “Standards before Status”. აღნიშნული გეგმა მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც იყო დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება კოსოვოში, საკანონმდებლო რეფორმები, საბაზრო ეკონომიკის განვითარების საკითხები, ოფიციალურ ბელგრადთან დიალოგის ფორმატის ჩამოყალიბება და ა.შ. აღნიშნული გეგმის მთავარ მიზანს წარმოადგენდა იმის დემონსტრირება, რომ კოსოვოს ინსტიტუციებს შესწევდათ ძალა, დაეცვათ რეგიონში მოსახლე ყველა ეთნიკური ჯგუფის უფლებები.[3]

მიუხედავად ამ ღონისძიებებისა, 2004 წლის მარტში, პრიშტინას მახლობლად

---

[1] **Edina Lilla Mészáros.** United Nations Interventionism: Peacekeeping Operations in Kosovo, გვ. 137.

[2] **Benedikt C. Harzl.** Conflicting Perceptions: Russia, the West and Kosovo, გვ. 505.

[3] **Branislav Radeljić.** Official Discrepancies: Kosovo Independence and Western European Rhetoric. / *Perspective on European Politics and Society*, Vol. 15. No. 4. Routledge, 2014, გვ. 434.

ქალაქ ჩაგლავიცაში სერბებსა და ალბანელებს შორის მორიგ შეტაკებას ჰქონდა ადგილი. 16 მარტს ჩაგლავიცაში მცხოვრებმა კოსოვოელმა სერბებმა პროტესტის ნიშნად გადაკეტეს სკოპიესკენ მიმავალი მთავარი მაგისტრალი. იმავე საღამოს, კოსოვოს ჩრდილოეთით, სოფელ ჩაბრაში სამი ახალგაზრდა კოსოვოელი ალბანელი ბიჭის ცხედარი იპოვეს მდინარე იბარში. ადგილობრივი საინფორმაციო წყაროების მიხედვით, ბავშვები ცდილობდნენ, გაქცეოდნენ სერბებს.[1]

ამ მოვლენებმა ბიძგი მისცა საპროტესტო გამოსვლებს მთელი კოსოვოს მასშტაბით. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, 19 მარტისთვის 51 000-მდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა 33 სხვადასხვა ინციდენტში მთელი პროვინციის მასშტაბით. შედეგად, 19 ადამიანი (8 სერბი და 11 ალბანელი) იქნა მოკლული, ათასამდე ადამიანი დაიჭრა, დაახლოებით 550 სახლი დაიწვა 27 ეკლესია-მონასტერთან ერთად და 4100 ადამიანი დარჩა უსახლკაროდ.[2]

მარტის კრიზისის შემდეგ ცხადი გახდა, რომ კოსოვოს სერბ და ალბანელ მოსახლეობას შორის უთანხმოება კლების ნაცვლად იზრდებოდა. აღნიშნულ ვითარებაში, დღის წესრიგში დადგა კოსოვოს პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის საჭიროება. საერთაშორისო სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, რუსეთი და აშშ), რომელიც გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1244-ე რეზოლუციის მიღებას ხელმძღვანელობდა იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ზემოაღნიშნული "Standards before Status" გეგმას აღსრულება არ ეწერა. არაერთი მცდელობის მიუხედავად, UNMIK-ის წარმომადგენლობის საქმიანობა კოსოვოში შორს იყო წარმატებისგან. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, 2000-იანი წლების დასაწყისში, მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო, კოსოვოელი ალბანელების ნახევარი გამოთქვამდა ემიგრირების სურვილს.[3]

2005 წლის ნოემბერში, გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა ოფიციალური თხოვნით მიმართა ფინეთის ყოფილ პრეზიდენტს მარტი აჰტისაარის, რომ მას ეხელმძღვანელა კოსოვოს პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის პროცესისთვის.

---

[1] **Franklin de Vrieze.** Kosovo after March 2004 Crisis. / *Helsinki Monitor*, Vol. 15, Issue 3, July 2004. Brill Academic Publishers, გვ. 148.

[2] **James Ker-Lindsay.** From Autonomy to independence, გვ. 150.

[3] **Artjoms Ivlevs and Roswitha M. King.** Kosovo – Winning its Independence but losing its people? Recent evidence on emigration intentions and preparedness to Migrate. / *International Migration*, Vol. 53 (5). John Wiley and Sons Ltd, 2012, გვ. 88.

2007 წლის 2 თებერვალს შემუშავებულ იქნა კოსოვოს მომავალი პოლიტიკური სტატუსის პროექტი: "Comprehensive Proposal for the Kosovo Status Settlement", – რომელსაც შემოკლებით „აჰტისაარის გეგმას" უწოდებენ. აღნიშნული გეგმის მიხედვით, კოსოვოში უნდა ჩამოყალიბებულიყო მულტიეთნიკური საზოგადოება, რომელიც საკუთარ თვითმმართველობას დემოკრატიულად განახორციელებდა (მუხლი 1, პუნქტი 1.1).[1] ოფიციალური ენის სტატუსი უნდა მინიჭებოდა ალბანურ და სერბულ ენებს (მუხლი 1, პუნქტი 1.6).[2] კოსოვოს უნდა ჰქონოდა საკუთარი საკანონმდებლო, უშიშროების, სასამართლო, საჯარო და სამოქალაქო ინსტიტუტები. ასევე უნდა განეხორციელებინა საკუთარი საზღვრის კონტროლი (მუხლი 9, პუნქტი 9.1).[3]

აღნიშნული გეგმის მიხედვით, სერბული მოსახლეობის უფლებათა დაცვის კუთხით, კოსოვოს სერბულენოვან სკოლებს უფლება ენიჭებოდათ სერბეთის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამით ეხელმძღვანელათ (მუხლი 7, პუნქტი 7.1).[4] იმავე მუხლის მიხედვით, კოსოვოს ჩრდილოეთ ნაწილში ფუნქციონირებას განაგრძობდა მიტროვიცას სერბული უნივერსიტეტი. თავად მიტროვიცას მუნიციპალიტეტი იყოფოდა ორ – ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებად, შესაბამისად, სერბული და ალბანური მოსახლეობით (დანართი 3, მუხლი 13, პუნქტი 1).[5] გეგმის იმპლემენტაციისთვის აჰტისაარის გუნდის მიერ გათვალისწინებული იყო 120-დღიანი გარდამავალი პერიოდი (მუხლი 14).[6] გაერო-ს უშიშროების საბჭოს აღნიშნული გეგმა წარედგინა 2007 წლის 26 მაისს. რუსეთი ამ გეგმას ვეტოთი შეხვდა.[7]

„აჰტისაარის გეგმის" მიღებიდან ერთი წლის შემდეგ, 2008 წლის 17 თებერვალს, ქალაქ პრიშტინაში კოსოვოს დამოუკიდებლობის დეკლარაციას მოეწერა ხელი.[8] ყველა ზემოაღნიშნული მოვლენის გათვალისწინებით, ეს ფაქტი იმ დროისთვის უკვე არავისთვის წარმოადგენდა სიურპრიზს. 2008 წლის ივნისისთვის, კოსოვოს დამოუ-

[1] Comprehensive Proposal for the Kosovo Status Settlement. 2 February 2007. იხ.: http://www.kuvendikosoves.org/common/docs/Comprehensive%20Proposal%20.pdf.
[2] Comprehensive Proposal for the Kosovo Status Settlement.
[3] Comprehensive Proposal for the Kosovo Status Settlement.
[4] Comprehensive Proposal for the Kosovo Status Settlement.
[5] Comprehensive Proposal for the Kosovo Status Settlement.
[6] Comprehensive Proposal for the Kosovo Status Settlement.
[7] **Tim Judah.** Kosovo, გვ. 114.
[8] The Declaration of Kosovo Independence. February 17, 2008. Full Text. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/7249677.stm.

კიდებლობა უკვე გაერო-ს წევრი 42 ქვეყნის მიერ იყო აღიარებული.[1] კოსოვოსთვის დამოუკიდებლობის მინიჭება ცხადდებოდა უნიკალურ შემთხვევად, რომელსაც პარალელი არ მოეძებნებოდა (Sui generis).

ამ მხრივ, საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ მსოფლიოში დღემდე არ არსებობს ერთი კონკრეტული ნორმა, რის მიხედვითაც ხდება ამა თუ ტერიტორიული ერთეულისთვის დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსის მინიჭება. სახელმწიფოებრიობის ზოგადი ფუნდამენტური პრინციპები გაწერილია 1933 წელს მიღებულ „მონტევიდეოს კონვენციაში სახელმწიფოს უფლებებისა და მოვალეობების შესახებ", რომლის მიხედვითაც, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მოსაპოვებლად ესა თუ ის ტერიტორიული ერთეული უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ოთხ ძირითადად პრინციპს: 1. მუდმივი მოსახლეობა; 2. განსაზღვრული ტერიტორია; 3. მთავრობა; და 4. სხვა სახელმწიფოებთან საერთაშორისო ურთიერთობებში შესვლის უნარი.[2]

ამასთან ერთად, სახელმწიფოებრიობაზე პრეტენზიის მქონე ტერიტორიული ერთეულები ხშირად თვითგამორკვევის პრინციპზე და უფლებებზე აკეთებენ აქცენტს. აღნიშნული პრინციპი მოცემულია თავად გაერო-ს წესდებაში და მას შემდეგ, გამოიყენებოდა ისეთ საერთაშორისო შეთანხმებებსა და ნორმებში, როგორიცაა: 1948 წლის ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, 1960 წლის ანტიკოლონიალური დეკლარაცია, 1970 წლის სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის თაობაზე საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ დეკლარაცია,[3] ასევე 1975 წლის ჰელსინკის ფინალური აქტი.[4] ამგვარად, შეჯამების სახით, უნდა ით-

---

[1] **James Ker-Lindsay.** Analysis of current events. Not such a *sui generis* case after all: assessing the ICJ opinion on Kosovo. / *Nationalities Papers*, Vol. 39, No. 1, January 2011, გვ. 141. ევროკავშირის ხუთმა წევრმა ქვეყანამ: ესპანეთმა, სლოვაკეთმა, კვიპროსმა, რუმინეთმა და საბერძნეთმა – არ აღიარა კოსოვოს დამოუკიდებლობა.

[2] Montevideo Convention on the Rights and Duties of States. 1933, გვ. 3. იხ.: https://www.ilsa.org/je ssup/jes sup15/Montevideo%20Convention.pdf.

[3] Declaration on Principles of International Law concerning Friendly Relations and Co-operation among States in accordance with the Charter of the United Nations. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.un-documents.net /a25r2625.htm. აღსანიშნავია, რომ: „1970 წლის დეკლარაცია სეცესიის ერთადერთ პოტენციურ შესაძლებლობას ქმნის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ სახელმწიფოში არ არსებობს მთავრობა, რომელიც არჩეულია ქვეყნის მთელი მოსახლეობის მიერ, მიუხედავად ეროვნული თუ რასობრივი განსხვავებებისა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ეთნიკურ ჯგუფს, რომელიც თავის თავს ხალხად მიიჩნევს, სახელმწიფოდან გამოყოფა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის წარმომადგენლებს არ ეძლევათ ცენტრალური მთავრობის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება". იხ.: **ალექსანდრე ორახელაშვილი.** აფხაზეთის კონფლიქტი კოსოვოს კონფლიქტის ფონზე.., გვ. 85.

[4] Conference on Security and Co-Operation in Europe Final Act. Helsinki, 1975. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://www.osce. org/helsinki-final-act?download=true.

ქვას, რომ არ არსებობს არანაირი Lex specialis (კონკრეტული საკითხის მარეგულირებელი კანონი), რომლის მიხედვითაც უნდა გამოცხადდეს სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულთა სახელმწიფოებრიობა მსოფლიოს მასშტაბით.

რაც შეეხება კონკრეტულად თვითგამორკვევის ცნებას, როგორც ცნობილია, არსებობს შიდა თვითგამორკვევა, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოს ტერიტორიულ ფარგლებში იმ სამართლებრივი მექანიზმების შექმნას, რომელიც უმრავლესობის დიქტატისგან დაიცავს უმცირესობის ეროვნულ თვითმყოფადობას, და გარე თვითგამორკვევა, რომელიც ითვალისწინებს უმცირესობის მიერ სეცესიის, ან სხვა გზით, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ერთეულის შექმნას. გაეროს შექმნის შემდეგ მიღებული ყველა დოკუმენტი აღიარებს გარე თვითგამორკვევის შეუზღუდავ უფლებას, უპირველეს ყოვლისა, ყველა კოლონიური ხალხის მიმართ. ეროვნულ უმცირესობათა არცერთი ჯგუფისთვის არ არის ნებადართული ცალმხრივი გამოყოფა სახელმწიფოსგან ამ უკანასკნელის სუვერენიტეტის შელახვის ხარჯზე.[1]

ამ მხრივ საინტერესოა სეცესიის კიდევ ერთი ფორმა, რომელსაც რემედიული სეცესია (Remedial Secession) ეწოდება და რომელიც გამოიყენება იმ დროს, როდესაც კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების ყველა სხვა გზა ამოწურულია. რემედიული სეცესიის განსახორციელებლად ტერიტორიული ერთეული და მისი მოსახლეობა შემდეგ მახასიათებლებს უნდა აკმაყოფილებდეს: 1. უნდა არსებობდეს ხალხი, რომელიც მთელი სახელმწიფოს მოსახლეობასთან შედარებით უმცირესობას შეადგენს, ხოლო მოცემული, კონკრეტული განსახლების ტერიტორიაზე კი უმრავლესობას; 2. იმ სახელმწიფოს მხრიდან, რომლისგანაც ესა თუ ის ტერიტორიული ერთეული ითხოვს სეცესიას, უნდა ფიქსირდებოდეს მოცემული უმცირესობის უფლებათა შელახვის დამადასტურებელი მაგალითები: ა) მოცემულ უმცირესობაზე ზეწოლა და შიდა თვითგამორკვევის უფლებების შეზღუდვა, ბ) უმცირესობის წარმომადგენელი ხალხის მიმართ ადამიანის უფლებათა შემლახველი ქმედებების განხორციელება, გ) კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ალტერნატიული საშუალებების არარსებობა.[2] მთელი რიგი მოვლენების თავისებურებათა გათვალისწინებით, რომელზეც ზემოთ

---

[1] **ლევან ალექსიძე.** დააკნინა თუ არა „კოსოვოს პრეცედენტმა“.., გვ. 700; **ილია გუჩმანიძე.** კოსოვოს პრეცედენტი და საქართველო.

[2] **John Dugard and David Raič.** The Role of recognition in the law and practice of secession. წიგნში: Secession International Law Perspectives. Edited by Marcello G. Kohen. Cambridge University Press, 2006, გვ. 109.

გვქონდა საუბარი, შეიძლება ითქვას, რომ კოსოვოს კრიზისი დიდწილად აკმაყოფილებდა რემედიული სეცესიის მახასიათებლებს.

2008 წლის 15 ივნისს მიღებული კონსტიტუციის მიხედვით, კოსოვოს რესპუბლიკა ცხადდებოდა დამოუკიდებელ, სუვერენულ და დემოკრატიულ სახელმწიფოდ (მუხლი 1, პუნქტი 1).[1] რესპუბლიკის ოფიციალურ ენებად ცხადდებოდა ალბანური და სერბული ენები (მუხლი 5, პუნქტი 1).[2] კოსოვოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო – ასამბლეა – შედგებოდა 120 დეპუტატისგან, საიდანაც 10 ადგილი ეკუთვნოდათ სერბ დეპუტატებს (მუხლი 64, პუნქტები 1 და 2).[3] ამასთან ერთად, 96-ე მუხლის მიხედვით, ჩრდილოეთ კოსოვოს სერბული მოსახლეობა კოსოვოს მთავრობაში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ერთი მინისტრით.[4]

სერბების მიმართ ამგვარი „დათმობის" მიუხედავად, კოსოვოს ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრებმა სერბებმა გააპროტესტეს კოსოვოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი.[5] ოფიციალური ბელგრადისთვის კოსოვოს დამოუკიდებლობა დიპლომატიურ კატასტროფას ნიშნავდა საერთაშორისო მასშტაბით. 2008 წლის დასაწყისში სერბეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვუკ იერემიჩი ოფიციალური ვიზიტების საშუალებით ცდილობდა, როგორმე თავიდან აერიდებინა სხვადასხვა ქვეყნების მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება.

2008 წლის 8 ოქტომბერს, მიუხედავად აშშ-ს წინააღმდეგობისა, 77 ხმით 6-ის წინააღმდეგ, სერბეთის მთავრობამ მოახერხა საკუთარი რეზოლუციის გატანა გაეროს გენერალურ ასამბლეაში. აღნიშნულ რეზოლუციაში ფორმულირებული იყო შემდეგი შეკითხვა საერთაშორისო სასამართლოს მიმართ: „მოხდა თუ არა კოსოვოს დამოუკიდებლობის ცალმხრივი გამოცხადება საერთაშორისო საკანონმდებლო ნორმების დაცვით?" მომდევნო დღეს გაერო-ს გენერალურმა მდივნის მიერ საერთაშორისო სასამართლოში გაგზავნილ იქნა თხოვნა აღნიშნულ საკითხზე საკონსულტაციო დასკვნის შესახებ. გარდა ამისა, ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი წერილობითი პოზიცია სა-

---

[1] Constitution of the Republic of Kosovo. იხ.: http://www.kushtetutakosoves.info/repository/docs/Constitution.of.the.Republic.of.Kosovo.pdf.
[2] Constitution of the Republic of Kosovo.
[3] Constitution of the Republic of Kosovo.
[4] Constitution of the Republic of Kosovo.
[5] **David I. Efevwerhan.** Kosovo's Chances of UN Membership: A Prognosis. / *Goettingen Journal of International Law*, Vol, 4, Issue 1, 2012, გვ. 110.

ერთაშორისო სასამართლოს გაუგზავნა 36-მა დაინტერესებულმა ქვეყანამ.[1]

საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა გამოქვეყნდა 2010 წლის 22 ივლისს.[2] დოკუმენტი კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს საერთაშორისო სამართლის დონეზე *Lex Specialis*-ის არ არსებობას განსახილველ საკითხთან მიმართებაში.[3] კოსოვოს პრეცედენტის „უნიკალურობის" გათვალისწინებით, Lex specialis-ად საერთაშორისო სასამართლოს დასკვნა წარმოადგენდა გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1244-ე რეზოლუციას და საერთაშორისო სამართლის Lotus-ის პრინციპიდან გამომდინარე (ამ პრინციპის მიხედვით, რაც აკრძალული არ არის, დაშვებულია) ასკვნიდა, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობა საერთაშორისო ნორმების დაცვით მოხდა.[4]

საერთაშორისო სასამართლოს ამ დასკვნამ კოსოვოში მცხოვრებ სერბებსა და ალბანელებს შორის ვითარება უფრო დაძაბა. პერიოდულად გრძელდებოდა შეტაკებები და დაპირისპირებები ქვეყნის სხვადასხვა მხარეში.

2013 წლის 19 აპრილს სერბეთსა და კოსოვოს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციის 15-პუნქტიანი შეთანხმება გაფორმდა.[5] ეს დოკუმენტი ძირითადად კოსოვოს ჩრდილოეთით მცხოვრები სერბების განსახლებისა და ადმინისტრაციის საკითხებს ეხებოდა და დიდ მიღწევად მიიჩნეოდა კოსოვოსა და სერბეთს შორის ურთიერთობის საკითხებში. შეთანხმების მიხედვით, ჩრდილოეთ კოსოვოელ სერბებს უფლება ეძლეოდათ, შეექმნათ ოთხი მუნიციპალიტეტი, რომელთაც ეყოლებოდა ეთნიკურად სერბი რეგიონული პოლიციის უფროსი. სერბებს ასევე ექნებოდათ საკუთარი სასამართლო, სადაც პროცესები სერბულ ენაზე წარიმართებოდა.[6] ეს შეთანხმება დღემდე ძალაშია და მიუხედავად მუდმივი დაძაბულობისა, სერბული და ალბანური მხარეები ცდილობენ ამ შეთანხმების პუნქტების მიხედვით იმოქმედონ.

აღნიშნული შეთანხმება ვერ გახდა კოსოვოში მცხოვრები სერბებისა და ალბანე-

---

[1] **James Ker-Lindsay.** Analysis of current events, გვ. 4.

[2] International Court of Justice. Year 2010, 22 July. General List No. 141. Accordance with International Law of the Unilateral declaration of Independence in respect of Kosovo. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.webcitation.org/5rRB9e3bz.

[3] Current Developments. International Courts and Tribunals. Edited by J Craig Barker. / *International & Comparative Law Quarterly*, Vol, 60, Issue 3, July 2011, გვ. 803.

[4] Current Developments. International Courts and Tribunals, გვ. 799-810.

[5] Agreement to normalize relations between Kosovo and Serbia (April 19, 2013). იხ.: http://www.rts.rs/upload/storyBoxFileData/2013/04/20/3224318/Originalni%20tekst%20Predloga%20sporazuma.pdf.

[6] **Adem Beha.** Disputes over the 15-point agreement on normalization of relations between Kosovo and Serbia. / *Nationalities Papers*. Vol. 43, No. 1, 2015, გვ. 103.

ლების მშვიდობიანი თანაცხოვრების საფუძველი. კოსოვოში დღემდე დაძაბული პოლიტიკური ვითარება სუფევს, რამაც კიდევ ერთხელ იჩინა თავი სერბეთის ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებზე 2017 წლის აპრილში, როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ამ არჩევნებში ჩრდილოეთ კოსოვოს სერბული მუნიციპალიტეტების მონაწილეობის საკითხი.[1]

ამგვარად, მიუხედავად დასავლური დიპლომატიის მრავალი მცდელობისა, კოსოვოს სერბულ და ალბანურ საზოგადოებებს შორის მშვიდობის დამყარება დღემდე განუხორციელებელ ამოცანად რჩება. სერბების რაოდენობა კოსოვოში დრამატულად იკლებს. თუკი 80-იანი წლების დასაწყისში სერბები მოსახლეობის დაახლოებით 13%-ს პროცენტს შეადგენდნენ, 2017 წლის აღწერის მიხედვით, კოსოვოს მოსახლეობის 92.9%-ს ეთნიკური ალბანელები შეადგენენ, ხოლო სერბები კი მხოლოდ და მხოლოდ 1.5%-ით არიან წარმოდგენილნი.[2] ამავე დროს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ კოსოვოელ სერბთა რაოდენობა იდენტურია 2011 წლისა და 2017 წლის მოსახლეობის აღწერების მიხედვით და ეს მონაცემები ბოლომდე ზუსტი არ არის, რაც გამოწვეულია კოსოვოს ჩრდილოეთში მცხოვრები სერბების მიერ აღწერების გაპროტესტებით.[3]

§2. აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი XX ს. 90-იან – XXI ს. 10-იან წლებში

2.1. აფხაზეთი XX ს. 90-იან წლებში

XX საუკუნის ბოლო ათწლეულის დასაწყისში ახლად დამოუკიდებლობა გამოცხადებული საქართველოს რესპუბლიკა ღრმად ჩაეფლო კრიზისში, რასაც, პირველ რიგში, საბჭოთა იმპერიის მოახლოებული დაშლა განაპირობებდა. ამგვარ მძიმე ვითარებაში, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ცდილობდა, კონტროლი შეენარჩუნებინა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შექმნილ მდგომარეობაზე.

---

[1] No Decision if Kosovo Serbs will Vote in Serbian Elections. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.balkaninsight.com/en/article/no-decision-if-kosovo-serbs-will-vote-in-serbian-elections-03-20-2017#sthash.VEWPR5XD.dpuf

[2] Kosovo – The World Factbook.

[3] ECMI: Minority figures in Kosovo census to be used with reservations. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.infoecmi.eu/index.php/ecmi-minority-figures-in-kosovo-census-to-be-used-with-reservations.

1991 წლის 9 ივლისს აფხაზეთის ასსრ-ს მიერ მიღებულ იქნა კანონი კონსტიტუციური ცვლილებებისა და ჩასწორებების შესახებ.[1] ეს კანონი აფხაზეთის უზენაეს საბჭოში კვოტირების პრინციპს აწესებდა. ახალი კანონის მიხედვით, შემუშავებულ იქნა 65-კაციანი საბჭოს ეთნიკური კვოტირების ახალი სქემა – 28+26+11. საბჭოში 28 ადგილს იკავებდნენ აფხაზი, 26 ადგილს – ქართველი, ხოლო 11 ადგილს – სხვა ეროვნების დეპუტატები. ამგვარად, 93 000 აფხაზი, რომელიც მაშინდელი აფხაზეთის ასსრ-ს მოსახლეობის მხოლოდ 17% წარმოადგენდა – 28 დეპუტატით იყო წარმოდგენილი უზენაეს საბჭოში, მაშინ, როდესაც დაახლოებით 240 000 ქართველი – აფხაზეთის მთლიანი მოსახლეობის 46% – წარმოდგენილი იყვნენ 26 დეპუტატით.[2] სეპარატისტი ისტორიკოსის, ასლან ავიძბას თქმით, ეს ფაქტი განპირობებული იყო იმით, რომ აფხაზები ე.წ. „ძირძველ“ მოსახლეობას წარმოადგენდნენ.[3]

ამგვარი დისბალანსის მიუხედავად, საქართველოს მთავრობამ ამ პერიოდში, შემდგომი გართულებების თავიდან ასაცილებლად, ეს ცვლილება უპასუხოდ დატოვა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს დათმობა აფხაზი სეპარატისტებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

სეპარატისტულ მოძრაობებთან ერთად, საქართველოს მაშინდელ მთავრობას ბრძოლა უხდებოდა ასევე შიდა პოლიტიკურ ოპოზიციასთან. ამ დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია 1992 წლის დასაწყისიდან, როდესაც იანვარში პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია განდევნილ იქნა ქვეყნიდან და მმართველობა გადავიდა „სამხედრო საბჭოს“ ხელში, რომელსაც თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი ხელმძღვანელობდნენ.

უთანხმოების გამწვავებასთან ერთად, იქმნებოდა სხვადასხვა შეიარაღებული დაჯგუფებები, რომლებიც ზვიად გამსახურდიასა და ახლადშექმნილი „სამხედრო საბჭოს“ მომხრეებად იყვნენ დაყოფილები. ეს ფორმირებები, ზემოაღნიშნულ სეპარატისტულ მოძრაობებთან ერთად, „გულმოდგინედ“ უთხრიდნენ ძირს ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ქართულ სახელმწიფოებრიობას. შექმნილი ვითარება მხოლოდ და

---

[1] იხ.: რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 48.

[2] **ლევან ალექსიძე.** „დააკნინა თუ არა „კოსოვოს პრეცედენტმა“.., გვ. 690.

[3] **Аслан Авидзба.** О политических взаимоотношениях Абхазии и Грузии в предвоенный период (1988-1992 гг.). იხ.: http://apsnyteka.org/935-avidzba_a_f_izbrannye_stati.html. რეალურად ეს დათმობა ოფიციალური თბილისის მხრიდან აფხაზეთში არსებული სიტუაციის არცოდნის ბრალი იყო და, ბუნებრივია, მხოლოდ აფხაზებს აფხაზეთის ძირძველ მოსახლეობად არავინ არ თვლიდა.

მხოლოდ კრემლის ინტერესების წისქვილზე ასხამდა წყალს.

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 1992 წლის 21 თებერვალს სამხედრო საბჭოს მიერ მიღებულ იქნა დეკლარაცია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის აღდგენის თაობაზე: „საქართველოს რესპუბლიკის დღეს არსებული საზღვრებისა და ეროვნული სახელმწიფოებრივი მოწყობის (აფხაზეთისა და აჭარის დღევანდელი სტატუსის) შეუცვლელად აღიარებს საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის უზენაესობას და მის მოქმედებას დღევანდელი რეალობების გათვალისწინებით".[1] სამხედრო საბჭოს დეკლარაცია დეკლარაციადვე დარჩა და აღნიშნულ კონსტიტუციას რეალურად არცერთი დღე არ უმოქმედია.[2] ამის მიუხედავად, ქართული მხარის აღნიშნული ნაბიჯი ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ კრემლის მიერ წაქეზებულ აფხაზ სეპარატისტებს.

1992 წლის 7 მარტს სამხედრო საბჭოს მიერ მოსკოვიდან მოწვეულ იქნა სსრკ-ს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე, რომელიც სათავეში ჩაუდგა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს.

1992 წლის 31 მარტს აფხაზეთის ასსრ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევისა და აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ" კანონის დაცვის ღონისძიებათა შესახებ".[3] 23 ივლისს, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებით,[4] გაუქმდა აფხაზეთის 1978 წლის კონსტიტუცია და „აღდგა" 1925 წლის კონსტიტუცია, რომელიც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, არასდროს შესულა ძალაში.

ამ ნაბიჯებით სეპარატისტებმა კიდევ ერთხელ სცადეს საქართველოს სახელმწიფოებრივი იურისდიქციიდან გასვლა. ბუნებრივია, მათ ამ ნაბიჯებს არანაირი ლეგიტიმური ძალა არ ჰქონდა. „ჩვენ ნებისმიერ ფასად ვაიძულებთ ქართველებს გვესროლონ", – აცხადებდა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვლადისლავ არძინ-

---

[1] საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დეკლარაცია. 1992 წლის 21 თებერვალი. იხ.: http://www.parliament.ge/files/1_778_382238_244.pdf

[2] **ა. დემეტრაშვილი, ი. კობახიძე.** კონსტიტუციური სამართალი. თბილისი, 2010, გვ. 57-58; **პ. ცნობილაძე.** კონსტიტუციური სამართალი. ტ. I. თბილისი, 2004, გვ. 128.

[3] იხ.: რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 66-67.

[4] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში, გვ. 74-75.

ბა.[1] ეს სიტყვები ნათლად აღწერს სეპარატისტთა დამოკიდებულებას საქართველოს ხელისუფლების მიმართ იმ პერიოდში.

სხვადასხვა ბანდფორმირებების მიერ სარკინიგზო და სატრანსპორტო ხაზების ძარცვა-რბევის აღკვეთის მიზნით, 1992 წლის 10 აგვისტოს, საქართველოს სახელმწიფო საბჭომ გამოსცა დეკრეტი, რომლითაც ამ სატრანსპორტო მონაკვეთებზე საგანგებო მდგომარეობა ცხადდებოდა.[2] მოგვიანებით, ამ მონაკვეთებზე სახელმწიფო კონტროლის აღდგენის ინიციატივით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, აფხაზეთის ტერიტორიისკენ დაიძრა ქართული ეროვნული გვარდია თენგიზ კიტოვანის მეთაურობით, ასევე სამხედრო ორგანიზაცია „მხედრიონი“, რომელსაც ჯაბა იოსელიანი ხელმძღვანელობდა.

ქართული ნაწილების გადაადგილება აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზურ მხარესთან შეთანხმების გარეშე არ მომხდარა. როგორც იმჟამინდელი აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის, ალექსანდრე ანქვაბისგან ირკვევა, ეს საკითხი თავად ვლადისლავ არძინბასთან იყო სიტყვიერად შეთანხმებული,[3] თუმცა სეპარატისტულმა მხარემ აღნიშნული შეთანხმება დაარღვია და 14 აგვისტოს აფხაზეთში შესულ სამხედრო ნაწილებს აფხაზურმა ბანდფორმირებებმა ცეცხლი გაუხსნეს. სწორედ ეს მომენტი აღმოჩნდა აფხაზეთის ომის დასაწყისი, რომელიც 1993 წლის 30 სექტემბრამდე გაგრძელდა.

არძინბას გადაწყვეტილება, ცეცხლი გაეხსნა ქართული ჯარისთვის განპირობებული იყო მისივე სურვილით, გაეჩაღებინა ომი. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა აფხაზეთის შეიარაღებული ძალები, თუმცა დაპირისპირებაში მას გარეშე ძალების იმედიც ჰქონდა. ამ კუთხით მნიშვნელოვანია აღინიშნოს ჩრდილოკავკასიელთა, ე.წ. „მთიელ ხალხთა კონფედერაციის“ მოხალისეთა დანაყოფები. მოხალისეების სახით, სეპარატისტთა მხარეს იბრძოდნენ ასევე ეთნიკური აფხაზები თურქეთიდან და სირიიდან. სეპარატისტთა მთავარ სამხედრო ძალას აღნიშნულ დაპირისპირებაში წარმოადგენდა მოსკოვი და მრავალი ეთნიკური რუსი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ომში და

---

[1] **Гоча Гварамия.** Как начиналась воина в Абхазии. 14/08/2007. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.apsny.ge/analytics/1187113045.php.

[2] იხ.: რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 79.

[3] «Александр Анкваб отвечает – Историю Абхазии нельзя скроить из президентских мифов и небылиц». // Газ. *«Аитаира»*, №10, 25.VI.2003.

რომელთაც მანამდე აფხაზეთის ტერიტორიაზე არ უცხოვრიათ.[1]

ამასთან ერთად, აღნიშვნის ღირსია „მთიელთა კონფედერაციის“ მიერ ამ პერიოდში გამოცემული სპეციალური ბრძანებულება, რომელიც 1992 წლის 25 აგვისტოს დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“: „1. კონფედერაციის ყველა შტაბმა უზრუნველყოს აგრესორისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გასაწევად აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხალისეთა გადასროლა. 2. კონფედერაციის ყველა შეიარაღებული ფორმირება მათთვის ნებისმიერი ძალის მიერ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ჩაერთოს ბრძოლაში და შეაღწიოს აფხაზეთის ტერიტორიაზე ნებისმიერი მეთოდით. 3. გამოცხადდეს ქალაქ თბილისი უბედურების ზონად. ამისთვის გამოყენებულ იქნას ყველა მეთოდი, ტერორისტული აქტების ჩათვლით. 4. გამოცხადდეს მძევლად კონფედერაციის ტერიტორიაზე მყოფი ყველა ქართველი. 5. დაკავდეს საქართველოსთვის განკუთვნილი ყველა ტვირთი და მათი გადაგზავნის ყველა საშუალება“.[2]

სეპარატისტების შეიარაღება ძირითადად რუსული სამხედრო ტექნიკისგან შედგებოდა. აღსანიშნავია ფსკოვის სპეციალური დანიშნულების დანაყოფები, 345-ე საჰაერო და სახმელეთო ნაწილები, საჰაერო თავდაცვის საზენიტო-სარაკეტო 643-ე პოლკი, რომლებიც ბომბორის აეროდრომზე იყვნენ განლაგებულნი, ასევე 529-ე საავიაციო პოლკი, შავი ზღვის ფლოტი და აფხაზეთში გაგზავნილი სპეციალური ბატალიონები და სპეციალური დანიშნულების რუსული ქვედანაყოფები. საინტერესოა ასევე თავად არძინბას მრჩევლის, მ. დემიანოვის მონაცემები რუსების მიერ სეპარატისტების მომარაგების შესახებ, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ზემოაღნიშნულ საჰაერო თავდაცვის 643-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკს სეპარატისტები 984 შაშხანით, 18 ტყვიამფრქვევით, 500 ხელყუმბარით, 600 სასიგნალო შაშხანით, ნახევარ მლნ-ზე მეტი ერთეული ტყვია-წამლით, სამხედრო სატვირთო მანქანებითა და სხვადასხვა მიმართულების სამხედრო ინჟინრებით მოუმარაგებია.[3]

რუსულმა სამხედრო ნაწილებმა მონაწილეობა მიიღეს არაერთ მნიშვნელოვან სამხედრო ოპერაციაში. 1993 წლის 20 თებერვალს რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ სოხუმის დასაბომბად გამოგზავნა სუ-25-ის ტიპის ბომბდამშენი. თავად რუსეთის იმ-

[1] International Society to bring a Verdict on the Tragedy of Abkhazia/Georgia, გვ. 58-59.
[2] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წლის 25 აგვისტო, გვ. 1.
[3] Assays from the History of Georgia, გვ. 471-472.

დროინდელი თავდაცვის მინისტრის პაველ გრაჩოვის მიხედვით, რუსების მიერ სოხუმის დაბომბვა წარმოადგენდა შურისძიებას ქართველთა მიერ ეშერის მიდამოების დაბომბვაზე. ამ შეტევის თვითმხილველი ამერიკელი ჟურნალისტი თომას გოლცი საკუთარ ჩანაწერებში აღნიშნავდა, რომ აღნიშნული საჰაერო რეიდი ნამდვილად სუ-25-ის ტიპის ბომბდამშენის მიერ ხორციელდებოდა, რომელმაც სოხუმზე 500 კილოგრამიანი ბომბი დააგდო.[1]

1993 წლის 15-16 მარტს სეპარატისტებმა და მათმა მოკავშირეებმა განახორციელეს ყველაზე მასშტაბური შეტევა სოხუმის მიმართულებით, რომელიც 17 მარტს ქართული მხარის წარმატებული კონტრშეტევით დასრულდა. მოწინააღმდეგეთა ნაწილებისაგან გაიწმინდა მდ. გუმისთის მარცხენა სანაპირო.[2] აღნიშნული ოპერაციის შემდეგ სოხუმის რაიონის სოფ. ოდიშის მიდამოებში ჩამოგდებულ იქნა რუსული მოიერიშე თვითმფრინავი სუ-27. პროფ. ზურაბ პაპასქირის მართებული აღნიშვნით: „ამით ერთხელ კიდევ ცხადი შეიქნა რუსეთის თავდაცვის მინისტრის პავლე გრაჩოვის თავხედური და ცინიკური მტკიცების სრული სიყალბე იმის შესახებ, თითქოს ქართველები თვითონ ღებავდნენ თავიანთ თვითმფრინავებს და თვითონვე აგდებდნენ მათ“.[3]

რუსული საზღვაო ფლოტი მონაწილეობდა ტამიშის სადესანტო ოპერაციაში 1993 წლის 2 ივლისს, სადაც ერთი ტანკით, ერთი ჯავშანმანქანით და ერთი გრადის ტიპის ზალპური ცეცხლის სისტემით შეიარაღებულმა, 300-მდე რუსმა და აფხაზმა პარაშუტისტმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ქართველთა პოზიციებს.[4]

ზემოაღნიშნული მიმოხილვის შემდეგ, ირონიის მომგვრელია ამერიკელი რეჟისორისა და პროდიუსერის დოჯ ბილინგსლის ნაშრომი, რომელიც აფხაზეთის ომის სამხედრო ასპექტებს მიმოიხილავს. სამხედრო მოქმედებებში, რუსეთის მიერ სეპარატისტების მხარდაჭერას ავტორი „უმნიშვნელოდ“ (“insignificant”) აფასებს. ბილინგსლის მიხედვით, ქართველთა მიერ აფხაზეთის ომში დამარცხება, თავად ქართულ არმიაში დისციპლინის ნაკლებობით იყო განპირობებული, ვიდრე სხვა ფაქტორებით.[5]

---

[1] International Society to bring a Verdict on the Tragedy of Abkhazia/Georgia, გვ. 60-61.
[2] **ზ.პაპასქირი.** ნარკვევები.., ნაკვ. II, გვ. 393.
[3] **ზ.პაპასქირი.** ნარკვევები.., ნაკვ. II, გვ. 394.
[4] Assays from the History of Georgia, გვ. 476.
[5] **Dodge Billingsley.** Military aspects of the war: the Battle for Gagra. In: The Abkhazians. A Handbook. Edited by George Hewitt. St. Martin's Press, 1998, გვ. 147-156.

შესაძლოა, ქართული სამხედრო ნაწილები ნამდვილად არ გამოირჩეოდნენ სამაგალითო სამხედრო დისციპლინით, თუმცა აფხაზეთის ომში რუსული ფაქტორის „უმნიშვნელოდ“ მოხსენიება ბილინგსლის მხრიდან შესაძლოა მხოლოდ და მხოლოდ ორი მიზეზით აიხსნას: ან ავტორს არ აქვს საკმარისი ინფორმაცია და ფაქტობრივი ცოდნა აფხაზეთის ომის სამხედრო დეტალების შესახებ, ან მას, სხვადასხვა მიზეზთა გამო, არ გააჩნია აღნიშნულ მოვლენებზე ობიექტურად საუბრის სურვილი. ნებისმიერ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ისტორიული ფაქტების უბრალო გაყალბებასთან.

სამხედრო მოქმედებებთან ერთად, მოსკოვი აქტიურად იყო ჩართული საომარ დიპლომატიაში. 1992 წლის 3 სექტემბერს ედუარდ შევარდნაძემ და ბორის ელცინმა ხელი მოაწერეს მოსკოვის შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უნდა დაცულიყო და ომში მონაწილე ყველა მხარეს ცეცხლი უნდა შეეწყვიტა 5 სექტემბრის დღის 12 საათიდან (მუხლი 1). მეცხრე მუხლის მიხედვით, რუსულ სამხედრო ნაწილებს საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთში განლაგების უფლება ენიჭებოდათ ნეიტრალიტეტისა და ჩაურევლობის გარანტიით.[1]

ამ შეთანხმებას ოდნავაც არ შეუშლია ხელი სეპარატისტი, რუსი და მთიელი კონფედერატებისთვის ოქტომბრის ბოლოს ქალაქ გაგრის აღებაში. ამას მოჰყვა ქართული მოსახლეობის მიმართ გამოჩენილი განსაკუთრებული სისასტიკე: თავების მოკვეთა და მოკვეთილი თავებით ფეხბურთის თამაში, ცოცხლად დაწვა, ენის ამოკვეთა, თვალების ამოთხრა, გაუპატიურება და სხვ.[2]

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შემდეგი შეთანხმება გაფორმდა 1993 წლის 14 მაისს, ასევე მოსკოვში. წინა შეთანხმების მსგავსად, ამჯერადაც სეპარატისტებისა და რუსების მთავარ მიზანს ქართული მხარის დაუძლურება წარმოადგენდა, რადგან ქართველთა ცეცხლის შეწყვეტას მოწინააღმდეგენი იგივეთი არ პასუხობდნენ.[3]

1993 წლის 27 ივლისს სოჭში გაფორმდა მესამე და ბოლო შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ქართულ, რუსულ და აფხაზურ მხარეებს შორის. ეს იყო პირველი შემთხვევა მთელი ომის მანძილზე, როდესაც რუსეთის დაჟინებული მოთხოვნით,

---

[1] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 80-81.
[2] International Society to bring a Verdict on the Tragedy of Abkhazia/Georgia, გვ. 63-64.
[3] Assays from the History of Georgia, გვ. 475.

აფხაზეთი, როგორც „მხარე“ მონაწილეობდა შეთანხმების გაფორმებაში. სოჭის შეთანხმების მიხედვით, ორივე – ქართული და აფხაზური მხარეები უნდა განიარაღებულიყვნენ და ქართველებს სოხუმიდან უნდა გაეყვანათ ყველა სახის სამხედრო ტექნიკა.[1]

ქართულმა მხარემ შეასრულა შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება, მაშინ, როდესაც რუსულ-აფხაზური მხარეები არ განიარაღებულან, პირიქით, მათ გაზარდეს საკუთარი შეიარაღება აფხაზეთში და აქტიური სამზადისი გააჩაღეს მორიგი შეტევისთვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა 16 სექტემბერს. საბოლოოდ, 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. სამი დღის შემდეგ, ოკუპანტებმა და სეპარატისტებმა მდინარე ენგურს მიაღწიეს და კონტროლი დაამყარეს აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე კოდორისა და დალის ხეობების გამოკლებით.

1989 წლის მონაცემების მიხედვით, აფხაზეთში 93 267 ეთნიკურად აფხაზი ცხოვრობდა 239 872 ქართველთან ერთად.[2] ომმა 10 ათასამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 300 ათასამდე ქართველი კი საკუთარ სახელმწიფოში დევნილად იქცა.[3]

მოსკოვმა მიაღწია თავის მიზანს და 1993 წლის 8 ოქტომბერს საქართველო შეუერთდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას. 1994 წლის 14 მაისს კიდევ ერთი შეთანხმება გაფორმდა ქართულსა და აფხაზურ მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ, რომლის მიხედვითაც, ქართული სამხედრო ნაწილები აფხაზეთის საზღვრებს გარეთ უნდა გასულიყვნენ (მუხლი 2, პუნქტი 4). ამასთან ერთად, აფხაზეთის ტერიტორიაზე უნდა განლაგებულიყო დსთ-ს მშვიდობისმყოფელთა კონტინგენტი, რომელსაც აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის ფუნქცია უნდა ჰქონოდა (მუხლი 2, პუნქტი 3).[4]

1994 წლის 26 ნოემბერს სეპარატისტებმა მიიღეს ე.წ. „კონსტიტუცია“, რომლის მიხედვითაც, აფხაზეთი იწოდებოდა სუვერენულ, დემოკრატიულ სახელმწიფოდ

---

[1] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 89-90.

[2] Абхазская АССР (1989 г.). უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.ethno-kavkaz.narod.ru/rnabkhazia.html. საბჭოთა კავშირის პერიოდში აღწერის შედეგები ოფიციალურად შეკვეცილი სახით გამოქვეყნდა და მასში მხოლოდ ამა თუ იმ ეროვნებების საერთო რაოდენობა არის მოცემული (იხ.: ***Население СССР.*** По данным всесоюзной переписи населения 1989 г. Москва: «Финансы и Статистика», 1990, გვ. 37).

[3] Human Rights Watch Arms Project. Georgia/Abkhazia: Violations of the Laws of War and Russia's Role in the Conflict. Vol. 7, No. 7. March, 1995, გვ. 42. ელექტრონული ვერსია იხ.: https://www.hrw.org/reports/pdfs/g/georgia/georgia953.pdf.

[4] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 108-110.

(მუხლი 1),[1] საკუთარი სიმბოლიკით: ეროვნული დროშით, გერბითა და ჰიმნით (მუხლი 10).[2] დოკუმენტის მეექვსე მუხლის მიხედვით, აფხაზურ ენას ენიჭებოდა „სახელმწიფო“ ენის სტატუსი. აფხაზურთან ერთად, „სახელმწიფო ინსტიტუტებში“ გამოიყენებოდა ასევე რუსული ენაც.[3] ვლადისლავ არძინბა ხდებოდა აფხაზეთის პირველი დე ფაქტო პრეზიდენტი.

1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს ტერიტორია განისაზღვრებოდა 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, საქართველო საკუთარ იურისდიქციას ავრცელებდა როგორც აფხაზეთზე, ასევე ცხინვალის რეგიონზე (მუხლი 1, პუნქტი 1).[4] ამგვარად, საქართველოს ტერიტორიული სუვერენიტეტის განსაზღვრის საკითხებში, ეს დოკუმენტი პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ზემოაღნიშნულ ე.წ. „აფხაზეთის კონსტიტუციაში“ მოცემულ პრინციპებს.

სეპარატისტთა „კონსტიტუციას“ გმობდა ასევე ეუთო-ს 1994 წლის 6 დეკემბერს მიღებული ბუდაპეშტის დოკუმენტი, რომელშიც ხაზგასმული იყო ქართველთა ეთნიკური წმენდის ფაქტები.[5][6]

1994 წლის 1 დეკემბერს, გაერო-ს ინიციატივით, ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის გაიმართა პირველი დიალოგი ჟენევაში. ორივე მხარემ აიღო ადგილნაცვალი პირების საკუთარ სახლებში მშვიდობიანად დაბრუნების პასუხისმგებლობა. მოლაპარაკებათა მეორე რაუნდი გაიმართა 11-13 იანვარს. მიღებული გადაწყვეტილებების თანახმად, თავდაპირველად, 10 თებერვლიდან მოყოლებული, იძულებით გადაადგილებულ პირთა ნაწილი უნდა დაბრუნებულიყო გალის რაიონში. სამწუხაროდ, აღნიშნული შეთანხმების პირობები სეპარატისტების მიერ იქნა დარღვეული, სხვადასხვა სახის არეულობების ორგანიზებითა და გალის რაიონში მოსახლე ქართველების

---

[1] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 117-118.
[2] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში..,
[3] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში..,
[4] საქართველოს კონსტიტუცია. იხ.: http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68.
[5] CSCE Budapest Document. Towards a Genuine Partnership in a New Era. 6 December 1994 (Corrected version 21 December 1994), გვ. 18-19. იხ.: https://www.osce.org/mc/39554? download=true.
[6] ეუთო-ს მიერ 1996 წლის 3 დეკემბერს მიღებულ იქნა ლისაბონის დოკუმენტი, რომელშიც ასევე ხაზგასმული იყო აფხაზთა და ქართველთა შორის დიალოგის განახლებისა და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების აუცილებლობა. იხ.: Lisbon Document. 3 December 1996, გვ. 8. დოკუმენტი იხ.: http://www.osce.org/mc/39539?download=true.

სახლების დაწვით.[1]

1995 წლის 22 მარტს რუსეთისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრებმა, პაველ გრაჩოვმა და ვარდიკო ნადიბაიძემ მოახდინეს საქართველოს ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ბაზების განთავსების შესახებ დოკუმენტის პარაფირება. შეთანხმების მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე 25 წლის ვადით უნდა განლაგებულიყო ოთხი რუსული ბაზა – ახალქალაქში, ბათუმში, ვაზიანსა და გუდაუთაში. შეთანხმების მიხედვით, აღნიშნულ ბაზებს საქართველოში შექმნილი კონფლიქტური ვითარების სტაბილიზაციისა და მომავალში სამხედრო დაპირისპირების თავიდან აცილების ფუნქცია და მიზანი ჰქონდა.[2]

1996 წლის 19 იანვარს დსთ-ს საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ. დოკუმენტის მიხედვით, მხარეები თანხმდებოდნენ, არ დაეჭირათ მხარი სეპარატისტული რეჟიმებისთვის, არ დაემყარებინათ მათთან პოლიტიკური, ეკონომიკური, ფინანსური, სამხედრო და სხვა სახის კავშირები და მიეღოთ აფხაზთა მხარეზე ზემოქმედების ღონისძიებათა კომპლექსი.[3] აღსანიშნავია, რომ ამ გადაწყვეტილებისთვის ხელი არ მოუწერიათ ბელორუსიისა და თურქმენეთის რესპუბლიკებს. ამ ნაბიჯით კრემლი შეუერთდა იმ ქვეყნების რიცხვს, რომელთაც უნდა დაეგმოთ სეპარატისტთა ქმედებები აფხაზეთის ტერიტორიაზე.

როგორც ვხედავთ, 1995 და 1996 წლებში საქართველოსთან მიმართებაში კრემლი საკმაოდ „საინტერესო“ პოლიტიკას ახორციელებს: ჯერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უხეში ხელყოფით, ოთხი რუსული ბაზის განლაგების შესახებ უთანხმდება ქართულ მხარეს, ხოლო მოგვიანებით კი – დსთ-ს საბჭოს ინიციატივით, აფხაზეთს ე.წ. „იზოლაციაში“ აქცევს, რითაც თითქოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მნიშვნელობას „უსვამს ხაზს“. ბუნებრივია, აღნიშნული პოლიტიკა მოსკოვის მხრიდან საქართველოსთან მიმართებაში მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი იმპერიალისტური ინტერესების დაცვაზე იყო მორგებული, რასაც ქვემოთ კიდევ ერთხელ დავინახავთ.

---

[1] **ვახტანგ ყოლბაია, რაფიელ გელანტია, დავით ლაცუზბაია, თეიმურაზ ჭახრაკია.** აფხაზეთის ლაბირინთი. თბილისი, 1999, გვ. 211-212.

[2] **Александр Пельц, Виталий Денисов.** Договорённости с Арменией и Грузией в военной области оцениваются высоко. // *«Красная звезда»*, № 65 (21652), 24 марта 1995, გვ. 1.

[3] იხ.: რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 132-133.

1997 წლის 14 აგვისტოს, აფხაზეთში შეიარაღებული მოქმედებების დაწყების წლისთავზე, თბილისში ჩამოვიდა აფხაზთა დელეგაცია ვლადისლავ არძინბას მეთაურობით. შეხვედრა გაიმართა რუსეთის დელეგაციის შუამავლობით. შეხვედრაზე ხაზი გაესვა რუსეთის როლს ქართველებსა და აფხაზებს შორის კონფლიქტის მოგვარების საქმეში და კიდევ ერთხელ ნათლად გამოიკვეთა საომარი მოქმედებების განუახლებლობის აუცილებლობა ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის.[1]

აღსანიშნავია, რომ თავად სეპარატისტი ისტორიკოსების მიერ არძინბას ვიზიტი თბილისში უარყოფით კონტექსტში აღიქმებოდა. ასლან ავიძბას თქმით, იმ დროს აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, რადგან აფხაზეთის თვითაღიარებული „რესპუბლიკა“ საერთაშორისო პოლიტიკურ დონეზე იყო იზოლირებული. სეპარატისტი ისტორიკოსის თქმით, ამ ვიზიტისას, არძინბას „ხელშეუხებლობის“ გარანტია იმ დროს თავად რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი პრიმაკოვმა მისცა.[2]

1999 წლის 3 ოქტომბერს აფხაზმა სეპარატისტებმა ჩაატარეს რეფერენდუმი აფხაზეთის მასშტაბით 1994 წელს მიღებული „კონსტიტუციის“ მიმართ მოსახლეობის განწყობის გამოსავლენად. აფხაზური მოსახლეობის 97.7%-მა დადებითად შეაფასა „სეპარატისტული კონსტიტუციის“ მიღების ფაქტი.[3] რეფერენდუმის შედეგები თავის მხრივ, დადასტურდა აფხაზეთის რესპუბლიკის სახალხო საბჭოს დეპუტატების მიერ 1999 წლის 12 ოქტომბერს მიღებული, „აფხაზეთის რესპუბლიკის ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტით“.[4]

სეპარატისტთა აღნიშნული ღონისძიებები კიდევ ერთხელ დაიგმო როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო ინსტიტუტების მხრიდან. 1999 წლის 17-18 ნოემბერს ეუთო-ს სტამბულის სამიტზე მიღებული დეკლარაცია ღია მხარდაჭერას გამოხატავდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და აქვე აღნიშნავდა რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის აუცილებლობას საქართველოს ტერიტორიიდან. საქართველოსა და რუსეთის მხარეების შეთანხმების მიხედვით, 2001 წლის 1 ივ-

---

[1] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 159.

[2] **Аслан Авидзба.** Становление независимого Абхазского государства и Российская Федерация (1993-2008 гг.). ob.: http://apsnyteka.org/935-avidzba_a_f_izbrannye_stati.html.

[3] Акт о государственной независимости Республики Абхазия. ob.: http://abkhazia-apsny.ru/suverinitet.html.

[4] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 194-195.

ლისამდე უნდა მომხდარიყო გუდაუთისა და ვაზიანის რუსული სამხედრო ბაზების გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან, ხოლო ბათუმისა და ახალქალაქის სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებისა თუ გაყვანის შესახებ, ქართულ და რუსულ მხარეებს გადაწყვეტილება უნდა მიეღოთ 2000 წელს.[1]

2.2. ცხინვალის რეგიონი XX ს. 90-იან წლებში

1989 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის მოსახლეობა 98 400 ადამიანს შეადგენდა. ოსები შეადგენდნენ მოსახლეობის 66.2%-ს, ქართველები – 29.44%-ს, ხოლო სხვა ეროვნებები კი – 4%-ს. საინტერესოა, რომ მთლიანობაში საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ეთნიკური ოსების რიცხვი ამ დროისთვის 164 000 ადამიანს შეადგენდა, ხოლო მათი მხოლოდ 39.7% – 65 200 ადამიანი ცხოვრობდა ყოფილი ავტონომიის ტერიტორიაზე.[2]

ცხინვალის რეგიონში სამხედრო შეტაკებები 1991 წლის გაზაფხულიდან 1992 წლის ზაფხულამდე მიმდინარეობდა. ამ პერიოდში სამხედრო დანაშაულის არაერთი ფაქტი დაფიქსირდა, როგორც სეპარატისტული, ასევე რუსული ნაწილების მხრიდან.[3] შექმნილი ვითარება ხელსაყრელი იყო კრემლისთვის, რომელიც ისევ და ისევ „მომრიგებლის“ როლში გვევლინებოდა ქართველებსა და ოსებს შორის შექმნილ დაძაბულ ვითარებაში.[4]

1992 წლის 29 მაისს სეპარატისტთა უმაღლესმა საბჭომ „სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა“ გამოაცხადა. 10 ივნისს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ედუარდ შევარდნაძესა და ჩრდილოეთ ოსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ახსარბეგ გალაზოვს შორის დაბა ყაზბეგში შედგა შეხვედრა. მიღწეული შეთანხმების მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ დაუყოვნებლივ ცეცხლის შეწყვეტაზე ცხინვალის რეგიონში (მუხლი 1).[5] შეთანხმების მეორე მუხლი ითვალისწინებდა 12 ივნი-

---

[1] Istanbul Document. November 1999, გვ. 49. იხ.: http://www.osce.org/mc/39569?download=true.

[2] Юго-Осетинская АО (1989 г.). უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.ethno-kavkaz.narod.ru/rnsossetia.html.

[3] **Silvia Serrano.** Géorgie, sortie d'empire. Paris: CNRS Editions, 2007, გვ. 91.

[4] **უჩა ბლუაშვილი.** ეროვნული მოძრაობა და პოლიტიკური კონფრონტაცია საქართველოში 1987-1993. თბილისი, 2012, გვ. 218-230.

[5] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 71.

სამდე შეერთებული, ოთხმხრივი სადამკვირვებლო ჯგუფის შექმნას, რომელშიც რუსეთის ფედერაციაც იქნებოდა ჩართული.[1] ზამთრის დადგომამდე უნდა მომხდარიყო ასევე დევნილთა საკუთარ სახლებში დაბრუნება (მუხლი 6).[2] მეცხრე მუხლი ხაზს უსვამდა მოლაპარაკების პროცესში რუსეთის მონაწილეობის საჭიროებას.[3]

რუსეთის ფედერაციის რეაქციამ არ დააყოვნა. ზემოაღნიშნული ყაზბეგის შეთანხმებიდან ორ კვირაში, 24 ივნისს ელცინისა და შევარდნაძის სოჭის შეხვედრაზე ქართულმა და რუსულმა მხარეებმა კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების ვალდებულება აიღეს, რის მიხედვითაც ცეცხლის შეწყვეტა უნდა მომხდარიყო 28 ივნისამდე (მუხლი 1, პუნქტი 1).[4] შეთანხმების მეორე მუხლის მიხედვით, რეგიონში დემილიტარიზაციის ზომების დაცვის მიზნით, რუსეთის ფედერაცია იღებდა ვალდებულებას ცხინვალის რეგიონიდან ათი დღის ვადაში გაეყვანა 37-ე საინჟინრო და 292-ე საჰაერო პოლკები.[5] მესამე მუხლის მიხედვით, ცეცხლის შეწყვეტის მონიტორინგისთვის უნდა შექმნილიყო შერეული საკონტროლო კომისია, რომელიც უნდა შეედგინათ კონფლიქტში მონაწილე მხარეებს (მუხლი 3, პუნქტი 1).[6]

ზემოაღნიშნული შერეული საკონტროლო კომისია შედგებოდა რუსეთის, საქართველოს, ჩრდილოეთ და „სამხრეთ ოსეთის“ წარმომადგენლებისგან: ს. შოიგუ, გ. ფილატოვი, თ. კიტოვანი, პ. გიორგაძე, ნ. ლომოური, ე. საბანაძე, გ. თუშურაშვილი, ს. ხეთაგუროვი, ს. სუანოვა, ო. თეზიევი, პ. გაზაევი.[7]

ამ შეთანხმებებით მოსკოვმა მაქსიმალურად გაამყარა „მშვიდობისმყოფელთა“ სახელით შენიღბული, საკუთარი სამხედრო წარმომადგენლობა ცხინვალის რეგიონში.

1993 წლის 1 მარტს ეუთო-სა და კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის „ურთიერთგაგების მემორანდუმი“ იქნა გაფორმებული. ამ დოკუმენტმა განსაზღვრა ეუთო-ს კომპეტენციის სამოქმედო ტერიტორია ცხინვალის რეგიონში.[8] თუმცა, ხუთი დღის შემდეგ, აღნიშნული შეთანხმების საწინააღმდეგოდ, ჩრდილოეთ ოსეთის უზე-

---

[1] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 71.
[2] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 71.
[3] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 71.
[4] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 72.
[5] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 72.
[6] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 72.
[7] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 73.
[8] The OSCE Mission to Georgia. Mission Survey. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.parliament.ge/files/1_899_277745_osce_missiontogeorgia.pdf.

ნაესმა მიიღო დადგენილება „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ცნობის შესახებ“.[1] მოსკოვმა აღნიშნულ ქმედებას მეტად „საინტერესოდ“ უპასუხა. ნაცვლად კომისიის მიერ სამშვიდობო ფუნქციის რეალური შესრულებისა, რუსეთის ფედერაციამ 22 მარტს გამოცემული დადგენილებით, „სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი“ რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს დღის წესრიგში დააყენა.[2] ეს იყო მორიგი მკაფიო მაგალითი იმისა, თუ რამდენად „საიმედო“ პარტნიორს წარმოადგენდა მოსკოვი ცხინვალში კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირების საქმეში.

1993 წლის 2 ნოემბერს „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია“ იქნა მიღებული. დოკუმენტის 23-ე მუხლის მიხედვით, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთს საერთო ადმინისტრაციული საზღვარი ჰქონდათ, თუმცა ეს არ უნდა გამხდარიყო ოსი ხალხის ეთნიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ერთობის დამაბრკოლებელი ფაქტორი.[3]

1994 წლის 31 ოქტომბერს მოსკოვში გაფორმდა შეთანხმება ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესის შემდგომი განვითარებისა და შერეული საკონტროლო კომისიის შესახებ. დოკუმენტის შესავალში მწუხარება იყო გამოთქმული იმის შესახებ, რომ სოჭის შეთანხმებიდან ორი წლის შემდეგაც კი რეგიონში მშვიდობის განვითარების კუთხით წინსვლას ადგილი არ ჰქონია. ამიტომაც, ამ შეთანხმების მიხედვით, შერეული კომისია პერმანენტულ მექანიზმად უნდა გადაქცეულიყო.[4] აღნიშნულ დოკუმენტს კომისიის ოთხივე წევრმა მოაწერა ხელი.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, მოსკოვი ჯერ თავად უწყობდა ხელს კონფლიქტის ესკალაციას რეგიონში, რისი აშკარა და ღია მაგალითიც გვაქვს 1993 წლის 22 მარტს გამოცემული რფ-ს უზენაესი საბჭოს დადგენილების სახით, ხოლო შემდგომ „მწუხარებას გამოთქვამდა“ კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო მექანიზმების უმოქმედობით. ბუნებრივია, აღნიშნული მიდგომა ნათლად გამოხატავს რუსული პოლიტიკის მიზნებს საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებით.

შერეული საკონტროლო მისიის მორიგი სესია, ამჯერად ეუთო-ს მონაწილეობით, გაიმართა 1995 წლის 30 ოქტომბერს, ვლადიკავკაზში. შეხვედრაზე მიღწეული

[1] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 86.
[2] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 86.
[3] Конституция Южной Осетии 1993 года. იხ.: https://ru.wikisource.org/wiki/Конституция_Южной_Осетии.
[4] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 116-117.

შეთანხმების მიხედვით, მხარეები რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად მოლაპარაკების პროცესების სასწრაფოდ დაწყებაზე შეთანხმდნენ. შეიქმნა მხარეთა ექსპერტების ჯგუფები, რომელთაც უნდა ჩამოეყალიბებინათ საკუთარი შეთავაზებები ისეთ საკითხებზე როგორიც იყო, უსაფრთხოების საგარანტიო ზომები, ორმხრივი ნდობის აღდგენა და გაძლიერება კონფლიქტურ მხარეებს შორის, ეკონომიკური ვითარებისა და ბიზნესის განვითარება რეგიონში.[1]

1996 წლის 9 ნოემბერს ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის მთავრობასა და „სამხრეთ ოსეთს მთავრობას“ შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის პირველი პუნქტის მიხედვით, მხარეებს ხელი უნდა შეეწყოთ ოსი ხალხის ინტეგრაციისთვის სოციალურ-ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, საბანკო-საფინანსო, სავაჭრო და კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებებით. მხარეები იღებდნენ ვალდებულებას შეემუშავებინათ როკის გვირაბზე გამავალი სავაჭრო გზის შენახვისა და განვითარების ზომები და საშუალებები (მუხლი 12).[2]

ამგვარად, საქართველოს ტერიტორია ჩრდილოეთ და „სამხრეთ ოსი“ ხალხის ეთნო-კულტურული კავშირების განმტკიცების ასპარეზად უნდა ქცეულიყო. ყველაზე სახიფათო საქართველოს ტერიტორიული სუვერენიტეტისთვის იყო როკის გვირაბის[3] გავლით დიდი რაოდენობით შემოსული სხვადასხვა სახის კონტრაბანდული ტვირთი, რომელსაც ქართული მხარე ვერ აკონტროლებდა.

1996 წლის ნოემბერში ცხინვალის რეგიონში ე.წ. „საპრეზიდენტო არჩევნები“ ჩატარდა, რომელშიც გამარჯვება მოიპოვა ლუდვიგ ჩიბიროვმა.[4] 26 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა გამოსცა დეკრეტი, რომლითაც ცხინვალის რეგიონში ჩატარებული ე.წ. „საპრეზიდენტო არჩევნები“ უკანონოდ გამოცხადდა.[5]

აღსანიშნავია, რომ ლუდვიგ ჩიბიროვსა და ედუარდ შევარდნაძეს შორის მოლაპარაკებების პროცესი დაიწყო 1996 წლიდან. სულ მათ გამართეს სამი შეხვედრა –

---

[1] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 130.

[2] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 145-146.

[3] როკის გვირაბის მშენებლობა მიმდინარეობდა 1976-1984 წლებში.

[4] თავად ლუდვიგ ჩიბიროვის პიროვნების შესახებ საკმაოდ საინტერესო ცნობებს გვაწვდის შვედი პოლიტოლოგი და ანალიტიკოსი პერ გარტონი. 2000 წელს, ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ ვიზიტისას, გარტონი პირადად შეხვედრია ჩიბიროვს, რომელსაც შვედ მეცნიერზე მოულოდნელი შთაბეჭდილება მოუხდენია. გარტონის თქმით, ჩიბიროვის ბიოგრაფიაში განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ მას სამხრეთ ტიროლში უსწავლია ავტონომიური ერთეულების ფუნქციონირების საკითხები. იხ.: **Per Gahrton.** Georgia. Pawn in the New Great Game. New York: Pluto Press, 2000, გვ. 60.

[5] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 147.

1996 წლის 27 აგვისტოს ვლადიკავკაზში, 1997 წლის 14 ნოემბერს ჯავაში და 1998 წლის 20 ივნისს ბორჯომში. ამ შეხვედრებზე არაერთი ფუნდამენტური საკითხი დაისვა, რამაც, საბოლოოდ, მხარეები ორმხრივი დოკუმენტის გაფორმებამდე მიიყვანა. ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის მთავრობის იმდროინდელი თავმჯდომარის, თაიმურაზ მამსუროვის თანახმად, აღნიშნულმა მოლაპარაკებებმა ყოფით დონეზე ვითარების დასტაბილურება გამოიწვია.[1]

2000 წლის 13 ივლისს, ბადენში გაფორმდა „შეთანხმება (დეკლარაცია) ქართულ-ოსური კონფლიქტის მონაწილე მხარეთა პოლიტიკური და საკანონმდებლო ურთიერთობების ძირითადი პრინციპების შესახებ“.[2] ამგვარად, 1990-იანი წლების დასასრულისთვის, ქართულმა და ოსურმა მხარეებმა მოლაპარაკებების ყველაზე პროდუქტიულ წერტილს მიაღწიეს.

2.3. აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი XXI ს. დასაწყისში. 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები

XX საუკუნის მიწურული, ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით, მეტად მძიმე გამოდგა როგორც საქართველოსთვის, ასევე რუსეთისთვის. რუსეთის ფედერაციას, როგორც სსრკ-ს ერთადერთ სამართალმემკვიდრეს, ამ პერიოდისთვის 160 მლრდ დოლარამდე საგარეო ფინანსური დავალიანება ჰქონდა.[3] ამასთან ერთად, სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ რუსეთში ელცინის შემცვლელის საჭიროება იდგა. ამგვარ ვითარებაში, 1999 წელს რუსეთის პრემიერ მინისტრის პოსტი დაიკავა კგბ-ს ყოფილმა ოფიცერმა ვლადიმირ პუტინმა.

ვაშინგტონის ისტორიის კვლევითი ცენტრის ექსპერტის, ალეკ რასიზადეს მართებული შენიშვნით, 1998-99 წლების რუსეთში ვითარება რომ შედარებით უფრო სტაბილური ყოფილიყო, პუტინი დიდი ალბათობით მთელს თავის სიცოცხლეს გაატარებდა, როგორც კგბ-ს ყოფილი ოფიცერი. რასიზადეს თქმით, ამ პერიოდში რუ-

---

[1] **Т. Д. Мамсуров.** Регионы – центр: проблема согласования интересов. Москва: Издательство российского университета дружбы народов, 2000, გვ. 75.
[2] **Hansjörg Eiff.** The OSCE Mission to Georgia and the Status of South Ossetia. OSCE Yearbook, 2008, გვ. 41.
[3] **Alec Rasizade.** Putin's mission in the Russian Thermidor. / Communist and Post-Communist Studies. Vol. 41, issue 1, March 2008, გვ. 9.

სეთში შექმნილ ვითარებას ზუსტად აღწერდა რუსული სიტყვა „Беспредел“.[1]

საქართველო ამ პერიოდში განიცდიდა ღრმა ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ კრიზისს. რთული იყო თუნდაც რაიმე მიმართულების დასახელება ქვეყნის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკური კუთხით, რაშიც იმდროინდელი ქართული სახელმწიფო დამაკმაყოფილებელ შედეგს აჩვენებდა. ბუნებრივია, შექმნილ ვითარებაში აფხაზეთის და ცხინვალის ოკუპირებული რეგიონები ჩვენი ქვეყნის უპირველეს შიდა და საგარეო პოლიტიკურ პრობლემას წარმოადგენდა.

2008 წლის ომზე საუბრისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ამ ომის მიზეზები ომამდე რამდენიმე თვით ან წლით ადრე კი არ არის საძიებელი, არამედ დაკავშირებულია მოვლენათა სწორედ იმ ჯაჭვთან, რომელსაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში ადგილი ჰქონდა 2000 წლიდან.

ამ პერიოდში საქართველოს ერთ-ერთ მთავარ პრობლემას რუსეთთან მიმართებაში წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარე ოთხი რუსული სამხედრო ბაზა. როგორც ზემოთ აღინიშნა, 1999 წლის სტამბულის სამიტზე მიღწეული შეთანხმების საფუძველზე გუდაუთისა და ვაზიანის სამხედრო ბაზები საქართველოს ტერიტორიიდან უნდა გასულიყო 2001 წლის 1 ივლისამდე.[2] ამ ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, რუსეთის ფედერაციას შეეძლო რეალურად შეემცირებინა საკუთარი სამხედრო წარმომადგენლობა საქართველოში და ამით ერთგვარი საფუძველი შეემზადებინა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებისათვის, თუმცა ეს კრემლის მიზნებში არ შედიოდა.

2000 წლის 9 ნოემბერს, რუსეთმა საქართველოსთან სავიზო რეჟიმი შემოიღო. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქართული მხარის მიერ გამოთქმულ უკმაყოფილებას კრემლის მხრიდან მოჰყვა დსთ-ს წესდების[3] იმ ნაწილის გაუქმება, რომელიც თანამეგობრობის წევრი ქვეყნებისთვის თავისუფალი მიმოსვლის შესაძლებლობას იძლეოდა (საუბარია დსთ-ს წესდების მე-2 და მე-19 მუხლების ნაწილებზე).[4]

---

[1] **Alec Rasizade.** Putin's mission, გვ. 4.

[2] Istanbul Document. November 17-18, 1999, გვ. 259. ob.: http://www.osce.org/mc/39569?dow nload=true

[3] Устав Содружества Независимых Государств (г. Минск, 22 января 1993 года). ob.: http://cis.minsk.by/page.php?id=180.

[4] **Andrei Illarionov.** The Russian Leadership's Preparation for War, 1999-208. In: *The Guns of August 2008: Russia's War in Georgia.* Edited by ***Svante E. Cornell*** *and* ***S. Frederick Starr.*** Armonk, NY–London: M. E. Sharpe, 2009, გვ. 51.

ერთი წლის შემდეგ, 2001 წლის 8 აპრილს, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის კონსტიტუციის“ ახალი რედაქცია იქნა მიღებული.[1] 18 ნოემბერს, ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში გაიმართა მორიგი „საპრეზიდენტო არჩევნები“, რომელშიც ხმების 45%-ით გამარჯვება მოიპოვა ედუარდ კოკოითიმ, ბიზნესმენმა და პროფესიონალმა მოჭიდავემ, ხოლო ჩიბიროვმა მხოლოდ 21% მოაგროვა.[2] ცხადი გახდა, რომ ჩიბიროვისა და შევარდნაძის ფორმატი, რომლის დასკვნით ნაწილს ნახევარი წლით ადრე გაფორმებული ბადენის დოკუმენტი წარმოადგენდა, მიუღებელი იყო კრემლისთვის.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტები აშშ-ში კრემლისთვის საქართველოზე თავდასხმის კიდევ ერთი მიზეზი აღმოჩნდა. ტრაგედიიდან ერთი წლის თავზე პუტინმა საქართველო ტერორისტული საფრთხის შემცველ ქვეყნად მოიხსენია და განაცხადა, რომ რუსეთი მზად იყო გაერო-ს წესდების 51-ე მუხლი აემოქმედებინა საქართველოს წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ პუტინის აღნიშნულ გამოსვლამდე ერთი თვით ადრე – 6 აგვისტოს მოხდა პანკისის ხეობის დაბომბვა კრემლის მიერ. აღნიშნული მოვლენების შემდეგ, 22 ნოემბერს, ედუარდ შევარდნაძემ NATO-ს პრაღის სამიტზე სიტყვით გამოსვლისას, პირველად გააჟღერა საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანების სურვილი.[3]

ზემოაღნიშნული ფაქტებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2000-იანი წლების დასაწყისში სწორედ მოსკოვი, და არა თბილისი, იყო რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების დაძაბვის ინიციატორი. სწორედ ოფიციალურმა მოსკოვმა, რომელიც ამ დროს მეორე ჩეჩნურ ომს აწარმოებდა ჩრდილოეთ კავკასიაში, გამოაცხადა საქართველო ტერორისტული საფრთხის შემცველ ქვეყნად და მოახდინა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული სუვერენიტეტის ხელყოფა და მისი ნაწილის დაბომბვა. რუსეთმა საქართველოსთან სავიზო რეჟიმიც შემოიღო. ამგვარად, პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე წლებიდან, როგორც ვხედავთ, რუსეთი ნამდვილად არ წარმოადგენდა იმ ძალას, რომელსაც არათუ ოკუპირებულ რეგიონებში, არამედ ზოგადად საქართველოს ტერიტორიაზე მშვიდობის დამყარების ხელშეწყობა სურდა.

---

[1] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 402.

[2] **მამუკა კომახია.** არალეგიტიმური საპრეზიდენტო არჩევნები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში /სამხრეთ ოსეთში: რუსეთის როლი არჩევნებში. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. თბილისი, 2017, გვ. 9.

[3] **მამუკა კომახია.** არალეგიტიმური საპრეზიდენტო არჩევნები.., გვ. 9.

2002 წლის მაისში რუსეთში მიღებულ იქნა ახალი კანონი რუსეთის მოქალაქეობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების ე.წ. „გამარტივებულ წესს“ ხალხთა სხვადასხვა ჯგუფებისთვის. აღნიშნული რეგულაციები მოცემული იყო კანონის მეექვსე მუხლში, რომლის მიხედვითაც, გამარტივებული წესით რუსეთის მოქალაქეობა მიენიჭებოდათ იმ პირებს, რომლებიც *„ფლობდნენ სსრკ მოქალაქეობას, მოსახლეობენ და მოსახლეობდნენ სსრკ-ს შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების ტერიტორიაზე, არ მიუღიათ აღნიშნულ სახელმწიფოთა მოქალაქეობა და შედეგად, დარჩნენ მოქალაქეობის გარეშე“.*[1]

ეს იყო საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის რუსული მოქალაქეობის მასობრივი მინიჭების პროცესის დასაწყისი, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა კანონს საქართველოს მოქალაქეობის შესახებ. სწორედ ამ რუსულმა კანონმა საქართველოში 2008 წლის ინტერვენციისას, რუსეთისთვის ერთგვარი „არგუმენტის როლი“ შეასრულა, რის მიხედვითაც კრემლი „იცავდა საკუთარ მოქალაქეებს“.[2]

ეკონომიკურ საკითხებში პუტინის ყოფილი მრჩევლის, ანდრეი ილარიონოვის თანახმად, 2003 წლის თებერვალში, რუსულმა მხარემ თორმეტი T-55 ტიპის ტანკი გადასცა ოს სეპარატისტებს. ეს პროცესი გაგრძელდა 2003-2004 წლებში. 2004 წლის მაისსა და ივნისში კრემლის მიერ ცხინვალის რეგიონში გაიგზავნა 75 ერთეული T-72 ტიპის საბრძოლო ტანკი და უზარმაზარი რაოდენობით სამხედრო ტექნიკა და აღჭურვილობა.[3]

ამასთან ერთად, საქართველოს ტერიტორიიდან სამხედრო ბაზების გაყვანის ნაცვლად, ამ პერიოდში რუსულმა მხარემ დაიწყო ახალი სამხედრო ბაზების მშენებლობა ჯავას რეგიონში და ოჩამჩირის სამხედრო ბაზის მოდერნიზება აფხაზეთში. რუსი ჟურნალისტების, იულია ლატინინასა და ანდრეი ილარიონოვის თანახმად,

---

[1] *«б) имели гражданство СССР, проживали и проживают в государствах, входивших в состав СССР, не получили гражданства этих государств и остаются в результате этого лицами без гражданства.»* Федеральный закон «О Гражданстве РФ». От 31.05.2002. №62-ФЗ. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.consultant.ru/popular/civic/34_2.html#p193.

[2] **კახაბერ ყალიჩავა.** რუსეთის მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განხორციელებული საპასპორტო პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი. / *საისტორიო ძიებანი,* წელიწდეული. XII. თბილისი, 2013-2015, გვ. 217.

[3] **Andrei Illarionov.** The Russian Leadership's Preparation for War, გვ. 50.

მოსკოვი კიდევ ერთ ბაზას აშენებდა დაღესტნის ბოტლიხის რეგიონში, საიდანაც 2008 წელს სამხედრო ნაწილები შემოვიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე.[1]

აღნიშნული პროვოკაციები რუსული მხარის მიერ საქართველოში ხორციელდებოდა 2003-2004 წლების გარდამავალ პერიოდში, როდესაც საქართველოს მთავრობაში მოვიდა ახალი გუნდი მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით. თუკი მანამდე შევარდნაძემ ღიად გამოხატა NATO-ში ინტეგრაციის სურვილი, სააკაშვილის გუნდის მთავარი მიზანი ამ სურვილის რეალობად ქცევა იყო, რისთვისაც დაიწყო მთელი რიგი რეფორმების განხორციელება სხვადასხვა მიმართულებით. აღნიშნული პოლიტიკა, რა თქმა უნდა, შორს იყო კრემლის რეალური მიზნებისგან საქართველოში, რომელიც ძირითადად საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის მაქსიმალურ კონტროლზე იყო ფოკუსირებული.

მკვეთრი დასავლური საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის მიუხედავად, საქართველოს ახალი მთავრობისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს რუსეთთან დიალოგი წარმოადგენდა. ამ ფაქტის ნათელი ილუსტრაცია იყო პრეზიდენტის რანგში მიხეილ სააკაშვილის პირველი ოფიციალური ვიზიტი მოსკოვში 2004 წლის 11 თებერვალს. ქართულმა მხარემ რუსეთთან დიალოგის სურვილი გამოხატა, თუმცა, პასუხად, იმავე წლის ივლისის დასაწყისში მიიღო დიდი რაოდენობით ახალი რუსული ტექნიკა ცხინვალის რეგიონში.

8 ივლისს ქართულმა მხარემ რუსული სამხედრო ტექნიკით დატვირთული ცხრა სატვირთო მანქანა დააკავა ცხინვალის რეგიონში. მომდევნო დღეს, რუსულმა მხარემ 50 ქართველი მშვიდობისმყოფელი განაიარაღა და დააჩოქა ცხინვალის ცენტრში. რუსებმა ეს სცენა გადაიღეს და წამყვან რუსულ საინფორმაციო გადაცემებში აჩვენეს. იმავე ღამით სეპარატისტებმა ქართული სოფლების თამარაშენისა და ქურთას მიმართულებით ცეცხლი გახსნეს.[2]

რუსეთის ამგვარი აგრესიული პოლიტიკის მიუხედავად, 2004 წელს პირდაპირი სამხედრო დაპირისპირება მოსკოვსა და თბილისს შორის თავიდან იქნა აცილებული ქართული მხარის ზომიერი დიპლომატიური პოზიციის საშუალებით. 2004 წლის 5

[1] **Andrei Illarionov.** The Russian Leadership's Preparation for War, გვ. 56; **Юлия Латынина.** 200 км танков. О Российско-Грузинской войне. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://readli.net/chitat-online/?b=124895&pg=1.

[2] **Andrei Illarionov.** The Russian Leadership's Preparation for War, გვ. 57.

ნოემბერს საქართველოს პრემიერ მინისტრი ზურაბ ჟვანია სოჭში შეხვდა ედუარდ კოკოითის. შეხვედრას ესწრებოდა როგორც რუსული, ასევე ეუთო-ს მხარე. შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმების მიხედვით, კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ცხინვალის რეგიონში შექმნილი ვითარების მშვიდობიანად დარეგულირების აუცილებლობას. ამასთან ერთად, დადგინდა, რომ მომავალში სამხედრო ნაწილებისა თუ ტვირთის გადაადგილება კონფლიქტის ზონაში მხოლოდ და მხოლოდ შერეული საკონტროლო კომისიის ყველა მხარესთან შეთანხმებითა და მათი თანხმობით უნდა მომხდარიყო.[1]

2005 წლის 26 იანვარს, სტრასბურგში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას, პრეზიდენტმა სააკაშვილმა წამოაყენა ახალი სამშვიდობო გეგმის ინიციატივა ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში. გეგმის მიხედვით, ცხინვალის რეგიონს უნდა მინიჭებოდა ავტონომიური სტატუსი საკუთარი თვითმმართველობის ორგანოების არჩევის უფლებით, რომელიც, თავის მხრივ, ითვალისწინებდა პარლამენტისა და აღმასრულებელი ორგანოს შექმნას. ავტონომიური რეგიონის პარლამენტის კომპეტენციაში უნდა შესულიყო საგანმანათლებლო, კულტურული, ეკონომიკური, საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული საკითხების გადაწყვეტა. ამასთან ერთად, ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას უნდა ჰქონოდა ხმის უფლება ეროვნულ სამთავრობო სტრუქტურებში, რის კონსტიტუციურ გარანტიასაც თავად ეს გეგმა წარმოადგენდა. სამწუხაროდ, ოსმა სეპარატისტებმა, საკუთარ „დამოუკიდებლობაზე“ აპელირებით, უარყვეს ეს გეგმა და მას „ყოვლად მიუღებელი, მორიგი პროპაგანდისტული ნაბიჯი“ უწოდეს.[2]

ქართული მხარის აღნიშნული სამშვიდობო ინიციატივა მხარდაჭერილ იქნა ეუთო-ს ლიუბლიანის მინისტერიალის მიერ 2005 წლის 6 დეკემბერს. მინისტერიალის შეფასებით: „ქართული გეგმა, შესაბამისი მხარდაჭერის შემთხვევაში, ნამდვილად იძლეოდა კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების გარანტიას“.[3]

2005 წლის 30 მაისს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა და მისმა რუსმა კოლეგამ სერგეი ლავროვმა ხელი მოაწერეს ერთობლივ

---

[1] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში.., გვ. 477-478.

[2] Georgia: President Unveils South Ossetian Peace Plan In Strasbourg. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.rferl.org/a/1057093.html.

[3] OSCE Ministerial Council. 6 December 2005. Second Day of the Thirteenth Meeting of the Ministerial Council. Ljubljana, 2005. გვ. 41. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.osce.org/mc/17490?download=true.

განცხადებას რუსული სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის დროის შესახებ. დოკუმენტის მიხედვით, მოსკოვის სამხედრო ნაწილებს საქართველო 2008 წლის ბოლოსთვის უნდა დაეტოვებინათ.[1]

აღნიშნული პირობები კიდევ ერთხელ დადასტურდა საქართველოს ტერიტორიიდან რუსული ბაზების გაყვანის შესახებ, 2006 წლის 31 მარტს, სოჭში გაფორმებული შეთანხმებით ქართულ და რუსულ მხარეებს შორის. შეთანხმების მე-11 მუხლის მიხედვით, რუსეთს არ უნდა მიეწოდებინა სამხედრო შეიარაღება აღნიშნული ბაზებისთვის.[2] ამის მიუხედავად, 2006 წლის მაისისთვის, მოსკოვმა ჯავას ჩრდილო-აღმოსავლეთით ელბაჩიტას ახალი სამხედრო ბაზის მშენებლობა დაიწყო.[3]

პარალელურად რუსულ პრესაში აქტიურად იბეჭდებოდა ინფორმაცია ქართული მხარის სამხედრო ნაწილების შიდა-სამზარეულოს შესახებ, რაც კრემლის მხრიდან საქართველოს ტერიტორიაზე აქტიურ ჯაშუშურ საქმიანობაზე მიუთითებდა. მაგალითისთვის, «Независимая Газета»-ს 2006 წლის 1 მარტის ნომერში გვხვდება სტატია, სადაც საუბარი იყო ქართული მხარის მიერ ცხინვალის რეგიონის მიმართ მომზადებულ სამხედრო გეგმაზე სახელად: „ვეფხვის ნახტომი".[4] რუსული ნარატივის მიხედვით, ქართული მხარის ქმედებები დიდწილად განპირობებული იყო აშშ-ს მიერ საქართველოს წაქეზებით. ეს თვალსაზრისი საკმაოდ მკაფიოდ აქვთ გამოხატული რუს ავტორებს მიხაილ ლეონტიევს და დიმიტრი ჟუკოვს წიგნში: „დამოუკიდებელი საქართველო – ბანდიტი ვეფხვის ტყავში", რომელშიც 2008 წლის ომზე საუბრისას ავტორები პირდაპირ აღნიშნავენ, რომ ამერიკელებმა „თავიანთი ძაღლი მიუშვეს რუსეთის წინააღმდეგ".[5]

ესკალაციის ახალი ფაზა დაიწყო 2007 წლის 27 სექტემბერს, როდესაც საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ვანო მერაბიშვილმა განაცხადა რუსული სპეცსამსახურების ჯაშუშური ქსელის აღმოჩენის შესახებ. სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულ იქნა რუსულ სპეცსამსახურების თანამშრომლობაში ეჭვმიტანილი რუსეთის ოთხი და საქართველოს თერთმეტი მოქალაქე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გა-

---

[1] Совместное заявление министров иностранных дел РФ и Грузии по вопросу вывода баз. 30.05.2005. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://regnum.ru/news/polit/462196.html

[2] **ვახტანგ გურული.** საქართველო და გარე სამყარო (XIX-XXI საუკუნეები). თბილისი, 2012, გვ. 131.

[3] **Andrei Illarionov.** The Russian Leadership's Preparation for War, გვ. 59.

[4] *«Независимая Газета»*, №40 (3720), 1 Марта 2006.

[5] **Михаил Леонтьев, Дмитрий Жуков.** «Независимая» Грузия, გვ. 6.

ასაჯაროვა ვიდეო და აუდიო ჩანაწერები, რომლებშიც საქართველოს ხუთი მოქალაქე რუსულ სამსახურებთან კავშირს აღიარებდა.[1]

პასუხად, მოსკოვმა გაერო-ს უშიშროების საბჭოს შეკრება მოითხოვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. რუსეთის საელჩომ თბილისში შეწყვიტა ვიზების გაცემა საქართველოს მოქალაქეებისთვის და ელჩი – ვიაჩესლავ კოვალენკოც გამოიწვია თბილისიდან. რუსეთის საგანგებო საქმეთა სამინისტროს (МЧС России) მიერ საქართველოში გამოიგზავნა თვითმფრინავები, რომელთაც საქართველოში მცხოვრები რუსი დიპლომატების ოჯახების „ევაკუაცია“ ევალებოდათ. რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა ქართული მხარის საქციელი „სახელმწიფო ბანდიტიზმად“ შერაცხა. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის მოსახლეობას მოუწოდა საქართველოში ჩასვლისაგან თავი შეეკავებინათ. რუსეთის ტერიტორიაზე ლეგალურად მცხოვრებ ქართველებს შეუჩერდათ ვიზები. ანდრეი ილარიონოვის მიხედვით, რუსეთის სახელმწიფო დუმის მიერ შეიქმნა სპეციალური „საქართველოს დეპარტამენტი“.[2]

როგორც ვხედავთ, საქართველოს მიერ ჩატარებულ სპეცოპერაციაზე მოსკოვის რეაქცია შორს იყო ადეკვატურისგან. ამის მიზეზად შესაძლებელია დავასახელოთ ორი მთავარი ფაქტორი: 1. რუსეთი არ იყო ჩვეული საქართველოსგან მსგავს მოქმედებებს, ამიტომაც კრემლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა საქართველოს „დასჯა“ აღნიშნული სპეცოპერაციის გამო; 2. მოსკოვის მთავარი სტრატეგიული მიზანი იყო საქართველოს საშინაო პოლიტიკური სივრცის კონტროლი და სწორედ ამ მიზნით განხორციელდა საქართველოს წინააღმდეგ ზემოაღნიშნული ნაკლებად ადეკვატური ქმედებები კრემლის მხრიდან. საქართველოს დასჯასთან ერთად, რუსეთს იმის დემონსტრირებაც უნდა მოეხდინა თუ რამდენად „სასიცოცხლოდ“ იყო საქართველო მოსკოვზე დამოკიდებული. საბოლოოდ, ბუნებრივია, ეს ყველაფერი ერთადერთ მიზანს – საქართველოს საკუთარი პოლიტიკური თვალსაწიერიდან და გავლენიდან არგაშვებას ემსახურებოდა. ამგვარად, მოსკოვის ქმედებების მიხედვით, საქართველოს უნდა „ეზღო“ იმისათვის, რომ საკუთარ ტერიტორიაზე რუსული ჯაშუშური ქსელის საქმიანობის აღკვეთა მოახდინა.

---

[1] **Михаил Леонтьев, Дмитрий Жуков.** «Независимая» Грузия: Бандит в тигровой шкуре, გვ. 62-63.
[2] **Михаил Леонтьев, Дмитрий Жуков.** «Независимая» Грузия: Бандит в тигровой шкуре, გვ. 63.

2007 წლის მაისში საქართველოს ხელისუფლების მიერ მოხდა კიდევ ერთი გეგმის შემუშავება ცხინვალის რეგიონში შექმნილი კონფლიქტის დასარეგულირებლად. ქართული მხარის მიერ შეიქმნა „სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია“, რომელსაც ხელმძღვანელობდა „სამხრეთ ოსეთის“ ყოფილი „თავდაცვის მინისტრი“ დიმიტრი სანაკოევი. საქართველოს ხელისუფლების აღნიშნული ქმედებები წინააღმდეგობრივად იქნა აღქმული ქართულ საზოგადოებაში, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია, საქართველოს ხელისუფლება აღნიშნული ნაბიჯით არ არღვევდა არცერთ საკანონმდებლო ნორმას.

საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსული ბაზების დემონტაჟი ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე, 2007 წლის მეორე ნახევრისთვის დასრულდა. ზემოაღნიშნული ქმედებების გათვალისწინებით, მოსკოვის ამგვარმა ნაბიჯმა ქართულ რეალობაში ერთგვარი გაკვირვება გამოიწვია. ჯერ კიდევ 2007 წლის თებერვალში, მიუნხენის კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი ასრულებდა საკუთარ სიტყვას და საქართველოდან ბაზები დაჩქარებულ რეჟიმში გაჰყავდა.[1] თუმცა, როგორც ანდრეი ილარიონოვი აღნიშნავს, ეს ნაბიჯი კრემლის მიერ მხოლოდ იმიტომ გადაიდგა, რომ საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, თავიდან აეცილებინა ქართული მხარის მიერ საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილში განლაგებული ბაზებიდან რუსი სამხედროების ტყვედ ჩაგდების შესაძლებლობა. ილარიონოვის აღნიშნული შეხედულება ფარდას ხდის რუსულ საომარ გეგმას საქართველოსთან მიმართებაში. სწორედ ამიტომ, ილარიონოვის თქმით: „რუსეთის მმართველმა წრეებმა 11 წელიწადზე გათვლილი ამოცანა მხოლოდ და მხოლოდ ხუთ თვეში განახორციელეს“.[2]

2008 წლის დასაწყისიდან მოყოლებული, საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ვითარება უფრო და უფრო მძიმდებოდა. ზემოაღნიშნული სამშვიდობო გეგმების უარყოფისა და მოსკოვის მხრიდან ყველა ამ პროვოკაციული ქმედების ფონზე, ოფიციალურ თბილისს საკმარისი მიზეზი ჰქონდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად. ამ მიზნით, საქართველოს თავდაცვის ბიუჯეტი 560 მლნ აშშ დოლარიდან 875 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა. 2008 წლის იანვარში საქართველოში გა-

[1] Выступление и дискуссия на Мюнхенской конференции по вопросам политики безопасности. 10 февраля 2007 года. ოფიციალური ჩანაწერი იხ.: http://kremlin.ru/events/president/transcripts/24034.
[2] **Andrei Illarionov.** The Russian Leadership's Preparation for the War, გვ. 65-66.

იმართა რეფერენდუმი ქვეყნის NATO-ში გაწევრიანების თაობაზე, რომელშიც საქართველოს მოსახლეობის 77%-მა საკითხის მიმართ დადებითი პოზიცია დააფიქსირა.[1]

ზედმეტია საუბარი იმაზე, რომ ქართული მხარის აღნიშნული ქმედებები კრემლის გაღიზიანებას იწვევდა. განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ახლოვდებოდა 2008 წლის 2-4 აპრილს დაგეგმილი NATO-ს ბუქარესტის სამიტი, რომელზეც საქართველოსა და უკრაინისთვის ე.წ. სამოქმედო გეგმის (Membership Action Plan – MAP) მინიჭების საკითხი უნდა განხილულიყო.

აღსანიშნავია, რომ კრემლის უკმაყოფილება ქართული მხარის მიერ განხორციელებული პოლიტიკის მიმართ საკმაოდ მკაფიო ასახვას ჰპოვებდა საქართველოში გასაყიდი რუსული ბუნებრივი აირის ფასებზე. აღნიშნული ფასების დინამიკა 2005-2009 წლებში მიმოხილული აქვთ მკვლევრებს იანა კობზოვას, ნიკუ პოპესკუსა და ენდრიუ უილსონს საკუთარ ნაშრომში რუსეთისა და ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის შესახებ. მოცემულ პერიოდში რუსული გაზის ფასების დინამიკა შემდეგ სურათს გვაძლევდა: 2005 – 60$ ათას კუბურ მეტრში, 2006 – 110$, 2007 – 235$, 2008 –280$, 2009 – 350$.[2] ამ მხრივ საინტერესოა, რომ 2008 წელს საქართველო რუსეთისაგან გაზს უფრო ძვირად ყიდულობდა, ვიდრე დსთ-ს შემდეგი ქვეყნები: მოლდოვა (250$), უკრაინა (179.5$), ბელორუსი (127.9$) და სომხეთი (110$). 2009 წელს კი საქართველოს რუსული გაზის ყიდვა გერმანიაზე (280$), უნგრეთზე (300$), სლოვაკეთსა (240$) და პოლონეთზე (300$) ძვირადაც კი უხდებოდა.[3]

2008 წლის დასაწყისში, მოსკოვში საქართველოსთან ომის გეგმა უკვე დამტკიცებული იყო. როგორც თავად ვლადიმირ პუტინის სიტყვებით ირკვევა, ეს გეგმა საიდუმლოს არ წარმოადგენდა და მან იგი პირადად დაამტკიცა 2006 წლის ბოლოსა და 2007 წლის დასაწყისში.[4] მოცემული გეგმის ეფექტურობა ამჯერად უკვე რუსეთ-სა-

---

[1] **Jim Nichol.** Georgia [Republic] and NATO Enlargement: Issues and Implications. In: Georgia and the Caucasus Region. Editor ***Fran W. Haro*** . New York, Nova Science Publishers, Inc., 2010, გვ. 127.

[2] **Jana Kobzova, Nicu Popescu and Andrew Wilson.** Russia and EU's Competitive Neighborhood. In: The Great Power (mis)Management: The Russian-Georgian War and its Implications of Global Political Order. Edited by ***Alexander Astrov***. Ashgate, 2011, გვ. 85.

[3] **Андрей Илларионов.** Газовые цены. 14 января 2009 г. ob.: https://aillarionov.livejournal.com/62696.html; Ющенко: Украина не взяла ни кубометра газа из российского транзита. 13 января 2009. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://www.unian.net/politics/179801-yuschenko-ukraina-ne-vzyala-ni-kubometra-gaza-iz-rossiyskogo-tranzita.html; Российский газ для Европы подорожает до 500 долларов. 3 июля 2008. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://lenta.ru/news/2008/07/03/miller/.

[4] Путин об Августе 2008 года: План был и это не секрет. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://www.youtube.com /watch?v=u3ureBVwmIY.

ქართველოს ურთიერთობებზე და იმ გეოპოლიტიკურ კონტექსტზე იყო დამოკიდებული, რომელიც კავკასიის რეგიონის გარშემო იქმნებოდა 2008 წელს. ამ კუთხით, 2008 წელს საერთაშორისო მასშტაბით ორი მთავარი მნიშვნელობის მოვლენას ჰქონდა ადგილი: 1. კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება 2008 წლის 17 თებერვალს; და 2. NATO-ს ბუქარესტის სამიტი 2008 წლის 2-4 აპრილს.

როგორც ზემოთ დავინახეთ, კოსოვოს შემთხვევას რუსეთის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისიდან. ზემოაღნიშნულ მიუნხენის სიტყვაში პუტინმა ერთგვარად „ამხილა“ დასავლეთის ქვეყნები კოსოვოში სამხედრო ძალის გამოყენების გამო. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ გამოსვლაში რუსეთის პრეზიდენტს ერთი სიტყვითაც არ უხსენებია კოსოვო, მან ხაზი გაუსვა საერთაშორისო მასშტაბით ძალის გამოყენებისთვის გაერო-ს უშიშროების საბჭოს (და არა NATO-სა ან ევროკავშირის) დასტურის აუცილებლობას.[1]

კრემლის დამოკიდებულება კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით მკაფიოდ გამოიკვეთა აღნიშნული მოვლენიდან მხოლოდ და მხოლოდ მეხუთე დღეს, 2008 წლის 21 თებერვალს, ვლადიმირ პუტინისა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრაზე. ამ შეხვედრის დეტალები განხილულია ამერიკელი ანალიტიკოსის რონალდ დიტრიხ ასმუსის ცნობილ წიგნში, რომლის მიხედვითაც, პუტინმა ფაქტობრივად პირდაპირ განუცხადა სააკაშვილს რუსული გეგმების შესახებ საქართველოში: *„აუცილებელია რეაგირება იმაზე, რაც ევროპამ კოსოვოში მოიმოქმედა; ჩვენ მუდმივად ვფიქრობთ, როგორ მივუდგეთ ამ საკითხს და თქვენც გაითვალისწინეთ, რა წნეხს განვიცდით ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მხრიდან – როგორღაც ხომ უნდა გამოვეხმაუროთ მათ მხარდაჭერას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის მიმართ... არ გვესმის, რატომ წამოიწყო ამერიკამ ევროპის ისლამიზაციის კამპანია – მას მერე, რაც ალბანელებმა თავისი გაიტანეს, მეტსაც მოინდომებენ და ახლა მაკედონიასაც მისდგებიან! ხომ გესმით, რომ კოსოვოს შემდეგ, დასავლეთს უპასუხოდ ვერ დავტოვებთ – მართალია, ვწუხვარ, მაგრამ თქვენც ამ პასუხის ნაწილად მოიაზრებით...“*.[2]

ამგვარად, პუტინმა ჯერ კიდევ 2008 წლის თებერვალში ახადა ფარდა რუსეთის

[1] Выступление и дискуссия на Мюнхенской конференции...

[2] **რონალდ დ. ასმუსი.** მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, გვ. 115 (ხაზგასმა ჩვენია – კ.ყ.). სამწუხაროდ, აღნიშნული ფრაზის რუსული ორიგინალის მოძიება შეუძლებელი აღმოჩნდა. თავად რ. ასმუსს ეს ფრაზა მოტანილი ჰყავს ქართული წყაროდან.

გეგმებს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებთან მიმართებაში. დასავლეთისათვის კოსოვოს გამო პასუხის გასაცემად მოსკოვს სჭირდებოდა აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის“ გამოცხადება, რაც, ბუნებრივია, საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ამ გეგმის განხორციელების ერთერთი ყველაზე ეფექტური საშუალება საქართველოს „აგრესორად“ წარმოჩენა უნდა ყოფილიყო. ამგვარად, აქ იკვეთება რუსული პოლიტიკის მსგავსება 1990-იან წლებში შექმნილ ვითარებასთან აფხაზეთში.

ამგვარად, კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოს მეტად რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. მიუხედავად მიხეილ სააკაშვილის მიერ დაფიქსირებული მკვეთრი პოზიციისა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ კოსოვოს აღიარება არ შედიოდა საქართველოს გეგმებში,[1] ვითარება ჩვენი ქვეყნის გარშემო სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა.

4 მარტს „სამხრეთ ოსეთის“, ხოლო სამი დღის შემდეგ აფხაზეთის „პარლამენტებმა“ მიმართეს რუსეთს, დსთ-სა და გაერო-ს მათი დამოუკიდებლობის აღიარების მოთხოვნით.[2]

შექმნილ ვითარებაში, 28 მარტს მიხეილ სააკაშვილმა წარმოადგინა ახალი სამშვიდობო გეგმა აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების შესახებ. გეგმის მიხედვით, საქართველოს მთავრობაში უნდა შექმნილიყო ვიცეპრეზიდენტის პოსტი, რომელსაც ეთნიკურად აფხაზი წარმომადგენელი წარმოადგენდა. აფხაზეთის პარლამენტს უნდა ჰქონოდა ვეტოს უფლება ყველა იმ საკითხზე, რომელიც აფხაზეთს ეხებოდა. ამასთან ერთად, აფხაზეთის ტერიტორიაზე უნდა შექმნილიყო თავისუფალი ეკონომიკური ზონა, რომლითაც რეგიონის აღმშენებლობა იყო დაგეგმილი. „ულიმიტო ავტონომია, ფართო ფედერალიზმი და სერიოზული წარმომადგენლობა საქართველოს სახელისუფლებო აპარატში – ეს ყველაფერი იქნება განხორციელებული საერთაშორისო გარანტორების მხარდაჭერით“,[3] – ამბობდა მიხეილ სააკაშვილი. მეორე დღეს აფხაზეთის „ხელისუფლებამ“ საქართველოს შემადგენლობაში დარჩენის შესაძლებლობას

[1] “Georgia will not recognize Kosovo”. May 9, 2008. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://www.b92. net/eng/news/politics.php?yyyy=2008&mm=05&dd=09&nav_id=50095.

[2] “Georgia will not recognize Kosovo”.

[3] **Leigh Phillips.** Georgian government announces Abkhaz peace proposal. 31 March 2008. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://euobserver.com/foreign/25892.

დაუშვებელი უწოდა.[1]

შექმნილ ვითარებაში, საქართველოს ხელისუფლება უდიდეს იმედებს ამყარებდა მოახლოებულ NATO-ს ბუქარესტის სამიტზე, რომელზეც საქართველოსა და უკრაინისთვის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამოქმედო გეგმის მინიჭების საკითხი უნდა განხილულიყო. სამწუხაროდ, ეს საკითხი ევროპის წამყვანი სახელმწიფოების (გერმანია, საფრანგეთი, იტალია), რუსეთთან არსებული ეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესების გამო, თბილისისა და კიევისთვის უარყოფითად გადაწყდა.

ევროპის სახელმწიფოებთან ერთად, საკუთარი ინტერესები გააჩნდა რუსეთთან ურთიერთობაში აშშ-საც, რაც რუსეთსა და აშშ-ს შორის გაფორმებულ სატრანზიტო ხელშეკრულებაში აისახა. ამ ხელშეკრულების მიხედვით, აშშ-ს საშუალება ეძლეოდა ავღანეთში დისლოცირებული საკუთარი სამხედრო ნაწილები მოემარაგებინა რუსეთის ტერიტორიის გავლით.[2]

ერთადერთი პოლიტიკოსი, რომელიც მკაფიოდ აყენებდა საქართველოსა და უკრაინის საკითხს სამიტზე, იყო პოლონეთის იმდროინდელი პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი (2005-2010), რომელმაც სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებას, საქართველოს და უკრაინის მიმართ უსამართლობა უწოდა.[3]

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ბუქარესტის სამიტზე სიტყვით თავად ვლადიმირ პუტინი გამოვიდა, რომელმაც მოიწონა მიღებული გადაწყვეტილება და აღნიშნა, რომ მოვლენების სხვაგვარად განვითარების შემთხვევაში, რუსეთის მიერ აშშ-სთან სატრანზიტო შეთანხმების ხელმოწერა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა.[4] ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბუქარესტის სამიტის შედეგები რუსეთისთვის მომგებიანი აღმოჩნდა. ახლა მოსკოვს შეეძლო „გეგმაზომიერად“ გაეგრძელებინა საკუთარი პოლიტიკა საქართველოს მიმართ.

16 აპრილს, პუტინის განკარგულების თანახმად, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან რუსეთის მთავრობამ და რიგმა რეგიონულმა მმართველებმა პირდაპირი

---

[1] Ни о какой широкой автономии речи быть не может: президент Абхазии о предложениях Саакашвили. 29 Марта 2008. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://regnum.ru/news/978766.html.

[2] **Paul Gallis.** The NATO Summit at Bucharest, 2008. CRS Report for Congress. Updated May 5, 2008, გვ. 2. იხ.: https://fas.org/sgp/crs/row/RS22847.pdf.

[3] **Ronald Asmus.** A Little War that Shook the World, გვ. 133.

[4] Выступление Владимира Путина на саммите НАТО (Бухарест, 4 апреля 2008 года). უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://www.unian.net/politics/110868-vyistuplenie-vladimira-putina-na-sammite-nato-buharest-4-aprelya-2008-goda.html.

კონტაქტი დაამყარეს.[1] ვითარება დაიძაბა აფხაზეთში. ქართული დრონების მიერ გადაღებული მასალის მიხედვით, რუსული სამხედრო კონტინგენტი იზრდებოდა ოჩამჩირის ბაზაზე. ამასთან ერთად, აფხაზეთში მიმდინარეობდა რკინიგზის აღდგენითი სამუშაოები. ქართული მხარე ბრალს სდებდა რუსეთს აფხაზეთში სამხედრო ინტერვენციის მომზადებაში.[2] მართლაც, ამ პერიოდში ოფიციალური მოსკოვის განცხადებით, აფხაზეთში იგზავნებოდა ნოვოროსიისკში ბაზირებული მე-7 სადესანტო-მოიერიშე დივიზიის 400 ჯარისკაცი.[3]

საინტერესოა, რომ რუსეთის მიერ საქართველოში ინტერვენციის სამზადისის შესახებ ინფორმაცია ბალტიის ერთ-ერთ სახელმწიფოს ჯერ კიდევ 2008 წლის მარტში ჰქონდა. აღნიშნული ინფორმაცია მოცემულია მკვლევრების არიელ კოენისა და რობერტ ჰამილტონის 2011 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებულ სამხედრო აგრესიას ეხება, ხოლო ქართულ სამეცნიერო სივრცეში ეს ინფორმაცია შემოტანილია მკვლევარ დავით ბატაშვილის მიერ.[4] როგორც 2013 წელს გახდა ცნობილი, საქართველოში შემოჭრისათვის რუსეთის სამზადისის შესახებ აცხადებდა ასევე შვედეთის ეროვნული თავდაცვის რადიოგანყოფილება (FRA).[5]

ივნისში ქართული მხარის მიერ აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირების კიდევ ერთი სამშვიდობო გეგმა შემუშავდა. აღნიშნული გეგმა გალისა და ოჩამჩირის ზონებში თავისუფალი სავაჭრო-ეკონომიკური სივრცის მოწყობას ითვალისწინებდა. ამასთან ერთად, უნდა მომხდარიყო აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის მშვიდობიანი განსაზღვრა და რუსი „მშვიდობისმყოფელების“ ქართულ-აფხაზური პოლიციის კონტინგენტით შეცვლა.[6]

---

[1] **Andrei Illarionov.** The Russian Leadership's Preparation for the War, გვ. 68, 70.

[2] **Юлия Латынина.** 200 км танков.

[3] **დავით ბატაშვილი.** 7 აგვისტო: როგორ მოამზადა და დაიწყო რუსეთმა 2008 წლის ომი საქართველოს წინააღმდეგ. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. ექსპერტის აზრი, 103. თბილისი, 2018, გვ. 7. იხ.: https://www.gfsis.org/ge/library/view-opinion-paper/103.

[4] **Ariel Cohen, Robert E. Hamilton.** The Russian Military and the Georgian War: Lessons and Implications. Strategic Studies Institute. ERAP Monograph, 2011, გვ. 16; **დავით ბატაშვილი.** 7 აგვისტო.., გვ. 9.

[5] Sweden knew about the Russia-Georgia war before the US: report. 8 December 2013. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://sverigesradio.se/sida/artikel.aspx?programid=2054&artikel=5727212; დავით ბატაშვილი. 7 აგვისტო.., გვ. 9.

[6] **თინათინ მარგველაშვილი.** „დაყავი და იბატონე“. // გაზ. *„კვირის პალიტრა“*, რუბრიკა „რას წერენ ჩვენზე“, №26 (696), 2008 წ. 30 ივნისი – 6 ივლისი, გვ. 16.

იმავე პერიოდში აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ შემუშავებულ იქნა ასევე გერმანული და ამერიკული გეგმები. გერმანულ გეგმაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეთმობოდა იძულებით გადაადგილებულ პირთა მშვიდობიანი დაბრუნებას. გეგმის მიხედვით, აფხაზეთის ეკონომიკის აღორძინება უნდა მომხდარიყო ევროკავშირის ინსტიტუტების მხარდაჭერით.[1]

ამერიკული გეგმა სრულად იზიარებდა გერმანული გეგმის პუნქტებს და, ამასთან ერთად, ხაზს უსვამდა რუსული „სამშვიდობოების" საერთაშორისო ძალებით შეცვლის აუცილებლობას.[2]

მიუხედავად ქართული მხარისა და საერთაშორისო საზოგადოების ამ ღონისძიებებისა, რუსული მხარე კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების სურვილსაც კი არ ავლენდა. 10 ივლისს, თბილისში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის ვიზიტის დროს ცხინვალის თავზე რუსულმა МИГ-ებმა გადაიფრინეს. საინტერესოა, რომ ამ ფაქტის უარყოფა ან ეჭვქვეშ დაყენება რუსებს არც უცდიათ, პირიქით, მათ ღიად აღიარეს მომხდარი ფაქტი და დასძინეს, რომ ეს ქმედება „თბილისში ცხელი თავების გასაგრილებლად" შეასრულეს.[3]

15 ივლისს დაიწყო რუსული არმიის მასშტაბური სამხედრო წვრთნები „კავკასია 2008", რომელშიც 8000-მდე სამხედრო პერსონალი იღებდა მონაწილეობას რუსული არმიისა და ФСБ-კონტინგენტების ჩათვლით. წვრთნების მთავარ მიზანს წარმოადგენდა „მშვიდობისკენ იძულების" ოპერაციის სიმულირება. მონაწილეებს დაურიგდათ ბუკლეტები სათაურით: „მეომარო! იცნობდე შენს სავარაუდო მტერს!" მათში დეტალურად იყო აღწერილი ქართული მხარის სამხედრო პოტენციალი. [4] იმავე დღეს ქართული არმიაც ჩაერთო სამხედრო წვრთნებში სახელად „დაუყოვნებლივი პასუხი".[5]

ანდრეი ილარიონოვისა და იულია ლატინინას შრომებში საინტერესო ცნობებია მოცემული საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის საომარი მოქმედებების დაწყე-

---

[1] **ირაკლი მანაგაძე.** „პაველ ფელგენჰაუერი: „საქართველომ უნდა დათმოს აფხაზეთის რაღაც ნაწილი". // გაზ. *„კვირის პალიტრა"*, რუბრიკა „რა იქნება ხვალ?..", №29(699), 2008 წ. 21-27 ივლისი, გვ. 13.

[2] **თინათინ მარგველაშვილი.** „აშშ-ის ახალი გეგმა". // *გაზ. „კვირის პალიტრა"*, რუბრიკა „რას წერენ ჩვენზე", № 30(700), 2008 წ. 28 ივლისი-3 აგვისტო, გვ. 16.

[3] რუსეთი აღიარებს ცხინვალის რეგიონში საჰაერო სივრცის დარღვევას. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.civil.ge/geo/article.php?id=18768&search.

[4] **Andrei Illarionov.** The Russian Leadership's Preparation for the War, გვ. 71.

[5] **ირაკლი ალადაშვილი.** „დაუყოვნებლივი პასუხი ვაზიანიდან". // *გაზ. „კვირის პალიტრა"*, რუბრიკა „სამხედრო თემაზე". № 29 (699), 2008 წ. 21-27 ივლისი, გვ. 8.

ბამდე განლაგებული რუსული სამხედრო ნაწილების რიცხოვნობის შესახებ. როგორც ირკვევა, 18 ივლისს ფსკოვის 76-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიამ დაიკავა პოზიციები როკისა და მამისონის უღელტეხილების მიმდებარედ, მაშინ, როდესაც ვოლგოგრადის ქვეითი დივიზია განლაგდა კრასნოდარის მხარეში. 20 ივლისს, რუსული ქვეითი ბატალიონი, 14 დაჯავშნულ სატვირთო მანქანასთან ერთად, განლაგდა კოდორის ხეობის ქვემო წელზე.

სამი დღის შემდეგ, ვლადიკავკაზის მე-19 ქვეითი დივიზიის 135-ე პოლკმა შეცვალა ფსკოვის ზემოაღნიშნული დივიზია როკის უღელტეხილთან. ამასობაში ჯავის მახლობლად სამხედრო ბაზის მშენებლობა დასასრულს უახლოვდებოდა. 28 ივლისს „სამხრეთ ოსეთის“ ნაწილებმა პირველად გახსნეს ცეცხლი შერეული საკონტროლო კომისიისა და ეუთო-ს მისიის ძალების მიმართულებით.[1] იულია ლატინინას ცნობით, 135-ე და 693-ე რუსული პოლკები ჯერ კიდევ აგვისტოს დასაწყისიდან იყვნენ ჯავის სამხედრო ბაზაზე განლაგებულნი.[2]

პარალელურად, საქართველოს წინააღმდეგ ეფექტური საინფორმაციო ომის წარმოებისთვის, ცხინვალის რეგიონში აგვისტოს დასაწყისიდან 50-მდე რუსი ჟურნალისტი იყო მობილიზებული. მათი მთავარი ამოცანა, ი. ლატინინას ცნობით, იყო იმის გაშუქება, თუ როგორ ხოცავდნენ ქართველი „ნაცისტები“ ფეხმძიმე ქალებსა და ბავშვებს ცხინვალის რეგიონის მასშტაბით“.[3] რუსული მედიის აღნიშნული ბრალდებები ქართული მხარის მიმართ აზრს კარგავს, თუკი გავიხსენებთ ჯერ კიდევ აგვისტოს დასაწყისში „სამხრეთ ოსეთის“ მოსახლეობის ჩრდილოეთში ევაკუაციის ფაქტს. როგორც ცნობილია, უშუალოდ საომარი მოქმედების დაწყების მომენტისთვის, 7 აგვისტოს შუაღამისთვის, კრემლის დახმარებით, ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ ცხინვალის რეგიონიდან დაახლოებით 20 000 მოქალაქე იქნა ევაკუირებული .[4]

ცხინვალის რეგიონის ქართული სოფლების დაბომბვა ივლისის ბოლოდან დაიწყო. სეპარატისტებისა და მოსკოვის მთავარ მიზანს ამჯერად წარმოადგენდა ქართველების საომარ მოქმედებებზე დაყოლიება. ოფიციალური თბილისი ცდილობდა, არ

---

[1] **Andrei Illarionov.** The Russian Leadership's Preparation for the War, გვ. 71-72.
[2] **Юлия Латынина.** 200 км танков.
[3] **Юлия Латынина.** 200 км танков.
[4] **Юлия Латынина.** 200 км танков. **Andrei Illarionov.** The Russian Leadership's Preparation for the War, გვ. 73; **Ronald Asmus.** A Little War that Shook the World, გვ. 28, 34.

აჰყოლოდა პროვოკაციას, სანამ ეს შესაძლებელი იყო.

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს იმდროინდელმა მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა ორი ვიზიტი განახორციელა ცხინვალში 5 და 7 აგვისტოს. კოკოითმა უარი განაცხადა მასთან შეხვედრაზე. 7 აგვისტოს ვიზიტისას რუსი „მშვიდობისმყოფელების“ მეთაურმა მარატ კულახმეტოვმა იაკობაშვილს განუცხადა, რომ სამშვიდობოებს კოკოითის გაკონტროლება აღარ შეეძლოთ.[1]

შექმნილი ვითარების მიუხედავად, თბილისი ოფიციალურად არ პასუხობდა სეპარატისტთა სამომარ ქმედებებს. 7 აგვისტოს 23:00-ზე, როდესაც სააკაშვილი ინფორმირებულ იქნა ცხინვალის მიმართულებიდან სოფელ თამარაშენის დაბომბვის შესახებ, მან გასცა ბრძანება, არ ეპასუხათ ამ მოქმედებებისთვის. იაკობაშვილის მიხედვით, ნახევარ საათში სააკაშვილს შეატყობინეს ე.წ. „150 ერთეული ჯავშანმანქანის“ შესახებ, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიიდან როკის გვირაბის გავლით მოემართებოდა.[2] სწორედ ეს მომენტი იქცა მთელი ამ ეპოპეის საბედისწერო მომენტად, როდესაც მიხეილ სააკაშვილმა 7 აგვისტოს 23:35 წუთზე გასცა ბრძანება ქართული არმიის მოქმედებაზე გადასვლის შესახებ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფობრივი სუვერენიტეტის დასაცავად.

როგორც ვხედავთ, 7 აგვისტოს შუაღამისთვის ქართული მხარე დიდი არჩევნის წინაშე ნამდვილად არ იდგა. დიპლომატიური და მშვიდობიანი მოლაპარაკებების არაერთი მცდელობის შემდეგ, სამხედრო მოქმედებაზე გადასვლა ქვეყნის ისედაც შელახული სუვერენიტეტის ერთგვარი დაცვის მცდელობას წარმოადგენდა. ამგვარად, მკვლევარ ოქსანა ანტონენკოს შეკითხვაზე, თუ რამ უბიძგა სააკაშვილს რუსეთ-საქართველოს „ცივი ომის ცხელ ომად გადაქცევისკენ?“,[3] პასუხი იქნება შემდეგი: 1. „ცხელი ომი“ ცხინვალის რეგიონში დაიწყო 2008 წლის ივლისის ბოლოდან და აგვისტოს დასაწყისიდან, როდესაც, ილარიონოვისა და ლატინინას ცნობების მიხედვით, ოსმა სეპარატისტებმა ცეცხლი გახსნეს სამშვიდობოების ბაზებისა და ცხინვალის ქართული სოფლების მიმართულებით, რითაც საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი შელახეს. 2. ქართული მხარის მოქმედებაზე გადასვლა განაპირობა ალტერნატიუ-

[1] **Ronald Asmus.** A Little War that Shook the World, გვ. 34-36; **Юлия Латынина.** 200 км танков.
[2] **Юлия Латынина.** 200 км танков.
[3] **Oksana Antonenko.** A War with No Winners. / *Survival*, Vol. 50, Issue 5, October-November 2008, გვ. 24.

ლი გზის არქონამ. შექმნილ ვითარებაში ხელისუფლებას ან უბრალოდ გვერდიდან უნდა ემზირა ინტერვენციისთვის და ქართული სოფლების ვითომ ოსი სეპარატისტების (სინამდვილეში, რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილების) მიერ დაკავებისთვის, ან ეცადა საპასუხო მოქმედებაზე გადასვლა ქვეყნის დასაცავად.

ანტონენკოზე შორს მიდის ინდიანას უნივერსიტეტის მკვლევარი ტიმოთი უილიამ უოტერსი: „როდესაც ვსვამთ კითხვას, თუ რას აკეთებდნენ რუსული ტანკები საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული საზღვრის მიღმა, იქვე უნდა დავსვათ კითხვა, თუ რას აკეთებდნენ ქართული ტანკები საკუთარ ტერიტორიაზე და რატომ იყო ეს მათი ტერიტორია?“[1] აღსანიშნავია, რომ თავის ნაშრომში უოტერსს არ მოჰყავს რაიმე იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც მის პოზიციას გაამაგრებდა, რაც, პრინციპში, არც არის გასაკვირი, რადგანაც ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს. ამგვარად, აღნიშნული პოზიციის გაზიარება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების გაუკუღმართებულად გაგების შემთხვევაში.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი ექვსი (და არა ხუთი, რადგანაც რუსული არმია საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც აღვნიშნეთ, 8 აგვისტომდე იყო განლაგებული) დღის განმავლობაში – 7-დან 12 აგვისტომდე გრძელდებოდა. ომის დროს რუსული არმიის ინტერვენცია საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ ცხინვალის რეგიონით არ შემოფარგლულა. საბრძოლო მოქმედებების მეორე ფრონტი გაიხსნა აფხაზეთისა და დასავლეთ საქართველოს მიმართულებებიდან. საბრძოლო მოქმედებებში ჩართული იყო ასევე რუსეთის საზღვაო ფლოტი.

საომარი მოქმედებების დაწყების კონკრეტული დროის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა. ქართულმა მხარემ საკუთარი მთავარი მტკიცებულება აღნიშნული საკითხის შესახებ წარმოადგინა 2008 წლის სექტემბერში. დოკუმენტი სატელეფონო საუბრების ჩანაწერებისგან შედგება, რომელსაც 7 აგვისტოს ღამით ადგილი ჰქონდა „სამხრეთ ოსეთის“ სასაზღვრო დაცვის უფროსსა და თავად დაცვის ერთ-ერთ წევრს – გასიევს შორის, 3:52-ზე. კითხვაზე ჯავშნოსანი ტექნიკა როკის გვირაბს მოუახლოვდა თუ არა, გასიევი პასუხობდა: „ჯავშნოსნები და ხალხი“. კითხვაზე გაიარეს თუ არა მათ როკის გვირაბი, გასიევმა მიუგო: „დიახ, 20 წუთის წინ. როდესაც მე დაგირეკეთ,

[1] **Timothy William Waters.** Plucky Little Russia: Misreading the Georgian War through the Distorting lens of Aggression. / *Stanford Journal of International Law*, Vol. 49, Issue 1, Winter 2013, გვ. 223.

ისინი უკვე შემოსულები იყვნენ“.[1]

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, რუსული სამხედრო ნაწილების საქართველოს ტერიტორიაზე უშუალო საომარი მოქმედებების დაწყების თარიღი, როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ 7 აგვისტოს დილა ყოფილა. ზემოთ ვრცლად შევეხეთ ანდრეი ილარიონოვისა და იულია ლატინინას ცნობებს რუსული სამხედრო ტექნიკის გადაადგილების შესახებ ცხინვალის რეგიონში და დავრწმუნდით, რომ რუსული 135-ე და 693-ე პოლკები საქართველოს ტერიტორიაზე უკვე აგვისტოს დასაწყისიდან იყვნენ განლაგებული.

ეს ცნობები საკმარისი არ აღმოჩნდა „საერთაშორისო დამოუკიდებელი ფაქტების დამდგენი კომისიისთვის“ (ტალიავინის კომისია). კომისიის დასკვნის მიხედვით, მან ვერ შეძლო საქართველოს ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების დაწყებამდე რუსეთის სამხედრო ნაწილების ყოფნის დადასტურება,[2] ხოლო „სროლებს“ (“Shootings”), რომელთაც ომის დაწყებამდე ჰქონდა ადგილი, უფრო სპონტანური ხასიათი ჰქონდა, სადაც რთული იყო იმის გარკვევა, თუ ვინ ვისი პროვოცირება მოახდინა.[3] ამასთან ერთად, კომისიის დასკვნის მიხედვით: „პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ 7 აგვისტოს 23:35-ზე გაცემულმა ბრძანებამ და შემდგომმა სამხედრო შეტევამ ცხინვალის მიმართულებით, დაბალი ინტენსივობის სამხედრო კონფლიქტი სრულმასშტაბიან შეიარაღებულ კონფლიქტად აქცია. ამიტომაც, ეს მომენტი სამართლებრივად დასაბუთებულად ითვლება ამ კონფლიქტის საწყის წერტილად“.[4]

ამგვარად, ევროკავშირის მიერ შექმნილი „ტალიავინის კომისიის“ დასკვნა, ბევრ საერთოს ჰპოულობს ზოგადად ევროკავშირის ზომიერ პოლიტიკასთან რუსეთთან მიმართებაში. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ კომისიის დასკვნის შინაარსი დიდწილად სწორედ ზემოაღნიშნულმა პოლიტიკურმა ფაქტორებმა განაპირობა.

ევროკავშირი უფრო მეტად ფოკუსირებული იყო საქართველოში გაჩაღებული ომის შეწყვეტაზე, ვიდრე უშუალოდ კონფლიქტის მოგვარებაზე. ამ ფაქტის მკაფიო

---

[1] **C. J. Chivers.** Georgia Offers Fresh Evidence on War's Start. // *"New York Times"*, September 15, 2008. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.nytimes.com/2008/09/16/world/europe/16georgia.html.

[2] ***Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia.*** In 3 Volumes. September 2009, Vol. II, გვ. 254. უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ კომისიამ არ მოინდომა ამის დადასტურება – კ.ყ.

[3] ***Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia,*** Vol. II, გვ. 261.

[4] ***Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia,*** Vol. II, გვ. 231.

ილუსტრაციას წარმოადგენს ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის, საფრანგეთის და მისი პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის ინიციატივით 12 აგვისტოს შემუშავებული „ექვსპუნქტიანი გეგმა“, რომელიც ამგვარად გამოიყურებოდა:

1. ძალის გამოყენებაზე უარის თქმა;
2. საბრძოლო ქმედებებზე საბოლოო უარის თქმა;
3. ჰუმანიტარული დახმარებისთვის თავისუფალი მიმოსვლის უზრუნველყოფა;
4. საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ მათი ჩვეულებრივი დისლოკაციის ადგილებში;
5. რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ ხაზზე. საერთაშორისო მექანიზმის შექმნამდე, რუსეთის სამშვიდობო ძალები განახორციელებენ უსაფრთხოების დამატებით ზომებს;
6. საერთაშორისო დისკუსიების დაწყება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პირობების შესახებ.[1]

საკითხის ექსპერტობა არ არის აუცილებელი იმის განსაჭვრეტად, თუ რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა რუსეთისთვის მეხუთე პუნქტში მოცემული „უსაფრთხოების დამატებითი ზომების“ განხორციელების უფლების მინიჭებას. ის ცალსახად მეტყველებს ზოგადად დასავლური სამყაროს და პირადად საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის მიამიტობაზე. მართალია, ეს პუნქტი რუსეთს ნამდვილად არ აძლევდა რაიმე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების უფლებას, უფრო მეტიც, რუსული ნაწილები უნდა დაბრუნებულიყო ომამდელ პოზიციებზე, ოფიციალურმა მოსკოვმა ის მაინც თავისებურად „წაიკითხა“ და 2008 წლის 26 აგვისტოს ცალმხრივად აღიარა აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა.[2] საქართველომ, თავის მხრივ, დაგმო რუსეთის მიერ განხორციელებული უკანონო აქტი და გამოსცა კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, რომელიც 2008 წლის 23 ოქტომბერს შევიდა ძალაში.[3]

---

[1] ექვსპუნქტიანი გეგმა. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.civil.ge/geo/article.php?id=19157.

[2] Russia Recognizes Abkhazia, South Ossetia. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.rferl.org/a/Russia_Recognizes_Abkhazia_South_Ossetia/1193932.html.

[3] საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. იხ.: https://matsne.gov.ge/ka/document/view/19132?publication=7.

14 აგვისტოს საქართველომ გაერო-ს საერთაშორისო სასამართლოს სთხოვა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებული აგრესიის გამოძიება. 2009 წლის 1 დეკემბერს რუსეთმა გაასაჩივრა საქართველოს მოთხოვნა საერთაშორისო სასამართლოს მიმართ. საბოლოოდ, 2011 წლის 1 აპრილისთვის მომზადებულ, საერთაშორისო სასამართლოს დასკვნაში „არარეალისტურად" იყო შეფასებული შეხედულება იმის შესახებ, თითქოს ქართულმა მხარემ არ ამოწურა კონფლიქტების დარეგულირების ყველა მშვიდობიანი საშუალება. ჰააგის სასამართლო ღიად სდებდა ბრალს რუსეთს საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევაში.[1]

2016 წლის 27 იანვარს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ გამოაცხადა 2008 წლის ომის დროს ჩადენილი დანაშაულების გამოძიების პროცესის დაწყების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ საკვლევად აღებულია არა უშუალოდ ომის მონაკვეთი, არამედ პერიოდი 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე.[2] კრემლის პოზიცია აღნიშნულ გამოძიებასთან დაკავშირებით გააჟღერა რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრ ბასტრიკინმა, რომელმაც განაცხადა, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ ყველაფერი „თავდაყირა დააყენა".[3] ამგვარად, ოფიციალური მოსკოვის დამოკიდებულება ჯერ კიდევ დაუსრულებელი საერთაშორისო გამოძიების მიმართ წინასწარვეა ცნობილი.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი კიდევ ერთ ტრაგიკულ ფურცლად ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში. ომის შემდეგ, რუსეთმა უფრო მჭიდრო კონტროლი დაამყარა ოკუპირებულ ტერიტორიებზე. მოსკოვის ინიციატივით, საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების მუშაობის არეალი ორივე რეგიონში შეიზღუდა. გაერო-ს UNOMIG-ის მისიას, რომელიც 1993 წლის აგვისტოდან მუშაობდა აფხაზეთში,[4] 2009 წლის 16 ივნისს გაუვიდა ვადა და, რუსული მხარის ინიციატივით, აღნიშნული ორ-

---

[1] Application of the International Convention on the Elimination of all forms of Racial Discrimination (Georgia VS Russian Federation). Summary of Judgment of April 1, 2011. Annex to summary 2011/2, გვ. 3. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.icj-cij.org/docket/index.php?p1=3&p2=3&k=4d&case=140&code=GR&p3=4.

[2] ICC Pre-Trial Chamber I authorises the Prosecutor to open an investigation into the situation in Georgia. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://www.icc-cpi.int/Pages/item.aspx?name=pr1183&ln=en.

[3] Бастрыкин: МУС перевернул события в Цхинвале в 2008 с ног на голову. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.vesti.ru/ doc.html?id=2715592&cid=7.

[4] United Nations Security Council Resolution 858 (1993). 24 August 1993. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://unscr.com/files/1993/00858.pdf.

განიზაციის სამუშაო ვადის გაგრძელებას ვეტო დაედო. 2009 წლის 1 იანვარს გაუვიდა სამუშაო ვადა ეუთო-ს მისიას, რომელიც საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში 1992 წლიდან მუშაობდა.[1]

2008 წლის 15 სექტემბერს, ევროკავშირის მიერ შეიქმნა სადამკვირვებლო მისია (EUMM), რომელსაც ორივე კონფლიქტურ რეგიონში უნდა ემუშავა 2008 წლის 1 ოქტომბრიდან, თუმცა კრემლის ძალისხმევით ამ მისიას არც ცხინვალში და არც სოხუმში შესვლის საშუალება არ მიეცა და მათი ბაზები განლაგდა თბილისში, გორსა და ზუგდიდში.[2]

ომის დროს განადგურდა ცხინვალის ქართული სოფლები – კეხვი, ქურთა, თამარაშენი, ერედვი, ვანათი და ავნევი. როგორც ედუარდ კოკოითი აღნიშნავდა, აღნიშნული სოფლები „მიწასთან გასწორდა“.[3]

2.4. აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი XXI ს. 10-იან წლებში

საქართველოსაგან „გამოყოფის“ შემდეგ, რუსეთმა მაქსიმალურად გააძლიერა საკუთარი პოლიტიკა ორივე კონფლიქტურ რეგიონში. რაც ყველაზე მტკივნეული და მნიშვნელოვანია, ამ პროცესს ხელს უწყობენ თავად აფხაზი და ოსი სეპარატისტები. ეს კარგად ჩანს ორივე რეგიონის სეპარატისტული დე ფაქტო „ხელისუფლებების“ მიერ შემუშავებულ ე.წ. „კონსტიტუციებში“, სადაც, როგორც ვნახეთ, რუსული ენა პრაქტიკულად სახელმწიფოებრივი სტატუსის მქონე ენად ითვლება.[4]

რუსული ენა კონფლიქტური რეგიონის საგანმანათლებლო ინსტიტუტებშიც ფართოდ გამოიყენება. 2015 წლის 1 სექტემბრიდან გალის რაიონის 11 ქართულ სკოლაში სასწავლო პროცესი მთლიანად რუსულ სახელმძღვანელოებზე იქნა გადაყვანილი.[5] ამასთან ერთად, როგორც ცნობილია, აფხაზეთის „საპრეზიდენტო კანდიდატე-

---

[1] **Tom Parfitt.** Security and human rights observers to close South Ossetia mission. 22 Dec 2008. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://www.theguardian.com/world/2008/dec/22/georgia-osce-mission-closes.

[2] European Union Monitoring Mission in Georgia. Updated in December 2018. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://eumm.eu/data/image_db_innova/EUMM Factsheet ENG 2018 December.PDF.

[3] Эдуард Кокойты: Мы там практически выровняли всё. // Газ. “Коммерсантъ”, №144, 15.08.2008, გვ. 7. ელექტრონული ვერსია იხ.: http://www.kommersant.ru/doc/1011783.

[4] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში, გვ. ., 117-118, 402.

[5] რუსიფიკაციის ახალი ტალღა ოკუპირებულ გალში. 2015 წლის 4 აგვისტო. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://www.amerikiskhma.com/a/gali-georgian-books/2900478.html.

ბი“ ვალდებულნი არიან ჩააბარონ გამოცდა მშობლიურ აფხაზურ ენაში.[1] ეს ფაქტი მკვეთრად წარმოაჩენს რუსული ენის პრივილეგირებულ მდგომარეობას აფხაზურ ენასთან მიმართებაში, რომელსაც, სეპარატისტების ღრმა რწმენით, „საფრთხე“ ქართველთაგან ემუქრებოდა.

მსგავსი ვითარებაა ასევე ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონში, სადაც 2017 წლის სექტემბრიდან 2008 წელს ოკუპირებული ახალგორის რვავე ქართულ სკოლაში სწავლება რუსულ ენაზე გადავიდა.[2] ამასთან ერთად, 2017 წლის გაზაფხულზე გამართულ „საპრეზიდენტო არჩევნებში“ ანატოლი ბიბილოვის გამარჯვების შემდეგ, ოსი სეპარატისტების პრორუსული ორიენტაცია უფრო მკვეთრი გახდა. ბიბილოვი დაუფარავად აცხადებს, რომ: „სამხრეთ ოსეთი პრაქტიკულად რუსეთის ნაწილია“.[3]

2017 წლის 10 აპრილს, ცხინვალის რეგიონში გაიმართა რეფერენდუმი „რესპუბლიკისათვის“ სახელის შეცვლის და მისთვის „ალანიის რესპუბლიკის“ დარქმევის ინიციატივით, რომელშიც მისული მოსახლეობის 78%-მა საკითხის მიმართ დადებითი პოზიცია დააფიქსირა.[4]

ამასთან ერთად, 2008 წლის შემდეგ, კრემლი საკუთარი სამხედრო-პოლიტიკური ინტერესების სასარგებლოდ იყენებს ოკუპაციის ხაზზე შექმნილ ვითარებას. 2011 წლიდან მოყოლებული რუსული საოკუპაციო ძალები ე.წ. „საზღვრის დემარკაციის“ მიზნით საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში უფრო და უფრო მეტად მოიწევენ, ავლებენ მავთულხლართებს და ამონტაჟებენ ე.წ. „სასაზღვრო“ ბანერებს. ეს პრობლემა, თავად საოკუპაციო ხაზის სპეციფიკიდან გამომდინარე, უფრო მწვავედ იჩენს თავს ცხინვალის რეგიონში. როგორც ცნობილია, რუსი მესაზღვრეები ტერიტორიების საზღვრების დადგენისთვის 1976-1986 წლებში გამოცემულ ტოპოგრაფიულ საბჭოთა რუკებს იყენებენ, რომელთა მასშტაბებია 1:100 000 მმ და 1:50 000 მმ.[5] ეს კი,

---

[1] **Iskra Kirova.** Public Diplomacy and Conflict Resolution: Russia, Georgia and the EU in Abkhazia and South Ossetia. Los Angeles: Figueroa Press, August 2012, გვ. 21.

[2] ახალგორის ქართული სკოლების დაწყებითი კლასები სწავლას ჯერ ისევ ვერ იწყებენ. 20.10.2017. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://dfwatch.net/ახალგორის-ქართული-სკოლებ-49321.

[3] Анатолий Бибилов: Фактически мы часть России. 12.042017. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://sputnik-ossetia.ru/radio/20170412/4003721.html.

[4] Государству Алания сказали ДА. 10.04.2017. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://sputnik-ossetia.ru/South_Ossetia/20170410/3987727.html.

[5] საქართველოს შეცვლილი საზღვრები ოკუპაციის შემდეგ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. 26 ოქტომბერი 2015. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://www.idfi.ge/ge/changed-borders-of-georgia-after-occupation.

მკვლევარ თორნიკე თურმანიძის აღნიშვნით, ნიშნავს იმას, რომ ოკუპანტი სახელმწიფო „საზღვრის დემარკაციის“ ყოველი მორიგი მცდელობისას, საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში მოიწევს 500 მეტრითა თუ 1 კილომეტრით.[1]

მცოცავი საოკუპაციო ხაზი საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიულ სუვერენიტეტს არამედ, რიგით ადამიანებსაც. საოკუპაციო რეჟიმის მიერ ხშირად ხდება ე.წ. „საზღვრის“ უკანონო გადაკვეთის მიზეზით საქართველოს მოქალაქეების დაკავება და შემდგომ ფულადი გამოსასყიდის სანაცვლოდ მათი განთავისუფლება. საოკუპაციო რეჟიმი არ ერიდება საქართველოს მოქალაქეთა სიცოცხლის ხელყოფასაც, რისი ნათელი მაგალითიც იყო 2016 წლის 19 მაისს აფხაზეთის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტთან მოკლული საქართველოს მოქალაქის გიგა ოთხოზორიასა და 2018 წლის 22 თებერვალს ახალგორში დაკავებული და შემდეგ წამებით მოკლული არჩილ ტატუნაშვილის შემთხვევები.[2]

მოსკოვი აქტიურად ცდილობს ორივე რეგიონის რუსიფიკაციას. ყველაზე დიდ ტრაგედიას ამ შემთხვევაში ისევ და ისევ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რუსეთის ამ ქმედებებს მხარს უჭერს თავად სეპარატისტულად განწყობილი რეგიონების მოსახლეობა. ამით ისინი პრაქტიკულად რუსეთს სწირავენ ყველა იმ ეროვნულ ღირებულებას, რომელიც, მათივე მტკიცებით, ქართველებთან თანაცხოვრების პერიოდში „საფრთხის ქვეშ“ იდგა. მიუხედავად ვითარების მთელი ტრაგიკულობისა, აღნიშნული ფაქტი გაკვირვებას არ იწვევს მთელი იმ იდეოლოგიური სამუშაოს ფონზე, რაც რუსულმა მხარემ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე გასწია ორივე კონფლიქტურ რეგიონში.

გასაკვირი უფრო ის არის, როდესაც სამეცნიერო დონეზე ხდება რუსეთის პოლიტიკის „გამართლება“ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში. ამის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითია ზემოთ უკვე არაერთხელ ნახსენები ჯორჯ ჰიუიტი,

---

[1] **თორნიკე თურმანიძე.** ოკუპაციის ხაზი – რუსეთის საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი საქართველოს წინააღმდეგ. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. თბილისი, 2017, გვ. 9-10.

[2] ხურჩაში მოკლული გიგა ოთხოზორია ზუგდიდში დაკრძალეს – კადრები პროცესიიდან. 26.05.2016. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://www.palitravideo.ge/palitranewsnews/73303-khurchashi-mokluli-giga-othkhozoria-zugdidshi-dakrdzales-kadrebi-procesiidan.html; „ის გაიტაცეს და მოკლეს“ – ოკუპაციას შეწირული კიდევ ერთი ქართველი. 23.02.2018. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://www.kvirispalitra.ge/justice/40762-qis-gaitaces-da-moklesq-okupacias-shetsiruli-kidev-erthi-qarthveli.html?device=xhtml.

რომელიც, დიდი ალბათობით, საკმაოდ კარგად იცნობს რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობების ისტორიის ამ მონაკვეთს. ამის მიუხედავად, ავტორი არ ერიდება რიგი აბსურდული კითხვების დასმას საკუთარ „სამეცნიერო შრომებში“. ერთ-ერთ მოხსენებაში, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციაზე საუბრისას, ჰიუიტი სვამს შემდეგ კითხვას: „ვინმეს შეუძლია გაიხსენოს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესია წითელი არმიის მიერ 1921 წელს დამყარებული საბჭოთა მმართველობის შემდეგ? მე მგონი, არა. მაშ, საკითხი დავას არ ექვემდებარება“.[1] ერთადერთი რამ, რაც ამ შემთხვევაში დავას ნამდვილად არ ექვემდებარება, არის ჰიუიტის შეხედულებების სრული ჰარმონიული თანხვედრა რუსულ საოკუპაციო პოლიტიკასთან საქართველოში, რომელსაც აფხაზებისა და ოსებისთვის ძალიან ცოტა რამ თუ მოაქვს სასიკეთო. ჰიუიტის შეხედულებები ჭეშმარიტ მეცნიერებასთან იმდენივე საერთოს ავლენს, რამდენსაც რუსული საოკუპაციო პოლიტიკა აფხაზი და ოსი ხალხის ეროვნულ ინტერესების დაცვასა და კეთილდღეობასთან.

§3. კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი: საერთო და განმასხვავებელი ტენდენციები XX საუკუნის 90-იან – XXI საუკუნის 10-იან წლებში

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში, ბალკანეთში იუგოსლავიის ფედერაციისა და კავკასიაში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილი მსოფლიო პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, როგორც დავინახეთ, ცხადი იყო, რომ ეს რეგიონები საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების მიღმა ვერ მოექცეოდნენ. ყველაფერი დამოკიდებული იყო პოლიტიკურ პრიორიტეტებზე, რაც დიდწილად განსაზღვრავდა დიდ სახელმწიფოთა მიერ კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში პოლიტიკური თუ სხვა სახის ჩარევის ალბათობასა და შესაძლებლობას.

ბალკანეთის შემთხვევაში, მკვლევარ ტიმ ჯუდას მართებული შენიშვნით, კოსოვოს მდებარეობამ მთავარი როლი შეასრულა სერბებსა და ალბანელებს შორის კონფლიქტში საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობის თვალსაზრისით, რადგან კოსოვო მდებარეობს არა ევროპის პერიფერიაზე, არამედ პრაქტიკულად ევროპის ცენტ-

[1] **George Hewitt.** Some thoughts on Ronald Asmus' "Little War that Shook the World: Georgia, Russia and the Future of the West". / *European Security,* Vol. 21, No. 1, March 2012, გვ. 131.

რში.[1] აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში, საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრის – რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურ და სტრატეგიულ ინტერესებს ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. ამგვარად, აღნიშნულ კონფლიქტებში ჩართულობას დასავლეთისა და რუსეთის მხრიდან მათივე პოლიტიკური ინტერესები განაპირობებდა. სწორედ ამ ინტერესების შესაბამისად ცდილობდა ორივე მხარე ვითარების „სტაბილიზაციას" როგორც კოსოვოში, ისევე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. ამ მხრივ, დასავლეთისა და რუსეთის მიერ განხორციელებული პრაქტიკულად ყველა ღონისძიება განმასხვავებელ ასპექტებად გვევლინება აღნიშნულ კონფლიქტებს შორის.

ჩვენს განსახილველ პერიოდში კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში განვითარებული მოვლენების შედარებითი ანალიზი უპრიანი იქნება დავიწყოთ ისევ და ისევ სერბული და ქართული სახელმწიფოს როლის განსაზღვრით კონკრეტულ კონფლიქტურ რეგიონებსა და თავად ბალკანეთისა და კავკასიის რეგიონებში.[2] უნდა ითქვას, რომ სერბეთი, როგორც ვნახეთ, იუგოსლავიის ფედერაციის შენარჩუნების გულმხურვალე ქომაგად გვევლინებოდა 80-90-იანი წლების მიჯნაზე. ხოლო მანამდე კი მას ფედერაციის შემადგენლობაში ეკავა დომინანტი პოზიცია. ამ მხრივ სერბული სახელმწიფო უფრო მეტ მსგავსებას ჰპოვებს რუსულ სახელმწიფოსთან, ვიდრე საქართველოსთან, რადგან, როგორც წინა თავში აღინიშნა, საქართველო არასდროს ყოფილა საბჭოთა კავშირის შენარჩუნების ინიციატორი.

აღსანიშნავია, რომ ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ, ავსტრიელი მკვლევარი ბენედიქტ ჰარცლი ზვიად გამსახურდიასა და სლობოდან მილოშევიჩს ერთ ჭრილში განიხილავს, როდესაც ამბობს, რომ გამსახურდიას პოლიტიკა ძირითადად აფხაზთა წარმომადგენლობის შეზღუდვაზე იყო ორიენტირებული საქართველოს მმართველ ინსტიტუციებში, ისევე, როგორც მილოშევიჩის მიზანს წარმოადგენდა ალბანელთა შევიწროება სხვადასხვა ადმინისტრაციულ თუ ბიუროკრატიულ დონეზე.[3] საქართველოს მაგალითზე ბ. ჰარცლის ამ დასკვნის გასაბათილებლად იკმარებს ზემოაღნიშნული 1991 წლის 9 ივლისს მიღებული კანონი „კონსტიტუციური ცვლილებებისა და

[1] **Tim Judah.** Kosovo, გვ, 128.
[2] **Benedikt Harzl.** Nationalism and Politics of the Past, გვ. 59.
[3] **Benedikt Harzl.** Nationalism and Politics of the Past, გვ. 66-67.

ჩასწორებების შესახებ“, რომელიც აშკარად საწინააღმდეგო ტენდენციას ადასტურებს აფხაზთა სასარგებლოდ.

საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციაში საქართველოსა და სერბეთის რესპუბლიკების როლების შედარებისას დანიელი მკვლევარი ქრისტიან ნილსენი საკითხს ცალმხრივად აშუქებს, როდესაც აღნიშნავს, რომ, როგორც სერბების, ასევე ქართველების უმრავლესობა საბჭოთა და იუგოსლავიის იმპერიების შემადგენლობაში თავს დაჩაგრულად მიიჩნევდა. ავტორის თქმით, გამსახურდიას არჩევანი, მილოშევიჩის არჩევანის მსგავსად, ტრაგედია იყო ქართველი და სერბი ხალხისთვის.[1]

ამ შეხედულებების საწინააღმდეგოდ, ხაზი უნდა გავუსვათ, რომ საქართველოსაგან განსხვავებით, სწორედ სერბეთი იყო ის სახელმწიფო, რომელიც კოსოვოს ავტონომიური ერთეულის პირდაპირ კონტროლს ახორციელებდა ყველა სხვა სახელმწიფოს ჩარევის გარეშე 90-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული. მაშინ, როდესაც საქართველოს ავტონომიურ ერთეულებში – აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში – შექმნილი ვითარების კონტროლი უმეტესწილად კრემლიდან ხორციელდებოდა.

კოსოვოს კონფლიქტში დასავლეთის ჩართულობაზე საუბრისას აღსანიშნავია ყველა ის დიპლომატიური ღონისძიება, რაც უშუალოდ NATO-ს საჰაერო მოქმედებების დაწყებას უძღოდა წინ. 1998 წლის განმავლობაში გაერო-ს მიერ სამი რეზოლუცია – 1160, 1199 და 1203 – იქნა მიღებული სერბებსა და ალბანელებს შორის შექმნილი კონფლიქტური ვითარების მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალისხმევით ჩატარდა რამბუიეს კონფერენცია პარიზში 1999 წლის თებერვალ-მარტში,[2] რომელიც, ზემოაღნიშნული რეზოლუციების მსგავსად, არაფრის მომტანი აღმოჩნდა კოსოვოში მშვიდობის დამყარების თვალსაზრისით. საბოლოოდ, NATO-ს საჰაერო კამპანიის დაწყებამდე ორი დღით ადრე 1999 წლის 22 მარტს რიჩარდ ჰოლბრუკმა კიდევ ერთხელ სცადა მოლაპარაკება სლობოდან მილოშევიჩთან, რომელიც ასევე უშედეგოდ დასრულდა. მხოლოდ ამ მცდელობების შემდეგ – 24 მარტს დაიწყო სამხედრო მოქმედებები იუგოსლავიის (რომელიც ამ პერიოდში სერბეთისა და მონტენეგროსგან შედგებოდა) წინააღმდეგ.

---

[1] **Christian Axboe Nielsen.** The Kosovo precedent, გვ. 177, 183.

[2] ბირმინგემის უნივერსიტეტის მკვლევრის, დერეკ ავერეს თქმით, რუსეთმა რამბუიეს კონფერენციაზე კიდევ ერთხელ დაიკავა არასწორი მხარე. იხ.: **Derek Averre.** From Pristina to Tskhinvali, გვ. 587-588.

რუსეთი, როგორც ვნახეთ, სასტიკად ეწინააღმდეგებოდა NATO-ს სამხედრო მოქმედებებს იუგოსლავიის წინააღმდეგ. კრემლის პოზიცია უფრო იმით იყო განპირობებული, რომ სისუსტის გამო მას არ შესწევდა ძალა, წინ აღდგომოდა იუგოსლავიის ნაწილზე დასავლური გავლენის გავრცელებას, და არა სურვილით, რომ კოსოვოში რეალურად დამყარებულიყო მშვიდობა. მხოლოდ 1999 წლის მაისისთვის, როდესაც NATO-ს საჰაერო მოქმედებების შედეგები უფრო და უფრო მეტად გახდა საგრძნობი იუგოსლავიის ხელმძღვანელობისთვის, მოსკოვი მოგვევლინა სამშვიდობო მოლაპარაკების ინიციატორად, რომელიც გაფორმდა პეტერსბერგში, „დიდი რვიანის“ ფარგლებში.

თუმცა, მიუხედავად ამისა, კოსოვოს კრიზისის პერიოდში, დასავლეთის მიერ სერბეთის წინააღმდეგ განხორციელებულმა მოქმედებებმა თავისთავად გამოიწვია რუსული პოლიტიკური, ეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესების გარკვეული წარმატება ბელგრადში. სერბი მკვლევრის დუშან რელიჩის მიხედვით, ამ კუთხით, დასავლეთმა ვლადიმირ პუტინს მისცა საშუალება მიეღწია იმისთვის, რასაც, თავის დროზე, თავად სტალინმაც კი ვერ მიაღწია იუგოსლავიასთან მიმართებაში.[1]

რუსეთი უკმაყოფილებას გამოთქვამდა ასევე გაერო-ს 1244-ე რეზოლუციის მიმართ, რომელიც 1999 წლის 10 ივნისს იქნა მიღებული. ამ რეზოლუციის მიხედვით, კოსოვოში ვითარების სტაბილიზაციაზე პასუხისმგებლობა უნდა აეღო გაერო-ს, ეუთო-სა და NATO-ს ორგანიზაციებს. კრემლის უკმაყოფილების მთავარ მიზეზს ამ შემთხვევაში ის ფაქტი წარმოადგენდა, რომ KFOR-ის ძალებთან ერთად, რუსეთს ცალკე საკონტროლო სექტორი არ გამოეყო კოსოვოს ტერიტორიაზე. ამგვარად, შექმნილ ვითარებაში, მოსკოვი პრაქტიკულად გაერო-ს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წინააღმდეგ იბრძოდა კოსოვოში საკუთარი გავლენის მოსაპოვებლად. ამ ბრძოლის ერთ-ერთი მაგალითი იყო 1999 წლის 11 ივნისის პრიშტინის აეროდრომის ინციდენტი, რომელშიც კიდევ ერთხელ მკაფიოდ გამოიკვეთა რეალური რუსული ინტერესები კოსოვოს კონფლიქტთან მიმართებაში.

მეორეს მხრივ, როგორც მკვლევარი ალექსანდრე ორახელაშვილი მართებულად შენიშნავს, NATO-სა და მის წევრ სახელმწიფოებს იუგოსლავიის ტერიტორიული

[1] **Dusan Relijc.** Russian voice heard in Serbia. / *Russian Analytical Digest*, No. 39, 2008, გვ. 2. იხ.: http://www.css.ethz.ch/content/dam/ethz/special-interest/gess/cis/center-for-securities-studies/pdfs/RAD-39-2-5.pdf.

მთლიანობის ხელყოფა იმთავითვე ჰქონდათ გადაწყვეტილი.[1] ისინი კარგად იაზრებდნენ, რომ მათი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა იუგოსლავიის ტერიტორიის ხელყოფას და ისინი წავიდნენ ამ ნაბიჯზე. სხვა საკითხია, თუ რა არჩევანის წინაშე იდგა დასავლეთი იმ დროს, თუ რას სთავაზობდა სანაცვლოდ მილოშევიჩი და მისი მხარდამჭერი კრემლი ცივილიზებულ მსოფლიოს კოსოვოს კრიზისის გადასაწყვეტად.

კოსოვოს მიმართ კრემლის მთელი ზემოაღნიშნული „სამშვიდობო“ ინიციატივები უკიდურესად ირონიულ ხასიათს იღებს, როგორც კი მოსკოვის მიერ კოსოვოს მოვლენებამდე რამდენიმე წლით ადრე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განხორციელებული მოვლენების ანალიზს შევუდგებით. როგორც ვნახეთ, გარდა პირდაპირი სამხედრო ჩარევისა ცხინვალის რეგიონში, ისევე, როგორც აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში, რუსულმა მხარემ დიპლომატიურ ასპარეზზეც გამოიჩინა თავი საქართველოსთან მიმართებაში – 1992 წლის 3 სექტემბრის, 1993 წლის 14 მაისისა და 1993 წლის 27 ივლისის ხელშეკრულებების გაფორმებით. სწორედ ამ ხელშეკრულებების წყალობით იქნა მიღწეული ქართული მხარის განიარაღება, რამაც აფხაზი სეპარატისტებისა და კრემლის სამხედრო გამარჯვებას ჩაუყარა საფუძველი. ომის შემდგომ, 1994 წლის 14 მაისის ხელშეკრულებით რუსულმა მხარემ განამტკიცა საკუთარი სამხედრო წარმომადგენლობა აფხაზეთში.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში მოსკოვს არ გახსენებია საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობისა და ურღვევობის შესახებ, რომელზეც მოგვიანებით, კოსოვოს შემთხვევაში მუდამ აპელირებდა სერბეთის ტერიტორიული მთლიანობის „დაცვის“ სასარგებლოდ.[2] კრემლის ეს პოზიცია მხოლოდ და მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა და არანაირი საერთო არ ჰქონდა რეალურ პოზიციასთან, რადგან კოსოვოში საომარი მოქმედებების დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრე, მოსკოვმა ცალსახად შელახა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

მსგავსი ტაქტიკით მოქმედებდა კრემლი ცხინვალის რეგიონში, სადაც 1992 წლის 24 ივნისის დაგომისის ხელშეკრულებით მოსკოვი საკუთარ სამხედრო წარმომადგენლობას უყრიდა საფუძველს ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე. რუსეთის

---

[1] **ალექსანდრე ორახელაშვილი.** აფხაზეთის კონფლიქტი კოსოვოს კონფლიქტის ფონზე, გვ. 92.
[2] **Оксана Антоненко.** Независимость Косово.., გვ. 16.

აღნიშნული ქმედებები დაიგმო ეუთო-ს 1994 წლის (ბუდაპეშტის), 1996 წლის (ლისაბონის) და 1999 წლის სტამბოლის დოკუმენტებით.

ამგვარად, მთავარ განსხვავებას კოსოვოს კონფლიქტში დასავლეთის ჩართულობასა და აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთის ჩართულობას შორის წარმოადგენს თავად ამ ჩართულობის ბუნება.[1] აღნიშნულ თავში მოცემული დოკუმენტების თუნდაც ზედაპირული მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ კოსოვოს კონფლიქტში და ზოგადად ბალკანეთის რეგიონზე მიმდინარე მოვლენებში დასავლეთის ჩართულობის გაცილებით ფართო, საერთაშორისო ხასიათი, მაშინ როდესაც აფხაზეთსა და ცხინვალში საერთაშორისო ჩართულობას პრაქტიკულად ადგილი არ ჰქონია და აქ მთავარ მოთამაშეს კრემლი წარმოადგენდა, რომელიც ყველა გზით ცდილობდა პოლიტიკური გავლენის შენარჩუნებასა და განმტკიცებას ქართულ სახელმწიფოზე. საქართველოს მიერ დსთ-სთან შეერთებით მოსკოვმა ამ მიზანს გარკვეულწილად მიაღწია.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ კოსოვოში, როგორც სერბეთის ავტონომიაში, 1980-90-იანი წლების დასაწყისში არანაირი მესამე ძალის სამხედრო ნაწილები არ ყოფილა განლაგებული.[2] ტერიტორია იმართებოდა და კონტროლდებოდა ოფიციალური ბელგრადიდან. 1998 წლამდე კოსოვოს რეგიონში დაპირისპირება ხდება ორ, სერბულ და ალბანურ მხარეებს შორის, ხოლო 1998 წლის შემდეგ, ვითარების დასტაბილურების მიზნით, კონფლიქტში უკვე არა მხოლოდ ერთი კონკრეტული მესამე ძალა, არამედ გაერო ჩაერთო.

საქართველოს კონფლიქტური რეგიონების შემთხვევაში, სამწუხაროდ, ამგვარ საერთაშორისო ჩართულობას იმ პერიოდში ადგილი არ ჰქონია. ოფიციალური კრემლიდან ხდებოდა როგორც აფხაზი, ასევე ოსი სეპარატისტების ყველა მოქმედების კოორდინირება საქართველოს წინააღმდეგ. საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებული იყო ოთხი რუსული სამხედრო ბაზა, რომლის გაყვანის შესახებაც არაერთ შეთანხმებას მოეწერა ხელი (1999, 2005 და 2006 წლებში), თუმცა, მიუხედავად ამისა, 2000-იანი წლებიდან მოყოლებული კრემლი ახალი სამხედრო ბაზის შენებას შეუდგა ჯა-

[1] აღნიშნულ ფაქტორს ხაზს უსვამს ვლადიმირ ჯორჯევიჩი. იხ.: **Vladimir Đorđević.** Regional Conflicts, გვ. 35-36.
[2] **შოთა მალაშხია.** კონფლიქტების ანატომია, გვ. 361.

ვის რაიონში, ხოლო 2008 წლის აპრილში კი აფხაზეთში დაიწყო რკინიგზის რეაბილიტაცია სამხედრო მიზნით.

ამავდროულად, კრემლის ორგანიზებითა და ინიციატივით ხდებოდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისთვის რუსული მოქალაქეობის მინიჭება 2002 წლიდან მოყოლებული. ამით კრემლი კიდევ ერთ „ლეგიტიმურ საფუძველს“ იქმნიდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისთვის. კოსოვოს შემთხვევაში, დასავლური სახელმწიფოების მხრიდან არ ჰქონია ადგილი კოსოვოელი ალბანელებისთვის ამერიკული, ფრანგული, გერმანული ან ბრიტანული მოქალაქეობის მინიჭებას და NATO-ს სამხედრო კამპანიის სწორედ ამ გზით გამართლებას.

გარდა ამისა, მართალია, 1999 წლის NATO-ს იუგოსლავიური კამპანია, საკუთარი არსით, შესაძლოა, არ იყოს გამართლებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დაცვის თვალსაზრისით, თუმცა უფრო მეტად გაუმართლებელი და უსაფუძვლოა კრემლის მცდელობა საკუთარი ინტერვენცია საქართველოს ტერიტორიაზე „გაამართლოს“ NATO-ს მოქმედებებზე აპელირებით.[1] განსხვავებით საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ინტერვენციისგან, NATO-ს საჰაერო მოქმედებებს იუგოსლავიის ტერიტორიაზე სახმელეთო მოქმედებები და ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა არ მოჰყოლია. შესაბამისად, ამგვარი შედარება უადგილოა.

რთულია ასევე იმ განსხვავებების უგულებელყოფა, რომელსაც ადგილი აქვს გაერო-ს მიერ კოსოვოს მიმართ შემუშავებული დოკუმენტებისა და საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებს შორის კრემლის „შუამდგომლობით“ გაფორმებული შეთანხმებების გარშემო. ჯერ კიდევ 2007 წელს მომზადებული ე.წ. „აჰტისაარის გეგმის“ მიხედვით, ხაზგასმული იყო კოსოვოში მულტიეთნიკური საზოგადოების შექმნის აუცილებლობა. რეგიონში ოფიციალური ენების სტატუსი ენიჭებოდა არა ალბანურ და ინგლისურ (ან თუნდაც გერმანულ, იტალიურ, ფრანგულ და სხვს ენებს), არამედ სერბულ და ალბანურ ენებს. იმ ენებს, რომელზეც კოსოვოში მცხოვრების ორი დომინანტი ეთნიკური ელემენტი საუბრობდა.

ეს პუნქტები ხაზგასმული იყო ასევე 2008 წლის ივნისში მიღებულ უკვე დამოუკიდებელი კოსოვოს სახელმწიფოს კონსტიტუციაში, რომელიც კოსოვოს პარლამენ-

[1] ეს განსხვავება შენიშნული აქვს პროფესორ ლევან ალექსიძეს. იხ.: **ლევან ალექსიძე.** დააკნინა თუ არა „კოსოვოს პრეცედენტმა“.., გვ. 687.

ტში სერბული წარმომადგენლობის ჩართულობასაც ითვალისწინებდა. სრულიად საწინააღმდეგო ტენდენციასთან გვაქვს საქმე სეპარატისტი აფხაზებისა და ოსების მიერ მიღებულ ე.წ. „კონსტიტუციებში“, სადაც საქართველოსთან ინტეგრაციაზე საუბარიც კი არ არის, ხოლო „ოფიციალურ“ ენებად ამ სეპარატისტულ ტერიტორიულ წარმონაქმნებში აფხაზურთან და ოსურთან ერთად რუსულია მოხსენიებული.

ამასთან ერთად, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს განმასხვავებელ ფაქტორად კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში განვითარებულ სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენებს შორის გვევლინება გენოციდის საკითხი.[1] 2008 წლის ომზე საუბრისას, კრემლის ერთ-ერთმა იდეოლოგმა ალექსანდრ დუგინმა ქართული ნაწილების სამხედრო მოქმედებების მთავარ მიზნად 2008 წელს დაასახელა ოსი ხალხის ე.წ. „წინასწარგანზრახული გენოციდი“.[2] აღნიშნულ რუსულ არგუმენტთან დაკავშირებით სავსებით ამომწურავ პასუხს ვხვდებით 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ ისეთ ორაზროვან დოკუმენტში, როგორიც არის ე.წ. „ტალიავინის დასკვნა“.

დასკვნაში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ რუსული მხარის მიერ ქართული მხარის დადანაშაულება ოსების მიმართ გენოციდში წარმოადგენს თავად რუსეთის მიერ ცხინვალის რეგიონში განხორციელებული არალეგალური მოქმედებების გამართლების მცდელობას.[3] კომისიის მიხედვით, არ არსებობს მტკიცებულება ქართული მხარის მიერ ოსი ხალხის მიმართ განხორციელებული გენოციდის ტიპის დანაშაულის შესახებ, მაშინ როდესაც საკმაოდ მოიპოვება საწინააღმდეგოს დამამტკიცებელი ფაქტები ცხინვალის რეგიონში მაცხოვრებელი ქართული მოსახლეობის მიმართ განხორციელებულ დანაშაულზე.[4]

კოსოვოს შემთხვევაში, როგორც დავინახეთ, ჯერ კიდევ 1998 წლის სექტემბერში, გაერო-ს მიერ მიღებულ 1190-ე რეზოლუციაში იყო საუბარი სერბების მოქმედებების შედეგად 230 000 ალბანელის მიერ კოსოვოს ტერიტორიის დატოვების შესახებ, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი სამართლებრივი ნორმა თუ პრინციპი ეთნიკურ ჯგუფს, რომელიც ადამიანის უფლებათა მასიური დარღვევების მსხვერპ-

---

[1] **დაზმირ ჯოჯუა.** კოსოვოს პრეცედენტი, გვ. 496; **შოთა მალაშხია.** კონფლიქტების ანატომია, გვ. 344.
[2] **Aleksandr Dugin.** After Tskhinvali. Interests and Values. / *Russian Politics and Law*, Vol. 47, No. 3, May-June 2009, გვ. 66.
[3] Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, vol. II, გვ. 187.
[4] Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, vol. II, გვ. 430.

ლია, არსებული სახელმწიფოსაგან გამოყოფის უფლებას არ აძლევს. მკვლევარ ალექ-სანდრე ორახელაშვილის თანახმად, „ადამიანის უფლებათა მასიური დარღვევები, რომლებიც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებად კვალიფიცირდება, საკუთარ შედეგებს წარმოშობს. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, დანაშაულში მონაწილე ფიზიკური პირების ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი სახელმწიფოს სასამართლო ინსტი-ტუტში, ან სპეციალურად ამისთვის შექმნილ საერთაშორისო ტრიბუნალების მიერ“.[1]

სწორედ ამიტომ, გარკვეულწილად ცალმხრივად გვეჩვენება შოთა მალაშხიას შეხედულება იმის შესახებ, რომ „კოსოვოს დამოუკიდებლობისადმი სოლიდარობა ნიშნავს ეთნოწმენდის მსხვერპლთა (მათი უსაფრთხოების) მხარდაჭერას...“.[2] მართა-ლია ავტორის აღნიშნული შენიშვნა გრძელდება აღნიშნული კონტექსტის აფხაზეთსა და ცხინვალის კონფლიქტურ რეგიონებში მომხდარი გენოციდის ხაზგასმით და მისი შედარებით კოსოვოში განხორციელებულ გენოციდთან და ავტორი სრულიად მარ-თებულად უსვამს ხაზს ამ განსხვავებას, მაგრამ კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოც-ხადების მხოლოდ და მხოლოდ გენოციდის მსხვერპლთა მიმართ სოლიდარობის გა-მოხატვასთან ასოცირება, ყველა იმ პოლიტიკური მოვლენის ფონზე, რაზეც ამ ნაშ-რომშია საუბარი, საკითხის ერთგვარი გაუბრალოების შთაბეჭდილებას ტოვებს.

თუმცა, ამასთან ერთად, საინტერესოა კიდევ ერთი თვალსაზრისი, რომელიც უფრო მეტად ჰფენს ნათელს დასავლეთის ქვეყნების მიერ კოსოვოში სამხედრო მოქ-მედების დაწყების საფუძველს. საუბარია ადამიანის უფლებათა დაცვის უზენაესო-ბის პრინციპზე. აღნიშნული საკითხი ვრცლად აქვს მიმოხილული ყოფილ საბჭოთა დისიდენტს და 1989-1992 წლებში ჩეხოსლოვაკიის, ხოლო (1993-2003) წლებში ჩეხე-თის რესპუბლიკის პრეზიდენტს ვაცლავ ჰაველს საკუთარ სიტყვაში, რომელიც მან 1999 წლის 29 აპრილს წარმოთქვა კანადის სენატის წინაშე. ვ. ჰაველი კოსოვოს უნიკა-ლურ შემთხვევად მიიჩნევს და ამბობს, რომ კოსოვოს შემთხვევამ მსოფლიო პოლი-ტიკის ახალ გაგებას უნდა ჩაუყაროს საფუძველი, რომლის უზენაესი ღირებულება

---

[1] Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide. *Adopted by Resolution 260 (III) A of the United Nations General Assembly on 9 December 1948.* იხ.: https://www.oas.org/dil/1948_Convention_on_the_Prevention_and_Punishment_of_the_Crime_of_Genocide.pdf; **ალექსანდრე ორახელაშვილი.** აფხა-ზეთის კონფლიქტი კოსოვოს კონფლიქტის ფონზე, გვ. 88.

[2] **შოთა მალაშხია.** კონფლიქტების ანატომია, გვ. 358-359.

ადამიანის უფლებათა დაცვა იქნება და რომ ეს უკანასკნელი თავად სახელმწიფო სუ-ვერენიტეტის პრინციპზე უპირატესია თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში.[1] ამგვა-რად, იდეალისტური თვალსაზრისით, დასავლეთის ქვეყნების მიერ კოსოვოში გან-ხორციელებული სამხედრო-პოლიტიკური მოქმედებების მთავარი საფუძველი სწო-რედ ზემოაღნიშნული 230 000 ალბანელი ლტოლვილის უფლებების დაცვა იყო, განს-ხვავებით რუსეთის მოქმედებებისგან აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, რამაც კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები ქართველი მოსახლეობა დევნილად აქცია.

რუსეთის მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განხორციელებული რუსი-ფიკატორული პოლიტიკის გათვალისწინებით, კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი განსხვავება იკვეთება კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტურ ტერიტორიებზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. საკითხის ექსპერტობა სულაც არ არის საჭირო იმის შესამჩნევად, რომ საომარი მოქმედებების შემდეგაც კი, დასავლეთის პო-ლიტიკა კოსოვოს მიმართ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსულ პოლიტიკას-თან შედარებით რადიკალურად განსხვავებულ ხასიათს ატარებდა. ფაქტია, რომ არც ერთი დასავლური სახელმწიფოს ინტერესებში არ ყოფილა კოსოვოს რეგიონის ასიმი-ლაცია ან მისი შეერთება. ყველა უარესი, რაც შეიძლებოდა ოფიციალური ბელგრა-დისთვის მომხდარიყო, ეს იყო ან კოსოვოს შეერთება ალბანურ სახელმწიფოსთან, ან კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რასაც რეალურად ჰქონდა კიდეც ადგი-ლი. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების შემთხვევაში, რუსული მხარე აქტიურად ცდილობს ორივე ეს რეგიონი რუსული სივრცის ნაწილად აქციოს და ამისთვის არ იშურებს სამხედრო, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ბერკეტებს.[2] ამგვარად, როგორც მკვლევარი ვლადიმირ ჯორჯევიჩი აღნიშნავს, რუსეთის ინტერესები საქართველოში აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ინტერესების დაცვას სცილდება და უფრო მე-ტად უკავშირდება საკუთარი გავლენის ზრდას რეგიონში.[3]

ჩამოთვლილი ასპექტები გამოკვეთს მთავარ პოლიტიკურ და ფაქტობრივ განსხ-ვავებას კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში განვითარებული

---

[1] “Human freedoms represent a higher value than state sovereignty.” იხ.: Kosovo and the end of the Nation-State. Speech by Vaclav Havel. 29 April 1999. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://www.nybooks.com/articles/1999/06/10/kosovo-and-the-end-of-the-nation-state/.

[2] Kosovo and the end of the Nation-State. Speech by Vaclav Havel, გვ. 360.

[3] **Vladimir Đorđević.** Regional Conflicts, გვ. 29.

მოვლენების შესახებ. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი (არა მხოლოდ რუსი) ავტორისთვის აღნიშნული კონფლიქტები ერთ სიბრტყეში განიხილება. მაგალითისთვის, იტალიელი მკვლევარის ეძიო ბონსინიორეს მიხედვით, რუსეთის ინტერვენცია საქართველოში შესანიშნავი ანარეკლია NATO-ს ინტერვენციისა იუგოსლავიაში და კრემლის „მტკიცებები“ ქართული მხარის „მშვიდობაზე იძულების“ შესახებ პირდაპირ კავშირს ჰპოვებს ბალკანეთის 1999 წლის მოვლენებთან.[1]

თუკი ბონსინიორეს ნააზრევს ფაქტოლოგიური კუთხით შევხედავთ და გავაანალიზებთ, ბუნებრივია, ვერანაირ საერთოს ამ ნააზრევსა და რეალობას შორის ვერ ვიპოვით, თუმცა საკითხის პოლიტიკურ ჭრილში გასააზრებლად ეს შეხედულება საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან პოლიტიკური თვალსაზრისით არსებობს პირდაპირი კავშირი კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასა და საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში 2008 წელს განვითარებულ მოვლენებს შორის.

2008 წლის 19 თებერვალს, კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ორი დღის შემდეგ, “Washington Post”-ში დაიბეჭდა ცნობილი ამერიკელი ავტორის ენ ეპლბაუმის სტატია „კოსოვოს შედეგები“, რომელშიც ავტორი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ მომავალი რამდენიმე თვის მანძილზე, კოსოვოს მაგალითის, როგორც პრეცედენტის გამოყენება შეიძლება მოხდეს, როგორც აღმოსავლეთ ევროპაში, ისე სხვა რეგიონში: „ბოლოს და ბოლოს, თუკი კოსოვოელ ალბანელებს შეუძლიათ იყვნენ სერბეთისგან დამოუკიდებლები, აფხაზებს და ოსებსაც გაუჩნდებათ საქართველოსგან დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილი“.[2] ნიშანდობლივია, რომ ეპლბაუმის ამ წინასწარმეტყველურ სტატიამდე ერთი დღით ადრე, შესაბამისი შინაარსის განცხადება უკვე გაკეთებული ჰქონდა აფხაზეთის მაშინდელ დე ფაქტო პრეზიდენტს სერგეი ბაღაფშს: „თუკი ვინმე ფიქრობს, რომ აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი და დნესტრისპირეთი გაჩერდება კოსოვოს აღიარების შემდეგ, ძალიან სცდება. კოსოვო პრეცედენტია“.[3] ამგვარად, დასავლეთის არცერთი პოლიტიკოსისთვის არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი კოსოვოს დამოუკიდებლობის მსგავსი ინტერპრეტაცია კრემლისა და მისი მარიონეტული სეპარატისტული რეჟიმების მიერ.

---

[1] **Ezio Bonsignore.** The Kosovo Payback. / *Military Technology*, Vol. 32, Issue 9, 2008, გვ. 4.

[2] **Anne Applebaum.** The Consequences of Kosovo. // *“The Washington Post”*, February 19, 2008, გვ. 25.

[3] **Doug Bandow.** US Policy toward Kosovo: Sowing the Wind in the Balkans, Reaping the Whirlwind in the Caucasus. / *Mediterranean Quarterly*, Vol. 20, Issue 1, Winter 2009, გვ. 17.

კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მოსკოვის პოლიტიკის კვლევების ინსტიტუტის დირექტორმა სერგეი მარკოვმა პირდაპირ განაცხადა, რომ რუსეთი ვერაფერს გააწყობდა კავკასიასთან მიმართებაში, რადგან აქაური არაღიარებული ტერიტორიული ერთეულები ამ ფაქტს პრეცედენტად აღიქვამდნენ და, ამ მხრივ, დიდ იმედებს დაამყარებენ რუსეთის ფედერაციაზე.[1] პასუხად, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მაშინდელმა მოადგილემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში დენიელ ფრიდმა განაცხადა, რომ კოსოვო ვერ იქნებოდა პრეცედენტი აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთისთვის“.[2] როგორც მკვლევარი ბენედიქტ ჰარცლი ჯერ კიდევ 2008 წელს მართებულად აღნიშნავდა, დასავლეთის ამგვარი განცხადებების მიუხედავად, კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მხოლოდ და მხოლოდ სტიმული იქნებოდა კავკასიის კონფლიქტური რეგიონებისთვის და მაჩვენებელი იმისა, რომ დრო მათ სასარგებლოდ მოქმედებს.[3]

აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის მიხედვით, კოსოვოს საკითხი ჩიხში შევიდა 2008 წლისთვის და რთული იყო დამოუკიდებლობის გარდა რაიმე სხვა სახის გადაწყვეტილებით შექმნილი კონფლიქტის მოგვარება რეგიონში. ხაზს უსვამს რა კოსოვოს შემთხვევის „უპრეცედენტო“ ბუნებას, რაისი დასძენს, რომ შეუძლებელი იყო კოსოვოს დამოუკიდებლობის საკითხის განხილვა გაერო-ს უშიშროების საბჭოს ფორმატში, ვინაიდან ეს ნიშნავდა საკითხზე გარანტირებულ ვეტოს რუსეთისა და ჩინეთის მხრიდან. ერთადერთ გამოსავალს კონფლიქტის ძალისმიერი დარეგულირების თავიდან ასარიდებლად, ამ ვითარებაში, წარმოადგენდა რაც შეიძლება მეტი ქვეყნის დაყოლიება კოსოვოს დამოუკიდებლობის ასაღიარებლად.[4]

კანადელი მკვლევრის მიკულას ფაბრის მიხედვით, დიდად წარმოუდგენელია რუსეთის მიერ 2008 წელს მომხდარიყო აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის ცალმხრივად აღიარება, რომ არა აშშ-ს წინამძღოლობით გამოცხადებული კოსოვოს დამოუკიდებლობა.[5] საკუთარ ცნობილ წიგნში 2008 წლის ომის შესა-

---

[1] **Megan K. Stack.** Kosovo a frustration for Russia. // Los Angeles Times, February 14, 2008. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://articles.latimes.com/2008/feb/14/world/fg-kosovo14.

[2] **Dimitri K. Simes.** Russia's playing ball -- will we? // Los Angeles Times, March 22, 2007. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: http://articles.latimes.com/2007/mar/22/opinion/oe-simes22.

[3] **Benedikt C. Harzl.** Conflicting Perceptions: Russia, the West and Kosovo, გვ. 513

[4] **Condoleezza Rice.** No Higher Honor, გვ. 426-427.

[5] **Mikulas Fabry.** The contemporary practice of state recognition: Kosovo, South Ossetia, Abkhazia, and their aftermath. / *Nationalities Papers*, Vol. 40, Issue 5, September 2012, გვ. 661-662.

ხებ, რონალდ ასმუსი აღნიშნავდა, რომ კოსოვოს საკითხის გარშემო აშშ-მ და ევროპის ქვეყნებმა მნიშვნელოვანი შეცდომები დაუშვეს. სჯეროდათ რა, რომ თითოეულ კონ-ფლიქტს სხვადასხვა პოლიტიკური მიდგომით დაარეგულირებდნენ, მათ ვერ განჭვ-რიტეს ბალკანეთის მოვლენების შესაძლო გამოძახილი კავკასიის რეგიონში.[1] ამ კუთ-ხით, ყუბანის უნივერსიტეტის მკვლევარი, აიკუშ ავანესიანი მეტად მოსწრებულად შენიშნავს, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებით დასავლეთი საკუთარ მახე-ში გაება.[2]

ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტებში განვითარებული მოვლენები პირდაპირ დანაწილ-და ზუსტად იმ პრიორიტეტების მიხედვით, რომელიც დასავლეთსა და რუსულ მხა-რეს ჰქონდა ამ რეგიონებში. კოსოვოს რეგიონი პრიორიტეტს წარმოადგენდა დასავ-ლური პოლიტიკისთვის, მაშინ როდესაც აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი რუსუ-ლი პოლიტიკური პრიორიტეტების არეალში იყო მოქცეული. აღნიშნული პრიორი-ტეტების შეჯახებას ჰქონდა ადგილი 2008 წლის აპრილში NATO-ს ბუქარესტის სამიტზე, როდესაც თბილისისათვის MAP-ის მინიჭების საკითხი პირდაპირ კავშირში აღმოჩნდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შემდგომში განვითარებულ მოვლე-ნებთან. ეს საკითხი ვერ მოხვდა დასავლეთის წამყვანი ქვეყნების პოლიტიკური პრი-ორიტეტების ნუსხაში. სწორედ ამიტომ, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მოვ-ლენები განვითარდა რუსული სცენარით, ისევე როგორც, თავის დროზე – 1999 წლის გაზაფხულზე – იუგოსლავიაში მოვლენები დასავლური სცენარით ვითარდებოდა.

ამასთან ერთად, აღნიშნული კონფლიქტების შედარებითი ანალიზი კიდევ ერ-თი მნიშვნელოვანი დასკვნის საფუძველს გვაძლევს. დასავლეთის მიერ კოსოვოს და-მოუკიდებლობის აღიარება და ამით რუსული პოლიტიკური გავლენის შემცირება ბალკანეთში და შემდგომ ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებები ერთ-გვარ „ნახევრად გაკეთებულ საქმედ“ შეიძლება მოგვეჩვენოს დასავლეთის მხრიდან, თუკი აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოებას დასავლური პოლიტიკის ერთ-ერთ ამო-სავალ პრიორიტეტად ავიღებთ. ამ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ კოსოვოს და-მოუკიდებლობის აღიარება, როგორც განყენებული ფაქტი კი არ გვევლინება დასავ-

[1] **Ronald Asmus.** A Little War that Shook the World, გვ. 88.
[2] **А. А. Аванесян.** Влияние Косовского прецедента на судьбу Абхазии и Южной Осетии, გვ. 218.

ლური პოლიტიკის შეცდომად, არამედ ამ ფაქტთან ერთად აღებული ბუქარესტის სამიტის მოვლენები და 12 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დამასრულებელი ექვსპუნქტიანი შეთანხმებაც, რომელიც რუსეთმა ფაქტობრივად ფარატინა ქაღალდად აქცია და რომლის შესრულებისთვის შესაბამისი მექანიზმების არარსებობამ, როგორც გამოჩნდა, რუსეთს ხელ-ფეხი გაუხსნა აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის ცალმხრივად ასაღიარებლად.

დასავლური პოლიტიკის ამგვარმა არათანმიმდევრულობამ განაპირობა რუსული მხარის მიერ დაუსჯელობის განცდა, რამაც მოგვიანებით მოსკოვს ხელ-ფეხი გაუხსნა უკრაინის მიმართ.

ამგვარად, კოსოვოს, საქართველოსა და უკრაინის მოვლენები შეგვიძლია სწორედ ერთი ჯაჭვის შემადგენელ ნაწილებად მოვიაზროთ. კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, დასავლეთის მიერ ბუქარესტის სამიტზე საქართველოსა და უკრაინის საკითხების მთავარ პრიორიტეტებად დაყენების შემთხვევაში, ალბათ მეტად სათუო გახდებოდა მოვლენათა იმ სახით განვითარება, როგორიც მივიღეთ 2008 წლის შემდგომ.

დღეისათვის, საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსული მხარის ღონისძიებების სრული დაგმობის მიუხედავად, მოსკოვი აგრძელებს ამ რეგიონების ასიმილირებას მათი „დამოუკიდებლობის“ აღიარებით. ამ კუთხით რუსეთს თავად დსთ-ს ქვეყნების მხარდაჭერაც კი არ გააჩნია. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში მოსკოვს მხარეს უჭერს მხოლოდ სირია, ნიკარაგუა, ვენესუელა და ნაურუ. ამის ფონზე, დღეის მონაცემებით, კოსოვოს დამოუკიდებლობა მსოფლიოს 113 ქვეყანას აქვს აღიარებული. ბერძენი დიპლომატის ალექსის რონდოსის თქმით, რუსეთის მიერ დასავლეთისთვის შეთავაზებული კოსოვოს მოქმედებების „ანალოგი“ მხოლოდ და მხოლოდ შიშის მომგვრელი პაროდია აღმოჩნდა.[1]

ამასთან დაკავშირებით, საკმაოდ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ვაშინგტონის საერთაშორისო კვლევების სტრატეგიული ცენტრის დირექტორს ოლგა ოლიკერს. მისი თქმით, აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ ე.წ. დამოუკიდებლობის

[1] **Vladimir Đorđević.** Regional Conflicts, გვ. 39.

გამოცხადებით, მოსკოვმა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ მომავალ პრობლემებს ჩაუყარა საფუძველი.[1]

თუმცა, ამ განსხვავებებს კრემლისთვის პრაქტიკულად არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია. საკუთარი პოლიტიკით მოსკოვი დღემდე მიიჩნევს თავს აფხაზი და ოსი ხალხის „დამცველად" საქართველოსგან. პარალელურად, მოსკოვი ბრალს სდებს დასავლეთს ორმაგი პოლიტიკური სტანდარტებით ხელმძღვანელობაში და ამით ხაზს უსვამს საკუთარ „სამართლიან" იმიჯს თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე.

[1] **Olga Oliker.** Kosovo and South Ossetia More Different Than Similar. August 25, 2008. უკანასკნელად ნანახია 12.02.2019 ვებგვერდზე: https://www.rand.org/blog/2008/08/kosovo-and-south-ossetia-more-different-than-similar.html.

დასკვნა

კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტური რეგიონების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი მეტად საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს. როგორც დავინახეთ, აღნიშნული კონფლიქტური რეგიონების ისტორიულ წარსულში გვხვდება გარკვეული საერთო, ისევე როგორც განმასხვავებელი შტრიხები. ბუნებრივია, წმინდა სამეცნიერო თვალსაზრისით, ამაში არაფერია განსაკუთრებული, რადგან კაცობრიობის ისტორიის მანძილზე, ამა თუ იმ ხალხების ისტორიაში შესაძლოა მრავლად შეგვხვდეს საერთო, ისევე, როგორც განმასხვავებელი განვითარების თავისებურებები.

სხვა საკითხია, როდესაც თანამედროვე პოლიტიკური ინტერესების ფარგლებში ხდება ისტორიული წარსულის დამახინჯება და სახეცვლილება. ჩვენი ნაშრომის მთავარ ამოსავალ წერტილს წარმოადგენს სწორედ ერთ-ერთი ამგვარი მცდელობის ანალიზი და მისი უსაფუძვლობის ჩვენება.

თანამედროვე რუსული „არგუმენტი“ იმის შესახებ, რომ კოსოვოში, ისევე როგორც, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ვითარება ისტორიულად მსგავსია და შესაბამისად მათი დარეგულირება ერთი და იმავე პოლიტიკური თუ სამხედრო მეთოდების გამოყენებით შეიძლება, წარმოადგენს იმთავითვე მეცნიერულად გაუმართლებელ და მთლიანად პოლიტიკური მიზნებითა და ინტერესებით გაჯერებულ ნარატივს, რომელსაც ობიექტურ სამეცნიერო მსჯელობასთან საერთო არაფერი აქვს.

მეორეს მხრივ, აღნიშნული კვლევით დაინტერესების კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადება 2008 წელს დასავლეთის პოლიტიკური ბანაკის მიერ აშშ-ს მეთაურობით. ამ ნაბიჯით, შეიქმნა ალბანელთა ახალი სახელმწიფო იმ ტერიტორიაზე, რომელიც უკანასკნელი ასი წლის მანძილზე, თითქმის უწყვეტად შედიოდა სერბეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში ავტონომიური ერთეულის სახით.

შექმნილ ვითარებაში, რუსეთის მიერ, კიდევ ერთხელ მოხდა აპელირება საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებზე, რამაც 2008 წლის აგვისტოს ომამდე მიგვიყვანა. იმავე თვის ბოლოს, კრემლის ინიციატივით, ცალმხრივად გამოცხადდა აფხაზეთისა

და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა, რასაც მოსკოვთან ერთად, თანამედროვე მსოფლიოს მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფომ დაუჭირა მხარი. თუმცა, ეს ფაქტი დაბრკოლებად ვერ იქცა მოსკოვისთვის, რომელიც დღემდე განაგრძნობს იმის მტკიცებას, რომ თუკი კოსოვოსთვის იყო შესაძლებელი დამოუკიდებლობის მოპოვება, ზუსტად ასევე იყო ეს შესაძლებელი აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთისთვის“.

2014 წლის შემდეგ, უკრაინის კრიზისის პერიოდში, მოსკოვი იმავე რიტორიკას იყენებდა ოკუპირებული დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების მიმართ. ეს ფაქტი ნათლად გვაჩვენებს, რომ კოსოვოს პრეცედენტი მოსკოვისთვის ერთგვარ უნიკალურ მოდელად იქცა ამა თუ იმ ტერიტორიაზე საკუთარი სამხედრო-პოლიტიკური ინტერვენციების შედეგად შექმნილი მარიონეტული რეჟიმების „ლეგიტიმური“ არსებობის გასამართლებლად. ამ კუთხით, კრემლისთვის დღეს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტორს, რომ დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკური მოქმედებები კოსოვოში კარდინალურად განსხვავებულ ხასიათს ატარებდა, ვიდრე მოსკოვის მოქმედებები მის სამეზობლოში.

მეორეს მხრივ, რთულია, ლოგიკური პოლიტიკური ახსნა მოვუძებნოთ დასავლეთის მიერ კოსოვოში განხორციელებულ მოქმედებებს, რომელმაც თანამედროვე მსოფლიო ახალი ალბანური სახელმწიფოს შექმნამდე მიიყვანა. ამ ნაბიჯით დასავლეთმა პრეცედენტის დონეზე აიყვანა ავტონომიური ერთეულის სეცესიის უფლება, რაც მეტად საფრთხილო საკითხია თანამედროვე მსოფლიოში არსებული უამრავი ეთნიკური კონფლიქტის ფონზე. ამ კუთხით, დასავლეთმა ასევე უგულებელყო ის საფრთხე, რაც შეიძლებოდა აღმოსავლეთ ევროპის მისადგომებთან შექმნილიყო რუსეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის პრეცედენტად აღქმის შემთხვევაში. ეს ყველაფერი შესაძლოა ნაკლებად საგრძნობი ყოფილიყო 2000-იანი წლების ბოლოს, თუმცა 2010-იანი წლების მიწურულს უკვე ძნელია ამ მოვლენების პოლიტიკური შედეგების არდანახვა.

ამრიგად, კოსოვოს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები, როგორც ვნახეთ, თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკური ინტერესების სფეროში მოექცა. ამან კი, უმეტესად განაპირობა მთელი რიგი ისტორიული თავისებურებების უგულებელყოფა, რამაც პირველ რიგში ამ რეგიონებში არსებულ კონფლიქტებამდე მიგვიყ-

ვანა და შემდგომ, ნაცვლად ამ კონფლიქტების რეალურად მოგვარებაზე ზრუნვისა, მეტწილად მათ ესკალაციას შეუწყო ხელი.

შექმნილი ვითარების ფონზე, როგორც პოლიტიკურ, ასევე სამეცნიერო ასპარეზზე გამოჩნდა ნაშრომები, რომელთა მთავარ მიზანს ძირითადად ამა თუ იმ პოლიტიკური იდეოლოგიის აპოლოგია წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტური რეგიონების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი სხვადასხვაგვარად არის დანახული ინგლისური და რუსულენოვანი ავტორების მიერ. თავის მხრივ, განსხვავებულად არის საკითხი დანახული ქართულ სამეცნიერო და პოლიტიკურ სივრცეში, სადაც კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ფაქტის მნიშვნელობა თუ მისი გავლენა საქართველოში შექმნილ რეალობაზე მეტნაკლებად სწორად არის შეფასებული და ძირითადად დაფიქსირებულია შუალედური, ზომიერი პოზიცია, რომელიც, ერთის მხრივ, ეწინააღმდეგება რუსეთის მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში „კოსოვოს სცენარით“ განხორციელებულ მოქმედებებს, ხოლო, მეორეს მხრივ, არ იზიარებს დასავლეთის მიერ ავტონომიური ერთეულის სახელმწიფოდ გამოცხადების ფაქტს.

ამ კონტექსტში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტური რეგიონების ისტორიული წარსულის გააზრებისა და ურთიერთშედარების მცდელობას, რომელიც, თავის მხრივ, ბალკანეთისა და კავკასიის რეგიონების წარსულის მეტად საინტერესო სურათს გვთავაზობს.

კოსოვოს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე, თანამედროვე კონფლიქტებში მონაწილე ეთნიკური ჯგუფების განსახლების ისტორიას, საკმაოდ მნიშვნელოვან დასკვნამდე მივყავართ. კოსოვოს ტერიტორიაზე, თანამედროვე სერბულ-ალბანურ კონფლიქტში მონაწილე მხოლოდ ერთი ხალხის – ალბანელების – სავარაუდო წინაპრები ცხოვრობდნენ – ილირიელებისა და დარდანების სახით, რომლებიც ბერძნულ-რომაული ცივილიზაციების თვალსაწიერში ექცეოდნენ. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ ამ ხალხებს იხსენიებენ ანტიკური ავტორები – ფსევდოსქილაკსი და აპიანე ალექსანდრიელი. სრულიად განსხვავებული რეალობა გვაქვს ამ პერიოდში აფხაზეთის ტერიტორიაზე, სადაც ძვ.წ. VI-I სს. არსებობს ერთიანი დასავლურ-ქართული სახელმწიფო გაერთიანება – კოლხეთის სამეფო – რომელშიც ცხოვრობ-

დნენ ქართველთა წინაპრები. ამ ხალხების შესახებ ცნობებს გვაწვდიან ბერძენი ავტორები (ჰეკატეოს მილეტელი, სქილაკს კარიანდელი). განსხვავებული ვითარება გვაქვს ამ პერიოდში თანამედროვე შიდა ქართლის რეგიონში, სადაც არც ერთი ისტორიული წყაროთი არ დასტურდება თანამედროვე ოსების წინაპარი ალანების მოსახლეობა. როგორც ვნახეთ, ჩინური წყაროები ალანებს ძვ.წ. II საუკუნეში მოიხსენიებენ ზოგადად კავკასიიდან საკმაოდ შორს – შუა აზიის სტეპებში, ხოლო მათი განსახლების უკიდურეს დასავლეთ წერტილად ამ პერიოდში მოიაზრება კასპიის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირი. ახ.წ. I-II სს ალანების ნაწილის დასახლება ხდება ჩრდილოეთ კავკასიაში. ამგვარად, ანტიკურ პერიოდში, თანამედროვე ოსთა წინაპრების იმდროინდელი იბერიის სამეფოს ტერიტორიაზე ცხოვრების შესახებ საუბარი არ არის.

თანამედროვე სერბების წინაპარი სლავთა ტომები კოსოვოსა და ზოგადად ბალკანეთის ტერიტორიაზე ჩნდებიან VI-VII საუკუნეებში. VII-XI საუკუნეებში კოსოვოს რეგიონი ბიზანტიიდან იმართება და სერბი მოსახლეობის რაოდენობა ამ ტერიტორიაზე მკვეთრად იმატებს, ისე, რომ XI საუკუნის დასაწყისში კოსოვოს მოსახლეობის უმეტესობას უკვე სერბები შეადგენენ. თავის მხრივ, ალბანელთა პირველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი არბერის სამთავრო, დედაქალაქით კრუაში დაფუძნდა 1190 წელს. აღნიშნული ტერიტორიული ერთეული ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. სამთავროს უკიდურესი ჩრდილოეთ საზღვარი გადიოდა მდ. დრინზე, ხოლო უკიდურესი დასავლეთ საზღვარი კი – ოჰრიდის ტბაზე, რაც მიგვანიშნებს, რომ კოსოვოს ტერიტორია (ან თუნდაც მისი ნაწილი) არ შედიოდა პირველი ალბანური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შემადგენლობაში.

ამგვარად, ანტიკურ პერიოდში კოსოვოს ტერიტორიაზე ძირითადად მოსახლეობენ ილირიელები, რომელთაც საკუთარ წინაპრებად მიიჩნევს თანამედროვე ალბანელი ხალხი. სერბები ბალკანეთში მხოლოდ და მხოლოდ VI-VII საუკუნეებში მოდიან და მათი გავლენა ამ რეგიონში თანდათან ძლიერდება. მოგვიანებით შექმნილი არბერის სამთავრო, ისევე, როგორც კოსოვოს რეგიონი, XI-XII საუკუნეებში ბიზანტიიდან იმართება, თუმცა პირველი ალბანური სამეფო არ მოიცავს თანამედროვე კოსოვოს ტერიტორიას.

უშუალოდ სერბული სამეფოს შემადგენლობაში კოსოვოს რეგიონი ექცევა მხო-

ლოდ და მხოლოდ XII-XV საუკუნეებში. სერბეთის სამეფოს განსაკუთრებული აღმავლობა დაკავშირებულია ნემანიჩების დინასტიასთან (1166-1371). სწორედ ამ პერიოდში ხდება სერბული საეკლესიო-ადმინისტრაციული ცენტრის დაფუძნება კოსოვოს მიწაზე.

XIV ს-ის ბოლოს სავრასა (1385) და კოსოვოს ველის (1389) ბრძოლებში ოსმალეთის იმპერიასთან დამარცხების შემდეგ, ალბანელებსა და სერბების საერთო მტრად გვევლინება „ბრწყინვალე პორტა“. ოსმალეთის იმპერიის ბალკანეთში გამოჩენის შემდეგ, სრულიად ახალი ეტაპი იწყება, როგორც ალბანელების, ისე სერბების და შესაბამისად, კოსოვოს რეგიონის ისტორიაში.

სრულიად განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე ამ პერიოდში აფხაზეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში. კოსოვოსგან განსხვავებით, ანტიკური ხანიდან მოყოლებული, როგორც ვხედავთ, აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ საერთოქართულ პოლიტიკურ სივრცეში მცხოვრები ხალხები, რომლებიც ჯერ კიდევ ახ.წ. I საუკუნიდან ეზიარნენ ქრისტიანულ რელიგიას. მოგვიანებით, IV საუკუნეში, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან ერთად, აფხაზეთი პოლიტიკურ და კულტურულთან ერთად, ქართული სასულიერო ყოფის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრად იქცა. აფხაზ მეფე-მთავართა მეოხებით, VIII საუკუნის ბოლოს მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება ხდება „აფხაზთა“ სამეფოში. სწორედ ეს „აფხაზთა“ სამეფო შეიძლება მივიჩნიოთ X-XI საუკუნეებში საქართველოს ერთიანი სამეფოს შექმნის სულის ჩამდგმელად. ამ პროცესს წინ უძღოდა დასავლეთ საქართველოს ეკლესიური გამოყოფა კონსტანტინოპოლისაგან და შეერთება მცხეთის საკათალიკოსო ტახტთან, რისი შემოქმედებიც, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ „აფხაზთა“ მეფეები იყვნენ.

კოსოვოსა და აფხაზეთისაგან სრულიად განსხვავებულად ვითარდება მოქმედება თანამედროვე შიდა ქართლის ტერიტორიაზე, სადაც მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ფაქტობრივად არცერთი ოსური დასახლება არ ფიქსირდება.

ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ქართველ და ოს ხალხს შორის ურთიერთობა ზემოაღნიშნულის მსგავსი, ცვალებადი ბუნებით ხასიათდებოდა. ორ მეზობელ ხალხს შორის ხდებოდა ნათესაური კავშირების გამყარება. საქართველოს

არაერთ მეფეს ჰქონდა ნათესაური კავშირი ოს მეფე-მთავრებთან. ქართველი მეფეები ხშირად იყენებდნენ ოსურ სამხედრო ძალას ბრძოლებში.

მიუხედავად ამგვარი ურთიერთობებისა, XIII საუკუნის შუა ხანებამდე ქართული სამეფოს ტერიტორიაზე ოსთა არცერთი დასახლება არ აღირიცხებოდა. მხოლოდ მონღოლთა შემოსევის შემდეგ, ქართული სამეფოს სისუსტით ისარგებლეს ოსებმა და ქალაქი გორიც კი დაიკავეს, თუმცა XIV საუკუნის 20-იან წლებში გიორგი ბრწყინვალემ მოახერხა ოსთა განდევნა საქართველოს ტერიტორიიდან, ისე, რომ არცერთი ოსი არ დარჩენილა ქართული სამეფოს ტერიტორიაზე.

ამგვარად, თუკი სერბების შემთხვევაში, საქმე გვაქვს ხალხთან, რომელთაც მხოლოდ შუა საუკუნეებში აითვისეს კოსოვოს რეგიონის ტერიტორია და შემდგომ სამეფოს საეკლესიო პოლიტიკურ ცენტრად აქციეს იგი, ხოლო ალბანელების შემთხვევაში კი ხალხთან, რომელთა პირველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი (არბერის სამთავრო XII ს.) კოსოვოს არც კი მოიცავდა, აფხაზეთზე საუბრისას ჩვენს თვალწინ, კარდინალურად განსხვავებული სურათი იშლება. ამ შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვაქვს ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ სულისჩამდგმელ სამეფოსთან, რომელიც მთელი ანტიკური პერიოდისა და შუა საუკუნეების მანძილზე ქართული სულიერებისა და სახელმწიფოებრიობის სინონიმად მიიჩნევა. ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ რეგიონთან მიმართებაში საუბარია ხალხზე, **რომელთა განსახლების არეალიც შიდა ქართლის რეგიონი არასდროს არ იყო და** მათი პირველი დასახლებები შიდა ქართლის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში ჩნდება მხოლოდ და მხოლოდ XV-XVI საუკუნეებში, როდესაც ოსთა ცალკეული ჯგუფები ახერხებენ შიდა ქართლის მთიან ნაწილში დამკვიდრებას. ამავე პერიოდში ხდება აფხაზეთის ტერიტორიაზე აბაზა-ადიღეური ტომების ჩამოსახლება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან, რომლებიც, საისტორიო წყაროების (ლამბერტი, ვახუშტი, გიულდენშტედტი, ჯოვანი და ლუკა) თანახმად, ყოფით-კულტურულ დონეზე, მკვეთრად განსხვავდებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობისგან.

ამგვარად, ანტიკური პერიოდისა და ფაქტობრივად მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ერთი ძირითადი განმასხვავებელი ტენდენცია გვაქვს სახეზე კოსოვოს, აფხაზეთისა და შიდა ქართლის რეგიონების ისტორიული განვითარების თავისებურე-

ბასთან დაკავშირებით: აფხაზეთისა და შიდა ქართლის რეგიონები ქართული სახელმწიფოსათვის ასრულებდნენ ისეთ მნიშვნელოვან როლს, როგორიც კოსოვოს ამ პერიოდში არ შეუსრულებია არც სერბული და არც ალბანური სახელმწიფოებისათვის, მაშინ როდესაც კოსოვოს ტერიტორიის საკუთარი სახელმწიფოს ეკლესიურ თუ ადმინისტრაციულ ცენტრად ქცევა სერბებმა XII საუკუნეში დაიწყეს.

XVII საუკუნიდან მოყოლებული, როგორც ვნახეთ, კოსოვოს ტერიტორიაზე ხდება მოვლენა, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სერბების დემოგრაფიულ მდგომარეობაზე. საუბარია XVII-XVIII საუკუნეებში სერბთა იძულებით გადასახლებაზე კოსოვოს ტერიტორიიდან. აღნიშნული მოვლენის სტიმულირებას, ბუნებრივია, ხელს უწყობდა ოსმალეთის იმპერიის მიერ კოსოვოში გამუსლიმებული ალბანელების ჩასახლების (ძირითადად ჩრდილოეთ ალბანეთის ტერიტორიიდან) მიზანმიმართული პოლიტიკა. შედეგად, XIX საუკუნის დამდეგისთვის, კოსოვოს ტერიტორიაზე, სერბული მოსახლეობის ხელოვნურად შემცირების ხარჯზე, ალბანური მოსახლეობის ხვედრითი წილის ასევე ხელოვნურად ზრდა შეინიშნება.

გარკვეულწილად განსხვავებულ პროცესთან გვაქვს საქმე ამ პერიოდში აფხაზეთის ტერიტორიაზე. ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებული და აფხაზეთის ტერიტორიაზე დასახლებული ადიღეური მოდგმის ტომები ერთვებიან აფხაზეთისა და ოდიშის სამთავროებს შორის ბრძოლაში. როგორც დავინახეთ, აფხაზი მთავრები შარვაშიძეები, აღნიშნულ ტომებს იყენებენ ოდიშის მეფეთა წინააღმდეგ გამოსვლებში. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ყველანაირი ტერიტორიული ცვლილება (იგულისხმება აფხაზთა სამთავროს საზღვრის მდინარე ენგურზე გადმონაცვლება) ოდიშისა და აფხაზეთის სამეფო-სამთავროებს შორის ხდება სწორედ აღნიშნული შიდაპოლიტიკური ბრძოლების ფარგლებში.

ცხინვალის რეგიონში განვითარებული მოვლენები ამ პერიოდში საერთოს პოულობს აფხაზეთში მიმდინარე პროცესებთან. საქართველოს ტერიტორიაზე ჩრდილოეთ კავკასიიდან ხალხთა ჯგუფების მიგრაციის კუთხით. XV-XVI საუკუნეში დვალეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიაზე ჩნდება ოსთა პირველი დასახლებები. მოგვიანებით, XVII-XVIII საუკუნეებში, ქართულ სამეფოებში შექმნილი მძიმე დემოგრაფიული და სოციალური ვითარების გათვალისწინებით, თავად ქართველი მეფეები

გვევლინებიან ოსთა საქართველოს მიწაზე დასახლების ინიციატორებად, თუმცა, კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ XVIII ს-ის მიწურულს და XIX საუკუნის დამდეგს ოსური დასახლებები გვხვდება მხოლოდ და მხოლოდ შიდა ქართლის მთიან მხარეში – ე. ი. მომავალი ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში.

ამგვარად, კოსოვოს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ისტორიის მიმოხილვა უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე გვაჩვენებს, რომ: **ა) ამ პერიოდში აღნიშნულ რეგიონებში თანამედროვე კონფლიქტების ნიშნები ჯერ კიდევ არ არის შესამჩნევი; ბ) სამივე რეგიონი აღნიშნულ ისტორიულ პერიოდში, როგორც ვხედავთ, განსხვავდება ერთმანეთისგან ეთნო-კულტურული და დემოგრაფიული ისტორიული პროცესების დინამიკით.**

შესაბამისად, უნდა დავასკვნათ, რომ უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე კოსოვოს, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონებში მიმდინარე მოვლენებისა და ტენდენციების სახით საქმე გვაქვს სამ სხვადასხვა რეგიონთან განსხვავებული ისტორიული განვითარების თავისებურებებით. მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ისტორიის მიმოხილვა არაერთ განსხვავებას გვაჩვენებს არა მხოლოდ კოსოვოს რეგიონის, არამედ თავად ერთმანეთთან მიმართებაშიც, რაც ცხადყო ზემოაღნიშნულმა ისტორიულმა მიმოხილვამ.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში კოსოვოს, აფხაზეთისა და ცხინვალის თანამედროვე კონფლიქტური რეგიონების ტერიტორიაზე დაპირისპირებისა და შიდა ეთნიკური კონფლიქტების ნიშნები სახეზე არ არის.

XIX საუკუნეში, კავკასიის რეგიონში რუსეთის იმპერიის გამოჩენის შემდეგ, მთელ რიგ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი, როგორც კოსოვოს, ასევე აფხაზეთისა და შიდა ქართლის ტერიტორიაზე. ამ პერიოდში ბალკანეთში უფრო და უფრო საგრძნობი ხდება ოსმალეთის იმპერიის საუკუნოვანი ბატონობის შედეგები, რაც კონკრეტულად ალბანური ეთნიკური ელემენტის გაძლიერების ხარჯზე სერბული ეთნიკური ელემენტის დათრგუნვას ითვალისწინებდა. მიუხედავად ამ ტენდენციისა, XIX საუკუნის განმავლობაში კოსოვოს მოსახლეობის უმეტესობას მაინც სერბები შეადგენენ.

XIX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, კოსოვოს ვილაიეთი პორტას დაქ-

ვემდებარებული ალბანელი ბეგების მიერ იმართებოდა. სერბული მოსახლეობის სიჭარბის მიუხედავად, კოსოვოს რეგიონის ქალაქები პრიზრენი და პეია, 1870-იანი წლების ბოლოს ალბანური ეროვნული მოძრაობის კერებად გვევლინება. სწორედ ამ ქალაქებიდან დაიწყო ალბანელთა ბრძოლა სახელმწიფოებრიობისთვის, რასაც მათ საბოლოოდ 1912 წელს მიაღწიეს. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ კოსოვოს ვილაიეთი ნაწილობრივ ექცეოდა ახლადშექმნილი ალბანური სახელმწიფოს შემადგენლობაში. მხოლოდ და მხოლოდ 1913 წლის ლონდონის კონფერენციის შემდეგ, რუსეთის იმპერიის დახმარებით მოხდა კოსოვოს სერბეთის სამეფოს შემადგენლობაში შეყვანა, მანამდე კი მთელი XIX საუკუნის მანძილზე და XX საუკუნის დასაწყისში, კოსოვოს რეგიონი მუდმივად ალბანელთა პოლიტიკურ-იდეოლოგიური პლატფორმის საყრდენად გამოიყენებოდა.

განსხვავებით კოსოვოსგან, არც აფხაზეთი და, მით უმეტეს, არც ცხინვალის რეგიონი, XIX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული არანაირი სხვა სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენდა გარდა ქართული სამეფო-სამთავროებისა, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით იქნა გაუქმებული 1801 წლის შემდგომ. მეტიც, იმპერიის ხელისუფლება აფხაზეთის სამთავროზე რუსული პროტექტორატის დამყარებას იმით ასაბუთებდა, რომ ის ისტორიულად საქართველოს ნაწილი იყო. რაც შეეხება ცხინვალის რეგიონს, ის ადმინისტრაციულადაც არ იყო ცალკე ერთეული და უმეტესწილად გორის მაზრის შემადგენლობაში შედიოდა.

თუკი XIX საუკუნის დასაწყისში ბალკანეთში საქმე გვაქვს სერბი ხალხის ბრძოლასთან საუკუნოვანი დამპყრობლის წინააღმდეგ (რომელიც საბოლოოდ სერბული სამეფოს შექმნით დასრულდა 1878 წელს), ხოლო საუკუნის მიწურულს კი უკვე ალბანელი ხალხის ეროვნულ მოძრაობასთან იმავე დამპყრობლისაგან თავის დასაღწევად, აფხაზეთის შემთხვევაში ჩვენ ვხვდებით ყოფილი ერთიანი ქართული სამეფოს ერთერთ სულისჩამდგმელ სამეფო-სამთავროს, რომელიც ამ პერიოდისთვის მთლიანად ქართული სახელმწიფოებრივი სამყაროს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. სერბთა და ალბანელთაგან განსხვავებით, აფხაზი და ქართველი ხალხი ახლადგამოჩენილი დამპყრობლის – რუსეთის – წინააღმდეგ მხარდამხარ იბრძოდა. აფხაზეთი, როგორც

განსახლების არეალი, ამ პერიოდში ქართველთა და აფხაზთა შორის უთანხმოების საკითხს არ წარმოადგენდა, ეს ორი ხალხი რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მხოლოდ და მხოლოდ ზოგადქართული სახელმწიფოებრივი ინტერესების სასიკეთოდ იბრძვის.

მსგავსი ვითარება გვაქვს ამ დროს შიდა ქართლშიც. რეგიონის მთიანეთში მოსახლე ოსები ქართველთა მხარდამხარ გამოდიან მეფის რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ. თუმცა პარალელურად, როგორც ვნახეთ, ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა ოსთა მარბიელი რაზმების თარეშებს ყოფილი ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე, რაც ქართველთა და ოსთა შორის ამ რეგიონში შექმნილ ვითარებას განასხვავებდა ქართულ-აფხაზური ურთიერთობებისგან.

განსხვავებით კოსოვოს ვილაიეთის ტერიტორიისგან, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიას XIX საუკუნის მანძილზე არც აფხაზთა და არც ოსთათვის ეროვნული მოძრაობის კერის ფუნქცია არ ჰქონია. რაც შეეხება ქართულ ეროვნულ მოძრაობას, უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში საქმე ზოგადქართულ მოვლენასთან გვქონდა, რომელიც საკუთარი იდეების განხორციელების ასპარეზად საქართველოს მთელს ტერიტორიას მოიაზრებდა და არა რომელიმე კონკრეტულ რეგიონსა თუ მხარეს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია რუსეთის როლი აფხაზეთსა და შიდა ქართლში კონფლიქტების ჩამოყალიბების კუთხით, რის საფუძველზეც მარტივად ვასკვნით, რომ აფხაზური და ოსური სეპარატისტული შეხედულებების გაღვივების საქმეში ჯერ მეფის, ხოლო მოგვიანებით საბჭოთა რუსეთის როლი უზარმაზარია.

სხვაგვარი სახე ჰქონდა რუსეთის ჩარევას ბალკანეთის რეგიონის მოვლენებში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რომლის შედეგებიც განსაკუთრებით საგრძნობი ხდება 1877-1878 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ. სწორედ ამ ომის დამამთავრებელი სან-სტეფანოს ზავის მიხედვით მოიპოვა სერბეთის სამეფომ დამოუკიდებლობა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღოდა „ბალკანური ქრისტიანობის მფარველს“ მეფის რუსეთის იმპერიას. სერბეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, კოსოვოს რეგიონის საკითხმა გაცილებით უფრო ფართო საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტებთან შედარებით.

XX საუკუნის დასაწყისში, ბალკანეთში მიმდინარე მოვლენების გამო, კოსოვოს რეგიონის ნაწილი და ზოგადად სერბი და ალბანელი ხალხის დაპირისპირება სრულიად ახალ ისტორიულ ეტაპზე გადავიდა. 1908 წელს სულთნის ხელისუფლების დამხობისა და ოსმალეთის იმპერიის სათავეში „ახალგაზრდა თურქთა“ მოსვლის შემდგომ, გააქტიურდა ალბანელთა ეროვნული მოძრაობა, რომელიც 1912 წელს ალბანელთა პირველი სახელმწიფოს შექმნით დასრულდა.

ახლადშექმნილი ალბანეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შეყვანილ იქნა კოსოვოს რეგიონის ნაწილი. ამასთან ერთად, თავად ალბანეთის სახელმწიფოს შექმნის ფაქტი დაკავშირებულია იმდროინდელი გლობალური, მსოფლიო პოლიტიკის ორი დიდი ბანაკის – სამთა კავშირისა და ანტანტის – დაპირისპირებასთან. შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში ყოფილი კოსოვოს ვილაიეთის ნაწილს ალბანეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში ჩართვა იმ დიდი პოლიტიკური გეგმის ნაწილი იყო, რითაც სამთა კავშირის ბლოკის ქვეყნები – გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია – მოქმედებდნენ ანტანტის ბლოკის ქვეყნების – საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და სერბეთის მოკავშირე რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონები, როგორც აღვნიშნეთ, ამ დროს მეფის რუსეთის მიერ ოკუპირებულ, ახალ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს წარმოადგენდნენ, ასევე ოკუპირებული, ყოფილი ერთიანი ქართული სამეფოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, განსხვავებით კოსოვოს ვილაიეთისგან, რომელიც XX საუკუნის პირველი დეკადის მიწურულს, მნიშვნელოვან ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენს დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე, თანამედროვე ქართული კონფლიქტური რეგიონები იმ დროისთვის ფაქტობრივად არანაირ პოლიტიკურ როლს არ ასრულებდნენ რეგიონალურ ან, მით უმეტეს, მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე.

იმავე დიდი პოლიტიკური თამაშის ნაწილად გვევლინება 1913 წლის ლონდონის კონფერენციის შემდეგ, ყოფილი კოსოვოს ვილაიეთის გადაცემა სერბეთის სამეფოსთვის, სადაც ჯერ კიდევ 1903 წლიდან მოყოლებული, ტახტზე კარაჯორჯევიჩების მმართველი დინასტია იჯდა. სერბეთის მეფე პეტრე კარაჯორჯევიჩი საკუთარ საგარეო პოლიტიკაში მკვეთრ პრორუსულ კურსს ატარებდა, რისი პირდაპირი შედე-

გიც იყო მეფის რუსეთის ძალისხმევა ლონდონის კონფერენციაზე კოსოვოს სერბეთის სამეფოსათვის გადაცემის თაობაზე.

პირველი მსოფლიო ომის დასრულებისა და ოსმალთა იმპერიის დაშლის პროცესში, ბალკანეთში შეიქმნა სერბთა, ხორვატთა და სლოვენთა სამეფო. აღნიშნული სლავური სამეფოს ლიდერად მიიჩნეოდა სერბეთის სამეფო. ომის დასრულების შემდგომ შექმნილი ახალი პოლიტიკური რეალობის გამოისობით, რომლის მიხედვითაც სერბები გამარჯვებულთა ბანაკში მოხვდნენ, კოსოვოს რეგიონი ექცეოდა სერბეთის შემადგენლობაში.

საკითხავია, თუ როგორ შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო კოსოვოს ბედი იმ შემთხვევაში, თუ გერმანია და ავსტრია-უნგრეთი პირველი მსოფლიო ომიდან გამარჯვებულები გამოვიდოდნენ, რადგან როგორც ამ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რეგიონის ბედს დიდწილად საერთაშორისო პოლიტიკური კონიუნქტურა განსაზღვრავდა. თუკი საერთაშორისო ასპარეზზე მოვლენები სერბეთისა და მისი დიდი მოკავშირის – რუსეთის იმპერიის სასიკეთოდ იცვლებოდა, კოსოვო ჩვეულებრივ სერბეთის შემადგენლობაში ექცეოდა, როგორც ეს მოხდა 1913 და 1918 წლებში, ხოლო თუკი ვითარება სერბების საზიანოდ შეიცვლებოდა, ეს კოსოვოს რეგიონზეც აისახებოდა აღნიშნული რეგიონის დაყოფითა თუ მისი ალბანელთათვის გადაცემით, რასაც ადგილი ჰქონდა 1912 და 1916 წლებში.

აფხაზური და ოსური სეპარატიზმის საწყისებთან, როგორც ვხედავთ, მეფის რუსეთის და შემდგომში საბჭოთა რუსეთის იმპერია დგას. სწორედ რუსული ადმინისტრაციის პირობებში ხდებოდა, როგორც აფხაზთა, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ოსთა იდეოლოგიური შემზადება საქართველოსა და ქართველთა წინააღმდეგ გამოსვლისთვის. ამის ნათელი მაგალითია 1862 წელს აფხაზთათვის რუსული გრაფიკის საფუძველზე შექმნილი დამწერლობა და 1907 წელს ლ. ვორონოვის ავტორობით გამოსული წიგნი „აფხაზეთი საქართველო არ არის“.

მსგავს პოლიტიკურ ქმედებებს ჰქონდა ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებული ოსების მიმართაც. 1843 წელს ოსეთის სამხედრო ოლქის შექმნით მეფის რუსეთის ადმინისტრაციამ აღნიშნულ ტერიტორიაზე მომავალში ოსთა განსახლების პოლიტიკური ატმოსფეროს მომწიფების წინაპირობა შექმნა, თუმცა ის გაუქმე-

ბამდეც (1859 წ.) თბილისის გუბერნიის ფარგლებში იყო.

აფხაზეთისა და შიდა ქართლის მიმართ კოლონიალურმა პოლიტიკამ უფრო მკვეთრი ფორმა მიიღო რუსეთის ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ. როგორც დავინახეთ, ე.წ. „რევოლუციური კომიტეტების“ შექმნით, საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა საკუთარი უკანონო ქმედებების „ლეგიტიმაციას“ საქართველოს ტერიტორიაზე და ამისათვის აქტიურად იყენებდა ამ დროისთვის უკვე საკმარისად გაღვივებულ სეპარატისტულ ტენდენციებს აფხაზებსა და ოსებში.

საერთაშორისო მოვლენებში ჩართულობის თვალსაზრისით, კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებს შორის მკვეთრი განსხვავება გვაქვს XX საუკუნეშიც. კოსოვოში მიმდინარე მოვლენები მეოცე საუკუნის მანძილზე დინამიურობით გამოირჩევა. საერთაშორისო მდგომარეობისა და ბალკანეთის გარშემო შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარების მიხედვით, რეგიონში პოლიტიკური ვითარება ელვის სისწრაფით იცვლება. ამის ნათელი მაგალითია კოსოვოელი ალბანელების 1921 წლის პეტიცია ერთა ლიგის მიმართ, რომელშიც ისინი ალბანურ სახელმწიფოსთან გაერთიანების მოთხოვნით გამოდიან. თუკი შევხედავთ ამ დროს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას და შევადარებთ მას კოსოვოს გარშემო შექმნილ მდგომარეობას, დავინახავთ, რომ აფხაზი და ოსი სეპარატისტების ძალისხმევის მაქსიმუმს ამ პერიოდში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რევოლუციური-სეპარატისტული აქტივობა წარმოადგენს. ამ აქტივობის მასშტაბების გაფართოების არეალი კი, ბუნებრივია, ამ პერიოდში რუსეთისა და ახლად შექმნილი სსრ კავშირის სახელმწიფო ინტერესებს არ სცდება. ზედმეტია საუბარი ერთა ლიგის მასშტაბებზე.

ამ კუთხით, კოსოვოსთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ, ისევე, როგორც XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, პრაქტიკულად მთელი XX საუკუნის მანძილზე კოსოვოს გარშემო განვითარებულ მოვლენებზე პირდაპირ გავლენას ახდენს ზოგადად ბალკანეთის რეგიონის გარშემო შექმნილი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება. ამის დასტურად, ზემოაღნიშნული ისტორიული მიმოხილვიდან შეგვიძლია გავიხსენოთ კოსოვოს ისტორიის ერთგვარი პერიოდიზაცია, რომელიც ძალზედ ზოგად და პირობით ხასიათს ატარებს, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც

თვალშისაცემია. კოსოვოს ისტორია 1918-1945 წლებში, ფაქტობრივად ორ ნაწილად იყოფა: 1918-1941 წლები, კოსოვოში სერბული გავლენის გაძლიერების პერიოდია, ხოლო 1941-1944 წლებში, საერთაშორისო პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით, ეს უპირატესობა ალბანელთა მხარეს გადაინაცვლებს.

საქართველოს თანამედროვე კონფლიქტური რეგიონების ტერიტორიებზე მიმდინარე მოვლენები, კოსოვოსთან შედარებით, უფრო მეტ სტატიკურობას ავლენს, რადგან ამ რეგიონებში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას მთლიანად მართავს კრემლი. 20-იანი წლებიდან მოყოლებული, აფხაზეთში, ისევე, როგორც სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სახეზე გვაქვს აშკარა ანტიქართული სეპარატისტული გამოსვლები, რომლებიც პირდაპირ შედიოდა მოსკოვის ინტერესებში და, შესაბამისად, პირდაპირ იმართებოდა მოსკოვიდან. საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა რუსეთის იმპერიული გეგმების ნათელი მაგალითია პაველ სიტინის მისია. იმპერიული ცენტრიდან მიღებული დირექტივების თანახმად ტარდებოდა საბჭოთა იმპერიის მასშტაბით ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო რეფორმები 30-40-იან წლებში.

აღნიშნულ პერიოდში ერთი საინტერესო „მსგავსება“ იჩენს თავს ერთა ლიგის მიმართ კოსოვოელი ალბანელების 1921 წლის პეტიციასა და ჩრდილოეთ ოსების 1925 წლის გეგმას შორის, რომელიც კავკასიონის ქედის სამხრეთითა და ჩრდილოეთით მოსახლე ოსების გაერთიანებას გულისხმობდა. ერთი შეხედვით, ამ მოთხოვნით, თითქოს ოსებიც ალბანელების მსგავსად, ითხოვდნენ საკუთარ „ისტორიულ სამშობლოსთან“ შეერთებას, თუმცა, ამ შემთხვევაშიც სახეზეა მთავარი განსხვავებები. თუკი ალბანელები კოსოვოს რეგიონის შეერთებას მოითხოვდნენ ალბანურ სახელმწიფოსთან, ოსები ჩრდილოეთ და „სამხრეთ ოსეთის“ გაერთიანებას მოითხოვდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. ამასთან ერთად, უმნიშვნელოვანესი განმასხვავებელი ფაქტორია თავად ალბანეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის, როგორც „სახელმწიფოების“ (ჩრდილოეთ ოსეთის შემთხვევაში) შედარების საკითხი. თუკი ალბანური სახელმწიფო ოფიციალურად საერთაშორისო დონეზე იყო აღიარებული, ჩრდილოეთ ოსეთის შემთხვევაში საქმე გვაქვს დღემდე რუსეთის ფედერაციაში შემავალ ტერიტორიულ ერთეულზე, რაც თავის მხრივ, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ოსების პოლიტიკური მოთხოვნების ბუნებას, რომელიც პირდაპირ

კავშირშია რუსულ პოლიტიკურ ინტერესებთან.

ჩვენი საკვლევი თემის თვალსაზრისით, XX საუკუნის 70-იანი წლები ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო მონაკვეთს წარმოადგენს. ამ დროს ადგილი ჰქონდა მთელ რიგ კონსტიტუციურ და პოლიტიკურ ცვლილებებს, როგორც კოსოვოს, ისე აფხაზეთის მიმართებაში.

1969 წელს სერბების მიერ შემუშავდა კონსტიტუცია კოსოვოს ავტონომიისათვის, რის მიხედვითაც, რეგიონის სტატუსი „პროვინციამდე“ ამაღლდა. 1974 წლის იუგოსლავიის სფრ-ს ახალი კონსტიტუციით კი სერბეთის შემადგენლობაში შემავალ ავტონომიურ ერთეულებს, პრაქტიკულად ფედერალურ უფლებებს ანიჭებდა, მათ შორის, ვეტოს უფლებით მთელ რიგ საკანონმდებლო საკითხებზე. ამასთან ერთად, მოხდა ალბანელთა მდგომარეობის გაუმჯობესება ჯანდაცვის, სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა მიმართულებებით.

დაახლოებით მსგავს ვითარებასთან გვაქვს საქმე ამ პერიოდში აფხაზეთში. საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში შემავალ აფხაზეთის ასსრ-სთვის 70-იანი წლები ნამდვილად მაქსიმალური თავისუფლებებისა და პრივილეგიების ხანად უნდა ჩაითვალოს. თუმცა 1977-1978 წლების საკონსტიტუციო რეფორმების შედეგად, სეპარატისტები მაინც უკმაყოფილებას გამოხატავდნენ საქართველოს სსრ-ს მიმართ და უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე, უკვე მესამედ ითხოვდნენ საქართველოს სსრ-ს შემადგენლობიდან გამოსვლას და კრასნოდარის მხარესთან შეერთებას.

ამგვარად, 70-იანი წლები კოსოვოსა და აფხაზეთის რეგიონებში შექმნილი ვითარების თვალსაზრისით გარკვეულ საერთო შტრიხებს ავლენს. აფხაზეთის მსგავსად, კოსოვოელი ალბანელებისთვისაც არ იყო საკმარისი ყველა ის დათმობა, რასაც ადგილი ჰქონდა სერბული მხარისგან.

ამ საერთო შტრიხის ხაზგასმასთან ერთად, ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ფაქტორი კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტური რეგიონების შედარებითი ანალიზის ფარგლებში. ამ შემთხვევაში მკაფიოდ უნდა განვსაზღვროთ თავად სერბეთის როლი იუგოსლავიის ფედერაციასა და კოსოვოსთან მიმართებით და საქართველოს როლი სსრკ-სა და აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიებთან მიმართებით.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, იუგოსლავური ფედერაცია ტიტოს პერიოდში მეტნაკლებად ეთნიკური ბალანსის პრინციპზე იყო აგებული და ამოსავალ წერტილად კონკრეტულ ეროვნულ შეხედულებებზე მაღლა, სწორედ ამ ბალანსს აყენებდა. ვითარება რადიკალურად შეიცვალა ტიტოს გარდაცვალების შემდეგ, როდესაც სერბეთი უკვე იუგოსლავიის ფედერაციული ერთობის შენარჩუნების ინიციატორად გვევლინება. რაც ყველაზე მთავარია, ფედერაციული ერთობა სერბეთისთვის ამ ეტაპზე უკვე პირდაპირ იყო დაკავშირებულ „დიდი სერბეთის“ შექმნის ეროვნულ იდეასთან.

ამ შემთხვევაში, მკაფიო განსხვავება გვხვდება თვალში სსრ კავშირის ფარგლებში საქართველოს სსრ-ს როლსა და იუგოსლავიის ფედერაციაში სერბეთის როლს შორის. საქართველოს სსრ 80-იანი წლებიდან მოყოლებული საკუთარი დამოუკიდებლობისთვის, საბჭოთა იმპერიის მარწუხებისგან თავის დაღწევისთვის იბრძვის და არა სსრ კავშირის შენარჩუნების ინიციატივით.

სწორედ ზემოაღნიშნული ფაქტორის გამო, XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან, სერბეთისა და საქართველოს პოლიტიკური პოზიციებისა და ქმედებების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ორი სხვადასხვა მისწრაფებისა და მიზნების მქონე ქვეყნებთან. სერბეთი, ამ კუთხით, უფრო მეტ მსგავსებას ავლენს სსრკ-ს სამართალ მემკვიდრე რუსეთის ფედერაციასთან, ვიდრე საქართველოსთან. სხვა ფაქტორებთან ერთად, სწორედ ეს ფაქტორი წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის მიერ სერბეთის უპირობო პოლიტიკური თუ სხვა სახის მხარდაჭერის ერთ-ერთ საფუძველს, რაც მკაფიოდ იკვეთება რუსი ავტორების (ე. გუსკოვა, ა. მანაჩინსკი და დ. დენისოვი და სხვ.) ნარატივებით.

XX საუკუნის 80-90-იანი წლებისთვის კოსოვოში, ისევე როგორც საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში, ვითარება უფრო და უფრო იძაბებოდა, რაც დიდწილად იუგოსლავიისა და სსრკ-ს დაშლის პროცესით იყო განპირობებული. შექმნილ ვითარებაში, ბალკანეთსა და კავკასიაში მთავარ განმასხვავებელ ფაქტორებად, პირველ რიგში, სერბული და ქართული სახელმწიფოს პოლიტიკა გვევლინება. თუკი ამ პერიოდში სერბეთი, ფედერალური მასშტაბითაც ახერხებდა კოსოვოს რეგიონზე ზემოქმედებას, საქართველოს შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს იმპერიის ნაწილთან, რომელიც თავად განიცდის ზემოქმედებას ცენტრიდან, ხოლო ეს უკანასკნელი კი თავად

წარმოადგენს დირიჟორს საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში მიმდინარე მოვლენების განვითარებაში.

კოსოვოს შემთხვევაში, სერბულ მხარეს, კოსოვოელ ალბანელებზე ზემოქმედების გაცილებით მეტი ბერკეტი (როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო) გააჩნდა, რადგან სერბეთი თავად წარმოადგენდა ფედერაციული იუგოსლავიის ერთიანობის მთავარ გამწევ ძალას. არ არსებობდა არანაირი მესამე ძალა, რომელიც სერბეთის ტერიტორიაზე განათავსებდა სამხედრო ნაწილებს და სერბ და ალბანელ ხალხს შორის კონფლიქტის ისეთივე გამჩაღებლის როლს შეასრულებდა, როგორც კრემლმა შეასრულა აფხაზებს, ოსებსა და ქართველებს შორის.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში, ბალკანეთში იუგოსლავიის ფედერაციისა და კავკასიაში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილი მსოფლიო პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, როგორც დავინახეთ, ცხადი იყო, რომ ეს რეგიონები საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების მიღმა ვერ მოექცეოდნენ. ყველაფერი დამოკიდებული იყო პოლიტიკურ პრიორიტეტებზე, რაც დიდწილად განსაზღვრავდა დიდ სახელმწიფოთა მიერ კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში პოლიტიკური თუ სხვა სახის ჩარევის ალბათობასა და შესაძლებლობას.

ამ პერიოდში, როგორც ბალკანეთში, ასევე კავკასიაში მიმდინარე მოვლენების ანალიზს მივყავართ ერთ მარტივ დაკვირვებამდე – სერბეთისა და რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესები იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არაერთ მსგავსებას ჰპოულობს ერთმანეთთან. ორივე სახელმწიფო აქტიურად იბრძვის იმ ფედერაციული ერთობის შესანარჩუნებლად, რომლის დაშლის შემდეგაც მათი გავლენა ყოფილი ფედერაციის მასშტაბით საგრძნობლად მცირდება. სწორედ ამიტომ, არავითარ გაკვირვებას არ იწვევს ის ფაქტი, რომ რუსეთი ამ პერიოდში მილოშევიჩის სერბეთის მხარდამჭერად გვევლინება.

აღნიშნული პერიოდი რუსეთის ფედერაციისთვის საკმაოდ მძიმე ეკონომიკური კრიზისის ხანას წარმოადგენდა, რაც მეტწილად განაპირობებდა რუსეთის შედარებით პასიურობას საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზე. შექმნილ ვითარებაში, დასავლეთის მიერ მილოშევიჩის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი პოლიტიკური თუ სამხედრო ღონისძიება რუსეთის უკიდურეს უკმაყოფილებას იწვევდა, რადგან აშშ-სა და

მათი მოკავშირეების პოზიციების მოძლიერება ბალკანეთში იმთავითვე ნიშნავდა რუსეთის პოზიციების შესუსტებას რეგიონში, სადაც რუსეთი წარმოდგენილი იყო 200 წლის განმავლობაში.

კოსოვოს კონფლიქტში დასავლეთის ჩართულობაზე საუბრისას აღსანიშნავია ყველა ის დიპლომატიური ღონისძიება, რაც უშუალოდ NATO-ს საჰაერო მოქმედებების დაწყებას უძღოდა წინ. 1998 წლის განმავლობაში გაერო-ს მიერ სამი რეზოლუცია – 1160, 1199 და 1203 – იქნა მიღებული სერბებსა და ალბანელებს შორის შექმნილი კონფლიქტური ვითარების მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალისხმევით ჩატარდა რამბუიეს კონფერენცია პარიზში 1999 წლის თებერვალ-მარტში, რომელიც, ზემოაღნიშნული რეზოლუციების მსგავსად, არაფრის მომტანი აღმოჩნდა კოსოვოში მშვიდობის დამყარების თვალსაზრისით. საბოლოოდ, NATO-ს საჰაერო კამპანიის დაწყებამდე ორი დღით ადრე 1999 წლის 22 მარტს რიჩარდ ჰოლბრუკმა კიდევ ერთხელ სცადა მოლაპარაკება სლობოდან მილოშევიჩთან, რომელიც ასევე უშედეგოდ დასრულდა. მხოლოდ ამ მცდელობების შემდეგ – 24 მარტს დაიწყო სამხედრო მოქმედებები იუგოსლავიის (რომელიც ამ პერიოდში ძირითადად სერბეთისა და მონტენეგროს ნაწილებისგან შედგებოდა) წინააღმდეგ.

რუსეთი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა NATO-ს სამხედრო მოქმედებებს იუგოსლავიის წინააღმდეგ. კრემლი უკმაყოფილებას გამოთქვამდა ასევე გაერო-ს 1244-ე რეზოლუციის მიმართ, რომელიც 1999 წლის 10 ივნისს იქნა მიღებული. ამ რეზოლუციის მიხედვით, კოსოვოში ვითარების სტაბილიზაციაზე პასუხისმგებლობა უნდა აეღო გაერო-ს, ეუთო-სა და NATO-ს ორგანიზაციებს. კრემლის უკმაყოფილების მთავარ მიზეზს ამ შემთხვევაში ის ფაქტი წარმოადგენდა, რომ KFOR-ის ძალებთან ერთად, რუსეთს ცალკე საკონტროლო სექტორი არ გამოეყო კოსოვოს ტერიტორიაზე. ამგვარად, შექმნილ ვითარებაში, მოსკოვი პრაქტიკულად გაერო-ს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წინააღმდეგ იბრძოდა კოსოვოში საკუთარი გავლენის მოსაპოვებლად. ამ ბრძოლის ერთ-ერთი მაგალითი იყო 1999 წლის 11 ივნისის, პრიშტინას აეროდრომის ინციდენტი, რომელშიც კიდევ ერთხელ, მკაფიოდ გამოიკვეთა რეალური რუსული ინტერესები კოსოვოს კონფლიქტთან მიმართებაში.

კრემლის მხრიდან, კოსოვოს მიმართ დასავლეთის მიერ განხორციელებული

პოლიტიკური თუ სამხედრო მოქმედებების კრიტიკა უკიდურესად ირონიულ ხასიათს იღებს როგორც კი მოსკოვის მიერ კოსოვოს მოვლენებამდე რამდენიმე წლით ადრე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განხორციელებული მოვლენების ანალიზს შევუდგებით. როგორც ვნახეთ, გარდა პირდაპირი სამხედრო ჩარევისა ცხინვალის რეგიონში, ისევე, როგორც აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში, რუსულმა მხარემ დიპლომატიურ ასპარეზზეც გამოიჩინა თავი საქართველოსთან მიმართებაში – 1992 წლის 3 სექტემბრის, 1993 წლის 14 მაისისა და 1993 წლის 27 ივლისის ხელშეკრულებების გაფორმებით. სწორედ ამ ხელშეკრულებების წყალობით იქნა მიღწეული ქართული მხარის განიარაღება, რამაც აფხაზი სეპარატისტებისა და კრემლის სამხედრო გამარჯვებას ჩაუყარა საფუძველი. ომის შემდგომ, 1994 წლის 14 მაისის ხელშეკრულებით, რუსულმა მხარემ განამტკიცა საკუთარი სამხედრო წარმომადგენლობა აფხაზეთში.

ამგვარად, მთავარ განსხვავებას კოსოვოს კონფლიქტში დასავლეთის ჩართულობასა და აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთის ჩართულობას შორის წარმოადგენს თავად ამ ჩართულობის ბუნება. დოკუმენტების ზედაპირული მიმოხილვაც კი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ კოსოვოს კონფლიქტში და, ზოგადად, ბალკანეთის რეგიონში მიმდინარე მოვლენებში დასავლეთის ჩართულობის გაცილებით ფართო, საერთაშორისო ხასიათი, მაშინ როდესაც აფხაზეთსა და ცხინვალში საერთაშორისო ჩართულობას პრაქტიკულად ადგილი არ ჰქონია. აქ მთავარ მოთამაშეს კრემლი წარმოადგენდა, რომელიც ყველა გზით ცდილობდა პოლიტიკური გავლენის შენარჩუნებასა და განმტკიცებას ქართულ სახელმწიფოზე. საქართველოს დსთ-სთან შეერთებით მოსკოვმა ამ მიზანს გარკვეულწილად მიაღწია.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში მოსკოვს არ გახსენებია საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობისა და ურღვევობის შესახებ, რომელზეც მოგვიანებით, კოსოვოს შემთხვევაში, მუდამ აპელირებდა სერბეთის ტერიტორიული მთლიანობის „დაცვის“ სასარგებლოდ. ამ კუთხით, ძალზე საინტერესოა მოსკოვის დამოკიდებულება სერბეთისა და საქართველოს სახელმწიფოებთან. თანამედროვე რუსული პოლიტიკური რიტორიკიდან გამომდინარე, თუკი კოსოვოსთვის არის შესაძლებელი, მაშინ აფხაზე-

თისა და „სამხრეთ ოსეთისთვისაც“ შესაძლებელია, რადგან, კრემლისთვის ორივე კონფლიქტი ერთსა და იმავე ბუნებას ატარებს. ამ შეხედულების გათვალისწინებით ერთი მეტად საინტერესო ასპექტი იჩენს თავს.

რუსული არგუმენტის მიხედვით, თუკი კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქ-ტური რეგიონების კონფლიქტების ერთ ისტორიულ, პოლიტიკურ თუ სამართლებ-რივ ჭრილში განხილვა შესაძლებელია, მაშინ, ლოგიკურად გამოდის, რომ სერბეთი და საქართველო წარმოადგენენ ქვეყნებს, რომელთა ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხელყოფა მოხდა კოსოვოს, აფხაზეთისა და ცხინვალის ე.წ. „და-მოუკიდებლობის“ გამოცხადებით. თუ ასეა, მაშინ ჩნდება ასევე ლოგიკური კითხვა: თუკი მოსკოვის მიერ სლობოდან მილოშევიჩის რეჟიმის მხარდაჭერის „არგუმენტი“ შეიძლებოდა ყოფილიყო სერბეთის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტე-ტის დაცვა, მაშინ რატომ იწვევდა კრემლის უკმაყოფილებას საქართველოს ყველა მთავრობა 1991 წლიდან დღემდე, რომლებიც მეტნაკლებად ყველა შესაძლო მეთოდე-ბით ცდილობდნენ დაეცვათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერე-ნიტეტი? თუკი ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძესა და მიხეილ სააკაშვილს „ბრალი ედებოდათ“ აფხაზი და ოსი ხალხის გენოციდში და სწორედ ამიტომ იბრძო-და კრემლი საქართველოს წინააღმდეგ სეპარატისტების მხარეს, მაშინ როგორ მოხდა რომ ალბანელი ხალხის გენოციდში რეალურად დამნაშავე მილოშევიჩი კრემლის-თვის, ქართველი ლიდერებისგან განსხვავებით, მისაღებ კანდიდატად მიიჩნეოდა და მხარდაჭერითაც სარგებლობდა?

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ კრემლის მიერ დასავლე-თის მისამართით გაჟღერებული ბრალდება პოლიტიკაში „ორმაგი სტანდარტებით“ მოქმედების შესახებ, პირველ რიგში, თავად მოსკოვის მისამართით უნდა იყოს გაჟ-ღერებული, რადგან აშკარაა, რომ საკუთარი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდი-ნარე, მოსკოვი ბრმად უგულებელყოფდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობ-ის დაცვის პრინციპს სერბეთის სახელმწიფოს მიმართ იმავე პრინციპის ასევე ბრმად დაცვის პარალელურად.

ამგვარად, კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტური რეგიონების მიმართ რუ-სულ პოლიტიკურ შეხედულებას არანაირი საერთო არ აქვს თანამედროვე საერთაში-

რისო სამართლებრივ პრინციპებთან და იგი მთლიანად გამომდინარეობს კრემლის პოლიტიკური ინტერესებიდან.

ამასთან ერთად, კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებს შორის შედარებით ანალიზზე საუბრისას აღსანიშნავია, რომ კოსოვოში, როგორც სერბეთის ავტონომიაში, 1980-90-იანი წლების დასაწყისში მესამე ძალის სამხედრო ნაწილები არ ყოფილან განლაგებული. ტერიტორია იმართებოდა და კონტროლდებოდა ოფიციალური ბელგრადიდან. 1998 წლამდე, კოსოვოს რეგიონში დაპირისპირება ხდება ორ, სერბულ და ალბანურ მხარეებს შორის, ხოლო 1998 წლის შემდეგ უკვე არა ერთი რომელიმ კონკრეტული მესამე ძალა, არამედ გაერო ჩაერთო კონფლიქტში ვითარების დასტაბილურების მიზნით.

საქართველოს კონფლიქტური რეგიონების შემთხვევაში, სამწუხაროდ, ამგვარ საერთაშორისო ჩართულობას იმ პერიოდში ადგილი არ ჰქონია. ოფიციალური კრემლიდან ხდებოდა როგორც აფხაზი, ასევე ოსი სეპარატისტების ყველა მოქმედების კოორდინირება საქართველოს წინააღმდეგ. 2000-იანი წლებიდან მოყოლებული კრემლი ახალი სამხედრო ბაზის შენებას შეუდგა ჯავას რეგიონში, ხოლო 2008 წლის აპრილში კი აფხაზეთში დაიწყო რკინიგზის რეაბილიტაცია სამხედრო მიზნით.

გარდა ამისა, თავად 1999 წლის NATO-ს იუგოსლავიური კამპანია, საკუთარი არსით, შესაძლოა, არ იყოს გამართლებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დაცვის თვალსაზრისით, თუმცა უფრო მეტად გაუმართლებელი და უსაფუძვლოა კრემლის მცდელობა, საკუთარი ინტერვენცია საქართველოს ტერიტორიაზე „გაამართლოს“ NATO-ს მოქმედებებზე აპელირებით. განსხვავებით საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ინტერვენციისგან, NATO-ს საჰაერო მოქმედებებს იუგოსლავიის ტერიტორიაზე სახმელეთო მოქმედებები და ამასთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა არ მოჰყოლია.

რუსეთის მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განხორციელებული რუსიფიკატორული პოლიტიკის გათვალისწინებით, კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი განსხვავება იკვეთება კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტურ ტერიტორიებზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. საომარი მოქმედებების შემდეგაც კი, დასავლეთის პოლიტიკა კოსოვოს მიმართ რადიკალურად განსხვავებულ ხასიათს

ატარებდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსულ პოლიტიკასთან შედარებით. ფაქტია, რომ არცერთი დასავლური სახელმწიფოს ინტერესებში არ ყოფილა კოსოვოს რეგიონის ასიმილაცია ან მისი შეერთება.

ცალკე განხილვის საგანია დასავლური პოლიტიკური წრეების არათანმიმდევ-რულობა კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში. ჩვე-ნი აზრით, დასავლეთის პოლიტიკა ამ კონფლიქტების მიმართ სწორედ ერთ სიბრ-ტყეში უნდა ყოფილიყო განხილული. აშშ-სა და მათი მოკავშირეებს იმთავითვე უნდა განეჭვრიტათ ავტონომიური ერთეულისთვის სახელმწიფოს სტატუსის მინიჭების პრეცედენტის მნიშვნელობა და ამ მოვლენის შესაძლო ასახვა აფხაზეთსა და ცხინვა-ლის რეგიონზე და მათ მსგავს სხვა კონფლიქტებზე მსოფლიოს მასშტაბით. გარდა ამ-ისა, მათ, როგორც მინიმუმ, მზაობა უნდა ჰქონოდათ რუსეთის მხრიდან კოსოვოს სა-კითხით სპეკულირების შემთხვევაში კრემლისთვის პასუხის გასაცემად.

ამ შემთხვევაში დასავლეთის მხრიდან მნიშვნელოვანი იყო იმის განჭვრეტა, თუ როგორ აღიქვამდა კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას კრემლი და რა საპა-სუხო ნაბიჯებს გადადგამდა დასავლეთისთვის პასუხის გაცემის კუთხით პუტინის რეჟიმი. 2000-იანი წლების ბოლოს ამ პასუხად რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი მოგვევლინა, ხოლო 2014 წლიდან კი – უკვე უკრაინის კრიზისი. ამიტომაც, 2008 წლის თებერვალში კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან ერთად აუცილებელი იყო დასავლეთის მხრიდან ამ ნაბიჯზე რუსეთის შესაძლო რეაგირების საწინააღმდე-გო ზომებზე ფიქრი და ამ მიმართულებით მუშაობა აღმოსავლეთ ევროპის უსაფრ-თხოების კიდევ უფრო განსამტკიცებლად. ნაცვლად ამისა, როგორც უკვე ზემოთ აღ-ვნიშნეთ, დასავლეთის ქვეყნებმა თითქოს „ნახევარი საქმე“ გააკეთეს ბალკანეთიდან რუსეთის განდევნით და ამით რუსული ინტერვენციის საფრთხის გაზრდით კავკასი-აში და, მოგვიანებით, ევროპის მისადგომებთან – უკრაინაში.

ამგვარად, კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტური რეგიონების შედარები-თი ანალიზის კონტექსტში შეგვიძლია საბოლოოდ დავასკვნათ, რომ ამ კონფლიქტე-ბის სახით საქმე გვაქვს სხვადასხვა რეალობაში ჩასახულ და განვითარებულ სხვადას-ხვა ტიპის კონფლიქტებთან. ეს კონფლიქტები იქცნენ დაპირისპირების კიდევ ერთ სარბიელად დასავლეთისა რუსეთის პოლიტიკურ ბანაკებს შორის, რამაც მათი მნიშ-

ვნელობა ერთი ორად გაზარდა თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში.

წინამდებარე ნაშრომში არაერთხელ გაესვა ხაზი კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებს შორის არსებულ პარალელებსა და მათ ურთიერთდამოკიდებულებას. მიუხედავად იმისა, რომ კოსოვოს დღეისათვის უკვე ოფიციალური სახელმწიფოს სტატუსი აქვს, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს 100 ზე მეტი ქვეყნის მიერ არის აღიარებული, ხოლო აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ რეგიონების „დამოუკიდებლობას“ მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა აღიარებს, როდესაც საუბარი ეხება აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოებისა და რუსეთის საგარეო პოლიტიკის საკითხებს, პოლიტიკური კავშირი ამ კონფლიქტებს შორის ძალზედ საგრძნობია.

უფრო მეტიც, დღეს უკვე თამამად შეგვიძლია ვისაუბროთ კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომი პერიოდის მსოფლიოზე. ამ მოვლენის გამოძახილი განსაკუთრებით საგრძნობი გახდა რუსეთის სამეზობლოში, საქართველოსა და უკრაინაში. 90-იანი წლების ბოლოს, კოსოვოს კრიზისის პერიოდში, აშშ-მ და მათმა მოკავშირეებმა რუსეთს ერთგვარად აგრძნობინეს, თუ სად მთავრდებოდა რუსული პოლიტიკური იურისდიქცია და სად იწყებოდა დასავლური, რაზეც მოსკოვმა საკუთარ გავლენის სფეროში განხორციელებული ძალისმიერი მეთოდებით უპასუხა.

კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში XXI საუკუნის პირველ ათწლეულში განვითარებულ მოვლენებს პირდაპირ მივყავართ დასავლეთისა და რუსეთის პოლიტიკური პრიორიტეტების დაპირისპირებამდე. ამ პერიოდში ბალკანეთსა და კავკასიაში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ყველაფერი სწორედ ორი დიდი პოლიტიკური ძალის პრიორიტეტების მიხედვით დალაგდა. 2008 წელს დასავლეთისთვის მთავარ პოლიტიკურ პრიორიტეტს კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადება წარმოადგენდა. რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი პროტესტის შერბილების მიზნით კი, იმავე წლის აპრილში, NATO-ს ბუქარესტის სამიტზე დასავლეთის ქვეყნებმა რუსეთის მიმართ კომპრომისული გზა აირჩიეს, როდესაც საქართველოსა და უკრაინისათვის MAP-ის მინიჭებაზე უარი განაცხადეს.

რუსული პოლიტიკის პრიორიტეტს, თავის მხრივ, წარმოადგენდა დასავლეთისათვის პასუხის გაცემა კოსოვოში განვითარებული მოვლენების გამო, რაც მოსკოვმა

საკუთარი გეგმის მიხედვით განახორციელა.

აღნიშნული კონფლიქტების შედარებითი ანალიზი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნის საფუძველს გვაძლევს. დასავლეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება და ამით რუსული პოლიტიკური გავლენის შემცირება ბალკანეთში და შემდგომ ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებები ერთგვარ „ნახევრად გაკეთებულ საქმედ“ შეიძლება მოგვეჩვენოს დასავლეთის მხრიდან, თუკი აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოებას დასავლური პოლიტიკის ერთ-ერთ ამოსავალ პრიორიტეტად ავიღებთ. ამ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება, როგორც განყენებული ფაქტი კი არ გვევლინება დასავლური პოლიტიკის შეცდომად, არამედ ამ ფაქტთან ერთად აღებული ბუქარესტის სამიტის მოვლენები და 12 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დამასრულებელი ექვსპუნქტიანი შეთანხმებაც, რომელიც რუსეთმა ფაქტობრივად ფარატინა ქაღალდად აქცია და რომლის შესრულებისთვის შესაბამისი მექანიზმების არარსებობამ, როგორც გამოჩნდა, რუსეთს ხელ-ფეხი გაუხსნა აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის ცალმხრივად ასაღიარებლად.

დასავლური პოლიტიკის ამგვარმა არათანმიმდევრულობამ განაპირობა რუსული მხარის მიერ დაუსჯელობის განცდა, რამაც მოგვიანებით მოსკოვს ხელ-ფეხი გაუხსნა უკრაინის მიმართ.

უკრაინის კრიზისის შემდგომ, დასავლეთის დამოკიდებულება რუსეთთან მიმართებაში მეტნაკლებად შეიცვალა. შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს დასავლეთის ქვეყნებმა უკეთ შეისწავლეს კრემლის პოლიტიკური ფენომენი და ამ ეტაპზე ეკონომიკური სანქციებით ცდილობენ რუსეთის წინააღმდეგ პოლიტიკური ზეწოლის განხორციელებას. თუ რა შედეგებს მოიტანს დასავლეთის აღიშნული პოლიტიკა, ამას დრო გვიჩვენებს.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

წყაროები და დოკუმენტური მასალები:

1. *XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ.* იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები დაურთო *ელდარ მამისთვალიშვილმა*. თბილისი, 1981.
2. *აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988).* პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. შემდგენელი და მთავარი რედაქტორი *თამაზ დიასამიძე.* თბილისი, 2004.
3. **ბერი ეგნატაშვილი.** ახალი ქართლის ცხოვრება. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ. ტ. II. თბილისი, 1959.
4. *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში.* ტ. II. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *გ. გელაშვილმა*. თბილისი, 1964.
5. **დადიანი, ნიკო.** ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები დაურთო *შ. ბურჯანაძემ*. თბილისი, 1962.
6. **დონ არქანჯელო ლამბერტი.** სამეგრელოს აღწერა. თარგმანი იტალიურიდან *ა. ჭყონიასი*. მეორე გამოცემა. *ლ. ასათიანის* წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით. თბილისი, 1938.
7. **ვახუშტი ბატონიშვილი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ. ტ. IV. თბილისი, 1973.
8. **თაბუაშვილი, აპოლონ.** ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდინარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი). თბილისი: „მერიდიანი“, 2013.
9. **ლეონტი მროველი.** ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ. ტ. I. თბილისი, 1955.
10. *მასალები მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის.* საქართველოს აღწერილობა შედგენილი პავლე ალეპოელის მიერ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო *ნ. ასათიანმა*. თბილისი, 1973.
11. **მატიანე ქართლისა.** ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის მიერ*. ტ. I. თბილისი, 1955.
12. **პროკოპი კესარიელი.** De Bello Persico. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობების საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო *სიმონ ყაუხჩიშვილმა*. მეორე შევსებული გამოცემა. ტ. II. თბილისი, 1965, გვ. 47.

13. **ჟამთააღმწერელი.** ასწლოვანი მატიანე. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ. ტ. II. თბილისი, 1959.
14. *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში.* ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო *მ. მგალობლიშვილმა*. თბილისი, 1975.
15. *რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2001).* პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი *თამაზ დიასამიძე*. რეგიონალიზმი კვლევის ცენტრი. თბილისი, 2002.
16. *საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ.* იხ.: https://matsne.gov.ge/ka/document/view/19132?publication=7.
17. *საქართველოს კონსტიტუცია.* იხ.: http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68.
18. *საქართველოს კონსტიტუცია.* იხ.: http://constitution.parliament.ge/uploads/masalebi/1921-konstitucia.pdf.
19. *საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დეკლარაცია.* 1992 წლის 21 თებერვალი. იხ.: http://www.parliament.ge/files/1_778_382238_244.pdf.
20. *სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის 30 ნოემბრის აღწერის ჯამები.* ნაწილი 1, ნაკვეთი 2. ტფილისი, 1923.
21. **ფლავიუს არიანე.** მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. წიგნში: უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ. წიგნი II. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა *ნათელა კეჭაღმაძისა*. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1961. იხ.: http://dspace.gela.org.ge/bitstream/123456789/5120/1/mogzauroba%20shavi%20zgvis%20garshemo.pdf.
22. **ჯოვანი და ლუკა.** რელიგია და ეკლესია აფხაზეთში. წიგნში: **ი. ტაბაღუა.** საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში. ტ. III. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987.
23. **ჯუანშერი.** ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ. ტ. I. თბილისი, 1955.
24. ***1945. Ymer Berisha.*** Memorandum of Besa Kombëtare. იხ.: http://www.albanianhistory.net/1945_Berisha/index.html.
25. ***Agreement to normalize relations between Kosovo and Serbia (April 19, 2013).*** იხ.: http://www.rts.rs/upload/storyBoxFileData/2013/04/20/3224318/Originalni%20tekst%20Predloga%20sporazuma.pdf.
26. **Alemany, Agusti.** Sources on the Alans. A Critical Compilation. Leiden–Boston–Köln: Brill, 2000.

27. **Anna Comnena.** The Alexiade. Book II. Translated by Elizabeth A.S. Dawes. Byzantine Series. Cambridge, Ontario, 2000. ob.: https://www.yorku.ca/inpar/alexiad_dawes.pdf.
28. ***Annotationes und Reflexiones der gloriosen kayserlichen Waffen im Jahr 1689.*** In: Austrian State Archives (Österreichisches Staatsarchiv), Military Archives (Kriegsarchiv), Vienna, AFA, Carton 195, 1689-13-1, fol. 32r-49r. Translated from the German by Robert Elsie. ob.: http://www.albanianhistory.net/1689_Kosovo-Turkish-War/index.html.
29. ***Application of the International Convention on the Elimination of all forms of Racial Discrimination (Georgia VS Russian Federation).*** Summary of Judgment of April 1, 2011. Annex to summary 2011/2. ob.: http://www.icj-cij.org/docket/index.php?p1=3&p2=3&k=4d&case=140&code=GR&p3=4.
30. **Cassius Dio.** Roman History. Epitome of Book LXIX. ob.: http://penelope.uchicago.edu/Thayer/e/roman/texts/cassius_dio/69*.html.
31. ***Charter of the United Nations and Statute of the International Court of Justice.*** ob.: https://treaties.un.org/doc/Publication/CTC/uncharter.pdf.
32. ***Comprehensive Proposal for the Kosovo Status Settlement.*** 2 February 2007. ob.: http://www.kuvendikosoves.org/common/docs/Comprehensive%20Proposal%20.pdf.
33. ***Conference on Security and Co-Operation in Europe Final Act.*** Helsinki, 1975. ob.: https://www.osce. org/helsinki-final-act?download=true.
34. **Constantine Porphyrogenitus.** De Administrando Imperio & All of its Slavs – Part II. ob.: http://www.jassa.org/?p=4918.
35. ***Constitution of Socialist Federal Republic of Yugoslavia 1963.*** ob.: http://www.worldstatesmen.org/Yugoslavia_1963.doc.
36. ***Constitution of the Federative People's Republic of Yugoslavia (1946).*** ob.: http://www.worldstatesmen.org/Yugoslavia_1946.txt.
37. ***Constitution of the Republic of Kosovo.*** ob.: http://www.kushtetutakosoves.info/repository/docs/Constitution.of.the.Republic.of.Kosovo.pdf.
38. ***Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide.*** *Adopted by Resolution 260 (III) A of the United Nations General Assembly on 9 December 1948.* ob.: https://www.oas.org/dil/1948_Convention_on_the_Prevention_and_Punishment_of_the_Crime_of_Genocide.pdf.
39. ***CSCE Budapest Document.*** Towards a Genuine Partnership in a New Era. 6 December 1994 (Corrected version 21 December 1994). ob.: https://www.osce.org/mc/39554?download=true.
40. ***Declaration on Principles of International Law concerning Friendly Relations and Co-operation among States in accordance with the Charter of the United Nations.*** ob.: http://www.un-documents.net/a25r2625.htm.
41. ***Documents on German Foreign Policy, 1918-1945.*** Series D (1937-1945). Vol. XI. The War Years: September 1, 1940 – January 31, 1941. Washington: United States Government Printing Office, 1960.

42. *Evliya Çelebi in Albania and Adjacent Regions (Kosovo, Montenegro, Ohrid).* Translated from the Ottoman Turkish by Robert Elsie and Robert Dankoff. Leiden. 2000. ელექტ-რონული ვერსია ob.: http://www.albanianhistory.net/1660_Chelebi/index.html.
43. *Eyewitness to Genocide in Kosovo: Kosovo-Metohija and the Skenderbeg Division.* ob.: http://www.kosovo.net/sk/rastko-kosovo/istorija/savic_skender beyss1.html.
44. *Human Rights Watch Arms Project.* Georgia/Abkhazia: Violations of the Laws of War and Russia's Role in the Conflict. Vol. 7, No. 7. March, 1995.
45. *Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia.* In 3 Volumes. September 2009.
46. *International Court of Justice.* Year 2010, 22 July. General List No. 141. Accordance with International Law of the Unilateral declaration of Independence in respect of Kosovo. ob.: http://www.webcitation.org/5rRB9e3bz.
47. *Istanbul Document.* November 1999. ob.: http://www.osce.org/mc/39569?download=true.
48. *Kosovo/Kosova: As Seen, As Told.* An analysis of the human rights findings of the OSCE Kosovo Verification Mission. October 1998 to June 1999. ob.: http://www.osce.org/odihr/17772?download=true.
49. *Lisbon Document.* 3 December 1996. ob.: http://www.osce.org/mc/39539?download=true.
50. *Memorandum 1986 (the Greater Serbian Ideology) by Serbian Academy of Arts and Sciences.* ob.: http://www.trepca.net/english/2006/serbian_memorandum_1986/serbia_memorandum_1986.html.
51. **Michael Attaleiates.** The History. Translated by Anthony Kaldellis and Dimitris Krallis. Cambridge, MA: Harvard University Press, 2012.
52. *Military Technical Agreement.* ob.: https://www.nato.int/kosovo/docu/a 990609a.htm.
53. *Montevideo Convention on the Rights and Duties of States.* 1933. ob.: https://www.ilsa.org/jessup/jes sup15/Montevideo%20Convention.pdf.
54. *OSCE Ministerial Council.* 6 December 2005. Second Day of the Thirteenth Meeting of the Ministerial Council. Ljubljana, 2005. ob.: http://www.osce.org/mc/17490?download =true.
55. **Procopius.** In Seven Volumes, with an English translation by H. B. Dewing. Vol. 4. History of the Wars, Books VI (continued) and VII. London: William Heinemann LTD–Cambridge MA: Harvard University Press, 1924.
56. *Rambouillet Accords.* Interim Agreement for Peace and Self-Government in Kosovo. ob.: http://peacemaker.un.org/sites/peacemaker.un.org/files/990123_RambouilletAccord.pdf.
57. *Resolution 1160 (1998).* Adopted by the Security Council at its 3868th meeting, on 31 March 1998. ob.: http://www.nato.int/kosovo/docu/u980331a.htm.
58. *Resolution 1199 (1998).* Adopted by the Security Council at its 3930th meeting on 23 September 1998. ob.: http://www.nato.int/kosovo/docu/u980923a.htm.
59. *Resolution 1203 (1998).* Adopted by the Security Council at its 3937th meeting, on 24 October 1998. ob.: http://www.nato.int/kosovo/docu/u981024a.htm.

60. ***Resolution 1239 (1999).*** Adopted by the Security Council at its 4003rd meeting on 14 May 1999. ob.: http://www.nato.int/kosovo/docu/u990514a.htm.
61. ***Resolution 1244 (1999).*** Adopted by the Security Council at its 4011th meeting, on 10 June 1999. ob.: http://www.nato.int/kosovo/docu/u990610a.htm.
62. ***The Constitution of the Socialist Federal Republic of Yugoslavia.*** Belgrade, 1974. ob.: http://www.worldstatesmen.org/Yugoslavia-Constitution1974.pdf.
63. ***The Declaration of Kosovo Independence.*** February 17, 2008. Full Text. ob.: http://news. bbc.co.uk/2/hi/europe /7249677.stm.
64. ***The Kosovo Report: Conflict, International Response, Lessons Learned.*** The Independent International Commission on Kosovo. Oxford: Oxford University Press, 2000. ელექ-ტრონული ვერსია ob.: https://reliefweb.int/sites/reliefweb.int/files/resources/6D26FF 88119644CFC1256989005CD392-thekosovoreport.pdf.
65. ***The OSCE Mission to Georgia.*** Mission Survey. ob.: http://www.parliament.ge/files/ 1_899_277745_osce_missiontogeorgia.pdf.
66. ***The Population of Yugoslavia.*** Belgrade, 1974.
67. ***Treaty of Paris.*** Paris, March 30, 1856. ob.: https://content.ecf.org.il/files/M00934_ TreatyOfParis1856English.pdf.
68. ***United Nations Security Council Resolution 858 (1993).*** 24 August 1993. ob.: http://unscr.com/files/1993/00858.pdf.
69. ***Yugoslav Government War Crimes in Racak.*** *A Human Rights Watch Report*, January 1999. ob.: http://pantheon.hrw.org/legacy/campaigns/kosovo98/racak.shtml.
70. ***Акт о государственной независимости Республики Абхазия.*** ob.: http://abkhazia-apsny.ru/suverinitet.html/.
71. ***Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссіею.*** В 12 томах. Тифлис, 1866-1904.
72. ***Албанский фактор в развитии кризиса на територии бывшей Югославии.*** Докумен-ты. Т. 1 (1878-1997). Москва: Индрик, 2006.
73. **Аппиан.** Римские войны. Санкт-Петербург: «Алетейя», 1994. Книга X: «События в Иллирии». ob.: http://www.ancientrome.ru/antlitr/appian/hist-f09.htm.
74. ***Восточная Европа в документах Росиийских архивов. 1944-1953.*** Т. 2. Москва. Новосибирск. 1998.
75. ***Всесоюзная перепись населения 1926 года.*** Т. 14. Закавказская СФСР. Москва, 1929. ელექტრონული ვერსია ob.: http://www.demoscope.ru/weekly/ssp/sng_nac_26.php?reg= 2346.
76. ***Всесоюзная перепись населения 1939 года: Основные итоги.*** Под редакцией Ю. А. Полякова. Москва: «Наука», 1992.
77. ***Всесоюзная перепись населения. 17 Декабря 1926 г.*** Краткие сводки. Выпуск III. Население СССР. Издание ЦСУ СССР. Москва, 1927.

78. ***Всесоюзная перепись населения. 17 декабря 1926 г.*** Краткие сводки. Вып. IV. Народность и родной язык населения. Издание ЦСУ СССР. Москва, 1928.
79. ***Всесоюзная перепись населения. 17 декабря 1926 г.*** Краткие сводки. Вып. XIV. Закавказская СФСР. ССР Абхазии. Издание ЦСУ СССР. Москва, 1929. ელექტრონული ვერსია იხ.: http://www.demoscope.ru/weekly/ssp/sng_nac_26.php?reg=2346.
80. ***Всесоюзная перепись населения. 17 декабря 1926 г.*** Краткие сводки. Вып. XIV. Закавказская СФСР. АО Южной Осетии. Издание ЦСУ СССР. Москва, 1929. ელექტრონული ვერსია იხ.: http://www.demoscope.ru/weekly/ssp/sng_nac_26.php?reg=2366.
81. ***Выступление и дискуссия на Мюнхенской конференции по вопросам политики безопасности.*** 10 февраля 2007 года. ოფიციალური ჩანაწერი იხ.: http://kremlin.ru/events/president/transcripts/24034.
82. ***Мирный договор между Россией и Грузией.*** Москва: Типография «Продпуть», 1920.
83. ***Декларация прав народов России.*** იხ.: http://www.hist.msu.ru/ER/Etext/DEKRET/peoples.htm.
84. ***Дипломатический словарь.*** В 3-х томах. Ред. А. А. Громыко, И. Н. Земсков, В. М. Хвостов. Москва: Изд. Политической литературы, 1971-1973.
85. ***Документы внешней политики СССР.*** Т. 4. 19 марта 1921 г. – 31 декабря 1921 г. Москва: Государственное издательство политической литературы, 1960.
86. ***Карта Кавказа с показанием политического его состояния до 1801 г.*** იხ.: https://muscol.com/collection/printed-products/map/7646/.
87. ***Конституция (основной закон) Союза Советских Социалистических Республик.*** Издание ЦИК СССР. Москва–Кремль, 1937.
88. ***Конституция Южной Осетии 1993 года.*** იხ.: https://ru.wikisource.org/wiki/Конституция_Южной_Осетии.
89. ***Майская декларация, 30 мая 1917 года.*** იხ.: http://www.doc20vek.ru/node/3932.
90. ***Население СССР.*** По данным всесоюзной переписи населения 1989 г. Москва: «Финансы и Статистика», 1990.
91. ***О порядке решения вопросов, связанных с выходом союзной республики из СССР.*** Закон. Верховный Совет СССР. 3 апреля 1990 г. N 1409-I (ВВСС 90-15). იხ.: https://ru.wikisource.org/wiki/Закон_СССР_ от_03.04.1990_№_1409-I.
92. ***Осетинские тексты собранные Д. Чонкадзе и В. Цороевым.*** Записки академии наук. Том XIV. Санк-Петербург, 1868.
93. **Плиний Старший.** Естественная история. Книга шестая. იხ.: http://annales.info/ant_lit/plinius/06.htm.
94. ***Протокол о приступању Југославије Тројном пакту (1941).*** https://sr.wikisource.org/wiki/Протокол_о_приступању_Југославије_Тројном_пакту_(1941).
95. ***Свод статистических данных о населении Закавказского края, извлечённых из посемейных списков 1886 года.*** Тифлис, 1893. იხ.: https://dlib.rsl.ru/01005403186.

96. *Сношения России с Кавказом.* Материалы извлечённые из Московского главного архива Министерства Иностранных Дел. С. Белокуровым. Выпуск 1-й. 1578-1613. Москва, 1889.
97. *Устав Содружества Независимых Государств (г. Минск, 22 января 1993 года).* ob.: http://cis.minsk.by/page.php?id=180.
98. *Федеральный закон «О Гражданстве РФ».* От 31.05.2002. №62-Ф3. ob.: http://www.consultant.ru/popular/civic/34_2.html#p193.
99. *Юго-Осетинская АО (1989 г.).* ob.: http://www.ethno-kavkaz.narod.ru/rnsossetia.html.

მემუარები:

100. **Albright, Madeleine.** Madam Secretary: A Memoir. New York: Harper Perennial, 2003.
101. **Djilas, Milovan.** Conversations with Stalin. New York: Harcourt Brace and Company, 1990.
102. **Rice, Condoleeza.** No Higher Honor. A Memoir of My Years in Washington. New York: Crown Publishers, 2011.
103. **Мгеладзе, А.** Сталин. Каким я его знал. Страницы недавнего прошлого. Тбилиси, 2001.
104. **Ходжа, Э.** Со Сталиным. Воспоминания. Тирана: «8 Нентори», 1984. ob.: http://www.enverhoxha.ru/Archive_of_books/enver_hoxha_ with_stalin_pic_rus.pdf.

სამეცნიერო ლიტერატურა:

105. **ასმუსი, რონალდ დ.** მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა. საქართველო, რუსეთი და დასავლური სამყაროს მომავალი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.
106. **ალექსიძე, ლევან.** „დააკნინა თუ არა „კოსოვოს პრეცედენტმა“ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის ერთგულება გაეროს წევრ სახელმწიფოთა, საქართველოს ჩათვლით, ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობისადმი?“ წიგნში: **ლევან ალექსიძე.** საერთაშორისო სამართალი და საქართველო (ანტიკური ხანიდან დღემდე): 1957-2012 წლებში გამოქვეყნებული რჩეული ნაშრომები. რედ. ქეთევან ხუციშვილი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, გვ. 680-712.
107. **ბატაშვილი, დავით.** 7 აგვისტო: როგორ მოამზადა და დაიწყო რუსეთმა 2008 წლის ომი საქართველოს წინააღმდეგ. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. ექსპერტის აზრი, 103. თბილისი, 2018. ob.: https://www.gfsis.org/ge/library/view-opinion-paper/103.
108. **ბახტაძე, უჩა.** სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა და მისი სამართლებრივი მდგომარეობა. თბილისი, 1968.

109. **ბერაძე, თამაზ.** სამხედრო-საზღვაო საქმის ისტორიიდან. *მეომრის ბიბლიოთეკა*, №12. თბილისი, 2008. იხ.: http://ijhei.files.wordpress.com/2010/03/samxedro-sazgva.pdf.
110. **ბერძენიშვილი, ნიკო.** აფხაზეთის შესახებ. წიგნში: **ნიკო ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი III. თბილისი, 1966, გვ. 287-288.
111. **ბერძენიშვილი, ნიკო.** მცირე შენიშვნა დიდი საკითხის გამო. წიგნში: **ნიკო ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი III. თბილისი, 1966, გვ. 277-286.
112. **ბლუაშვილი, უჩა.** ეროვნული მოძრაობა და პოლიტიკური კონფრონტაცია საქართველოში 1987-1993. თბილისი, 2012.
113. **ბროსე, მარი.** საქართველოს ისტორია. ნაწ. I. ტფილისი, 1895.
114. **გამახარია, ჯემალ.** ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან. თბილისი, 1991.
115. **გამრეკელი, ვახტანგ. ზურაბ. ცქიტიშვილი.** 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა. / *„მაცნე“*, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნებათმცოდნეობის სერია, №1. თბილისი, 1973.
116. **გამყრელიძე, ბახვა.** ოსთა დემოგრაფიული და ეთნოსოციალური პროცესები ჩრდილოეთ კავკასიაში. / *კავკასიის ეთნოლოგიური კრებული.* № 18. თბილისი, 2017, გვ. 67-156.
117. **გოგებაშვილი, იაკობ.** რჩეული თხზულებები. ტ. III. თბილისი, 1990.
118. **გურული, ვახტანგ.** საქართველო და გარე სამყარო (XIX-XXI საუკუნეები). თბილისი, 2012.
119. **დემეტრაშვილი, ალექსანდრე, ირაკლი კობახიძე.** კონსტიტუციური სამართალი. ტ. I. თბილისი, 2010.
120. **ვადაჭკორია, შოთა.** ოსური სეპარატიზმი და ქართული სინამდვილე (1917-1925). თბილისი, 2017.
121. **სახოკია, თედო.** კრებული. რედ. ა. აფაქიძე, შ. მესხია, გ. ჩიტაია, მ. ჩიქოვანი, ლ. ჯანაშია. თბილისი, 1969.
122. **თაბუაშვილი, აპოლონ.** ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდინარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი). წიგნში: შრომათა კრებული, №5. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი. გორი, 2015, გვ. 112-126.
123. **თოთაძე, ანზორ.** ოსები საქართველოში. მითი და რეალობა. თბილისი: „უნივერსალი“, 2006.
124. **თოიძე, ლევან.** როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. თბილისი, 1991.
125. **თოფჩიშვილი, როლანდ.** ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი. თბილისი, 2008. იხ.: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/4801/1/Tofchishvili_Roland.pdf.

126. **თოფჩიშვილი, როლანდ.** საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები. თბილისი: „ლომისი“, 1997.
127. **თურმანიძე, თორნიკე.** ოკუპაციის ხაზი – რუსეთის საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი საქართველოს წინააღმდეგ. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. თბილისი, 2017.
128. **იზორია, ლევან.** აფხაზ სეპარატისტთა ანტიქართული „ამბოხი“ 1967 წელს. / ტიპოლოგიური ძიებანი, №7. თბილისი, 2015, გვ. 241-266.
129. **ითონიშვილი, ვახტანგ.** დვალებისა და დვალეთის საკითხისათვის. თბილისი, 2008.
130. **ითონიშვილი, ვახტანგ.** კავკასია და კავკასიელები. თბილისი, 2007.
131. **ინგოროყვა, პავლე.** გიორგი მერჩულე: ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურულ-კულტურულ და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან. თხზულებათა კრებული. ტ. 3. თბილისი: „საბჭოთა მწერალი“, 1954.
132. **კვარაცხელია, ბორის.** რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი) და საერთაშორისო თანამეგობრობა. თბილისი. 2015.
133. **კომახია, მამუკა.** არალეგიტიმური საპრეზიდენტო არჩევნები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში: რუსეთის როლი არჩევნებში. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. თბილისი, 2017.
134. **ლეკიშვილი, სოლომონ.** როდის გაჩნდა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი?“ იხ.: წიგნში: *ოსთა საკითხი.* კრებული. რედ. აკაკი ბაქრაძე და ომარ ჩუბინიძე. გორი: პითაგორა, 1996, გვ. 258-275.
135. **ლორთქიფანიძე, მარიამ.** აფხაზები და აფხაზეთი. თბილისი: „განათლება“, 1990.
136. **მალაშხია, შოთა.** კონფლიქტების ანატომია. კონფლიქტების ანატომია. თბილისი: „ფორმა“, 2011.
137. **მგალობლიშვილი, სოფრომ.** მოგონებანი. ტფილისი, 1938.
138. **მესხია, შოთა.** ძლევაჲ საკვირველი. თბილისი: „მეხსიერება“, 1972. ელექტრონული ვერსია იხ.: http://orthodoxy.ge/pdf/sh.meskhia-dzlevai-sakvirveli.pdf.
139. **მღებრიშვილი, ალექსანდრე.** რუსულ-ქართული ურთიერთობები და ქართველთა და ოსთა ერთობლივი ბრძოლა რუსული კოლონიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ კავკასიაში. კრებულში: II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები: „ნართების ეპოსის კვლევის თანამედროვე პრინციპები და მეთოდოლოგია“. 13-15 ოქტომბერი. შრომების კრებული. თბილისი: „უნივერსალი“, 2016, გვ. 155-165.
140. **ორახელაშვილი, ალექსანდრე.** აფხაზეთის კონფლიქტი კოსოვოს კონფლიქტის ფონზე. წიგნში: საქართველო და საერთაშორისო სამართალი (სტატიათა კრებული). თბილისი, 2001.

141. **პაპასქირი, ზურაბ.** აფხაზეთი საქართველოა. თბილისი, 1998.
142. **პაპასქირი, ზურაბ.** „აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსების თარიღის საკითხისათვის“. წიგნში: **ზურაბ პაპასქირი.** და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბილისი: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, გვ. 171-183.
143. **პაპასქირი, ზურაბ.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. უძველესი დროიდან 1917 წლამდე. ნაკვ. I. თბილისი: „მერიდიანი“, 2003; ნაკვ. II. 1917-1993. თბილისი: „მერიდიანი“, 2007.
144. **სონღულაშვილი, ავთანდილ.** აფხაზი თუ აფსუა? თბილისი: „უნივერსალი“, 2007.
145. **სტალინი, ი. ბ.** პარტიის მორიგ ამოცანებზე ნაციონალურ საკითხში. თეზისები რკპ(ბ) ყრილობისთვის, დამტკიცებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ. წიგნში: **ი. ბ. სტალინი.** თხზულებანი. ტ. 5. თბილისი, სახელგამი, 1955, გვ. 16-31.
146. **მზია ტყავაშვილი.** ოსების ბრძოლა ქართული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად 1810-1811 წლებში. / *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, II (4). თბილისი: „უნივერსალი“, 2008, გვ. 69-95.
147. **ყალიჩავა, კახაბერ.** რუსეთის მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განხორციელებული საპასპორტო პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი. / *საისტორიო ძიებანი,* წელიწდეული. XII. თბილისი, 2013-2015, გვ. 217-232.
148. **ყოლბაია, ვახტანგ, რაფიელ გელანტია, დავით ლაცუზბაია, თეიმურაზ ჭახრაკია.** აფხაზეთის ლაბირინთი: 1992-1993 წლებსა და შემდგომ პერიოდში განვითარებული მოვლენები. თბილისი, 1999.
149. **შეყლაშვილი, ფატი.** გერმანიის ექსპანსია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში XX ს-ის 30-იან წლებში და მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. თბილისი: „უნივერსალი“, 2009.
150. **შეყლაშვილი, ფატი.** კოსოვო – გადაჭრილი პრობლემა თუ ახალი კრიზისის დასაწყისი. / *საისტორიო ვერტიკალები*, № 16. თბილისი, 2008.
151. **შეყლაშვილი, ფატი.** კოსოვოს სერბების საკითხი მეორე მსოფლიო ომის დროს. / *საისტორიო ძიებანი*, წელიწდეული. XII. თბილისი, 2013-2015.
152. **შეყლაშვილი, ფატი.** სერბების, ხორვატებისა და სლოვენების სამეფოს შექმნის საკითხისათვის. / *საისტორიო ვერტიკალები*, № 14. თბილისი, 2008.
153. **ჩიტაია, დავით.** აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. აფხაზეთის სახალხო საბჭო 1917-1921 წლებში. თბილისი, 2006.
154. **ჩიქობავა, აკაკი.** ოდიშ-აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიის რამდენიმე საკითხი ჯაკომო კანტელის 1689 წ. იტალიური რუკის მიხედვით. / *საისტორიო ძიებანი,* წელიწდეული, VIII-IX, თბილისი, 2006, გვ. 150-162.
155. **ჩიქოვანი, გიორგი.** კოსოვოს პრობლემა და მუსლიმური სამყარო. / *პერსპექტივა XXI.* ტ. 2. ისტორია, პოლიტოლოგია, კულტუროლოგია. თბილისი, 1999.

156. **ჩხეტია, შალვა.** აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის (1853-1856წწ.). წიგნში: *საისტორიო მოამბე*, №15-16. თბილისი, 1963.
157. **ცნობილაძე, პავლე.** კონსტიტუციური სამართალი. ტ. I. თბილისი, 2004.
158. **ჭიჭინაძე, ზაქარია.** ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ამაგი და ღვაწლი მათზედ. ტფილისი, 1916.
159. **ხორავა, ბეჟან.** აფხაზეთის სამთავროს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების საკითხისათვის გვიან შუა საუკუნეებში. / „არტანუჯი“, №10. თბილისი, 2000, გვ. 25-32.
160. **ჯავახიშვილი, ივანე.** თხზულებანი 12 ტომად. ტ. X. თბილისი, 1992.
161. **ჯანჯღავა, ვახტანგ.** გლეხთა რევოლუციური მოძრაობა საქართველოში 1917-1921 წლებში. თბილისი, 1982.
162. **ჯაფარიძე, ანანია.** საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ტ. II. თბილისი, 1998.
163. **ჯოჯუა, დაზმირ.** აფხაზეთი 1938-2006 წლებში: რეგიონალური ისტორიული პროცესის ასპექტები. თბილისი, 2009.
164. **ჯოჯუა, დაზმირ.** კოსოვოს პრეცედენტი. / *საისტორიო ძიებანი*, წელიწდეული. VIII-IX. თბილისი, 2006 გვ. 471-498.
165. ***The Oxford dictionary of the Christian church.*** Edited by **Cross. F.L.** Oxford University Press, 2005.
166. **Antonenko, Oksana.** A War with No Winners. / *Survival*, Vol. 50, Issue 5, October-November 2008, გვ. 23-36.
167. ***Appendix to Documents from the KGB archive in Sukhum.*** Abkhazia in the Stalin years. Translation by ***B. G. Hewitt***. / Central Asian Survey, Vol. 15, Issue 2, 1996, გვ. 259-297.
168. **Asmus, Ronald Dietrich.** A Little War that Shook the World. Georgia, Russia and the Future and of the West. New York: Palgrave Macmillan, 2010.
169. *Assays from the History of Georgia.* From Ancient times till the present days. Edited by **J. Gamakharia. T. Beradze. T. Gvantseladze.** Tbilisi, 2011.
170. **Averre, Derek.** From Pristina to Tskhinvali: the legacy of Operation Allied Force in Russia's relations with the West. / *International Affairs*. Vol. 85. Issue 3. 2009, გვ. 575-591.
171. **Banac, Ivo.** The National Question in Yugoslavia: Origins, History, Politics. Cornell University Press, 1988.
172. **Bandow, Dug.** US Policy toward Kosovo: Sowing the Wind in the Balkans, Reaping the Whirlwind in the Caucasus. / *Mediterranean Quarterly*, Vol. 20, Issue 1, Winter 2009, გვ. 15-30.
173. **Batakovic, Dusan.** Serbia's Kosovo Drama. A Historical perspective. Belgrade, 2012.
174. **Batakovic, Dusan.** The Kosovo Chronicles. Belgrade, 1992.

175. **Batakovich, Dusan.** "Kosovo and Metohija: History, Memory, Identity." In: The Christian Heritage of Kosovo and Metohija. The Historical and Spiritual Heartland of the Serbian People. Ed. Bishop Maxim (Vasilevic). Los Angeles: Sebastian Press, 2015.
176. **Beha, Adem.** Disputes over the 15-point agreement on normalization of relations between Kosovo and Serbia. / *Nationalities Papers*. Vol. 43, No. 1, 2015, გვ. 102-121.
177. **Dodge Billingsley.** Military aspects of the war: the Battle for Gagra. In: The Abkhazians. A Handbook. Edited by George Hewitt. St. Martin's Press, 1998, გვ. 147-156.
178. **Boardman, John, N. G. Lempriere.** The Cambridge Ancient History. The expansion of the Greek world. Eighth to six centuries. Cambridge University Press, 1982.
179. **Bokovoy, Mellisa Katherine, Jill A. Irvine, Carol S. Lilly.** State-society relations in Yugoslavia (1945-1992). Scranton, PA: Palgrave Macmillan, 1997.
180. **Bonsignore, Ezio.** The Kosovo Payback. / *Military Technology*, Vol. 32, Issue 9, 2008, გვ. 4-6.
181. **Bowden, Will.** Epirus Vetus: The Archaeology of a late Antique Province. London: Duckworth, 2003.
182. **Bunson, Matthew.** A Dictionary of the Roman Empire. Oxford University Press, 1995.
183. **Caplan, Richard.** International Diplomacy and the crisis in Kosovo. / *International Affairs*, Vol. 74, No. 4. 1998, გვ. 745-761.
184. **Cohen, Ariel, Richard E. Hamilton.** The Russian Military and the Georgian War: Lessons and Implications. Strategic Studies Institute. ERAP Monograph, 2011.
185. **Coppieters, Bruno.** In Defence of the Homeland: Intellectuals and the Georgian-Abkhazian Conflict. წიგნში: Secession, History and the Social Sciences. Ed. by ***B. Coppieters & M. Huysseune***. VUB Brussels University Press, 2002, გვ. 89-116.
186. ***Current Developments.*** International Courts and Tribunals. Edited by ***J Craig Barker***. / *International & Comparative Law Quarterly*, Vol, 60, Issue 3, July 2011, გვ. 799-810.
187. **Cvijic, Jovan.** Osnove za geografiku Makedonije i Stare Srbije. Vol. III. Belgrade: Serbian Royal Academy, 1911.
188. **Daalder, Ivo H. and Michael E. O'Hanlon.** Winning Ugly: NATO's war to save Kosovo. Washington, DC: Brookings Institution Press, 2001.
189. **De Vrieze, Frederik.** Kosovo after March 2004 Crisis. / *Helsinki Monitor*, Vol. 15, Issue 3, July 2004. Brill Academic Publishers, გვ. 147-159.
190. **Đorđević, Vladimir.** Regional Conflicts in the Western Balkans and the Caucasus Revisited: Comparison of Kosovo to South Ossetia and Abkhazia. / *Central European Political Studies Review*, №1, 2010, გვ. 22-44.
191. **Ducellier, Allan.** 'Albania, Serbia and Bulgaria'. In: The New Cambridge Medieval History. Vol. 5. C. 1198–c. 1300. Cambridge University Press, 1995, გვ. 779-795.
192. **Dugard, John and David Raič.** The Role of recognition in the law and practice of secession. წიგნში: Secession International Law Perspectives. Edited by ***Marcello G. Kohen***. Cambridge University Press, 2006, გვ. 94-137.

193. **Dugin, Alexander.** After Tskhinvali. Interests and Values. / *Russian Politics and Law*, Vol. 47, No. 3, May-June 2009, ȝȝ. 61-70.
194. **Eberhardt, Piotr.** Ethnic groups and population changes in twentieth-century Central-Eastern Europe: history, data and analysis. Routledge, 2002.
195. **Efevwerhan, David I.** Kosovo's Chances of UN Membership: A Prognosis. / *Goettingen Journal of International Law*, Vol, 4, Issue 1, 2012, ȝȝ. 93-130.
196. **Eiff, Hansjörg.** The OSCE Mission to Georgia and the Status of South Ossetia. OSCE Yearbook, 2008, ȝȝ 35-43.
197. **Emmert, Thomas A.** Serbian Golgotha: Kosovo 1389. New York: Columbia University Press, 1990.
198. **Fabry, Mikulas.** The contemporary practice of state recognition: Kosovo, South Ossetia, Abkhazia, and their aftermath. / *Nationalities Papers*, Vol. 40, Issue 5, September 2012, ȝȝ. 661-676.
199. **Fine, Jr. John V.A.** The late Medieval Balkans. A Critical Survey from the Late Twelfth to the Ottoman Conquest. Ann Arbor, MI: The University of Michigan Press, 1985.
200. **Fischer, Bernd J.** Albania at War, 1939-1945. London: Hurst, 1999.
201. **Florin, Curta.** The Making of Slavs: History and Archaeology of the Lower Danube Region, c. 500-700. Cambridge University Press, 2001.
202. From Autonomy to Colonisation: Human Rights in Kosovo 1989-1993. International Helsinki Federation for Human Rights. November 1993.
203. **Gahrton, Per.** Georgia. Pawn in the New Great Game. New York: Pluto Press, 2000.
204. **Gallis, Paul.** The NATO Summit at Bucharest, 2008. CRS Report for Congress. Updated May 5, 2008. ob.: https://fas.org/sgp/crs/row/RS22847.pdf.
205. **Harzl, Benedikt C.** Conflicting Perceptions: Russia, the West and Kosovo. / *Review of Central and East European Law*. Vol. 33. Issue 4. October 2008, ȝȝ. 491-518.
206. **Hayden, Richard M.** Constitutional events in Yugoslavia, 1988-1990: From Federation to Confederation and paralysis? Final Report to National Council for Soviet and East European Research. University of Pittsburgh, 1990.
207. **Heller, Regina.** Russia's quest for respect in the international conflict management in Kosovo. / *Communist and Post-Communist studies*, Vol. 47, Issues 3-4, September-December 2014, ȝȝ. 333-343.
208. **Hewitt, George.** Some thoughts on Ronald Asmus' "Little War that Shook the World: Georgia, Russia and the Future of the West". / *European Security,* Vol. 21, No. 1, March 2012, ȝȝ. 128-137.
209. **Hewitt, George.** The role of scholars in the Abkhazians' loss of trust in the Georgians and how to remedy the situation. Harlem Conference-talk. 1st June 1997. http://www.georgehewitt.net/articles/abkhazia-georgia/128-the-role-of-scholars-in-the-abkhazians-loss-of-trust-in-the-georgians.

210. **Hoxha, Hajredin.** Proces nacionalne afirmacje albanske narodnosti u jugoslaviji. Casopisza kritiko zrianosti. Ljubljana, 1982.
211. **Hughes, James.** Russia and the Secession of Kosovo: Power, Norms and the failure of Multilateralism. / *Europe-Asia Studies*, Vol. 65, No. 5, July 2013, ȝȝ. 992-1016.
212. **Illarionov, Andrei.** The Russian Leadership's Preparation for War, 1999-2008. In: *The Guns of August 2008: Russia's War in Georgia.* Edited by ***Svante E. Cornell*** and ***S. Frederick Starr***. Armonk, NY–London: M. E. Sharpe, 2009, ȝȝ. 49-84.
213. ***International Society to bring a Verdict on the Tragedy of Abkhazia/Georgia.*** Edited by ***Jemal Gamakharia***. Tbilisi, 2015.
214. **Isljami, Hivzi.** "Demografska stvarnost Kosova". Sukob ili Dialog. Srpsko-albanski odnosi i integracija Balkana. Subotica: Otvoreni Univerzitet, 1994.
215. **Ivlevs, Artjoms** and **Roswitha M. King.** Kosovo – Winning its Independence but losing its people? Recent evidence on emigration intentions and preparedness to Migrate. / *International Migration*, Vol. 53 (5). John Wiley and Sons Ltd, 2012, ȝȝ. 84-103.
216. **James, Edward.** Europe's Barbarians AD 200-600. Routledge, 2014.
217. **Jelavich, Barbara.** History of the Balkans. Vol. I. Eighteenth and Nineteenth Centuries. Cambridge University Press: 1995; Vol. II. Twentieth Century. Cambridge University Press: 2006.
218. **Jones, Fortier.** With Serbia into Exile. An American's Adventures with the Army that cannot die. New York: The Century co, 1916.
219. **Judah, Tim.** Kosovo. What everyone needs to know. Oxford University Press, 2008.
220. **Judah, Tim.** The Serbs: History, Myth and the Destruction of Yugoslavia. 2nd ed. New Haven, CT: Yale University Press, 2000.
221. **Kane, Steve.** "The 21st SS Mountain Division." / *Siegrunen: The Waffen-SS in Historical Perspective*, No. 6. issue 38. October-December 1984, ȝȝ. 21-30.
222. **Kaser, Karl.** Household and Family in the Balkans: Two Decades of Historical Family Research at University of Graz. Munster: LIT Verlag, 2012.
223. **Ker-Lindsay, James.** Analysis of current events. Not such a *sui generis* case after all: assessing the ICJ opinion on Kosovo. / *Nationalities Papers*, Vol. 39, No. 1, January 2011, ȝȝ. 1-11.
224. **Ker-Lindsay, James.** From Autonomy to independence: the evolution of international thinking on Kosovo, 1998–2005. / *Journal of Balkan and Near Eastern Studies.*Volume 11, Number 2, June 2009, ȝȝ. 141-156.
225. **Kirova, Iskra.** Public Diplomacy and Conflict Resolution: Russia, Georgia and the EU in Abkhazia and South Ossetia. Los Angeles: Figueroa Press, August 2012.
226. **Kobzova, Jana, Nicu Popescu and Andrew Wilson.** Russia and EU's Competitive Neighborhood. In: The Great Power (mis)Management: The Russian-Georgian War and its Implications of Global Political Order. Edited by ***Alexander Astrov***. Ashgate, 2011, ȝȝ. 79-101.

227. ***Kosovo and Metohija.*** Living in the Enclave. Ed. by **Dusan T. Batakovic**, Belgrade, 2007.
228. **Kostovicova, Denisa.** Parallel worlds: Response of Kosovo Albanians to loss of Autonomy in Sebia. 1986-1996. Keele: Keele Univerity European Research Centre, Keele University, 1997.
229. **Kovačević, E. A. Handžić, H. Hadžibegović.** Oblast Brankovića – Opširni katastarski popis iz 1455. Orijentalni institut, Sarajevo 1972.
230. **Krekic, Berisha.** Medieval Serbia: The Nemanyids and Byzantium. წიგნში: *Byzantine Studies. Essays on the Slavic World and the eleventh century.* Edited by Speros Vryonis Jr. New Rochelle, NY: Aristide D.Caratzas Publisher, 1985.
231. **Krisman, Serge.** Maps of Yugoslavia at war. Massacre of the innocent Serbian population, committed in Yugoslavia by the Axis and its Sattelite from April 1941 to August 1942. Washington, 1943.
232. **Lambeth, Benjamin.** NATO's Air War for Kosovo: A Strategic and Operational Assessment. RAND, 2001.
233. **Lederer, Gyorgy.** "Islam in Albania." / *Central Asian Survey,* Vol. 13, № 3, 1994, გვ. 331-359.
234. **Lubonja, Fatos.** Between the Glory of a Virtual World and the Misery of a Real World. წიგნში: *Albanian Identities: Myth and History,* edited by ***Stephanie Schwandner-Sievens*** and ***Bernd J. Fischer***. London: Hurst, 2002.
235. **Lukic, Reneo, Allen Lynch.** Europe from the Balkans to the Urals: The Disintegration of Yugoslavia and the Soviet Union. New York: Oxford University Press, 1996.
236. **Malcolm, Noel.** Kosovo: A Short History. New York: New York University Press, 1998.
237. **MccGwire, Michael.** Why did We Bomb Belgrade? / *International Affairs*, Vol. 76, No, 1. January 2000, გვ. 1-23.
238. **McLellan, Timothy George.** Kosovo, Abkhazia, and the Consequences of State Recognition. / *Camrbidge Student Law Review*, №5 (1), 2009, გვ. 1-18.
239. **Mertus, Julian A.** Operation Allied Force: handmaiden of Independent Kosovo. International affairs. / *Royal Institute of International affairs*, Vol. 85, No. 3. 2009, გვ. 461-476.
240. **Mészáros, Edina Lilla.** United Nations Interventionism: Peacekeeping Operations in Kosovo. / Eurolimes, Vol. 18, Autumn 2014. Oradea University Press, გვ. 129-145.
241. **Mihalkanin, Edward.** "The Abkhazians: A National Minority in their own Homeland." წიგნში: The De-Facto States: Quest for Sovereignty. Edited By ***Tozun Bahcheli, Barry Bartmann, Henry Srebrnik***. Routledge, 2004.
242. **Mikić, Djordje.** "The Albanians and Serbia during the Balkan Wars." წიგნში: *East Central European Society and the Balkan Wars, War and Society in East Central Europe.* Edited by ***Bela Kiraly, D. Djordjevic***. Vol. XVIII. Boulder, CO: Social Science Monographs, 1987, გვ. 165-196.

243. **Misha, Piro.** Invention of a Nationalism: Myth and Amnesia. წიგნში: *Albanian Identities: Myth and History,* edited by Stephanie Schwandner-Sievens and Bernd J. Fischer. London: Hurst, 2002.
244. **Myzyri, Husni.** Kreu VIII: Lidhja Shqiptare e Prizrenit (1878–1881). Historia e popullit shqiptar: për shkollat e mesme. Prishtinë: Libri Shkollor, 2002.
245. **Nichol, Jim.** Georgia [Republic] and NATO Enlargement: Issues and Implications. In: Georgia and the Caucasus Region. Editor ***Fran W. Haro*** . New York, Nova Science Publishers, Inc., 2010, გვ. 125-130.
246. **Nielsen, Christian Axboe.** The Kosovo precedent and the rhetorical deployment of former Yugoslav analogies in the cases of Abkhazia and South Ossetia. / *Southeast European and Black Sea Studies.* Vol. 9, No. 1-2, 2009, გვ. 171-189.
247. **Orel, Vladimir.** Albanian Etymological Dictionary. Leiden: Brill, 1998.
248. **Papaskiri, Zurab.** Another look at one of the False Historical Postulates of the Abkhazian Separatist Ideology: On the question of Abkhazia's Political-State Status in 1921-1931. / *The Caucasus and Globalization*, Vol. 6, Issue 2. CA&CC Press, Sweden, 2012, გვ. 168-180.
249. **Petrovich, Alexander & ĐorĐe Stefanovich.** Kosovo, 1944-1981: Rise and the fall of a communist "Nested Homeland". / *Europe-Asia Studies.* Vol. 62, No, 7, September 2010, გვ. 1073-1106.
250. **Pomeroy, Sarah, Stanley M. Burstein, Walter Donlan, Jennifer Tolbert Roberts.** A Brief History of Ancient Greece: Politics, Society and Culture. Oxford University Press, 2008.
251. **Pomerantsev, Peter.** Yes, Russia Matters: Putin's Guerilla Strategy. / *World Affairs*, Vol. 177, Issue 3, September-October 2014.
252. **Rački, Franjo.** "Izveštaj barskog nadbiskupa Marina Bizzia o svojem putovanju god. 1610 po Arbanaškoj i Staroj Srbiji." Starine JAZU XX. Zagreb: Jugoslavenska akademija znanosti i umjetnosti, 1980, გვ. 50-156.
253. **Radeljić, Branislav.** Official Discrepancies: Kosovo Independence and Western European Rhetoric. / *Perspective on European Politics and Society*, Vol. 15. No. 4. Routledge, 2014, გვ. 431-444.
254. **Rakowska-Harmstone, Teresa Piotr Dutkiewicz, Agnieszka Orzelska.** New Europe: the impact of the first decade. In 2 vols. Warsaw: Institute of Political Studies, 2006.
255. **Ramet, Sabrina.** Nihil obstat: religion, politics, and social change in East-Central Europe and Russia. Durham, NC: Duke University Press, 1998.
256. **Rasizade, Alec.** Putin's mission in the Russian Thermidor. / Communist and Post-Communist Studies. Vol. 41, issue 1, March 2008, გვ. 1-25.
257. **Relijc, Dusan.** Russian voice heard in Serbia. / *Russian Analytical Digest*, No. 39, 2008, გვ. 2-5, ob.: http://www.css.ethz.ch/content/dam/ethz/special-interest/gess/cis/center-for-securities-studies/pdfs/RAD-39-2-5.pdf.

258. **Repishti, Sami.** "Human Rights and the Albanian Nationality in Yugoslavia". In: ***Human Rights in Yugoslavia.*** Edited by ***Oskar Gruenwald and Karen Rosenblum-Cale***. New York: Irvington Pub, 1986.
259. **Rogel, Carole.** Kosovo: Where it all Began. / *International Journal of Politics, Culture and Society*, Vol, 17, No. 1, Fall 2003, ȝȝ. 167-182.
260. **Ronayne, Peter.** Genocide in Kosovo. / *Human Rights Review*, Vol. 5, Issue 4. Jul-Sep 2004, ȝȝ. 57-71.
261. **Ryngaert, Cedric and Sven Sobrie.** Recognition of States: International Law or Realpolitik? The Practice of Recognition in the wake of Kosovo, South Ossetia, and Abkhazia. / *Leiden Journal of International Law*. Vol. 24. Issue 2. June 2011, ȝȝ. 467-490.
262. **Serrano, Silvia.** Géorgie, sortie d'empire. Paris: CNRS Editions, 2007.
263. ***Sociolinguistics.*** An International Handbook of the Science of Language and Society. Edited by **Ulrich Ammon, Norbert Dittmar, Klaus J. Mattheier, Peter Trudgill**. De Gruyter Mouton, 2006.
264. **Stefanović, Djordje.** "Seeing the Albanians through Serbian eyes: The Inventors of the Tradition of Intolerance and their Critics, 1804–1939." / *European History Quarterly*, № 35 (3), 2005, ȝȝ. 465-492.
265. **Stojanovic, Ljub.** Stari srpski zapisi I natpisi. T. V. Belgrade & Novi Sad, 1987.
266. ***Studies on Kosova.*** East European Monographs, number 155. Ed. by **Arshi Pipa** and **Sami Repishti**. Boulder, CO: East European Monographs, 1984, ȝȝ. 144.
267. **Subotic, Gojko.** Art of Kosovo: The Sacred Land. New York: Monacelli Press, 1998.
268. **Swire, Joseph.** Albania: The Rise of a Kingdom. New York: Arno Press, 1971.
269. ***The Abkhazians.*** A Handbook. Edited by **G. Hewitt.** St. Martin's Press, 1998.
270. **Lakoba, Stanislav.** History: 1917-1989. In: *The Abkhazians.* A Handbook. Edited by **G. Hewitt.** St. Martin's Press, 1998, ȝȝ. 89-101.
271. **Thomas, Ronald.** The Distinct Cases of Kosovo and South Ossetia: Deciding the Question of Independence on the Merits and International Law. / *Fordham International Law Journal*, Vol. 32, Issue 6, 2008, ȝȝ. 1990-2045.
272. **Treadway, John D.** The Falcon and the Eagle. Montenegro and Austria-Hungary 1908-1914. West Lafayette: Purdue University Press, 1983.
273. **Vemic, Mirketa.** Serbs in Kosovo and Metohija in the Second Half of the 19th Century According to an Ethnic Map of a part of Old Serbia. / Forum Geographic. Volume 10. Issue 2. The Geographical Institute of the Serbian Academy of Sciences and Arts. December 2011, ȝȝ. 255-263.
274. **Vickers, Miranda.** Between Serb and Albanian. A History of Kosovo. New York: Columbia University Press, 1998.
275. **Vladisavljevic, Nebosja.** Nationalism, Social Movement Theory and the Grass Roots Movement of Kosovo Serbs, 1985-1988. / *Europe-Asia Studies*, Vol. 54, No. 5. Glasgow: Carfax Publishing, 2002, ȝȝ. 771-790.

276. **Waters, Timothy William.** Plucky Little Russia: Misreading the Georgian War through the Distorting lens of Aggression. / *Stanford Journal of International Law*, Vol. 49, Issue 1, Winter 2013, ȝȝ. 176-238.
277. **Weller, Marc.** The Crisis in Kosovo 1989-1999: From the Dissolution of Yugoslavia to Rambouillet and the Outbreak of Hostilities. Cambridge, 1999.
278. **Weller, Marc.** The Rambouillet Conference on Kosovo. / International Affairs, Vol. 75, No 2. April 1999, ȝȝ. 211-251.
279. **Wilkes, John.** The Illyrians. Oxford: Blackwell, 1995.
280. **Wilkinson, H. R.** "Jugoslav Kosmet: The evolution of a frontier province and its landscape." / *Transactions and Papers (Institute of British Geographers),* Vol. 21, 1955, ȝȝ. 171-193.
281. **Woodward, Sussan.** Balkan Tragedy: Chaos and Dissolution after the Cold War. Washington, DC: Brookings Institution Press, 1995.
282. **Xhufi, Pellumb.** The Albanians in the Serbian Nemanja Kingdom. */ Kosova Historical Review,* № 4, 1994.
283. **Аванесян, А. А.** Влияние Косовского прецедента на судьбу Абхазии и Южной Осетии. / Теория и практика общественного развития: научный журнал [Электронный ресурс]. 2013, №9, ȝȝ. 216-218.
284. **Авидзба, А. Ф.** Абхазия и Грузия: Завтра была война (О Абхазо-Грузинских отношениях в 1988-1992 годы). Сухуми, 2012.
285. **Авидзба, А. Ф.** О политических взаимоотношениях Абхазии и Грузии в предвоенный период (1988-1992 гг.). ȣb.: http://apsnyteka.org/935-avidzba_a_f_izbrannye_stati.html.
286. **Авидзба, А. Ф.** Становление независимого Абхазского государства и Российская Федерация (1993-2008гг.). ȣb.: http://apsnyteka.org/935-avidzba_a_f_izbrannye_stati.html.
287. **Алексеева, Л.** История Инакомыслия в СССР. Москва: «Весть», 1992.
288. **Антоненко, О.** Независимость Косово. Почему Россия против? *Russie.Nei.Visions*, № 21, 2007.
289. **Анчабадзе, З. В.** Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.). Сухуми, 1959.
290. **Арш, Г. Л., И. Г. Сенкевич, Н. Д. Смирнова.** Краткая история Албании. Москва: «Наука», 1965.
291. **Бгажба, О. Х., С. З. Лакоба.** История Абхазии. С древнейших времён до наших дней. Сухуми, 2015.
292. **Блиев, М.** Осетия в первой трети XIX века. Орджоникидзе, 1964.
293. **Блиев, М.** Южная Осетия в коллизиях Российско-Грузинских отношений. Москва: «Европа», 2006.
294. **Ванеев, З. Н.** К вопросу времени заселения Юго-Осетии. НИИ АН Грузии. Вып. 3. Тбилиси, 1936.

295. **Ванеев, З. Н.** Избранные работы по истории Осетинского народа. Т. I. Цхинвали: «Ирыстон», 1989.
296. **Вейденбаум, Е.** Кавказские этюды. Исследования и заметки. Тифлис, 1901.
297. **Вейденбаум, Е.** Путеводитель по Кавказу. По поручению генерал-адьютанта Дондуков-Корсакова, главноначальствующего гражданскою частью на Кавказе. Тифлис, 1888.
298. **Воронов, Л.** Абхазия не Грузия. Книгоиздательство „Верность“. №89. Москва, 1907.
299. **Воронов, Ю. Н.** Абхазы – Кто они? Гагра, 1993.
300. **Гамахария, Дж., Б. Гогия.** Абхазия – Историческая область Грузии (Историография, документы и материалы, комментарии). С древнейших времён до 30-х годов XX века. Тбилиси, 1997.
301. **Гамахария, Дж.** Очерки из истории Грузии. Абхазия с древнейших времён до наших дней. Тбилиси, 2009.
302. **Гамкрелидзе, Т. В.** Современная диахроническая лингвистика и Картвельские языки. / *«Вопросы Языкознания»*, № 3. Москва, 1971.
303. **Ганин, А. В.** Советская военная разведка в Грузии в 1920-1921 годах. Миссия Павла Ситина. / *Государственное управление.* Электронный вестник. Выпуск № 43. Апрель 2014.
304. **Гулия, Д.** Стихотворения и частушки. Тифлис, 1912.
305. **Гулия, Д.** История Абхазии. Т. I. Тифлис, 1925.
306. **Гунба, М. М.** Абхазия в первом тысячелетии н.э. (Социально-экономические и политические отношения). Сухуми, 1989.
307. **Гуськова, Е.** История югославского кризиса (1990-2000). Москва: «Алгоритм», 2001.
308. **Джапаридзе, О. М.** Позднебронзовая культура. Западногрузинская культура. წიგნში: *«Очерки истории Грузии»*. Т. I. Тбилиси, 1989.
309. **Джоджуа, Т.** Историография Цхинвальксого региона (Южная Осетия). წიგნში: *Историографический диалог вокруг непризнанных государств. Приднестровье, Нагорный Карабах, Армения, Южная Осетия и Грузия.* Slavic Research Centre. Hokkaido University, 2007, გვ. 84-112.
310. **Дзидзария, Г. А.** Абхазия в годы Крымской войны. Упразднение владетельного княжества. წიგნში: *Очерки истории Абхазской АССР*. Т. I. Сухуми, 1960.
311. **Дзидзария, Г. А.** Присоединение Абхазии к России. წიგნში: *Очерки истории Абхазской АССР*. Т. I. Сухуми, 1960.
312. **Дзугаев, К.** Республика Южная Осетия: История и современность. წიგნში: Историографический диалог вокруг непризнанных государств. Приднестровье, Нагорный Карабах, Армения, Южная Осетия и Грузия. Slavic Research Centre. Hokkaido University, 2007, გვ. 61-83.

313. **Донцова, А.** Актуальные проблемы международного-правового признания государств (на примере Косово, Абхазии, Южной Осетии, Южного Судана). კრებულში: Правовое регулирование в условиях модернизации государственности: национальный и международный правовые аспекты. Материалы VI Международной научно-практической конференции студентов и аспирантов. Казань, 25-27 Ноября, 2011, გვ. 480-481.
314. **Жоржолиани, Г.** Исторические и политичские корни конфликта в Абхазии. Тбилиси, 2000.
315. **Захаров, В. А., А. Г. Арешев, Е. Г. Семерикова.** Абхазия и Южная Осетия после признания: исторический и современный контекст. Москва, 2010.
316. **Иессен, А. А.** Прикубаньский очаг металургии и металообработки в конце медно-бронзового века. / *«Материалы и исследования по археологии СССР»,* №23. Москва, 1951.
317. **Инадзе, М. П.** Вопросы этнополитической истории древней Абхазии. წიგნში: *«Разыскания по истории Абхазии/Грузия»*. Тбилиси, 1999, გვ. 61-92.
318. **Инал-ипа, Ш. Д.** Страницы исторической этнографии абхазов. Сухуми, 1971.
319. **Калачев, Д. Н.** Косово, Абхазия, Южная Осетия, Крым: Разногласия России и НАТО по статусу территорий. / *Вестник МГОУ*. Серия: История и политические науки. №5, 2014, გვ. 202-208.
320. **Квашилава, Каха.** Ещё раз о том, когда стала река Энгури «пограничной» рекой. / *სისტორიო ძიებანი,* წელიწდეული, XII. თბილისი, 2013-2015, გვ. 120-157.
321. **Косик, В. И.** Балканы: Порвалась цепь великая (середина XIX – начало XXI вв.). Москва: «ПРОБЕЛ-2000», 2014.
322. **Лавров, Д.** Заметки об Осетии и осетин. Тифлис, 1883.
323. **Лежава, Г.** Абхазия: Анатомия межнациональной напряжённости. Москва, 1999.
324. **Лекишвили, С.** Когда возник термин «Южная Осетия». კრებულში: *Осетины в Грузии.* Сборник. Тбилиси: «Универсал», 2015.
325. **Ленин, В. И.** Социалистическая революция и право наций на самоопределение. წიგნში: **В. И. Ленин.** Полное собрание сочинений. Издание пятое. Т. 27. Москва: Издательство политической литературы, 1969, გვ. 252-266.
326. **Ленин, В. И.** Критические заметки по национальному вопросу. წიგნში: **В. И. Ленин.** Полное собрание сочинений. Издание пятое. Т. 24. Москва: Издательство политической литературы, 1973, გვ. 113-150.
327. **Леонтьев, М., Д. Жуков.** «Независимая» Грузия: Бандит в тигровой шкуре. Москва, 2008.
328. **Лорткипанидзе М., Г. Отхмезури.** Шида Картли (Исторический экскурс). კრებულში: *Осетины в Грузии.* Сборник. Ред. **М. Лорткипанидзе**. Тбилиси: «Универсал», 2015, გვ. 7-53.

329. **Мамсуров, Т. Д.** Регионы – центр: проблема согласования интересов. Москва: Издательство российского университета дружбы народов, 2000.
330. **Маначинский, А. Я., Д. О. Денисов.** Косово и Метохия: Между автономией и сепаратизмом. История и современность. Москва–Пушкино: Центр стратегической конъюнктуры, 2014.
331. **Марыхуба, Игорь.** Абхазия в советскую эпоху. Том. I. Абхазские письма (1947-1989). Сборник документов. Сухуми, 1994. ელექტრონული ვერსია იხ.: http://apsnyteka.org/2909-abkhazia_v_sovetskuyu_epokhu_I_abkhazskie_pisma_1994.html.
332. **Марыхуба, Игорь.** Об Абазгской (Абхазской) письменности. Сухуми, 2016.
333. **Марыхуба, Игорь.** Московские архивные документы об Абхазии XX века. Сухуми, 2008.
334. **Мачавариани, Г. И.** Обшекартвельская консонантная система. Тбилиси, 1965.
335. **Ментешашвили, А.** Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии. Тбилиси, 1998.
336. **Мусхелишвили, Д. Л.** Историческая география Грузии IV-X вв. Очерки истории грузии. Т. II. Тбилиси, 1988.
337. **Мусхелишвили, Д. Л.** Исторический статус Абхазии в Грузинской государственности. წიგნში: *«Разыскания по истории Абхазии/Грузия»*. Тбилиси, 1999, გვ. 115-154.
338. **Николаев, Д. Г.** Политические основания и условия признания независимости Абхазии, Южной Осетии и Косово. Автореферат диссертации по политологии. Москва, 2011.
339. **Николаев, С. Н., С. А. Старостин.** Северо-кавказские языки и их место среди других языковых семей Передней Азии. კრებულში: Лингвистическая реконструкция и древнейшая история Востока. Тезисы докладов. Ч. 3. Майкоп, 1984.
340. **Паичадзе, Г. Г.** Абхазия в составе Российской империи. 1810-1917гг. წიგნში: *«Разыскания по истории Абхазии/Грузия»*. Тбилиси, 1999, გვ. 215-238.
341. **Папаскири, З. В.** Абхазия. История без фальсификации. Тбилиси, 2010.
342. **Пфаф, В. Б.** Материалы для древней истории Осетин. Тифлис, 1871.
343. **Пчелина, Е. Г.** Ossetica. Избранные труды по истории, этнографии и археологии Осетинского народа. Владикавказ, 2013.
344. **Соколов, А.** Путешествие моё в Имеретию с линии кавказской. Москва, 1874.
345. **Сталин, И. В.** Об очередных задачах партии в национальлном вопросе. *Тезисы к X съезду РКП(б) утвержденные ЦК партии.* წიგნში: **Иосиф Висарионович Сталин.** Сочинения. Том 5. Москва: Государственное издательство политической литературы, 1947, გვ. 15-28.
346. **Стуруа, Д.** Сепаратистское движение в Абхазии в шестидесятые и семидесятые годы нашего столетия. Тбилиси, 1995.
347. **Техов, Б. В.** Скифы и центральный Кавказ в VII-VI вв. до н.э. Москва: «Наука», 1980.
348. **Техов, Б. В.** Центральный Кавказ в XVI-X вв. до н.э. Москва: «Наука», 1977.

349. **Трапш, М. М.** Первобытнообщинный строй и рабовладельческие отношения на территории Абхазии. Труды. Т. 1. Сухуми, 1970.
350. **Турчанинов, Г. Ф.** Открытие и дешифровка древнейшей письменности Кавказа (Середина III тыс. до н.э. – IV-V вв. н.э.). Москва, 1999.
351. **Услар, П. К.** Этнография Кавказа. Языкознание. Абхазский язык. Тифлис, 1887.
352. **Фомин, И. В.** Образы Южной Осетии и Косова в Российском внешнеполитическом дискурсе. / *«Полития»*, №1 (72), 2014, გვ. 128-143.
353. **Хварцкия, Меджит.** История фальсификации и фальсификация истории (Сборник статей). Сухуми, 1997.
354. **Чибиров, Л.** Древнейшие пласты духовной культуры осетин. Цхинвали, 1984.
355. **Чочиев, А. Р.** Нарты-арии и арийская идеология. Кн. 1. Москва: Акалис, 1996; Кн. 2. Москва: Акалис, 2000.

პერიოდული პრესა:

356. **ალადაშვილი, ირაკლი.** „დაუყოვნებლივი პასუხი ვაზიანიდან“. // *გაზ. „კვირის პალიტრა“,* რუბრიკა „სამხედრო თემაზე“. № 29 (699), 2008 წ. 21-27 ივლისი, გვ. 8.
357. *„ახალგაზრდა კომუნისტი“*, №141, 1989წ. 25 ნოემბერი.
358. **ბერძენიშვილი, ნიკო.** წერილი რედაქტორს. // *ლიტერატურული გაზეთი,* 8.II. №6, 1957.
359. **კვანჭილაშვილი, ტარიელ.** „მერე რა იქნება?“. // გაზ. *„ლიტერატურული საქართველო“*, №40 (2664). 1988 წლის 30 სექტემბერი, გვ. 3-4.
360. „კრემლის მიერ შეთავაზებული სცენარები ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ანუ როგორ შეხვდნენ ოსები მშვიდობიან მომიტინგეებს“. // გაზ. *„საქართველო“*, №4, 15.XII.1989, გვ. 1.
361. **მანაგაძე, ირაკლი.** „პაველ ფელგენჰაუერი: „საქართველომ უნდა დათმოს აფხაზეთის რაღაც ნაწილი“. // გაზ. *„კვირის პალიტრა“*, რუბრიკა „რა იქნება ხვალ?..“, №29(699), 2008 წ. 21-27 ივლისი, გვ. 13.
362. **მარგველაშვილი, თინათინ.** „აშშ-ის ახალი გეგმა“. // *გაზ. „კვირის პალიტრა“,* რუბრიკა „რას წერენ ჩვენზე“, № 30(700), 2008 წ. 28 ივლისი – 3 აგვისტო, გვ. 16.
363. **მარგველაშვილი, თინათინ.** „დაყავი და იბატონე“. // გაზ. *„კვირის პალიტრა“*, რუბრიკა „რას წერენ ჩვენზე“, №26 (696), 2008 წ. 30 ივნისი – 6 ივლისი, გვ. 16.
364. „მიტინგი მშვიდობიანად დამთავრდა“. // გაზ. *„თბილისი“*, №270, 1989წ. 25 ნოემბერი, გვ. 8.
365. *„საქართველოს რესპუბლიკა“*, 1992 წლის 25 აგვისტო.
366. **Applebaum, Anne.** The Consequences of Kosovo. // *Washington Post*, February 19, 2008.
367. **Chivers, C. J.** Georgia Offers Fresh Evidence on War's Start. // *"New York Times"*, September 15, 2008. იხ.: http://www.nytimes.com/2008/09/16/world/europe/16georgia.html.

368. **Hayton, Bill.** Today Kosovo, tomorrow the world. // *"New Statesman,"*2 April 1999, გვ. 11-12.
369. **Kenney, George and Michael J. Dugan.** Operation Balkan Storm: Here's a Plan. // *The New York Times.* November 29, 1992, გვ. 15. ელექტრონული ვერსია იხ.: http:// www.nytimes.com/1992/11/29/opinion/operation-balkan-storm-here-s-a-plan.html.
370. **Simes, Dimitri K.** Russia's playing ball – will we? // Los Angeles Times, March 22, 2007. იხ.: http://articles.latimes.com/2007/mar/22/opinion/oe-simes22.
371. **Stack, Megan K.** Kosovo a frustration for Russia. // Los Angeles Times, February 14, 2008. იხ.: http://articles.latimes.com/2008/feb/14/world/fg-kosovo14.
372. «Александр Анкваб отвечает – Историю Абхазии нельзя скроить из президентских мифов и небылиц». // Газ. *«Аитаира»*, №10, 25.VI.2003.
373. *«Независимая Газета»*, №40 (3720), 1 Марта 2006.
374. Конституция (Основной Закон) Грузинской Советской Социалистической Республики. // *«Заря Востока»*, №70 (16046), 24 Марта 1978 года.
375. **Пельц, Александр, Виталий Денисов.** Договорённости с Арменией и Грузией в военной области оцениваются высоко. // *«Красная звезда»*, № 65 (21652), 24 марта 1995.
376. **Смирнова, Н.** Косовары: Беженцы или изгнанники? *«Новое Время»*. №16. 25 Апреля 1999 г.
377. «Тезисы тов. Сталина по докладу об очередных задачах партии в национальном вопросе, утверждённые Ц.К. Партии.» // *Правда»*, №29, 10 Февраля 1921 года, გვ. 2.
378. **Чибиров, Л.** Еще раз о появлении алан в Закавказье. // Газ. *«Советская Осетия»*, 16 марта 1990 г.
379. Эдуард Кокойты: Мы там практически выровняли всё. // Газ. «Коммерсантъ», №144, 15.08.2008, გვ. 7. იხ.: http://www.kommersant.ru/doc/1011783.

ელექტრონული რესურსები:

380. ახალგორის ქართული სკოლების დაწყებითი კლასები სწავლას ჯერ ისევ ვერ იწყებენ. 20.10.2017. იხ.: http://dfwatch.net/ახალგორის-ქართული-სკოლებ-49321.
381. **გუჩმანიძე, ილია.** კოსოვოს პრეცედენტი და საქართველო. იხ.: https://sites.google.com/site/geopolitologia/home/kosovospretsedentidasakartvelo.
382. დევნილთა სტატისტიკა. იხ.: http://www.mra.gov. ge/geo/static/55.
383. ექვსპუნქტიანი გეგმა. იხ.: http://www.civil.ge/geo/article.php?id=19157.
384. ის გაიტაცეს და მოკლეს – ოკუპაციას შეწირული კიდევ ერთი ქართველი. 23.02.2018. იხ.: https://www.kvirispalitra.ge/justice/40762-qis-gaitaces-da-moklesq-okupacias-shetsiruli-kidev-erthi-qarthveli.html?device=xhtml.
385. რუსეთი აღიარებს ცხინვალის რეგიონში საჰაერო სივრცის დარღვევას. იხ.: http://www.civil.ge/geo/article.php?id=18768&search.

386. რუსიფიკაციის ახალი ტალღა ოკუპირებულ გალში. 2015 წლის 4 აგვისტო. იხ.: http://www.amerikiskhma.com/a/gali-georgian-books/2900478.html.
387. საქართველოს შეცვლილი საზღვრები ოკუპაციის შემდეგ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. 26 ოქტომბერი 2015. იხ.: https://www.idfi.ge/ge/changed-borders-of-georgia-after-occupation.
388. ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი. იხ.: http://smr.gov.ge/Detailspage.aspx?ID=42.
389. ხურჩაში მოკლული გიგა ოთხოზორია ზუგდიდში დაკრძალეს – კადრები პროცესიიდან. 26,05.2016. იხ.: https://www.palitravideo.ge/palitranewsnews/73303-khurchashi-mokluli-giga-othkhozoria-zugdidshi-dakrdzales-kadrebi-procesiidan.html.
390. Abkhazia Is Recognized by Nauru. იხ.: http://www.nytimes.com/2009/12/16/world/europe/16georgia.html.
391. Albania – The Ancient Illyrians. იხ.: https://www.thoughtco.com/albania-the-ancient-illyrians-4070684.
392. Chavez Recognizes South Ossetia, Abkhazia As Independent. იხ.: http://www.rferl.org/a/Chavez_Visits_Russia_20To_Discuss_Arms_Energy_Deals/1819273. html.
393. Countries that have recognized Kosovo as an independent state. იხ.: http://www.beinkosovo.com/countries-that-have-recognized-kosovo-as-an-independent-state/.
394. Eastern Michigan University Linguist List: The Illyrian Language. იხ.: http://multitree.org/codes/xil.
395. ECMI: Minority figures in Kosovo census to be used with reservations. იხ.: http://www.infoecmi.eu/index.php/ecmi-minority-figures-in-kosovo-census-to-be-used-with-reservations/.
396. European Union Monitoring Mission in Georgia. Updated in December 2018. იხ.: https://eumm.eu/data/image_db_innova/EUMM Factsheet ENG 2018 December.PDF.
397. Georgia. Republic of Georgia. იხ.: https://www.citypopulation.de/Georgia.html.
398. "Georgia will not recognize Kosovo". May 9, 2008. იხ.: https://www.b92.net/eng/news/politics.php?yyyy=2008&mm=05&dd=09&nav_id=50095.
399. Georgia Says Vanuatu Has Withdrawn Recognition of Abkhazia. იხ.: https://www.bloomberg.com/news/articles/2013-05-20/georgia-says-vanuatu-has-withdrawn-recognition-of-abkhazia.
400. Georgia: President Unveils South Ossetian Peace Plan In Strasbourg. იხ.: http://www.rferl.org/a/1057093.html.
401. ICC Pre-Trial Chamber I authorises the Prosecutor to open an investigation into the situation in Georgia. იხ.: https://www.icc-cpi.int/Pages/item.aspx?name=pr1183&ln=en.
402. Kosovo. The World Factbook. იხ.: https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/kv.html.
403. Kosovo and the end of the Nation-State. Speech by Vaclav Havel. 29 April 1999. იხ.: https://www.nybooks.com/articles/1999/06/10/kosovo-and-the-end-of-the-nation-state/.

404. Kosovo Population. ob.: http://countrymeters.info/en/Kosovo.
405. Kosovo population data-points. ob.: http://www.fact-index.com/k/ko/kosovo_population _data_points.html.
406. Medieval Monuments in Kosovo. ob.: http://whc.unesco.org/en/list/724/.
407. Memorandum 1986 (the Greater Serbian Ideology) by Serbian Academy of Arts and Sciences. ob.: http://www.trepca.net/english/2006/serbian_memorandum_1986/serbia_ memorandum_1986.html.
408. Military Technical Agreement. ob.: https://www.nato.int/kosovo/docu/a99 0609a.htm.
409. Nicaragua recognizes South Ossetia and Abkhazia. ob.: https://sputniknews.com/world/ 20080904116538071/.
410. No Decision if Kosovo Serbs will Vote in Serbian Elections. ob.: http://www.balkan insight.com/en/article/no-decision-if-kosovo-serbs-will-vote-in-serbian-elections-03-20-2017#sthash.VEWPR5XD.dpuf.
411. **Oliker, Olga.** Kosovo and South Ossetia More Different Than Similar. August 25, 2008. ob.: https://www.rand.org/blog/2008/08/kosovo-and-south-ossetia-more-different-than-similar.html.
412. **Parfitt, Tom.** Security and human rights observers to close South Ossetia mission. 22 Dec 2008. ob.: https://www.theguardian.com/world/2008/dec/22/georgia-osce-mission-closes.
413. **Pavlović, Momčilo.** Yugoslavia – The Constitution of 1974 and some political results. ob.: http://www.transconflict.com/2013/04/yugoslavia-the-constitution-of-1974-and-some-political-results-19.
414. **Phillips, Leigh.** Georgian government announces Abkhaz peace proposal. 31 March 2008. ob.: https://euobserver.com/foreign/25892.
415. Russia Recognizes Abkhazia, South Ossetia. ob.: http://www.rferl.org/a/Russia_ Recognizes_Abkhazia_South_Ossetia/1193932.html.
416. Russia welcomes Nicaragua's recognition of South Ossetia, Abkhazia. ob.: http://www.chinadaily.com.cn/world/2008-09/06/content_7005202.htm.
417. Semi-Recognized Western Sahara to Recognize South Ossetia. ob.: http://web.archive. org/web/20122002032003 3932/http:/georgiandaily.com/index.php?option=com_conten t&task=view&id=20044&Itemid=65.
418. Serbia's Constitutional Amendments and the Autonomous Provinces. ob.: http:// yugoslavtruth.blogspot.com/2005/09/serbias-constitutional-amendments-and.html.
419. Sweden knew about the Russia-Georgia war before the US: report. 8 December 2013. ob.: https://sverigesradio.se/sida/artikel.aspx?programid=2054&artikel=5727212.
420. Syria formally recognizes Abkhazia and South Ossetia. ob.: https://eurasianet.org/syria-formally-recognizes-abkhazia-and-south-ossetia.
421. The Ottoman Conquest of Albania. ob.: http://countrystudies.us/albania/17.htm.

422. Tuvalu takes back recognition of independence of Abkhazia and so-called South Ossetia. ob.: https://www.georgian journal.ge/politics/26780-tuvalu-takes-back-recognition-of-independence-of-abkhazia-and-so-called-south-ossetia.html.
423. Tuvalu withdraws recognition of breakaway Georgia regions. ob.: https://dfwatch.net/tuvalu-withdraws-recognition-of-georgian-breakaway-regions-20875-27597.
424. Vandal. Germanic People. ob.: https://global.britannica.com/topic/Vandal-Germanic-people.
425. Абхазия, Южная Осетия и Приднестровье признали независимость друг друга и призвали всех к этому же. ob.: http://www.newsru.com/russia/17nov2006/aup.html.
426. Абхазская АССР (1989 г.). ob.: http://www.ethno-kavkaz.narod.ru/rnabkhazia.html.
427. Анатолий Бибилов: Фактически мы часть России. 12.042017. ob.: https://sputnik-ossetia.ru/radio/20170412/4003721.html.
428. Бастрыкин: МУС перевернул события в Цхинвале в 2008 с ног на голову. ob.: http://www.vesti.ru/doc.html?id=2715592&cid=7.
429. В. Путин: Почему Косово можно получить независимость, а Абхазии и Осетии нельзя? ob.: http://www.nedelia.lt/world/4996-v.putin-pochemu-kosovo-mozhno-poluchit.html.
430. Венесуэла признает независимость Абхазии и Южной Осетии. ob.: http://www.interfax.ru/russia/99801.
431. Выступление Владимира Путина на саммите НАТО (Бухарест, 4 апреля 2008 года). ob.: https://www.unian.net/politics/110868-vyistuplenie-vladimira-putina-na-sammite-nato-buharest-4-aprelya-2008-goda.html.
432. **Гварамия, Гоча.** Как начиналась воина в Абхазии. 14/08/2007. ob.: http://www.apsny.ge/analytics/1187113045.php.
433. Государству Алания сказали ДА. 10.04.2017. ob.: http://sputnik-ossetia.ru/South_Ossetia/20170410/3987727.html.
434. Если можно Косово, почему нельзя Донбассу? ob.: http://www.politnavigator.net/esli-mozhno-kosovo-pochemu-nelzya-donbassu.html.
435. Из истории Южной Осетии. ob.: http://osetins.com/books_ist_osetia.
436. **Илларионов, Андрей.** Газовые цены. 14 января 2009 г. ob.: https://aillarionov.livejournal.com /62696.html.
437. **Искендеров, Петр.** История Косово: правда и вымысел. ob.: http://www.perspektivy.info/osobaya_tema/kosovo/istorija_kosovo_pravda_i_vymysel_2008-02-19.htm.
438. **Латынина, Юлия.** 200 км танков. О Российско-Грузинской войне. ob.: http://readli.net/chitat-online/?b=124895&pg=1.
439. Ни о какой широкой автономии речи быть не может: президент Абхазии о предложениях Саакашвили. 29 Марта 2008. ob.: https://regnum.ru/news/978766.html.

440. Острова Тувалу признали Южную Осетию. ob.: https://lenta.ru/news/2011/09/23/tuvalu1/.
441. Островенное признание: Науру признало Южную Осетию. ob.: http://graniru.org/Politics/World/Europe/Georgia/ m.172210.html.
442. Путин об Августе 2008 года: План был и это не секрет. ob.: https://www.youtube.com/watch?v=u3ureBVwmIY.
443. Российский газ для Европы подорожает до 500 долларов. 3 июля 2008. ob.: https://lenta.ru/news/2008/07/03/miller/.
444. Сан-Стефанский прелиминарный мирный договор. ob.: http://www.hist.msu.ru/ER/Etext/FOREIGN/stefano.htm.
445. Совместное заявление министров иностранных дел РФ и Грузии по вопросу вывода баз. 30.05.2005. ob.: https://regnum.ru/news/polit/462196.html.
446. Страны, признавшие независимость Республики Абхазия. ob.: https://web.archive.org/web/20130218144841/http://www.abjasia.org:80/recognition.html.
447. Ющенко: Украина не взяла ни кубометра газа из российского транзита. 13 января 2009. ob.: https://www.unian.net/politics/179801-yuschenko-ukraina-ne-vzyala-ni-kubometra-gaza-iz-rossiyskogo-tranzita.html.